არსებობს სხვადასხვა საერთაშორისო თუ ეროვნული დოკუმენტები, რომლებიც მიუთითებს მინობით აღზრდის სტანდარტებს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მხრივ. თუმცა ერთიანი შეთანხმება თუ როგორი პიროვნული მახასიათებლებისა და ხასიათის პიროვნება შეიძლება გახდეს მიმღები მშობელი არ არსებობს; მაშინ როდესაც მინდობით აღმზრდელი არის ადამიანი, რომელიც ყოველდღიურ და გრძელვადიან საჭიროებებს უკმაყოფილებს მზრუნველობამოკლებულ ბავშვს, და სწორედ მინდობით აღმზრდელის პიროვნული მახასიათებლები დიდ გავლენას ახდენს ზრუნვაში მყოფ ბავშვსა და ზოგადად სისტემის ხარისხზეც (David C. Rowe, 2003).

წარმატებული მინდობითი აღზრდის სიტემა დამოკიდებულია სამ კომპონენტზე: 1. მინდობით აღსაზრდელზე; 2. მინდობით აღმზრდელზე 3. მიმღებ მშობელსა და ბავშვს შორის წარმატებულ კომუნიკაციაზე.

საქართველოს კანონმდებლობით მინდობით აღმზრდელი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე, ჰქონდეს დამაკმაყოფილებელი ჯანმრთელობის მდგომარეობა, არ უნდა იყოს ნასმართლევი, ჰქონდეს შესაძლებლობა უზრუნველყოს ბავშის საჭიროებები, დაიცვას მისი საუკეთესო ინტერესები. მინდობით აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის მინიმალური ასაკობრივი სხვაობა არ უნდა აღემატებოდეს 16 წელს.

მინდობით აღზრდის პროგრამის მთავარი მიზანია მზრუნველობა მოკლებული

ბავშვებისთვის ალტერნატიული მზრუნველობის ფორმის შეთავაზება. თუმცა მთავარი აქცენტი ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრაციაზე კეთდება. როგორც გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია N64/142 (2010) აღნიშნავს „სახელმწიფოებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში შენარჩუნებისთვის“ (United Nation, 2010) მინდობით აზრდაში მყოფი ბავშვის უფლებაა ჰქონდეს ურთიერთობა მის ბიოლოგიურ ოჯახთან თუ კი ეს მის საუკეთესო ინტერესებს არ ეწინააღმდეგება. რაც უფრო ხშირია ბიოლოგიური მშობლების ვიზიტების რაოდენობა , მით უფრო მაღალია რეინტეგრაციის შანსი (Sonya J. Leathers, 2003).

მინდობით აღზრდის სისტემა არის საუკეთესო ალტერნატივა, როდესაც ბავშვს არ შეუძლია იცხოვროს საკუთარ ბიოლოგიურ ოჯახში. მინდობით აღზრდის სისტემა მერყეობს მიზანსა და

ხანგრძლივობას შორის. მიზანი შეიძლება იყოს ოჯახის გაძლიერება და ბავშვის უფლებების დაცვა, ხოლო ხანგრძლივობა დამოკიდებული იყოს მიზანზე და მერყეობდეს მოკლევადიანი - გადაუდებელი მინდობით აღზრდიდან რეგულარულ მინდობით აღზრდამდე (Konijn at al, 2018).

საქართველოს კანონმდებლობით მეორვეობისა და მზრუნველობის ორგანო ვალდებულია 6 თვის შემდგომ დაიწყოს ბავშვის მიტოვებულად აღიარებული სტატუსზე მუშაობა,თუ კი ბავშვი რომელიც 24 საათიან ზრუნვის სიტემაში იმყოფება მშობელი არ იჩენს ყურადღებას და არ ინტერესდება ბავშვის მდგომარეობით. ბავშვის მიტოვებულად აღიარება ხდება სასამართლოს მეშვეობით (საქართველოს კანონი შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ, 2017).

სისტემიდან გასვლა გულისხმობს 18 წლის შესრულებას ან/და 21 წლის შესრულებას გამონაკლის შემთხვევებში. სისტემიდან გასული მოზარდების სირთულები შეგვიძლია შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ: არასახარბიელო ჯანმრთელობის მდგომარეობა, საცხოვრებლის არარსებობა, დაბალანაზღაურებადი სამუშაო, ბარიერები განათლების გაგრძელების შესაძლებ-ლობაში, არათანიმდევრული და არარსებული მხარდაჭერა.

საქართველოში არ არსებობს ზუსტი და საჯარო სტატისტიკური მონაცემები თუ სად მიდიან, რა საჭიროებები და პრობლემები აქვთ მინდობით აღზრდის პროგრამიდან გასულ ბენეფიციარებს.

მერი ბიკისმა და კოლეგებამ ჩატარეს კვლევა დიდი ბრიტანეთში ხანგრძლივი დროით მინოდბით აღზრდაში განთავსებული ბავშვების შესახხებ. კვლევისა გამოვლინდა, რომ პროგრამაში ხანგრძლივი ყოფნა პირდაპირ აისახება არასრულწლოვნების ფსიქოსოციალურ კეთილდღეობასა და თვითშეფასებაზე. პროგრამაში ყოფნინსას არასრულწლოვნებს აქვთ მდგრადობის განცდა, მაგრამ ამ პროგრამას აქვს დასასრული, სწორედ ამიტომ საჭიროა სოციალური მუშაკის ჩართულობა დამოუკიდებელი ცხოვრებ-ისათვის მომზადებაში. განხორციე-ლებულ სოციალურ მუშაობაზეა დამოკიდებული სისტემიდან გასული ახალგაზრდების ადაპტაციის უნარი გარემოში.

საქართველოში მინდობით აღზრდის პროგრამის განხორციელებას ხანგრძლივი ისტორია არ აქვს. წლების განმავლობაში სახელმწიფო სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად ცდილობდა პროგრამის დახვეწასა და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვას. თუმცა სახელმწიფო ზრუნვის საგენტოში არსებული პრობლემები და ქვეყანაში მიმდინარე მძიმე სოციო-ეკონომიკური ფონი აისახება პროგრამის განხორციელების ხარისხზეც. ქართული რეალობის შედარება საერთაშორისო პრაქტიკასთან თუ ლიტერატურასთან ნათლად გვაჩვენებს განსხვავებს.

დასკვნა

ამრიგად, დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ საქართველოში არ არსებობს მინდობით აღზრდის განხორციელების მკაფიოდჩამოყალიებული მოდელები; არსებული მინდობით აღზრდის სახეებიდან პრაქტიკაში არ მომხდარა ყველა მათგანის იმპლემენტაცია. დღემდე არ ამოქმედებულა ჩამნაცვლებითი მინდობით აღზრდის სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემდა მინდობით აღმზრდელებს წლის განმავლობაში ჰქონოდათ კუთვნილი შვებულება. დღეის მდგომარეობით მინდობით აღმზრდელები მუშაობენ კვირაში შვიდი დღე, შესვენების გარეშე. ეს ყველაფერი აისახება მათ ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე და მიწოდებული ზრუნვის ხარისხზე. ასევე სოციალური მუშაკები არ მიმართავენ სასამართლოს ბავშვისთვის გასაშვილებელი სტატუსის მინიჭების თაობაზე, თუ 6 თვის განმავლობაში მშობელს ყურადღება და ინტერესი არ გამოუჩენია შილის მიმართს, რაც იწვევს არასრულწლოვნების ზრუნვის ფორმაში დიდი დროით დატოვებას, ხოლო 18 წლის შემდეგ ისინი რჩებიან ქუჩაში.

მიუხედავად არაერთი საერთაშორისო თუ ადგილობრივი ინსტიტუტების კრიტიკისა,

დღემდე სახელმწიფოს არ აქვს მკაფიოდ გაწერილი გეგმა სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი არასრულწლოვანებისთვის დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადების უზრუნველსაყოფად. დღეის მდგომარეობით, მომზადებაში იგულისხმება შესაბამისი ფორმალური განათლების ხელშეწყობა. სისტემიდან გასული ბავშვები სამყაროს წინაშე მარტო მხარდაჭერის გარეშე რჩებიან. სახელმწიფო ძირითადად დამოკიდებულია მინდობით აღმზრდელების კეთილ ნებაზე.

ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი ბავშვის უფლებების დაცვა უნდა იყოს. მნიშვნელოვანია, აქცენტი გაკეთდეს ახალი სერვისების შექმნასა და ოჯახის გაძლიერებაზე, რათა ქვეყანაში ყველა ბავშვს შეეძლოს ღირსეულ და უსაფრთხო გარემოში ცხოვრება.

ლიტერატურა:

1. UNICEF. (2003). Gatekeeping services for vulnerable children and families: A concept paper. UNICEF Innocenti Research Center.
2. ,,კანონი შვილად აყვანისა და მინდობითი აღზრდის შესახებ“ (2017)
3. ,,ბავშვის უფლებათა კოდექსი“ (20.09.2019)
4. ს. ნამიჭეიშვილი, მ. მგელიაშვილი – სოციალური სამუშაოს პრაქტიკის საფუძვლები (2010 აპრილი)
5. ,,ბავშვის უფებათა კონვენცია“ (1989 20 ნოემბერი)
6. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში - მინდობითი აღზრდის სახელმწიფო ქვეპროგრამის მონიტორინგის შესახებ (2016)
7. მინდობითი აღზრდის მომსახურების სტანდარტები (2017)

Alternative forms of child care in Georgia

Abuladze Teona
Master Student of GTU.

Summary

The protection of children's rights is one of the most pressing issues in the world.According to the Convention on the Rights of the Child, all children have the right to life, health, development, upbringing and participation in a safe environment.Unfortunately, in today's reality, the fundamental rights of the child are being violated in many ways in different parts of the world. The state has an obligation to ensure maximum protection of the rights of each child.

In Georgia, raising child-related problems is becoming more and more important.It is unfortunate, however, that we encounter too many facts when a child's rights are grossly violated.Specialists working with minors have to take radical measures such as separating the child from the family and placing him / her in alternative care.

The article discusses the reform of the child care system in Georgia and the forms of alternative care.The focus is on what is in the best interest of the child, which on the one hand involves separating the child from the family and, on the other hand, protecting him from violence and neglect.

Keywords: state care; child care; foster care; separation; alternative care.

მიგრაციული პროცესები მსოფლიოსა და საქართველოში

ბარათაშვილი ანა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

იაშვილი გენადი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

მიგრაცია ადამიანთა არსებობის დასაწყისიდან გახდა ცხოვრების განუყოფელი ნაწილი. მიგრაციის ძირითადი მამოძრავებელი ძალა, უკეთესი ცხოვრების პერსპექტივებია. წინარეისტორიულ ხანაშიც კი, ადამიანთა გადაადგილების მიზეზი იყო სიცოცხლისთვის, ნადირობისთვის, მოსავლის დასათესად და ა.შ. უფრო ხელსაყრელი ტერიტორიების პოვნა და მათი ათვისება.

სამწუხაროდ მიგრაციის ისეთი მიზეზებიც არსებობს, რომელთაც იძულებით გადაადგილებას უწოდებენ. ასეთებია: სტიქიური უბედურება, სამოქალაქო და ქვეყნებს შორის ომი. ხშირ შემთხვევაში სამშობლოს დატოვების მიზეზად პოლიტიკური დევნა სახელდება. მსოფლიო სტატისტიკის მიხედვით, სხვა ქვეყნებისათვის თავშესაფრის მიღების განაცხადებებში საკმაოდ ხშირად არის მითითებული, რომ ადამიანები იძულებულნი არიან, საკუთარი სამშობლო დატოვონ არატრადიციული ორიენტაციის, რელიგიური უმცირესობებისა და აზრთა სხვაობის გამო. ისინი მხოლოდ იმიტომ განიცდიან დევნას და ცხოვრობენ ფიზიკური განადგურების შიშით, რომ საზოგადოების ძირითადი მასისგან განსხვავდებიან. ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების განხილვისა და დადასტურების შემდეგ თავშესაფრის მაძიებელ პირებს ენიჭებათ იურიდიული სტატუსი - ლტოლვილი. ლტოლვილის სტატუსის მქონე ადამიანები, ხდებიან იმ ქვეყნების მოქალაქეები, სადაც ფიქრობენ, რომ მათი უფლებები უფრო მეტად დაცული იქნება.

საკვანძო სიტყვები: ემიგრაცია, ეკონომიკა, სტრატეგია, მსოფლიო, საერთაშორისო ურთიერთობები, ლტოლვილი. მოსახლეობა.

შესავალი

ბოლო ათწლეულების განმავლობაში ემიგრაციაში წასული ადამიანების რაოდენობის უწყვეტი ზრდა, ბევრმა მიზეზმა განაპირობა. მათ შორის: ტექნოლოგიურმა მიღწევებმა, ინტერნეტთან წვდომის გამარტივებამ, უვიზო მიმოსვლის რეჟიმების ამოქმედებამ და ერებს შორის თანამეგობრობამ, ეს მიზეზთა ის მცირეა ჩამონათვალია, რომელმაც უფრო გააადვილა ემიგრაციაში წასვლის გადაწყვეტილების მიღება. ემიგრაციაში წასვლის უპირველეს მიზეზად როგორც საქართველოში, ასევე მთელ მსოფლიოში ფინანსური კეთილდღეობის მიღება რჩება.

თანამედროვე მიგრაციულ პროცესებში ჩართულია მსოფლიოს თითქმის ყველა კონტინენტი და რეგიონი. მიგრაციის პროცესების მართვა და რეგულირება ბოლო რამდენიმე ათწლეულის მანძილზე არის თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და სადავო ასპექტი.

ძირითადი ნაწილი

მიგრაციულ პროცესებთან დაკავშირებული სირთულეები

მიუხედავად იმისა, რომ მიგრაცია ყოველთვის იყო თანამედროვე მსოფლიოს მნიშვნელოვანი პრობლემა, მიგრაციით გამოწვეულ ასპექტებს 21-ე საუკუნის დასაწყისამდე არ მიუღია სათანადო გაშუქება და საბოლოო ჯამში მიგრაციულმა პროცესებმა კოლოსალური მასშტაბები შეიძინა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში. 2018 წლის მო-

ნაცემებით საერთაშორის მიგრანტების რაოდენობამ დაახლოებით 255 მილიონ ადამიანს გადააჭარბა, ხოლო ქვეყნების შიდა მიგრაციამ კი თითქმის 800 მილიონს მიაღწია. (აღნიშნულ ციფრებში მითვლილია ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა გარკვეული ნაწილი).

მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებმა და განსაკუთრებით კი ევროპაში არსებულმა კრიზისმა, კიდევ ერთხელ აშკარად აჩვენა აღნიშნული ფენომენის სირთულე და ცხადყო, რომ აუცილებელია ამ პროცესების მოგვარებაში ჩართულ იყოს მთელი მსოფლიოს საზოგადოება და აუცილებელია თანამშრომლობა როგორც რეგიონულ, ისე გლობალურ დონეზე. მიგრაციასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში აქტიურად არის ჩართული ისეთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო ინსტიტუტები, როგორებიცაა შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), მსოფლიო ბანკი (WB), ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისი (UNHCR), გაეროს სპეციალიზირებული სააგენტო - განათლების, მეცნიერების და კულტურის საკითხებში (UNESCO), აუცილებლად ცალკე უნდა აღინიშნოს, მიგრაციის საერთაშორის კომისია (IOM) ის არის ყველაზე მნიშვნელოვანი ორგანიზაცია, რომელიც შეხებაშია მიგრაციის საკითხებთან. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია მუშაობს როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო და მთავრობათაშორის ორგანოებთან. ის დაარსდა 1951 წელს და მისი წევრი სახემწიფოების რაოდენობა 170-მდეა. საინტერსოა ისიც, რომ IOM 2016 წელს, მისი არსებობის სამოცდამეხუთე წელს გაეროს ნაწილი გახდა. საერთაშორისო მიგრაციის მნიშვნელოვან საკითხებსა და პრობლემებთან დაკავშირებით, ყველაზე ავტორიტეტული დოკუმენტია 2003 წელს ჟენევაში დაარსებული (GCIM) საერთაშორისო მიგრაციის გლობალურ კომისიის მიერ გამოქვეყნებული მოხსენება, რომელის სახელწოდებაა: „მიგრაცია ურთიერთადაკავშირებულ სამყაროში და მოქმედების ახალი მიმართულებები. აღნიშნულ დოკუმენტში თავმოყრილია ისეთი ძირითადი საკითხები და პრობლემები როგორიცაა მიგრაცის მზარდი დინამიკა, მსოფლიო შრომის ბაზარზე არსებული ვითარება, არალეგალური მიგრაციული პროცესები და მათგან გამოწვეული პრობლემები, მიგრანტების უფლებები და მოთხოვნები. გარდა ამისა, მსოფლიოს ერთ-ერთმა ყველაზე მნიშვნელოვანმა ფინანსურმა ინსტიტუტმა - მსოფლიო ბანკმა თავის მიერ განსახორციელებელ მიმართულებებში საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო საერთაშორისო მიგრაციისა და ფულადი გზავნილების საკითხებს.

ჩვენს ქვეყანაში მიგრაციის მართვის სფეროში მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნა გადადგმული ევროკავშირის მხარდაჭერით. შემუშავდა მიგრაციის მართვის სხვადასხვა სტრატეგიები, სხვადასხვა ევროპული ქვეყნების მაგალითზე და ა.შ. რაც ყველაზე მთავარია ჩამოყალიბდა მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია. (2010 წ)

საქართველოში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში ემიგრაციის გამომწვევი მიზეზები ერთნაირია: ეს უმეტეს შემთხვევებში არის საქართველოს ბაზართან შედარებით უფრო მაღალი ფინანსური ანაზღაურების სურვილი. თუმცა, არსებობს სხვა ტიპის ემიგრაციის მიზეზები, აღსანიშნავია, რომ მათი რაოდენობა საკმაოდ მცირეა. ერთ-ერთია სამედიცინო მომსახურების მიღების მიზნით მიგრაცია და დასავლური/ამერიკული განათლების/პრაქტიკის მიღების სურვილით გამოწვეული მიგრაცია. სამწუხაროდ, საქართველოს არცთუ ისე შორეულ წარსულში იყო პერიოდი, როდესაც ემიგრაციის გამომწვევი მიზეზი ძირითადად იყო ქვეყანაში არსებული მძიმე ვითარება, არასტაბილური პოლიტიკური ფონი, შიდა დაპირისპირება, სამოქალაქო ომი და ამ ფაქტორებიდან გამომდინარე - მაქსიმალურად გაზრდილი კრიმინალი. უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ აღწერილი ვითარების გამო მოსახლეობის მიგრაცია ძირითადად ყოფილ პოსტსაბჭოთა სივრცეში ხდებოდა. ამჟამად კი, მოსახლეობის ძირითადი მასა ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ცდილობს გადასახლებას. თუმცა 2019 წლის მონაცემებით, ჩვენი ქვეყნიდან ყველაზე მეტი ემიგრანტი მაინც რუსეთში იმყოფება.

აუცილებლად უნდა აღნიშნოს, ის ფაქტი, რომ ბოლო წლებში შესამჩნევი გახდა ემიგრანტების უკან - საქართველოში დაბრუნება, მართალია მათი რაოდენობა არ აჭარბებს ქვეყნიდან გამსვლელების რაოდენობას, თუმცა შესამჩნევად მოიმატა უკან დაბრუნებულთა რიცხვმა. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ქართველი ემიგრანტების უმეტესობა იძულებული გახდა დაეტოვებინა, როგორც საკუთარი ქვეყანა, ასევე ოჯახები და ახლობლები ფინანსური უზრუნველყოფისათვის. დღეს კი მათი უმეტესობის ძირითად მიზანს, უკვე მიღწეული კეთილდღეობისა და მეტ-ნაკლებად ფინანსური დამოუკიდებლობის დონის შენარჩუნება წარმოადგენს. სწორედ ამიტომ არ არის განსაკუთრებით მზარდი უკან დაბრუნებულთა რიცხვი.

ბოლო ათწლეულების მანძილზე დაჩქარდა ურბანიზაციის პროცესი, რაც პირდაპირ უკავშირდება სოფლებში მოქმედუნარიანი მოსახლეობის შემცირებას. სოფლების დაცლა ძირითადად გამოიწვია დიდ ქალაქებში არსებულმა სამშენებლო ბუმმა, რის გამოც გაიზარდა მოთხოვნა შედარებით დაბალი კვალიფიკაციის, უმაღლესი განათლების დიპლომის გარეშე მყოფ შრომისუნარიან მამაკაცებზე. სწორედ ქალაქში დასაქმებისა და „უკეთესი ცხოვრების“ პერსპექტივამ გამოიწვია სოფლებში მიმდინარე პროცესები. მასიურად მოხდა ქმედითუნარიანი მოსახლეობის გადინება, რის გამოც ავტომატურად შეფერხდა სოფლის მეურნეობის განვითარება. მუშახელის არ არსებობის გამო მიუხედავი დარჩა, სხვადასხვა ხილის ბაღები, ვენახები, ბოსტნეული და პარკოსანი მცენარეები. აღნიშნული პრობლემის გამო ვერ მოხერხდა პროდუქტის მოთხოვნისა და მიწოდების დარეგულირება, რამაც გაზარდა იმპორტულ საქონელზე მოთხოვნა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ემიგრაცია უპირველეს ყოვლისა უკავშირდება სტაბილურ ფულად გზავნილებს უცხოურ ვალუტაში. ხშირ შემთხვევაში, საქართველოში შემოსული ვალუტის უმეტესი წილი სწორედ ემიგრანტების ფინანსურ გზავნილებზე მოდის. (განსაკუთრებით ბოლო 2 წლის მანძილზე, როდესაც მსოფლიო პანდემიამ შეაფერხა ტურიზმი არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში). გარდა ფულადი გზავნილებისა, ემიგრაციას სხვა დადებითი მოვლენებიც ახლავს თან. შედარებისათვის განვიხილოთ იაპონისს მაგალითი: იაპონია ალბათ მთელ მსოფლიოში ყველაზე მონოეთნიკური სახელმწიფოა, მისი მოსახლეობის 98%-ზე მეტი თავად იაპონელია. 1,9% კი მიმდებარე კუნძულების მაცხოვრებელები არიან. მხოლოდ 0,1% შეადგენს სხვა ერების წარმომადგენლები.

ამომავალი მზის ქვეყანა მთელი თავისი არსებობის მანძილზე ზედემტად დახურულიც კი იყო. იაპონია ყოველთვის იყო გამორჩეული ძალიან მკაცრი მიდომებით მიგრაციული პროცესები მიმართ. რაც ითვალისწინებდა უცხო ქვეყნის მოქალაქეების შესვლის შეზღუდვას და იაპონიის მოქალაქეების ქვეყნიდან თავისუფლად გასვლას. თუმცა ბოლო წლებში ემიგრაციასთან დაკავშირებით, დამოკიდებულება შეცვალა იაპონიის მთავრობამ. რადგანაც იაპონია, ისევე როგორც სხვა განვითარებული ქვეყნების უმრავლესობას პრობლემები შეექმნა. რაც ძირითადად დაბალი შობადობის და გაზრდილი სიცოცხლის მაჩვენებლებში გამოიხატება. (იაპონიას მთელ პლანეტაზე სიცოცხლის ხანგრძლივობის ყველაზე დიდი მაჩვენებელი აქვს და აგრძელებს ზრდას!) თანამედროვე თაობები უფრო მეტად არის ორნეტირებულები კარიერულ წინსვლაზე, ვიდრე ოჯახზე. აღნიშნულ პრობლემას შეუძლია საბოლოო ჯამში დემოგრაფიულ კრიზისამდე მიიყვანოს იაპონია. იაპონიის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მიმდინარე პრობლემის გამწვავება შესაძლოა შრომითი მიგრანტების ჩართულობით იყოს თავიდან აცილებული. პრემიერ მინისტრმა, შინზო აბემ პარლამენტის მხარდაჭერით 2018 წელს მიიღო ახალი საემიგრაციო კანონი, რის საფუძველზეც იაპონიაში დამკვიდრდა სამუშაო ვიზის რამდენიმე კატეგორია, რაზედაც დიდ იმედებს ამყარებენ იაპონიის მთავრობის წარმომადგენლები: მუშახელის მწვავე დეფიციტის აღმოფხვრას, დემოგრაფიული პრობლემების გადაწყვეტას და ა.შ.

დასკვნა

საბოლოო ჯამში, ყველა ქვეყნის ხელისუფლება თანხმდება, რომ ემიგრაცია აუცილებელია. საჭიროა სწორად გავმიჯნოთ მისი დადებითი და უარყოფითი გავლენები, ჩვენი ქვეყნისა და ხალხის სასიკეთოდ გამოვიყენოთ სხვა, უფრო განვითარებული ქვეყნების მიერ გატარებული რეფორმები და დანერგილი პრაქტიკა ემიგრაციასთან დაკავშირებით.

ლიტერატურა:

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. (უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა 2020 წ.)
2. სალომე სილაგაძე: ინტელექტუალური მიგრაციის თანამედროვე ტენდეციები 2020 წ.
3. ზუბიაშვილი თ. 1999 წ. თანამედროვე საერთაშორისო მიგრაცია. თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
4. ზუბიაშვილი თ. 2017 წ. გლობალიზაცია და მიგრაციული პროცესები.
5. World migration report 2018 //
6. https://publications.iom.int/system/files/pdf/wmr_2018_en.pdf
7. Summit on Refugees and Migrants Begins as IOM Joins the United Nations // https://www.iom.int/news/summit-refugees-and-migrants-begins-iom-joins-united-nations
8. The 2006 High-level Dialogue on International Migration and Development //
9. http://www.un.org/esa/population/migration/hld/.
10. Глобальный форум по миграции и развитию
11. http://www.un.org/ru/development/migration/forum.shtml.

Migration processes in the world and in Georgia

Baratashvili Ana
Doctoral student of Georgian Technical University

Iashvili Genadi
Professor at Georgian Technical University

Summary

Migration is an already existing part of human existence. The main driving force of migration is the prospects of a successful life. Even in prehistoric times, the reason people moved was for life, for hunting, for allowing crops, and so on. Finding more favorable areas and their purpose.

Unfortunately, there is also a history of migration. Similar: natural disaster, civil and war between countries. Frequent cases of leaving the homeland are cited as the cause of political persecution. According to world statistics, asylum for other countries, they differ in that people write, are to leave their homeland for a non-traditional orientation. They are only because they are in fear of physical destruction. After reviewing and confirming the above results, asylum seekers are granted legal status - refugees. People with refugee status, will be citizens of countries where stories, what rights will be more protected.

The number of people who have emigrated in recent decades has been steadily increasing, for many reasons. Among them: the simplification of access to the Internet, the introduction of visa-free travel regimes and the community between nations, for these reasons it's a small technology, making it easier to make the decision to emigrate. The primary reason for emigrating is to get well-being in Georgia, as well as around the world.

Keywords: Emigration, Economy, Strategy, World, International Relations, Refugee. Population.

სამეცნიერო აზროვნების შვიდი ნახტომი ადამიანური რესურსების მართვის სფეროში

ბაღათურია გიორგი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ბაღათურია ოთარ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ყაჭიაშვილი გვანცა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია სამეცნიერო აზროვნების ძირითადი ეტაპები ადამიანური რესურსების მართვის სფეროში, რომლებიც განსაზღვრულია როგორც შვიდი ნახტომი. ნაჩენების, რომ ადამიანური რესურსების სამეცნიერო და პრაქტიკული მართვის დასაწყისი უკავშირდება ინდუსტრიულ რევოლუცია, როდესაც საჭირო გახდა მენეჯერის სპეციალური პროფესია. მენჯემენტის თეორია შემდეგ თანდათან განვითარდა და ნათელი გახდა, რომ პერსონალი წარმოადგენს ნებისმიერი ორგანიზაციის მთავარ რესურსს. ადამიანური რესურსების მართვის თანამედროვე მიღწევა უკავშირდება სტრატეგიული დაგეგმვისა და მენეჯმენტის პრინციპების გამოყენებას ადამიანური რესურსების მართვის მიზნით. ავტორთა მიერ ორგანიზაციის მთავარი მიზანი ჩამოყალიბებულია ე.წ. მენეჯმენტის ტრიადის სახით, რაც მთავარ მიზნებად მოგების მიღებისა და კლიენტის შექმნასთან ერთად გულისხმობს პერსონალის შექმნასაც.

საკვანძო სიტყვები: ადამიანური რესურსების მართვა; მენეჯმენტის თეორია; შვიდი ნახტომი; მენეჯმენტის ტრიადა; პერსონალის შექმნა.

შესავალი

დღეს უკვე საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ადამიანური რესურსები ნებისმიერი ორგანიზაციის უმთავრეს კაპიტალს წარმოადგენს. მაგრამ, ასეთი აზროვნება საკმაოდ ხანგრძლივ და, შეიძლება ითქვას, მტკივნეული პროცესების შედეეგად ჩამოყალიბდა. ადამიანთა შრომა უხსოვარი დროიდან გამოიყენებოდა და დიდი ხნის განმავლობაში მათ, განსაკუთრებით მონებს, ხოლო ზოგან ყმებსაც კი, ადამიანებადაც არ თვლიდნენ. კაცობრიობის ეკონომიკურ-პოლიტიკური და სოციალური განვითარების კვალობაზე იცვლებოდა დამოკიდებლება ადამიანების მიმართ. მაგრამ შრომის ორგანიზაცია დიდი ხნის განმავლობაში უყურადღებოდ რჩებოდა, შესაბამისად არავითარი ყურადღება არ ექცეოდა ადამიანთა შრომის პირობებს. უკეთეს შემთხვევაში მშრომელებს მხოლოდ შრომის იარაღად თვლიდნენ. ადამიანური რესურსების მართვის (არმ) აუცილებლობა წარმოიქმნა პირველი ორგანიზაციის ჩამოყალიბებასთან ერთად. სახელმწიფო-ებრივი და ეკონომიკური მდგომარეობის განვითარებისა და ცვლილებასთან ერთად შეიცვალა ადამიანური რესურსების მართვის ფორმები და მეთოდები. ადამიანური რესურსების საჭიროებისადმი მეცნიერული მიდგონა მე-19 საუკუნეში დაიწყო, როდესაც ინდუსტრიულმა რევოლუციამ შრომითი რესურსებისადმი სრულიად ახლებური დამოკიდებულება მოითხოვა. მას შემდეგ არმ-ის თეორიული და პრაქტიკულმა განვითარებამ, ჩვენი აზრით, შვიდი გარდამტეხი ეტაპი განვლო, რომლებსაც შეიძლება „შვიდი ნახტომი“ ვუწოდოთ.

ძირითადი ნაწილი

არმ-ის თეორიის დასაწყისი

ფაქტობრივად პირველი ნახტომი არმ-ის სფეროში უკავშირდება ინდუსტრიულ

რევოლუციას და მენეჯმენტის თეორიის წარმოქმნას, რომლის ძირითად შინაარსს, უპირველეს ყოვლისა, არმ-ის მეთოდოლოგია და პრაქტიკა წარმოადგენდა. ამ დროს წარმოიქმნა შესაბამისი სამეცნიერო მიმართულებებიც სახელწოდებით "ადამიანური რესურსების ან პერსონალის მართვა", "პერსონალის მენეჯმენტი", რაც ძირითადად ჩამოყალიბდა მენეჯმენტის ზოგადი თეორიის, ფსიქოლოგიის, გამოყენებითი სოციოლოგიის, ეთიკის, საწარმოების ეკონომიკისა და მეწარმეობის, სახელმწიფო მართვის პოლიტიკის, შრომის ეკონომიკისა და სამართლის, შრომითი ურთიერთობების კვეთაზე.

ერთ-ერთი პირველი, ვინც ხაზი გაუსვა მენეჯმენტის პროცესის ჰუმანიზაციის მნიშვნელობას, იყო ინგლისელი ფილოსოფოსი რობერტ ოუენი (Robert Owen 1771-1858), მე-19 საუკუნის გამოჩენილი სოციალური რეფორმატორი. რომელმაც განაცხადა, რომ „მუშები - ცოცხალი მანქანებია“ და მათ ისეთივე მნიშვნელობა აქვთ საწარმოებისთვის, როგორც „არაცოცხალ მანქანებს“ და ასევე ესაჭიროებათ მოვლა. შემდეგი მნიშვნელოვანი მიღწევა არმ-ის სფეროში გახლდათ გერმანული წარმოშობის ამერიკელი ფსიქოლოგის ჰუგო მიუნსტერბერგის (Hugo Münsterberg, 1863-1916) ნაშრომები „ფსიქოლოგია და ინდუსტრიული ეფექტიანობა“ და „ბიზნესის ფსიქოლოგია“, სადაც მან გააანალიზა ბიზნესის სამი ყველაზე აქტუალური, მისი აზრით, საკითხი: 1) როგორ მოვძებნოთ ადამიანები, რომელთა ინტელექტუალური თვისებები მათ ყველაზე შესაფერისს ხდის სამუშაოსთვის (სამეცნიერო დაქირავება);

•2) რა ფსიქოლოგიურ პირობებში შეგიძლიათ მიიღოთ საუკეთესო შედეგი თითოეული თანამშრომლისგან; 3) როგორ მოვახდინოთ გავლენა თანამშრომლებზე ბიზნესის შესრულების თვალსაზრისით. მან წარმოადგინა ტერმინი "ფსიქოტექნიკა" (1950-იან წლებში შეიცვალა. „გამოყენებითი ფსიქოლოგიის“ კონცეფციით) და შეიმუშავა ტესტები სხვადასხვა სამუშაოს შესრულების უნარის დასადგენად, რომლებიც დღესაც აქტუალურია

სამეცნიერო მენეჯმენტი

არმ-ის განვითარების მეორე ნახტომი უკავშირდება „სამეცნიერო მენეჯმენტის“ პიონერის, ამერიკელი ინჟინრის ფრედერიკ ტეილორის (Frederick Taylor, 1856-1915) სახელს, რომელმაც ნამდვილი რევოლუცია მოახდინა შრომისა და წარმოების ორგანიზაციაში თავისი წიგნის „მეცნიერული მენეჯმენტის პრინციპების“ გამოცემით. ფ.ტეილორი მენეჯმენტს თვლიდა ზუსტ მეცნიერებად, რომელიც დაფუძნებულია ზუსტი ნიშნების, წესებისა და პრინციპების საფუძველზე. ფ.ტეილორის მიერ შემოთავაზებული სისტემა ითვალისწინებდა მენეჯერული და აღმასრულებელი ფუნქციების მკაცრ გამიჯვნას. მან აღმოაჩინა, რომ ორგანიზაცია სარგებელს მიიღებს, თუ თანამშრომელთა თითოეული ჯგუფი ყურადღებას გაამახვილებს იმაზე, რასაც აკეთებს საუკეთესოდ. ფ.ტეილორის სისტემაში მენეჯმენტის თეორიული და მეთოდოლოგიური დებულებების მთავარი ობიექტი არის წარმოების პერსონალი, მუშები. ფ.ტეილორი მენეჯერის ყველაზე მნიშვნელოვან ამოცანად თვლიდა მოგების მიღებას იმ მუშაკების შრომის უმაღლესი ინტენსივობით, რომლებიც უშუალოდ ექვემდებარებოდნენ ამ მენეჯერს. სწორედ მენეჯერს დაეკისრა მთელი პასუხისმგებლობა მინდობილ საწარმოში შრომის ორგანიზებაზე. პერსონალის მართვის ტეილორისეულ მეთოდებში განსაკუთრებული ყურადღება სხვა საკითხებთან ერთად ეხებოდა დასაქმებულთა შერჩევასა და გადამზადებას, მუშაკთა ეკონომიკური წახალისებას და სხვ.

ფ.ტეილორის შრომის ორგანიზების მეთოდები შემდგომ განვითარდა მისი სტუდენტებისა და მიმდევრების ნაშრომებში, რომლებშიც კიდევ უფრო გამოიკვეთა პერსონალის უაღრესად მნიშვნელოვან როლი წარმოების პროცესის რაციონალიზაციაში, კვლავ აღინიშნებოდა ეკონომიკური წახალისების მკვეთრი უპირატესობა ყველა სხვა სახის წახალისებაზე; ამასთან უპირატესობა ენიჭებოდა არმ-ის ავტორიტარულ სტილს.

ადმინისტრაციული მენეჯმენტი

მენეჯმენტის შემდეგი განვითარება, შეიძლება ითქვას მესამე ნახტომი, რომელმაც განსაზღვრა ადამიანური რესურსების მართვის ახალი პრინციპები, უკავშირდება ამერიკელი ინჟინრისა და ბიზნესის თეორეტიკოსის ჰარინგტონ ემერსონის (Harrington Emerson, 1853-193) „ეფექტიანობის 12 პრინციპს“ და, უფრო მეტად, ფრანგი სამთო ინჟინრის ანრი ფაიოლის (Henri Fayol, 1841-1925) მიერ ჩამოყალიბებულ ადმინისტრაციული მენეჯმენტის კონცეფციას. ამ შემთხვევაში ორგანიზაცია განიხილება როგორც დახურული სისტემა, რომლის ფუნქციონირების გაუმჯობესება უზრუნვე-ლყოფილია საქმიანობის შიდა რაციონალიზაციის გზით გარე გარემოს გავლენის გათვალისწინების გარეშე. ფაიოლის ადმინისტრაციული საქმიანობის მენეჯმენტის 14 პრინციპი, მიუხედავად ზოგიერთი დებულების ერთგვარი მოძველებული ხასიათისა, მაინც დღესაც წარმატებით გამოიყენება ორგანიზაციათა ეფექტიანობის დონის დასადგენად. ადამიანური რესურსების მართვის ძირითადი მახასიათებლები ა.ფაიოლის ფუნქციონალური მიდგომის მეთოდოლოგიაში შედგება პერსონალის დიფერენციაციაში, შრომის შინაარსის მახასიათებლების განსაზღვრაში მისი თითოეული სტრუქტურული კატეგორიისთვის.

ბიუროკრატიული მენეჯმენტი

საჯარო მმართველობაში არმ-ის მეთოდების შემუშავებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა გერმანელი სოციოლოგის მაქს ვებერის (Max Weber, 1884-1920) შრომებმა და მის მიერ წარმოდგენილმა ბიუროკრატიული მენეჯმენტის კონცეფციამ, რომელსაც შეიძლება არმ-ის განვითარების მეოთხე ნახტომი ვუწოდოთ. ბიუროკრატიული მენეჯმენტი გულისხმობს პერსონალის პასუხისმგებლობის მკაფიოდ გასაზღვრას, ოფიციალური ურთიერთობების, უფლებებისა და მოვალეობების იერარქიის გარკვევას, მართვის პროცედურების ერთგვაროვნებასა და ობიექტურობა, ვაკანსიების შერჩევას პროფესიული და მორალური მოთხოვნების შესაბამისად და პერსონალის პერიოდულ სერტიფიცირებას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული მოთხოვნების შესრულება მოითხოვს გარკვეულ, შესაძლოა გადაჭარბებულ სიმკაცრეს, რაც, რიგ შემთხვხვებში მიუღებელია სახელმწიფო მართვის დღევანდელ პირობებში, სადაც წინა პლანზე ლიბერალიზმი და ადამიანთა უფლებების დაცვა.

ადამიანთა ურთიერთობების თეორია და მოტივაცია

შემდგომი, მეხუთე ნახტომი უკავშირდება ადამიანთა ურთიერთობების თეორიის (ეკონომიკური ფსიქოლოგიის) ჩამოყალიბებას. წამყვანი სამრეწველო კომპანიების გამოცდილებამ შესაძლებელი გახადა იმის გაგება, რომ წარმოების ტექნიკური ქვესისტემის პოტენციალის რეალიზება დიდწილად განისაზღვრება მომსახურე პერსონალის კვალიფიკაციით, მათი ინტერესით, ორგანიზაციის მართვის სტილით და ფსიქოლოგიური კლიმატით ორგანიზაციაში. ადამიანური ურთიერთობები ვითარდება ეკონომიკური საქმიანობის პროცესში, ამდენად ეკონომიკური ფსიქოლოგიის დანიშნულებაა გააანალიზოს ეკონომიკური გარემოს გავლენა ადამიანის ქცევასა და კეთილდღეობაზე. ეს ანალიზი ტარდება სხვადასხვა დონეზე - საყოფაცხოვრებო და ინდივიდუალურად დამთავრებული მთელი ერების მაკრო დონეზე. ბოლო ათწლეულში ამ სამეცნიერო დისციპლინამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო სამეწარმეო საქმიანობის ფსიქოლოგიას. ამ ფენომენში გაერთიანდა ეკონომიკა და ფსიქოლოგია. ამერიკელი ფსიქოლოგისა და სოციოლოგის ელტონ მეიოს (Elton Mayo, 1880—1949) მიერ ჩატარებული ჰოთორნის ექსპერიმენტით გაირკვა, რომ თანამშრომელი არ არის მხოლოდ „ხელფასზე რეაგირების მექანიზმი“, არამედ - გუნდის წევრი. ეფექტიანი მენეჯმენტისთვის მეიოს დასკვნით საჭიროა „პერსონალთან ნებაყოფლობითი თანამშრომლობის“ ორგანიზება, ადამიანური რესურსების მართვა მოქნილი მეთოდებით და ტრადიციული მკაცრი მეთოდის დავიწყება.

დაიწყო პერსონალის წარმოების პროცესში მონაწილე პირად აღქმა, რამაც გამოიწვია მორალური სტიმულირების მეთოდების ფართო გამოყენება, მნიშვნელოვანი ძალისხმევა და თანხები მიმართული იქნა მუშაკებისთვის ოპტიმალური სამუშაო და საცხოვრებელი პირობების შესაქმნელად, განვითარდა ერგონომიკა, ინდუსტრიული ფსიქოლოგია და სოციოლოგია. მენეჯმენტმა შეიძინა ახალი - სოციალურ-ფსიქოლოგიური ორიენტაცია, რასაც მოჰყვა მოტივაციის სხვადასხვა მეთოდების განვითარებს. აქ კულმინაციური აღმოჩნდა ამერიკელი ფსიქოლოგის აბრაჰამ მასლოუს (Abraham Maslow, 1908 –1970) მოტივაციის პირამიდა.

აბრაჰამ მასლოუ ვარაუდობდა, რომ ადამიანებს გააჩნიათ მოთხოვნილებათა იერარქია მთელი დიაპაზონით – დაბლიდან (მაგ. უსაფრთხოება) მაღალი რანგის მოთხოვნილებებამდე (თვითაქტუალიზაცია). თვითაქტუალიზაცია მასლოუს მიერ შემოტანილი ტერმინია, რითაც იგი პიროვნების სრულ თვითრეალიზაციას, მისი პოტენციალის სრულ რეალიზებას აღნიშნავდა. სანამ მოთხოვნილებათა შემდეგ საფეხურზე გადავიდოდეთ, უნდა დაკმაყოფილდეს უფრო დაბალი რანგის მოთხოვნილებები.

მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქიით ჩანს, რომ ადამიანი ცდილობს, პირველ რიგში, დაიკმაყოფილოს უფრო დაბალი დონის მოთხოვნილებები. ბუნებრივია, როცა ადამიანს შია, ის ჯერ საჭმელზე ზრუნავს და მხოლოდ ამის შემდეგ ფიქრობს თავშესაფარზე. ამასთან შესაძლებელია კონკრეტულ სიტუაციაში უმაღლესი დონის მოთხოვნილებებიდან ადამიანი სწრაფად დაეშვას უფრო დაბალი დონის მოთხოვნილებებისაკენ, რომელთაც შეიძლება ჰქონდეთ მკაფიოდ გამოხატული ხასიათი. იმისთვის, რომ მოთხოვნილებათა იერარქიის უფრო მაღალმა დონემ დაიწყოს გავლენის მოხდენა ადამიანის ქცევაზე, არ არის აუცილებელი უფრო დაბალი დონის მოთხოვნილებების მთლიანად დაკმაყოფილება. მაგალითად, ზოგჯერ ადამიანები იმაზე ადრე იწყებენ თავიანთი ადგილის მოძებნას საზოგადოებაში, ვიდრე დაკმაყოფილდება უსაფრთხოების მოთხოვნილებები ან კიდევ, მთლიანად დაკმაყოფილდება მათი ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები.

მასლოუს თეორია ნაკლოვანება ის არის (და ამის გამო ის სერიოზულად გააკრიტიკეს კიდეც), რომ ადამიანები აშკარად ყოველთვის ისე არ იქცევიან, როგორც ეს თეორიის მიხედვით არის მოსალოდნელი. ადამიანების უმრავლესობა ხშირად ბრუნდება უკან, დაბალი რანგის მოთხოვნილებებისაკენ და ერთდროულად შეიძლება მოტივირებული იყოს სხვადასხვა საფეხურის მოთხოვნილებებით. ზოგიერთი ადამიანი შეიძლება უარსაც ამბობდეს უსაფრთხოებაზე, მეგობრობაზე, განათლებისათვის და უფრო მეტი თვითაქტუალიზაციისათვის ზრუნავდეს. შემდეგ, მრავალი მეცნიერის შრომაში კიდევ უფრო დაიხვეწა მოტივაციის თეორია, რასაც, ძირითადად თეორიული მიშვნელობა აქვს და არა პრაქტიკული.

ხელმძღვანელობის სტილი და ლიდერობა

რაც შეეხება მოტივაციის ფაქტორების განხორციელებას, აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელმძღვანელობის სტილს. ადამიანური რესურსების მენეჯმენტის, როგორც მეცნიერების განვითარებისთვის მნიშვნელოვანი იყო დუგლას მაკგრეგორის (Douglas McGregor, 1906 – 1964) „X-Y“თეორია, რაც არმ-ის განვითარების მეექვსე ნახტომს წარმოადგენს.

დუგლას მაკგრეგორი გახლდათ ერთ-ერთი პირველი მკვლევარი, ვინც ადამიანის ბუნებაზე გაამახვილა ყურადღება. მისი მტკიცებით მიხედვით, მნიშვნელოვანი ცვლილებების მიუხედავად, მენეჯერების უმრავლესობა ვერ გაცდა ტრადიციულ „საზღვრებს“ და მათი მხრიდან მართვის ძირითად პრინციპებად მოიაზრება მკაცრი კონტროლი, იძულება და დასჯა/მუქარა. ამას მაკგრეგორმა პირობითად თეორია X უწოდა. მისი განსაზღვრის პარალელურად მაკგრეგორმა წამოაყენა თეორია Y, როგორც

ინდივიდუალური და გუნდური ინტერესების ერთიანობა

მმართველობითი აზროვნების ევოლუციაში გარდამტეხი ფიგურაა პიტერ დრუკერი (Peter Drucker, 1909-2005). იგი თამამად შეიძლება დასახელდეს მეოცე საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვან თეორეტიკოსად, რომელმაც შექმნა და უმაღლეს საფეხურზე აიყვანა მენეჯმენტი, როგორც საქმიანობის სფერო. ფაქტობრივად დრუკერმა მენეჯმენტის ფილოსოფია შექმნა. დრუკერმა მოახდინა მენეჯერის ფუნქციის სისტემატიზება და პირველმა განაცხადა, რომ საწარმოს ყველაზე უფრო ძვირფასი რესურსი არის მენეჯერი - ბიზნესის ელიტა, რომელიც განსაკუთრებულ როლს ასრულებს საწარმოს საქმიანობაში. სწორედ დრუკერმა მოახდინა მენეჯერის ფუნქციების სისტემატიზაცია და პირველმა წამოწია იგი, როგორც საწარმოს უძვირფასესი რესურსი. დრუკერისეული განმარტებები, მიდგომები, ხედვები - ეს გახლავთ თანამედროვე მენეჯმენტის თეორიული საფუძვლები. მისივე თქმით, „ფუნდამენტი, რომელსაც ემყარება თანამედროვე საზოგადოება, ეკონომიკა, ანდა თუნდაც ადამიანური ურთიერთობები, სულაც არ გახლავთ ტექნოლოგიები თუ ინფორმაცია ცალკე აღებული. არც მწარმოებლურობაა. ეს ფუნდამენტი ცალსახად არის მართვადი ორგანიზაცია, როგორც წარმონაქმნი, რომლის მიზანსაც შედეგის მიღწევა წარმოადგენს. ხოლო მენეჯერი - ეს სპეციალური ინსტრუმენტია, განსაკუთრებული აპარატია, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზაციის მიერ სათანადო შედეგების მიღწევას“. დღესაც გრძელდება მრავალი კვლევა ხელმძღვანელობისა და ლიდერობის შესახებ, რომლებშიც მოცემულია სპეციფიკური მიგნებები ლიდერობის გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციებში.

ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა

დაბოლოს, მეშვიდე ნახტომად უნდა ჩაითვალოს ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა, რაც გულისხმობს სტრატეგიული დაგეგმვისა და მენეჯმენტის პრინციპების გამოყენებას არმ-ში. ეს არის პირველ რიგში ადამიანური რესურსების საქმიანობის ხედვის, მისიისა და მიზ-ნების ჩამოყალიბება, მაკრო და მიკრო-გარემოს ანალიზი და სათანადო სტრატეგიების შემუშავება, უწყვეტი მონიტორინგისა და უკუკავშირის განხორციელება. ამასთან, თუ ბუნებრივად ითვლება, რომ კომერციული კომპანიის ბუნებრივ მთავარ მიზანს მოგების მიღება წარმოადგენს (მოგების გარეშე კომერციული კომპანია ვერ იარსებებს), თანამედროვე, სტრატეგული მიდგომით, მთავარ მიზანთა შორის აუცილებლად გასათვალისწინებელია მომხმარებლის/კლიენტის შექმნა (დრუკერი). ცხადია, მომხმარებლის შექმნა ნიშნავს ახალი სერვისებისა და პროდუქტის შქმნას, რამაც უნდა მოიზიდოს მომხმარებელი და განაპირობოს კომპანიის მოგება.

ამასთან, ჩვენი აზრით, მეშვიდე ნახტომის მთავარი მახასიათებელი უნდა გახდეს ორგანიზაციის მიზნების ახლებური ჩამოყალიბება - კომპანიის, ორგანიზაციის მთავარი მიზნები უნდა ჩამოყალიბდეს მენეჯმენტის ტრიადის სახით: 1) მოგება, 2) მომხმარებლის (კლიენტის) შექმნა და 3) პერსონალის შექმნა. ეს უკანასკნელი გულისხმობს პერსონალისთვის, როგორც ორგანიზაციის მთავარი რესურსისთვის, საქმიანობის და მოტივაციის იდეალურთან მიახლოებული პირობების შექმნას, მისთვის ბედნიერების შეგრძნების უზრუნველყოფას. ვინაიდან, ადამიანი ბედნიერია მხოლოდ მაშინ, როდესაც ის სიხარულით მიდიის სამსახურში და სიხარულით ბრუნდება შინ.

დასკვნა

ამრიგად ნაშრომში ჩამოყალიბებულია არმ-ის თეორიისა და პრაქტიკის ევოლუციური განვითარების ახალი ხედვა. ჩვენი შეხედულებით არმ-ში იკვეთება შვიდი მნიშვნელოვანი ნახტომი, რაც განაპირობებს მართვის თანამედროვე თეორიის ეფექტიანობას. მიუხედავად იმისა, რომ არმ-ის თეორიისა და პრაქტიკის განვითარებამ მრავალი ახალი და ეფექტიანი მეთოდები

ჩამოაყალიბა, მაინც, როგორც ვხედავთ პერსონალის მართვის „ძველი“ მოთხოვნები საქართველოშიც დღესაც ფრიად აქტუალურია. თანამედროვე მენეჯერები ჯერ კიდევ ვერ გაცდნენ მმართველობის ხისტ და ავტორიტარულ სტილს, რომ აღარაფერი ვთქვათ მეშვიდე ნახტომზე , რომელიც ორგანიზაციის წარმატებული საქმიანობის ფუნდამენტად მენეჯმენტის ტრიადას გულისხმობს, მათ შორის პერსონალის შექმნას, ანუ პერსონალისადმი დამოკიდებულებას როგორც ორგანიზაციის წარმატების ერთ-ერთი მთავარი ფუნდამენტისადმი.

ლიტერატურა:

1. ბაღათურია გ. ბაღათურია ო. სტრატეგიული დაგეგმვა სახელმწიფო მართვისა და ბიზნესის ამოცანებში. პირველი გამოცემა, `ოცდამეერთე~, 2009;მეორე გამოცემა “ევროპის უნივერსიტეტი”, 2015
2. გურგენიძე ვ., ავტორთა კოლექტივი. პერსონალის მართვა. თბილისი, 2003
3. ვებერი მ. „სოციალური კონცეფცია,
4. Maslow A.. Motivation And Personality 1954
5. Drucker P. Managing in the Next Society, 2002.
6. Drucker P.. The Effective Executive in Action, 2005.
7. Theory X And Theory Y 1960 Douglas Mcgregor. Theory X and Theory Y. Understanding People's Motivations by The Mind Tools Content Team
8. Mescon M.,, M. Albert, F. Khedouri. “The Basis of Management”,1994.

The Seven Jumps of Scientific Thinking in Human Resource Management

Baghaturia Giorgi
Professor at Georgian Technical University

Baghaturia Otar
Associate Professor at Georgian Technical University

Kachiashvili Gvantsa
PhD student at Georgian Technical University

Summary

The paper discusses the main stages of scientific thinking in the field of human resource management, which are defined as the seven jumps. It has been shown that the beginning of scientific and practical management of human resources is linked to the Industrial Revolution, when the special profession of manager became necessary. Management theory then gradually evolved and it became clear that staff is the main resource of any organization. The modern achievement of human resource management is related to the application of strategic planning and management principles in the management of human resources. The main goal of the organization is set by the authors in the form of a management triad, the main goals of which, in addition to making a profit and client creation, also include peresonnel creation.

Keywords: Human Resource Management; Management Theory; The Seven Jumps; Management Triad; Personnel Creation.

სპორტის სახელმწიფო მართვის სისტემების ანალიზი საზღვარგარეთის ქვეყნებში

ბზიკაძე მაგდანა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

სპორტი ეფექტური და მოქნილი საშუალებაა იმისთვის, რომ ხელი შეუწყოს ადამიანის ჯანმრთელობის განმტკიცებას, სამოქალაქო ინტეგრაციას მშვიდობასა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა ასპექტების განვითარებას. დღეს, მსოფლიოს მასშტაბით სხვადასხვა კონტინენტზე მრავალი სახელმწიფო პირდაპირი ან არაპირდაპირი ფორმით აფინანსებს სპორტს. ამას განაპირობებს ის სარგებელი, რაც მოყვება სპორტის გამოყენებას. მათ შორისაა: საზოგადოებრივი ჯანმრთელობის განმტკიცება, სოციალური ერთიანობა, ქვეყნის ეკონომიკის განვითარება და სხვა.

წინამდებარე სტატია მომზადდა სპორტის მართვის პრაქტიკის შესწავლის საფუძველზე საერთაშორისო დონეზე. მისი მიზანია, ხელი შეუწყოს და დაეხმაროს საჯარო ხელისუფლებას, სპორტულ ორგანიზაციებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს, გააუმჯობესონ ქართული სპორტის მართვის ხარისხი.

საკვანძო სიტყვები: სპორტის მართვის სისტემები, კარგი მმართველობა, მართვის კონფიგურაცია, რეგულაციები, პოლიტიკა.

შესავალი

სპორტის მართვის საკითხში სახელმწიფოები აქტიურად თანამშრომლობენ სპორტულ ორგანიზაციებთან, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ძირითადი მიმღები სუბიექტები არიან. სახელმწიფო ვალდებულია, სპორტის მართვისას მიზნობრივად და ეფექტიანად დახარჯოს საჯარო ფინანსური რესურსი. ასევე სპორტის სოციალურ-ეკონომიკური ფუნქციის გათვალისწინებით, ვალდებულია სათანადო რეაგირება მოახდინოს სპორტის წინაშე მდგარ გამოწვევებზე, როგორიცაა: დოპინგი, ძალადობა, მანიპულაციები, დისკრიმინაცია, კორუფცია და სხვა არაეთიკური ქცევა სპორტში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფოებმა უნდა უზუნველყონ, რომ სპორტული ორგანიზაციების საქმიანობა კარგი მმართველობის პრონციპებზე იყოს დაფუძნებული.

ძირითადი ნაწილი

სპორტის სახელმწიფო მართვა

სპორტი და სპორტთან დაკავშირებული სხვა ნებისმიერი საქმიანობა ქმნის სისტემას, რომლიც სახელმწიფოს ერთიანი სოციალური სისტემის ნაწილია. სპორტი არ არის თავისთავში ჩაკეტილი სამყარო და არც უმნიშვნელო, ავტონომიური ელემენტებისგან შემდგარი ფრაგმენტული ჯგუფი (VOCASPORT Research Group, 2004). თითოეული ქვეყნის სპორტის სისტემა ინდივიდუალურია, თუმცა ამ სისტემების საერთო მახასიათებლების მიხედვით დაჯგუფება შესაძლებელია, მართვის რამდენიმე ძირითადი პარამეტრის გათვალისწინებით. სპორტის სისტემის მართვის დახასიათებისას, მკვლევრები ხშირად იყენებენ ევროკავშირის დაფინან-სებული პროექტის „VOCASPORT" ფარგლებში განსაზღვრულ პარამეტრებს, კერძოდ:

- **სპორტის რეგულირების პროცესში საჯარო ხელისუფლების (სახელმწიფოს) როლი და მისი წარმომადგენლობა**. ეს პარამეტრი ითვალისწინებს ქვეყანაში სპორტის როლის განსაზღვრასა და ეროვნული სპორტული სტრუქტურის მოწყობაში სახელ-მწიფო ინტერვენციის მასშტაბს. რაც გულისხომობს, სახელმწიფოს მონაწილეობას სპორტული საქმიანობის დაფინანსების სტანდარ-

ტების/წინაპირობების განსაზღვრისა და განხორციელების ზედამხედველობის პროცესში.

➢ **ეროვნულ სისტემაში მონაწილე სუბიექტების კოორდინაციის ფორმა და დონე.** ზოგიერთი სისტემა გამოირჩევა ძალიან თავისუფალი სტრუქტურით, სადაც თითოეულ ჩართულ მხარეს სრული ავტონომია აქვს, ორგანიზებული კოორდინაციის გარეშე. კოორდინაციის საკითხი შეიძლება დამოკიდებული იყოს: სპორტზე პასუხისმგებელ საჯარო უწყებაზე, არსებულ ფორმალურ კანონებსა და სხვა რეგულაციებზე.

➢ **სისტემის სამი ძირითადი სუბიექტის როლი.** ეს პარამეტრი ითვალისწინებს სისტემაში მოქმედი სამი ძირითადი სუბიექტის - საჯარო ხელისუფლების, არასამთავრობო და კომერციული ორგანიზაციების როლს.

➢ **სისტემის ადაპტაციის უნარი ცვლილებების მიმართ.** მხედველობაში მიიღება სისტემაში არსებული მექანიზმები, რომელთა მეშვეობით/გამოყენებით სისტემა ცვლილებებსა და ახალ მოთხოვნებზე სწრაფ და ეფექტიან რეაგირებას შეძლებს.

ზემოხსენებული პარამეტრების გათვალისწინებით, სპორტის მართვის სისტემები იყოფა ოთხ კატეგორიად (VOCASPORT Research Group, 2004):

1. ბიუროკრატიული კონფიგურაცია (bureaucratic configuration) ხასიათდება სახელმწიფოს ძალიან აქტიური როლით, რომელსაც ის დარგის რეგულირების პროცესში ასრულებს. ამ კონფიგურაციისთვის დამახასიათებელია სპორტისთვის სპეციფიკური საკანონმდებლო ბაზის არსებობა (მაგ.: კანონი სპორტის შესახებ). ამ სისტემაში სპორტული ორგანიზაციები (ფედერაციები, ასოციაციები და სხვა) მოქმედებენ მათზე დელეგირებული უფლებამოსილებით, ხოლო სპორტში ჩართულ პირებს და მომხმარებლებს, ასევე კერძო მეწარმეებს სპორტის პოლიტიკის განხორციელებაზე ძალიან დაბალი გავლენა აქვთ.

ბელგია (ფლამანდიის რეგიონი)[1]. ბელგია სპორტის მართვის თვალსაზრისით

ბიუროკრატიულ კონფიგურაციას განეკუთვნება, სადაც სახელმწიფო სპორტის პოლიტიკაში საკვანძო როლს ასრულებს. ბელგიაში სპორტის მართვა რეგიონული მთავრობების კომპეტენციაა. ფლამანდიის რეგიონული მთავრობის სპორტის პოლიტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელია სპორტის სააგენტო - „ფლამანდიის სპორტი“, რომელიც უზრუნველყოფს მთავრობის მიერ მიღებული დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების აღსრულებას. სააგენტოს ფუნქციები და კომპეტენცია განსაზღვრულია რეგიონული მთავრობის ბრძანებით ,,სპორტის შესახებ“. ამ რეგულაციის მიხედვით, „ფლამანდიის სპორტი“ უფლებამოსილია დაადგინოს, რომელი ფედერაცია აკმაყოფილებს აღიარებისა და დაფინანსების მოთხოვნებს მთავრობის მიერ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით.

კარგ მმართველობასთან დაკავშირებული პოლიტიკა და რეგულაციები. „ფლამანდიის სპორტის“ შესახებ ბრძანება, რომელიც ადგენს სპორტის სააგენტოს უფლებამოსილებას, განსაზღვროს ფედერაციების აღიარებისა და დაფინანსების კრიტერიუმები, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ორგანიზაციების მართვაზე. მთავრობის აღიარებისა და საჯარო დაფინანსების მოსაპოვებელ კრიტერიუმთა ნაწილი პირდაპირ უკავშირდება კარგი მმართველობის პრინციპებს. ამ პრინციპების დანერგვას სპორტულ ფედერაციებს „აიძულებს“ აგრეთვე ბელგიის კანონი ,,არასამთავრობო ასოციაციების შესახებ“, რომლის მიხედვით სპორტულ ორგანიზაციებს უნდა ჰქონდეთ არასამთავრობო ორგანიზაციის სტატუსი.

2. მისიონერული კონფიგურაცია (missionary configuration) არის სისტემა, სადაც დომინანტურია არაკომერციული სპორტული ორგანიზაციები (კლუბები, ფედერაც-იები, კავშირები და სხვა). სპორტულ მოძრაობას გადაწყვეტილების მიღების ფართო ავტონომია აქვს.

[1] ქვეყნის მიმოხილვა ეფუძნება შემდეგ მასალას Geeraert, A. (2018). Country Report: Flanders, Belgium. “National Good Governance Observer”, Play the Game (გვ. 102- 118).

საჯარო ხელისუფლების პასუხისმგებლობა, განსაზღვროს სპორტის პოლიტიკის მიმართულებები, დელეგირებულია სპორტულ ორგანიზაციებზე.

დანიის სამეფო[1]**.** დანიის სამეფოში მიიჩნევა, რომ მიუხედავად სახელმწიფოს მხრიდან მნიშვნელოვანი ფინანსური ხელშეწყობისა, სპორტის მართვა სამოქალაქო სექტორის პასუხისმგებლობაა. სპორტის სახელმწიფო დაფინანსება ეფუძნება ძირითად პრინციპს, რომლის მიხედვით, სახელმწიფო პასუხისმგებელია სპორტის დაფინანსების ჩარჩოს განსაზღვრაზე, ხოლო სპორტულ ორგანიზაციების შესაბამის ღონისძიებათა განხორციელება ევალებათ. აღსანიშნავია, რომ ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, დანიის ხელისუფლებამ არაერთი რეგულაცია და ინიციატივა აამოქმედა, რომელმაც სპორტის პოლიტიკის სფეროში საჯარო ხელისუფლების როლი მნიშვნელოვნად გაზარდა, უმთავრესად, დოპინგის, გარიგებული თამაშებისა და სპორტში სხვა არაეთიკური ქცევების მართვის კუთხით. სპორტის მართვის სისტემაში მთავარი საჯარო დაწესებულებაა კულტურის სამინისტრო. ეს უწყება პასუხისმგებელია სპორტში სახელმწიფო დაფინანსების განაწილებასა და მთლიანი ფინანსური ჩარჩოს მართვაზე.

3. კომერციული კონფიგურაცია (entrepreneurial configuration) ისეთი მოდელია, რომელშიც მართვა ეფუძნება საბაზრო პრინციპებს და გამომდინარეობს სპორტზე სოციალური ან ეკონომიკური მოთხოვნიდან. მოთხოვნა-მიწოდების საკითხს თავად ბაზარი არეგულირებს; სახელმწიფოების როლია ისეთი ჩარჩოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ამ ბაზრის დამოუკიდებელ ფუნქციონირებას.

დიდი ბრიტანეთი. დიდ ბრიტანეთში არსებულ სისტემაში სახელმწიფო მინიმალურადაა ჩართული სფეროს რეგულირების პროცესში. სპორტის მართვის პროცესში მთავარ სუბიექტებად არაკომერციული და კომერციული სპორტული ორგანიზაციები გვევლინებიან.

მართალია, დიდ ბრიტანეთში ცენტრალური ხელისუფლება არ არის სპორტის სისტემის მართვის მთავარი სუბიექტი, მაგრამ დარგის განვითარებაზე მაინც ის ახდენს გავლენას, სპორტისთვის დაფინანსების გამოყოფით. დიდ ბრიტანეთში ცენტრალურ დონეზე მოქმედებს კარგი მმართველობის კოდექსი, რომელიც ვრცელდება სახელმწიფო დაფინანსების მიმღებ ეროვნულ სპორტულ ორგანიზაციებზე. ამასთან, ზოგიერთი მუნიციპალიტეტის ხელისუფლებას შემუშავებული აქვს კარგი მმართველობის დებულებები, რომელთა შესრულება სავალდებულოა მუნიციპალური დაფინანსების მიმღები ადგილობრივი სპორტული ორგანიზაციებისთვის.

4. სოციალური კონფიგურაცია (social configuration) არის მრავალმხრივი მმართველობითი მოდელი, სადაც სისტემის მართვისას გადამწყვეტი როლი არ აქვს ერთ რომელიმე მხარეს. ამ პროცესს უძღვებიან საჯარო ხელისუფლება, სპორტული და კომერციული ორგანიზაციები თანამშრომლობის/კოჰაბიტაციის გზით.

ნიდერლანდები. ნიდერლანდებში სპორტის მართვის სისტემის ძირითადი მოთამაშე სუბიექტებია - საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, კეთილდღეობისა და სპორტის სამინისტრო, მუნიციპალიტეტების ხელისუფლების ორგანოები, „ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის და ეროვნული სპორტული ორგანიზაციების გაერთიანება“ (NOC*NSF), ქოლგა ასოციაციები, ეროვნული სპორტული ფედერაციები, ასევე ადგილობრივი არაკომერციული სპორტული კლუბები. ნიდერლანდებში რეგისტრი-რებულია და მოქმედებს დაახლოებით 24 ათასი არაკომერციული ადგილობრივი (მუნიციპალურ დონეზე) სპორტული კლუბი. როგორც წესი, სპორტში მოსახლეობა ერთვება და სხვადასხვა სპორტული ღონისძიება იმართება სწორედ ამ კლუბების მეშვეობით. ზემოხსენებული არაკომერციული სპორტული კლუბები ერთიანდებიან ეროვნულ სპორტულ ორგანიზაციებში (ფედერაციებში), რომელთა საერთო რაოდენობაა 75-ია.

[1] ქვეყნის მიმოხილვა ეფუძნება შემდეგ მასალას: Jens Alm (2018), Country Report: Denmark. “National Good Governance Observer”, Play the Game (გვ. 68 – 98)

თავის მხრივ, ყველა სპორტული ფედერაცია გაერთიანებულია ქოლგა ორგანიზაციაში - „ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და ეროვნული სპორტული ფედერაციების გაერთიანებაში“ (NOC*NSF). ეს გაერთიანება ემსახურება მისი წევრების ინტერესების დაცვას და წარმოადგენს მათ სახელმწიფო უწყებებთან ურთიერთობისას. NOC*NSF-ის მთავარი პარტნიორი საჯარო უწყება სპორტზე პასუხისმგებელი სამინისტროა. მისი ძირითადი როლია ხსენებული ქოლგა ორგანიზაციის მეშვეობით, სპორტის პოლიტიკის კოორდინაცია და ხელშეწყობა.

კარგ მმართველობასთან დაკავშირებული პოლიტიკა და რეგულაციები. ნიდერლანდებში კარგი მმართველობის პრინციპების შემოღება განაპირობა სახელმწიფო დახმარების მიმღები ორგანიზაციების მიერ საჯარო დაფინანსების ეფექტიანი გამოყენების ხელშეწყობამ. ამჟამად საჯარო პოლიტიკის თითქმის ყველა სფეროში მოქმედებს კარგი მმართველობის კოდექსები. სპორტის მართვის კონფიგუ-რაციის მიუხედავად, კარგი მმართველობის პრინციპების აღსრულების მთავარი მამოძრავებელი ძალა სახელმწიფო დაფინანსებაა.

დასკვნა

სტატიაზე მუშაობისას გამოყენებული მასალის მიმოხილვა ცხადყოფს, რომ ბევრ ქვეყანაში სპორტული ორგანიზაციისათვის ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსების მიღების სავალდე-ბულო პირობაა კარგი მმართველობის პრინციპების გამოყენება. სავალდებულო წინაპირობის გარდა, გვხდება პრაქტიკა, როდესაც საჯარო ხელისუფლება დაფინანსებას წამახალისებელ ინსტრუმენტად იყენებს. მაგალითად, ბელგიის რეგიონული ხელისუფლება (ფლამანდიის რეგიონი) მმართველობის სტანდარტების დანერგვის სანაცვლოდ, სპორტულ ორგანიზაციებს დამატებით სახელმწიფო დაფინანსებას გამოუყოფს. ამ შემთხვევაში ხელისუფლება ცდილობს, წაახალისოს და ხელი შეუწყოს ორგანიზაციებში მმართველობის გაუმჯობესებას.

ზოგიერთი ქვეყნის პრაქტიკაში ვხდებით მაგალითებს, როდესაც საჯარო ხელისუფლება სპორტულ ორგანიზაციებს აკისრებს სამართლებრივ ვალდებულებას (ორმხრივი ხელშეკ-რულების საფუძველზე), რომ მათი საქმიანობა კარგი მმართველობის კოდექსთან (პრინციპებთან) შესაბამისობაში მოიყვანონ. სპორტული ორგანიზაციების მიერ კარგი მმართველობის კოდექსის (ან სხვა ფორმით განსაზღვრული პრინციპების) დებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში, მათ უწყდებათ სახელმწიფო დაფინასება მანამ, სანამ ხარვეზს არ გამოასწორებენ.

სპორტული ორგანიზაციების განვითარების განსხვავებული დონისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, ზოგიერთი სახელმწიფო კარგი მმართველობის პრინციპებს ორ ჯგუფად ყოფს. პირველი ჯგუფის პრინციპები სავალდებულოა უკლებლივ ყველა სპორტული ორგანიზაციისთვის, ხოლო მეორე ჯგუფის პრინციპების სავალდებულო შესრულება ეკისრება მსხვილი სახელმწიფო დაფინანსების მიმღებ ორგანიზაციებს.

ლიტერატურა:

1. European Parliament resolution an integrated approach to Sport Policy: good governance, accessibility and integrity (2016/2143(INI)). 2 February 2017, Brussels;
2. Geeraert, A. Country Report: Flanders, Belgium. “National Good Governance Observer”, Play the Game 2018.- 68-98; 102-118 p.
3. VOCASPORT Research Group Vocational education and training in the field of sport in the European Union: situation, trends, and outlook. Lyon: European Observatories of sport and Employment. 2004. – 245 p.
4. SIGA Universal Standards & Implementation Guidelines: Good Governance, Financial Integrity, Sports Betting Integrity 2020;

5. Rowland Jack Good Governance Initiatives in Sport at National Level. Good practice handbook for the sports movement. Enlarged Partial Agreement on Sport, Council of Europe. 2018;
6. Report "Working towards a framework for modern sports governance", Rapporteur: Mr Mogens Jensen, Denmark, Socialists, Democrats and Greens Group. Parliamentary Assembly of the Council of Europe 2018;
7. ა. კორეპანოვი, მ. ბზიკაძე ,,სპორტული ორგანიზაციების მიერ კარგი მმართველობის კვლევა საქართველოში", 2020.

Analysis of the Governance of the States' Sport Systems in Foreign Countries

Bzikadze Magdana
PhD Student of Georgian Technical University

Summary

Sport is recognized as an effective and flexible tool to promote physical and mental health, social inclusion, peace and development of other aspects of public life. Today, independent states around the world directly or indirectly make public investments in sport. This is due to the benefits that come with using sport as a tool for social and economic development. If used deliberately, sport can have an impact and contribute to: public health and well-being, quality education, gender equality, decent work and economy, sustainable development of communities and cities, as well as promote strong and accountable institutions at all levels.

The present article was elaborated based on the case study of the states' governance of sports systems in foreign countries. The article aims at supporting the national and local public authorities, sport organizations and other stakeholders in improving the governance of the state's sport system in Georgia.

Keywords: Sports Management Systems, Good Governance, Management Configuration, Regulations, Politics.

აუთსორსინგი ჯანდაცვის სფეროში: საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება და ქართული რეალობა

ბურდულაძე ქეთევან
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ჯანდაცვის სფეროში აუთსორსინგი ვითარდება სამი ძირითადი მიმართულებით: IT ტექნოლოგიები, მაღალტექნოლოგიური სამედიცინო სერვისების მიწოდება და სამედიცინო ტურიზმი.

სტატიაში განხილულია ზოგადად აუთსორსინგის არსი. მისი განვითარების წინაპირობები. ნაჩვენებია, მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ჯანდაცვის სისტემაში აუთსორსინგის განვითარების ძირითადი მიმართულებები. გაანალიზებულია საქართველოს ჯანდაცვის სფეროში არსებული რეალობა.

წარმოდგენილი კვლევები შესაძლებელს ხდის გავავლოთ პარალელები, ჯანდაცვის სფეროში, აუთსორსინგის გამოყენების პრაქტიკაზე მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებსა და საქართველოს შორის, ჩამოვაყალიბოთ ჩვენში მისი არასაკმარისი გამოყენების ძირითადი პრობლემები და დავსახოთ გზები, საქართველოშიაუთსორსინგის გამოყენების გაუმჯობესებისათვის.

საკვანძო სიტყვები: აუთსორსინგი ჯანდაცვაში, მცირე ბიზნესი ჯანდაცვაში

შესავალი

ტერმინი აუთსორსინგი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულია ბოლო წლების პრაქტიკულ ეკონომიკურ ლექსიკაში. ქართულ ენაზე „outsourcing – outer-source-using“ სიტყვა-სიტვით ითარგმენება როგორც გარე წყაროს, რესურსის გამოყენება. გარე რესურსების მოზიდვა კომპანიის წინაშე არსებული პრობლემების გადასაჭრელად დიდიხანია გამოიყენება და ცნობილია, როგორც შრომის დანაწილება, თანამშრო-მლობა, სპეციალიზაცია და ა.შ.

ძირითადი ნაწილი

აუთსორსინგი ჯანდაცვის სფეროში: საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება და ქართული რეალობა

აუთსორსინგი წარნოადგენს შრომის სოციალური დანაწილების ევოლუციის უახლეს ფორმას, რომელიც ეფუძნება მე-20 – 21-ე საუკუნეების მიჯნაზე მსოფლიო განვითარების ძირითად ფაქტორებს, მათ შორის აღსანიშნავია:

- **ბიზნეს პროცესების განხილვა, როგორც დამოუკიდებელი კომპონენტების, მოდულების ნაკრები.**

ტერმინით "მოდულარიზაცია" (მოდულებად დაშლა) აღინიშნება ისეთი სტანდარტული ბლოკების (მოდულების) გამოყოფა, რომლებიც დამოუკიდებლად წყვეტენ გარკვეულ ფუნქციურ ამოცანებს, ამასთანავე შესაძლებელია მათ შორის ინფორმაციის გაცვლა.

მოდულარიზაციის თანამედროვე კონცეფციამ საგრძნობლად გააფართოვა აუთსორსინგის ფარგლები.

- **შრომის სოციალური დანაწილების კლასტერულ-ქსელურ სისტემებზე გადასვლა ჰორიზონტალური კავშირებითა და ურთიერთქმედების მექანიზმებით.**

ეკონომიკის ქსელურ სისტემაზე გადასვლამ მოახდინა მისი გლობალიზაცია, გახადა იგი დამოკიდებული მსოფლიო ფინანსურ ბაზარზე, საერთაშორისო ვაჭრობაზე და სხვა გლობალურ

ფაქტორებზე.

თავის მხრივ, ეკონომიკის გლობალიზაციამ, შექმნა წინაპირობები შრომით საქმიანობაში ფუნდამენტური ცვლილებებისთვის, რაც პირველ რიგში გამოიხატება საწარმოებში შრომითი პროცესების დეცენტრალიზაციაში. ამან გავლენა მოახდინა, საქმიანობის არამატერიალურ (ინფორმაციულ) სფეროებზე. თუმცა უკვე ჩანს იმის პერსპექტივები, რომ მომავალში, შრომითი საქმიანობის მრავალი სახეობა, მათ შორის მატერიალური წარმოებაც აღარ მოითხოვს უშუალოდ ოპერატორი თანამშრომლის არსებობას.

- **ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში მუშა ძალის დეფიციტი.**
  შობადობის კლება და შრომისუნარიანი მოსახლეობის დაბერება შრომის ბაზარზე იწვევს დისპროპორციებს. ამით პირველ რიგში ზარალდებიან მაღალტექნოლოგიური კომპანიები. ამასთანავე, განვითარებულ ქვეყნებში არახელსაყრელი დემოგრაფიული მდგომარეობა და დასაქმებულთა კომპეტენციის დონისადმი მოთხოვნების გაზრდა, ამ პრობლემას გრძელვადიან ფაქტორად აქცევს.
- **ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება მატერიალური წარმოების სხვადასხვა** სფეროებში - ლოჯისტიკა, პერსონალის შერჩევა, ინფორმატიზაცია, კომპიუტერიზაცია და ა.შ. შედეგად სხვადასხვა კომპანიების, ზემოაღნიშნული ფუნქციების შემსრულებელი განყოფილებები, არაკონკურენტუნარიანი აღმოჩნდნენ სპეციალიზებულ ორგანიზაციებთან შედარებით.
- **მსოფლიო ეკონომიკაში კონკურენციის გლობალიზაცია.**

კონკურენციის გლობალიზაცია ხსნის შიდა ბაზრებს, ამაღლებს თითოეული ინდივიდუალური კომპანიის კონკურენტუნარიანობის ბარიერს. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია მოიცავს ყველა განვითარებულ და განვითარებად ქვეყანას და არეგულირებს მსოფლიო ვაჭრობის 95%-ზე მეტს. ამ პირობებში მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები ზრდიან თავიანთი ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობას გარკვეული ტიპის ბიზნეს პროცესებში სპეციალიზირებით და შრომის საერთაშორისო დანაწილების პროცესებში ინტეგრირებით.

- **ეკონომიკური საქმიანობის რეგულირების ერთიანი იურისდიქციის შექმნა.**

დასაქმების სფეროში კანონმდებლობის უნიფიცირება, საქონლისა და მომსახურების ხარისხის სტანდარტების ერთიან საერთაშორისო სისტემაზე გადასვლა ხელს უწყობს აუთსორსინგზე გადაცემული კომპანიების ბიზნეს პროცესებზე კონტროლის შენარჩუნებას, აუთსორსინგის კონტრაქტების არასათანადო შესრულების რისკების შემცირებას.

მსოფლო განვითარებულ ქვექნებში აუთსოსინგი წარმტებით გამოიყენება არა მხოლოდ ბიზნეს-პროცესების განხორციელებაში, არამედ საჯარო მმართველობის სფეროშიც, სადაც იგი ასრულებს სოციალურად მნიშვნელოვანი ფუნქციებს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ აუთსორსინგის გამოყენების წინაპირობები კერძო სექტორსა და სახელმწიფოში (მუნიციპალური ხელისუფლება და ადგილობრივი თვითმმართველობა) იდენტურია. სახელმწიფო და მუნიციპალური მმართველობის სფეროში ყველაზე აქტუალურია ისეთი პრობლემები, როგორიცაა გარკვეული სახისკომპეტენციების ნაკლებობა, შრომის დაბალი პროდუქტიულობა და პერსონალისწახალისების არაეფექტური სისტემა.

ჯანდაცვა არის სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი სოციალური ფუნქცია, რომელშიც ყველაზე ფართოდ არის გავრცელებული აუთსორსინგი. ამის მიზეზია ჯანდაცვის ხარჯების მუდმივი ზრდა, მოსახლეობის მოთხოვნილება სამედიცინო

მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე, ასევე სამედიცინო დაწესებულებების სურვილი, თავი დააღწიონ მომსახურე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მძიმე საზრუნავს. ეკონომიკურად განვითარებულმა ქვეყნებმა პირველებმა გამოიყენეს სამედიცინო აუთსორსინგი.

ამჟამად ის მოიცავს მომსახურების ფართო სპექტრს IT სერვისიდან მაღალტექნოლოგიურ ჯანდაცვის სექტორებამდე - რადიოლოგია, ონკოლოგია, ოფთალმოლოგია, სტომატოლოგია და ა.შ.

IT სერვისების მიწოდება ჯანდაცვის სხვადასხვა სფეროში წარმოადგენს „ტრადიციული“ ტიპის აუთსორსინგს. მისი წლიური ბრუნვა 50 მილიარდ დოლარსაღემატება, ხოლო ზრდა კი 5%-ზე მეტია. IT აუთსორსინგის ბაზრის ძირითადი სეგმენტებია: ინფრასტრუქტურა, ოპერაციები, სამეცნიერო კვლევები, სამედიცინო მომსახურების ინფორმაციული უზრუნველყოფა, გადამხდელის მომსახურება (სადაზღვევო კომპანიების მომხმარებელი და ა.შ.). მომსახურების ბაზრის ზრდა ძირითადად განპირობებულია მსხვილი და საშუალო ზომის ორგანიზაციებით (საავადმყოფოები, კლინიკები, ლაბორატორიები, ფარმაცევტული კომპანიები და ა.შ.).

მაღალტექნოლოგიური ტიპის სამედიცინო სერვისების აუთსორსინგის წარმატება ასოცირდება უახლესი, ინოვაციური აღჭურვილობისა და ტექნოლოგიების გამოყენებასთან, რომელიც მოითხოვს მაღალკვალიფიციურ სამედიცინო და ტექნიკურ პერსონალს. ამ გარემოების გათვალისწინებით, ბევრი სავადმყოფო გადასცემს გარე კომპანიებს თავის ტერიტორიას სტომატოლოგიის, პლასტიკური ქირურგიის, უროლოგიის, რადიოლოგიის, კომპიუტერული დიაგნოსტიკის და სხვა მომსახურების გასაწევად.

ცხრილში #1 მოცემულია განვითარებული ქვეყნების გამოცდილება ჯანდაცვის სფეროში აუთსორსინგის წარმატებით გამოყენების შესახებ.

ცხრილი #1. განვითარებულ ქვეყნებში ჯანდაცვის სფეროში აუთსორსინგისგამოყენების გამოცდილება

საქმიანობის სფერო/აუთსორსინგის საგანი	ქვეყნები
IT სერვისები • ტრადიციული - ბუღალტერია და ა.შ.; • ახალი - პაციენტების ძირითადი	ყველა განვითარებული ქვეყანა
ფიზიოლოგიური მაჩვენებლების უწყვეტი დისტანციური მონიტორინგი; • საინფორმაციო სერვისები ჯანდაცვის სხვადასხვა სფეროში.	
პატრონაჟი • სტაციონარულ და ამბულატორიულ მკურნალობაზე მყოფი პაციენტებისმფარველობა.	ყველა განვითარებული ქვეყანა
მედიცინო მომსახურების მაღალტექნოლოგიური სახეები • კარდიოლოგია; • რენტგენოლოგია; • იზოტოპური მედიცინა; • ონკოლოგია; • ორგანოთა ტრანსპლანტაცია; • სტომატოლოგიური იმპლანტოლოგია; • ოფთალმოლოგია და ა.შ.	ყალიბდება ქვეყნის სპეციალიზაცია გარკვეული სახის სერვისებში (ინდოეთი - რენტგენოლოგია; სინგაპური - კარდიოლოგია; ტაილანდი - სტომატოლოგიური იმპლანტაცია და ა.შ.)
სამედიცინო ტურიზმი • კორონარული არტერიის შუნტირება; • პროტეზირება; • კუჭის ოპერაცია; • რინოპლასტიკა და ა.შ.	მასპინძელი ქვეყნები: ინდოეთი, ტაილანდი, სინგაპური, მალაიზია, მექსიკა, დიდი ბრიტანეთი, პოლონეთი, უნგრეთი
აპარატურის დიაგნოსტიკა • მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია; • რენტგენოგრაფია და ა.შ.	ყველა განვითარებული ქვეყანა
ლაბორატორიული კვლევები • სისხლი; დნმ; ცერებროსპინალური სითხე და სხვ.	ყველა განვითარებული ქვეყანა

მაღალტექნოლოგიური სამედიცინო მომსახურების აუთსორსინგმა საფუძველი ჩაუყარა სამედიცინო ტურიზმის განვითარებას.

იგი იყენებს ორ ძირითად ფაქტორს, რომლებიც გავლენას ახდენენ სამედიცინოდახმარების ეფექტურობაზე:

1. ცალკეულ ქვეყნებში სპეციალიზებული ჯანდაცვის სექტორებისგანვითარება.

2. დაბალი ფასები შესაბამისი სერვისების ხარისხის კონკურენტული დონით.

მაგალითად, კორონარული არტერიის შემოვლითი გადანერგვის ფასები მცირდება 113-დან 9-10 ათას დოლარამდე, სახსრის ჩანაცვლება 48-დან 6-7 ათას დოლარამდე. გარდა პაციენტებისთვის აშკარა სარგებელისა, სამედიცინო ტურიზმი ზრდის სამედიცინო დაწესებულებებისა და ეროვნული ეკონომიკის შემოსავალს, ხელს უწყობს თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების გადაცემას (გაცვლას).

ამჟამად საქართველო არ არის მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი სამედიცინო სერვისების მიმწოდებელ ქვეყნებს შორის.

საქართველოში ჯანდაცვაში აუთსორსინგი არის პირველი საფეხური, რომელიც ასრულებს მეორეხარისხოვან და შედარებით არაკვალიფიციურ ფუნქციებს - საჭმლის მომზადება, ტანსაცმლის რეცხვა, ოთახების დალაგება და ა.შ.

ცხრილში #2 მოცემულია მონაცემები აუთსორსინგის მდგომარეობის შესახებ სამედიცინო მომსახურების ბაზარზე საქართველოში.

ცხრილი 2. აუთსორსინგი საქართველოს ჯანდაცვაში

აუთსორსინგის ძირითადი ფორმები
გავრცელებული ფორმები • სამედიცინო კვების ორგანიზაცია; • სატრანსპორტო მომსახურება; • სამედიცინო ნარჩენების შეგროვება, განეიტრალება, ტრანსპორტირება და განთავსება; • უსაფრთხოების სერვისები; • თეთრეულის რეცხვა; • ლაბორატორიული კვლევა.
ახალი ტენდენციები • სამედიცინო მონაცემების გაცვლა; • დისტანციური ურთიერთქმედება ექიმებს შორის; • სამედიცინო კონსულტაცია; • ჯანდაცვის მენეჯმენტი რეგიონულ დონეზე; • გაზრდილი კომფორტის, სერვისის პირობების შექმნა; • სასწრაფო დახმარების სატრანსპორტო მომსახურება;
პრობლემური სფეროები • გამოუყენებელი მაღალტექნოლოგიური სამედიცინო აღჭურვილობისექსპლუატაცია; • მაღალტექნოლოგიური აღჭურვილობის ტექნიკური მოვლა.

1 და 2 ცხრილების მონაცემების შედარება საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ სამამულო ჯანდაცვის სისტემა აუთსორსინგის გამოყენებაში ბევრად ჩამორჩება ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებს. აუთსორსინგმა გავრცელება ჰპოვა სამედიცინო დაწესებულებების მხოლოდ არა ძირითადი საქმიანობაში. მაგრამ აქაც ვერ მოიცვა ისეთი ფუნქციები, როგორიცაა

ზოგადი მენეჯმენტი, ბუღალტრული აღრიცხვა, საგადასახადო აღრიცხვა, იურიდიული მხარდაჭერა, შენობების და ზოგადი დანიშნულების აღჭურვილობის მოვლა-შეკეთება და ა.შ. ცხადია ეს არ აიხსნება მხოლოდ დარგის მცოდნე. კვალიფიციური სპეციალისტების ნაკლებობით.

სამედიცინო მომსახურების მაღალტექნოლოგიურ სფეროებში აუთსორსინგი საწყის ეტაპზეა, არ არსებობს პერსპექტიული საპილოტე პროექტები, „სტარტაპები“.

მთავარი მიზეზი, ჩვენი აზრით, დაკავშირებულია აუთსორსინგის სერვისებზე მოთხოვნის ნაკლებობასთან, რომელსაც ექნებოდა ევოლუციური და არა ადმინისტრაციული და კამპანიის ხასიათი. პოტენციური შემკვეთები არ გამოჩნდებიან შემდეგ პირობებში:

- ჯანდაცვის დაფინანსების არასაკმარისი დონე;
- სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის არასრულყოფილი სისტემა;
- ჯანდაცვის მართვის არსებული სისტემა, როდესაც წინა პლანზე დგება არა მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესების კრიტერიუმები, არამედ „სამედიცინო მომსახურების მიწოდების სტანდარტები“;
- სამედიცინო ორგანიზაციების ხელმძღვანელების რეალური უფლებამოსილების არარსებობა ფუნქციების ნაწილის აუთსორსინგი-სთვის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას;
- კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის დეფიციტი და უმაღლეს და საშუალო სპეციალიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების დაბალი დონე;

ქართული კერძო ბიზნესი არ აღიქვამს ჯანდაცვას, როგორც საინვესტ-იციო მიმზიდველ სფეროს, რამდენადაც:

- ბიზნესის მომგებიანობა შესამჩნევად დაბალია, თუ გავითვალისწინებთ მოსახლეობის დაბალ გადახდისუნარიანობას (განსაკუთრებით იმ ნაწილის, რომელიც განსაკუთრებულად საჭიროებს სამედიცინო დახმარებას - პენსიონერები, ქრონიკული ავადმყოფები და ა.შ.);
- ქვეყანაში და მსოფლიოში არსებულ ეკონომიკურ ვითარებაში, ბიუჯეტი, როგორც აუთსორსინგის სერვისების დამკვეთი, სულ უფრო არასანდო გადამხ-დელად ხდება. იგივე ეხება კერძო სადაზღვევო კომპანიების უმეტესობას;
- მაღალტექნოლოგიური სამედიცინო ბიზნესი მოითხოვს დიდ ინვესტიციებს, რომელთა ანაზღაურებაც არარეალურია საკრედიტო რესურსების მიმდინარე ღირებულებით;
- ქვეყანაში არსებული ბიზნეს კლიმატი არ არის ხელსაყრელი მცირე ბიზნესის განვითა-რებისთვის, რაც აიძულებს კომპანიებს შეწყვიტონ საქმიანობა ან წავიდნენ ჩრდილში“.

ვითარების გაუმჯობესების პერსპექტივები ზემოთ დასახელებული ფაქტორების შენარჩუნებით მეტად საეჭვოა. ჩვენ არ უნდა ველოდოთ სამედიცინო აუთსორსინგის სფეროებისა და მოცულობების მნიშვნელოვან გაფართოებას, თუნდაც ისეთ პერსპექტიულ სეგმენტში, როგორიცაა არსებული მაღალტექნოლოგიური აღჭურვილობის გამოყენება და შენარჩუნება. ნაკლებად სავარაუდოა, რომ მოკლე დროშიშესაძლებელი იქნება არაერთი მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადება, ასევე კონკურენტული მოტივაციის მექანიზმების შექმნა. ასევე ნაკლებად სავარაუდოა, უცხოური აუთსორსინგის კომპანიების გამოყენება პირველ რიგში, საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ კვალიფიციური ექიმების ანაზღაურების დონის მნიშვნელოვანი განსხვავებების გამო.

ჩვენ შეგვიძლია ველოდოთ აუთსორსინგის ზრდას სამედიცინო დაწესებულებების არა ძირითად საქმიანობაში - გარკვეული სახის სერვისებზე სპეციალიზირებული კომპანიების შექმნის გზით.

ჩვენი აზრით, პერსპექტიულია სპეციალიზებული კომპანიების შექმნა სამედიცინო

დაწესებულებების შენობებისა და ნაგებობების მოვლა-პატრონობისა და მომსახურებისთვის. აუთსორსინგით დაკავებული კომპანიების გაერთიანება სამედ-იცინო კვების, სამრეცხაო, უსაფრთხოების, სამედიცინო ნარჩენების განთავსების სფეროში გააუმჯობესებს გაწეული მომსახურების ხარისხს, შეამცირებს მათ ფასებს და მნიშვნელოვნად გააფართოვებს სამედიცინო დაწესებულებების დაფარვას.

დასკვნა

დღეისათვის საქართველოში შექმნილი არახელსაყრელი ეკონომიკური პირობების გამო, ჯანდაცვის სფეროში მოქმედი მცირე ბიზნესი საკმაოდ მძიმე მდოგარეობაშია. ამ ეტაპზე მათთვის პრიორიტეტად ტაქტიკური და არა სტრატეგიული ამოცანები. დღეისათვის აუთსორსინგის კომპანიები იბრძვბიან გადარჩენისათვის. ამ პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აუთსორსინგის „იდეოლოგიური პრინციპების“ დაცვა, რათა არ მოხდეს მისი მისი დისკრედიტაცია. იმედია, რომ მომავალში, როცა გარემოებები უკეთესობისკენ შეიცვლება და საქართველოს ეკონომიკა რეალურ მოდერნიზაციას დაიწყებს, ამ რთულ პირობებში მიღებული გამოცდილება იქნება მოთხოვნადი.

ლიტერატურა

1. Amar Gupta, Raj K. Goyal, Keith A. Joiner, Sanjay Saini. Outsourcing in the healthcare industry: Information technology, intellectual property, and allied aspects. https://arizona.pure.elsevier.com/en/publications/outsourcing-in-the-healthcare-industry-information-technology-int
2. Outsourcing in Healthcare The Pros and Cons.
3. https://www.hhmglobal.com/knowledge-bank/articles/outsourcing-in-healthcare-the-pros-and-cons
4. The Impact of Outsourcing in the Global Healthcare Industry.
5. https://outsourceworkers.com.au/the-impact-of-outsourcing-in-the-global-healthcare-industry/
6. The Benefits of Outsourcing in Healthcare.
7. https://www.compassonehealthcare.com/blog/benefits-outsourcing-healthcare/

Experience of foreign countries and Georgian reality

Burduladze Ketevan
Department of Industrial Innovations and Operations Management,
GeorgianTechnical University

Summary

The experience of the world's leading countries shows that outsourcing in the field of healthcare is developing in three main areas: IT technologies, the provision of high-tech medical services and medical tourism.

The article discusses the essence of outsourcing in general. Prerequisites for its development. The main directions of outsourcing development in the healthcare system of the world leading countries are shown. The reality in the field of healthcare in Georgia is analyzed.

The presented studies make it possible to draw parallels between the practice of outsourcing healthcare in the developed countries of the world and Georgia, to identify the mainproblems of its underutilization and to find ways to improve the use of outsourcing in Georgia.

Keywords: outsourcing in healthcare, small business in healthcare

მედია და არჩევნები

ბღარაშვილი ნანა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

"არსად იმდენს არ იტყუებიან, რამდენსაც ომში, არჩევნებში და ნადირობის შემდეგ"
ოტო ფონ ბისმარკი

აბსტრაქტი

მოხსენებაში განხილულია მედიასა და არჩევნებთან დაკავშირებული აქტუალური პრობლემები. მედია არის ერთ-ერთი ძირითადი საშუალება პოლიტიკოსების ამომრჩევლებთან ურთიერთობის, ის როგორც დემოკრატიული მაკავშირებელი, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება არჩევნების დროს. მედია უნდა დაეხმაროს ამომრჩევლებს ინფორმირებული არჩევანის გაკეთებაში. საზოგადოებას ჭირდება იყოს ინფორმირებული პოლიტიკურ მოთამაშეთა შესახებ, იცოდნენ მათი ხედვები.

მედიის მთავარი ამოცანა უნდა იყოს ინფორმაციის სანდოობის უზრუნველყოფა. გაშუქება უნდა იყოს მოქალაქეზე ორიენტირებული, რაც ნიშნავს იმას, რომ მედია საშუალებებმა უფრო მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ ამომრჩეველთა საჭიროებებს. მათი როლია აკონტროლონ მთავრობა თუ რამდენად უზრუნველყოფს თავისუფალ, ღია და სამართლიან საარჩევნო პროცესს. ნებისმიერმა ჟურნალისტმა ინფორმაციის მომზადებისას, არა ერთი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს და ეს გადაწყვეტილებები მეტწილად დამოკიდებულია მის ცოდნაზე, ეთიკურ ღირებულებებსა და მედიის როლის მისეულ ხედვაზე. მედიის ვალდებულებაა მუდმივად სთხოვდეს პასუხს ხელისუფლებას ამა თუ იმ კითხვებზე. თუ მედია ძაღლივით კუდის ქიცინს დაიწყებს, თუ ის ჩამოყალიბებული სისტემის არა კრიტიკული ნაწილი გახდება, მაშინ დაკარგავს თავის კლასიკურ — კრიტიკული მაკონტროლებლის როლს.

მოხსენებაში განსაკუთრებით აღნიშნულია მედიის მიზანი არჩევნების გაშუქების პროცესში. ყველა თანამედროვე მედია საშუალების მიზანი უნდა იყოს ინფორმაციის სამართლიანი, დაბალანსებული და მიუკერძოებელი გაშუქება. ეს სამი სიტყვა უნდა გახდეს ნებისმიერი არჩევნების გაშუქების მყარი საფუძველი.

საკვანძო სიტყვები: მედია, პოლიტიკა, არჩევნები, პარტია, კანდიდატი და ამომრჩეველი.

შესავალი

მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, დემოკრატიულია თუ არა იგი, პოლიტიკოსები ამომრჩევლებთან თავდაპირველად მედიის საშუალებით ურთიერთობენ. პოლიტიკოსები ამომრჩევლებს პირისპირ ხვდებიან პოლიტიკურ შეკრებებსა და მიტინგებზეც, მაგრამ მედიას მნიშვნელოვანი როლი აკისრია, როგორც შუამავალს პოლიტიკურ სისტემასა და ხალხს შორის და ხალხსა და პოლიტიკურ სისტემას შორის.

მედიის როლი, როგორც დემოკრატიული მაკავშირებლის, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება არჩევნების დროს, როდესაც ის იძენს მნიშვნელოვან ფუნქციას, დაეხმაროს ამომრჩეველს, გაერკვეს არჩევნებთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებში, რათა მიიღოს საუკეთესო შესაძლო გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ ვის მისცეს ხმა. მედია უნდა დაეხმაროს ამომრჩევლებს ინფორმირებული არჩევანის გაკეთებაში. მათ სჭირდებათ იყვნენ ინფორმირებული პოლიტიკურ მოთამაშეთა შესახებ, იცოდნენ მათი ხედვა.

სანდო ინფორმაცია, აი, ეს არის მთავარი. ზოგადად, თანამედროვე მედიის დიდმა ნაწილმა

უარი თქვა ობიექტურობის იდეაზე, არა იმიტომ, რომ ისინი არ იბრძვიან ობიექტურობისათვის, არამედ იმიტომ, რომ მათ გააცნობიერეს, რომ არ არსებობს სრული ობიექტურობა, რადგან ჟურნალისტიკა მეცნიერება არ არის. ნებისმიერმა ჟურნალისტმა ინფორმაციის მომზადებისას, არა ერთი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს და ეს გადაწყვეტილებები მეტწილად დამოკიდებულია მის ცოდნაზე, ეთიკურ ღირებულებებსა და მედიის როლის მისეულ ხედვაზე. არარეალური სრული ობიექტურობის ნაცვლად, ყველა თანამედროვე მედია საშუალების მიზანი უნდა იყოს ინფორმაციის სამართლიანი, დაბალანსებული და მიუკერძოებელი გაშუქება. ეს სამი სიტყვა უნდა გახდეს ნებისმიერი არჩევნების გაშუქების მყარი საფუძველი. გაშუქება ხელს უნდა უწყობდეს განსხვავებულ მოსაზრებათა გამოხატვას. ხელისუფლების ორგანოებს არ უნდა ენიჭებოდეთ რაიმე პრივილეგია. ხელისუფლების ორგანოებმა თავი უნდა შეიკავონ ჟურნალისტებისა და მედიის წარმომადგენელთა საქმიანობაში ჩარევისაგან, არჩევნებზე გავლენის მოხდენის თვალსაზრისით.

ძირითადი ნაწილი

მედია და სანდო ინფორმაცია

„ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია“.[1] მთელს მსოფლიოში რთულია მედიისათვის მიაწოდოს ამომრჩევლებს ინფორმაცია პოლიტიკის შესახებ, განსაკუთრებით ჩააბას ისინი პოლიტიკურ დებატებსა და პროცესებში. ხშირად, ჟურნალისტები, შორდებიან იმ რეალობას, რომელშიც ცხოვრობენ ჩვეულებრივი ადამიანები, რადგან ისინი ცხოვრებას პოლიტიკოსებისა და ექსპერტების პერსპექტივიდან უყურებენ. ეს არ არის იდეალური სიტუაცია, რადგან ამომრჩევლები გრძნობენ შეუსაბამობას მათ ცხოვრებასა და იმას შორის, რაც მედიის მიერ შუქდება პოლიტიკაში. რიგითი მოქალაქეები გრძნობენ, რომ ის, რასაც მედია აშუქებს, მათი ცხოვრება არ არის.

უნდა აღინიშნოს, რომ კერძო ინტერესებით მართული მედია ხშირად არად დაგიდევს ისეთ ცნებებს როგორიცაა სამართლიანობა, ბალანსი და მიუკერძოებლობა ინფორმაციის გაშუქებისას. ასეთი მედია საშუალებების მესაკუთრეები არ თვლიან, რომ ისინი დემოკრატიის სამსახურში არიან და რომ მათი მედია საშუალების, როგორც დემოკრატიის იარაღის, მიზანია პლურალიზმის განვითარება. ეს მედია საშუალება დაფუძნებულია გარკვეული ინტერესების მხარდაჭერის მიზნით. მაგრამ ისევე, როგორც დასავლეთ ევროპის შემთხვევაში, სადაც ინტერესი პარტიული პრესის მიმართ დიდი ხნის წინათ შემცირდა, აღმოსავლეთ და ცენტრალურიევროპის ქვეყნებში, სადაც დემოკრატია შედარებით ახალია, პარტიებთან ასოცირებული მედია საშუალებები კარგავენ მაყურებლებს, მსმენელებსა და მკითხველებს, რომლებიც სწრაფადიხრებიან „დამოუკიდებელი“ მედიისაკენ.

დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობისათვის საჭიროა, რომ მედიაგაშუქება იყოს მოქალაქეზე ორიენტირებული; რაც ნიშნავს, რომ მედია საშუალებებმა უფრო მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ ამომრჩეველთა საჭიროებებს, ვიდრე პოლიტიკური პარტიებისას. მათ უნდა გააშუქონ სამთავრობო პოლიტიკა და ყველა ის საკითხი, რაც აინტერესებთ ამომრჩევლებს. მნიშვნელოვანია ორიენტირება გაკეთდეს შინაარსზე და არა ცენტრალურ მოთამაშეთა მოქმედებაზე, ასევე ფაქტებზე და არა პოლიტიკური განცხადებებისა და დაპირებების უწყვეტ ნაკადზე. არ უნდა გამოქვეყნდეს ყველაფერი, რასაც პოლიტიკური პარტიები გაწვდიან, სანამ საშუალება არ მიეცემა მეორე მხარეს გადაამოწმოს ინფორმაცია და გააკეთოს კომენტარი.

„ჟურნალიტები ყოველთვის უნდა შეეცადოთ გააშუქონ ამომრჩევლისათვის მნიშვნელოვანი ახალი ამბები. ხალხის ხმის გაძლიერების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა გამოკვლევის მეშვეობით ჰკითხო ხალხს, რა არის მათთვის უმნიშვნელოვანესი საკითხები. ასეთ კვლევებს

ხშირად იყენებს მედია საარჩევნო კამპანიის გაშუქებისას.“ [2]

ჰკითხე ადამიანს, ვის აძლევს ხმას და ის გიპასუხებს. როდესაც ჰკითხავ, თუ რატომ, პასუხი გაურკვეველი იქნება - აღნიშნავდა ცნობილი ინგლისელი ჟურნალისტი და მწერალი ბერნარდ ლევინი;

იმისათვის, რომ დაძლიონ შეუსაბამობა ამომრჩეველთა ინტერესებსა და მედიით გაშუქებულ პოლიტიკურ საკითხებს შორის და იმისათვის, რომ დაუახლოვონ მედიას ხალხი და ჩართონ ისინი პოლიტიკურ პროცესებში, მედიის სხვადასხვა მესვეურებმა, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებში, 90-იანი წლების დასაწყისში დაიწყეს სახალხო ჟურნალისტიკის ექსპერიმენტირება.[3] აღნიშნულის მიზანი იყო მოქალაქეთა ჩართვა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მათი მოტივირება საკუთარ გარემოზე ზრუნვისათვის. ასეთი ტიპის ჟურნალისტიკა ორიენტირებულია ამომრჩეველთა ინტერესებზე ნაცვლად ახალ ამბებზე რეაგირებისა. მეთოდი, რომელიც ითვალისწინებს ამომრჩეველთა გამოკითხვას საარჩევნო კამპანიის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, ფართოდ გამოიყენება ეროვნული მედიის მიერ ბევრ ქვეყანაში — უბრალოდ იმიტომ, რომ ის რეპორტიორებს აწვდის ბევრ კარგ იდეას იმის შესახებ, თუ რა გააშუქონ.

ვინ იღებს გადაწყვეტილებას საარჩევნო კამპანიის პროგრამის შესახებ? ესენი არა მხოლოდ პოლიტიკური პარტიები და კანდიდატები არიან. ძირითად მონაწილეთა სპექტრი ფართოა.

პოლიტიკა - ბიზნესი - მედია - ორგანიზაციები, ყველა ეს მოთამაშე გავლენას ახდენს პროგრამაზე, მათი რეალური ძალის შესაბამისად. როგორც გერმანელმა ფილოსოფოსმა კარლ მარქსმა ერთხელ თქვა, უპირატესი პოლიტიკა არის საზოგადოების კლასების შეფარდებითი ძალა — ეს კლასთა შორის ბრძოლაა. [4]

ეს ძლევამოსილი პოლიტიკოსები არა მხოლოდ გავლენას მოახდენენ საარჩევნო კამპანიის პროგრამაზე, არამედ კამპანიის გაშუქებაზე მედია საშუალებებით. როგორც ცნობილია, მრავალი მედია საშუალება ეკუთვნით სწორედ ამ ძლევამოსილ მოთამაშეებს, ასეთ მედიას კი მხოლოდ ოცნება შეუძლია დამოუკიდებელ საქმიანობაზე. მათგან მოელიან მხოლოდ კერძო პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების გახმოვანებას და მათი მიზანია, არ შეუწყონ ხელი პლურალიზმის განვითარებას, სამართლიანი, დაბალანსებული და მიუკერძოებელი გაშუქების საფუძველზე.

დამოუკიდებელი მედია

მაგრამ რა შეგვიძლია ვთქვათ ე.წ. დამოუკიდებელ მედიაზე? მოქმედებენ თუ არა ისინი ყველანაირი გავლენისაგან თავისუფალ ვაკუუმში? არა! ნებისმიერი მედია მეტ-ნაკლებად განიცდის სხვადასხვა მოთამაშეთა გავლენას, ხანდახან ისე ფრთხილად, რომ თვითონაც ვერ ამჩნევენ. ბევრია კერძო და სახელმწიფო ხარისხიანი მედია საშუალება, განსაკუთრებით ამერიკასა და დასავლეთ ევროპაში, სადაც არჩევნების გაშუქება იგეგმება და ხორციელდება კონკრეტული ინტერესების მიერ დაწესებული შეზღუდვების გარეშე.

„მედიამ ხშირად პროფესიონალ პოლიტიკოსებზე უკეთ იცის იმის შესახებ, თუ რა ხდება ხალხში; ყოველ შემთხვევაში, მედია კარგად უნდა ხვდებოდეს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებისათვის მნიშვნელოვან საკითხებს.“ [5]

ეჭვს გარეშეა, რომ მედიის პროგრამას გავლენა აქვს ამომრჩევლის გეგმებზე, მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ არის. თუ, ზოგადად, მედია ან რომელიმე კონკრეტული მედია საშუალება ამომრჩევლის თვალსაზრისით ნაკლებად სანდოა, ის ვერ მოახდენს გავლენას ამომრჩეველთა გეგმებზე, თუმცა არსებობს გამონაკლისებიც, რადგან ნაკლებად სანდო ტაბლოიდური მედია ხშირად გარკვეულ გავლენას ახდენს საზოგადოების გეგმებზე.

მნიშვნელოვანია მედიის პროგრამის სწორად მომზადება, რომელიც ხანგრძლივი პროცესია. წარმატებულ პროგრამას სჭირდება შთამბეჭდავი რეპორტაჟები არჩევნების წინ და არჩევნების

პერიოდში. ის საკითხები, რომლებიც დომინირებს არჩევნებს შორის, ჩვეულებრივ, დომინირებს საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას. პოლიტიკოსები და პარტიები, ცხადია, შეეცდებიან პროგრამის დომინირებას — სწორედ ეს არის პოლიტიკის წარმოების მიზანი. ზოგიერთი კანდიდატი საკმაოდ გონიერია ამ საკითხში, რადგან ასეთები წარმოადგენენ ლიდერებს, რომლებმაც იციან, თუ რა მიმართულებით იარონ და აქვთ პროგრამის განახლების უნარი. სხვა კანდიდატებმა კარგად იციან, თუ რა უნდათ ხალხს. ისინი იცნობენ ხალხს, ეროვნულ აზროვ-ნებას. ესენი ხშირად, თუმცა არა ყოველთვის, პოპულისტური ორიენტაციის პარტიები არიან.

პოლიტიკური ჟურნალისტიკა

გასათვალისწინებელია, რომ ხშირად პოლიტიკური გადაწყვეტილებები მიიღება რთული და გაუმჭვირვალე მოლაპარაკებების შედეგად, რომლებიც წარმოებს მოთამაშეთა დახურულ ქსელში, მოშორებით ჩვეულებრივი მოქალაქეებისაგან. თუმცა ხშირად, ყოველ შემთხვევაში, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, ეს მოლაპარაკებები საზოგადოების დღის წესრიგის ნაწილი ხდება და მედიას პოლიტიკური ბრძოლის არენად გადააქცევს.

ნაწილობრივ ამ პროცესის შედეგია, რომ ბევრ ქვეყანაში პოლიტიკურმა ჟურნალისტიკამ ორიენტაცია შინაარსიდან და იდეოლოგიური და პოლიტიკური განსხვავებებიდან, თავად პოლიტიკურ პროცესზე გადაიტანა. ამას პროცესის ჟურნალისტიკა ეწოდება, რადგან ძირითადად ორიენტირებულია პოლიტიკურ ტაქტიკაზე, ალიანსებსა და ძალაუფლებისათვის ბრძოლაზე სცენის მიღმა.

პროცესის ჟურნალისტიკით ზედმეტად გატაცებას ახლავს რისკი, რომ ჟურნალისტებს შეიძლება დაავიწყდეთ რეალურად რა არის მნიშვნელოვანი ხალხისათვის. რეპორტიორები უბრალოდ უგულებელყოფენ საზოგადოების ინტერესებს, რადგან იწამლებიან საოცარი ხიბლის მქონე თამაშით, რასაც პროგრამის ლიდერობისათვის ბრძოლა ჰქვია.

მედიის როლის გააზრებაში საგულისხმოა ამერიკელი ტელეწამყვანის, აშშ-ის "ყველაზე ცნობილი ხმის" სედრიკ ადამსის ხატოვანი გამონათქვამი: „პოლიტიკა არის მდიდრებისაგან ფულის მიღებისა და ღარიბებისაგან ხმების მიღების ხელოვნება, დაპირებით, რომ ორივე მხარეს დაიცავს ერთმანეთისგან“.

„იცოდეთ ის თუ ვინ არის თქვენი მომხმარებელი და რის ნახვას ისურვებდნენ ისინი მედიაში, რიტიკულად მნიშვნელოვანია“ [6] მედია სტრატეგიის მთავარი მიზანი უნდა იყოს, უზრუნველყოს პარტიებსა და კანდიდატებთან დაკავშირებული ძირითადი საკითხების ასახვა მედიის პროგრამაში. პოლიტიკური რეკლამა მედიაში არასოდეს არის ისეთი ეფექტიანი, როგორც მედია რეპორტაჟები პოლიტიკურ პარტიებსა და კანდიდატებზე. მედიით გასული ინფორმაცია ამომრჩევლისათვის უფრო სანდოა, ვიდრე პოლიტიკური რეკლამა. მედიის მიერ გაშუქებული საკითხები — მაგალითად, პარტიის აგრესიული პოლიტიკის გამო — აიძულებს პოლიტიკურ ოპონენტებს რეაგირება მოახდინონ.

პარტიები და მათი კანდიდატები შეეცდებიან გავლენა მოახდინონ მედიის პროგრამაზე იმ იმედით, რომ ეს გავლენას მოახდენს სხვა პარტიების პროგრამებსა და ამომრჩევლების გეგმებზე.

კარგად ორგანიზებული პარტიები ყოველთვის მოძებნიან მნიშვნელოვან შეტყობინებებს საზოგადოებასთან კომუნიკაციისათვის. ხშირად ამ შეტყობინებების რაოდენობა მხოლოდ ერთი ან სამია. მათი მედია სტრატეგიის მიზანია, გამოვიდნენ ამ შედარებით მცირე რაოდენობის მესიჯებით. ხშირად პარტიები ცდილობენ ისაუბრონ კამპანიის მხოლოდ ერთ თემაზე, რომელიც ყველაზე მეტად გამოხატავს მათ პოზიციას. ბილ კლინტონისათვის 1992 წლის კამპანიის ასეთი მესიჯი იყო -- ახალი დასაწყისი, ხოლო ტონი ბლერისათვის — ცვლილების დრო.

მედიის ვალდებულებაა მუდმივად სთხოვდეს პასუხს ხელისუფლებას ამა თუ იმ კითხვებზე. თუ მედია ძაღლივით კუდის ქიცინს დაიწყებს, თუ ის ჩამოყალიბებული სისტემის

არა კრიტიკული ნაწილი გახდება, მაშინ დაკარგავს თავის კლასიკურ — კრიტიკული მაკონტროლებლის როლს.

ამდენად, როდესაც შუქდება სარჩევნო კამპანია მნიშვნელოვანია, რომ ნაკლები მნიშვნელობა მიენიჭოს ტაქტიკურ მანევრებს და მეტი კავშირს საარჩევნო კამპანიასა და რეალურ ეროვნულ პრობლემებს შორის.

ძალიან მნიშვნელოვანია მედიამ ამომრჩეველს მიაწოდოს დაბალანსებული ინფორმაცია ფინანსებთან დაკავშირებით, ხშირად კანდიდატები უამრავ დაპირებას იძლევიან, რომელთა შესრულებას ფული სჭირდება. ამდენად, აუცილებელია გადამოწდეს ინფორმაცია ფინანსების არსებობის შესახებ, უნდა გავიგოთ დაფინანსებულია თუ არა ინიციატივა და საიდან მოდის ფული?

მნიშვნელოვანია ვიცოდეთ პარტიისა და კანდიდატისგან, როგორ უნდა დაფინანსდეს გაუმჯობესებები; ანუ, თუ კანდიდატი მეტ ფულს დახარჯავს გაუმჯობესებებზე, რა სფეროების დაფინანსების შემცირების ხარჯზე მოხდება ეს? თუ პარტია ვერ პასუხობს, თუ როგორ უნდა დააფინანსოს მის მიერ შემოთავაზებული დაფინანსებები, ის არ არის სერიოზული პარტია. [7]

ყველა სერიოზულმა პარტიამ იცის დაბალანსებული ბიუჯეტის მნიშვნელობის შესახებ, ამდენად, თუ პარტია გადაწყვეტს სახელმწიფო ფული გაუმჯობესებებზე დახარჯოს, მან ეს ფული სახელმწიფო ბიუჯეტის რომელიმე ნაწილიდან უნდა აიღოს და ეს ვიღაცის ხარჯზე უნდა მოხდეს. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, ვინ არიან ეს ვიღაცეები.

ბრიტანელი ტელეწამყვანის, ჟურნალისტისა და მწერლის დევიდ ფროსტის მახვილგონივრული დაკვირვებით: „როდესაც ადამიანები შვებულებიდან ბრუნდებიან, ისინი მთავრობაზე უფრო რბილად მსჯელობენ. სწორედ ამიტომ აწყობს მთავრობის გონიერი ხელმძღვანელი არჩევნებს ადრე შემოდგომაზე“.

მედიის ეთიკური ნორმები

„ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას - მიიღოს ზუსტი ინფორმაცია“[8]

ეთიკური ნორმები და პრინციპები განასხვავებს ხშირად სერიოზულ მედიას ნაკლებად სერიოზულისაგან. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც მედია აშუქებს საარჩევნო კამპანიას, რომელმაც ქვეყნის პოლიტიკური მომავალი უნდა გადაწყვიტოს.

სიმართლე, ან მოვლენების სწორად აღწერა, ყველა ღირსეული რეპორტიორის მოვალეობაა. უზუსტობებისა და გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელების შემთხვევაში, ისინი რისკის ქვეშ აყენებენ შენი მედია საშუალების მიმართ ნდობის საკითხს. ძირითადად უზუსტობა გამოწვეულია არა წყაროთი, არამედ რეპორტიორის დაუდევარი დამოკიდებულებით. პატარა შეცდომებიც კი, ზიანს აყენებენ მედიის მიმართ გამოცხადებულ ნდობას. უნდა გახსოვდეს მედიას განსჯიან მისი შეცდომების და არა ასობით ღირსეული ნამუშევრის მიხედვით.

ზოგი რეპორტიორისთვის რთულია შეზღუდული ვადების წნეხის ქვეშ გამონახოს დრო დეტალების გადასამოწმებლად, მაგრამ ხშირად ერთი ან ორი ტელეფონის ზარი, ან ერთი ან ორი დოკუმენტის გადამოწმება გვეხმარება, რომ მასალა უფრო ზუსტი გამოვიდეს. მომზადებული მასალა ყოველთვის დაბალანსებული უნდა იყოს. პოლიტიკის გაშუ- ქებისას ყოველთვის მნიშვნელოვანია გახსოვდეს, რომ პოლიტიკოსები ეცდებიან მედიის გამოყენებას თავიანთი პროგრამების მხარდასაჭერად

და პოლიტიკური ოპონენტების დისკრედიტაციისათვის.

„რეპორტიორებისა და რედაქტორების აზრი ხშირად იყოფა იმის შესახებ, უნდა აჩვენო თუ არა წყაროს მომზადებული მასალა გამოქვეყნებამდე. ერთნი ამბობენ, რომ წინასწარ ჩვენება არ შეიძლება, რადგან თუ მასალა კრიტიკულია, წყარო ინანებს თავის ნათქვამს და გთხოვს,

მასალიდან მნიშვნელოვანი პუნქტების ამოღებას. მეორენი ამტკიცებენ, რომ წყაროს მასალა ყოველთვის წინასწარ უნდა აჩვენო; ეს შეამცირებს სავარაუდო შეცდომებს და მასალას უფრო სამართლიანსა და ზუსტს გახდის. მაგრამ მასალის ჩვენება სულაც არ ნიშნავს, რომ წყაროს მისი რედაქტირების ან შიგნით რაიმეს შეცვლის უფლება აქვს. წყაროს მხოლოდ შეცდომებზე და გაურკვევლობებზე მითითება შეუძლია“. [9]

შეიძლება გაქვთ სამართლებრივი უფლება მოამზადოთ რაიმე მასალა, მაგრამ გაქვს კი მორალური უფლება? ეს არის ჟურნალისტური ეთიკის მთავარი კითხვა. ჩვენ ხშირად ვდგებით ეთიკური დილემის წინაშე პოლიტიკური რეპორტაჟის მომზადებისას, განსაკუთრებით, თუ საქმე არჩევნებს ეხება, სადაც პოლიტიკური ოპონენტები ცდილობენ, საზოგადოებას დაუკარგონ ნდობა მოწინააღმდეგე მხარის მიმართ, არ ერიდებიან პირადი ისტორიების გამომზეურებას და ხშირად ტყუილ ამბებსაც კი თხზავენ. ასეთ დროს უნდა ხელმძღვანელობდე საკუთარი ეთიკური პრინციპებით: რას დაბეჭდავ და რას არა.

დასკვნა

ამდენად, მედიითვის ინფორმაციის სანდოობა უმნიშვნელოვანესი ფაქტორი უნდა იყოს. საარჩევნო პროცესის გაშუქება საუკეთესო დროა მედიის სანდოობის გამოცდისათვის. ამ დროს ჟურნალისტებმა, უნდა აჩვენონ საკუთარი ქვეყნის მოქალაქეებს, რომ მათ შეუძლიათ ენდონ მედია საშუალებებით გავრცელებულ ინფორმაციას. საზოგადოების ნდობის მოსაპოვებლად და შესანარჩუნებლად რედაქტორებმა და რეპორტიორებმა ყოველდღიურად უნდა დაამტკიცონ, რომ არიან სამართლიანი, ზუსტი და გახსნილი ყველანაირი მოსაზრებისათვის.

გაშუქების საიმედობა უმნიშვნელოვანესია შემდეგი პრინციპები:

- განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს, რომ გარანტირებული იყოს სიზუსტე და სამართლიანობა.
- აჩვენოს სახელმძღვანელო პრინციპები კამპანიის მონაწილეთაგან ფინანსური სახსრებისა და საჩუქრების მიღების თაობაზე.
- დააწესდეს შეზღუდვები რეპორტიორებისა და რედაქტორების პოლიტიკურ აქტივობაზე.
- ნათლად გაიმიჯნოს კომენტარები ახალი ამბებისაგან, რათა ამომრჩევლისათვის გასაგები იყოს, რომელია ინფორმაცია და რომელი რედაქტორის კომენტარი.
- კამპანიის აღწერისას გაკონტროლდეს საკუთარი მიუკერძოებლობა
- ყურადღება მიაქცეს იმ მოქალაქეთა ინტერესებს, ვისი ხმაც შეიძლება დაიკარგოს კამპანიის ხმაურში.
- აღიწეროს დეტალები და გამყარდეს ფაქტებით, დაკვირვების შედეგებით ან სანდო წყაროებით.
- სიფრთხილით მოვეკიდოთ კამპანიის მონაწილეთა მიერ მოყვანილი სტატისტიკის ციტირებას. ვისარგებლოთ სტატისტიკის სანდო წყაროთი, როგორიცაა უნივერსიტეტი ან ნეიტრალური საერთაშორისო ორგანიზაცია.
- ვიყოთ სამართლიანი ყველა პარტიისა და სუბიექტის მიმართ, მიუხედავად იმისა, თუ როგორ აღიქვამს მათ საზოგადოება და როგორ ექცევიან ისინი ჟურნალისტებს. რომელიმე მხარის სასარგებლოდ მოსაზრების გამოთქმისას მედიას ამომრჩეველზე მეტი თავდაჭერილობა მართებს.
- არ ავყვეთ ცდუნებას გამოაქვეყნდეს სენსაციური, მაგრამ, სავარაუდოდ, მიკერძოებული ან გაბერილი ახალი ამბები, კამპანიის მსვლელობისას. ასეთი ისტორიები შეიძლება მიმზიდველია, მაგრამ უარყოფითად მოქმედებს სანდოობაზე.

გაშუქებისას ბალანსის დადგენის მცდელობა არ ნიშნავს, რომ ყველა წყაროს აბსოლუტურად თანაბარი ადგილი უნდა ეჭიროს შენს ყველა სტატიაში; თუმცა დროდადრო უნდა იზრუნო ბალანსზე, რაც ნიშნავს რომ, კამპანიის მსვლელობისას არ მოახდინო საზოგადოების რომელიმე ჯგუფის ან პოლიტიკური პარტიის იგნორირება ან ჯეროვნად ვერ შეაფასო ისინი. რეპორტიორის უმნიშვნელოვანესი მიზანი უნდა იყოს, ეძიოს სიმართლე ან რაც შეიძლება მეტად მიუახლოვდეს მას. ზოგიერთი რეპორტიორისათვის სიტყვა სიმართლე ძალიან ხმამაღალია, მოვლენის გაშუქებისას ისინი ამჯობინებენ უთხრან საზოგადოებას, თუ რა არის სწორი. უზუსტობა მეტწილად გამოწვეულია არა წყაროთი, არამედ რეპორტიორის დაუდევრობით.

საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას, მედია ყოველთვის ხდება პოლიტიკურ მოთამაშეთა სტრატეგიისა და ტაქტიკის ხელოვნების სამიზნე, მათი კამპანიის წარმატება მდგომარეობს მათ შესაძლებლობაში, დააბნიოს მედია და დაანახოს საკითხი მათი პერსპექტივიდან.

ლიტერატურა

1. „საქართველოს კონსტიტუცია“, 2020 წელი,
2. სამართლიანი დადაბალანსებული არჩევნების ანგარიში საქართველოში - ჰენრი კაიტ ჰანსესი. ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და სამართლებრივ საკითხთა გენერალური დირექტორატი 2008 წლის მაისი. https://rm.coe.int/168008ebf7
3. მე-20 საუკუნის ამერიკის შეერთებული შტატების ჟურნალისტიკა https://www.letopis.info/themes/journalism/jurnalistika_ssha_v_20_veke.html
4. Encyclopedia Britannica
5. https://www.britannica.com/topic/Marxism/Class-struggle
6. სამართლიანი დადაბალანსებული არჩევნების ანგარიში საქართველოში - ჰენრი კაიტ ჰანსესი. ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და სამართლებრივ საკითხთა გენერალური დირექტორატი 2008 წლის მაისი. https://rm.coe.int/168008ebf7
7. სოციალური მედიასტრატეგია 2021 7 მარტი;
8. https://digitalnews.ge/ge/article/socialuri-media/124-socialuri-media-strategiis-rva-saphexuri
9. პარტიული ფინანსები - შიტაპარტიული დემოკრატიის აქილევსის ქუსლი, 2021 8 ნოემბერი; https://www.radiotavisupleba.ge/a/31551301.html
10. საქართველოს ჟურნალიტური ეთიკის ქარტია, პრინციპი 1.
11. https://www.qartia.ge/ka/mthavari-gverdis-aikonebi/article/30513-preambula
12. სამართლიანი დადაბალანსებული არჩევნების ანგარიში საქართველოში - ჰენრი კაიტ ჰანსესი. ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და სამართლებრივ საკითხთა გენერალური დირექტორატი 2008 წლის მაისი.
13. https://rm.coe.int/168008ebf7

Media and Elections

Bgarashvili Nana
PhD Student of Georgian Technical University

"People never lie so much as after a hunt, during a war or before an election"

Otto Von Bismarck

Summary

The report discusses current issues related to the media and elections. Media is one of the main means of communication between politicians and voters, media like a democratic linker, becomes even more important during elections. Media should assist voters to make an informed choice. Society needs to be informed about political players and know their visions.

The main task of the media should be to ensure the credibility of information. Coverage should be citizen-centered, which means that media outlets should pay more attention to the needs of voters. Their role is to control whether the government ensures a free, open and fair election process. Every journalist has to make a number of decisions when preparing information, and these decisions largely depend on his/her knowledge, ethical values and vision of the role of the media. It is the obligation of the media to constantly ask the government for answers to this or that question. If the media starts wagging its tail like a dog, if it becomes a non-critical part of the established system, then it will lose its classic - critical controller role. The report specifically mentions the purpose of the media in covering the elections. The goal of all modern media outlets should be fair, balanced and impartial coverage of information. These three words should become a solid basis for any election coverage.

Keywords: media, politics, elections, party, candidate and voter.

საჯარო მმართველობის კლასიკური და თანამედროვე თეორიები/პარადიგმები

გაბაიძე თამილა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

იაშვილი გენადი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

მოცემულ ნაშრომში განვიხილავთ საჯარო მმართველობის თეორიებზე/ პარადიგმებზე, ესენია: ვებერის ,,რაციონალური ბიუროკრატია", ,,ახალი საჯარო მენეჯმენტი", ,,ნეო ვებერიანიზმი", ,,გამააქტიურებელი სახელმწიფო" და ,,ელექტრონული მმართველობა". ნაშრომში საუბარია საჯარო მმართველობის პარადიგმების ძირითად მახასიათებლებზე, მათ დადებით და უარყოფით მხარეებზე, პარადიგმების ცვლილების საჭიროებებსა და გამომწვევ მიზეზებზე, მათ მოკლე ისტორიულ ექსკურსზე.

საკვანძო სიტყვები: „საჯარო მმართველობა", „თეორიები", „პარადიგმები", ,,ვებერის ,,რაციონალური ბიუროკრატია", ,,ახალი საჯარო მენეჯმენტი", ,,ნეო ვებერიანიზმი", ,,გამააქტიურებელი სახელმწიფო" და ,,ელექტრონული მმართველობა".

შესავალი

საჯარო მმართველობა და სახელმწიფო მართვა მუდმივადაა მეცნიერთა კვლევის საგანი ვინაიდან ქვეყნებში არსებული მმართველობის ხარვეზები, მთავრობის გაზრდილი ხარჯები, მთავრობისადმი ნდობის დაბალი დონე, მოქალაქეთა უკმაყოფილება, ეკონომიკური კრიზისი და სხვა გარემოებები ქმნის მმართველობის რეფორმის საჭიროებას, რომელთა მეცნიერული დამუშავება და ანალიზი ხორციელდება სამეცნიერო კვლევისა და ანალიზის დონეზე და ხდება საჯარო მმართველობის ახალი თეორიების შეთავაზება ხელისუფლებებისთვის. შესაბამისად, მოცემულ ნაშრომში საუბარია საჯარო მმართველობის არსებულ თეორიებზე.

ძირითადი ნაწილი

საჯარო მმართველობის კლასიკური და თანამედროვე თეორიები/ პარადიგმების მახასიათებლები

ვებერის ,,რაციონალური ბიუროკრატია": ტერმინის ,,ბიუროკრატია" სამეცნიერო მიმოქცევაში შევიდა ბიუროკრატიის ფენომენის ყველაზე სრულყოფილი და ყოვლისმომცველი სოციოლოგიური კვლევის ავტორის, გერმანელი სოციოლოგის, ეკონომისტის, ისტორიკოსის მაქს ვებერის წყალობით. ვებერმა ეს ტერმინი გამოიყენა რაციონალური ორგანიზაციის აღსანიშვნად, რომლის წესები და რეგულაციები ქმნის საფუძველს ეფექტური მუშაობისთვის და საშუალებას გვაძლევს ვიბრძოლოთ ფავორიტიზმზე. ვებერი, განსაზღვრავს ბიუროკრატიას, როგორც მაღალ სტრუქტურულ და ფორმალიზებულ ორგანიზაციას, ის სახელმწიფო ბიუროკრატიას წარმოადგენდა, როგორც გონებრივი შრომის მაღალკვალიფიციური პროფესიონალების სისტემას, ამავე დროს, ის ხაზს უსვამდა, რომ ჩინოვნიკის ნამდვილი პროფესია არ უნდა იყოს ,,პოლიტიკა", ამავე დრო ბიუროკრატიის თითოეული წევრი კეთილსინდისიერად და მიუკერძოებლად უნდა ახორციელებდეს თავის პროფესიულ საქმიანობას. ,,ეს ვალდებულება ზემდგომი პირის მიმართ ერთგულებაში კი არ უნდა გამოიხატებოდეს, არამედ ინსტიტუტის მიმართ დამოკიდებულებაში, რამაც საბოლოოდ პოლიტიკისაგან ბიურიკრატიული ორგანიზაციის დამოუკიდებლობა უნდა

უზრუნველყოს“.[1]

ორგანიზაციული სტრუქტურის რაციონალური ბიუროკრატიული კონცეფცი-ისთვის, ვებერმა შემდეგი პრინციპები შემოგვთავაზა:

- სამუშაოს მკაფიო დაყოფა, დავალებებისა და პასუხისმგებლობების მკაცრი განაწილება;
- მკაცრი იერარქიული სტრუქტურა;
- მკაცრად გაწერილი წესები და რეგულაციები;
- თანამშრომელთა შერჩევა მათი კვალიფიკაციის საფუძველზე;
- უნარ-ჩვევებსა და გამოცდილებაზე დაფუძნებული დაწინაურების და თანამდებობის დაკავების სისტემა;
- მმართველობითი პროცედურების წერილობით დოკუმენტირება.

სამეცნიერო წრეებში ხშირად აკრიტიკებენ ვებერისეულ ბიუროკრატიულ ორგანიზაციას, ამის რამოდენიმე მიზეზი სახელდება: როგორც წესი, ბიუროკრატია მოიცავს უამრავ დოკუმენტაციას, რაც იწვევს დროის, მეტ რესურს და ასევე მეტ ძალისხმევას. ხშირ შემთხვავაში წესები მოუქნელი და ხისტია. გარდა ამისა, ძალიან დიდი ყურადღება ექცევა ამ წესებსა და პროცედურების დაცვას. თავის მხრივ, წესები და ფორმალობები იწვევს გადაწყვეტილების მიღების პროცესის ზედმეტ შეფერხებას, ორგანიზაციის თანამშრომლები მოქმედებენ მკაფიო იერარქიული დამოკიდებულების ფარგლებში. შესაბამისად, ეფექტური მმართველობის განხორციელებას სჭირდება სწრაფი გადაწყვეტილების მიღება და პროცედურების მოქნილობა.

,,ახალი საჯარო მენეჯმენტი“

ვებერის რაციონალური ბიუროკრატიის თეორიის შემდეგ, რომელიც დარგის „კლასიკურ“ თეორიად ითვლება, მეოცე საუკუნეში მნიშვნელოვნად გადაიხედა მიდგომები სახელმწიფო მართვის სფეროში. საჯარო ადმინისტრირების კლასიკური მოდელების ადგილზე (ვებერი, ვილსონი, ტეილორი) გაჩნდა თანამედროვე, შედეგებზე, მოქალაქეებზე, ეფექტიანობაზე ორიენტირებული მოდელები. XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან გაჩნდა ე.წ. „ახალი საჯარო მენეჯმენტის“ (New Public Management, NPM) მოდელი.[2]

,,ახალი საჯარო მენეჯმენტის" მთავარი იდეაა ბიზნესის სფეროში შემუშავებული ინსტრუმენტებისა და მართვის მეთოდების დანერგვა სახელმწიფო მმართველობის სისტემაში. დ. ოსბორნი და თ. გებლერი განსაზღვრავენ ახალ საჯარო მენეჯმენტს, როგორც კონცეფციას, რომელიც ორიენტირებულია სახელმწიფო მმართველობის პროცესის ეფექტურობაზე და ეფექტიანობაზე მისი ყველა ფორმით - ეკონომიკური, სოციალური, ორგანიზაციული.[3]

კ. ჰუდის ნამუშევრების ანალიზი, ასევე, დ. ოსბორნი და თ. გებლერი საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ ,,ახალი საჯარო მენეჯმენტის" კონცეფციის ძირითადი იდეები, რომლებიც შეიძლება აღწერილი იყოს სახელმწიფო მართვის სისტემების მოდერნიზაციის ამოცანების პრიზმით:

- - სახელმწიფო ფუნქციების შესასრულებლად საქმიანობის განხორციელება მომხმარებელზე ორიენტირებული პრინციპის შესაბამისად;
- - შესრულებაზე დაფუძნებული მართვის მექანიზმების გამოყენება;
- - კომერციული კომპანიების მართვის ტექნოლოგიის გამოყენება საჯარო სექტორში;
- - ხელისუფლების დეცენტრალიზაცია და დელეგირება თვითმმართველობის ხარისხის

[1] ლ. იზორია, ,,თანამედროვე სახელმწიფო, თანამედროვე ადმინისტრაცია“, 2008, 90-ე გვ.

[2] ა. აბაშიძე, ,,საჯარო სამსახურის რეფორმა საქართველოში: ძირითადი მიმართულებები და გამოწვევები“, თბილისი, 2016, 26 გვ.

[3] Osborne D., Gaebler T. Reinventing Government. How the Entrepreneurial Spirit is Transforming the Public Sector. N.Y., 1992. 432 p.

გაუმჯობესების მიზნით;

- - საბიუჯეტო სახსრების დაზოგვა;
- - კორპორატიული კულტურისა და ხელისუფლების მუშაობის სტილის მოდერნიზაცია;
- - სტრუქტურული ელემენტების ზედმეტი დუბლირება და არაეფექტური ფუნქციების შემცირება;
- - მომსახურების სფეროში კონკურენციის გაზრდა და უფლებამოსილების განხორციელება საჯარო სექტორში.[1]

ახალი საჯარო მენეჯმენტის რეფორმამ რამდენიმე ათწლეულის განმავობაში მსოფლიოს მრავალი ქვეყანა მოიცვა, თავდაპირველად მოდელის პოპულარიზაციისას იგი აღიქმებოდა, როგორც ყველა დროის უნივერსალური კონცეფცია.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ ახალი რეფორმის ნაკლოვანებების გამოვლენა საკმაოდ ადრეულ ეტაპზე დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ პირველი კრიტიკა ახალი საჯარო მენეჯმენტის მიმართ უკვე 1995 წელს გაისმა, სერიოზული დაპირისპირება მეცნიერთა მხრიდან მხოლოდ 2000 წლისათვის ჩამოყალიბდა, ხოლო 2005 წლის შემდეგ აკადემიურ წრეებში ახალი საჯარო მენეჯმენტი აღარ მიიჩნევა საჯარო სექტორის განვითარების ღირებულ კონცეფციად.[2]

„ნეო ვებერიანიზმი“

სამეცნიერო ლიტერატურაში გვხვდება მსჯელობა, რომ სისტემა, რომელიც ითვალისწინებს რა ყოველი კონკრეტული ქვეყნის კულტურულ, ისტორიულ და ეროვნულ კონტექსტს და ვებერიანულ მოდელში ახდენს, ახალი საჯარო მენეჯმენტის ზოგიერთი ასპექტების ინტეგრირებას, მათ შორის, დასაქმებულთა მართვის წარმატებულ პრაქტიკას, როგორიცაა შესრულებული სამუშაოს შეფასების მეთოდები, მოტივაციის გაზრდის მეთოდები და სხვა. მკვლევართა დიდი ნაწილი ამ მოდელს ნეოვებერიანიზმის სახელით მოიხსენიებს, რომელიც, აერთიანებს როგორც კლასიკურ ვებერიანულ ბიუროკრატულ, ასავე ახალი საჯარო მენეჯმენტის მიდგომებს (იხ. Randma-Liiv, 2008/2009; Drechsler, 2005; Lynn, 2008).[3] მას ახალ ვებერიანულ სისტემასაც უწოდებენ.

ამასთან, პოსტ-სოციალისტურ ქვეყნებში, არსებული კონტექსტის გათვალისწინებით, მკვლევართა ნაწილი კლასიკური ვებერიანული ბიუროკრატიის დამკვიდრებას უფრო ეფექტიანად მიიჩნევს საჯარო სექტორში, ვიდრე ახალი საჯარო მენეჯმენტის განხორციელებას (Tonnisson, 2006, გვ. 59), თუმცა, აუცილებელია ახალი საჯარო მენეჯმენტის ყველა ასპექტის მიუკერძოებლად შესწავლა და იმ პირობების გაანალიზება, რომლებიც მის წარმატებაზე თუ წარუმატებლობაზე ახდენს გავლენას (Dan&Pollitt, 2014).[4]

ასევე აღსანიშნავია, რომ თეორეტიკოსები მსჯელობენ ისეთი მიდგომების შემუშავებაზე, რომელიც იქნება არა ასმ-ს სრული უარყოფა და მასთან დაპირისპირებული ხედვა, არამედ დაფუძნებული იქნება ვებერიანული და ახალი საჯარო მენეჯმენტის სისტემების დადებითი და უარყოფით გამოცდილებაზე. ყველაზე ორგანულად ამ ასპექტების შერწყმა ნეოვებერიანული სახელმწიფოს კონტექსტში მოიაზრება (Pollitt, 2008, გვ.15). ამ თვალსაზრისით საუბრობენ სისტემის როგორც ვებერიანულ, ანუ ტრადიციული ბიუროკრატიისათვის დამახასიათებელ,

---

[1] Hood C. A Public management for all seasons? // Public Administration. 1991. Vol. 69. p. 4-5.

[2] ნ. დოლიძე, ,,ახალი საჯარო მენეჯმენტის რეფორმის თავისებურებები განვითარებად ქვეყნებში“, 2015წ. გვ.24,25.

[3] Randma–Liiv, T. (2008/2009, Winter). New Public Management versus NeoWeberian State in Central and Eastern Europe; The NISPAcee Journal of Public Administration and Policy, vol. 1, No 2.

[4] ,,Public Management Reforms in Central and Eastern Europe", Edited by Geert Bouckaert, Juraj Nemec, Vitalis Nakrošis, György Hajnal, Kristiina Tõnnisson, 2008, გვ. 49.

ახალი საჯარო მენეჯმენტისა და ასევე თვისობრივად ახალ ელემენტებზე, რაც ნეოვებერიანიზმისს არსს შეადგენს. ვებერიანული ელემენტებიდან ხაზი ესმევა სახელმწიფოს როლის წინ წამოწევას გლობალური სამყაროს ახალი გამოწვევების წინაშე, იქნება ეს ტექნოლოგიური თუ დემოგრაფიული ცვლილებები, ეკოლოგიური პრობლემები და სხვა; თუმცა, ეს როლი, ამავდროულად ითვალისწინებს ბიუროკრატული ნორმების შემცირებას, მოქალაქის, როგორც მომხმარებლის აღქმას, მისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის ხარისხის უზრუნველყოფას, სამუშაო გარემოზე ორიენტირებას.[1]

,,გამააქტიურებელი სახელმწიფო“

ახალი საჯარო მენეჯმენტის თეორიის, რომელსაც დაეყრდნო ქვეყნების უმრავლესობის საჯარო მმართველობის რეფორმები, კრიტიკის ერთ-ერთი საფუძველი იყოს ის, რომ ახალი საჯარო მენეჯმენტი ამცირებს მოქალაქის როლს, აქცევს მას მომხმარებლად, ართმევს მას უფლებას მოახდინოს გავლენა პოლიტიკურ დღის წესრიგზე. ამ თეორიამ მოქალაქეს ფუნდამენტურად ახალი სტატუსი შეძინა: მოქალაქე - კლიენტი. ამასთან, კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ: კლიენტი იძულებულია შეიძინოს ის, რასაც მას სთავაზობენ, შეზღუდულია გააკეთოს არჩევანი და მასზე მოახდინოს რაიმე გავლენა, ხოლო მოქალაქემ, კლიენტისგან განსხვავებით, უნდა განსაზღვრავს დღის წესრიგი და აქტიური მონაწილეობა მიიღოს მმართველობაში.

მეოცე საუკუნის 90–იანი წლების ბოლოდან სახელმწიფოსა და საჯარო ადმინისტრაციის რეფორმის ძირითადი ორიენტირი ე.წ. ,,გამააქტიურებელი სახელმწიფოს” ცნება გახდა, რომელიც საერთაშორისო არენაზე governance სახელით არის ცნობილი. მისი მთავარი იდეა ის არის, რომ საჯარო მართვის პრობლემები არა მარტო უშუალოდ სახელმწიფოსა და ბიუროკრატიის უუნარობასთან არის დაკავშირებული, არამედ, ასევე, საზოგადოებრივი შესაძლებლობების გამოუყენებლობასთან. ცხადი გახდა, რომ მარტო სახელმწიფოს არ შესწევს ყველა სახის საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარება, საჭიროა თითოეული მოქალაქის, საზოგადოების, კერძო სექტორის აქტიური მონაწილეობაც.

სამეცნიერო კვლევებში ხშირად გვხვდება მოსაზრება, რომ good governance არ არის ჩამოყალიბებული, როგორც თეორია, და მის საფუძველზე შექმნილი მოდელი ჩამოყალიბების ეტაპზეა, იმ გაგებით, რომ ბევრი ქვეყანა, რომელიც ახორციელებს კარგ მმართველობას, ამავე დროს, განაგრძობს პოლიტიკის განხორციელებას ახალი საჯარო მენეჯმენტის ფარგლებში.

,,ელექტრონული მმართველობა“

როგორც მ.კასტელსმა აღნიშნა, სოციალური ქსელების სწრაფი ზრდა მოითხოვს მრავალი სოციალური პროცესისა და ინსტიტუტის კონცეპტუალიზაციას და ქსელურ მიდგომაზე გადასვლას. მისი აზრით, სწორედ ქსელები ხდება სოციალური ევოლუციის მთავარი ტენდენცია, რაც საჭიროებს ახალი კონცეპტუალური აპარატის შექმნას, რომელიც უფრო მეტ ყურადღებას გაამახვილებს ქსელურ ურთიერთობებზე, ვიდრე იერარქიებზე.

ეს კონცეპტუალური მიმართულება, რომელიც ემყარება კონცეფციას "პოლიტიკური ქსელი", ხდება უფრო პოპულარული და გავლენიანი სახელმწიფო ადმინისტრაციის თეორეტიკოსებში. პოლიტიკური ქსელების კონცეფცია ემყარება იგივე იდეას, რასაც ახალი საჯარო მენეჯმენტი, თუმცა პოლიტიკური ქსელების თეორია ანალიზის ცენტრში აყენებს პოსტ ინდუსტრიული საზოგადოების კომუნიკაციურ პროცესებს. ლიტერატურაში მას ელექტრონულ მთავრობის, ელექტრონული მმართველობის, ქსელური მმართველობის, ციფრული მმართველობის და სხვა

[1] ,,Public Management Reforms in Central and Eastern Europe", Edited by Geert Bouckaert, Juraj Nemec, Vitalis Nakrošis, György Hajnal, Kristiina Tõnnisson, 2008, გვ 56.

ტერმინებით მოიხსენიებენ.

მე-20 საუკუნის ბოლოდან სახელმწიფოს საზრისი, განსაკუთრებით, მისი კომუნიკაციური მართვის უნარში მოიაზრება.[1] ელექტრონული მმართველობის თეორიის მთავრი მიზანია, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით მოქალაქეებს (მ.შ.ბიზნესს და სამოქალაქო საზოგადოებას) გაუმარტივოს ეფექტური მომსახურების მიღება, ამასთან ღია და გამჭვირვალე გახადოს სახელმწიფო მმართველობა, შეამციროს სახელმწიფო ადმინისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

მმართველობის აღნიშნული ფორმის დადებით მხარეებთან ერთად მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის სუსტი მხარეები, რომელიც თან სდევს ელ. მმართველობას, ესენია: ,,ელექტრონული მმართველობის" ტექნიკურად განხორციელებისა და შენარჩუნების ხარჯები, საჭირო კვალიფიციური კადრების ნაკლებ ხელმისაწვდომობა, მოსახლეობის ნაკლებ ინტერნეტიზაცია, ქსელის გაუმართაობა, პაროლების "გატეხვისა" და "ჰაკერების შეტევები". მიუხედავად აღნიშნულისა, თანამერდოვე, გლობალურ და ტექნოლოგიურ განვითარებაზე მორგებული ელექტრონული მმართველობა აუმჯობესებს საჯარო მმართველობის ეფექტურობას, ამარტივებს მოქალაქეთათვის სწრაფ და ეფექტური მომსახურების მიწოდებას.

დასკვნა

ცალსახაა, რომ სწორი და ეფექტური სახელმწიფო მართვა ხელს უწყობს და აძლიერებს დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობას. საზოგადოების ნდობა პოლიტიკური სისტემის მიმართ ზრდის მთავრობის ლეგიტიმურობას, როდესაც მმართველობა ზოგადად, და კერძოდ კი სახელმწიფო მომსახურების მიწოდება არის ეფექტური, საჯარო პირები მოქალაქეებისთვის არიან ხელმისაწვდომნი, სამთავრობო უწყებები და დეპარტამენტები მუშაობენ ერთობლივად, კოორდინირებული და თანმიმდევრული გზით. არანაკლებ მნიშვნელოვანია „მართვის უნარი“, რათა მოხდეს სწორი გადაწყვეტილებების მიღება პოლიტიკისა და პროგრამების დაგეგმვის პროცესში, დასახული მიზნების მისაღწევად, და, ასევე, შესაძლებლებელი იყოს მოსალოდნელი ტენდენციებისა და გამოწვევების პროგნოზირება.[2]

ლიტერატურა

1. ლ. იზორია, ,,თანამედროვე სახელმწიფო, თანამედროვე ადმინისტრაცია“, 2008, 90-ე გვ.
2. ა. აბაშიძე, ,,საჯარო სამსახურის რეფორმა საქართველოში: ძირითადი მიმართულებები და გამოწვევები“, თბილისი, 2016, 26 გვ.
3. Osborne D., Gaebler T. Reinventing Government. How the Entrepreneurial Spirit is Transforming the Public Sector. N.Y., 1992. 432 p.
4. Hood C. A Public management for all seasons? // Public Administration. 1991. Vol.69. p.4-5.
5. ნ. დოლიძე, ,,ახალი საჯარო მენეჯმენტის რეფორმის თავისებურებები განვითარებად ქვეყნებში“, 2015წ. გვ.24,25.
6. Randma–Liiv, T. (2008/2009, Winter). New Public Management versus NeoWeberian State in Central and Eastern Europe; The NISPAcee Journal of Public Administration and Policy, vol. 1, No 2.

[1] Ritter, Ernst-Hasso, Der kooperative Staat, in: Archiv des öffentlichen Rechts 104, S. 389 ff.; Voigt, Rüdiger, Der kooperative Staat, 1995.

[2] საქართველოს საჯარო მმართველობის გზამკვლევი, 2015წ, თბილისი.
http://gov.ge/files/423_49307_626772_PAR_Geo_Draft(1).pdf

7. ,,Public Management Reforms in Central and Eastern Europe", Edited by Geert Bouckaert, Juraj Nemec, Vitalis Nakrošis, György Hajnal, Kristiina Tõnnisson, 2008, გვ. 49, გვ 56.
8. Ritter, Ernst-Hasso, Der kooperative Staat, in: Archiv des öffentlichen Rechts 104, S. 389 ff.; Voigt, Rüdiger, Der kooperative Staat, 1995.
9. საქართველოს საჯარო მმართველობის გზამკვლევი, 2015წ, თბილისი.
10. http://gov.ge/files/423_49307_626772_PAR_Geo_Draft(1).pdf

Classical and modern theories / paradigms of public governance

Gabaidze Tamila
Doctoral student at the Georgian Technical University.

Iashvili Genadi
Doctor of Technical Sciences,
Professor at Georgian Technical University

Summary

In this paper we discuss the theories / paradigms of public governance, such as: Weber's "Rational Bureaucracy", "New Public Management", "Neo Weberianism", "Activating State" and "e-Government". The paper discusses the main features of public governance paradigms, their pros and cons, the needs for paradigm shifts and the underlying causes, and their brief historical background.

Keywords: "Public Governance", "Theories", "Paradigms", "Weber" Rational Bureaucracy "," New Public Management "," Neo Weberianism "," Activating State "and" E-Government ".

საქართველოში ეფექტიანი თვითმმართველობის სისტემის ფორმირების რამდენიმე ასპექტი

გველებიანი ვახტანგ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

ბაღათურია გიორგი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველო მრავალმხრივი რეფორმების საჭიროების წინაშე დადგა. აუცილებელი იყო ისეთი ინსტიტუციების გაძლიერება- შექმნა-მოდერნიზება, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ სუვერენული, დასავლური ვექტორის ქვეყნის მშენებლობას.

სხვადასხვა ფორმით და პერიოდით თვითმმართველობებით ქვეყნის მოწყობის წარსული გამოცდილება უკვე არსებობდა და არც ერთი კულტურის და ისტორიისთვის ის სიახლეს არ წარმოადგენდა. თუმცა, მრავალწლიანმა საბჭოთა ოკუპაციამ და რუსულმა იმპერიალისტური პოლიტიკამ, როგორც სხვა ბევრ დარგს, თვითმმართველობასაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა, რადგან იმ პერიოდის მმართველობა რადიკალურად განსხვავდებოდა დემოკრატიული პრინციპების მატარებელი მეთოდებისგან.ხელისუფლება ირჩევდა ადამიანებს, საზღვრავდა მათი ცხოვრების წესს, არგებდა მათ ვერტიკალის მიდრეკილებებზე და არა პირიქით.

საკვანძო სიტყვები: ადგილობრივი თვითმმართველობა, რეგიონული მმართვე-ლობა, ცენტრალური ხელისუფლება, დამოუკიდებლობის აღდგენა.

შესავალი

დამოუკიდებლობის აღდგენის პირველ წლებში იყო მცდელობა თვითმმართველობების ჩამოყალიბების, თუმცა რეფორმამ კრახი განიცადა. პირველი კანონი, რომელიც მუნიციპალურ დონეზე არეგულირებდა 1997 წელს მიიღეს და მის საფუძველზე ორი თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდა, ორდონიანი თვითმმართველობებით. შემდეგ ქვეყანა გადავიდა ახალ საკანონმდებლო ბაზაზე და ერთდონიან მმართველობაზე, რომელიც, ასევე, 2 არჩევნების ვადით ფუნქციო-ნირებდა.

2014 წლის თვითმმართველობის რეფორმის შედეგად მიღებული თვითმმა-რთველობის კოდექსით, დეცენტრალიზაციის და მოქალაქეთა ჩართულობის სტანდ-არტების დანერგვით, მუნიციპალური მმართველობა ახალ ეტაპზე გადავიდა, რისი ფლაგმანური ნაწილი, პირდაპირი წესით არჩეული მერებია.

ძირითადი ნაწილი

ადგილობრივი თვითმმართველობის საწყისები საქართველოში

საქართველოში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, რომელიც გარკვეულ წილად მმართველობის დეცენტრალიზაციას ნიშნავს, პირველად ძველი წელთაღ-რიცხვის IV-III საუკუნეებში ფიქსირდება, როდესაც ფარნავაზ მეფემ ქვეყანა ცენტრა-ლურ რეგიონად და 8 საერისთავოდ დაყო. ხოლო პირველი თვითმმართველობა გამოჩნდა VIII-IX საუკუნეებში, როდესაც თბილისში შეიქმნა ვაჭარ-ხელოსანთა თვითმმართველობა.

რუსული ოკუპაციის შემდეგ, საქართველოში ქვეყნის ადმინისტრაციული დაყოფის რუსული მოდელი გავრცელდა. ქვეყანა დაიყო გუბერნიებად, მაზრებად, ოლქებად, საპოლიციო უბნებად. ხოლო 1840 წელს შეიქმნა თვითმმართველობის ჩანასახი - გამგეობა, რომელიც

სპეციალური დებულებით რეგულირდებოდა. 1870 წელს განხორციელებული ცვლილებებით, შეიქმნა ერთგვარი თვითმმართველობების სისტემა, არჩეული ქალაქის თავით და სათათბირო ორგანოთი ქვეყნის 10 ქალაქში.

ამ დროისთვის ევროპის ქვეყნების დიდი ნაწილი თვითმმართველობის სიკეთეებს იყო ნაზიარები, ქალაქების უმრავლესობა უკვე თვითმმართველობის პრინციპებზე იყო მოწყობილი, რუსეთის იმპერიაში კი ჯერ კიდევ აბსოლუტური მონარქია სუფევდა. ეს კი რუსეთის ბურჟუაზიულ წრეებში დიდ უკმაყოფილებას იწვევდა. ამ უკმაყოფილების დროებით განეიტრალება მეფის რუსეთმა საგლეხო, საერობო და სასამართლო რეფორმებით მოახერხა, თუმცა, თითქმის ათწლიანი გაჭიანურების შემდეგ, 1870 წელს, ალექსანდრე მეორეს საქალაქო რეფორმის გატარება მაინც მოუწია. სწორედ ამ რეფორმით თბილისს თვითმმართველი ქალაქის სტატუსი მიენიჭა.

ცხადია, ეს არ იყო სრულფასოვანი ევროპული თვითმმართველობა, მაგრამ ახალი საქალაქო რეფორმა არჩევით პრინციპებს ემყარებოდა და ეს უკვე წინგადადგმულ ნაბიჯად მიიჩნიეს. სხვა საკითხებთან ერთად, სწორედ მაშინ მიეცა ქალაქებს საბიუჯეტო უფლებები, ხოლო იქ არსებული უძრავ-მოძრავი ქონება, რომელიც მანამდე სარგებლობაში ჰქონდა გადაცემული, ქალაქის საკუთრებად გამოცხადდა. ჯამში, თვითმმართველობას ევალებოდა ქალაქის კომუნალურ მეურნეობაზე ზრუნვა, იქნებოდა ეს წყალმომარაგება, ქუჩებისა და მოედნების მოკირწყვლა, განათება, ტრანსპორტით უზრუნველყოფა თუ სანიტარული დასუფთავება; მის უფლებამოსილებაში იყო, ასევე, ჯანდაცვის, განათლებისა და კულტურის საკითხების გადაწყვეტა.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის პერიოდში ვერ მოესწრო თვითმმარ-თველობის რუსული მოდელის შეცვლა, თუმცა გადაიდგა ბევრი ისეთი ნაბიჯი, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ძლიერი და რეალური თვითმმართველობის მყარ ბაზისად. ახალი ფორმაციის ჩამოყალიბებაში გარკვეულწილად გამოყენებული იყო ის წარსული გამოცდილება თუ არსებული რეალობა რაც ქვეყანაში არსებობდა: განათლების და სამეურნეო ამხანაგობები, განვითარებული საქალაქო თვითმმარ-თველობა და რაც ყველაზე მთავარია, რეფორმების სურვილი, ამისკენ მიდრეკილი სოციალური სიტუაცია და პოლიტიკური მზაობა, რომელიც 1905 წლის გურიის რევოლუციას მოჰყვა „ბახვის მანიფესტის“ სახით .

პირველი რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციით, თვითმმართველობას ცალკე თავი ეთმობოდა და განსაზღვრული იყო მისი ფუნქციები. ისინი განაგებდნენ საჯარო საქმეებს, თვითმმართველობის ორგანოები აირჩეოდა პირდაპირი არჩევნებით და თვითმმართველობის გადაწყვეტილების გაუქმება მხოლოდ სასამართლოს მიერ იყო შესაძლებელი. აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებლის აღდგენის შემდეგ მიღებულ საქართველოს კონსტიტუციაშია, მხოლოდ 2010 წლის რედაქციაში გაჩნდა ცალკე თავი თვითმმართველობის შესახებ.

1920-21 წლებისთვის ქვეყანაში არსებობდა ორდონიანი თვითმმართველობა. სასოფლო თემები და თვითმმართველი ქალაქები, რომლებიც პირველ დონეს წარმოადგენენ და მაზრები. იმ დროისთვის საქართველოში ფაქტობრივად არ არსებობდა რეგიონული მმართველობის რგოლი, ამიტომ ადგილობრივ დონეზე საქმიანობების განმახორციელებელი იყო თვითმმართველობები საკმაოდ დიდი ფუნქციებით, რომელებიც ძირითადად თანხვედრაშია დღევანდელი თვითმმარ-თველობის კოდექსით

განსაზღვრულ მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებებთან, ხოლო არის ჩანაწერები, რომლებიც იმდროინდელ უფრო ფართო დეცენტრალიზაცია მიუთითებს ვიდრე ახლა გააჩნიათ თვითმმართველობებს, მაგალითად: სახელმწიფო გადასახ-ადების მოკრება, განსახლება და საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესება, დაზღვევა და ჯანდაცვა, შრომის ბირჟის ჩამოყალიბება, სოციალური უზრუნველყოფა, უსაფრთ-ხოების დაცვა, პრივატიზების წარმართვა.

მომრიგებელი მოსამართლის სისტემის ორგანიზება, რომელიც ამ ეტაპზე არა თუ მუნიციპალურ უფლებამოსილებაში, ზოგადად ქვეყნის მასშტაბითაც კი ახლა იკიდებს ფეხს, არბიტრაჟის სახით. იმ დროინდელ თვითმმართველობას, ასევე, ჰქონდა უფლება შეექმნა შემნახველ-გამსესხებელი საზოგადოებები და წაეხალისებინა კოოპერაციები, რაც მოდერნიზებული სახით არსებობდა ადგილობრივი თვითმმართველობის კანონში და გამოიხატებოდა გრანტების გაცემის უფლებით, თუმცა მას შემდეგ რაც მიღებული იქნა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუნიციპალიტეტები შეიზღუდ-ნენ მსგავსი საქმიანობის განხორციელებაში.

გასაბჭოებისთანავე შეიცვალა საქართველოს ტერიტორიული მოწყობა, შეიქმნა ავტონომიები და რაიონები. შემოღებული იქნა მშრომელთა დეპუტატების საბჭოები. ტარდებოდა არჩევნებიც, თუმცა როგორც წესი ეს იყო ფასადური და ხშირ შემთხვევაში მხოლოდ ერთკანდიდატიანი, ხოლო პოლიტიკის განმსაზღვრელი და რეალური გადაწყვეტილების მიმღები იყო კომუნისტური პარტია, რომელსაც ასრულებდა ადგილობრივად არსებული „დემოკრატიული მმართველობის“ ორგანოები. ასეთი სისტემის არსებობამ, რომელიც ათწლეულები გაგრძელდა, მნიშვნელოვნად დააზიანა როგორც ზოგადად თვითმმართველობის სისტემა, ასევე, მენტალურად შეცვალა საზოგადობის პოლიტიკური კლასი, რისი შედეგებიც ნათლად ჩანს დამოუკიდებლობის შემდგომი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, როგორც ადგილობრივ, ასევე, ცენტრალურ დონეზე და რაც რეალურად ხელს უშლის ბევრი რეფორმის სრულფასოვან განხორციელებას.

თვითმმართველობა თანამედროვე საქართველოში

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, 1991 წელს საქართველოში იყო მცდელობა დაწყებულიყო თვითმმართველობის რეფორმა, თუმცა მიუხედავად მრავალპარტიული ადგილობრივი არჩევნების ჩატარების და თვითმმართველობის საკითხებში საზოგადოების ჩართვის მექანიზმების გაჩენის, მაინც ვერ შემსუბუქდა ცენტრალური

გავლენის მექანიზმები მუნიციპალიტეტებზე. ყოველგვარი მცდელობა და რეფორმა დასრულდა სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ და მხოლოდ 1997 წელს მიღებული კანონი „ადგილობრივი მმართველობის და თვითმმართველობის შესახებ“ და ამის ფონზე 1998 წელს ჩატარებული თვითმმართველობის არჩევნები გახდა პირველი ნაბიჯი დეცენტრალიზაციისკენ. თუმცა, კანონის სახელიდანაც კი იკითხებოდა, რომ ადგილობრივ დონეზე მმართველობით-თვითმმართველობითი ფორმა ინერგებოდა, რაც ცალსახად არ ასახავდა თვითმმართველობის არსს, სახეზე იყო ორმაგი ტიპის მმართველობის დანერგვა, როგორც თვითმმართველი, ასევე, მმართველი რგოლის. აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელების დანიშვნა კი ცენტრიდან ხდებოდა. მიუხედავად ამისა, 1998-2006 წლებში საქართველოში ფუნქციონირებდა არჩეული საკრებულოები და გამგებლები სოფლების, თემების დონეზე, რომლებსაც ჰქონდათ გარკვეული ფუნქციები, თუმცა არ ჰქონდათ შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფა და ხშირ შემთხვევაში მათი დაფინანსებული პროექტები სკოლების ექსკურსიების დაფინანსებით შემოიფარგლებოდა. 2006 წლიდან დაიწყო თვითმმართველობის განვითარების ახალი ეტაპი, როდესაც მიღებული იქნა კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ და პარალელურად გაუქმდა სათემო დონეზე თვითმმართველობები. ადგილობრივი მმართველობის სისტემის ბოლო რეფორმის ტალღა დაიწყო 2014 წელს. მიუხედავად საკანონმდებლო დონეზე გაწერილი ბევრი თვითმმართველობითი სიკეთის, რჩება რიგი საკვანძო საკითხები, რომელიც აფერხებს მის სათანადო განვითარებას, ფინანსურ თუ ქონებრივ დამოუკიდებლობას. თუმცა, რამდენად არის მზად ამისთვის ქვეყნის საჯარო-ადმინისტრაციული მოწყობა და თუნდაც საზოგადოება, ცალკე საკითხია.

რეგიონული მმართველობა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდანმოყვება

სხვადასხვა ფუნქციებით, რომელიც მეტ-ნაკლებად ყოველთვის წარმოადგენდა დე ფაქტო თუ დე იურე თვითმმართველობების მაკონტროლებელ ორგანოს. მსგავსი სახის მიდგომები ფიქსირდება პოლონეთში, სავოივოდეს ფუნქციებში, თუმცა ის რეგიონულ დონეზე გადაზღვეულია არჩევითი, მრავალფუნქციური მარშალის ოფისით.საქართველოში ბოლო

პერიოდის თვითმმართველობის რეფორმის ძირითადი თვალშისაცემი ცვლილებები გვხდება ფუნქციების გადანაწილებაში აღმასრულებელ და წარმომადგენლობით ორგანოებს შორის. ფუნქციები ნაწილდება მერსა და საკრებულოს

შორის და სასწორის პინა მოქმედი კანონმდებლობით აღმასრულებელი ორგანოს, მერის მხარესაა. მიუხედავად იმისა, თუ როგორ გადანაწილდება ფუნქციები, პირველ რიგში მნიშვნელოვანია ის უფლებამოსილებები რაც მუნიციპალიტეტს გააჩნია კანონმდებლობით და თუ როგორ გადანაწილდება ის უშუალოდ მის ორგანოებს შორის,სხვა მსჯელობის საკითხია.

როდესაც მიიღეს თვითმმართველობის კოდექსი საქართველოში, აქტიურად მიდიოდა საუბარი სასკოლო განათლების დეცენტრალიზაციაზე მუნიციპალურ დონეზე, თუმცა საბოლოოდ თვითმმართველობებს მხოლოდ ტექნიკური სახის მაკავშირებლები აქვთ სასკოლო განათლებასთან, ხოლო არანაირი კავშირი გააჩნიათპროფესიულ განათლებას.

როდესაც ვსაუბრობთ პრობლემებზე უფლებამოსილებების კუთხით, აქ საქმე გვაქვს ადმინისტრაციული დეცენტრალიზაციის გამოწვევებთან. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტია პირდაპირ მოითხოვს, რომ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისათვის მინიჭებული უფლებამოსილებაუნდა იყოს სრული და ექსკლუზიური თუმცა, მიუხედავად ამისა, ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ ხშირია შემთხვევები, როდესაც, თვით საკანონმდებლო რეგულაციების დონეზეც კი, აშკარად დარღვეულია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით განსაზღვრული საკუთარი უფლებამოსილებების ექსკლუზიურობისა და სისრულის ხსენებული პრინციპი.

პოლიტიკური დეცენტრალიზაციის თვალსაზრისით, დღემდე პრობლემურია ადგილობრივი ხელისუფლების სტრუქტურის საკითხი. ქართულმა კანონმდებლობამ ვერა და ვერ მოახერხა და ფეხი ვერ აუწყო ევროპული ქარტიის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა არის ერთიანი ხელისუფლება, რომელიც ხორცილდება ადგილობრივი წარმომადგნელობითი ორგანოსა და მის მიმართ ანგარიშვალდებული აღმასრულებელი ორგანოს მეშვეობით. მართალია, 1997 წლიდან მოყოლებული არაერთხელ შეიცვალა (მათ შორის, გაიზარდა) საკრებულოს უფლებამოსილებები, მაგრამ ფაქტია, რომ საკრებულო, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო, დღემდე არ არის ადგილობრივი პოლიტიკის მთავარი შემმუშავებელი და განმსაზღვრელი. მიუხედავად იმისა, რომ 2006წლიდან ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი რგოლის ხელმძღვანელი

– გამგებელი/მერი საკრებულოს მიერ ინიშნებოდა და, რომ, 2010 წლიდან 2014 წლამდე,

თვითმმართველი ერთეულის უმაღლეს თანამდებობის პირად (გარდა ქ. თბილისისა) საკრებულოს თავმჯდომარე განისაზღვრა, კანონმა საკრებულოს (საკრებულოს თავმჯდომარის) მიერ დანიშნულ გამგებელს/მერს ბევრი ისეთი პოლიტიკური უფლებამოსილება მიანიჭა, რაც დანიშნული მოხელისთვის შეუსაბამო იყო; ამან, თავის მხრივ, გაართულა გამგებლის/მერის ანგარიშვალდებულების შენარჩუნება საკრებულოს წინაშე და, გარკვეულწილად, კონფლიქტი წარმოშვა. ამასთან, იმ შემდგარი ფაქტის პირობებში, როდესაც, პრაქტიკულად, თითქმის ყველა თვითმმართველობაში უმრავლესობით მხოლოდ ერთი პარტია იყო წარმოდგენილი, გამგებლის/მერის დანიშვნაში საკრებულოს როლი ფორმალური იყო.

ორგანული კანონის რანგში 2014 წელს მიღებული ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით, საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში გამგებელი/მერი პირდაპირი წესით

არჩევითი თანამდებობა გახდა, მაგრამ, ამავე დროს, ეს პოსტი განისაზღვრა მუნიციპალიტეტის არა მარტო უმაღლეს თანამდებობად, არამედ აღმასრულებელ ორგანოდაც (ხოლო გამგეობის/მერიის სტატუსი კი დაყვანილი იქნა მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსადმი დაქვემდებარებულ დაწესებულებამდე, რომელიც უზრუნველყოფს გამგებლის/მერის უფლებამოსილების განხორციელებას). ეს მოცემულობა ნარჩუნდება დღევანდელ დღემდე, – მხოლოდ იმ უმნიშვნელო განსხვავებით, რომ დღეისათვის აღარ გვყავს გამგებლები და აღარ გვაქვს გამგეობები, რომელთა ადგილი საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში მერმა და მერიამ ჩაანაცვლა. ბუნებრივია, თვითმმართველობის დონეზე ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოს ასეთმა პარადოქსულმა განსაზღვრებამ და მუნიციპალიტეტის მერისთვის ერთპიროვნული გადაწყვეტილებების მიღების ამგვარი უფლებამოსილების მინიჭებამ საკრებულოს ისედაც სუსტი მმართველობითი როლი კიდევ უფრო მეტად შეასუსტა და ნომინალური გახადა. მოცემული მომენტისთვის, ფაქტიურად, საკრებულო არ არის მუნიციპალური პოლიტიკის განმსაზღვრელი და განვითარების დამგეგმავი ორგანო; ნაცვლად ამისა, იგი გადაიქცა მუნიციპალიტეტის მერის მიერ ინიციირებულ საკითხებზე რეაგირების ინსტრუმენტად.

მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებების განხილვის დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს პრიორიტეტების დოკუმენტის შედგენის პრინციპზე, სადაც გვხვდება სახელმწიფო რწმუნებული ადმინისტრაციის რგოლი და მათი ჩართულობა.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 76-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად , ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტს ადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო, შესაბამისი სახელმწიფორწმუნებულის ადმინისტრაციასთან კონსულტაციით. საბოლოოდ, აღნიშნული ნორმის შედეგად, სახეზეა თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების განსაზღვრაში საკრებულოს როლის დაკნინება და სახელმწიფო რწმუნებულის გავლენის ზრდა. ამასთან, თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების განსაზღვრა, თავისი ნორმატიული და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ხასიათის გამო, უნდა იყოს საკრებულოს და არა აღმასრულებელი რგოლის (მერი, მერია) კომპეტენცია.

დასკვნა

საქართველოს, ბევრი ევროპული ქვეყნისგან განსხვავებით, როგორც ქვეყნის ადმინისტრაციული მოწყობის, ასევე, თვითმმართველობის უფრო ღრმა და ძლიერი წარსული საფუძვლები აქვს. მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, ჯერ რუსულმა იმპერიამ და შემდეგ საბჭოთა კავშირმა ძლიერი დაღი დაასვა სახელმწიფოებრიობის განვითარებას, აღარ არსებობდა ახალი ქვეყნის შენების მენტალური მზაობა. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველომ ვერ შეძლო თუნდაც ისეთი სისტემის ჩამოყალიბება, სადაც თვითმმართველობების არსებული უფლებამოსილებებიც კი სწორად იქნებოდა გამიჯნული აღმასრულებელ და წარმომადგენლობით ორგანოებს შორის და საკრებულოს არ ექნებოდა ნოტარიუსის ფუნქცია, არამედ, რეალურად იქნებოდა მერის/მერიის მაკონტროლებელი. რეფორმების ჩატარების დროს, მნიშვნელოვანია სხვა ქვეყნის გამოცდილების გაზიარება, ოღონდ არა პირდაპირი კოპირებით. აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იყოს წარსული ისტორიული გამოცდილება, როგორც ეს პოლონეთმა გააკეთა, რათა ზუსტად იქნას შერჩეული თუ როგორ და რა მეთოდებით შეიძლება ესა თუ ის ერი მივიდეს და დაუახლოვდეს დასავლურ სტანდარტებს. ქვეყნის საუკეთესო შესაძლებლობებს მოარგო რეფორმები ლიეტუვამ, სადაც კონტინენტური ევროპის თუ სკანდინავიის ქვეყნების გამოცდილებებიდან შეძლო ამოეღოთ მათთან ყველაზე ახლოს მდგომი მოდელები. საკვლევი ქვეყნების მაგალითებზე დაყრდნობით, შესაძლებელია ვისაუბროთ გარკვეულ რეკომენდაციებზე, რომელთა გათავლისწინება ხელს შეუწყობს საქართველოში თვითმმართველობის სისტემის მეტ-

ნაკლებად კონსესუსური მიდგომისჩამოყალიბებას:

1. აუცილებელია განისაზღვროს რეგიონული მმართველობის რგოლის ფუნქციები. მაგალითად, როგორც პოლონეთში, მოხდეს მისი გაძლიერება დანიშნული გუბერნატორის ან/და სახელმწიფოს წარმომადგენლობითი ადმინისტრაციის სახით, ან რწმუნებული იყოს არჩევითი. სამხარეო რგოლის გაუქმება, ქვეყნის წარსული მმართველობითი სისტემის, მენტალური ყოფის და პოლიტიკური აწმყოს გათვალისწინებით, არასწორი იქნება.

2. თვითმმართველობების უფლებამოსილებები გახდეს უფრო მკაფიოდ განსაზღვრული და საკუთარ უფლებამოსილებებში, უნდა იყოს გათვალისწინებული ეკონომიკური დოვლათის შემქმნელი და მოსახლეობის საჭიროებებზე ზრუნვის შინაარსის მატარებელი ფუნქცია-მოვალეობები. მაგალითად, ადგილობრივი საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება, ტურიზმის განვითარება, დასაქმების ხელშეწყობა. განათლების, მათ შორის პროფესიული განათლების განვითარება. მიზნობირივი სოციალური პროგრამების განხორციელება.

3. უნდა განხორციელდეს ფისკალური დეცენტრალიზაცია, რომელიც გამყარებული იქნება კონსტიტუციით. ამ კუთხით შესაძლებელია ორი მიმართულებით წასვლა. პირველი, ცენტრალურ დონეზე მობილიზებული გადასახადები მეტი წილი დარჩეს მუნიციპალიტეტებში ან/და მუნიციპალიტეტებს ჰქონდეთ უფლება, საკუთარი გადაწყვეტილებით შემოიღონ, გააუქმონ ან შეღავათები დააწესონ გადასახადებზე, კონსტიტუციით და კანონით განსაზღვრულ ჩარჩოებში. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო კუთხით შეღავათების უფლება, მუნიციპალიტეტებს გახდის მეტად მოქნილს საინვესტიციო კუთხით, რადგან მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით, შეეძლებათ სხვადასხვა მოქნილი პაკეტების შემუშავება/შეთავაზება ინვესტორებისთვის. ფინანსური დამოუკიდებლობისკენ გადადგმული ნაბიჯები მუნიციპალურ დონეზე, არ უნდა ატარებს მხოლოდ ფასადურ ხასიათს და რეალურად, ადგილობრივი ბიუჯეტი გრძნობდეს ცვლილებს.

ლიტერატურა

1. ლოსაბერიძე დ, კანდელაკი კ, აბულაძე მ, კონჯარია ო, - „ადგილობრივი თვითმმართველობა“
2. http://www.ivote.ge/GREENCAUCASUS/wp-content/uploads/2016/12/Local Governance.pdf -
3. საქართველოს მთავრობის დადგენილება სახელმწიფო რწმუნებულის დებულების დამტკიცების შესახებ https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2097940?publication=0
4. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმოშობისა და განვითარების ძირითადი თეორიები - https://droa.ge/?p=40005
5. თვითმმართველობა საქართველოს პირველ რესპუბლიკაში (1818-1921) - https://bit.ly/3uBnSA1
6. საქართველოს ადგილობრივი განვითარების კვლევის ანგარიში (1991-2012) - https://droa.ge/wp-content/uploads/2013/07/adgilobrivi-demokratiis-ganvitarebis-angarishi- 1991-2012.pdf
7. საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, იხ. ბმულზე - https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=41 -
8. დეცენტრალიზაციის სტრატეგია, იხ. ბმულზე - https://matsne.gov.ge/ka/document/view/4764626?publication=0 -
9. ლოსაბერიძე დ, კანდელაკი კ, აბულაძე მ, კონჯარია ო, - „ადგილობრივი თვითმმართველობა“ - http://www.ivote.ge/GREENCAUCASUS/wp-content/uploads/2016/12/Local-Governance.pdf -

10. საქართველოს მთავრობის დადგენილება სახელმწიფო რწმუნებულის დებულების დამტკიცების შესახებ https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2097940?publication=0
11. საქართველოს კონსტიტუცია https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36
12. საქართველოს კანონი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ - https://matsne.gov.ge/ka/document/view/26332?publication=5
13. ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების ეტაპები საზღვარგარეთის ქვეყნებში - https://droa.ge/?p=40000
14. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმოშობისა და განვითარების ძირითადი თეორიები - https://droa.ge/?p=40005

Several Aspects of Formation of Effective Self-Governance in Georgia

Gvelebiani Vakhtang
PhD student at Georgian Technical University

Baghaturia Giorgi
Professor at Georgian Technical University

Summary

After dissolution of the Soviet Union, Georgia faced the need for comprehensive reforms. It was necessary to strengthen-create-modernize those institutions which would support building of sovereign, western state.

There had already been past experience of arranging state with self-governments in different forms and periods and this was not the novation for no culture or history. However, years of Soviet occupation and Russian imperialistic policy, caused significant damage to the self- governance as many other fields since the self-government existing during that period was radically lacking democratic methodology. Authority was choosing the people, determining their actions, submitting them to the tendencies of the vertical and not the other way around. In the first years after restoration of independence, there was an attempt of establishing self-governments, however, the reform failed. First law that regulated on the municipality level was adopted in 1997 and based on this law, two self-government elections were conducted with two-level self-governments. After that, the country transformed the legislative base and moved to one-level governance, which was effective for 2 election terms as well. Based on the self-government code adopted as a result of 2014 self-governance reform, by implementing the standards of decentralization and civic engagement, municipal governance moved to another phase mainly characterized with the directly elected mayors.

Keywords: Local self-government, regional government, central government, restoration of independence.

საჯარო მმართველობის შეზღუდვა
საკონსტიტუციო კონტროლის საშუალებით

დიღმელიშვილი იოსებ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის გავლენა საჯარო მმართველობით სფეროზე, რა დროსაც შესაძლოა სასამართლო თავად გვევლინებოდეს როგორც აქტიური სუბიექტი საჯარო სფეროში ან/და კონსტიტუციური გარანტიებით აღჭურვილი ორგანო, რომელიც კონსტიტუციურ ფარგლებში აქცევს სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობას. განსახილველი თემა შეეხება საკითხს, თუ როგორ ახდენს გავლენას სასამართლო გადაწყვეტილებები სახელმწიფო მმართველობაზე და ასევე რა ადგილი უკავია მათ სახელმწიფო მართვის სისტემაში.

საკვანძო სიტყვები: საკონსტიტუციო კონტროლი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო; საჯარო მმართველობა; სამართლებრივი სახელმწიფო.

შესავალი

სამართლებრივი სახელმწიფოს ორგანიზაციისა დაფუნქციონირების ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს კონსტიტუციის უზენაესობა, მისი პირდაპირი და ამასთანავე უშუალო მოქმედება სახელმწიფოში არსებულ ურთიერთობებზე, ასევე ყველა კანონსა თუ კანონქვემდებარე აქტზე. შესაბამისად, საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებლი ორგანოს მოქმედებისა და გავრცელების არეალი იმდენად ფართოა, რომ შეუძლებელია ყველა იმ სფეროს ამომწურავად ჩამოთვლა, რაც შესაძლოა მოექცეს საკონსტიტუციო სასამართლოს განხილვის სფეროში. მართლია საქართველოს კონსტიტუციაში (მე-60 მუხლი), ასევე საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ამომწურავად არის ჩამოყალიბებული თუ რა კატეგორიის დავებს იხილავს სასამართლო (მე-19 მუხლი), თუმცა ამის მიუხედავად, სახელმწიფოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს შეეხება საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს ზემოქმედება, რადგან ქვეყნის უზენაესი კანონი თავის თავში ყველა სფეროს მოიცავს და აერთიანებს. საკონსტიტუციო სასამართლო თავისი საქმიანობის განხორციელების დროს ხშირად სწორედ საჯარო მმართველობით საკითხებს ეხება, რა დროსაც მას განიხილავს ადამიანის უფლებების ჭრილში და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირდაპირ თუ ირიბ გავლენას ახდენს მმართველობით ორგანოებსა და მათ საქმიანობაზე.

ძირითადი ნაწილი

საკონსტიტუციო კონტროლის გავლენა სახელმწიფოს საჯარო მმართველობით საქმიანობაზე

კომპეტენციათა ანალიზის საფუძველზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ხელთ არსებული საკონსტიტუციო კონტროლის ფუნქციები შეიძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებად, კერძოდ:

1) უფლებამოსილებები, რომელთა ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციასთან ნორმატიული აქტების შესაბამისობაზე აბსტრაქტულ კონტროლს ახორციელებს, რაც კონსტიტუციის უზენაესობის უზრუნველყოფას ისახავს მიზნად;

2) უფლებამოსილებები, რომლებიც ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და

თავისუფლებების დაცვისაკენ არის მიმართული;

3) უფლებამოსილებები, რომელთა მიზანია სახელმწიფო ორგანოთა შორის ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ჭრილში კონსტიტუციური უფლებამოსილებების გამიჯვნა-დანაწილების უზრუნველყოფა, ამ ორგანოებს შორის კომპეტენციური მნიშვნელობისა და სხვა სახის საკითხების გადაჭრა;

4) უფლებამოსილებები, რომელთა მიზანია კონსტიტუციურ ურთიერთობათა სუბიექტების ქმედებათა კონსტიტუციურობის დადგენა;

5) უფლებამოსილებები, რომელთა მიზანია საქართველოში წარმომადგენლობითი მმართველობის უზრუნველყოფა (დემეტრაშვილი, 1997).

1995 წლის საქართველოს კონსტიტუციამ პირველად შემოიტანა საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი საკონსტიტუციო სასამართლოს სახით. შესაბამისად, სწორედ ეს უკანასკნელი დგას კონსტიტუციის სადარაჯოზე იმგვარად, რომ საჯარო მმართველობის დროს პირის (პირთა) უფლებების დარღვევის შემთხვევაში, შეუსაბამო კანონები ან მათი ნორმატიული შინაარსი კონსტიტუციურ კონტროლის გზით არაკონსტიტუციურად იქნეს ცნობილი. იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფო ხელისუფლება სამი შტოს ურთიერთქმედების შედეგად იქმნება, თითოეულ მათგანს აქვს რა თავისი ფუნქცია, სხვადასხვა კუთხით ეხება საჯარო მმართველობას და მათი შეხება ქმნის მმართველობით საქმიანობას. მათგან განსხვავებით აბსოლუტურად განსხვავებული ფუნქცია აქვს საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელიც სამივე შტოზე მხოლოდ საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებით შემოიფარგლება.

საქართველოს კონსტიტუცია წარმოადგენს ხალხის ნების გამომხატველ წერილობით დოკუმენტს საზოგადოებრივი წესწყობილებისა თუ სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობასთან დაკავშირებით. სწორედ სამართლებრივი სახელმწიფო არის ისეთი სახელმწიფო, სადაც საჯარო მმართველობა მოქმედებს შესაბამისი კანონების საფუძველზე. თავად კანონებიც წინასწარ განსაზღვრული პროცედურის შედეგად მიიღება და ამით გარკვეული „წრე“ იკვრება, რომელშიც საჯარო მმართველობა ხალხის ნების შესაბამისად ხორციელდება საზოგადოებრივი თუ სახელმწიფოებრივი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კანონი ყოველთვის არ არის „სამართლიანი“ და შესაძლოა სპეციალური, წინასწარ განსაზღვრული წესების სრული დაცვითაც იყოს მიღებული, მაგრამ პირთა უფლებებს ლახავდეს და არღვევდეს. მაგალითვისთვის შესაძლებელია ფაშისტური გერმანიის კანონების მოშველიება, როდესაც მთელი სახელმწიფო აპარატი, მთელი საჯარო მმართველობა მხოლოდ კანონის საფუძველზე მოქმედებდა, მაგრამ თავად ეს კანონი არ იყო „ვალიდური“ იმ კუთხით, რომ რეალურად ისინი საზოგადოებისთვის საჭიროებას არ წარმოადგენდნენ, მათ რეალურ და ნამდვილ ნებას არ შეესაბამებოდნენ და არ გამოხატავდნენ. ამიტომ, როდესაც ვსაუბრობთ საჯარო მმართველობის შედეგად შექმნილ სამართლებრივ სახელმწიფოზე, აუცილებელია კანონის უზენაესობა არამხოლოდ ხალხის რეალურ ნებას გამოხატავდეს, არამედ ამავდროულად იცავდეს კიდეც თითოეულ ინდივიდს.

იმისთვის, რომ საჯარო მმართველობამ თავისი ფუნქცია შეასრულოს, აუცილებელია, რომ ასეთი მმართველობის განმახორციელებელი ორგანოები, ასევე მათი საქმიანობა კანონის შესაბამისად ზუსტად იყო მოწესრიგებული. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს კონსტიტუცია ქვეყნის უმაღლესი, უზენაესი კანონია და ყველა სხვა კანონი თუ კანონქვემდებარე აქტი უნდა შეესაბამებოდეს და გამომდინარეობდეს მისგან, ხოლო საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების დროს კონტროლის განმახორ-ციელებლი ორგანო სადავო ნორმას სწორედ კონსტიტუციასთან შესაბამისობის კუთხით განიხილავს, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ კანონების კონსტიტუციურ კონტროლს დაქვემდებარება, პირდაპირ თუ ირიბად საჯარო

მმართველობაზე ახდენს გავლენას.

სასამართლოს უფლებამოსილება, შეამოწმოს აქტის შესაბამისობა კონსტიტუციასთან, ამერიკის შეერთებულ შტატებში მოიხსენიება, როგორც სასამართლო გადახედვა - Judicial Review, კონტინენტური სამართლის ქვეყნებში კი მას საკონსტიტუციო კონტროლს უწოდებენ (ტაშჩეტი, 2016).

საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებლი ორგანოს, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა, კონსტიტუციის განმარტება და კონსტიტუციაში არსებული ნორმა-პრინციპებზე დაყრდნობით სავალდებულო კონსტიტუციურ სტანდარტების გამოკვეთა და მათი დაცვა, ამოქმედება ყოველდღიურ საზოგადოებრივ თუ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. სწორედ მათზე დაყრდნობით ხდება ადამიანის ფუნდამეტური უფლებების დაცვა სამართლიან სახელმწიფოში ანუ იმ სახელმწიფოში, სადაც საჯარო მმართველობა შეესაბამება ხალხის ნებას თითოეული ინდივიდის დაცვის ხარჯზე. სწორედ თავისი საქმიანობის დროს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ცდილობს დაიცვას ზღვარი ნეგატიურ და პოზიტიურ კანონშემოქმედებას შორის, რა დროსაც ხშირად მიმართავს თვითშებოჭვას, რაც არამხოლოდ მისი გადაწყვეტილებების სატაბილურობას იწვევს, არამედ წინასწარი შედეგი მხარეებისთვის თითქმის ყოველთვის ცნობილია, რა თქმა უნდა, გამონაკლისების გარდა, როდესაც სასამართლოს დღის წესრიგში ისეთი საკითხის გადაწყვეტა ხდება, რომელიც მანამდე არ ყოფილა მსჯელობის საგანი.

აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლო კანონის არაკონსტიტუციურად ცნობითა და მისი გაუქმებით „ნეგატიური კანონდებლის“ როლში გვევლინება, თუმცა ასევე უნდა აღინიშნოს, რომ თავისი ფუნქციების განხორციელების დროს იგი უფლებამოსილია გასცეს რეკომენდაციები კანონმდებლობის სრულყოფისათვის, რაც მას სამართალშემოქმედებით ორგანოდ აქცევს.

საკონტიტუციო სასამართლოს საჯაროსამართლებრივ ცხოვრებაზე ზემოქმედები კიდევ ერთ მაგალითად შესაძლებელია მივიჩნიოთ ის საკითხი, რომ მას არ შეუძლია შეცვალოს კონსტიტუცია, თუმცა უფლება აქვს და კონკრეტული სადავო საკითხის გადაწყვეტის დროს მოახდინოს სადავო ნორმის იმგვარი განმარტება, რომ შეეხოს მის შინაარსობრივ მხარეს, რაც სავალდებულოდ შესასრულებელი ხდება არამხოლოდ მოდავე მხარეების მიერ, არამედ სახელმწიფოში არსებული ყველა სუბიექტისა და პირველ რიგში, თავად სახელმწიფოს მიერ. საკონსტიტუციო კონტროლი შესაძლოა იყოს პრევენციული ან რეპრესიული ხასიათის. პრევენციული კონტროლი გულისხმობს აქტის ძალაში შესვლამდე მის შემოწმებას და შესაბამისობის დადგენას კონსტიტუციასთან, ხოლო რეპრესიული ხასიათის კონტროლი გულისხმობს აქტის კონსტიტუციურობის საკითხის განხილვას მისი ძალაში შესვლის შემდგომ. პრევენციული კონტროლი უზრუნველყოფს, რომ წინასწარ მოხდეს საეჭვო აქტის გამოვლენა. საკონსტიტუციო სასამართლო წინასწარ კონტროლს ახორციელებს მაგალითად მაშინ, როდესაც განიხილავს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს რატიფიცირებამდე (კახიანი, 2008).

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ თავისი ფუნქციის განხორციელების დროს ნებისმიერი სახის კონტროლის გამოყენება მას იმ განსაკუთრებულ სუბიექტად აქცევს, რომელსაც მართალია სასამართლო ხელისუფლების ნაწილად მოიაზრებენ, თუმცა პრაქტიკულად იგი სცდება ასეთ ფარგლებს და სამივე შტოზე დიდი ზეგავლენის მატარებლად გვევლინება, ამავდროულად კი „თვითშეზღუდვით“ თავის გადაწყვეტილებებზეც ახდენს გავლენას.

დასკვნა

საკონსტიტუციო სასამართლო არის სამართლის პოლიტიკის განმახორციელებელი ერთ-

ერთი მნიშვნელოვანი სუბიექტი. აუქმებს რა კანონს, იგი ავტომატურად ცვლის სამართლებრივ რეალობას, ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობით ხელისუფლების ნებას ძალადაკარგულად აცხადებს. იგი თავისი საქმიანობით პოლიტიკის ზღვარზე გადის, შესაბამისად სასამართლო გარკვეულწილად გავლენას ახდენს ხელისუფლების მიერ გასატარებელ პოლიტიკაზე (ერემაძე, 2015).

უნდა აღინიშნოს, რომ საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებლი ორგანო პოლიტიკისაგან დაცვლილი და ნეიტრალური ორგანო უნდა იყოს, რომელიც მხოლოდ კონსტიტუციის უზენაესობას ემსახურება, თუმცა ნებით თუ უნებლიეთ იგი სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილად და საჯარო ხელისუფლების ისეთ სუბიექტად გვევლინება, რომელიც თავისი გადაწყვეტილებებით ზოგჯერ პირდაპირ და ზოგჯერ ირიბად, გავლენას ახდენს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაზე და ხანდახან თავად „ქმნის“ ნორმას, განმარტავს რა მის შინაარსს. „ნეგატიური კანონმდებლის“ სტატუსით თუ რეკომენდაციების გაცემით სამართალშე-მოქმედებითი ორგანოს თვისებებს იძენს, ხოლო სადავო ნორმის შინაარსობრივი განმარტებით კი შეუძლია ქვეყნის უზენაეს კანონზე ზემოქმედება.

ამდენად, სადავო ნორმის ნორმატიული შინაარსის განმარტებითა თუ კანონის გაუქმებით სასამართლო სამართლებრივ რეალობაში „იჭრება“ და სახელმწიფო ორგანოებსა და მათ საქმიანობას „კონსტიტუციურ ჩარჩოში“ ათავსებს და პირდაპირ გავლენას ახდენს საჯარო მმართველობაზე.

ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია
2. საქართველოს ორგანული კანონი“ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“
3. დემეტრაშვილი ა., ,,საკონსტიტუციო კონტროლის ქმედითობის პრობლემები”, ა/კ №1/1997
4. ერემაძე ქ., დემოკრატიის გამოწვევები და საკონსტიტუციო სასამართლოს როლი დემოკრატიის ძიების პროცესში, ჯ. ხეცურიანისა და გ. კვერენჩხილაძის რედაქტორობით, თბილისი, 2015
5. კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი (დისერტაცია), თსუ, თბილისი, 2008
6. ტაშნეტი მ., შედარებითი კონსტიტუციური სამართლის საწყისები, (მთარგმნელი ვ. გოგელია), თბილისი, 2016

Restriction of Public Administration Through Constitutional Control

Digmelishvili Ioseb
PhD student at Georgian Technical University

Summary

The presented article discusses the impact of the activities of the Constitutional Court of Georgia on the sphere of public administration, while the court itself can act as an active subject of the public sphere and / or a body with constitutional guarantees that regulates the activities of state bodies. The subject of discussion is how court decisions affect public administration, as well as their place in the public administration system.

Keywords: Constitutional control, Constitutional Court of Georgia; public administration; Rule of law.

ინკლუზიური განათლების მნიშვნელობა სკოლაში

დურგლიშვილი ლალი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრანტი

რევაზიშვილი თამარ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

განათლების სფეროში დამკვიდრებული წარმოდგენები იმის შესახებ, თუ როდის იწყებენ ბავშვები მრავალფეროვნების აღქმას, განვითარების ფსიქოლოოგიის,როგორც ბავშვის განვითარების კვლევის დომინანტური სფეროს, მტკიცებულებებს ემყარება.

სოციალური მრავალფეროვნების აღქმა ესაა პროცესი, რომელიც გულისხმობს ბავშვის მიერ იმ გამოცდილების მიღებას, შეგრძნებასა და აღქმას ადრეული ასაკიდან, რომ თოთოეული ადამიანი არის უნიკალური და განსხვავებული. ამავე დროს ეს ინდივიდები,ინდივიდთა ჯგუფები, სოციუმები ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებულია.

სოციალური მრავალფეროვნება, კი ადამიანების მსგავსებათა და განსხვავებულობათა კრებითი მოცემულობაა, რომელიც როგორც ინდივიდთა, ისე ინდივიდთა ჯგუფების მიერ ურთიერთშესწავლის, ერთმანეთისაგან სწავლის, ერთმანეთის საჭიროებების და ინტერესების აღმოჩენისა და გაგების საწინდარია.[1]

საკვანძო სიტყვები: ინკლუზიური განათლება, კომპეტენცია,შშმ პირთა ჩართულობა საგანმანათლებლო პროცესში.

შესავალი

ადამიანთა ყოფის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს განათლება წარმოადგენს. განათლების თავისუფლად მიღების და მისი ფორმის არჩევის უფლება საქართველოს კონსტიტუციითაა გარანტირებული.[2]

ყველა ბავშვს მიუხედავად მისი საგანმანათლებლო საჭიროებისა მნიშვნელოვანია, რომ ჰქონდეს საშუალება: ისწავლოს ზოგად საგანმანათლებლო სკოლაში საცხოვრებელ სახლთან ახლოს; მიიღოს სრულყოფილი ცოდნა აკადემიურ და სოციალურ უნარებზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამის მეშვეობით; ჩართული იყოს უწყვეტ საგანმანათლებლო პროცესში; მონაწილეობა მიიღოს სკოლისა და საზოგადოების აქტივობის ნებისმიერ ასპექტში; იყოს სრულფასოვანი მოსწავლე და შეძლოს საკუთარი პოტენციალის მაქსიმალურად განვითარება.

ძირითადი ნაწილი

ინკლუზიური განათლება

,,ყველას აქვს განათლების უფლება“ ვკითხულობთ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში, რაც იმას ნიშნავს, რომ განათლება ისეთივე მნიშვნელოვანი ფუნდამ-ენტური საჭიროებაა, როგორც სოცოცხლის უფლება, პირადი ხელშეუხებლობა და ა.შ.[3]

საყოველთაოდ აღიარებული ეს უფლება უნდა განხორციელდეს ყოველთვის ისეთ სამყაროშიც კი, სადაც ინდივიდები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ფიზიკური, სოციალ-ური, ლინგვისტური, შემეცნებითი, რასობრივი, გენდერული, რელიგიური თუ სხვა მახასიათებლებით, ინტერესებით, უნარებით, საჭიროებებით თუ შესაძლებლობებით. თითოეული ასეთი განსხვავებული ტიპოლოგიის ინდივიდისათვის განათლების ხარისხი-ანი წვდომისა და მონაწილეობისათვის არსებითია მათი ჩართულობა ანუ ინკლუზია. სიტყვა ინკლუზია ჩართვას

ნიშნავს. ინკლუზიური განათლება-არის საგანმანათლებლო მიდგომა და იდეა, რომლის ფარგლებშიც განათლების სისტემა უზრუნველყოფს ყველა ბავშვის თუ მოზარდის ხარისხიან განათლებას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებუ-ლებაში იმის მიუხედავად, თუ რა ფიზიკური, შემეცნებითი, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური, სქესობრივი თუ სხვა მახასიათებელი გააჩნია.[4]

სიტყვამ ,,იკლუზია" თანამედროვე საზოგადოებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა, ადამიანის ცხოვრების ყველა მიმართულება მოიცვა და საკვანძო ცნებად იქცა განათლების სფეროში. მრავალფეროვან სამყაროში ინკლუზიური განათლება უზრუნვე-ყოფს სხვადასხვა შესაძლებლობის მქონე ინდივიდთა თანაბარ ჩართვას საგანმანათლებლო პროცესში, რათა დაკმაყოფილდეს ადამიანის ერთ-ერთი ფუნდამენტური განათლების უფლება.

ინკლუზიური განათლება არ გულისხმობს მხოლოდ ფიზიკურ, გონებრივ და ინტელექ-ტუალური შეზრუდვის მქონე ბავშვების და მოზარდების ინტეგრაციას ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში. ის წარმოადგენს უწყვეტ ჯაჭვს- თანმიმდევრულ პროცესს, რომელიც საჭიროებს დროს, პოლიტიკურ ნებას და სამოქალაქო საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას.[5]

კანონი ,,ზოგადი განათლების შესახებ" ინკლუზიურ სწავლებას საქართველოს განათლების სისტემის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად ასახელებს და განამტკიცებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა ჩართულობას ზოგადსაგ-ანმანათლებლო პროცესში სხვა მოსწავლეებთან ერთად.[6]

ბავშვის უფლებათა ასეთ ფართო აღიარებას მხოლოდ თეორიული საფუძველი არ გააჩნია. მსოფლიოს თითოეულ ქვეყანაში ბავშვის უფლებები განმტკიცებულია კონკრეტული ღინისძიებებით საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და აღმასრულებელ დონეზე.მრავალი ბავშვი განიცდის სწავლასთან დაკავშირებულ სირთულეებს, რაც გამოწვეულია ბავშვის ფიზიკური, ინტელექტუალური, ემოციური, ლინგვისტური თუ სხვა მდგომარეობით. სწავლის პროცესში სირთულეები შეიძლება შეექმნას ჯანმრთელ, ნიჭიერ ბავშვსაც, მომუშავე და ქუჩის ბავშვებს, ეთნიკურ უმცირესობის და სხვა ჯგუფის წარმომადგენლებს. ამიტომ ნებისმიერი ცივილიზებული ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემა ვალდებულია შექმნას ყველა ბავშვისთვის წარმატებული სწავლების გზები.

ინკლუზიური განათლება აღიარებს მრავალფეროვნებას და განსხვავებულობის აუცილებ-ლობას მოსწავლეების სწავლების პროცესში. განსხვავებული საგანმანათლებლო შესაძლებ-ლობებისა და საჭიროებების, მქონე მოსწავლეებისგანათლება, კი რასაკვირველია, სწავლების განსხვავებული მიდგომების, სტრატეგიებისა და მეთოდების გამოყენებას გულისხმობს. ყველა ბავშვის მიმართ სწავლებისა და ქცევის ერთნაირი მეთოდების და სტრატეგიების გამოყენება უარყოფს ბავშვებს შორის განსხვავებულობას და მათ ინდივიდუალურობას.

განსხვავებული საგანმანათლებლო შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებთან ინკლუ-ზიური სწავლების გამოყენება ერთის მხრივ არაპროფესიონალური მიდგომაა, ხოლო მეორეს მხრივ, არ უზრუნველყოფს ყველა მოსწავლისათვის ერთნაირ სასწავლო შედეგს. შესაბამისად განათლების სისტემაში სკოლა წარმატებულად ითვლება, თუ მას შესწევს უნარი განურჩევლად ყველა მოსწავლე უზრუნველყოს შესაბამისი განათლებით. სწორად დაგეგმილი ინკლუზიური განათლების პირობებში კი ყველა მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა სრულად მოახდინოს საკუთარი პოტენციალის რეალიზება.

ინკლუზიური განათლების დანერგვა სკოლისაგან გარკვეული ამოცანების და საკითხების გადაჭრად მოითხოვს:

- სკოლაში ჩართულმა ყველა ადამიანმა უნდა მიმართოს ერთობლივ ძალისხმევას ინკლუზიური განათლების დასამკვიდრებლად სკოლის სივრცეში, ინკლუზიური

განათლების იდეას უნდა იზიარებლეს ყველა სკოლა;

- ინკლუზიურმა გარემომ უნდა აღიაროს და გაითვალისწინოს მოსწავლის მრავალ-ფეროვანი საჭიროებები. სკოლამ უნდა შეძლოს სწავლის განსხვავებული სტილით და სტრატეგიის გამოყენებით სწავლების უზრუნველყოფა;
- სკოლის გარემომ უნდა შეძლოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების შესაბამისი მხარდაჭერა და საჭიროების შემთხვევაში საგანმანა-თლებლო პროცესში ჩართოს შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტები;
- სკოლა დაინტერესებული უნდა იყოს პედაგოგების უწყვეტი პროფესიული განვითა-რებით და მომზადებით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავ-ლეებისათვის შესაბამისი მხარდაჭერის აღმოსაჩენად;
- სკოლას უნდა ჰყავდეს მოტივირებული პედაგოგები, რომლებსაც ექნებათ უწყვეტი ურთიერთობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების მშობლებთან. სკოლამ ხელი უნდა შეუწყოს მშობლებს, რათა ისინი მეტად აქტიურად ჩაერთონ საკუთარი შვილების სწავლის პროცესში;
- სკოლამ უნდა შექმნას შესაბამისი ფიზიკური გარემო და საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს სხვადასხვა ტექნოლოგიები.[7]

ინკლუზიური განათლების მიდგომის თანახმად, უმთავრესი პრიორიტეტია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების ზოგადსაგა-ნმანათლებლო სკოლასა და მის სასწავლო პროცესში ჩართვა. უნდა მოხდეს მოსწავლეების სპეციალიზებულ სკოლებსა და კლასებში მოსწავლეების გადანაწილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზოგადსაგანმანათლებლო კლასებში ჩართულობა ვერ უზრუნველყოფს ბავშვის საგანმანათლებლო თუ სოციალურ საჭიროებებს ან როცა ეს აუცილებელია ამ ბავშვის, ან სხვა ბავშვების კეთილდღეობისათვის. ამ შემთხვევაში მშობლებს აქვთ უფლება, მიიღონ კვალიფიციური და ამომწურავი კონსულტაცია განათლების იმ ფორმის შესახებ, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება საკუთარი შვილის საჭიროებებს, რათა გააკეთონ სწორი არჩევანი.

სკოლები, რომლებიც სრულად იზიარებენ ინკლუზიური განათლების მიდგომებს, დისკრიმინაციული დამოკიდებულებების წინააღმდეგ ბრძოლის, კეთილგანწყობილი გარემოს შექმნის ყველაზე ეფექტური საშუალებაა. ინკლუზიური განთლება კი ინკლუზიური საზოგადოების ფორმირების აუცილებელი წინაპირობაა.

ყველა საჯარო სკოლაში თუ კი ამის საჭიროება არსებობს, მიმდინარეობს ინკლუზიური განათლების პროგრამით სწავლება. დღეს სკოლებში ინკლუზიურ სწავლებასთან მიმართებაში უფრო კარგი მდგომარეობაა, რადგან სპეციალურ საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობს ინტერდისციპლინარული ჯგუფი: სპეც მასწავლებელი, დამრიგებელი, ფსიქოლოგი და სოციალური მუშაკი. თანდათან იცვლება საზოგადოების დამოკიდებულებაც, თუმცა მაინც შესაძლებელია მოვისმინოთ მასწავლებლებისგან ,,მე მყავს ინკლუზიური ბავშვი", ,,ინვალიდ ბავშვს ვასწავლი", საწყალი, ავადმყოფი ბავშვი მყავს ჯგუფში", და ა.შ. ხშირად სწორედ ასეთი მასწავლებლებისა და მშობლების მიმართვები და დამოკიდებულებები შშმ პირების მიმართ, განაპირობებს ბავშვების დამოკიდებულებას მათი თანატოლების მიმართ,რრომელთაც რაიმე შეზღუდვა აქვთ.

მწვავე პრობლემად რჩება ისევ ინკლუზიური განათლების პროცესის დანერგვა სკოლამდელი განათლების სივრცეში. აუცილებელია ბავშვებს მცირე ასაკიდან ჰქონდეთ ერთად ყოფნის და განათლების მიღების შესაძლებლობა, მიუხედავად მათი განსაკუთრებული საჭიროებებისა. საბავშვო ბაღები მუნიციპალური თვითმმართველობის დაქვემდებარებაშია და განათლების სამინსტრო სამწუხაროდ ვერანაირ ჩარევა ს ვერ ახორციელებს.

სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს თანაბარი შესაძლებლობების შექმნა განათლების მისაღებად, ამასთანვე სახელმწიფოს მიერ უნდა იქნეს უზრუნველყოფილი ადაპტირებული გარემო, რომელშიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდები შეძლებენ სოციალიზაციას და იქნებიან ისეთივე ფუნქციურები, როგორც არიან ჩვეულებრივი, ტიპიური განვითარების მოზარდები.

ამასთანვე ყველაზე მთავარ და მნიშვნელოვან როლს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება წარმოადგენს, რაც აუცილებლად უნდა შეიცვალოს და საზოგადოებამ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები უნდა აღიქვას, როგორც განსხვავებული ინდივიდი და არ უნდა გარიყოს ისინი. [8]

საზოგადოება, როგორც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სოციალიზაციის ბარიერი, ხშირ შემთხვევაში ძნელი გადასალახია, თუ ეს ბარიერი იქნება დაძლეული შეზღუდული შესაძლებლოის მქონე მოზარდები შეძლებენ გახდნენ საზოგადოების სრულფასოვანი წევრები და იყვნენ ფუნქციურები. მათი ინტერესები და შეხედულებები აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული.

დასკვნა

ვინაიდან ინკლუზიური სწავლების მთავარი დანიშნულება მოსწავლის სოციალური უნარ-ჩვევების, ქცევის, ცოდნის, მოქმედების ფუნქციების გაუმჯობესებაა, რათა ინდივიდებმა მიაღწიონ თვითრეალიზაციას და გახდნენ საწოგადოების აქტიური და პროდუქტიული წევრები, აუცილებელია შემუშავბული იქნეს სახელმწიფო დონეზე ინკლუზიური სწავლების ისეთი სისტემა, რომელიც იქნება ეფექტური, ბენეფიციარზე მორგებული და ხელმისაწვდომი ყველა მოსწავლისათვის.

ლიტერატურა

1. ადრეული ინკლუზიური განათლება-სახლემძღვანელო პრაქტიკოსებისათვის (ნაწილი მეორე) რას უნდა ვითვალისწინებდეთ ხარისხიანი ინკლუზიური ადრეული განათლების შესაქმნელად;
2. ,,საქართველოს კონსტიტუცია“;
3. ,,ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“;
4. ინკლუზიური განათლება- ცნებები და განმარტებები 2011 წ. ;
5. ინკლუზიური პროფესიული განათლების წარმატებული გამოცდილება 2007 წ.;
6. საქართველოს კანონი ,,ზოგადი განათლების შესახებ“;
7. ინკლუზიური განათლება- გზამკვლევი მასწავლებელთათვის 2011-2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით;
8. მარიამ ოდოშაშვილი- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სოციალიზაცია დღის ცენტრისა და საჯარო სკოლის მაგალითზე, 2019წ.

The importance of inclusive education in school

Durglishvili Lali
Master's Student at Georgian Technical University

Revazishvili Tamar
Assot. Professor at Georgian Technical University

Summary

The established notions in the field of education about when children begin to perceive diversity are based on evidence from deveelopmental psychology as the dominant field of child development research.

Perseption of social diversity is a process that involves a child gaining the exsperience, feeling and perception from an early age that each person is unique and different. At the same time these individuals,groups of individuals,societies are in interconnected and interdependent.

Social diversity is a collective data of human similarities and differences, which is a prepequisite for mutual study, learning from each other, discovering and understanding each others needs and interests by both individuals and groups of individuals.

Keywords: inclusive education, competence, involvement of persons with disabillities in the Educational process.

ინოვაციური პოლიტიკის თეორიული ასპექტები სახელმწიფო მმართველობაში

იაშვილი გენადი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

წვერავა ზაზა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

წვერავა ლაშა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

თანამედროვე სახელმწიფოს მართვასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის სისტემური მიდგომის გზა, უნდა გადიოდეს ამ პრობლემების წარმოქმნისა და მისი გაღრმავების საფუძვლების განსაზღვრითა და იდენტიფიცირებით. დღეისათვის ასეთი საფუძვლების განსაზღვრა აქტუალურს ხდის ინოვაციის ფაქტორს, რომელიც ერთი მხრივ, ყოველთვის განიხილება პროგრესის კატალიზატორად და მეორე მხრივ გვევლინებაა მისმიერვე წარმოქმნილ სოციალურ-ეკონომიკურ წინაამღდეგობებში

სტატიაში განხილულია თანამედროვე სახელმწიფო მართვაში ინოვაციური პროცესების თეორიული ასპექტები, თანამედროვე სახელმწიფოს მართვის განვითარ-ებისა და დახვეწის მიზნით ინოვაციური მეთოდების დანერგვის აქტუალურობასთან დაკავშირებული საკითხები. ნაშრომში ინოვაცია განიხილება არა მხოლოდ როგორც ფუნდამენტალური, გამოყენებითი კვლევების, ახლის გამოგონებებისა ან ექსპერიმენტალური ნაშრომების შედეგი ტექნიკურ სფეროში, არამედ დღეისათვის, ის ასევე განიხილება მმართველობითი საქმიანობის სფეროშიც, როგორც მისი ეფექტიანობის ამაღლების საშუალება. ინოვაცია სახელმწიფო მართვაში უნდა წარმოადგენდეს ახალი პრობლემების ეფექტიანი და ინოვაციური გადაწყვეტილებების ძიების ან ძველი პრობლემების ახლებურად გადაწყვეტის პროცესს. გაანალიზებულია ინოვაციურ პროცესთან და ინოვაციურ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა მეცნიერების შეხედულებები და დასკვნები.

საკვანძო სიტყვები: ინოვაცია, ინოვაციური პოლიტიკა, პსევდოინოვაცია, სახელმწიფო მართვა.

შესავალი

ინოვაციური პოლიტიკის თეორიული ასპექტები სახელმწიფო მმართველობაში

თანამედროვე სახელმწიფოს მართვასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის სისტემური მიდგომის გზა, უნდა გადიოდეს ამ პრობლემების წარმოქმნისა და მისი გაღრმავების საფუძვლების განსაზღვრითა და იდენტიფიცირებით. დღეისა-თვის ასეთი საფუძვლების განსაზღვრა აქტუალურს ხდის ინოვაციის ფაქტორს, რომელიც ერთი მხრივ, ყოველთვის განიხილება პროგრესის კატალიზატორად და მეორე მხრივ გვევლინებაა მის მიერ წარმოქმნილ სოციალურ-ეკონომიკურ წინაამღდეგობებში. ამ წინაამღდეგობების დაძლევა შესაძლებელია ინოვაციის ანალიზით და ამ ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნების ეკონომიკური თეორიის ფარგლებში და ინოვატიკის პოლიტიკურ ასპექტში განხილვით.

ზოგადად ინოვატიკის ცნების წარმოშობა ეკონომიკას უკავშირდება, უფრო სწორედ მეწარმეობის განვითარებას, მაგრამ ამ თემისადმი განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მსოფლიო დონის მეცნიერების რუსი ნიკოლაი კონდრატიევისა და ავსტრიელი იოზეფ

შუმპეტერის თეორიების გამოჩენამ. ნ.კონდრატიევის მოძღვრება `ეკონომიკური კონიუნქტურის დიდი ციკლების თეორიის~ (გრძელი ტალღების აწევა და დაწევა) [1] აღწერამ ბიძგი მისცა სხვადასხვა მეცნიერთა მხრიდან, ამ ტალღების წარმოშობის მიზეზთა კვლევასა და მაკრო ეკონომიკურ პროცესების მიმდინარეობაზე ინოვაციების გავლენის დადგენას. ნ.კონდრატიევის იდეებზე დაყრდნობით ი.შუმპე-ტერმა მოახდინა ისეთი ცნებების პოპულარიზაცია, როგორიცაა „ეკონომიკური განვითარება“ და „ინოვაცია“, ამ უკანასკნელს კი მისცა თავისი ახალი განმარტება, რაც ნიშნავს - „სიახლეს“, რომელსაც მეცნიერი ეკონომიკური პროგრესის ძირითად კატალიზატორად და დამაჩქარებელ ფაქტორად მიიჩნევს[2].

ძირითადი ნაწილი

სამეცნიერო ლიტერატურაში ინოვაციის სხვადასხვა განმარტება არსებობს. მეცნიერები მის ინტერპრეტაციას როგორც წესი მათი ინტერესების სფეროდან გამომდინარე აკეთებენ. თუმცა ძირითადად ცნობილია საზოგადოებრივ პროცესების სხვადასხვა ასპექტებზე ინოვაციური ზემოქმედების შესახებ კვლევები, რომლებიც სხვადასხვა ეპოქაში ხდებოდა.

ისეთი მეცნიერი როგორიცაა პიტერ ფერდინანდ დრუკერი აქცენტს აკეთებდა ორგანიზაციის საბოლოო შედეგზე, რის საფუძველზედაც მან ჩამოაყალიბა „მიზნების მიხედვით მართვის კონცეფცია“ მისთვის მნიშვნელოვანი იყო მომავლის ხედვა და ინოვაციური საქმიანობა. მეცნიერი ასევე თვლიდა, რომ ინოვაციურ თემატიკაზე კვლევების ჩატარებისას გარკვეულ სირთულეს წარმოადგენდა ტერმინი `ინოვაციის~ ცალმხრივი ინტერპრეტაცია ინგლისურიდან პირდაპირი თარგმანის გამო, თუმცა დღეისათვის ტერმინი “ინოვაციის“ ცნების გააზრებამ გაცილებით უფრო ფართო მნიშვნელობა შეიძინა სხვადასხვა მეცნიერებაში.[3]

ინოვაცია ინგლისურიდან (ინნოვატიონ) ითარგმნება `სიახლეების~ მნიშვნელ-ობით. შესაბამისად, ზოგიერთი მეცნიერი გვთავაზობს ინოვაციასთან დაკავშირებული ტერმინების სინონიმებად განხილვასა და გამოყენებას, მაგრამ ჩვენი შეხედულებით, ეს მთლად ასე რ არის, რადგანაც `სიახლე~ განიხილება როგორც ახალი წესრიგი და წეს-ჩვეულება, ან/და როგორც ახალი მეთოდი და ახალი მოვლენა, ხოლო “სიახლის შემოტანა“ პირდაპირი მნიშვნელობით არის „ახალის დანერგვა“ რაც ნიშნავს სიახლის გამოყენების პროცესს. ინოვაციაც სიახლის გამოყენების პროცესია და შესაბამისად, შემდგომში ტერმინები „ინოვაცია“ და „სიახლის დანერგვა“ იდენტურად იქნება გამოყენებული.

ცნება |ინოვატიკა“ ეკონომიკაში ნიშნავს საწარმოო პროცესში მეცნიერულ-ტექნოლოგიური მიღწევების დანერგვის პროცესს, ახალი პროდუქტების წარმოებასა და ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას [4]. მეცნიერების სხვა მიმართულებებში ტერმინი ინოვატიკა-ის, ინოვაცია-ის და „ახლის დანერგვა“-ის სხვა განმარტებები არ გვხვდება.

ინოვაციების საწყისი კავშირი ეკონომიკურ სფეროსთან დღესაც შენარჩუნე-ბულია, რაც მნიშვნელოვნად აისახება მის კონცეპტუალურ ინსტრუ-მენტებზე. ამ მხრივ არსებობს „ინოვაციის“ აღქმისა და გაგების რამდენიმე განმარტება. ბ.ტვისი ინოვაციას განმარტავს როგორც პროცესს, რომლის დროსაც გამოგონება ან იდეა ეკონომიკურ შინაარსს იძენს [5].

ცნობილიBუნგრელი მეცნიერი ბორის სანტო თავის წიგნში `ინოვაცია, როგორც ეკონომიკური განვითარების საშუალება ამბობს, რომ ინოვაცია ისეთი საზოგადოებრივ-ტექნიკური და ეკონომიკური პროცესია, რომელიც იდეებისა გამოგონებების უკეთესი თვისებების მქონე პროდუქტებსა და ტექნოლოგიებს ქმნის [6].

იოზეფ შუმპენტერი ინოვაციას განმარტავს, როგორც წარმოების ფაქტორების სამეცნიერო-ორგანიზაციულ კომბინაციას, რომელიც სამეწარმეო სულისკვეთებით არის მოტივირებული [7].

დღეისათვის ტექნოლოგიური ინოვაციებთან მიმართებაში გამოიყენება სტატისტიკის

მეცნიერებაში, ტექნიკაში და ინოვაციებში არსებული საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილი რეკომენდაციები. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (Organisation for Economic Cooperation and Development - (OECD) შეიქმნა ჯგუფი, რომელმაც 1963 წელს იტალიის ქალაქ ფრასკატში შეიმუშავა სახელმძღვანელო "ფრასკატის გზამკვლევი", რომლის გამოცემამ ხელი შეუწყო მეცნიერების, თანამედროვე ტექნოლოგიების და ინოვაციების შესახებ არსებული კონცეფციის ტერმინების განმარტებების სტანდარტიზაციასა და ინოვაციის სტატისტიკის მეთოდოლოგიის ჩამოყალიბებას. ტექნოლოგიებისა და ინოვაციების შესახებ მეთოდოლოგია ასევე ეფუძნება 1992 წელს ქ. ოსლოში მიღებულ რეკომენდაციებს, რომლებსაც ასევე უწოდებენ "ოსლოს გზამკვლევს" [8]. მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სტატისტიკაში არსებულ ამ საერთაშორისო სტანდარტების თანახმად (ეს არის მეცნიერებისა და ინოვაციების სტატისტიკის სფეროში მოქმედი სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები, რომელიც უზრუნველყოფს საბაზრო ეკონომიკის პირობებში მათ სისტემურ აღწერას) ინოვაცია წარმოდგენილია, როგორც ინოვაციური საქმიანობის საბოლოო შედეგი და განსახიერებულია გაუმჯობესებული პროდუქტის თუ ტექნოლოგიური პროცესის სახით და რომელიც, გამოიყენება პრაქტიკულ საქმიანობაში

ზოგადად, „ინოვაციის" ცნების აღქმისათვის აქამდე არსებული მიდგომები, პირობითათ შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფს მიეკუთვნებიან იოზეფ შუმპენტერის თეორიის მომხრეები, რომლებიც თვლიან, რომ ინოვაცია არის პროცესი, რომლის მიზანსაც ახალი მოწყობილობებისა და ტექნოლოგიების დანერგვა წარმოადგენს. მეორე ჯგუფს მიეკუთვნებიან მ.პორტერის `კონკურენციის თეორიის~ მომხრეები, რომლებიც ინოვაციად მოიაზრებენ ცვლილებებს უკვე გამოყენებულ ტექნიკასა და ტექნოლოგიებში, ასევე მმართველობით მეთოდებში [9].

ინოვაციები არა მხოლოდ ტექნიკურ სფეროში გვხდება. ის ასევე შეიძლება შეგვხდეს აღმოჩენების, გამოგონებების, სავაჭრო ნიშნების, ტექნოლოგიების, მმართ-ველობითი ან საწარმოო პროცესის, ორგანიზაციული, საწარმოო, მმართველ-ობითი ან სხვა ინოვაციური გადაწყვეტილებების, კონცეფციების, სამეცნიერო მიდგო-მების ან პრინციპების, დოკუმენტების (სტანდარტები, რეკომენდაციები, მეთოდური სახელმძღვანელოები, ინსტრუქციები და ა.შ) კვლევების შედეგების სახითაც.

ფინანსური და მატერიალური რესურსების ჩადება სიახლეების დანერგვის ინვესტირებაში წარმოადგენს ინოვაციის მხოლოდ საწყის ეტაპს. Pრაქტიკული შედეგის მისაღებად აუცილებელია მისი პრაქტიკაში დანერგვა, ანუ ინოვაციური საქმიანობის დასრულება და დადებითი ეფექტის მიღება. ინოვაცია მაშინ ჩაითვლება დასრულებულად თუ ინოვაციის დანერგვით მიღწეული იქნა მიზანი - რაც გამოიხატება მართვის ობიექტის შეცვლაში და პოლიტიკურ, ეკონომიკური, სოციალური, მეცნიერულ-ტექნიკური და სხვა მიმართულებით დადებითი ეფექტის მიღებაში.

თანამედროვე მსოფლიოში ინოვაცია არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ეკონომიკური საქმიანობის სფეროთი, უპირველესყოვლისა იმიტომ, რომ ადამიანებსა და სოციალურ ჯგუფებს შორის ურთიერთობა მხოლოდ ეკონომიკური საქმიანობით არ შემოიფარგლება. ეს ურთიერთობა ასევე მოიცავს ადამიანის ცხოვრების ისეთ უმნიშვნელოვანეს სფეროებს, როგორიცაა პოლიტიკა, ხელოვნება, მორალურ-ეთიკური ნორმები, ეკოლოგია, განათლება, ჯანდაცვა და ა.შ. ეს კი არც მეწარმეობაა და არც ბიზნესია, ამ ურთიერთობებს თან სდევს შემოქმედებითი გზით შექმნილი ინოვაცია და სიახლე.

მთელი რიგი მეცნიერების მიერ აღწერილია ინოვაციების ფართო კლასიფიკაცია. მათ ინოვაციები განსაზღვრეს როგორც ადამიანის გონების მიერ შექმნილი მიღწევების გამოყენება, საზოგადოებრივი ურთიერთობების სხვადასხვა სფეროებში ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

მიიჩნევა, რომ ინოვაციები შეიძლება იყოს ეკონომიკური, ეკოლოგიური, მმართველობით, სამხედ-რო, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული, სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი და სხვა.

აღნიშნული კლასიფიკაციიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ინოვაციების გამოყენების არეალად შეიძლება მივიჩნიოთ ადამიანისა და საზოგადოების ცხოვრების მთლიანი სოციალური სივრცე. ევოლუციის თანამედროვე ეტაპი, როგორც საზოგადოებრივი განვითარების უმაღლესი წერტილი, სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში სწრაფი ცვლილებებით ხასიათდება. ამიტომ დღეს ინოვაცია სოციოლოგების, სახელმწიფო მოხელეების, იურისტების, ეკონომისტების, მენეჯერებისა და პოლიტოლოგების ინტერესის აუცილებელ ობიექტად იქცა. (იხ.სქემატური ნახაზი)



ინოვაციების არსის კვლევის სფეროში არაერთი ქართველი თუ უცხოელი მეცნიერი ინოვაციას განიხილავს, როგორც სოციუმისათვის დამახასიათებელ იმანენტურ (იმმანენტის) ფენომენს, რომლის საზოგადოებრივ კულტურაში წარმო-ქმნა და ფუნქციონირება იწვევს არა

მხოლოდ ტექნიკური ხასიათის ცვლილებებს, არამედ სოციალურსაც და სისტემურსაც, რაც მიუთითებს ინოვაციური პროცესების უნივერსალურობაზე.

ინოვაციის ცნებაზე საუბრისას აუცილებელი აღინიშნოს ისეთი გავრცელებული ფენომენი, როგორიცაა ფსევდოინოვაციები [10], რომელიც მიზნად ისახავს მოძველებული ტექნოლოგიების, საზოგადოებრივი და სოციალური სისტემებისა და ინსტიტუტების ნაწილობრივ გაუმჯობესებას და მათი სიცოცხლისუნარიანობის გახანგრძლივებას. ასეთი სახის ინოვაციებმა შეიძლება შესძინოს ახალი სიცოცხლე მოძველებულ ტექნოლოგიებს, გადაიყვანოს ისინი განვითარების ახალ ეტაპზე, თუმცა ეს მოხდება მხოლოდ მოკლე დროით და მას არ ექნება მომავლში განვითარების პერსპექტივები. ფაქტიურად ფსევდოინოვაციების შემოღება თავის თავში მოიცავს რაიმე ახლის შემოღების იმიტაციას, რომელიც უკავშირდება ინდივიდების, ხელისუფლების ან მისი გარკვეული ჯგუფების სურვილს, ინოვაციების როგორც სიახლის შემოღებასთან დაკავშირებულ რისკების შიშით, უარი არ თქვან ჩვევებზე და შეინარჩუნონ არსებული მდგომარეობა, რაც თავისთავად აფერხებს საზოგადოებრივ პროგრესს. ფსევდო-ინოვაციები, როგორც წესი წარმავალი სისტემის სასიცოცხლო ციკლის ბოლო ფაზაში იჩენს თავს, როდესაც მან დიდწილად ამოწურა თავისი რესურსები და პოტენციალი, მაგრამ ყოველმხრივ ცდილობს მოჩვენებითი განახლების პოზიცი-ონერობით, შეინარჩუნოს ადგილი ცვალებად გარემოში და შეეწინაამღდეგოს მასზე უფრო პროგრესული სისტემის მოსვლას.[10]

ინოვაციების შემოღება და დანერგვა აუცილებელია ასევე სახელმწიფო მართვის სისტემის გაუმჯობესებისათვის, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს და გამოიწვევს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სისტემების განვითარებას. ამ თემას ეძღვნებოდა 2006 წლის 6 მარტს ქ.ნიუორკში გამართული გაეროს მეხუთე სესიის დღის წესრიგის მე-4 პუნქტი [11] და ასევე, 2021 წლის 22 ივლისს ქ.ნიუორკში გამართული გაეროს გენერალური სოციალურ-ეკონომიკური საბჭოს № /2021/09 რეზოლუცია და ანგარიში[12]

გაეროს ექსპერტთა აზრით, ინოვაცია სახელმწიფო მართვის სფეროში წარმოადგენს, სახელმწიფო ორგანოების მიერ სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაციის პროცესში წარმოქმნილ პრობლემათა გადაწყვეტისათვის, საქმიანობის ახალი მიმართულებებისა და ახალი სტანდარტული სამუშაო პროცედურების შემუშავებისათვის განხორციელებულ ღონისძიებებს.

ექსპერტების მიერ ასევე აღნიშნულია, რომ „ინოვაცია შეიძლება განვიხილოთ როგორც საპირწონე სახელმწიფო სექტორში არსებული რუტინული და ტრადიციული საქმიანობისა. ასევე, გამახვილებულია ყურადღება იმაზე, რომ, იმისათვის, რომ ინოვაციურ საქმიანობაში მიღწეული იქნეს თვალსაჩინო შედეგები, აუცილებელია უზრუნველყოფილი იქნეს აზრისა და რწმენის თავისუფლება, ასევე საზოგადოებისა და სახელმწიფო-ადმინისტრაციული სრუქტურების ღიაობა, ყოველივე ეს კი ხელს უწყობს საჯარო მეხელეებს შორის დიალოგის წარმართვის პროცესს.[11]

ამგვარად, ინოვაცია სახელმწიფო მმართველობაში "ახალი პრობლემების" ან/და "ძველი პრობლემების ახლებურად გადაწყვეტის" ეფექტური და ნოვატორული გადაწყვეტილებების ძიების პროცესია. შხვადასხვა ექსპერტები ამტკიცებენ, რომ სახელმწიფო მმართველობაში ინოვაციიების დანერგვა არ იძლევა 'ფიქსირებულ" (სტატიკურ) და საბოლოო შედეგებს, ეს დინამიური და ღია პროცესია, რომელიც გადაწყვეტილებების მიმღებთა მხრიდან შემოქმედებით მიდგომას მოითხოვს.

„ინოვაციები სახელმწიფო სექტორში ორ მნიშვნელოვან ფაქტორზეა დამოკიდებული: პირველი, სურვილი განახორციელო ცვლილებები და წახვიდე რისკზე და მეორე, ხელმძღვანელობის უნარი, ჩაუდგეს ცვლილებების პროცესს სათავეში და აიღოს თავის

თავზე რისკები, ასევე, ქონდეს ასეთი ცვლილებებისათვის საჭირო რესურსებზე წვდომა“[12].

სახელმწიფო მმართველობაში გაეროს ექსპერტები გვთავაზობენ ინოვაციების შემდეგ ტიპებს:

- ინსტიტუციური ინოვაცია, როდესაც ძირითადი ყურადღება ექცევა არსებული ინსტიტუტების განახლებას ან/და ახალი ინსტიტუტების შექმნას;
- ორგანიზაციული ინოვაცია, რომელიც მოიცავს სამუშაოს წარმართვის ახალი პროცედურებისა და მართვის ახალი მეთოდების დანერგვას;
- ინოვაცია პროცესის სრულყოფისათვის, რომელიც ორიენტირებულია
- სახელმწიფო სერვისების ხარისხის გაუმჯობესებაზე
- კონცეპტუალური ინოვაცია, რომელიც მიზნად ისახავს მაართვის ახალი ფორმების დანერგვას (მაგალითად: ინტერაქტიული პოლიტიკის შემუშავება, მმართველობით პროცესებში მოსახლეობის ჩართულობა, ჰორიზონტალურ/ქსელური მმართველობა)

ამგვარად, ინოვაციური სახელმწიფო მმართველობა არის სოციალურ მართვის საქ-მიანობა, რომლის მთავარი სუბიექტი სახელმწიფოა. მისი საქმიანობა მიმართ-ულია ინოვაცი-ური საქმიანობის ინიცირების, მხარდაჭერისა და ინოვაციური პროც-ესების რეგულირე-ბისაკენ, რაც საბოლოო ჯამში წარმოადგენს ქვეყნის სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკუ-რი და კულტურული განვითარების საფუძველს

სახელმწიფო მართვის ამოცანაა, ინოვაციისაკენ არათანასწორად ტრანსფორ-მირებადი სოციალური გარემოს პირობებში უზრუნველყოს დინამიური სტაბილ-ურობის შენარჩუნება. მოცემული ამოცანის ეფექტიანად შესრულების პირობას, წარმოადგენს ინოვაციური ადაპტი-რება და სახელმწიფო ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ინოვაციურობა.

საქართველოში მიღებულ ინოვაციური საქმიანობის სამართლებრივ რეგულირებას თითქოსდა ფრაგმენტული ხასიათი აქვს და აუცილებელია ცნების ’ინოვაცია’’-ის სამართლებ-რივი გამყარება. საქართველოს პარლამენტის მიერ 2016 წელს მიღებულ იქნა „ინოვაციების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლითაც სამართლებრივ დონეზე მოხდა ისეთი ცნებების განმარტება, როგორიცაა ‘‘ინოვა-ცია’’, ‘‘ინოვაციური პროექტი’’, „ინოვაციური საქმიანობის ინფრასტრუქტურა“, ‘‘ინოვაციური საქმიანობა’’ და სხვა. კანონის მიხედვით „ინოვაცია“ არის ეკონო-მიკური, სამეცნიერო ან სოციალური ღირებულების მქონე, გამოყენებადი, ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროდუქტი, პროცესი ან მომსახურება, რომელიც შესაძლებელია იყოს სხვადასხვა სახის [13].

ინოვაციური პროექტი – ეს არის პროექტი, რომლის მიზანია ინოვაციური საქმიანობის განხორციელება.

ინოვაციური საქმიანობის ინფრასტრუქტურა – გარემო, რომელიც მიმართულია, საგან-მანათლებლო, სამრეწველო, სამეცნიერო და კერძო სექტორების დაკავშირებისა და თანამ-შრომლობისაკენ და ინოვაციური საქმიანობის განხორცი-ელების ხელშეწყობისაკენ.

ინოვაციური საქმიანობა – საქმიანობა, რომელიც ხორციელდება ეკონომიკური ან სოცი-ალური ღირებულების მქონე, გამოყენებადი, ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროდუქტის, პროცესის ან მომსახურების შესაქმნელად

დასკვნა

ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სახელმწიფოს, რომელიც ნერგავს ინოვაციურ იდეებს ადმინისტრაციულ-მმართველობითი საქმიანობის პროცესებსა და სისტემებში, შეუძლია ეფექტიანად უპასუხოს სხვადასხვა გამოწვევებს ეროვნულ, რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე. ინოვაციის დანერგვა თანამედროვე სახელმწიფოს მართვის

პოლიტიკაში არ არის თვითმიზანი, არამედ ის, ქვეყნის მოქალაქეთა ცხოვრების დონის ამაღლებისა და განვითარების მიზნით, სახელმწიფო სისტემის გაუმჯობესების საშუალებაა. საკმარისი არაა უკვე აპრობირებული და გამოცდილი ინოვაციური მოდელების გადმოტანა, საჭიროა სიცოცხლისუნარიანი და მუშა მექანიზმების შემუშავება და დანერგვა.

ინოვაციები აძლიერებს მმართველობით საქმიანობას, აძლევს რა საშუალებას გააკეთოს ოპტიმალური არჩევანი უწყვეტობასა და სტაბილურობას შორის, განვითარების ახალი დონის მიღწევის აუცილებლობას შორის, სიახლეების დანერგვისა და ცვლილებებთან დაკავშირებულ რისკებს შორის

ლიტერატურა

1. ე. მექვაბიშვილი., „თანამედროვე ეკონომიკური თეორიები (ლექციების კურსი)“, თბ., 2016 წ. გვ.116-122
2. ლ.ქოქიაური., „ინოვაციები“ თბ., საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2015, გვ. 2-7 ISBN 978-9941-9425-6-3
3. პ. დრუკერი, „ინოვაცია და მეწარმეობა” მოს., 2007 წ.
4. ლ. ქოქიაური, ბ. გეჩბაია, “სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის პრიორიტე-ტული მიმართულებები საქართველოში”, სტატია, თბ., ჟურნალი „ინოვაციური ეკონომიკა“
5. ბრაიან ტვისი “ტექნოლოგიური ინოვაციების მართვა” 352გვ. ISBN: 9780-273037958
6. ბ. სანტო, „ინოვაცია, როგორც ეკონომიკური განვითარების საშუალება“ თარგმნა ბ.საზანოვი, მოს. გამომცემლობა „პროგრესი“. 1990
7. ი. შუმპეტერი, „ეკონომიკური განვითარების თეორია“. მოს. ეონომიკა, 1982
8. ეგთო/ევროსტატი/ევროკავშირი “ოსლოს სახელმძღვანელო 2018: ინოვაციების მონაცემების მოპოვების გაიდლაინები, ანგარიშებისა და გამოყენებისათვის”, პარიზი, ლუქსემბურგი, გამოცემა `სამეცნიერო და ტექნოლოგიური გამოცემა აქტივობების გაზომვა~ 2019.
9. მ.პორტერი, “კონკურენტული სტრატეგია: დარგებისა და კონკურენტების ანალიზის მეთოდოლოგია”, მოს., 2006
10. ა.აგარკოვი, ე.კუზნეცოვა, “ინოვაციური მენეჯმენტი და სახელმწიფო ინოვაციურ პოლიტიკა” , გამომცემლობა |საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემია” 2011.
11. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სოციალურ-ეკონომიკური საბჭო, მე-5 სესია, მე-4 პუნქტი, კომიტეტის ექსპერთა ანგარიში სახელმწიფომ მართველობის საკითხებში, 27-31 მარტი 2006 წ. https://unpan1.un.org/intradoc/groups/public/documents/un/unpan023031.pdf
12. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სოციალურ-ეკონომიკური საბჭო #E2021/99 რეზოლუცია, გაეროს გენერალური ასსამბლეა. ნიუ-ორკი, 2021 https://undocs.org/pdf?symbol=ru/E/2021/99 (მოძიებულია 18.02.2022)
13. “ინოვაციების შესახებ” საქართველოს კანონი, საქართველოს პარლამენტი, ქუთაისი, #5501-IIს, 2016 წ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/3322328?publication=0

Theoretical aspects of innovation policy in public administration

Iashvili Genadi.
Professor of Georgian Technical University

Tsverava Zaza
Assistant Professor at Georgian Technical University

Tsverava Lasha
Doctoral Candidate of Georgian Technical University, Faculty of Business Technologies

Summary

The way of a systematic approach to solving the problems related to the management of the modern state, must go through defining and identifying the bases for the emergence of these problems. Today, the definition of such basics makes the innovation factor relevant, which, on the one hand, is always considered as a catalyst for progress and, on the other hand, is reflected in its socio-economic contradictions.

The article discusses the theoretical aspects of innovative processes in modern public administration, issues related to the urgency of introducing innovative methods for the development and refinement of modern public administration. The paper considers innovation not only as a result of fundamental, applied research, new inventions or experimental papers in the technical field, but it is also considered in the field of management as a mean of increasing its effectiveness. In article, the views and conclusions of various scientists related to the innovation process and innovation activities are analyzed.

Keywords: Innovation, Innovation Policy, Pseudo-Innovation, Public Administration.

განათლების მარკეტინგის მნიშვნელობა უმაღლესი განათლების სისტემაში

ივანაშვილი ნათია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის
უფროსი სპეციალისტი

აბსტრაქტი

განათლების მარკეტინგი შედარებით ახალი კონცეფციაა და ჯერ კიდევ „პარადიგმის“ კვლევის ეტაპზეა. მიუხედავად ამისა, მისი პრაქტიკული რეალიზაცია მეტად სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, განსაკუთრებით უმაღლესი განათლების სისტემაში. წინამდებარე სტატიაში ასახულია განათლების მარკეტინგის მნიშვნელობა, მიზნები, ფუნქციები და თანამედროვე ტენდენციები უმღლეს განათლებაში. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ციფრული მარკეტინგის გამოყენების პერსპექტივებზე, რომლის პრაქტიკული წარმატებაც განპირობებულია თანამედროვე ტექნოლოგიების სწრაფი განვითარებით, ნაკლებ ბიუჯეტურობითა და ბოლო წლებში არსებული მსოფლიო პანდემიური მდგომარეობითა.

საკვანძო სიტყვები: განათლების მარკეტინგი; განათლების მარკეტინგის მიზნები და ფუნქციები; ციფრული მარკეტინგი უმაღლეს განათლებაში.

შესავალი

მარკეტინგი მოიცავს ყველა იმ მოქმედებას, რომელსაც ახორციელებს ორგანიზაცია კლიენტების მოსაზიდად და მათთან საუკეთესო ურთიერთობის შესანარჩუნებლად.

„განათლების მარკეტინგი“ შედარებით ახალი კონცეფციაა, რომლის ანალიზი ცხადყოფს, რომ ჩვენი ქვეყნის განათლების სისტემაში ის ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე გაცნობიერებული და პრაქტიკაში აპრობირებული. თანამედროვე პირობებში განათლების სისტემა ხასიათდება კონკურენტუნარიანობით, შესაბამის ბაზარზე „მოთამაშეები“ არიან როგორც სახელმწიფოს, ისე კერძო პირთა მიერ დაფუძნებული საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც დგანან მეტად სერიოზული და მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე, რაც დაკავშირებულია ბაზარზე ურთიერთქმედების ეფექტური გზების ძიებასთან. აღნიშნული დიდწილად დამოკიდებულია დაწესებულების მაკრო და მიკრო გარემოზე, ასევე, მართვის სისტემის მახასიათებლებზე, როგორიცაა მოქნილობა, გამჭვირვალეობა, ადაპტირება და მენეჯმენტში ინოვაციათა დანერგვა.

მარკეტინგის ფუძემდებლის, ფილიპ კოტლერის განმარტებით, „ურთიერთობების მარკეტინგი არის გრძელვადიანი ურთიერთსასარგებლო ურთიერთობების დამყარების პრაქტიკა ბაზარზე ურთიერთქმედების ძირითად პარტნიორებთან: მომხმარებლებთან, მომწოდებლებთან, დისტრიბუტორებთან“.[1] „წარსულში მარკეტინგი ფართოდ გამოიყენებოდა ინდუსტრიულ და კომერციულ სექტორში, თუმცა ბოლო წლებში მარკეტინგი გახდა მრავალი არაკომერციული ორგანიზაციის განვითარების სტრატეგიის ნაწილი, როგორიცაა უნივერსიტეტები, მუზეუმები, საავადმყოფოები და სხვა დაწესებულებები.“[2]

ძირითადი ნაწილი

განათლების მარკეტინგი ეს არის თანამედროვე მენეჯმენტის ფილოსოფია, რომელიც

[1] http://aditi.du.ac.in/uploads/econtent/Relationship_,marketing_new.pdf
[2]Kotler, P. (2000) Marketing Management. Huaxia Publishing House, Beijing.

მოიცავს ბაზრის სუბიექტებს შორის გრძელვადიანი ურთიერთსასარგებლო ურთიერთობების შექმნას და განვითარებას. ამავდროულად, ეს არის ღირებულებების სისტემა, რომელიც მოიცავს ისეთ ცნებებს, როგორიცაა მონაწილეთა ურთიერთნდობა, „მწარმოებლისა“ და „მომხმარებლის“ კმაყოფილება, ინფორმაციის ფლობისა და ხელმისაწ-ვდომობის სისრულე და საკომუნიკაციო არხების ინტერაქტიულობა, მომსახურების კომპონენტის ხარისხი, ერთობლივი საქმიანობა, კრეატიულობა და სტაბილურობა.

თანამედროვე პირობებში ნებისმიერი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება დიდწილადაა დაკავშირებული განათლების სისტემაზე. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ მარკეტინგი განათლების სფეროში, მეტად პერსპექტიული და უნიკალური მოვლენაა.

განათლების მარკეტინგის მნიშვნელობა უმაღლესი განათლების სისტემაში

საგანმანათლებლო დაწესებულებების მარკეტინგული აქტივობა ძირითადად ეფუძნება მარკეტინგული საქმიანობის ზოგად პრინციპებს, თუმცა საგანმანათლებლო სისტემაში არსებული მომსახურების თავისებურებიდან გამომდინარე, მას ახასიათებს რიგი თავისებურებანი. თანამედროვე პირობებში განიხილება განათლების მარკეტინგის ორი ძირითადი მიმართულება:

- საგანმანათლებლო მომსახურებაზე ორიენტირებული მარკეტინგი;
- მომხმარებელზე ორიენტირებული მარკეტინგი.[1]

განათლებაში მარკეტინგის ინსტრუმენტების გამოყენების შესაძლებლობისა და აუცილებლობის გაცნობიერებით, პირველ რიგში გასათვალისწინებელია, რომ მარკეტინგი არის ცივილიზებული საბაზრო ურთიერთობების მონაწილეთა ცნობიერების სტრუქტურის ელემენტი, რომელიც დაკავშირებულია მათი ცხოვრების წესთან.[2]

საგანმანათლებლო სერვისებისა და პროდუქტების მომხმარებელთა საჭიროებებზე ტრანსფორმირება არ გულისხმობს მხოლოდ სტრუქტურულ ანდა ტექნოლოგიურ ცვლილებებს, რომლებიც ხორციელდება უმეტეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ეს არის ერთგვარი ფსიქოლოგიური რესტრუქტურიზაცია საგანმანათლებლო დაწესებ-ულების პერსონალის საქმიანობაში. ასეთი ტრანსფორმაციები როგორც წესი უნდა აისახოს საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიულ გეგმებში. ამრიგად, უმთავრესი ამოცანაა გუნდის ორიენტირება და მისი ორგანიზაციული ადაპტაცია ახალ საგანმანათლებლო სერვისებთან და პროდუქტებთან მუშაობისთვის.

საგანმანათლებლო სერვისებისა და პროდუქტების ბაზარზე მზარდი კონკურენციის გათვალისწინებით, პოტენციური მოთხოვნის შესაფასებლად, უნდა გამოვიყენოთ ბაზრის კვლევის მარკეტინგული მეთოდები. ამ თვალსაზრისით, მარკეტინგული კვლევის მიზანია პერსპექტიული საგანმანათლებლო საჭიროებების გამოვლენა, მათი დაკმაყოფილების ხარისხის შეფასება, ჰიპოთეზების ტესტირება და მომხმარებლის ქცევის პროგნოზირება, ამიტომ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა მარკეტინგული კვლევის ჩატარება და არსებული ბაზრის პერსპექტივების შესწავლაა.

პრაქტიკა აჩვენებს, რომ განათლების მარკეტინგის კვლევა და დანერგვა ხელს უწყობს უმაღლესი განათლების მენეჯმენტის ფილოსოფიის განვითარებასა და ბიზნეს მოდელის ჩამოყალიბებას, აძლიერებს ურთიერთობას უსდ-ებსა და საზოგადოებას შორის, აუმჯობესებს უმაღლესი განათლების სერვისებს და საგანმანათლებლო პროდუქტების ხარისხს, ეხმარება უსდ-

[1]ტერმინი - „განათლების მარკეტინგი“ პირველად გაჩნდა აშშ-ში, XX საუკუნის სამოციან წლებში, რაც განპირობებული იყო შეერთებულ შტატებში ეკონომიკური რეცესიით, სასკოლო ასაკის მოსახლეობის რაოდენობისა და მთავრობის მიერ უმაღლესი განათლების დაფინანსების შემცირებით, რის გამოც გაიზარდა უმაღლესი დაწესებულებათა შორის კონკურენცია.

[2] https://comboapp.com/higher-education-marketing-agency/education-marketing-strategies

ებს ინვესტიციების (ასევე შემოწირულობების) მოზიდვაში, რითაც მათ ეძლევათ საშუალება, შეამცირონ მომსახურების ღირებულება და ამასთან, გაზარდონ დაწესებულების შემოსავალი.

განათლების მარკეტინგი არის ბაზრის მართვის პროცესი, რომელიც დაგეგმილია საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ გრძელვადიან პერსპექტივაში განათლების მიზნების უკეთესად მიღწევის, თანამედროვე საუნივერსიტეტო განათლების ეფექტურ-ობის გაუმჯობესების, ინდივიდუალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფ-ილებლად, მაღალი ხარისხის სერვისების მიწოდების მიზნით.[1]

განათლების მარკეტინგის უმთავრესი მიზნებია:

- დასახოს და განახორციელოს სხვადასხვა მარკეტინგული სტრატეგია საგანმანათლებლო პროგრამების პოპულარიზაციისთვის, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა მოზიდვას. მარკეტინგი მოიცავს ყველა მარკეტინგულ აქტივობას განათლების სექტორში, მათ შორის უმაღლეს განათლებაში, რაც თავის მრივ ეხმარება სტუდენტებს სწორი არჩევანის გაკეთებში და მათთვის სასურველი საგანამანათლებლო დაწესებულებისა და პროგრამის მიგნებაში;
- უსდ-ების მიერ მარკეტინგის ეფექტური სისტემის შექმნა და მათი გამოყენების კოორდინაცია საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ არსებული ბაზრის პირობებში დასახული მიზნების მისაღწევად;
- ბაზრის კვლევის გააზრება და პროდუქტებისა და მომსახურების პოტენციური მომხმარებლების იდენტიფიცირება;
- მომხმარებელთა საჭიროების შესაბამისი პროდუქტებისა და სერვისების მიწოდება სწორ დროს, სწორ ადგილზე და ადეკვატურ ფასად;
- მომხმარებლისთვის ოპტიმალური, ხარისხიანი და კარგი რეპუტაციის მქონე საგანმანათლებლო სერვისების მიწოდება;
- მომხმარებელთა მოზიდვა მათი მოთხოვნილებებისა და მისწრაფებების გათვალისწინებით.[2]

როგორც აღვნიშნე, საგანმანათლებლო დაწესებულების მარკეტინგული საქმიანობა ძირითადად ეფუძნება მარკეტინგის ზოგად პრინციპებს, მაგრამ პროდუქტის სპეციფიკიდან გამომდინარე, მას აქვს რიგი თავისებურებები, კერძოდ, განათლებაში მარკეტინგის სპეციფიკა და სირთულე განპირობებულია იმით, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებები მოიცავენ არაერთი სახის მარკეტინგს, კერძოდ, საგანმანათლებლო სერვისების მარკეტინგს - რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტის ცოდნა-გაცნობიერების, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ჩამოყალიბებას, რაც თავის მხრივ ესადაგება განათლების მიზნებს; საგანმანათლებლო პროდუქტის მარკეტინგი - აკადემიური პერსონალის და საგანმანათლებლო დაწესებულებების სხვა თანამშრომელთა პროფესიული საქმიანობის შედეგად მიღებული პროდუქტი; იდეების მარკეტინგი - საგანმანათლებლო დაწესებულების პოპულარობა დიდწილად დამოკიდებულია მის საგანმანათლებლო საქმიანობაზე, თანამედროვე სწავლა/სწავლების მეთოდოლოგიაზე; პიროვნების მარკეტინგი - აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების სამეცნიერო-კვლევითი მიღწევები; დაკავშირებული სერვისების მარკეტინგი - საინფორმაციო, საკონს-ულტაციო, და სხვა; გარემოს მარკეტინგი - სტუდენტთა დასვენების პირობები, სპორტუ-ლი და კულტურული კლუბების ყველა სტუდენტისთვის ხელმისაწვდომობა და სხვა.

---

[1] Feng, X.F. (2007) Analysis of the Marketing of Higher Education. Journal of Inner Mongolia Agricultural University (Social Science Edition), No. 1, 187.

[2] Magdalena Platis, Eleonora Gabriela Baban. The Role of Marketing in Education's Process. P.1128. https://core.ac.uk/download/pdf/6263407.pdf

განათლების მარკეტინგი მოიცავს ბაზრის გაანალიზების მიზნით შექმნილი მეთოდების, სტრატეგიების და ინსტრუმენტების ერთობლიობას. ზოგიერთი ავტორი აზრით, განათლების მარკეტინგი - შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამების და კვლევების, დაგეგმვის, განხორციელების და კონტროლის ერთობლიობაა, რომლის განხორციელებას შედეგად მოყვება საგანმანათლებლო ფასეულობების ნებაყოფლობითი გაცვლა მიზნობრივ ბაზრებზე, საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებისა და მისიის შესასრულებლად.[1]

ლიტერატურისა და პრაქტიკის ანალიზის შედეგად შეგვიძლია გამოვყოთ განათლების მარკეტინგის ფუნქციები, კერძოდ:

- ბაზრის კვლევა განათლების ძირითადი მომხმარებლების იდენტიფიცირების
- მიზნით;
- მარკეტინგის პოლიტიკის განსაზღვრა, რომელიც უკავშირდება განათლების ბაზრის ძირითად მოთხოვნებს;
- საგანმანათლებლო სერვისების ადაპტაცია მომხმარებელთა საჭიროებებთან, მათ მოლოდინებთან და მოთხოვნებთან;
- ოპტიმალური ეფექტიანი მენეჯმენტის ხელშეწყობა, საინფორმაციო რესურსების (მათ შორის ციფრული) გამოყენება დასახული მიზნების მისაღწევად.[2]

განათლების სისტემის მარკეტინგის სპეციფიკა პირდაპირ კავშირშია განათლების სისტემის მთავარი პროდუქტის - საგანმანათლებლო სერვისების სპეციფიკასთან. საგანმანათლებლო მომსა-ხურება აკმაყოფილებს პირად (საბოლოო მომხმარებლის), ჯგუფურ და საზოგადოებ-რივ/სახელმწიფო საჭიროებებს.

განათლების სექტორში თანამედროვე პირობებში ყველაზე აქტიურად გამოიყენება ციფრული მარკეტინგი, რაც თავის მხრივ გაცილებით ნაკლებიუჯეტურია და გათვლილია საკმაოდ დიდ სეგმენტზე. საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩართვა ისეთ სოც.მედიის საიტებზე როგორიცაა Facebook, Twitter და Instagram, ხელს უწყობს უმაღლესი განათლების სერვისების მიმღებებზე ინფორმაციის მარტივად მიწოდებას, მათი სურვი-ლებისა და მოლოდინების გაგებას. სოციალურ მედიაში გამოქვეყნებული კონტენტი უნდა იყოს მცირე ზომის, მარტივად გასაგები, მიმზიდველი და იმ იმიჯის შესაბამისი, რაც აქვს თავად დაწესებულებას, ან რისი შექმნისკენაც მიისწარფის.

ციფრული მარკეტინგი სულ უფრო პოპულარული ხდება თანამედროვე პირობებში - მსოფლიო პანდემიისა და ელექტრონული სწავლების ეპოქაში. ტრადიციულმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა, ისევე როგორც კერძო დეველოპერებმა, გამოუშვეს 500000-ზე მეტი საგანმანათლებლო აპლიკაცია, რომელთა უმრავლესობა ხელმისაწვდომია App Store-სა და Google Play-ზე. საგანმანათლებლო აპლიკაციების გარდა, ელექტრონული სწავლების ბაზარი ასევე გაჯერებულია ონლაინ კურსებით, ვიდეოებით, ელექტრონული წიგნებითა და ვებსაიტებით. საგანმანათლებლო აპლიკაციების ამჟამინდელი ბაზარი იმდენად კონკურენტუნარიანია, რომ საკმარისი აღარ არის მხოლოდ „შესანიშნავი პროდუქტის“ ქონა - ასევე აუცილებელია „შესანიშნავი საგანმანათლებლო მარკეტინგული სტრატეგიის“ შემუშავება და რეალიზაცია.

მიუხედავად იმისა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებების მარკეტინგული სერვისების წამყვანი პროვაიდერები, როგორიცაა ComboApp, ხშირად იყენებენ განათლებაზე დაფუძნებულ

---

[1] Education marketing: Trends and strategies that work in 2021. https://blog.genial.ly/en/educationmarketing/#:~:text=Education%20marketing%20is%20a%20branch,and%20promote%20their%20value%20propsition.

[2] Magdalena Platis, Eleonora Gabriela Baban. The Role of Marketing in Education's Process. P.1128. https://core.ac.uk/download/pdf/6263407.pdf

მარკეტინგს საგანმანათლებლო სერვისებისა და პროდუქ-ტების პოპულარიზაციისას, ფაქტი ფაქტად რჩება, რომ ეს არის მხოლოდ ერთ-ერთი საშუალება, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ეფექტური განათლების მარკეტინგ-ული სტრატეგიისთვის. ციფრული მარკეტინგის უპირატესობა ტრადიციულ მარკეტინგთან მიმართებით არის მისი გავრცელების არეალის სიდიდე და დანახარჯების სიმცირე.

დასკვნა

არსებული კვლევებისა და პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე წარმოვადგენთ განათლების სისტემაში ციფრული მარკეტინგის სტრატეგიულ მიმართულებებს, რომელთა მიმართებითაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ზოგადად, განათლების მარკეტინგი, როგორც მნიშვნელოვანი კონცეფცია, ხელს უწყობს განათლების სისტემის სერვისების განვითარებას, რაც თავისთავად აისახება საგანმანათლებლო პროგრამების პოპულარიზაციაზე. თანამედროვე პირობებში ეს განსაკუთრებით ეხება ციფრულ მარკეტინგს, რაც უპირეატესად განპირობებულია თანამედროვე ტექნოლოგიების სწრაფი ტემპით განვითარებით, ნაკლებ ბიუჯეტურობით და რომლის სტრატეგიული მიმართლებებიც შემდეგია:

- სამიზნე ჯგუფებთან დასაკავშირებლად მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული სოციალური მედიის პლატფორმები. ამჟამად მსოფლიოში სოციალური მედიის 3 მილიარდზე მეტი მომხმარებელია, რაც მოსახლეობის 4%-ს შეადგენს. სოციალური მედიის პლატფორმები, როგორიცაა Facebook, Twitter, Instagram - ყველაზე პოპუ-ლარულია. ნაკლებად მნიშვნელოვანია კონკრეტულად რომელი პლათფორმით ვისარ-გებლებთ, მთავარია სამიზნე ჯგუფის სწორად განსაზღვრა და მათთვის საჭირო და საინტერესო ინფორმაციის გონივრულად მიწოდება;
- აუცილებელია ციფრული რეკლამის ასახვა უსდ-ების მარკეტინგის ბიუჯეტში. (მსოფლიოში ციფრული რეკლამის ხარჯებმა 2021 წელს 375 მილიარდ დოლარი შეადგინა[1]);
- აუცილებელია აბიტურიენტთა და სტუდენტთა წახალისება, რათა მათ მოგვაწოდონ ონლაინ მიმოხილვები (კომენტარები) უსდ-ების მიერ გაზიარებულ ინფორმაციებზე. ცნობილი ფაქტია, რომ მომხმარებელთა 90% უფრო მეტად კითხულობს ონლაინ მიმოხილვებს (კომენტარებს) ვიდრე თავად გაზიარებულ ინფორმაციას,[2] ამიტომ ამ ტიპის მიმოხილვებზე სწორი რეაგირება აჩვენებს განათლების სერვისების პოტენციურ „მომხმარებლებს“ და სტუდენტებს, რამდენად მოქნილად და ადეკვატურად რეაგირებენ უსდ-ები ნებისმიერ ხარვეზზე. როდესაც ხარვეზები იდენტიფიცი-რებულია, დაწესებულების რეაქცია უნდა იყოს მყისიერი. სტუდენტებთან გრძელვადიანი ურთიერთობა, რაც უნდა გაგრძელდეს მათ მიერ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის დასრულების მერეც, განათლების მარკეტინგის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სეგმენტია. კურსდამთავრებულებთან ურთიერთობა და მათთან მუდმივი უკუკავშირი (Feedback), ლიტერატურაში განიხილება უმთავრეს ინსტრუმენტად უსდ-ს პოპულარიზაციის თვალსაზრისით.[3]
- უსდ-ებმა უნდა შექმნან საინტერესო ვიდეო კონტენტები. HubSpot-ის თანახმად,

[1] https://comboapp.com/higher-education-marketing-agency/education-marketing-strategies

[2] იქვე.

[3] D.Maria Antony Raj, M.Raguraman, R.Veerappan. Marketing of Educational Services: A New Strategy for Customer Satisfaction. 2013. P. 439-440.
https://www.academia.edu/33718936/Marketing_of_Educational_Services_A_New_Strategy_for_Customer_Satisfaction

ადამიანების 78% უყურებს ონლაინ ვიდეოებს ყოველ კვირას, ხოლო 55% - ყოველდღე.[1] ეს არის უამრავი პოტენციური მაყურებელი, რომლის მოზიდვაც შესაძლებელია მიმზიდველი ვიდეო კონტენტის შექმნით და მისი ონლაინ გამოქვეყნებით. ვიდეო კონტენტს შეიძლება ჰქონდეს მრავალი განსხვავებული ფორმა, მათ შორის დემო ვიდეოები, ბრენდის ან ღონისძიების ვიდეოები, ექსპერტთა ინტერვიუები, საგანმანათლებლო ინსტრუქციები, წარმატებულ კურსდამთავრებულთა მოკლე ინტერვიუები, ახსნა-განმარტების ვიდეოები, ანიმაციური კონტენტი, შემთხვევის შესწავლა და მომხმარებელთა ჩვენებები, ცოცხალი ვიდეოები, ვირტუალური რეალობის ვიდეოები და სხვა.

- უსაფრთხოების ხელშეწყობა. COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის დასასრული დღემდე არაპროგნოზირებადია. განათლების მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავებისას, ეს წარმოქმნის ახალ გამოწვევებსა და შესაძლებლობებს. აღნიშნული გამოწვეულია ონლაინ საგანმანათლებლო სივრცეში გადასული კონკურენტების რაოდენობის ზრდით. პრაქტიკამ ცხადყო, რომ სახლიდან სწავლის უსაფრთხოებისა და მოხერხებულობის ხელშეწყობა საგანმანათლებლო მარკეტინგის წარმატებული სტრატეგიაა.

მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა, არსებობს არაერთი ლეგიტიმური კითხვა, რომელიც მოითხოვს შესაბამის არგუმენტირებას, კერძოდ: ეწინააღმდეგება თუ არა განათლების მარკეტინგი განათლების ეთიკის ნორმებს? როგორ ჩამოვაყალიბოთ საგანმანათლებლო მარკეტინგის ძირითადი თეორიული ჩარჩო? როგორ განვახო-რციელოთ უსდ-ში მესამე პირებთან ურთიერთობის მარკეტინგი, ასევე, ე.წ. შიდა მარკეტინგი და ხარისხის მენეჯმენტი?[2] ვფიქრობთ თითოეული ეს კითხვა დამოუკიდ-ებელი კვლევის საგანია, და სავალდებულოდ გასათვალისწინებელი უმაღლესი განათლების სისტემის ხელმძღვანელთა მიერ.

The importance of education marketing In the higher education system

Ivanashvili Natia
Georgian Technical University
Faculty of Business Technology. Specialist

Summary

Education marketing is a relatively new concept and is still in the research stage of the "paradigm". Nevertheless, its practical implementation is proceeding at a very fast pace, especially in the higher education system. This article highlights the importance, goals, functions, and current trends in education marketing in higher education. Particular attention is paid to the prospects of using digital marketing, the practical success of which is due to the rapid development of modern technologies, low budgets and the global pandemic situation in recent years.

Keywords: education marketing; Goals and functions of education marketing; Digital Marketing in Higher Education.

[1] https://comboapp.com/higher-education-marketing-agency/education-marketing-strategies
[2] Meng, X.L. (2015) Marketing of Higher Education Schools: Problems and Strategies in China from the Practice of the United States. Journal of Nanjing University of Radio and Television, No. 3, 38.

მორალურ–ეთიკური პრინციპების და ღირებულებების დაცვა საჯარო სამსახურის სისტემაში

ლომსაძე ნინო
თბილისის სააპელაციო სასამართლოს ანალიტიკური სამსახურის კონსულტანტი
საჯარო მმართველობის აკადემიური დოქტორი

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია საჯარო სამსახურის სისტემაში მორალურ–ეთიკური პრინციპების, ღირებულებების მიზანი, მათი მაქსიმალურად დაცვის უპირატესობა და საჯარო მოხელეთა მიერ კეთილსინდისიერების, ერთგულების და კანონიერების პრინციპების დაცვის მნიშვნელობა მაღალი პროფესიული სტანდარტების შესაბამისად. ასევე, გაანალიზებულია ხელმძღვანელი პირების მორალურ–ეთიკური მიდგომები - როგორც თანამშრომლებთან, ისე საზოგადოების განვითარების მიმართულებით და კანონებსა და მორალურ–ეთიკურ პრინციპების/ღირე-ბულებების შორის სწორი კომბინაცია საჯარო სამსახურის სფეროში.

საკვანძო სიტყვები: საჯარო სამსახური; საჯარო მოხელე; მორალურ-ეთიკური პრინციპები; მორალურ-ეთიკური ღირებულებები;

შესავალი

საჯარო სამსახურის სისტემაში მორალურ-ეთიკური პრინციპების და ღირებულებების ერთობლიობა მოხელეთა ქცევის მარეგულირებელ ერთ-ერთ უმთავრეს წესს წარმოადგენს. საჯარო მოხელის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მისი მთავარი ვალდებულება არის, სწორედ, მორალურ–ეთიკური ნორმების დაცვა და კანონის ფარგლებში სამართლიანი გადაწყვეტილებების მიღება.

ნებისმიერი განვითარებული და დემოკრატიული სახელმწიფოს უმთავრეს ფუნქციას საჯარო სამსახურის სისტემაში სწორედ ამ პრინციპების და ღირებულებების უმაღლეს დონეზე დაცვა წარმოადგენს. აღნიშნული პრინციპების დაცვა და მათი განხორციელება მოიცავს საჯარო მოხელეთა კომპლექსურ პასუხისმგებლობას საზოგადოების მიმართ.

სწორედ ამიტომ, ხელისუფლებასა და საზოგადოებას რა განსხვავებული აზრიც არ უნდა გააჩნდეს, მიდგომა მორალურ–ეთიკური პრინციპების, ღირებულებების დაცვის შემთხვევების მიმართ ერთგვაროვანია და მის მიზანს წარმოადგენს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შემთხვევების აღმოფხვრას.

ბუნებრივია, აღნიშნული პრინციპების და ღირებულებების დაცვა ყველანაირ პრობლემას ვერ აღმოფხვრის, რაც საჯარო სამსახურის სფეროში შეიძლება წარმოიქმნას. ამისთვის აუცილებელია სწორი კომბინაცია კანონებსა და მორალურ–ეთიკურ პრინციპებს/ღირებულებებს შორის.

ძირითადი ნაწილი

საჯარო სამსახურში მორალურ-ეთიკური პრინციპების, ღირებულებების დაცვის მიზანი საჯარო სამსახურის სისტემაში მორალურ–ეთიკური პრინციპების, ღირებულებების სწორად გააზრებას, მის მაქსიმალურად დაცვას უპირატესი მნიშვნე-ლობა ენიჭება. ამ პრინციპების ერთობლიობა წარმოადგენს საჯარო სამსახურში ქცევის საფუძველს და მოხელეებს აძლევს მიმართულებას, თუ როგორ უნდა მოიქცნენ.

მოვალეობის განხორციელებისას, საჯარო მოხელის მთავარი ვალდებულება არის, სწორედ, მორალურ–ეთიკური პრინციპების, ღირებულებების დაცვა. თუმცა არსებობს საჯარო სისტემაში

აღნიშნული პრინციპების და ღირებულებების საწინააღმდეგო ქცევაც, რომელიც არ შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს, პროფესიულ ქცევას და ეწინააღმდეგება მორალურ–ეთიკურ პრინციპებს/ ღირებულებებს.

საჯარო სამსახურში მორალურ–ეთიკური პრინციპების და ღირებულებების მიზანია, საჯარო მოხელეთა სამაგალითო ქცევა და არასათანადო ქცევის თავიდან აცილება; უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და კორუფციის შემთხვევების აღმოფხვრა; საზოგადოების ნდობის გაზრდა/განვითარება საჯარო მოხელეთა მიმართ; გადაწყვეტილების მიმღებთა და შემსრულებელთა ქცევის განსაზღვრა წინააღმდეგობების წარმოშობის შემთხვევაში; სწორედ საჯარო მოხელეთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მორალურ–ეთიკური პრინციპები, ღირებულებები განსაზღვრავს რა ითვლება მართებულად.

მნიშვნელოვანია ხელმძღვანელი პირების მორალურ–ეთიკური მიდგომები, როგორც თანამშრომლებთან, ასევე საზოგადოების განვითარების მიმართულებით. რადგან, მოხელის პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან ერთად, მნიშვნელოვანია თავისუფალი, მშვიდი, წყნარი სამუშაო გარემო და საჯარო სამსახურში ხელმძღვანელის დამოკიდებულება არ უნდა გასცდეს მორალურ–ეთიკურ ნორმებს, სტანდარტებს და დაფასებული უნდა იქნეს ყველა თანამშრომელი.

სწორედ, მორალურ–ეთიკურ პრინციპების და ღირებულებების დაცვას უზრუნველყოფს საჯარო სამსახურის სისტემაში „საჯარო სამსახურის შესახებ“ 2015 წლის 27 ოქტომბრის საქართველოს კანონი, რომელიც მიზნად ისახავს კარიერულ წინსვლაზე, დამსახურებაზე, კეთილსინდისიერებაზე, პოლიტიკურ ნეიტრალიტეტზე, მიუკერძოებლობასა და ანგარიშვალდებულებაზე დაფუძნებული, სტაბილური, საქართველოს ერთიანი საჯარო სამსახურის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლების შექმნას.

საზოგადოება მრავალფეროვანია, რაც იწვევს დადებითისა და უარყოფითის, მორალურისა და ამორალურის, ეთიკური და არაეთიკურის არსებობას. საჯარო სამსახურში მორალურ–ეთიკური პრინციპების და ღირებულებების ერთგულება გულისხმობს, რომ მოხელე საკუთარი ინტერესებით არ უნდა ხელმძღვანელობდეს, არამედ საზოგადოების ინტერესების შესაბამისად.

საჯარო მოხელეთა მიერ მორალურ–ეთიკური პრინციპებისა და ღირებულებების დაცვა და მაღალი პროფესიული სტანდარტების არსებობა საზოგადოების ნდობის ამაღლების მნიშვნელოვანი წინაპირობაა, რადგან აღნიშნული ხელს უწყობს საჯარო სამსახურის გამართულ და საზოგადოების საჭიროებებზე მორგებულ ფუნქციონირებას.

საჯარო მოხელის მხრიდან ამორალურად და არაეთიკურად შეიძლება მიჩნეულ იქნეს ისეთი ქმედებები, რომლებიც მიმართულია მოხელის ან საჯარო სამსახურის დისკრედიტაციისაკენ, საზოგადოებრივი ინტერესების და წესრიგის წინააღმდეგ, რამაც შეიძლება საჯარო სამსახურის სისტემის მიმართ საზოგადოების იმედგაცრუება გამოიწვიოს. საზოგადოებას აქვს მოლოდინი, რომ საჯარო სამსახურის სისტემა, უპირველეს ყოვლისა, სამართლებრივი საზოგადოებრივი ნორმების შესაბამისად, მორალურ–ეთიკურ ფარგლებში მოქმედებს. შესაბამისად, მაშინაც კი, როდესაც მოხელე არ იმყოფება თავის სამუშაო ადგილზე, იგი ვალდებულია სრულყოფილად დაიცვას მორალურ-ეთიკური პრინციპები, ღირებულებები, რათა არ მოხდეს მოხელის და საჯარო დაწესებულების დისკრედიტაცია. იგი ვალდებულია ყველგან გაუფრთხილდეს

როგორც თავის, ასევე კოლეგებისა და დაწესებულების რეპუტაციას.

საჯარო მოხელეს საჯარო სამართლებრივ ურთიერთობებში ყოფნის განმავლობაში გარკვეული კანონისმიერი და მორალურ–ეთიკური ბოჭვა აქვს საზოგადოების წინაშე, რადგან ის იმყოფება ხალხის სამსახურში, რომელიც ხალხის სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური,

სამართლებრივი თუ სხვა საკითხების გადასაწყვეტად არის შექმნილი და მისი შრომის ანაზღაურების წყარო ხალხია.

მორალურ–ეთიკური პრინციპების და ღირებულებების დაცვა საჯარო სამსახურის სისტემაში ფუნდამენტურ კავშირშია კანონიერებისა და ერთგულების დაცვის პრინციპებთან, რომლის დაცვაც ევალება საჯარო სამსახურის სისტემას. საჯარო მოსამსახურის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება, თანხვედრაში უნდა იყოს კანონმდებლობასთან და მორალურ–ეთიკურ პრინციპებთან/ ღირებულებებთან. საჯარო სამსახურის სისტემის მნიშვნელოვანი და გასათვალის-წინებელი ფაქტორი გახლავთ სისტემაში დასაქმებული მოხელეები, რომლებიც განუწყვეტელი პროფესიული შრომით და მორალურ–ეთიკური პრინციპების, ღირებულებების დაცვით აღწევენ საერთო მიზანს.

სწორედ ამიტომ განსაკუთრებული ყურადღებას საჭიროებს ადამიანური რესურსის შერჩევა საჯარო სამსახურის სისტემაში. რადგან, ადამიანური უნარების, ასევე ფიზიკური, ემოციური, გონებრივი შესაძლებლობების კომბინაცია და მორალურ–ეთიკური პრინციპების, ღირებულებების დაცვა წარმოადგენს საჯარო სამსახურის სისტემის ეფექტურ და ეფექტიან საქმიანობას, რომელიც გაზრდის საზოგადოების ნდობის ხარისხს საჯარო სამსახურის სისტემის მიმართ.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მორალურ–ეთიკური პრინციპების, ღირებულებების დაცვა საჯარო სამსახურის სავალდებულო მოთხოვნებია, რომელიც განსაზღვრავს ქცევის იმგვარ წესებს, რომელთა დაცვაც და გათავისებაც სავალდებულოა საჯარო სამსახურის სისტემაში დასაქმებულ პირთათვის, რადგან დაუცველობის შემთხვევაში მივიღებთ არაეთიკურ საჯარო სამსახურს, რომელშიც მოხელეთა მხრიდან სამსახურებრივი საქმიანობის შესრულებისას არ იქნება ყურადღება გამახვილებული საჯარო სამსახურის სისტემის და საზოგადოების ინტერესებზე.

საჯარო სამსახურის სისტემა მოხელეს ავალდებულებს კონსტიტუციის, კანონების, მორალურ–ეთიკური პრინციპების, ღირებულებების დაცვას, რადგან, შესაძლოა, მოხელე გარკვეული დილემის წინაშე აღმოჩნდეს. იმისათვის, რომ მოხელე მოქმედებდეს კეთილსინდისიერების, მიუკერძოებლობის პრინციპების დაცვით, მან უნდა დაიცვას მორალურ–ეთიკური ნორმები, რომლებიც განსაზღვრავს, რა არის მართებული და რა მცდარი.

საჯარო მოხელეთა მიერ სწორედ აღნიშნული პრინციპების, ღირებულებების დაცვა და საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობა წარმოადგენს საჯარო სამსახურის განვითარების გასაღებს, რადგან საჯარო სამსახურის სისტემამ, რომელიც საზოგადო-ების მოთხოვნებს ეფუძნება, ისეთი ქმედებები არ უნდა დაუშვას, რომლებიც შეამცირებს მის მიმართ საზოგადოების ნდობის ხარისხს.

ლიტერატურა

1. ეთიკა და ქცევის ზოგადი წესები საჯარო სამსახურში GIZ-ის (Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammen- arbeit) თბ. 2015 წელი.
2. რ. ბ. დენჰარტი, ჯ. ვ. დენჰარტი. საჯარო მართვა მოქმედების კურსი - 2012 წელი.
3. მუსშენგ ა.ვ. „პიროვნული და მორალური იდენტობა“ Personal and Moral Identity 2002 წელი.
4. საქართველოს კანონი „ საჯარო სამსახურის შესახებ“ - www.matsne.gov.ge.
5. საქართველოს მთავრობის დადგენილება №200 “საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და

ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ” თბილისი 2017 წელი.

6. უილიამ კ. ფრანკენა „ეთიკა“ მეორე გამოცემა იტალია 1973 წელი.

Protection of Moral-Ethical Principles and Values in the System of Civil Service

Lomsadze Nino
Consultant of Analytical Department at Tbilisi Court of Appeals;
PhD in Public Administration

Summary

This work covers the moral-ethical principles and values within the civil service system, their aims, the prevailing interest of their protection and the importance of protecting the principles of moral integrity, loyalty and legality, in accordance with the high professional standards. Besides that, the moral-ethical approaches taken by managers in relation with employees and also, with the development of local society are analyzed together with the right combination of legal and moral-ethical principles/values.

Keywords: civil service; civil servant; moral-ethical principles; moral-ethical values.

ახალი აკადემიური ღირებულებები უმაღლეს განათლებაში, როგორც გლობალური გამოწვევა

მიქელაშვილი მერაბ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

დღეს უნივერსიტეტები მთელი რიგი გამოწვევებისა და წინააღმდეგობების წინაშე დგას. აკადემიურ გარემოში მნიშვნელოვანია ტრადიციების შენარჩუნება და ამავდროულად ახალ გამოწვევებზე ფიქრი - არა მხოლოდ სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესის უახლესი მიღწევების გაცნობა, არამედ ახალ ფორმატში მუშაობა სტუდენტებთან, აკადემიურ პერსონალთან და თანამშრომლებთან. იმისათვის, რომ იყოს სრულად ეფექტური, თანამედროვე უნივერსიტეტმა უნდა შექმნას ერთი მთლიანობა: მასთან ასოცირებული ადამიანები უნდა იზიარებდნენ უმაღლესი განათლების ზოგად ღირებულებებს. ისინი არა მხოლოდ უნდა მუშაობდნენ უნივერსიტეტში, არამედ მათ უნდა იმუშაონ უნივერსიტეტისთვის.

დღეს უნივერსიტეტები უზარმაზარი გამოწვევებისა და გაურკვევლობის წინაშე დგანან დაინტერესებული მხარეების მუდმივად მზარდი მოლოდინების გამო, როგორც უნივერსიტეტის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ, იცვლება ეროვნული და საერთაშორისო საგანმანათლებლო პოლიტიკის დინამიკა, იზრდება კონკურენცია სტუდენტებისთვის და დაფინანსებისთვის, ასევე, ჩნდება ახალი გამოწვევები, რომელიც დაკავშირებულია, განათლების ინტერნაციონალიზაციასთან და ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფ განვითარებასთან.

ღირებულებებმა გადამწყვეტი როლი ითამაშა უნივერსიტეტებში მათი დაარსების დღიდან და ასევე რჩება მთავარ ინსტრუმენტად ზემოთმოტანილი პრობლემების გადაჭრაში. ღირებულებები მნიშვნელოვანია თვითონ უნივერსიტეტისთვის საკუთარი სახის გააზრებისთვის, აგრეთვე დაინტერესებული მხარეებისთვის ამ სახის გასაცნობად.

დღევანდელ რთულ გარემოში უნივერსიტეტების მიმართ საზოგადოების ნდობის გასამყარებლად და შესანარჩუნებლად, უნივერსიტეტებმა მკაფიოდ უნდა განსაზღვრონ თავიანთი ღირებულებები და მკაფიოდ მიაწოდონ ისინი თანამშრომლებს, სტუდენტებს და დაინტერესებულ მხარეებს და აჩვენონ, რომ მათ მიერ არჩეული ღირებულებები გავლენას ახდენს უნივერსიტეტის საქმიანობაზე და გადაწყვეტილებების მიღებაზე.

საკვანძო სიტყვები: უნივერსიტეტი, აკადემიური კულტურა, ცოდნის ეკონომიკა, აკადემიური ღირებულებები, აკადემიური თავისუფლება.

შესავალი

ახალი აკადემიური ღირებულებები

გლობალურმა პროცესებმა, რომლებიც განსაზღვრავს თანამედროვე საზოგადოების განვითარებას, გავლენა იქონია უნივერსიტეტებზე, რომლებიც განიხილება, როგორც საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული ცენტრები.

გლობალურ პროცესებს, პირველ რიგში, მიეკუთვნება:

- **გლობალიზაცია**, რომელიც გულისხმობს ქვეყნებს შორის ეკონომიკური, კულტურული და სხვა საზღვრების წაშლას, ეკონომიკის, დასაქმებისა და განათლების სფეროში მიგრაციულ ნაკადებს;
- **ინტერნაციონალიზაცია,** რომელიც ასახავს უნივერსიტეტების ინოვაციური, სამეცნიერო, საგანმანათლებლო საქმიანობის საერთაშორისო გაზომვადობის გაძლიერებას;

- **ცოდნის ეკონომიკის ფორმირება,** რომელიც აღნიშნავს ინდუსტრიული ეკონომიკიდან ცოდნის ეკონომიკაზე გადასვლას.

აღნიშნული პროცესები მჭდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. მაგალითად, განათლების ინტერნაციონალიზაცია მოწოდებულია, სწავლის პროცესში სტუდენტებს ჩამოუყალიბოს გლობალური კომპეტენცია, რომელიც აუცილებელია გლობალიზებულ საზოგადოებაში წარმატებული საქმიანობისათვის. ასეთი სპეციალისტების ნაკლებობა პირდაპირ კავშირშია საგრძნობ დანაკარგებთან, რომელიც ეფუძნება ცოდნაზე დამყარებულ ეკონომიკას.

ძირითადი ნაწილი

გლობალური პროცესები წარმოადგენს ცვლილებების მიზეზებს, რომლებსაც განეკუთვნება:

- მასიფიკაცია, ანუ უმაღლეს განათლებაზე მნიშვნელოვნად გაზრდილი მოთხოვნა;
- პრაგმატიზაცია, ანუ უმაღლესი განათლების მიზნებისა და ღირებულებების
- ტრანსფორმაცია;
- უმაღლესი სკოლის ადგილის განუსაზღვრელობა სოციალურ ურთიერთობებსა და საზოგადოებრივ სტრუქტურებში;
- სახელმწიფოს როლის ცვლილება, უმაღლესი განათლების სფეროში სახელმწიფოს პასუხისმგებლობის წილის შემცირების საფრთხე;
- მარკეტიზაცია ანუ უმაღლესი განათლების სფეროში საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბება;
- აკადემიური კაპიტალიზმი, ანუ უნივერსიტეტების ჩართვა საბაზრო ურთიერთობების მსგავს ურთიერთობებში.

ცვლილებები საზოგადოებაში, რომელიც განპირობებულია ცოდნის ეკონომიკის ფორმირებით, განსაზღვრავს თანამედროვე უმაღლესი განათლების ახალ მიმართულებებს და გავლენას ახდენს აკადემიური კულტურის ღირებულებების ცვლილებებზე.

აკადემიურ კულტურაში მოიაზრება უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის ნორმირებისა და ღირებულებების ერთობლიობა. ტრადიციულ აკადემიურ ღირებულებებს მიეკუთვნება კრიტიკული აზროვნება, არაგამოყენებითი მეცნიერება, აკადემიური და ინტელექტუალური თავისუფლება, ავტონომიისადმი და სამეცნიერო საზოგადოების მიერ აღიარებული ჭეშმარიტი ცოდნისადმი ერთგულება. ამ ღირებულებებს უნივერსალური ხასიათი გააჩნია.

უმაღლესი განათლების სფეროში სახეზეა წინააღმდეგობა ძველ და ახალ ღირებულებებს შორის, რომელიც დაკავშირებულია საუნივერსიტეტო სფეროში „საბაზრო ლოგიკის“ განვითარებასთან და ცნობილია აკადემიური კაპიტალიზმის სახელით. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, სახეზეა გამოწვევა, რომელიც ტრადიციული აკადემიური ღირებულებებისთვის საფრთხეს წარმოადგენს და გულისხმობს, მაგალითად, უნივერსიტეტის ავტონომიურობის შეზღუდვის შესაძლებლობას.

გამოყოფენ სამ ძირითად ტენდენციას, რომელიც შეიძლება განხილული იყოს როგორც ტრადიციული აკადემიური ღირებულებების საფრთხე:

- უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების ახალი კონცეფცია, როგორც უფრო ფართო ცოდნის ინდუსტრიის ელემენტი;
- გაზრდილი ძალისხმევა პროფესიულ, გამოყენებით განათლებაზე, ამასთან
- ჩადებული ინვესტიციების დაბრუნების ტემპები უფრო მნიშვნელოვნადაა მიჩნეული, ვიდრე საზოგადოების სარგებელი;

– ახალი კვლევითი პარადიგმების განვითარება, რომელიც გულისხმობს კვლევის პროდუქტების კომერციალიზაციას, აგრეთვე უმაღლესი განათლების ორგანიზაციის ახალ სქემებს [1].

ევროპაში უმაღლესი განათლების პრინციპებისა და ეთიკური ღირებულებების ბუქარესტის დეკლარაციაში (2-5 სექტემბერი, 2004 წ.) აკადემიურ კულტურასთან დაკავშირებით, შემდეგი აზრია ჩამოყალიბებული: „ნებისმიერი უმაღლესი სასწავლო დაწესებულების აკადემიური კულტურა, რომელიც გამოხატულია მის მისიაში, ინსტიტუციონალურ ქარტიასა და აკადემიური ქცევის კოდექსში, აქტიურად და მიზანმიმართულად უნდა უწყობდეს ხელს ღირებულებების, ნორმების, რწმენისა და დაშვებების გავრცელებას, რომელსაც ინსტიტუციური საზოგადოება მთლიანობაში მიჰყავს ეთოსის ჩამოყალიბებამდე, რომელიც ეფუძნება ღირსებების პატივისცემას; მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლამდე, ცოდნის განვითარებამდე და მისი ხარისხის ზრდამდე, განათლების ხელმისაწვდომობამდე, აქტიურ სამოქალაქო პოზიციამდე და არადისკრიმინაციამდე“ [2].

ევროპული აკადემიური კულტურის მთავარ ღირებულებებს მიეკუთვნება:

– ინტელექტუალური თავისუფლება და სოციალური პასუხისმგებლობა;
– დამოუკიდებელი მკვლევარებისა და მეცნიერების მორალური პასუხისმგებლობა არა მხოლოდ კვლევის პროცესზე (თემის შერჩევა, მეთოდები და კეთილსინდისიერება), არამედ მის შედეგებზე;
– ცალკეული სამეცნიერო საზოგადოებების სწრაფვა თანამშრომლობისაკენ გლობალური მასშტაბით;
– მეცნიერების უფლება, თავისუფლად გამოხატონ თავისი აზრი კვლევითი პროექტების მეცნიერულ და ეთიკურ ასპექტებზე და თავის არიდება ისეთ პროექტებში მონაწილეობაზე, რომლებიც ეწინააღმდეგება მათ რწმენასა და ღირებულებებს [2, 3].

უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებები არის ე.წ. „მეორე საუნივერსიტეტო რევოლუციის“ შედეგი, რომლის საფუძველზეც უნივერსიტეტის მთავარ ამოცანად, საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად, დასახული იქნა საზოგადოების ეკონომიკურ განვითარებაში წვლილის შეტანა – ე.წ. „ცოდნის საზოგადოების“ ფორმირება. ამ ყველაფერმა უნივერსიტეტებს უბიძგა საკუთარი საქმიანობის კომერციალიზაციისკენ, რაც გამოიხატა უცხოელი სტუდენტების რაოდენობის ზრდისკენ მისწრაფებაში, დამატებითი თანხების მოზიდვაში საფონდო პროექტებში მონაწილეობის გზით, საპატენტო საქმიანობაში, შემოსავლების მიღებისკენ სწრაფვაში და ა.შ. საერთაშორისო განათლება განიხილება როგორც პროდუქტი, ხოლო მისი ფლობა - როგორც სიკეთე და არა როგორც საზოგადოებრივი ვალდებულება.

აკადემიური კაპიტალიზმის, როგორც ღირებულებების განვითარებამ უმაღლეს განათლებაში, ხელი შეუწყო ურთიერთობების ფორმირებას უნივერსიტეტს, სახელმწიფოს, სამოქალაქო საზოგადოებას, ბიზნესს, შრომის ბაზარსა და პიროვნებას შორის. მოხდა უნივერსიტეტის, როგორც სრულფასოვანი პარტნიორის ფორმირება და მისი ჩაბმა საბაზრო ბრძოლაში.

აკადემიური კაპიტალიზმის გამოვლენა უმაღლესი სასწავლებლის საქმიანობაში ხდება:

– პირდაპირი საბაზრო საქმიანობით შემოსავლის მიღებით მიზნით;
– კონკურენციით ფონდებიდან (ფანდრაიზინგი) სახსრების მოზიდვის, კონტრაქტების გაფორმების, დოტაციების მიღების მიმართულებით [4, 5, 6].

აკადემიურ კულტურასა და სამეწარმეო კულტურას შორის განსხვავება თვალსაჩინოა. ისტორიულად, სამეცნიერო საქმიანობის მოტივაციად ითვლებოდა სამეცნიერო კვლევებითა და

კონკრეტული დისციპლინით გატაცება და არა ფინანსური სტიმულებით. აკადემიური კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად მკვლევარები ისეთი ღირებულებებიდან, როგორიცაა ალტრუიზმი და საზოგადოებრივი მსახურება, გადადიან საბაზრო ღირებულებებზე [7].

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, უმაღლესი სასწავლებლის ახალი მოდელის ფორმირების პროცესში მნიშვნელოვანი ამოცანაა, საუნივერსიტეტო საზოგადოების წევრების იდენტიფიცირება უნივერსიტეტთან და მათი ერთ მთლიან ორგანიზაციად განხილვა. უნივერსიტეტის ინოვაციური განვითარება დიდწილად დამოკიდებულია მისი მისიის, ფილოსოფიის, ღირებულებების მიმზიდველობაზე. კონკურენტულ გარემოში უნივერსიტეტის კორპორაციული კულტურა ხდება ერთგვარი მარკეტინგული ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია საგანმანათლებლო პროდუქტის როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე შეღწევა და დამკვიდრება.

აკადემიურ და საზოგადოებრივ კულტურას შორის საზღვრების გავლება დამოკიდებულია საუნივერსიტეტო კულტურის ძველ და ახალ ღირებულებებს შორის არსებულ წინააღმდეგობებზე. შეიძლება საუბარი თანამედროვე უნივერსიტეტის კულტურის დუალურ ბუნებაზე – ერთი მხრივ, ეს არის საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე ინტერესების მიღწევის კულტურა, ანუ კონკურენტული ბრძოლის კულტურა, ხოლო მეორეს მხრივ, ეს არის ტრადიციული აკადემიური კულტურა, რომელიც ეფუძნება პედაგოგიური ღირებულებების შენახვასა და გამდიდრებას.

უცხოელი მკვლევარები ხშირად აპელირებენ ზოგად განსაზღვრებებზე, რომლის მიხედვითაც საუნივერსიტეტო კულტურა არის:

- გარკვეული ღირებულებების ერთობლიობა, რომელთა დანერგვასაც მენეჯმენტი ცდილობს უნივერსიტეტის საქმიანობაში;
- საუნივერსიტეტო საზოგადოების (ხელმძღვანელი რგოლი, პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები, დამხმარე პერსონალი) ღირებულებებისა და რწმენის ერთობლიობა, რომელიც ტრადიციებზეა დაფუძნებული და სიტყვიერად და არავერბალურადაა ტრანსლირებული;
- ღირებულებები, ნორმები და რწმენა, რომელიც განსაზღვრავს უნივერსიტეტში მიღებული გადაწყვეტილებების სტილს [11].

ღირებულებები, რომელთა საფუძველზეც ხდება აკადემიური და კორპორაციული კულტურის ფორმირება, წარმოადგენს უნივერსიტეტის თანამშრომელთა ქცევის ნორმებისა და ფორმების საფუძველს. სწორედ უნივერსიტეტის ყველაზე ავტორიტეტული წარმომადგენლების მიერ დეკლარირებული და გაზიარებული ღირებულებები წარმოადგენს იმ საფუძველს, რომლებზეცაა დამოკიდებული თანამშრომელთა ერთობა, მათი შეხედულებებისა და მოქმედებების ერთიანობის ფორმირება და შესაბამისად, დასახული მიზნის მიღწევა.

უნივერსიტეტის კორპორაციული კულტურის ბირთვად შეიძლება მივიჩნიოთ ტრადიციული აკადემიური ღირებულებები (მაგალითად, აკადემიური თავისუფლება, აკადემიური ავტონომია, აღიარება სამეცნიერო საზოგადოების მიერ, პუბლიკაციები რეიტინგულ და რეფერირებად გამოცემებში და ა.შ.), რაც ასახავს უნივერსიტეტის არსსა და საბაზო ფუნქციას. ახალი ღირებულებები (მაგალითად, აკადემიური კაპიტალიზმი, საგანმანათლებლო პროცესის ინტერნაციონალიზაცია, კონკურენტუნარიანობის ამაღლება, უნივერსიტეტის ბრენდის ფორმირება და ა.შ.) შეიძლება პერიფერიულად განვიხილოთ. ახალ (პოსტაკადემიური) ღირებულებებს ჩვენ მივაკუთვნებთ პერიფერიულს იმის გამო, რომ ისინი სხვადასხვა ხარისხით მიიღება აკადემიური საზოგადოების წევრების მიერ და შეიძლება განვიხილოთ, როგორც ფაკულტატიური.

აკადემიური კულტურის გამოვლენა ხდება ინსტიტუციური, სოციალური და საწარმოო ელემენტების სახით [8, 9, 10].

ინსტიტუციურ ელემენტში იგულისხმება პრაქტიკა და სიმბოლური კონსტრუქციები, რომლებიც განსაზღვრავს უნივერსიტეტის ორგანიზაციულ კულტურას.

უნივერსიტეტის აკადემიური კულტურის **სოციალური ელემენტები** ეფუძნება სოციალურ მოლოდინებს, როგორებიცაა მაგალითად, მასობრივი განათლება, მოქალაქეობა და ცოდნის შენარჩუნება.

წარმოების ელემენტი ასახავს უნივერსიტეტის წვლილს ეკონომიკურ ზრდაში, ცოდნის საზოგადოების ჩამოყალიბებაში, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებაში, სამეცნიერო კვლევების ჩატარებაში, რომლებიც აქტუალურია კომერციული თვალსაზრისით.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ახალი ღირებულებები მხოლოდ ტრადიციული აკადემიური ღირებულებების დამატებაა და წარმოადგენს უნივერსიტეტების ცვალებად გარემოსთან ადაპტაციის შედეგს.

დასკვნა

მიმდინარე ეტაპზე უმაღლესი სასწავლებლის კონკურენტუნარიანობა მნიშვნელოვან-წილადაა დამოკიდებული იმაზე, თუ აკადემიური საზოგადოება რამდენად მიიღებს და გაიზიარებს ახალ ღირებულებებს, რომელიც მოიცავს აკადემიურ კაპიტალიზმს, ინტერნაციონალიზაციასა და კონკურენციას. ეს საშუალებას მისცემს უნივერსიტეტს, ჩამოაყალიბოს ძლიერი კორპორატიული კულტურა და იმავდროულად არ დაკარგოს ტრადიციული აკადემიური საწყისი. ძლიერი კორპორაციული კულტურა მოწოდებულია გახდეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო სერვისების გლობალურ ბაზარზე კონკურენტული ბრძოლის შიდა რესურსი, ისევე როგორც საფუძველი კორპორაციული იდენტობის ფორმირებისთვის და უნივერსიტეტის ბრენდის შესაქმნელად.

ლიტერატურა

1. https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/0379772032000119937
2. https://docplayer.com/36182114-Buharestskaya-deklaraciya-eticheskih-cennostey-i-principov-vysshego-obrazovaniya-v-evrope.html
3. https://docplayer.com/61986947-Prinyata-komitetom-ministrov-20-iyunya-2012-g-na-1146-m-zasedanii-zamestiteley-ministrov.html
4. https://journals.sagepub.com/doi/10.2304/pfie.2004.2.2.2
5. https://www.jstor.org/stable/3447483
6. https://www.researchgate.net/publication/324458855_Academic_capitalism_and_the_entrepreneurial_university_some_perspectives_from_the_Americas
7. https://www.researchgate.net/publication/49610366_Academic_capitalism_and_academic_culture_A_case_study
8. https://rm.coe.int/tom-2-/168074cc74
9. https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000185056
10. https://www.ifap.ru/library/book389.pdf
11. http://www.magna-charta.org/

New academic values in high education, as global challenge

Mikelashvili Merab
Professor of Georgian Technical University

Summary

Nowadays universities are facing lots of challenges and difficulties. It's important to maintain traditions and think about new challenges - not only get to know new scientific and technological progress, but work in new formats with students, academic personnel and co-workers. To be effective, modern universities should create a whole: associated people should share basic educational values - they should work for universities. Today, universities are facing challenges both inside and outside - dynamics of international politics is changing, competition is rising among students and their financing; also, new challenges are born which are connected with the internationalization of education and fast development of informational technologies.

Values have played major role in universities from the day of their establishment and still maintain the role of major instruments to solve the problems stated above. Values are important for universities and interested parts to self-realize.

In today's tough reality, in order to strengthen society's trusts towards universities, they should clarify their values and transmit them to employees, students, interested parts and show them, that the values they've chosen impact the university.

Keywords: university, academic culture, knowledge economics, academic values, academic freedom.

National context of Higher Education

Tamar Sanikidze
Executive Director | Georgia Innovation, Inclusion and Quality Project

A study of the national context of higher education and its role in shaping up relevant business processes in the state higher education institutions for quality academic program development.

Abstract

This paper reports on study conducted in Georgia on the issues of the university sector with the main emphasis on the analysis of the national context of the higher education that triggers the process of the academic program development by the universities. This paper spciffically considers the government instutional relations, state policies and practices that can have the influence on shaping the internal business processes established by the universities related to planning, implementation and evaluation of the academic programs.

The paper presents the results of the survey and evaluation and concludes that seperate parts of the national polices and practises can have positive influence on the universities in determining the relevant, quality-oriented approaches for the development of the academic programs and defining the appropriate internal business processes, whilst certain aspects can be viewed as a limitations and unnecessary and requiring reconsideration by the state.

Background

As Georgia is emerging from the control ethos of Soviet education systems, it has yet to emerge fully but the impact of the Bologna process is increasingly visible, through encoding into policy concepts.

Georgia joined the Bologna Process at the Bergen Summit in 2005 (Bergen Summit, 2005), one of the most important voluntary processes in Europe. Concurrent with the Bologna Process, meetings of European Ministers and a wide range of agreements between European countries have ensured the formation of the European Higher Education Area (EHEA), comparability / compatibility with qualification standards and quality, support for lifelong learning and more. By joining the Bologna Process, Georgia has committed itself to further modernizing the national education system and contributing to the key goals of establishing European Higher Education Area and promoting the European Higher Education System around the world.

Although, Georgia introduced the QA system in 2005 (dubbed Institutional Accreditation), and the system went through two waves of revisions, the national QA agency only managed to align the national system to the requirements of the Standards and Guidelines for Quality Assurance in the European Higher Education Area (ESG, 2015) in 2018 and became the member of European Association for Quality Assurance in Higher Education (ENQA) in 2019. Despite this achievement the system still faces incoherent implementation of the external and internal QA mechanisms and lack of internalization of the QA processes at the institutional level (*15 Years of Bologna Process in Georgia: Achievements, Challenges and Recommendations, National Erasmus+ Office Georgia, 2020, pg. 73).*

Analysis of the national context of higher education

To analyze the national context of higher education and define recommendations to support the further improvement of the system the comprehensive desk research has been implemented. Different laws and bylaws governing the higher education and quality assurance, policy documents, international agreements, reports and researches have been reviewed including but not limited to the Constitution of Georgia, the Laws of Georgia on Higher Education and Quality Enhancement, Quality Assurance Standards for Institutional and academic programs, Association Agreement, national strategy on development of education and science and implementation report etc. In-depth interviews have been conducted with the representatives of the higher education institution representatives, higher education experts and quality assurance national agency management (10 interviews in total).

The analysis of national higher education context in performed in several dimensions.

One of these is the bases of the system and development perspectives. To this end the study analyzes

main state regulations and practices that supports the formation of the European Higher Education Area (EHEA) and sharing of its principles. The study discusses the responsibilities taken by the Government of Georgia under the Association Agreement (Association Agreement, 2014) between Georgia on the one hand and the European Union and the European Atomic Energy Community and its member-countries on the other (The Association Agreement), signed On June 27, 2014, ratified by the Georgian Parliament on July 18, 2014. The main emphasis is on the changes made in the National legislation that supports the implementation of the responsibilities taken. Given the content of Articles 358 and 359 of the Association Agreement, the legislation shall support strengthening of the lifelong learning and international cooperation in the academic field, to ensure the quality of education, as well as to promote progress in recognition of qualifications and competencies.

Another dimension analyzed is quality assurance system of higher education. Particularly, academic program planning, development and evaluation is discussed that is the integral and important part of the quality assurance system and that in turn defines the institutional arrangements and the management model of the higher education institutions including considering the field/discipline specificity.

The third dimention analyzed is the normative/legislative base that shapes the higher education institution management model. Particularly, it discusses the constitutional guarantees existing in the national context and the regulations on university management defined in the organic law – the Law of Georgia on Higher Education.

Finally, the study answers the main question whether the responsibilities taken by the country under international agreements, the tendences of implemented the relevant changes, national quality assurance and legislative systems all together creates the relevant grounds for quality academic program development and triggers the improvement of the important business processes needed for academic program development by the universities.

Key Findings and Recommendations

Both the fulfilment of international obligations by the state and the current quality assurance system play an important role in the development of academic programs and subsequently in defining relevant business processes by the universities. However, a critical analysis of the issues shows that the current legislation governing the management of higher education institutions at the national level is more focused on the model of the structure of the institution and the detailed definition of the selection/powers of governing bodies. Such an approach is not compatible with the principles of autonomy and academic freedom granted to higher education institutions by the legislation.

It is important to note that the Law on Higher Education sets out the principles for managing an institution. In particular, in accordance with the law, the higher education institution must ensure the publicity and accessibility of its decisions, reports of governing bodies and legal acts to all interested parties. The institution should have transparent decision-making procedures, ensure the academic freedom of academic staff, scientific staff and students and ensure their participation in decision-making.

In terms of granted autonomy and academic freedom, it would be appropriate for higher education institutions to have more flexibility in developing individual approaches and management models. In particular, considering the principles already stated in the law, as well as other principles specific to the higher education area, the higher education institutions had the freedom to define a management model that would be more focused on academic program development/evaluation and implementation of quality teaching and learning. In such a case, the management model selected by the higher education institutions would be largely due to the internal business processes necessary for its core activities.

Considering the detailed regulations provided in the form of imperative norms in the Law, focus is drawn towards determining conformity with the Law. Dates of adoption of various regulations, as well as their content requirements are important. It is evident that, in terms of development, regulations of the Law on Higher Education lag behind quality assurance requirements. Moreover, under different regulations, such as authorization and accreditation standards, as well as national qualifications' framework, that are focused on evaluation of quality and management effectiveness of educational programs, restrictive norms defined by the law are oriented on consistency with technical norms, instead of evaluation of the quality. Evaluation indicators for the same quality assurance standards are often used to determine compliance with the requirements of the

law. In general, the requirement of compliance with the law is not an unreasonable requirement itself, but, not in cases where compliance with the law restricts quality assurance requirements.

For example, second standard of authorization – "Organizational Structure and Management of the Higher Education Institutions" provides that organizational structure and management of the HEI shall consider the best practice existing in the educational field, which means effective use management and quality assurance mechanisms. According to this approach, institutions shall ensure implementation of the strategic plan, integration of quality assurance function in the management process and facilitate the observance of good faith and ethical principles in the institution. Despite such definition of the standard, according to the evaluation criteria of the respective sub-standard, the institution complies with the standard's requirement if the procedures of the selection/appointment in the governing bodies/units is approved, transparent, lawful and **consistent with the law**. Similar cases are observable with regard to other authorization standards and sub-standards.

Considering the aforementioned, meeting requirements of the quality assurance standard is limited to meeting requirements of the law. Thus, with the unified approach it is hard to respond to the significant challenges of the changing environment of the common European higher education area, such as, including but not limited to preparation of youth for global labour market, which implies study of the labour market, involvement of employers, innovation and orientation on the development.

Standardized approach does not constitute the promotion of innovative management models by HEIs based on individual needs. Therefore, existing legislation is oriented not on content analysis which would be directly related to the assessment of management effectiveness, including in the framework of the development cycle of academic programs, but on technical compliance which, on the one hand, does not allow quality assessment and, on the other hand, can be considered as an obstacle to defining the relevant internal business processes for developing quality academic programs.

References

1. "15 Years of Bologna Process in Georgia: Achievements, Challenges and Recommendations" p. 73
2. VlasceanuLazaretal., pp 70-73. Quality assurance and accreditation: a glossary of basic terms and definitions. UNESCO European Centre for Higher Education, Revised and updated edition UNESCO-CEPES 2007, First Edition 2004, Bucharest
3. National Strategy on Developing Education and Science 2017-2021. Ministry of Education and Science of Georgia 2017. http://mes.gov.ge/uploads/MESStrategy_2017-2021.pdf;International Institute for Education Policy Planning and Management – Policy Briefhttp://eppm.org.ge/wp-content/uploads/2019/04/Policy-brief_EQF_GEO_-FINAL-22.04.2019.pdf; National Strategy on Developing Education and Science 2022-2032 (draft).
4. Bologna Declaration, June 19, 1999
5. https://www.mes.gov.ge/uploads/Bologna/1%20boloniis%20deklaracia.pdf
6. Georgia's Association Agreement to EuropeY2014. http://www.mfa.gov.ge/Association-Agreement.aspx
7. ENQA review of National Center for Education Quality Enhancement, Y 2019
8. The Law of Georgia on Higher Education
9. The Law of Georgia on Education Quality Enhancement
10. The Bill Review Content of the Law of Georgia on Education Quality Enhancement changes in the legislation, Y2017. https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/167535
11. Minister of Education and Science of GeorgiaOrder №99/N, Oct 1, 2010 (Authorization of Higher Education Institutions)
12. Minister of Education and Science of GeorgiaOrder №65/N, May 4, 2011 (Accreditation of programs of general and higher education)
13. Minister of Education and Science of GeorgiaOrder №69/N, April 10, 2019 (National Qualification Framework and Study Field Classifier).

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტრატეგიული განვითარების გეგმა

წულაია მილანა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

განათლებისა და მეცნიერების გარეშე შეუძლებელია ქვეყნის ღირსეული მომავლის უზრუნველყოფა, თანამედროვე, ცივილიზებულ სამყაროში დამკვიდრებულ ღირებულ-ებებზე დაფუძნებული სახელმწიფოს ჩამოყალიბება. მწყობრი და გამართული, ინოვაციისა და ტექნოლოგიურ სრულყოფაზე ორიენტირებული განათლების სისტემა ღირსეული სამუშაო ადგილების შექმნის და, შესაბამისად, ქვეყანაში ცხოვრების დონის გაუმჯობესების მთავარი წინაპირობაა.

მნიშვნელოვანია განათლების ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში თავისუფლების განცდის ამაღლებას და მათ უფრო მეტად ჩართულობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

სოციალურ - ეკონომიკური განვითარების გლობალურმა კვლევამ აჩვენა, რომ განათლება წარმოადგენს საზოგადოების ყველა ასპექტის განახლების უმნიშვნელოვანეს წყაროს. ყველა განვითარებულ ქვეყანაში მნიშვნელოვანია მოსახლეობის განათლების დონის ამაღლება.

მენეჯმენტის ეფექტურობის და ხარისხის გაუმჯობესების სტრატეგიის შემუშავება უმაღლესი განათლების სისტემაში, თანამედროვე საქართველოს ეკონომიკის განვითარებისთვის აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს.

საკვანძო სიტყვები: განათლების მენეჯმენტი, სტრატეგიული მიზნები, უმაღლესი განათლება.

შესავალი

უმაღლესი განათლების ორგანიზაციების სისტემის მართვა უნდა იყოს თანამედროვე მენეჯმენტის პრინციპებზე აგებული. ცნება „ორგანიზაცია“ არის სამეცნიერო მენეჯმენტის ერთ-ერთი ძირითადი კატეგორია, ვინაიდან ნაშრომის კვლევის ობიექტს წარმოადგენს უმაღლესი განათლების სისტემის ორგანიზაციები. სტატიაში განმარტებულია ისეთი ცნებები, როგორიცაა ორგანიზაციის სტრატეგია, სისტემა, სტრუქტურა. ა.ა. ბოგდანოვმა სამეცნიერო ნაშრომი „ტექტოლოგია. ზოგადი ორგანიზაციული მეცნიერება“ [1] ზოგადად აღწერა ორგანიზაციების წარმოშობისა და დაშლის პროცესების შესახებ, გამოთქვა მოსაზრება მათი შესწავლის სისტემატური მიდგომის აუცილებლობის შესახებ.

საგანმანათლებლო სისტემის დაწესებულებები უზრუნველყოფენ მომსახურებას, რომელსაც მოაქვს მომხმარებლისთვის სარგებელი. ნებისმიერი დაწესებულების მართვა იწყება მისი ცხოვრებისეული ციკლის ანალიზით. ასეთი ანალიზის საჭიროება განპირობებულია იმით, რომ საგანმანათლებლო მომსახურების დაგეგმვის პირველ ნაბიჯს წარმოადგენს მისი სტატუსი ცხოვრებისეული ციკლის კუთხით.

ნებისმიერი ბაზარი, მათ შორის საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარი, გამოდის როგორც დამაკავშირებელი მიწოდებასა და მოთხოვნას შორის. საგანმანათლებლო სერვისებზე მოთხოვნა შეიძლება განსხვავებულად რეაგირებდეს ფასზე, წინადადების მოცულობასა და სტრუქტურაზე. მოკლევადიან პერსპექტივაში, მიწოდება და მოთხოვნის რეგულაცია შეიძლება

[1] Богданов А.А. Тектология. Всеобщая организационная наука.-М.: Наука, 1988

განხორციელდეს ფასების ცვლილების გზით საგანმანათლებლო მომსახურეობაში. გრძელვადიან პერსპექტივაში მნიშვნელობა აქვს მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, პირადი მოთხოვნის სტრუქტურას, მოსახლეობის შემოსავლებისა და ხარჯების დინამიკას.

ძირითადი ნაწილი

საგანმანათლებლო მომსახურების ეფექტური აქტივობა ბაზარზე გულისხმობს ბაზრის სეგმენტების გამართლებულ არჩევანს, მათ შეფასებას მიმზიდველობის თვალსაზრისით და კონკურენტუნარიანობას. ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ სფეროს, დაწესებულების წარმატების უზრუნველსაყოფად, წარმოადგენს სისტემატური მარკეტ-ინგული კვლევა და მენეჯმენტის გადაწყვეტილებები, რომელიც დაფუძნებულია გარე და შიდა ინფორმაციის ავტომატიზებული ტექნოლოგიით დამუშავებაზე. დაწესებულებას შეუძლია გამოიყენოს სხვადასხვა მეთოდები საგანმანათლებლო სერვისების პოპულარიზაციისთვის შესაბამის ბაზარზე. ამასთანავე აუცილებელია მომსახურების სერვისის მომხმარებელთა სურვილების შესაბამისი გავხადოთ, უკეთესი ვიდრე კონკურენტების.

იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ დაწესებულების წარმატებული საქმიანობა უნდა გამოვიყენოთ კონკურენტუნარიანი სტრატეგია.[1] ხაზგასასმელია რომ დაწესებულების მიზნები და სტრატეგიები ურთიერთდაკავშირებულია ერთმანეთთან. მიზნები და სტრატეგიები განსაზღვრავს საბაზრო შესაძლებლობების ძიების ძირითად მიმართ-ულებებს, ინარჩუნებს ხარჯების დაგეგმილ ჩარჩოებს, განსაზღვრავს პერსონალის რაოდენობას და კვალიფიკაციას.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და სისტემების მართვა არის მენეჯმენტი, რომელიც ხორციელდება სწრაფად შიდა საზოგადოების ცვალებად გარემოში, რომელთან დაკავშირებითაც შეიძლება წამოიჭრას ახალი მიზნები და ამოცანები, ადეკვატური ცვლილებები თავად დაწესებულებაში. ეს იწვევს აქტივობებში მართვის პროცესების ინტეგრირების აუცილებლობას საგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურულ დანაყოფებში.

საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა საკმაოდ სტაბილურია სახელმწიფო სექტორში, თუმცა კერძო დაწესებულებების რაოდენობამ 2018-დან 2020-მდე მოიკლო 12 ერთეულით (20%), რაც მიუთითებს მაღალ კონკურენციაზე დარგში. იმ ფონზე როდესაც სტუდენტთა საერთო რაოდენობა შედარებით მატულობს წლიდან წლამდე. ასევე გაიზარდა გაცვლითი პროგრამების რაოდენობა. ეტაპობრივად, ჩვენი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ნერგავენ შესაბამის სტანდარტებს და აღწევენ დონეს, რომელიც მსოფლიო მასშტაბით შეძლებს კონკურენციის გაწევას. ქვეყანას აქვს პოტენციალი მომავალ თაობას მისცეს ისეთი განათლება, რომელიც შეესაბამება როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიოში არსებულ მოთხოვნებს, რაც წარმატების საწინდარი გახდება. ანგარიშგების პორტალის ვებ-გვერდის მონაცემების თანახმად 2018 წელს, ავტორიზებული უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობამ შეადგინა 20. ქვემოთ მოცემულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები და მათში სტუდენტთა რაოდენობა სწავლების სახეების მიხედვით (სასწავლო წლის დასაწყისისათვის) ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, საქსტატის ოფიციალური მონაცემების თანახმად.[2]

---

[1] Тихомиров В. П. Интегрированное пространство знаний — основа интеграции образовательной, научной и инновационной деятельности высших учебных заведений. — Профессиональный учебник / ежеквартальный журнал 1-2 (19-20) 2010 г.

[2] v http://pc axis.geostat.ge/PXweb/pxweb/ka/Database/Database__Social%20Statistics__Education__Higher/Higher_education_institutions_and_enrolment.px/?rxid=7d78181c-1286-4c73-9ccf-27ee56206104

	2015-2016	2016-2017	2017-2018	2018-2019	2019-2020	2020-2021
სულ	74	74	75	63	62	62
სახელმწიფო	20	20	20	19	19	19
კერძო	54	54	55	44	43	43

წყარო: geostat.ge

როგორც გრაფიკიდან ჩანს, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები აღემატება სახელმწიფო დაწესებულებებს. რაც შეეხება სტუდენტთა რაოდენობის განაწილებას შემდეგია: [1]

	2015-2016	2016-2017	2017-2018	2018-2019	2019-2020
სულ	134 944	140 261	143 808	147 714	148 803
სახელმწიფო	90 452	91 740	93 627	95 923	95 535
კერძო	42 492	48 521	50 181	51 791	53 268

წყარო: geostat.ge

ზემოთ მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბევრად მეტი სტუდენტი სწავლობს, რისი განმსაზღვრელიც შეიძლება იყოს უფრო მეტი ნდობა სახელმწიფო სასწავლებლების მიმართ.

ნებისმიერი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სხვა დაწესებულებების მიერ მუდმივად განიხილება კონკურენტად საგანმანათლებლო და პოტენციური მომხმარებლების მომსახურების ბაზარზე. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმატება და ეფექტურობა დამოკიდებულია მის საქმიანობაზე და სტრატეგიაზე, ასევე დაწესებულებში სასწავლო პროცესის ორგანიზების ეფექტურობაზე.

დაწესებულებებში, ხარისხის მართვის სისტემის ფორმირების უნივერსალური მექანიზმის არ არსებობა, ამცირებს მათ კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე. [2]

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ რომ, მენეჯმენტის წყალობით მიიღწევა სხვადასხვა ორგანიზაციების კომპონენტების ადაპტაცია, ფორმირდება მყარი მენეჯმენტი. ამასთანავე, რაციონალური მენეჯმენტი განსაზღვრავს უნივერსიტეტის საქმიანობის ოპტიმალურობას საგანმანათლებლო ბაზარზე.

მნიშვნელოვანია განათლების ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში თავისუფლების განცდის ამაღლებას და მათ უფრო მეტად ჩართულობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

სოციალურ - ეკონომიკური განვითარების გლობალურმა კვლევამ აჩვენა, რომ განათლება წარმოადგენს საზოგადოების ყველა ასპექტის განახლების უმნიშვნელოვანეს წყაროს. ყველა განვითარებულ ქვეყანაში მნიშვნელოვანია მოსახლეობის განათლების დონის ამაღლება.

[1] http://pc-axis.geostat.ge/PXweb/pxweb/ka/Database/Database__Social%20Statistics__Education__Higher/Number_of_students_admitted_to_higher_edu.px/?rxid=7d78181c-1286-4c73-9ccf-27ee56206104

[2] Э. В. Злобин - Формирование системы менеджмента качества образовательной организации. – 2004 г.

ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ;
2. Богданов А.А. Тектология. Всеобщая организационная наука.-М.: Наука, 1988
3. Тихомиров В. П. Интегрированное пространство знаний — основа интеграции образовательной, научной и инновационной деятельности высших учебных заведений. — Профессиональный учебник / ежеквартальный журнал 1-2 (19-20) 2010 г.
4. Э. В. Злобин - Формирование системы менеджмента качества образовательной организации. – 2004 г.
5. http://pcaxis.geostat.ge/PXweb/pxweb/ka/Database/Database__Social%20Statistics__Education__Higher/Number_of_students_admitted_to_higher_edu.px/?rxid=7d78181c-1286-4c73-9ccf-27ee56206104
6. http://pcaxis.geostat.ge/PXweb/pxweb/ka/Database/Database__Social%20Statistics__Education__Higher/Higher_education_institutions_and_enrolment.px/?rxid=7d78181c-1286-4c73-9ccf-27ee56206104

Higher education institutions Strategic Development Plan

Tsulaia Milana
PhD student at Geortian Technical University

Summary

Without education and science, it is impossible to ensure a dignified future for the country, to establish a state based on values established in the modern, civilized world. A well-organized education system focused on innovation and technological excellence is a key precondition for creating decent jobs and, consequently, improving living standards in the country.

It is important to create an education system that promotes a sense of freedom among young people and their greater involvement in public life.

Global research on socio-economic development has shown that education is the most important source of renewal for all aspects of society. In all developed countries it is important to raise the level of education of the population.

Elaboration of management efficiency and quality improvement strategy in the higher education system is a topical problem for the development of the modern Georgian economy.

Keywords: Education Management, Strategic goals, High education.

სოციალური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები

ჯანტურია მარიამი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრანტი

აბსტრაქტი

ადრესახელმწიფოებრივი საზოგადოების წევრებმა ჯერ კიდევ მაშინ დაასკვენს , რომ აუცილებელია ადამიანები დაეხმარნონ ერთმანეთს. ისინი ეხმარებოდნენ, როგორც ბავშვებს ასევე შრომისუუნარო საზოგადოების წევრებს. დახმარება გამოიხატებოდა სხვადასხვა ფორმით, როგორიცაა სახელმწიფო გადასახადებისაგან განთავისუფლება, ასევე საჩუქრის ჩუქება და ა.შ. ცნობილი ბერძენი ფილოსოფოსები, პლატონი და არისტოტელე თვლიდნენ , რომ ქველმოქმედება არის საზოგადოების კეთილდღეობა და ამაზე სახელმწიფოს უნდა ეზრუნა. ადამიანების დახმარებას ასევე სხვადასხვა რელიგიასა და კულტურაში ძალიან დიდი როლი ენიჭება. ისლამში კი ყოველწლიური სავალდებულო დახმარება „ზაქათი“ არის გაწერილი. ბუნევრივია საუკუნეების მანძილზე, ეს პროცესი უფრო დაიხვეწა და სახელმწიფოს მხრიდან მეტი ჩართულობაც შეიმჩნევა.

საკვანძო სიტყვები: სოციალური დაცვა; მოსახლეობა; სახელმწიფო; სოციალური პოლიტიკა.

შესავალი

მოსახლეობის სოციალური დაცვა, განისაზღვრება, როგორც პოლიტიკისა და პროგრამების ერთობლიობა, რომელიც შექმნილია სიღარიბისა და მოწყვლადობის შესამც-ირებლად. სამწუხაროდ, ნებისმიერ საზოგადოებაში ხშირია სოციალური პრობლემები. სოციალური პრობლემა ეწოდება პროცესს, რომლის განვითარებისას წარმოქმნილი პირობები ზემოქმედებს საზოგადოების ცხოვრების ხარისხზე. ამერიკელი სოციოლოგის ჰელბერტ ბლუმერის მიხედვით არსებობს ხუთსაფეხურიანი მოდელი სოციალური პრობლემის მოსაგვარებლად.

1. სოციალური პრობლემის წარმოშობა, ანუ მისი აღქმა, გაცნობიერება და დასახელება საზოგადოებაში.
2. საზოგადოებრივი აღიარება (ლეგიტიმაცია), როგორც სოციალური პრობლემისა.
3. პოლიტიკურ დისკუსიებში შესაძლო სამოქმედო სტრატეგიების განხილვა.
4. სამოქმედო გეგმის შემუშავება პრობლემის დარეგულირებისთვის.
5. სამოქმედო გეგმის განხორციელება (ტრანსფორმაცია).

მოსახლეობის სოციალური დაცვის სისტემა მოიცავს ჯანდაცვის, განათლების, პროფესიული მომზადების, დასაქმების სამსახურსა და ზოგიერთ სხვა სფეროს. ის შეიძლება დაფინანსდეს როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ისე არასაბიუჯტო ფონდებიდან. სოციალური დაცვის სისტემა ფორმირდება სახელმწიფოს გარკვეული ვალდებულებების საფუძველზე. უმნიშვნელოვანესია სახელმწიფოს მოქმედება სოცია-ლურ სფეროში. მისი ვალდებულებაა მოცემულ დროში დაისახოს მიზანი და განვითარების ეტაპების მიხედვით, უზრუნვლყოს ფინანსური და ორგანიზაციული რესურსების მიზანმიმართული გამოყენება.

ძირითადი ნაწილი

სოციალური პოლიტიკის ძირითადი მიზნები

უპირველეს ყოვლისა აღვნიშნავთ, რომ ნორმალური სოციალური მდგომარეობის დარღვევის რისკები ყოველთვის არსებობს და მათ აქვს განსხვავებული ბუნება, ე.ი წარმოიშობიან და კვლავ იწარმოებიან სხვარასხვა მიზეზებით (მაგალითად საომარი მოქმედებები, ეპიდემიები) სოციალური პოლიტიკის მიზანია საზოგადოებაში კეთილსას-ურველი სოციალური კლიმატისა და სოციალური თანხმობის, მოსახლეობის ძირითადი სასიცოცხლო მოთხოვნილებების

დაკმაყოფილების უზრუნველმყოფი პირობების შექმნა. სოციალური პოლიტიკა შეიძლება განხილულ იქნას, როგორც სპეციფიკური საქმიანობა, რომელიც მიმართულია თითოეული მოქალაქის უფლების რეალიზაციაზე - თავისუფლად მონაწილეობდეს საზოგადოების სოციალურეკონომიკური, შრომითი და სულიერი ცხოვრების ყველა სფეროში. სოციალური პოლიტიკის როგორც მეცნიერების საგანია საზოგადოების თვისებები, კანონზომიერებები, შინაარსობრივი ურთიერთობები, აგრეთვე საზოგადოებრივი პრაქტიკის პროცესები და ფორმები.

პოლიტიკური ხელმძღვანელობა აყალიბებს საზოგადოების სოციალური განვითარების მიზნებს, რაც სოციალური პოლიტიკის უმნიშვნელვანესი ამოცანაა. სახელმწიფო ორგანოები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოები და საწარმოო კოლექტივები ახორციელებენ სოციალურ პოლიტიკას, რომელიც მიმართულია მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებასთან, მისი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებასთან, საზოგადოებაში სოციალურ-პოლიტიკური სტაბილურობისა და სოციალური პარტნიორობის უზრუნველყოფასთან.

სოციალური პოლიტიკის ობიეტად გამოდის მთელი მოსახლეობა, ცალკეული მოქალაქეები, გარკვეული დონის სოციალური ერთობები, რომლებიც გაერთიანებული არიან კონკრეტული კავშირებითა და ურთიერთობებით. ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ობიექტი - ეს არის დაქვემდებარებული, მეორადი მმართველობითი სტრუქტურა, რომელიც არ გამოირჩევა საკუთარი აქტივობით და ინიციატივით. თუმცა, ეს ყოველთვის ასე არაა, მით უფრო, როცა საუბარი მიდის საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ. მოცემულ კონტექსტში, სოციალური პოლიტიკის ობიექტი წარმოდგენილია საზოგადოების სოციალური სფეროთი, კონკრეტულად, მისი მთავარი შემადგენელი ელემენტებით, ასევე მათი ისეთი მაჩვენებლებით, როგორიცაა მოსახლეობის კეთილდღეობა, განათლება, ჯანმრთელობა, სოციალური სტაბილურობა, სოციალური ჯგუფების ურთიერთობათა კონსტრუქტიულობა და ა.შ.

ყოველივე ზემოაღნიშნული, მთლიანობაში წარმოადგენს საზოგადოებრივ პირობებს, რომლებიც განსაზღვრავენ როგორც ცალკეული სოციალური ჯგუფების, ასევე მთელი საზოგადოების მდგომარეობას. სოციალური პოლიტიკის სუბიექტი და მიზნები სოციალური პოლიტიკის არსის მეცნიერულ განსაზღვრებასთან ერთად, ლიტერატურაში გავრცელებულია სოციალური პოლიტიკის ზედაპირული განსაზღვრებებიც, რომლებიც შემოიფარგლებნიან მისი ცალკეული შინაარსობრივი მახასიათებლებით, ხშირად კი - ზედაპირული ფორმებით. მაგალითად, ხშირად სოციალური პოლიტიკა დაყავთ სოციალური მდგომარეობის ამა თუ იმ პარამეტრების უზრუნველყოფაზე მიმართული ღონისძიებების ერთობლიობამდე. არცთუ იშვიათად სოციალურ პოლიტიკას ზღუდავენ სახელმწიფო საქმიანობით, ივიწყებენ რა საზოგადოების სხვა სუბიეტების საქმიანობას. ან წინ წამოწევენ სოციალური მდგომარეობის მხოლოდ ზოგიერთ პარამეტრს(მაგალითად, ცხოვრების დონეს ან დასაქმებას).

სოციალური პოლიტიკის ტიპები და ძირითადი ფუნქციები

გასათვალისწინებელია ის, რომ სოციალური პოლიტიკა წარმოადგენს უაღრესად სტრუქტურულ-საზოგადოებრივ ურთიერთობას. აქედან გამომდინარეობს საზოგადოების როგორც მთლიანის ხასიათთან სოციალური პოლიტიკის კავშირის გათვალიწინების განმსაზ-ღვრელი მნიშვნელობა. საზოგადოების, როგორც მთლიანის, მდგომარეობის გათვალიწინებით გამოიყოფა სოციალური პოლიტიკის შემდეგი ტიპები: - სოციალური პოლიტიკა სოციალურად მდგრად საზოგადოებაში; - სოციალური პოლიტიკა სისტემურ კრიზისში(რევოლუციურ სიტუაციებში) მყოფ საზოგადოებებში; სოციალური პოლიტიკა დეფორმაციის(საზოგადოებრივი სისტემის პერმანენტული კრიზისები) მდგომარეობაში მყოფ საზოგადოებებში; - სოციალური პოლიტიკა სისტემურ კრიზისიდან ძირეული რეფორმების გზით გამოსულ საზოგადოებებში. ე.ი გარდამავალი პერიოდის სოციალური პოლიტიკა. როგორ ისტორიულ პირობებშიც არ უნდა

მიმდინარეობდეს სოციალური პოლიტიკა, მისი როგორი ისტორიული ტიპიც არ უნდა ყალიბდებოდეს, ყოველთვის არის მეტად თუ ნაკლებად მუდმივი, ტიპიურად განახლებადი პრობლემების წრე, რომლებიც შეადგენენ მის რეალურ შინაარს. მხედველობაში გვაქვს სხვადსხვა სოციალური ჯგუფების საზოგადოებრივი მდგომარეობის, ცხოვრების საზოგადოებრივი პირობების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების მოთხოვნების საკითხები.

დასკვნა

ამრიგად, სოციალური პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს: საზოგადოების სოციალური სიმტკიცის, სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფა. სოციალური სტრუქტურა განსხვავებული უნდა იყოს სხვადასხვა საზოგადოებაში. იგი აუცილებლად უნდა ფლობდეს სიმტკიცისა და თვითგანახლების (დინამიურობის) ნიშნებს. სოციალური დაცულობის გრძნობა წარმოიშობა და მტკიცდება, თუ სოციალური ჯგუფი ან მოსახლეობა მთლიანად აცნობიერებს, რომ სოციალური რისკები საზოგადოებისა და სახელმწიფოს მიერ მიზანმიმართულად მცირდება იმ ხარისხამდე, როცა მათ არ შეუძლიათ დაარღვიონ ნორმალური სოციალური მდგომარეობა. სოციალურად მნიშვნელოვან დარღვევად შეიძლება ჩაითავლოს ამა თუ იმ სოციალური ჯგუფის სოციალური მდგომარეობის რომელიმე ერთი ან რამოდენიმე უმნიშვნელოვანესი პარამეტრის სოციალური ნორმიდან არსებითი გადახრა.

ლიტერატურა

1. ყეინიშვილი ო. - "სოციალური მუშაობის საფუძვლები (ლექციების კურსი). თბ., 2011
2. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი. სოციალური პოლიტიკის ძირითადი საკითხები. თბილისი, 2014. გვ. 27-28. ბოლო გადამოწმების თარიღი https://old.tsu.ge/data/file_db/faculty_social_political/MA_11756.pdf
3. კილაძე ს, ფირცხალაშვილი ა. - „სოციალური მუშაობის სამართლის სახელმძღვანელო“ გამომცეელი „ფრიდრიხ ებერტის ფონდი“, თბილისი, 2018. გვ. 120.
4. Zavirsek, D. Lawrence S. - Regional Perspectives on Social Work: Europe, in:Lyons, K., Hokenstad, T., Pawar, M., Huegler, N., Hall, N. (eds.) The SAGE Handbook of International Social Work, London, 2012, S. 437გვ.
5. Hugold, A. Corporatism, Pluralism, and Democracy: Toward a Deliberative Theory of Bureaucratic. International Journal of Policy and Administration. 2001. № 4. P3

Main directions of social policy

Chanturia Mariam
Master student at Georgian Technical University

Summary

Members of the pre-state society still then conclude that it is necessary for people to help one another. They helped both children and members of the disabled community. The aid was expressed in various forms, such as exemption from state taxes, as well as gift giving, etc. The famous Greek philosophers Plato and Aristotle believed that charity is the welfare of society and that the state should take care of it. Helping people also plays a very big role in different religions and cultures. In Islam, the obligatory annual aid is "Zakat". Naturally over the centuries, this process has become more refined and more involvement from the state is also observed.

Keywords: social protection; Population; State; Social policy; Georgia.

რეგიონალური სოციალური პოლიტიკა, კერძოდ თემთან მუშაობა

ჯანჯღავა კესო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრანტი

შერაზადიშვილი ბესიკ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოც.პროფესორი

აბსტრაქტი

ცვალებადი სოციალური პოლიტიკის ფონზე, მეტად აქტუალურია რეგიონალური სოციალური პოლიტიკა. დღეისათვის საქართველო განვითარების იმ ეტაპზეა, როდესაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგიონის გაძლიერება. ოჯახის, თემის გაძლიერება ეკონომიკის გაძლიერებას გამოწვევს. იმის ფონზე, როცა მსოფლიოში დიდი ყურადღება ექცევა რეგიონალურ სოციალურ პოლიტიკას ჩვენს ქვეყანაშიც აუცილებლად უნდა გაკეთდეს აქცენტები რეგიონალური სოციალური პოლიტიკის გაუმჯობესებაზე.

საკვანძო სიტყვები: სოციალური სახელმწიფო, სოციალური პოლიტიკა, ხელისუფ-ლება, საზოგადოება,მოქალაქეები,თემი.

შესავალი

სოციალური სახელმწიფო გულისხმობს სახელმწიფოს, რომლის მიზანია სოციალური თანასწორობისა და მოქალაქეთა კეთილდღეობის უზრუნველყოფა ,საკუთარ მოსახლ-ეობაზე ზრუნვა. თანამედროვე გაგება მოიცავს სახელმწიფოს ვალდებულებას, უზრუნველყოს მოქალაქეთა განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, შრომის უფლებები. სოციალური პოლიტიკა საზოგადოებაში გულისხმობს დადებითი კლიმატის შექმნას და მისი ორიენტირია მოსახლეობისთვის სასიცოცხლო მოთხო-ვნილებების დაკმაყოფილება. რეგიონალური სოციალური პოლიტიკა უპირველესად უნდა განვიხილოთ, ბროგორც სახელმწიფოს მთავარი საზრუნავი.სახელმწიფოს ჩართულობა აუცილებელ პირობას წამოადგენს. რეგიონის სოციალური პრობლემის მოგვარება იწვევს სახელმწიფოს ეკონომიკის ზრდას და განვითარებას.

ძირითადი ნაწილი

სოციალური პოლიტიკის აქტუალური საკითხები საქართველოში

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რეგიონალური პოლიტიკა სათავეს იღებს სოციალური უთანასწორობის და სიღარიბის ბრძოლიდან. სოციალური პოლიტიკის არსის განსაზღვრისას ვხვდებით ჯაჭვურ კავშირს ,სახელმწიფოს მიერ გატარებული სოციალური პოლიტიკა, სოციალური დაცვის უზრუნველყოფა და აგენტების მიერ შესრულებული სამუშაო, ზემოთ აღნიშნული ორიენტირებული უნდა იყოს მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებაზე. სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის შემუშავებასა და რეალიზაციაში შემდეგი მხარეები მონაწილეობენ:

- ხელისუფლება
- საზოგადოება
- მოქალაქეები

თითოეულის ჩართულობა აუცილებელი პირობაა განვითარებისთვის. სოციალური პოლიტიკის შემუშავება გულისხმობს გარკვეული ფუძემდებლური პრინციპების გათვალისწინებას ,რომლებიც აუცილებელია ძირითადი მიზნის საზოგადოების კეთილდღეობის

მიღწევისთვის. ეფექტიანობა გულისხმობს მიკრო და მაკრო დონეზე რესურსების სწორ განაწილებას და ხელთ არსებული რესურსების მაქსიმალური შედეგების მიღწევას.

სახელმწიფოები უძველესი დროიდან ზრუნავენ რეგიონალურ სოციალურ პოლიტიკაზე ,ატარებენ რესურსების განაწილებას და ინარჩუნებენ სოციალურ სტაბილურობას .საზოგადოების უმრავლესობას ყურადღება გამახვილებული აქვს სოციალური პოლიტიკის პრაქტიკულ მხარეზე. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ სოციალურ პოლიტიკას ქმნიან არასამთავრობო ორგანიზაციები, ეკლესიები ,კეთილდღეობის საზოგადოებები ,თუმცა მთავარი სახელმწიფოა.

სახელმწიფო ის სივრცეა სადაც იქმნება მოქალაქისთვის მინიმალური გარანტიები. სოციალური პოლიტიკის გატარებისას გვაქვს მოკლევადიანი და გრძელვადიანი პროექტები ,რომლის სრულფასოვნად შესრულება სოციალური პოლიტიკის მთავარ მიზანს წარმოადგენს.

გაეროს განვითარების პროგრამა(UNDP),შვეიცარიისა და ავსტრიის მთავრობების

ფინანსური ხელშეწყობით,ეხმარება საქართველოს მთავრობას რეგიონული და ადგილობრივი მმართველობის სისტემური რეფორმის განხორციელებაში, გადაწყვეტი-ლების მიღების პროცესში მოქალაქეების ჩართულობის უზრუნველყოფისა და ადგილობრივი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობაში. (UNDP) მხარს უჭერს საქართველოს ძლიერი და კომპეტენტური ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუტების ჩამოყ-ალიბებაში, რომლებიც ჩაერთვებიან რეგიონალური და ადგილობრივი ეკონომიკის სტიმულირებაში და ხელს შეუწყობენ მოქალაქეების, მათ შორის,ქალების,კაცების, ახალგაზრდების, იძულებით გადაადგილებული პირებისა და უმცირესობების ჩართვას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

ისინი მუშაობდნენ შემდეგი მიმართულებებით:

1.მმართველობის დეცენტრალიზაციისა და ადგილობრივი და ეკონომიკური გავითარების პოლიტიკური და ინსტიტუციური სტრუქტურების გაუმჯობესება.

2. ეროვნული და ადგილობრივი ხელისუფლების ადმინისტრაციების იმ უნარ-ჩვევების განვითარება,რაც ხელს შეუწყოფს ადგილობრივ დონეზე ხარისხიანი სერვისების მიწოდებას.

3.ადგილობრივი თემებისა და მოქალაქეების სოციალური და ეკონომიკური გაძლიერება,რაც ხელს შეუწყობს მათ ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ევროკავშირი (EU) და გერმანიის მთავრობის ინიციატივით,რომელიც საქართველოს რეგიონის მდგრად ეკონომიკურ ზრდას,დაბალანსებულ განვითარებას და კარგ მმათველობას ისახავს მიზნად ,დაიწყება 2022 წელს და დასრულდება 2025 წელს ეს არის ,,ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარების“ პროგრამა.მისი მთლიანი ბიუჯეტი 9.5 მილიონ ევროს შეადგენს.აქედან 8.5 მილიონი ევრო ევროკავშირის დაფინანსებაა,ხოლო 1 მილიონი ევრო გერმანიის.პროექტის მიზანია საქართველოს რეგიონებს შორის არსებული უთანასწორობის დაძლევა და სოციალური ერთობის მიღწევა. ამ მხრივ,განხორციელედება ტერიტორიულ განვიტარებასთან დაკავშირებული ინიციატივები, მაგალითად ურბანული განახლება,და ასევე გატარდება ეკონომიკური განვიტარებისა და სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობის ღონისძიებები.

პროგრამა განხორციელდება ოთხ სამიზნე რეგიონში- გურია,იმერეთი,კახეთი და რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი.

ევროკავშირის სტანდარტზე ადგილობრივი და რეგიონული პოლიტიკის მორგება ,საქართველოს მხრიდან მეტად ამბიციური მიზანია.რეგიონალური სოციალური პოლი-ტიკის სწორი მიდგომები მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების მნიშვნელოვანი წყაროა .აღსანიშნავია, მოწყვლადი ფენების ცხოვრების დონის ამაღლება რისთვისაც რეგიონალური სოციალური პოლიტიკა ამოსავალი წყაროა.ინტეგრირებული ტერიტორ-იული განვითარება

მნიშვნელოვანია, ქალაქისა თუ სოფლის გარდაქმნისთვის, ასევე რეგიონებისა და თემებს შორის არსებული უთანასწორობის დაძლევისთის.

განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები ხშირად ზედმეტად პროგრამული ხასიათისაა,რაც განაპირობებს კონცენტრაციას კონკრეტულ სექტორებზე და ,,ერთ თარგზე მოჭრილ“ მიდგომა იწვევს სხვადასხვა შესაძლებლობების და ნიუანსების ხელიდან გაშვებას.

დასკვნა

წარმოდგენილ სტატიაში სოციალური პოლიტიკა განხილულია, როგორც მთავარი გზა ოჯახის,თემის,რაიონის და რეგიონის განვითარებისთვის.ქვეყნის ეკონომიკის აღორძინებისთვის. თანამედროვე გერმანიის თვალსაჩინო პოლიტიკური და ეკონომიკური წარმატებების მნიშვნელოვანი საფუძველია გაერთიანებულ გერმანიაში ჩატარებული მმართველობითი რეფორმები,რომლებიც საუკეთესო მაგალითია საქართველოსთვის დაბალი უნარის მქონე პირები ყოველთვის არსებობდნენ ,ამასთან დღეს დაბალი უნარის მქონე ადამიანები მუშაობენ დაბალი სექტორში ან უმუშევრები არიან .სწორედ ეს ამძიმებს სოციალურ მდგომარეობას რეგიონებში.

ლიტერატურა

1. ForsteringRegional&Local Development_ Phase II https://open.undp.org/projects/00095157-
2. https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/presscenter/pressreleases/2022/integrated-territorial-development.html
3. https://www.geostat.ge/ka
4. https://ec.europa.eu/regional_policy/sources/international/pdf/external_ka.pdf

Regional social policy, in particular working with the community

Janjgava Keso
Master student at Georgian Technical University

Sherazadishvili Besik
Associate Professor at Georgian Technical University

Summary

Against the background of changing social policies, regional social policies are increasingly relevant. Today, Georgia is at a stage of development when it is especially important to strengthen the region .Strengthening the family, the community will strengthen the economy .Because of the great attention paid to regional social policy in the world, our country must focus on improving regional social policy.

Keywords: social state, social policy, government, society, citizens, community.

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა დოლარიზაციის შემცირების მიმართულებით

ბაღათურია გიორგი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ცინცაძე ვახტანგ
ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

მოხსენებაში განხილულია საქართველოში დოლარიზაციის მაღალ დონესთან დაკავშირებული გამოწვევები. მაღალი დოლარიზაცია განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის გრძელვადიანი ზრდის მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორია, რამდენადაც მაღალი დოლარიზაცის პირობებში, იზრდება ქვეყნის სავალუტო რისკი და მცირდება საგარეო შოკებისადმი მდგრადობა, რაც უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკაზე. ნაშრომში გააანალიზებულია დოლარიზაციის შემცირებისკენ მიმართული გადაწყვეტილებები. ემპირიული კვლევითა და რეგრესიული ანალიზის მეშვეობით ნაჩვენებია, რომ ლარიზაციის პოლიტიკამ გაუმჯობესა ქვექყნის მაკროეკონომიკური ვითარება.

საკვანძო სიტყვები: ლარიზაცია, დე-დოლარიზაცია, ეკონომიკის გამოწვევები, ლარიზაციის შედეგები, ჭარბვალიანობა, მაკროეკონომიკური სტაბილურობა;

შესავალი

კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონში დოლარიზაციის მაჩვენებელი ერთ-ერთი ყველაზე მაღალია მსოფლიოში. გამონაკლისი არც საქართველოა. დოლარიზაციის მაღალი დონე ქვეყანაში მრავალ ერთმანეთთან დაკავშირებულ სტრუქტურულ პრობლემას წარმოქნის. მაღალი დოლარიზაცია საქართველოს ეკონომიკის სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს დამოუკიდებელი ვალუტის შემოღებიდან მოყოლებული და განპირობებულია როგორც ისტორიული ფაქტორებით, რომლებმაც შეასუსტა ნდობა ეროვნული ვალუტისადმი, ასევე წარსულში კურსის მკვეთრი მერყეობებით, არამდგრადი პოლიტიკური ვითარებით და ფინანსური სექტორის არასაკმარისად მაღალი განვითარების დონით. ამასთანავე, სესხების დოლარიზაციაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დეპოზიტების დოლარიზაცია, რამდენადაც დეპოზიტების მაღალი დოლარიზაციის პირობებში ბანკები ცდილობენ გაზარდონ უცხოურ ვალუტაში დაკრედიტება.

საქართველოს ეკონომიკის დოლარიზაციის მაღალი მაჩვენებელი ქვეყნის საგარეო მოწყვლადობის მთავარი ფაქტორია. ქვეყანაში ისტორიულად ფიქსირდება, როგორც სესხების, ასევე დეპოზიტების დოლარიზაციის მაღალი დონე. შესაბამისად, დოლარიზაციის შემცირების მიმართულებით ადეკვატური პოლიტიკის გატარება მნიშვნელოვანია ქვეყანაში მაკროეკონომიკური სტაბილურობის, საგარეო მოწყვლადობის, სავალუტო რისკის და ჭარბვალიანობის შემცირების მიმართულებით. ამდენად, ქვეყნის ეკონომიკური და ფისკალური პოლიტიკის ფორმირება, რომელიც მიმართული იქნება დოლარიზაციის დონის შემცირებისკენ ფრიად აქტუალური ამოცანაა.

ძირითადი ნაწილი

დოლარიზაციის დონის შემცირების შესაძლებლობები საქართველოში

დოლარიზაციის შემცირება, რა თქმა უნდა, ხანგრძლივ და კომპლექსურ პროცესს წარმოადგენს და მიზნის მისაღწევად აუცილებელია მიზანმიმართული და თანმიმდევ-რული

რეფორმების გრძელვადიანი კურსის შენარჩუნება. დოლარიზაციის დონის შემცირება საგარეო შოკებისადმი მდგრადობის ზრდის გარდა, მნიშვნელოვანია მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობისა და ფინანსური სექტორის გამართულად ფუნქციონირების თვალსაზრისითაც.

ემპირიული კვლევებიდან დასტურდება, რომ წარმატებული დე დოლარიზა-ციისთვის მნიშვნელოვანია პოლიტიკის გადაწყვეტილებების და მაკროეკონომიკური ღონისძიებების ერთობლიობა, მათ შორის მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა, პრუდენციული რეგულირების და ეკონომიკური სტიმულების გაჩენა.

საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებელი გეგმა დოლარიზაციის დონის შესამცირებლად აერთიანებდა ღონისძიებების ფართო სპექტრს, რომელიც თავის მხრივ მოიცავს როგორც მოკლევადიან, ასევე გრძელვადიან ღონისძიებებს და არსებული ეკონომიკური სტრუქტურის გათვალისწინებით უზრუნველყოფს დე-დოლარიზაციის პროცესის მყარი ფუნდამენტის შექმნას. მთავრობის მიერ შემუშავებული ლარიზაციის ღონისძიებები თავისი შინაარსით მოიცავს: დოლარიზაციის შემცირების ბუნებრივი ინსტრუმენტების განვითარებას, ეროვნული ვალუტისადმი ნდობის ამაღლების, რისკების ადეკვატური განაწილების და ეროვნული ვალუტის მიმზიდველობის ზრდისკენ მიმართულ მასტიმულირებელ ღონისძიებებს.

საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ 42 დოლარიზებული ქვეყნიდან 11-მა წარმატებით გაართვა თავი დედოლარიზაციას. მთავარი ფაქტორები, რაც მათ დედოლარიზაციაში დაეხმარა იყო: მაკროეკონომიკური სტაბილურობა და კაპიტალის ბაზრის განვითარება. გარდა აღნიშნული ღონისძიებებისა ასევე მნიშვნელოვანია: მაღალი ლიკვიდურობის მქონე სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების - ე.წ. „ბენჩმარკ ბონდების“ გამოშვება, დაგროვებითი საპენსიო რეფორმის წარმატებით განხორციელება, მცურავი გაცვლითი კურსისადმი ერთგულება და დაბალი და სტაბილური ინფლაციის შენარჩუნება, ფისკალური კონსოლიდაცია და საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესება.

ეროვნული ბანკისადმი ნდობა და ცენტრალური ბანკის ეფექტიანი კომუნიკაცია არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მონეტარული პოლიტიკისადმი საზოგადოებრივი ნდობის თვალსაზრისით. საიმედო კომუნიკაციაზე დამყარებული მონეტარული პოლიტიკა ხელს უწყობს დე-დოლარიზაციას მოლოდინების არხით (Sami Ben Naceur et al. 2015).

წარმატებული და საბაზრო დე-დოლარიზაციის მნიშვნელოვან კომპონენტს ეროვნული ვალუტის მიმზიდველობისკენ მიმართული ღონისძიებები წარმოადგენს. აღნიშნული მოიცავს მაკროპრუდენციულ ღონისძიებებს (ლიკვიდობის, სარეზერვო მოთხოვნების და დეპოზიტების დაზღვევის პრემიის განსხვავებული დონეები ვალუტების მიხედვით), რომლებიც ეროვნული ვალუტისადმი პრეფერენციული დამოკიდებულებით ასტიმულირებს საბანკო სექტორის როგორც ვალდებულებების, ასევე აქტივების დე-დოლარიზაციის პროცესს.

ლარიზაციისკენ მიმართულმა ღონისძიებებმა უკვე გამოიღო გარკვეული შედეგები. მცირდება, როგორც სესხების ასევე დეპოზიტების დოლარიზაცია. ასევე, მნიშვნელოვნად შემცირდა საბანკო სექტორის მთლიანი ვალდებულებების დოლარიზაციაც (2016 წლის ბოლოს აღნიშნული მაჩვენებელი 70.7%-ს შეადგენდა, ხოლო 2021 წლის ბოლოს 51% შეადგინა). 200 000 ლარამდე სესხების უცხოურ ვალუტაში გაცემის შეზღუდვამ კი, ხელი შეუწყო უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების ეროვნულ ვალუტაში გაცემას და დოლარში გაცემული უზრუნველყოფილი სესხების შემცირების ტენდენციის ჩამოყალიბებას.

ეროვნული ვალუტის მიმზიდველობის ზრდისკენ მიმართული ღონისძიებები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ლარიზაციის პროცესს, რამდენადაც ასტიმულირებს ბანკების ქცევას ერთი მხრივ ვალდებულებების ეროვნულ ვალუტაში მოზიდვისკენ, ხოლო მეორე მხრივ ლიკვიდობის ძირითადი ნაწილის ეროვნულ ვალუტაში მიწოდებისკენ, შესაბამისად ხელს

უწყობს ლარიზაციის დაბალანსებულ პროცესს. დეპოზიტების დაზღვევის განსხვავებული პრემია ლარის დეპოზიტებისადმი პრეფერენციით უფრო მიმზიდველს ხდის ეროვნულ ვალუტაში ვალდებულებების მოზიდვას და ამ გზით დაზოგვისადმი ნდობის ზრდასთან ერთად ასტიმულირებს ლარიზაციის პროცესს.

დე-დოლარიზაციის პროცესი მიზნად ისახავს სესხების მომსახურების ტვირთის შემცირებას. ემპირიულად დასტურდება, მნიშვნელოვანი უარყოფითი კორელაცია შინამეურ-ნეობების ვალის ზრდასა და მომავალ ეკონომიკურ ზრდას შორის. (Adrian Alter et al. 2018).

მაღალი დოლარიზაცია პირდაპირ კავშირშია მოსახლეობის ჭარბვალიანობასთან, რამდენადაც დოლარიზაცია იწვევს ეკონომიკაზე სავალუტო რისკების გადაცემას. საერთო ჯამში, ვალის ტვირთი და შინამეურნეობების ვალი მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოში 2015-2016 წლებში. შინამეურნეობების ვალის ფარდობა შემოსავლებთან 16 პროცენტული პუნქტით - 34 პროცენტიდან (2014 წელს) გაიზარდა 50 პროცენტამდე (2016 წელს), რაც ბუნებრივი ზრდის ტემპს მნიშვნელოვნად აღემატება. 2019 წელს 2016 წელთან შედარებით აღნიშნული მაჩვენებელი მხოლოდ 4.3 პროცენტული პუნქტით - 54.7 პროცენტამდე გაიზარდა, რაც ტრენდული ზრდის დონეზე ნაკლებია.

რეგრესიული ანალიზით შეგვიძლია წარმოვადგინოთ დამოკიდებულება ერთ სულ მოსახლეზე მშპ-სა (ლოგარითმული მნიშვნელობები) და ვალის დონეს შორის. ასეთი კავშირი აღწერილია წრფივი ფუნქციით, რაც იძლევა საქართველოს პოზიციის შეფასებას რეგრესის წრფესთან მიმართებაში ლარიზაციის რეფორმამდე და მის შემდეგ. 2016 წელთან შედარებით, როდესაც საქართველოს პოზიცია რეგრესიის წრფეზე მდებარეობდა, 2019 წელს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საქართველოს პოზიცია და მან რეგრესიის წრფის ქვემოთ გადმოინაცვლა, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობის დავალიანება პოტენციურ დონეზე ნაკლებია (დონე რომელიც შესაბამისობაშია ეკონომიკური ზომისა და ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს მონაცემთან). (გრაფიკი 1) შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ რომ გარდა მნიშვნელოვანი პოზიტიური მაკორეკონო-მიკური ტენდენციებისა, ლარიზაციის პოლიტიკამ ასევე დადებითი შედეგები მოიტანა მოსახლეობის ჭარბვალიანობის შემცირების მიმართულებით.

გრაფიკი 1: ვალის დონის შემცირება დოლარიზაციის ღონისძიებების შედეგად



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ავტორის გაანგარიშებები

დასკვნა

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ლარიზაციის პოლიტიკას დადებითი შედეგები აქვს როგორც საქართველოს ეკონომიკისათვის მთლიანობაში, ისე, კერძოდ მოსახლეობის ჭარბვალიანობის შემცირებისათვის. დაბალი დოლარიზაციის პირობებში მოთხოვნის შოკი არ

გარდაიქმნება მიწოდების შოკად. შესაბამისად, დოლარიზაციის შემცირება არამხოლოდ კონტრციკლური მონეტარული პოლიტიკის გატარებას ხდის შესაძლებელს არამედ, ზრდის მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობასაც.

ლარიზაციის ღონისძიებები, ფინანსური ბაზრის განვითარებასთან ერთად, განაპირობებს ეროვნული დანაზოგების ზრდას და შესაბამისად, ამცირებს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს, რამდენადაც, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი წარმოადგენს სხვაობას ეროვნულ დანაზოგებსა და ინვესტიციებს შორის. ასევე, იზრდება დანაზოგების პროდუქტიულ ინვესტიციებად გარდაქმნის შესაძლებლობა და პროდუქტიულობის ზრდის არხით ეკონომიკურ ზრდაზე ორიენტირებულობა. ლარიზაციის შედეგად მოხდება რისკების ადეკვატური განაწილება, რაც გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორია. თავის მხრივ დოლარიზაციის და მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შემცირება პოზიტიურად მოქმედებს რისკის პრემიის შემცირებაზე, საკრედიტო რეიტინგების გაუმჯობესებასა და ინვესტორთა ნდობის ზრდაზე.

ლიტერატურა

1. Adrian Alter, Alan Xiaochen Feng, and Nico Valckx. 2018. Understanding the Macro-Financial Effects of Household debt. International Monetary Fund.
2. Adrián Armas, Eduardo Levy Yeyati, and Alain Ize. 2006. Financial Dollarization: An Overview. International Monetary Fund.
3. García-Herrero, Patricia Alvarez-Plata and Alicia. 2007. To dollarize or de-dollarize. Asian Development Bank.
4. Sami Ben Naceur, Amr Hosny, and Gregory Hadjian. 2015. How to De-Dollarize Financial Systems in the CCA region. International Monetary Fund.
5. Gianni De Nicol6, P. H. (2003). Dollarization of the Banking System, Good or Bad. World Bank
6. n.d. IMF data - "https://www.imf.org/external/datamapper/PVD_LS@GDD/CHN."
7. n.d. "https://www.nbg.gov.ge/index.php?m=566."

Georgia’s state policy towards reduction of dollarization

Baghaturia Giorgi
Professor at Georgian Technical University

Tsintsadze Vakhtang
Doctoral student at Georgian Technical University

Summary

The report discusses the challenges related to the high level of dollarization in Georgia. High dollarization is a significant impediment to the long-term growth of the economies of developing countries, as high dollarization increases the country's currency risk and decreases resistance to external shocks, which negatively affects the economy. The paper analyzes solutions aimed at reducing dollarization. Empirical research and regression analysis have shown that larization policies have improved the macroeconomic situation of the country.

Keywords: larization, de-dollarization, economic challenges, larization outcomes, indebtedness, macroeconomic stability.

ტაქსების რეფორმა საქართველოში

გაბაიძე თამილა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

მოცემულ ნაშრომში საუბარია ხელისუფლების დანიშნულებასა და როლზე ადამიანის უფლებების დაცვისა და მატი კეთილდრეობის უზრუნველსაყოფად, ხელისუფლების ვალდებულებაზე ქვეყანაში შექმნას ხელსაყრელი სოცილურ-ეკონომიკური პირობები და უკეთესი საცხოვრებელი გარემო და ამ მიზნით და საჭიროების შემთხვავაში განახორციელოს ეფექტური და მდგრადი რეფორმები. ნაშრომში საუბარია ჯანმრთელი და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნის მიზნით ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტზე - თანამედროვე გამოწვევების ადეკვატური სატრანსპორტო სისტემის შექმნაზე, რომლის ერთ-ერთ ძირთად პრობლემას ტაქსების რეგულირების საკითხი წარმოადგენს, ნაშრომში საუბარია ტაქსების რეფორმის აუცილებლობაზე, სხვა ქვეყნებში ტაქსების ბაზარზე არსებულ რეგულირებაზე, საქართველოში მიმდინარე ტაქსების რეფორმის ფარგლებში განხორციელებულ ძირითად ღონისზიებებსა და ამ მიმართულებით დანერგილ სტანდარტებსა და პრივილეგიებზე, ნაშრომში ასევე იდენტიფიცირებულია არსებული პრობლემა.

საკვანძო სიტყვები: ხელისუფლება, როლი, უსაფრთხო გარემო, რეფორმა, ტაქსები.

შესავალი

ხელისუფლების მთავრი დანიშნულება და მიზანია ადამიანების ბუნებთი უფლებების დაცვა და მათი საერთო კეთილდრეობისათვის ხელშეწყობა. ამასთან, სწორედ ხელისუფლება არის ის მექანიზმი, რომელსაც აქვს შესაძლებლობა შექმნას ისეთი საკანონმდებლო სივრცე, რომლებიც შესაძლებელს გახდიან ადამიანთა მშვიდობიან თანაცხოვრებას, რომლებიც უზრუნველყოფენ უსაფრთხო და ღირსეულ საცხოვრებელ პირობებს. თანამდეროვე სწრაფად ცვალებად გარემოში მნიშვნელოვანია სახელმწიფომ შექმნას თანამედროვე გამოწვევბსა და მოთხოვნების ადექვატური სოციულურ-ეკონომიკური პირობები, მიმზიდველი საინვესტიციო თუ ტურისტული გარემო, იზრუნოს გარემოს დაცვასა და უკეთესი საცხოვრებელი გარემოს შექმნაზე და სხვა. ყოველივე აღნიშნული უზრუნველყოფისა და მსოფლიოში მიმდიარე სწრაფი პროგრესის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია ეფექტური და მდგრადი რეფორმების განხორცილება საჭირო მიმართულებით.

წინამდებარე ნაშრომში ძირითადი ორიენტირი სწორედ ქვეყანაში სატრანსპორტო სისტემის მნიშვნელოვანი - ტაქსების რეფორმის შესწავლაა.

ძირითადი ნაწილი

რეფორმის საჭიროება და მისი როლი ქვეყნის განვითარებაზე

რეფორმის განხორცილებისას სახელმწიფოს უმთავრეს ფუნქციას წარმოადგენს საკანონ-მდებლო ცვლილებების განხორცილება ან ახალი საკანონმდებლო ბაზის მიღება, თანმიმდევ-რული და კომპლექსური ჩარევა სხვადასხვა მიმართულებით, განხორციელებული ღონისძიებების შეფასება, კონტროლი. თანამედროვე მსოფლიო-სთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას ჯანმრთელი საცხოვრებელი გარემოს შექმნა წარმოადგენს, რაც გულისხმობს სხვადასხვა მიმართულების რეგულირებას, განვითრებას და კონტროლს, ამ მხრივ ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს ეკოლოგიურად სუფთა და დაბალი ემისიის მქონე სატრანსპორტო სისტემის შექმნა წარმოადგენს, აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით დგას მჭიდროდ დასახლებულ ქალაქებში,

სატრანსპორტო სისტემაში ერთ-ერთ ძირითად პრობლემას წარმოადგენს ტაქსების საკითხი მთელი ქვეყნის მასშტაბით, რაც უადოდ მოითხოვს რეფორმირებას. უნდა აღინიშნოს, რომ ტაქსების მომსახურებით განსაკუთრებით სარგებლობენ საქართველოს დედაქალაქში, მართალია ტაქსით მგზავრობის წილი თბილისში დაბალია და ის 2%-შეადგენს, მაგრამ ტაქსის მომსახურებას ფართოდ იყენებენ როგორც ქართველები, ასევე უცხოელები. ამასთან, თბილისში ტაქსების მიწოდების რაოდენობა საკმაოდ მაღალია მსოფლიოს სხვა ქალაქებთან შედარებით[1]. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო პერიოდამდე - რეფორმამდე არ არსებობდა ტაქსით მომსახურების საკანონმდებლო მარეგულირებელი ბაზა, საკანონმდებლო დონ-ეზე არ იყო დადგენილი მოთხოვნები ტაქსის მძღოლად მუშაობისთვის, გარდა მანქანისა და მართვის მოწმობისა. ამ ბაზარზე, როგორც წესი დომინირებენ თვით-დასაქმებუილი მძღოლები, შესაბამისად ტაქსის მომსახურების ხარისხი, საკმაოდ დაბალია, რასაც ასევე ემატება ის არსახარბიელო ფაქტიც, რომ ავტომობილების ტექნიკური მდგომარეობა რიგ შემთხვევებში პირდაპირ მიუღებელია, თვითდასაქმებული მძღოლები საკმაოდ ძველ და შელახულ ავტომობილებს იყენებენ, რაც რისკის ქვეშ აყენებს მგზავრების უსაფრთხოებას, მნიშვნელოვნად ლახავს ქვეყნის იმიჯს, განსაკუთრებით ტურისტების თვალში, რომლებიც ძირითადად სარგებლობენ ტაქსების მომსახურებით, ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას ასევე წარმოადგენს მომსახურების დაბალი კულტურა და ხშირ შემთხვევაში მძღოლების მიერ ქალაქის და ქუჩების არასათანადოდ ცოდნა, ავტომობილები, როგორც წესი არასათანადოდაა აღჭურვილი შესაბამისისი ტექნიკური საშუალებებით (მრიცხ-ველი, ქალაქის ელექტრონული რუკის გამოყენების შეუძლ-ებლობა, უნაღდო ანგარიშსწორების სერვისის არქონა და სხვა), რაც იწვევს დაბალი ხარისხის მომსახურების მიწოდებას.

მსოფლიოს ბევრ სხვა ქალაქში ტაქსის ბაზარი რეგულირდება შემდეგნაირია:

- დაწესებულია ავტომობილის მიმართ მინიმალური ტექნიკური მოთხოვნები და მძღლების პროფესიული ჩვევების მიმართ მინიმალური მოთხოვნები.
- საჭიროა მრიცხველი და ლიცენზია;
- ტარიფი განისაზღვრება ფორმულით მანძილის, დროის და შესაძლო დამატებითი გადასახადის მიხედვით;
- დადგენილია მანქანების მდგომარეობის, მძღოლის შესაძლებლობების მინიმალური მოთხოვნები რათა საფრთხე არ შეექმნას მგზავრს და სხვა.

ტაქსის ტარიფის დაანგარიშება ჩვეულებრივ ხდება ფორმულის მიხედვით, სადაც გათვალისწინებულია:

- ფიქსირებული ხარჯი;
- ცვლადი ხარჯი ერთი კილომეტრზე, რომელიც დამოკიდებულია მოძრაობის სიჩქარის ცვლილებაზე;
- ცვლადი ხარჯი ერთ წუთზე გარკვეულ სიჩქარეზე ნაკლები სიჩქარით მოძრაობის დროს (ლოდინი და დატვირთული სატრანსპორ-ტო მოძრაობა);
- დამატებითი გადასახადი ზემოთ აღნიშნულ ცვლად ხარჯზე შესაძლოა მოქმედებდეს ღამით ან პიკის საათებში მგზავრობისას;
- დამატებითი ერთჯერადი გადასახადები, რომლებიც მოქმედებს ტვირთზე ან სპეციალურ მგზავრობაზე - ჩვეულებრივ ქალაქსა და აეროპორტს შორის.[2]

---

[1] ,,თბილისის მდგრადი ურბანული ტრანსპორტის სტრატეგია'', თბილისი 2015წ. მე-18 გვ.

[2] ,,თბილისის მდგრადი ურბანული ტრანსპორტის სტრატეგია'', თბილისი 2015წ. მე-18 გვ., 42-ე, 77-ე გვ.

ზემოაღნიშნული გამოწვევების გათავლისწინებით, ქვეყანაში რეფორმირება დაიწყო დედაქალაქიდან, 2015 წელს შემუშავდა ,,თბილისის მდგრადი ურბანული განვითარების სტრატეგია", რომელიც განსაზღვრავს იმ მიდგომებსა და პრიორიტეტებს რომელიც მოიცავს მულტიმოდალურ და ინტეგრირებულ მიდგომას, და განხორციელდება ეტაპობრივად 2015-2030 წლებში. ეტაპები დაყოფილია მოკლევადიან (2015-2017), საშუალოვადიან (2018-2021) და გრძელვადიან (2021-2030) ფაზებად.[1]

რეფორმის ფარგლებში და შემუშავებული სტრატეგიის შესაბამისად, განხორცილდა ტაქსებისათვის საკანონმდებლო რეგულეციების მიღება-ამოქმედება, მათ შორის „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილების შესაბამისად, დედაქალაქში ტაქსის სერვისის განსახორციელებლად ლიცენზიის აღება სავალდებულო გახდა. ცვლილება შევიდა „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისშიც", რომლის შესაბამისად, საავტომობილო მოძრაობის სფეროში თბილისის მთავრობის უფლებამოსილება განისაზღვრა. კერძოდ, ტაქსით გადაყვანის ნებართვის გაცემის საკითხი დარეგულირდა, განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით დადგინდა ტაქსების კატეგორიებად დაყოფის პროცესი, განისაზრვრა კატეგორიათა სტანდარტული მონაცემები და დაწესდა გარკვეული შეღავათები, კერძოდ:

A კატეგორიის ტაქსის სტანდარტული მონაცემები:

- თეთრი ფერის
- ტექნიკური ინსპექტირების მქონე
- მარცხენასაჭიანი
- ხუთკარიანი
- ტაქსის აღმნიშვნელი თეთრი ფერის მანათობელი ნიშანით მასზე დატანილი წარწერით „TAXI თბილისი"

A კატეგორიის მქონე ტაქსის მძღოლებისთვის შემდეგი შეღავათები დაწესდა;

- ტაქსის უფასო გასაჩერებელი ადგილებით სარგებლობა
- რეკლამის სატრანსპორტო საშუალებაზე განთავსება და შემოსავლის მიღება
- გადაეცემათ უფასოდ ავტომანქანის შეღებვის ვაუჩერი
- გადაეცემათ მანქანის სალონის ქიმიური წმენდის ვაუჩერები

B კატეგორიის ტაქსი:

- მარჯვენასაჭიანი ავტომობილით ტაქსით მომსახურება შესაძლებელი იყო 2021 წლის პირველ იანვრამდე.
- არ მოეთხოვება ავტომობილის თეთრი ფერის სტანდარტი
- ტაქსი რომელიც კლიენტებს ემსახურება მხოლოდ აპლიკაციის სერვისის მეშვეობით

B კატეგორიის მქონე მძღოლებისთვის დაწესდა შემდეგი შეზღუდვები:

- ვერ ისარგებლებენ ტაქსის გასაჩერებელი საპარკინგე ადგილებით
- არ ექნებათ უფლება განათავსოს ტაქსის აღმნიშვნელი თეთრი ფერის მანათობელი ნიშანი მასზე დატანილი წარწერით „TAXI თბილისი
- საკრებულოს დადგენილების თანახმად არ დაუშვას მგზავრის ქუჩიდან აყვანა
- უზრუნველყოს მხოლოდ იმ მგზავრის აყვანა, რომლის მომსახურების მიზნით მივიდა გამოძახების ადგილზე.[2]

რეფორმის ფარგლებში დადგენილ რეგულაციებს აზრთა სხვადასხვაობა მოყვა, მძღოლების

[1] ,,თბილისის მდგრადი ურბანული ტრანსპორტის სტრატეგია'', თბილისი 2015წ. 70-ე გვ.
[2] ინტერნეტ რესურსი https://taxi.tbilisi.gov.ge/public/welcome/login

მხრიდან პროტესტის ქუჩაში გამოხატვის ჩათვლით, თუმცა უნდა აღინიშნოს, ამ დროისათვის 12 526 აქტიური ნებართვა ფიქსირდება.[1]

გარდა ზემოაღნიშნული შეღავათებისა, აქვე აღსანიშნავია რეფორმის ფარგლებში მოქალაქეთა წახალისების სხვადასხვა ფორმები და სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციათა მიერ დაწესებული შეღავათების კომპლექსურობა, რაც მნიშვნელოვანია თითოეული სიახლის დანერგვის ხელშეწყობისთვის, მაგალით-ისთვის - შსს-ს მომსახურების სააგენტოს მიერ, ტაქსების რეფორმის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით იმ ტაქსის მძღოლების მიმართ, რომლებიც თეთრად გადაღებავდნენ ავტომანქანებს სარეგისტრაციო მოწმობის უფასოდ შეცვლის შეღავათი დაწესდა.[2]

დასკვნა

მიუხედავად რეფორმის მწვავე კრიტიკულ გარემოში მიმდინარეობისა და არაერთი საწინაარმდეგო მოსაზრებისა უნდა ითქვას, რომ ამ ეტაპზე რეფორმის განხორციელების დადებითი ტენდენციებია, ვინაიდან ამ ცვლილებებით სახეზეა სახელმწიფოს მიერ საკანონმდებლო დონეზე რეგულირებული და მართული პროცესი, რითიც სახელმწიფო შეძლებს უზრუნველყოს მოქალაქეთა უსაფრთხო პირობებში ცხოვრება. ტაქსების რეფორმირების ეტაპზე განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები ხელისუფლებას აძლევს შესაძლებლობას საკანონმდებლო რეგულირების დონეზე მართოს ტაქსების რეგულირების პროცესი.

აქვე მნიშვნელოვანია ამ პროცესის უარყოფით მხარესაც შევეხოთ, მართალია, საწყის ეტაპზე ტაქსების რეფომა თბილისში დაიგეგმა, თუმცა მიზანშეწონილია იყო ტაქსების რეფორმა და პოლიტიკა პარალელურად ქვეყნის სხვა ნაწილშიც განხორციელდეს, რათა რეფორმის სიკეთით ქვეყნის სხვა რეგიონებში მცხოვრებთაც შეძლებოდათ სარგებლობა, კერძოდ მომსახურების ხარისხისა და უსაფრთხოების გაუმჯობესება, ქვეყნის სხვა რეგიონების ტურისტული იმიჯისა და მიმზიდველობის ზრდა და სხვა.

ამასთან, მნიშვნელოვანია მოსახლეობის სწორი ინფორმირებულობა რეფორმის გრძლევადიან შედეგებთან დაკავშირებით, რაც რეფორმის განხორციელების წარმატების საწინდარია.

ლიტერატურა

1. ,,თბილისის მდგრადი ურბანული ტრანსპორტის სტრატეგია'', თბილისი 2015წ. მე-18 გვ.42-ე, 70-ე გვ. 77-ე გვ. http://mdf.org.ge/storage/assets/file/documents%202016/murtazi/Strategic%20Paper%20Report%20PDF%20Geo(18_03_2016)/Strategic%20Paper%20Report%20PDF%20Geo.pdf,
2. ინტერნეტ რესურსი https://taxi.tbilisi.gov.ge/public/welcome/login გადამოწმებულია 11/03/2022წ.
3. ინტერნეტ რესურსი - https://taxi.tbilisi.gov.ge/public/welcome/login,
4. ინტერნეტ რესურსი - https://www.sa.gov.ge/news/details?id=221
5. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონი, 24/06/2005წ.
6. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, 05/02/2014წ.
7. ,,საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების,

[1] ინტერნეტ რესურსი https://taxi.tbilisi.gov.ge/public/welcome/login
[2] ინტერნეტ რესურსი https://www.sa.gov.ge/news/details?id=221

ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის N24-80 დადგენილება.

Taxi reform in Georgia

Gabaidze Tamila
Doctoral student at the Georgian Technical University.

Summary

This paper discusses the purpose and role of government to ensure human rights and their well-being, the government's commitment to creating favorable socio-economic conditions and a better living environment in the country, and to implement effective and sustainable reforms as needed. The paper discusses one of the most important components of creating a healthy and safe living environment - the creation of an adequate transport system of modern challenges, one of the main problems of which is the issue of taxi regulation, the paper discusses the need for taxi reform The paper also identifies the main problem with the key measures taken within the framework and the standards and privileges implemented in this direction.

Keywords: government, role, safe environment, reform, taxis.

სახელმწიფო საწარმოს ცნება და მნიშვნელობა

გორგაძე ლაშა
სტუ-ს ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის
მოწვეული მასწავლებელი

ხარატი ნინო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია სახელმწიფო საწარმოთა ცნება, მნიშვნელობა, პრინციპები და მათი სახელმწიფოს მიერ დაფუძნების მოტივაცია. გამოკვლეულია სახელმწიფო საწარმოთა სამართლებრივი რეგულირების მნიშვნელოვანი ასპექტები, საკანონმდებლო ბაზის არაერთგვაროვნება და სიმწირე, ასევე, წარმოდგენილია საქართველოში სახელმწიფო საწარმოთა სტრატეგია და კორპორაციული მართვის კოდექსის მნიშვნელოვანი რეგულაციები და მათი პრაქტიკული განხორციელების პერსპექტივები. დასმულია საკითხი სახელმწიფო საწარმოთა ეფექტური ფუნქციონირების მიზნით ერთიანი საკანონმდებლო აქტის შექმნის თაობაზე.

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფო საწარმო; საწარმოთა კორპორაციული მართვის კოდექსი; სახელმწიფო საწარმოთა სამართლებრივი რეგულირება.

შესავალი

სახელმწიფო საწარმო (SOE) კომერციული იურიდიული პირია, რომელიც დაფუძნებულია სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით და ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას.[1] SOE გავრცელებულია მთელ მსოფლიოში (მათ შორის აშშ-ში (მაგ.: Freddie Mac და Fannie), ჩინეთში (Jin Jiang Hotel), ახალ ზელანდიაში, სამხრეთ აფრიკაში (Eskom რომელიც მსოფლიოში ელექტროენერგიის გამომუშავების სიმძლავრის მიხედვით მე-11 ადგილზეა), ინდოეთში, ნორვეგიაში (ტელეკომის ინდუსტრია თითქმის სრულად სახელმწიფო საწარმოთა ხელშია), ბრაზილიაში (ნავთობის ინდუსტრია) პოსტ. საჭოთა ქვეყნებში.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) მონაცემებით სახელმწიფო საწარმოების აქტივების ღირებულება მსოფლიო მაშტაბით, 2020 წლის ბოლოსთვის შეადგენდა 45 ტრილიონ დოლარს.[2] მიუხედავად აღნიშნულისა სახელმწიფო საწარმოები ფინანსურად ყოველთვის მომგებიანი კორპორაციები არ არიან, ზოგიერთი მათგანი (მაგ., აშშ-ის საფოსტო მომსახურების სფეროში მოქმედი SOE) დრო და დრო სახელმწიფო დოტაციაზეა, თუმცა მათი საქმიანობა სახელმწიფო ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია და უმეტესწილად სახელმწიფო ანდა საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება (ამ ტიპის სახელმწიფო საწარმოებს „ზომბი კორპორაციებსაც“ უწოდებენ).[3]

ბოლო წლების სტატისტიკით სულ უფრო მეტად ვლინდება სახელმწიფო საწარმოთა ფინანსური წარუმატებლობა. მიუხედავად მიზეზების კომპლექსურობისა, სპეციალისტების მიერ უმთავრეს მიზეზად ე.წ. ფლობის მოდელი სახელდება. სახელმწიფო საწარმოებისთვის ხშირად

---

[1]სახელმწიფო საწარმოებს (SOE) თანამეგობრობის ქვეყნებში უწოდებენ "გვირგვინის კორპორაციას" ("crown corporation") ყველაზე გავრცელებულია თანამეგობრობის ქვეყნებში (კანადა, ახალი ზელანდია და ავსტრალია); zogierT qveyanaSi moixsenieben მოიხსენიებენ “მთავრობის საკუთრებაში არსებულ კორპორაციად (GOC), სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ საწარმოდ (SOE) ან სამთავრობო ბიზნეს საწარმოდ (GBE). https://www.investopedia.com/terms/s/soe.asp

[2] Will Kenton. State-Owned Enterprise (SOE). 2020. https://www.investopedia.com/terms/s/soe.asp

[3] Will Kenton. State-Owned Enterprise (SOE). 2020. https://www.investopedia.com/terms/s/soe.asp

დამახასიათებელია დარგობრივი პოლიტიკის განმსაზღვრელი სამინისტროების და ზოგადად პოლიტიკური გავლენები (სახელმწიფო საწარმოზე პოლიტიკური გავლენების არსებობა ბუნებრივია, ჩვენ ვფოკუსირდებით ისეთ გავლენებზე, რამაც შესაძლოა საწარმოში გამოიწვიოს არაეფექტურობები). აღნიშნულის დასაბალანსებლად აუცილებელია აქციონერის ძლიერი ინსტიტუტი, რაც ხშირ შემთხვევაში ფაქტობრივად არ ხორციელდება.

ძირითადი ნაწილი

სახელმწიფო საწარმოს ცნება და მნიშვნელობა

ტერმინი „სახელმწიფო საწარმო“ გულისხმობს სახელმწიფოს მონაწილეობით დაფუძნებულ კორპორაციას, რომელთა რაოდენობა, განსაკუთრებით ნაკლებად განვითარებად ქვეყნებში, რომელთაც ახასიათებთ გარდამავალი ბაზარი და კონტროლირებადი ეკონომიკა, გაცილებით მეტია, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში.

OECD-ის მიერ მიღებული საყოველთაოდ აღიარებული განმარტების თანახმად, „სახელმწიფო საწარმო, ეს არის საწარმოები, რომელთა კონტროლს მნიშვნელოვანწილად სახელმწიფო ახორციელებს სრული მფლობელობით, საკონტროლო პაკეტის ფლობით ან მის გარეშე - აქციების მნიშვნელოვანი ნაწილი ფლობით”. ამ განმარტებაში იგულისხმება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოები, რომლებსაც ფლობს ცენტრალური ან ფედერალური მთავრობა, ასევე რეგიონალური და ადგილობრივი მთავრობა.[1]

პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია გამოვყოთ სფეროები, სადაც სახელმწიფო საწარმოები აქტიურად არიან ჩართული სამეწარმეო საქმიანობაში, ესენია: ელექტრო ენერგიის გამომუშავება, ნავთობის მოპოვება/გადამუშავება, ტელეკომუნიკაციების სექტორი, საზოგადოებრივი ტრანსპორტის სეგმენტი (რკინიგზა, აეროპორტები, ავიაკომპანიები და სხვა ტრანსპორტი), რკინის მადნის მოპოვება, მყარი ნარჩენების მართვა, საფოსტო მომსახურება, თავდაცვა, ჯანდაცვა. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ სახელმწიფო ამ სფეროებს მიიჩნევს მნიშვნელოვან და სტრატეგიულ მიმართულებებად და ცდილობს არ მოხდეს ამ სფეროს სახელმწიფო კონტროლიდან სრულად გასვლა, ამასთან სამეწარმეო საქმიანობაში უშუალო ჩართულობით სახელმწიფო ახდენს ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი დარგების მხარდაჭერას, ბაზრის სტიმულირებასა და კონკრეტულ პროდუქტზე/მომსახურებაზე საზოგადოებრივი მოთხოვნილებების მაქსიმალურად დაკმაყოფილებას.

სახელმწიფო საწარმოთა დაფუძნება ზოგადად სწორედ ქვეყნის სტრატეგიული სექტორების განვითარებასა და ეროვნული ეკონომიკის გაძლიერებას ემსახურება. ასეთ საწარმოებს სახელმწიფოები იყენებენ ეკონომიკის კონკრეტული სფეროს გასაძლიერებლად: სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებისთვის, სახელმწიფოს სტრატეგიულ სფეროზე სახელმწიფო საკუთრების შესანარჩუნებლად და სხვა მიზნების განსახორციელებლად.[2] ზოგი სახელმწიფო საწარმოს შექმნას მხოლოდ პოლიტიკური დატვირთვა აქვს, ზოგიერთის შექმნა კი შესაძლოა მხოლოდ ფინანსური მოტივაციით იყოს განპირობებული. რასაკვირველია, ეს გარემოებები სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია და ხშირად რაც უფრო მაღალია სახელმწიფო საწარმოთა რაოდენობა კონკრეტულ ქვეყანაში, მით უფრო პოლიტიკურად მოტივირებულია გადაწყვეტილების მიღების პროცესი.[3]

---

[1] OECD-ის „სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული აქტივების მართვის შედარებითი ანგარიში“. 2005.

[2] Shapiro M Daniel, Globerman Steven (2012) The International Activities and Impacts of State-Owned Enterprises. In: Sauvant P Karl, Sachs E Lisa, Jonglboed Schmit Wouter P.F., Sovereign Investment, Oxford University Press, P. 110-111.

[3] კევინ რ სმიტი. სახელმწიფო საწარმოების საერთაშორისო გამოცდილების მიმოილვა. მართვის რომელი მოდელები და სტრატეგიები ამცირებს კორუფციას (ანგარიში). თბ., 2016. გვ.8.

საქართველოში სახელმწიფო საწარმოები ძირითადად ფუძნდება სააქციო საზოგადოებისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართლებრივი ფორმით და რეგულირდებიან „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის და ,,სახელმწიფო ქონების შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად (ერთადერთი სახელმწიფო საწარმო, რომლის საქმიანობის რეგულირებისთვის მიღებულია ცალკე კანონი - ,,სააქციო საზოგადოების - საპარტნიორო ფონდის შესახებ” საქართველოს კანონი - არის სს ,,საპარტნიორო ფონდი”). საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტების და პრაქტიკის თანახმად, სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს სამართლებრივი ჩარჩო სახელმწიფო საწარმოებისთვის, რომელიც დაადგენს კონკრეტულ პრინციპებს და რეგულაციებს მათი საქმიანობისთვის. სამართლებრივი ჩარჩო უნდა უზრუნველყოფდეს საუკეთესო ბალანსის მიღწევას სახელმწიფოს საზედამხედველო/ ფლობის ფუნქციასა და სახელმწიფო საწარმოების დამოუკიდებლობას შორის. ფლობის ნიშნით დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და თანაბარი პირობების უზრუნველსაყოფად კარგ პრაქტიკას წარმოადგენს ქვეყანაში არსებული ზოგადი სამეწარმეო კანონმდებლობის სახელმწიფო საწარმოებზე გავრცელება, რაც წაახალისებს კონკურენტული გარემოს შექმნას სახელმწიფო საწარმოებსა და კერძო კომპანიებს შორის.[1]

სახელმწიფო საწამოთა მიმართ სპეციალისტთა და ექსპერტთა დამოკიდებულება არაერთგვაროვანია, არსებობს როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური განწყობები, საუბარია მათ როგორც დადებით, ისე უარყოფით გავლენაზე ქვეყნის ეკონომიკისა და ბიზნეს გარემოს განვითარებასთან მიმართებით. ცალსახაა, რომ სახელმწიფო საწარმოებზე ნეგატიური გავლენა შეიძლება მოახდინოს სახელმწიფოს მხრიდან პოლიტიკურად მოტივირებული გადაწყვეტი-ლებების მიღებამ და მათ საქმიანობაში არამართლზომიერმა ჩარევამ;[2] მეორე მხრივ, სახელმწიფოს, როგორც პარტნიორის/აქციონერის მიერ გამოვლენილმა პასიურობამ, შეიძლება სახელმწიფო საწარმო დაასუსტოს, მასში დასაქმებულ პირებს გაუქროს მოტივაცია წარმატებული საქმიანობის უზრუნველსაყოფად. სახელმწიფო საწარმოს, როგორც წესი, არ ემუქრება სხვა საწარმოზე დაქვემდებარება ან გაკოტრება, რამაც ასევე უარყოფითი გავლენა შეიძლება იქონიოს საწარმოს მენეჯმენტის მოტივაციაზე.[3] სახელმწიფო საწარმოთა მართვაზე საჯარო პოლიტიკის ზეგავლენა განსაკუთრებით აქტუალურია ისეთ საწარმოებთან მიმართებით, რომლებსაც ეკონომიკურ საქმიანობასთან ერთად საჯარო ფუნქციების შესრულებაც ეკისრებათ.[4]

მიუხედავად აზრთა სხავადასხვაობისა, უდავოა, რომ სახელმწიფო საწარმოთა საკმაოდ დიდი ნაწილი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეროვნულ ეკონომიკაში. მაგალითად, იტალიაში - საკმაოდ მძლავრი სახელმწიფო საწარმოები საქმიანობენ საჰაერო ტრანსპორტის, სატელეფონო და სატელეგრაფო კომუნიკაციების სფეროებში; ისლამურ ქვეყნებში-ნავთობისა და გაზის წარმოების, ნავთობპროდუქტებით ვაჭრობის სფეროში; საფრანგეთში-"Elf-Akiten"-ნავთობის მოპოვებისა და გადამუშავების, ნავთობპროდუქტების წარმოების, ქიმიური მრეწველობის, ჯანდაცვის, პარფიუმერიასა და კოსმეტიკის სფეროში, "Reno" - სატრანსპორტო მანქანების წარმოების სფეროში; ფინეთში - „Neste“ -ნავთობის გადამუშავებისა და ნავთობპროდუქტებით საცალო ვაჭრობის სფეროში.

2018 წლის ნოემბერში, OECD-ის გლობალური ფორუმის რეზოლუციის თანახმად, ბოლო

---

https://gyla.ge/files/news/2016%20%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%90/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9B%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%A4%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.pdf

[1] ,,Corporate Governance of State-Owned Enterprises in Europe and Central Asia“, CFRR, World Bank Group, 2020, P.15-16

[2] 0 Lioukas S, Bourantas D, Papadakis V (1993) Managerial Autonomy of State-Owned Enterprises: Determining Factors. Organization Science 4: 645.

[3] Pargendler M (2012) State Ownership and Corporate Governance. 80 Fordham L. Rev. 2917: 4.

[4] OECD Guidelines on Corporate Governance of State-Owned Enterprises, 2015, P. 12.

წლებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებულმა საწარმოებმა გააფართოვეს თავიანთი საქმიანობის სფეროები და გახდნენ მნიშვნელოვანი გლობალური მოთამაშეები. ისინი საქმიანობენ საკვანძო სექტორებში და უშუალოდ ერთვებიან ქვეყნის ეკონომიკის განვითარებში.[1]

წარმოდგენილი საკითხის კვლევა ცხადყოფს, რომ სახელმწიფო საწარმოებთან მიმართებით ყველაზე პრობლემური საკითხი მათ კორპორაციულ მართვაშია, ამ უკანასკნელის სტანდარტები როგორც წესი, ხშირად არ შეესაბამება კორპორაციის მართვის საუკეთესო პრაქტიკას.

სახელმწიფო საწარმოებთან მიმართებით საქართველოში არ არის განსაზღვრული მართვის ერთიანი მოდელი. კერძოდ, პრაქტიკაში გვხვდება სახელმწიფო საწარმოების მართვის როგორც ცენტრალიზებული, ისე დეცენტრალიზებული და შერეული მოდელი, რაც სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს გარდა, სააქციო საზოგადოება - „საპარტნიორო ფონდის", სამინისტროებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ჩართულობასაც გულისხმობს.

სახელმწიფო საწარმოების მართვის კორპორაციული სტანდარტების დადგენა, კერძოდ, რამდენად ეფექტურად არის მათი მმართველობის ორგანოების მიერ კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკა იმპლემენტირებული და რომელი კორპორაციული მართვის მოდელია საუკეთესო სახელმწიფო საწარმოებისთვის, მეტად მნიშვნელოვანია. აღნიშნული ასპექტი დიდ გავლენას ახდენს ინვესტორთა მოზიდვაზე, მინორიტარ აქციონერთა უფლებების და კანონიერ ინტერესების დაცვაზე, გადაწყვეტილებათა მიღების გამჭვირვალეობაზე, ბიზნესის კონკურენ-ტულ გარემოზე. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ სახელმწიფოს მონაწილეობა კორპორაციაში გულისხმობს არა მხოლოდ მისი ეკონომიკური ინტერესების განხორციელებას, არამედ ზოგადად, დაინტერესებულ მხარეთა (Stakeholder) ინტერესების დაცვასაც, სპეციფიკურ სფეროში ინვესტიციის განხორციელებას, კონკურენციის სტიმულირებას, გარემოს დაცვას და სხვა.[2]

წარსულმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ სახელმწიფო საწარმოების დაფუძნების კრიტე-რიუმებისა და მართვის პოლიტიკის არარსებობის გამო, ბოლო 20 წლის მანძილზე ხდებოდა ისეთი საწარმოების დაფუძნება, რომლებსაც არ ჰქონდათ განსაკუთრებული მნიშვნელობა სახელმწიფოსთვის.[3] საქართველოში 2011 წლამდე სახელმწიფოს მიერ დაფუძნდა დიდი რაოდენობით საწარმოები, რომელიც, სახელმწიფო საწარმოების დაფუძნების კრიტერიუმების არარსებობის გამო, არ პასუხობდა სახელმწიფოს მიზნებს და მათი უმეტესობა საერთოდ არ ფუნქციონირებდა, ან არ იყო მომგებიანი. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მომზადებული ანგარიშის თანახმად, 2012 წლისათვის საქართველოში არსებობდა სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული 1129 საწარმო[4]. 2012 წლიდან, კი სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს შექმნის შემდეგ დაიწყო სახელმწიფო საწარმოების რაოდენობის ოპტიმიზაციის პროცესი. აღნიშნული პროცესი დღემდე გრძელდება და მოიცავს არამომგებიანი და არაეფექტური საწარმოების დაშლის, ლიკვიდაციის (მათ შორის გაკოტრების გზით), რეორგანიზაციის და მართვის უფლებით გადაცემის პროცედურებს[5] (დღეის მდგომარეობით მართვის უფლებით გადაცემულია 25 მდე სახელმწიფო საწარმო, მათ შორის - სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა", შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია", „ესკო" და სხვა). 2022 წლის 1 ივნისის სტატისტიკური მონაცემებით, რეგისტრირებული სახელმწიფო

---

[1] https://one.oecd.org/document/DAF/COMP/GF(2018)10/en/pdf

[2] Joo W. T., Corporate Governance, Law, Theory and Policy, Kent Greenfi eld, There'sa Forest in Those Trees: Teaching About the Role of Corporations in Society, Carolina Academic Press, 2nded., Durham, 2010, P. 12-17.

[3] სახელმწიფო საწარმოებთან დაკავშირებით საქართველოს საფინანსო-სამართლებრივი რეგულაციები-ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი 2014,

[2.] იქვე.

[4] სახელმწიფო აუდიტის სამსახური - სახელმწიფო საწარმოების მართვის და განკარგვის ეფექტიანობის აუდიტი, 2015

[5] იქვე.

წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოთა რაოდენობა უდრის 5849-ს, მათ შორის აქტიური სუბიექტია ნახევარზე ნაკლები - 2820.[1]

დღეს საქართველოში სახელმწიფო საწარმოებთან მიმართებაში გადასადგმელია ნაბიჯები პირველ რიგში სამართლებრივი ჩარჩოს შექმნისა და დახვეწის მიზნით. სახელმწიფო საწარმოების მარეგულირებელი ნორმები გაფანტულია სხვადასხვა კანონებსა და სამართლებრივ აქტებში, რომელთა ნაწილი მოძველებულია და არ შეესაბამება კარგ პრაქტიკებს, ვხვდებით კოლიზიურ ნორმებსაც. აუცილებელია შემუშავდეს ერთიანი, ყოვლისმომცველი სახელმწიფო საწარმოთა შესახებ კანონი[2] და მისგან გამომდინარე კანოქვემდებარე აქტები, რომელიც სისტემურად დაარეგულირებს სახელმწიფო საწარმოთა საკითხებს და უზრუნველყოფს სექტორში განხორციელებული რეფორმების შედეგების შენარჩუნებას და შემდგომ გაუმჯობესებას.[3]

როგორც აღვნიშნეთ სახელმწიფო საწარმოებზე ვრცელდება საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებაზე უფლებამოსილების მქონე იურიდიული პირის დაფუძნების პროცედურებს, არსებობის ფორმებსა და მათი არსებობის პროცესში ამავე სუბიექტის ორგანიზაციულ-სამართლებრივ საკითხებს (მუხ.1 პუნქ.1). აღნიშნული კანონი რიგ შემთხვევებში სახელმწიფო საწარმოთათვის განსხვავებულ რეგულირებას ადგენს (მაგალითად, 46-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტი; 49-ე მუხლის მე-5 პუნქტი; 78-ე მუხლის მე-4 პუნქტი; 254-ე მუხლის მე-3 პუნქტი); „სახელმწიფო ქონების შესახებ” საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოს პარტნიორის (აქციონერის) უფლებამოსილებებს ახორციელებს ქონების მმართველი, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოს კაპიტალში სახელმწიფო ქონების, მათ შორის, წილებისა და აქციების, ასევე ფულადი შენატანის/შენატანების განხორციელების შესახებ; ,,საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ” საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით იმ საწარმოს ხელმძღვანელი, რომლის აქციათა ან წილის 100%-ს ფლობს სახელმწიფო ორგანო ან მუნიციპალიტეტი/მუნიციპალიტეტები, აგრეთვე ამ საწარმოს შვილობილი საწარმოს ხელმძღვანელი ვალდებულია შეავსოს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია; ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის „ა”, „თ“ ქვეპუნქტების დებულებიდან გამომდინარე, ეს კანონი ვრცელდება იმ საწარმოებზე, რომელთა აქციების ან წილის 50%-ზე მეტს ფლობს სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტი/მუნიციპალიტეტები; ,,სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „ი” ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შემოწმებას ექვემდებარება იმ კერძო სამართლის იურიდიული პირის საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობა, რომელშიც ავტონომიური რესპუბლიკა ან/და მუნიციპალიტეტი/მუნიციპალიტეტები ფლობს/ფლობენ წილის/აქციების 50%-ს და 50%-ზე მეტს, აგრეთვე სახელმწიფოს მიერ 50% და 50 %-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი კერძო სამართლის იურიდიული პირის საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ამ საწარმოს ფასიანი ქაღალდები – აქცია, წილი განთავსებულია ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო საფონდო ბირჟაზე. ,,სახელმწიფო შიდა

[1] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/66/sakutrebis-formebis-mikhedvit

[2] სახელმწიფო საწარმოების მარეგულირებელი სპეციალური კანონები მოქმედებს აშშ-ში (SOC Act - 1989); ახალ ზელანდიაში (1986); ავსტრალიაში (1992); ნამიბიაში (2019); გამბიაში (2009) და სხვა

[3] საქართველოში სახელმწიფო საწარმოთა კორპორაციული მართვის პრაქტიკების შესახებ ანგარიში. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აგვისტო, 2021. https://www.mof.ge/images/File/publications/2021/03-09-2021/SOE%20Corporate%20Governance%20Report_August%2031.pdf

ფინანსური კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 მუხლი დისპოზიციურად განსაზღვრავს შიდა აუდიტის სუბიექტის შექმნის შესაძლებლობას იმ კერძო სამართლის იურიდიულ პირებში, რომელთა აქციების ან წილის 50%-ზე მეტს ფლობს სახელმწიფო.

აღსანიშნავია, რომ 2021 წელს საქართველოში შემუშავდა სახელმწიფო საწარმოთა რეფორმის სტრატეგია. სტრატეგიის პროექტი დაფუძნებულია OECDს, IMF-ის, WB-ს და ADB-ს საუკეთესო გამოცდილებებზე.[1] რეფორმა შედგება 5 ძირითადი სვეტისაგან, ესენია:

- კორპორაციული მართვა;
- კომერციულობა, როგორც საწარმოს უმთავრესი მიზანი;
- კონკურენციის ხელშეწყობა;
- სახელმწიფო საწარმოთა ფლობის მიზანი, მონაწილეობის ზომის რაციონალურობა;
- კორპორაციული მიზნების მართვა.[2]

ამასთან, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით შეიმუშავა სახელმწიფო საწარმოთა კორპორაციული მართვის კოდექსი, რომლის მიზანია საწარმოთა კორპორაციული მართვის ძირითადი პრინციპების განსაზღვრა ეფექტიანი და ჯანსაღი კორპორაციული მართვის უზრუნველსაყოფად (კოდექსის პირველი მუხლი).

საკვლევ თემასთან მიმართებით მნიშვნელოვანია, რომ კოდექსი უზრუნველყოფს კორპორაციული მართვის სტანდარტების მიღებას და დანერგვას ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად. აღნიშნულ კონტექსტში სახელმწიფო საწარმოებში სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა იმპერატიული ნორმით განისაზღვრება (კოდექსის მე-3 მუხლის პირველი პუნქ.) და კორპორაციული მართვის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს.

დასკვნა

სახელმწიფო საწარმოთა კორპორაციული მართვის კოდექსის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიო საწარმოს უნდა ჰქონდეს მკაფიოდ განსაზღვრული ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს პასუხისმგებლობის მკაფიო განაწილებას, რისკების ეფექტურ იდენტიფიკაციას, სათანადო მართვის, მონიტორ-ინგისა და ანგარიშგების პროცედურებს, შიდა კონტროლის ადეკვატურ მექანიზმებს, მათ შორის, მკაცრ ადმინისტრაციულ და სააღრიცხვო პროცედურებს, ეფექტურ ინფორმაციული ტექნლოგიების (IT) სისტემებსა და რისკის კონტროლს; შესაბამის კომპენსაციის, ანაზღაურების პოლიტიკას და პროცედურებს. ეს წესები რეგულარულად უნდა განიხილებოდეს და განახლდეს ორგანიზაციის შიგნით".

ამავე კოდექსის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ადგენს, რომ საწარმოს ორგანიზაციულ სტრუქტურაში უნდა არსებობდეს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც თავის მხრივ პასუხს აგებს საწარმოს კორპორაციულ მართვაზე. [3] ციტატიდან გამომდინარე სახელმწიფო საწარმოსთვის სამეთვალყურეო საბჭო სავალდებულო ორგანოა, ამასთან კოდექსი რბილი სამართლის ნაწილია,

[1] საქართველოს მთავრობის 2021 წლის 7 აპრილის N156 დადგენილებით შეიქმნა სახელმწიფო საწარმოთა რეფორმის საბჭო.

[2] დაწვრილებით იხ.:საქართველოში სახელმწიფო საწარმოთა კორპორაციული მართვის პრაქტიკების შესახებ ანგარიში. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აგვისტო, 2021. გვ.9-10. https://www.mof.ge/images/File/publications/2021/03-09-2021/SOE%20Corporate%20Governance%20Report_August%2031.pdf

[3] https://www.mof.ge/images/File/publications/2021/03-09-2021/SOE%20Corporate%20Governance%20Report_August%2031.pdf

რაც გულისხმობს მის არასავალდებულობასა და მხოლოდ რეკომენდაციულ ხასიათს,[1] ამავდროულად „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 46-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანაახმად იმ საწარმოებში, რომლებშიც სახელმწიფო ფლობს 50%-ზე მეტს, მთავრობის გადაწყვეტილებით შეიძლება შეიქმნას სამეთვალყურეო საბჭო, რაც გულისხმობს რომ სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა მთავრობის დისკრეციული უფლებაა და არ წარმოაადგენს მის ვალდებულებას. შესაბამისად კოდექსის დანაწესი შესაძლებელია პრაქტიკაში არც განხორციელდეს, ამასთან მნიშვნელოვანია, რომ კოდექსით განსაზღვრული შემადგენლობით (დამოუკიდებელი წევრებით) დაკომპლექტებული სამეთვალყურეო საბჭო პირველად შეიქმნა 2021 წელს, სს ,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში” (სახელმწიფოს წილი - 100%)[2].

სახელმწიფო საწარმოთა მნიშვნელობიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ მათი რეგულირება გარდა რბილი სამართლისა, აუცილებლად უნდა მოხდეს ერთიანი საკანონმდებლო აქტით, რითაც მოწესრიგდება სახელმწიფო საწარმოს დაფუძნების, საქმიანობის, კორპორაციული მართვის, რეორგანიზაციის, დაშლა/ლიკვიდაციის და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, უნდა განისაზღვროს სახელმწიფოს როლი საწარმოს მართვაში და განხორციელდეს გადაწყვეტილებათა მაქსიმალური გამჭვირვალეობა, რაც თავისმხრივ უზრუნველყოფს სახელმწიფო საწარმოთა ეფექტურობას.

The concept and meaning of state-owned enterprise

Gorgadze Lasha
GTU Faculty of Business Technology. Invited teacher,

Kharati Nino
PhD student at Georgian Technical University

Summary

The paper discusses the concept, importance, principles of state-owned enterprises and the motivation for their establishment by the state. The article examines important aspects of legal regulation of state-owned enterprises, heterogeneity and scarcity of the legal framework, as well as the strategy of state-owned enterprises in Georgia and important regulations of the Corporate Governance Code and the prospects for their practical implementation. The paper also raises the issue of creating a unified legislative act for the efficient functioning of state-owned enterprises.

Keywords: state-owned enterprise; Corporate Governance Code; Legal regulation of state-owned enterprises.

[1] მიზანშეწონილია, კოდექსი სავალდებულოდ გავრცელდეს „Comply or Explain“ პრინციპით მსხვილ საწარმოებზე, დაახლოებით 20 ძირითად სახელმწიფო კორპორაციაზე. https://www.mof.ge/images/File/publications/2021/03-09-2021/SOE%20Corporate%20Governance%20Report_August%2031.pdf

[2] https://www.mof.ge/images/File/publications/2021/03-09-2021/SOE%20Corporate%20Governance%20Report_August%2031.pdf გვ.34.

საგადასახადო პოლიტიკის როლი ეკონომიკის განვითარებაში

იაშვილი გენადი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

გვენეტაძე შორენა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრანტი

აბსტრაქტი

ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და წინსვლისთვის დიდად მნიშვნელოვანია ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკა, რომელიც დიდად განაპირობებს კერძო სექტორის განვითარებას, მეტი დოვლათის შექმნა ქვეყნისათვის, ეკონომიკური პროგრესის დაჩქარე-ბის ტემპებს.

უცხოელები ინვესტიციის გასაკეთებლად პირველ რიგში ინტერესდებიან ქვეყანაში არსებული საგადასახადო პოლიტიკის შედეგად, როგორია საგადასახადო სისტემა ქვეყანაში, რამდენად მარტივი პროცედურები და გამჭვირვალედ ხდება გადასახადების ადმინისტრირება; როგორ ხდება ბიზნეს დავის გადაჭრა, ასეთის წარმოქმნის შემთხვევაში.

საკვანძო სიტყვები: საგადასახადო პოლიტიკა, საგადასახადო შეღავათები, გლობალური პანდემია, საგადასახადო დავები, გადასახადის გადამხდელი, ბიზნესის ხელშეწყობა, ინვესტიციები.

შესავალი

ბოლო დროს ჩვენ დავდექით საკმაოდ დიდი გამოწვევის წინაშე გლობალური პანდემიის სახით. ასეთ დროსაც ბიზნესისთვის მნიშვნელოვანი იყო ყველა შესაძლო მხარდაჭერის გამოხატვა სახელმწიფოს მხრიდან. ამ შემთხვევაშიც დიდი იყო საგადასახადო პოლიტიკის როლი. ბიზნეს ქონდა მოლოდინები, რომ დაწესდებოდა რიგი შეღავათები, რომელიც ხელს შეუწყობდა მათ საქმინობის სამომავლო განვითარებას და რიგ შემთხვევაში, ეს დახმარება გადამწყვეტი იქნებოდა მათი საქმიანობის გადასარჩენად /შესანარჩუნებლად.

ძირითადი ტექსტი

საგადასახადო პოლიტიკა საქართველოში

საინტერესოა საგადასახადო პოლიტიკის როლი ასეთი გამოწვევის დროს. საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელდა მთელი რიგი ცვლილებები, ბიზნესის მხარდასაჭერად და პანდემიით გამოწვეული ზიანისშესამსუბუქებლად.

საგადასახადო შეღავათები დაწესდა დარგობრივი მიმართულებით, ასევე სამიზნე კატეგორიის მიმართ. კერძოდ:

საქართველოს საგადასახადო კოდექსში 2020 წლის 22 მაისის №5971 საქართველოს კანონის საფუძველზე განხორციელდა ცვლილებები.

საგადასახადო შეღავათი დაწესდა საშემოსავალო გადასახადის ნაწილში (სსკ 309-ე მუხლის 112-ნაწილია), რომლის მიხედვით:

2020 წლის 1 მაისიდან 6 კალენდარული თვის განმავლობაში დამქირავებელს მიეცა შესაძლებლობა შეემცირებინა ხარჯი და ბიუჯეტში არ შეეტანა დაქირავებულისთვის გაცემული 750 ლარამდე ხელფასიდან დაკავებული და გადასახადელი საშემოსავლო გადასახადი, თუ ამ დაქირავებულის მიერ ამავე დამქირავებლისგან 1 კალენდარული თვის განმავლობაში მიღებული ხელფასი 1500 ლარს არ აღემატებოდა.

ასევე, გადასახადის გადამხდელებს (ბიზნესს) მიეცა შესაძლებლობა 2020 წელს

გადასახდელი საშემოსავლო გადასახადის ან/და ქონების გადასახადის გადახდისთვის საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ვადა გაეგძელებინათ არაუგვიანეს 2021 წლის 1 იანვრამდე (სსკ 309-ე მუხლის მე-104 ნაწილი).

დამატებული ღირებულების გადასახადის ნაწილში, გადასახადის გადამხდელს მიეცა უფლებამოსილება განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში (2020 წლის 1 მარტიდან 6 თვის განმავლობაში) გაწეული იჯარის/ლიზინგის მომსახურება დღგ-ით დაებეგრა ამ მომსახურების საკომპენსაციო თანხის/თანხის ნაწილის ფაქტობრივად გადახდის საანგარიშო პერიოდში, ნაცვლად დასაბეგრი ოპერაციის განხორცილებისას წარმოქმნილი გადასახადით დაბეგვრის პერიოდისა (სსკ 309-ე მუხლის 113-ე ნაწილი).

ქონების გადასახადის ნაწილში დაწესდა მშნივნელოვანი შეღავათი.კერძოდ, ქონების გადასახადისგან, რომლის დეკლარირების ვალდებულება გათვალისწინებული იყო 2020 და 2021 წწ.-ში, გათავისუფლდა შემდეგი სახეობების მიხედვით საქმიანობაში გამოყენებული ქონება:

ა) სასტუმროებისა და მსგავსი დაწესებულების მიერ მათ საქმიანობაში გამოყენებული ქონება; და განთავსების მსგავსი საშუალებების ან/და დასასვენებელი და სხვა მოკლევადიანი განთავსების საშუალებები გათვალისწინებულ საქმიანობაში გამოყენებუ-ლი ქონება;

ბ) რესტორნებისა და საკვებით მობილური მომსახურების ოპერატორებისათვის მათ საქმიანობაში გამოყენებული ქონება;

გ) სასმელებით მომსახურების საქმიანობებში გამოყენებული ქონება;

დ) ტურისტული სააგენტოების, ტურ-ოპერატორების და სხვა დაჯავშნის მომსახურების განმახორციელებელი პირების საქმიანობაში გამოყენებული ქონება.

ქონების გადასახადში ჩამოთვლილი შეღავათები ვრცელდებოდა იჯარით, ლიზინგით

ან სხვა ამგვარი ფორმით გადაცემულ ქონებაზედაც, თუ ეს ქონება ზემოაღნიშნულ საქმიანობებში გამოიყენებოდა.

ამგვარი შეღავათების დაწესება, გარდამავალი პერიოდით, მოქნილი, ეფექტური ნაბიჯები იყო ქვეყნის მხრიდან ბიზნესის მხარდასაჭერად.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლების განმავლობაში საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელდა არაერთი საგადასახადო რეფორმა: საგადასახადო კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან; გადასახადის გადამხდელთათვის შემსუბუქდა სანქციების ტვირთი; შემცირდა საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადები; განხორციელდა ცალკეული კატეგორიის ეკონომიკური დანაშაულისათვის სისხლის სამართლებრივი დევნის შეზღუდვა (დეკრიმინალიზაცია); განხორციელდა მოგების გადასახადის რეფორმა, რომლის შედეგად ამოქმედდა ახალი დაბეგვრის მოდელის დებულებები, კერძოდ, მოგების გადასახადით იბეგრება მხოლოდ განაწილებული მოგება და განსაზღვრული კატეგორიის ხარჯები/გადახდები; 2021 წლიდან ძალაში შევიდა დამატებული ღირებულების გადასახადის ახალი მარეგულირებელი ნორმები.

საქართველოში საინვესტიციო გარემოს შეფასებისთვის მხედველობაში მიიღება გადასახადების გადახდებთან დაკავშირებული პროცედურები. გამარტივებული ელექ-ტრონული სერვისები და დაბალი განაკვეთები მნიშვნელოვანია ბიზნესისთვის, თუმცა კვლავ არსებობს მრავალი საკითხი, რის გამოც ხშირად წარმოიქმნება უთანხმოება ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის. ინვესტორები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ დავების გადაწყვეტის პროცესს და აანალიზებენ, თუ რამდენად არის შესაძლებელი კერძო ლეგიტიმური ინტერესებისა და უფლებების დაცვას.

ამ მხრივ, მნიშნელოვანია, რომ მთავრობის მიერ დაანაონსებულია საგადასახადო დავების რეფორმა, რომელიც მიზნად ისახავს დავების წარმოქმნის ეფექტურ, დროულ, კვალიფიციურ

გადაწყვეტისის უზრუნველყოფას.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობის გარანტია და საქართველოს ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ბოლო წლების განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში განხორცი-ლებეული ინვესტიციების შედეგად, დაიწყო არაერთი ბიზნესპროექტი, შეიქმნა სამუშაო ადგილები და მოხდა სხვადასხვა სექტორის მნიშვნელოვანი განვითარება, რაც საბოლოო ჯამში სწორედ ქვეყნის ეკონომიკის სტაბილურობასა და სწრაფ განვითარებაზე აისახება. მნიშვნელოვანია იმ გარემოების ხაზგასმაც, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მოზიდვის განმსაზღვრელ ფაქტორთაგან გამოსარჩევია სტაბილური პოლიტიკური და მაკროეკონომიკური გარემო, ეროვნული ეკონომიკის გახსნილობა, შესაბამისი ინფრასტრუქტურა და კომუნიკაცია, პროგნოზირებადი და ხელმშემწყობი სამართლებრივი და ინსტიტუციური გარემო.

სწორედ ამ ჭრილში, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ,,საქართველოს 2022 წლის სახელ-მწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით“ სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტბსა და პროგრამებში დეკლარირებულია შემდეგი:

,,საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფა, შესაბამისი საკანონმ-დებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავება; საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის ევროკავშირის დირექტივებთან ჰარმო-ნიზაცია; პრიორიტეტულ სახელმწი-ფოებთან „შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახა-დების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ“ შეთანხმების გაფორმება/არსებული შეთანხმების განახლება;“

ბიზნესის გამართული ფუნქციონირებისთვის, რისკების მაქსიმალური აღმოფხვრის მიზნით, ასევე საგადასახადო დავების წარმოქმნის პრევენციისათვის, მნიშნელოვანია, ეფექტიანი საგადასახადო ადმინისტრირება; საგადასახადო ადმინისტრირებაში ავტომ-ატური დეკლარი-რების სისტემის დანერგვა, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს ბიზნესსუბ-იექტების საგადასახადო ორგანოებთან მუშაობის დროს და საჭირო რესურსს.

დასკვნა

უდადოდ დიდია საგადასახადო პოლიტიკის როლი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. საგადასახადო პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს ეკონომიკის ზრდის ხელმშემწყობი კანონმდებლობის ფორმირებაზე, შესაბამისი პროგრამების შედგენაზე, ასევე, ქვეყნის ეკონომიკის სტიმულების მიზნით, უნდა უზრუნველყოფდეს, საგადასახადო ბერკეტების მუდმივ ძიებასა და სწორ შერჩევას. საგადასახადო კანონმდებლობაში არსებ-ული წინადადებების განხილვისას, უზრუნველყოფდეს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას.

ლიტერატურა

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
2. საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონი;
3. საქართველოს მთავრობის დადგენილება #168 (31.03.2017) www.matsne.gov.ge;
4. საგადასახადო დავების გადაწყვეტის ეფექტური ინსტიტუტები, საგადასახადო სასამართლოები და ალტერნატიული გზები - კვლევის ავტორი GSMEA;
5. საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის თემატური მოკლვევა თემა - ,,პირდაპირი უცხოური ინვესტიციები - არსებული

გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები“
6. საქართველოს სამთავრობო პროგრამა 2021-2024 ,,ევროპული საქართველოსთვის“.

The role of tax policy in the development of the economy

Iashvili Genadi
Professor at Georgian Technical University

Gvenetadze Shorena
Master Student at Georgian Technical University

Summary

The tax policy of the county is very important for the economic development and progress of the county, which greatly contributes to the development of the private sector, the creation of more wealth for the county, the pace of accelerating economic progress.

Foreigners are primarily interested in investing in the country as a result of the existing tax policy, what kind of the tax system in the country, how simple the procedures are and how transparent the tax administration is. How to resolve a business dispute, if any.

Keywords: Tax policy, tax exemption, global pandemic, ta x disputes, taxpayer, business promotion, investments.

ადგილობრივი შრომის ბაზარი და დასაქმება პროფესიული განათლებით

მამულაშვილი გიორგი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი.

იაშვილი თინათინ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის დაჩქარებისთვის ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა შრომის ბაზრის ეფექტიან ფუნქციონირებას აქვს. კერძო სექტორის სტიმულირების პარალელურად, აუცილებელია დასაქმების ბაზრის მაღალკვალიფიციური კადრით გაჯერება და ამისათვის რიგი ღონისძიებების გატარება. ბიზნესზე ორიენტირებული ეკონომიკური რეფორმებისა და მაკროეკონომიკური სტაბილურობის შედეგად, ბოლო წლებში საქართველომ მიაღწია ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან ზრდას. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა მუდმივი გამოწვევების წინაშე დგას და ბოლო წლებში რეგიონში ეკონომიკური შოკებიც შეინიშნება, უნდა ითქვას, რომ საქართველომ შეინარჩუნა ეკონომიკური სტაბილურობა. თუ არ ჩავთვლით კორონა ვირუსით განპირობებულ მსოფლიო კრიზისს და აღნიშნულით გამოწვეულ რიგ ეკონომიკურ პრობლემებს ქვეყანაში. აღნიშნულის მიუხედავად საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით, 2019-2023 წლებში საშუალო ვადიანი პერსპექტივისთვის მშპ-ის რეალური ზრდა 4.9% უნდა იყოს. თუმცა, პანდემიიდან გამომდინარე, შესაძლებელია საერთო სურათი დრამატულად შეცვლილი და შემცირებული იყოს.

საკვანძო სიტყვები: დასაქმების ბაზარი, ეკონომიკური ზრდა, ეკონომიკური რეფორმები, კვალიფიციური სამუშაო ძალა.

შესავალი

არახალია, რომ 2009 წლიდან საქართველოში უმუშევრობის დონე სტაბილურად შემცირებისკენ სვლით შეინიშნება, თუმცა მუდმივად არის პრობლემები, რომელიც ქალებისა და დაბალი კვალიფიკაციის მქონე ადამიანების დასაქმებას უკავშირდება. აქვე არ უნდა გამოგვრჩეს თვითდასაქმებული ადამიანების რიცხვი, რომელთა საქმიანობა საკუთარ მეურნეობებში მუშაობას უკავშირდება და მათი, როგორც თვითდასაქმებულების ერთიანი ფორმალიზებული ბაზა არ გაგვაჩნია.

ძირითადი ტექსტი

ადგილობრივი შრომის ბაზარი საქართველოში

დასაქმების პრობლემებით დაინტერესებული ადამიანების აზრით, აუცილებელია დასაქმების ბაზარზე საჭიროებების გათვლა, იმის გაანალიზება, თუ რომელი პროფესიის ადამიანებით არის გაჯერებული ესა თუ ის დარგი და რომელი მიმართულებით გვჭირდება უფრო მეტი პროფესიონალი. მაგალითად საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ "შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმის პროგრამის" ფარგლებში, საქართველოს შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის არსებული და მოსალოდნელი ტენდენციების გამოვლენის მიზნით 2015 წლის მარტ-ივლისში განახორციელა შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის კვლევა. კვლევის მიზანს წარმოადგენდა შრომის ბაზარზე დამსაქმებელთა განწყობების/ მოთხოვნების შესახებ დეტალური ინფორმაციის მოძიება. უნდა აღინიშნოს, რომ კვლევაში მონაწილე ორგანიზაციების ნაწილს აქტიური ურთიერთობა ჰქონდათ

პროფესიულ სასწავლებლებთან. განხორციელებული კვლევის რესპონდენტები თვლიდნენ, რომ სერიოზულ სრულყოფას საჭიროებს ქვეყანაში უმაღლესი და პროფესიული კვალიფიკაციის კადრების მომზადების სისტემა სწავლების ხარისხის გაუმჯობესების, ტერიტორიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით. დამსაქმებლების აზრით, საკმაოდ ეფექტიანია კადრების გადამზადების პრაქტიკა ადგილზე, ორგანიზაციასა თუ საწარმოში. გამოკითხულთა შორის, უმრავლესობა კმაყოფილებას გამოთქვამს საკუთარ საწარმოში მომზადების შედეგებზე (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, 2015).

ასევე, კიდევ ერთი კვლევის მიხედვით, რომელიც დამსაქმებელთა განწყობების შესასწავლად განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, დონორი და პარტნიორი ორგანიზაციების დახმარებით უკვე რამდენიმეჯერმე განხორციელდა, ძირითად პრობლემად დამსაქმებლის მოთხოვნებსა და პროფესიული განათლების მქონე პირების კვალიფიკაციას შორის შეუსაბამობა დადგინდა. შესაბამისად საქართველოში დამსაქმებლისათვის ხშირ შემთხვევაში პრობლემატურია გარკვეული პროფესიების ადამიანების მოძიება, რაც ამცირებს დასაქმებული ადამიანების რაოდენობას. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის მონაცემებით ქვეყანაში უმუშევრობის დონე საგრძნობლად მაღალია – 20,6% . რაც თავისთავად ცხადია არასახარბიელო რიცხვია.

საქართველოს ხელისუფლებას მიზნად აქვს დასახული გაატაროს შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს მოიძიოს რაც შეიძლება მეტი სამუშაო ადგილი სამუშაოს მაძიებელთათვის. ამ კუთხით სახელმწიფოს მთავარი ინსტრუმენტია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიად დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მმართველის სფეროში მოქმედი დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო. დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო ქვეყნის მასშტაბით უზრუნელყოფს სამუშაოს მაძიებელთა ინდივიდუალურ მიღებას, მათი საჭიროებების გათვალისწინებით კონკრეტული ვაკანსიების შეთავაზებას, სამუშაოს მაძიებელთათვის კარიერის დაგეგმვის ინდივიდუალური სერვისების განხორციელებას.

სააგენტო საქმიანობის ეფექტურად განხორციელებისთვის იყენებს მის მიერვე ადმინისტრირებულ შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემას www.worknet.gov.ge, რომელიც შესაძლებელს ხდის თავი მოუყაროს ყველა სამუშაოს მაძიებელს, ვისაც სახელმწიფოს მხარდაჭერა სჭირდება. საქართველოში დასაქმების ხელშეწყობის პროგრამები წლების განმავლობაში მიბმული იყო მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამებს რაც ძალიან დიდ სირთულეებს უქმნიდა დასაქმების ჯანსაღ პროცესს. კერძოდ, მიზნობრივი სოციალური დახმარების მიმღები პირი, რომელსაც სახელმწიფოს მხრიდან კონკრეტულ სოციალურ საკითხში სჭირდებოდა მხარდაჭერა, სისტემაში არსებული წესის გამო ხვდებოდა სამუშაოს მაძიებელთა ერთიან სისტემაში, რაც შეუძლებელს ხდიდა რეალურად დასაქმების მსურველი მოქლაქეების ბაზის ეფექტურად მუშაობას.

მაგალითად, მოქალაქე, რომელსაც სახელმწიფოს მხრიდან არასრულწლოვანი შვილებისთვის სოციალური დახმარება სჭირდებოდა და ამ მიზნით სოციალური შემწეობის მიმღებად რეგისტრირდებოდა, მისთვის სავალდებულო იყო სამუშაოს მაძიებლადაც დარეგისტრირებულიყო. ერთის მხრივ ეს შეიძლება მისთვის თეორიული შანსი იყო დაეწყო სამსახური და მიეღო შემოსავალი, თუმცა ინდივიდუალური კონსულტირების სერვისის არარსებობის გამო მათი სისტემაში პირობითი რეგისტრაცია ყოველგვარ რეალურ საფუძველს სცდებოდა. ახალი მიდგომის მიხედვით, სოციალურად დაუცველი სამუშაოს მაძიებელი სახელმწიფოს მხადრაჭერით უნდა გადავიდეს სოციალურად დაუცველის მდგომარეობიდან

დასაქმებულის სტატუსის მქონე მდგომარეობაში. ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია შრომის ბაზარზე გენდერული თანასწორობის საკითხი და ქალების გააქტიურება ისეთი პროფესიების მიმართულებით, რომელიც საზოგადოებაში სტერეოტიპულად მხოლოდ მამაკაცის საქმეა. საქართველოს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის ეროვნული სტრატეგიის მიხედვით, მოხდება ქალთა შრომითი უფლებების გაუმჯობესება და სოციალური გარანტიების შექმნა. კერძოდ:

- დაინერგება გენდერული გავლენის შეფასების მეთოდოლოგია პოლიტიკის ფორმირების პროცესში და ჩატარდება კვლევები და ტრენინგები ამ მიმართულებით;
- გაუმჯობესდება ზეგანაკვეთური შრომის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩო, წახალისებული იქნება მოქნილი სამუშაო განაკვეთი;
- განიმარტება დისკრიმინაციის პირდაპირი და არაპირდაპირი სახეები შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციების მიხედვით დასაქმებისა და პროფესიული საქმიანობის ყველა ეტაპზე, მათ შორის სამსახურში მიღებისა და შერჩევის ეტაპებზე;
- გაიზრდება შრომის ინსპექტორების კომპეტენცია და მანდატი სექსუალური შევიწროების შემთხვევათა გამოძიების, პროცედურების წარმოების და სამართლებრივი დაცვის შესაბამისი საშუალებების გამოყენების თვალსაზრისით.

ამ პრობლემის დასაძლევად მიმდინარე წელს ამოქმედდა პროფესიული განათლების ახალი მიდგომა, რაც ზრდასრული ადამიანებისთვის მოკლევადიანი გადამზადების კურსის მიწოდებას გულისხმობს. კერძოდ, მიმდინარე წელს განათლების რეფორმის ფარგლებში, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ კერძო სექტორთან თანამშრომლობით ახალი პროექტი დაიწყო. შეთავაზების მიხედვით ყველა მოქალაქეს, რომელთაც დასაქმების ბაზარზე კონკრეტული უნარ-ჩვევები ესაჭიროება, შესაძლებლობა ექნებათ მოკლევადიანი პროგრამებით მიიღონ შესაბამისი კვალიფიკაცია. საგულისხმოა, რომ მომზადება-გადამზადების კურსების ფორმალიზების შედეგად კურსდამთავრებულებს მიეცემათ სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი; ასევე ზრდასრულთა განათლების სისტემის განვითარების მიზნით, მოკლევადიანი პროგრამების განხორციელების უფლების შესაძლებლობა მიეცემათ კერძო კომპანიებსაც; სახელმწიფოს მიერ დაფინანსდება ის პრიორიტეტული მიმართუ-ლებები, რომლებიც მაღალი დასაქმების პოტენციალის მქონე სფეროდ იქნება აღიარებული; პროგრამები განხორციელდება პრაქტიკული სწავლების ფორმატით (სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება) სწორედ 2016 წლიდან, საქართველოს ფერმერთა ასოციაცია, საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებისა და პროფესიული განათლების რეფორმის პროცესში, ახორციელებს პროექტს „სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება“, რომელიც მიმდინარეობს გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსა (SWC) და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით. პროექტი უზრუნველყოფს პროფესიული განათლების ახალი მოდელის – სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების დანერგვას სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგებში.

დასკვნა

ამრიგად, აღნიშნული მიდგომა შესაძლებელს გახდის ქვეყანაში თვითდასაქმებული ადამიანების რაოდენობას შეუწყოს ხელი და მაღალი პროფესიული კვალიფიკაციითა და სტანდარტით მოახდინონ საკუთარი მეურნეობების მოვლა, მართვა და ამ გზით საკუთარი შემოსავლის მიღება. პროექტი ხორციელდება საქართველოს რეგიონებში – სამეგრელო, კახეთი, სამცხე-ჯავახეთი, მცხეთა-მთიანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი და აჭარა; სწავლის პროცესში სტუდენტები უზრუნველყოფილი არიან სახელმწიფო დაფინანსებით, ანაზღაურებით,

სახელმწიფოს მიერ აღიარებული დიპლომით და მინიმუმ 2 წლიანი სამუშაო გამოცდილებით. ყველა დაინტერესებულ პირს ეძლევა შესაძლებლობა დაეუფლოს პროფესიას მეხილეობის მიმართულებით, ისწავლოს და იმუშაოს თანამედროვე დუალური პროგრამის ფარგლებში, მოიპოვოს სახელმწიფოს სრული დაფინანსება და კერძო სექტორის მხრიდან ანაზღაურება.

ლიტერატურა

1. უმუშევრობის დონე 2021 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (ბოლოს გადამოწმდა 23.02.2022) https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba
2. დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს ანგარიში https://moh.gov.ge/uploads/files/2021/Dasaqmebis-xelshewyobis-saagentos-angarishi--2020-2021.pdf
3. შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემა http://worknet.gov.ge/

Local labor market and employment with vocational education

Mamulashvili Giorgi
Ph.D Student at Georgian Technical University

Iashvili Tinatin
Professor at Georgian Technical University

Summary

One of the crucial factors for accelerating the economic growth of any country is the efficient functioning of the labor market. In parallel with stimulating the private sector, it is necessary to saturate the employment market with highly qualified staff and take a number of measures to do so. As a result of business-oriented economic reforms and macroeconomic stability, Georgia has achieved significant economic growth in recent years. Despite the fact that the country is facing constant challenges and economic shocks have been observed in the region in recent years, it must be said that Georgia has maintained economic stability. If we do not take into account the global crisis caused by the Corona virus and the number of economic problems caused by it in the country. Despite this, the International Monetary Fund forecasts that real GDP growth for the medium-term outlook for 2019-2023 should be 4.9%. However, due to the pandemic, the overall picture can be dramatically altered and reduced.

Keywords: Employment market, economic growth, economic reforms, skilled labor.

ეკონომიკური პოლიტიკის გადატვირთვა თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად

მაქაცარია ნინო
შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

მსოფლიო პერიოდულად დგება გლობალური პრობლემების წინაშე. დღეისათვის კორონავირუსი თანამედროვე მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი გამოწვევა გახდა; ამ პირობებში აუცილებელია შემუშავდეს ამგვარი კრიზისული საფრთხეების გადაჭრის გზები; შესაბამისად, საჭიროა ეკონომიკური პოლიტიკის გადატვირთვა, რომელმაც უნდა მიგვიყვანოს უფრო ინკლუზიურ, უფრო სამართლიან და მდგრად განვითარებამდე; ისტორიამ არაერთხელ დაადასტურა რომ პანდემია უკავშირდება ეკონომიკურ და სოციალურ არასტაბილურობას, კონფრონტაციებს, მაგრამ ასევე იწვევს ინოვაციებს; კრიზისები ხშირად ხდება ახალი იდეებისა და შესაძლებლობების მოტივატორი. მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში პანდემიამ უფრო გამოააშკარავა მანამდე არსებული პრობლემები და დააჩქარა მდგრად განვითარებაზე გადასვლის პროცესი, ღირებულებებზე მეტი ორიენტაცია, განვითარების ხარისხობრივი მაჩვენებლების მიღწევის უპირატესობა.

საკვანძო სიტყვები: პანდემია, ეკონომიკური პოლიტიკა, პანდემიური შოკები, ონლაინ სერვისები, მდგრადი განვითარება.

შესავალი

ეკონომიკური პოლიტიკის გადატვირთვა თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად

გლობალური კრიზისების ფონზე გვიწევს უფრო სიღრმისეულად დავფიქრდეთ იმაზე, თუ როგორ შეიძლება გამოიყურებოდეს სამყარო პოსტპანდემიურ პერიოდში, რა მიმართულებით უნდა მოხდეს საზოგადოებრივი ცხოვრების მთელი რიგი მნიშვნელოვანი ასპექტის, მათ შორის ეკონომიკის განვითარება; ერთია ის, რასაც გვთავაზობს მეცნიერება, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი რეალიზაცია ეკონომიკურ პოლიტიკაში. მართალია, ჯერ ბოლომდე არც კი გადაუვლია კორონავირუსის ტალღას, მაგრამ შეიძლება უკვე შეფასდეს ახალი გამოწვევები, გამოკვეთოს მომავალი ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტები. მართალია, შდეგების თვალსაზრისით მას კლასიკურ ეკონომიკურ კრიზისებთან, ბევრი აქვს საერთო, თუმცა ასევეა განსხვავებაც; ამჯერად ჯანმრთელობის დაცვისკენ მიმართულმა ღონისძიებებმა გამოიწვია კრიზისული მოვლენები ეკონომიკაში; ასევე გაიზარდა მისი გავრცელების სისწრაფე და მასშტაბები; მაგრამ ამავე დროს, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დღევანდელი განვითარება მეტ შესაძლებლობებს ქმნის საზოგადოების ცხოვრებაზე მისი ზეგავლენის შესამცირებლად; თუმცა, ეს უკანასკნელი თავისთავად ვერ შეამცირებს პანდემიური შოკების ზემოქმედებას ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაზე სახელმწიფოს მიზანმიმართული რეგულირების გარეშე.

ძირითადი ნაწილი

ზოგადად, პანდემია მრავალწახნაგოვანი მოვლენაა. განსაკუთრებით მწვავედ გამოიკვეთა მისი ფსიქოლოგიური ასპექტი; ჩვენს გარშემო უახლოესი ადამიანები ხდება ვირუსის წყარო, შესაბამისად, პანდემია აღვივებს ურთიერთობების შიშს; შეზღუდვების ნაადრევად მოხსნა იწვევს დაინფიცირების ზრდას და მეტად უწევს ბიზნესს გაჩერება;

პანდემიის პირობებში გაჩნდა როგორც მიწოდების, ისე მოთხოვნის კრიზისი. დაიხურა კომპანიები, შემცირდა სამუშაო ადგილები, გაიზარდა უმუშევრობა; მიწოდების შემცირებამ კი

გამოიწვია ფასების ზრდა; დაეცა მოსახლეობის მყიდველობითუნარიანობა; საქართველოში განსაკუთრებული სიმწვავით აისახა უცხოეთიდან ფულადი გზავნილების შეზღუდვა, რომლის მასშტბებითაც ქვეყანა გამოირჩეოდა. პანდემიური შოკების შესამცირებლად საჭირო გახდა სტიმულირების პაკეტები, საგადასახადო შეღავათები, დასაქმების შენარჩუნების მიზნით კომპანიების სუბსიდირება. მსოფლიოს ქვეყნებში ადგილი ჰქონდა პანდემიაზე ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის სწრაფად რეაგირება, გამოიყო თანხები პანდემიის კონტროლქვეშ მოქცევის მიზნით, იქნებოდა ეს ტესტირება, მედიკამენტები, ჰოსპიტალიზაცია და სხვ. მოხდა გაკოტრებამდე მისული ოჯახებისა და საწარმოებისთვის ფულადი სახსრების მიწოდება. მართალია, ფისკალური სტიმულის დროს რეალურად დგას ინფლაციის რისკი, თუმცა უმუშევრობა და სხვა პროცესები ამსუბუქებს მას.

საქართველოში ეკონომიკის სტიმულირების მიზნით დაფინანსდა ინფრასტრუქტ-ურული პროექტები, გაგრძელდა სოფლის მეურნეობისა და ფერმერთა მხარდაჭერის პროექტები; ეს ემსახურებოდა დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას, შემოსავლების გაზრდას თუ შენარჩუნებას; ევროპაში გადაწყვიტეს დახმარებოდნენ ბიზნესს, ვინც შეინარჩუნებდა მუშაკებს, თუნდაც მაშინაც კი როცა ისინი ვერც კი მუშაობდნენ.

პანდემიისას იცვლება გარემო, რომელშიც კომოპანიები მუშაობენ; ბიზნესი იძულებული ხდება მუდმივად ადაპტირდეს, უჩნდება შესაძლებლობა გადახედოს თავის საქმიანობას და განახორციელოს მდგრადი, გრძელვადიანი ცვლილებები. ბუნებრივია, მცირე ბიზნესი აწყდება მეტ სირთულეებს, თუმცა მათ აქვთ საშუალება ისარგებლონ თავიანთი უპირატესობით, როგორიცაა მოქნილობა ბაზრის შეცვლილი პირობებისადმი; შეუძლიათ წაახალისონ დისტანციური მუშაობა, საჰაერო მოგზაურობა და პირისპირ შეხვერები შეცვალონ ციფრული ურთიერთობებით და სხვ.

მსოფლიოში კომპანიებმა, რომლებიც უკვე მუშაობდნენ ონლაინ რეჟიმში ისარგებლეს გრძელვადიანი კონკურენტული უპირატესობით. უფრო მეტიც, ისინი გამოვიდნენ გამარჯვებულები პანდემიისგან. მათ შეძლეს დისტანცირებისა და დაცვის პირობებში შეემცირებინათ ხარჯები და დაეჩქარებინათ საწარმოო ოპერაციები; მაგალითად, ეს ახალი რეალობა აისახა Zoom-ის საბაზრო კაპიტალიზაციაში; ,,მოთხოვნის გაზრდის შესაბამისად, შეერთებულ შტატებში Amazon-მა და Walmart-მა დაიქირავეს 250,000 თანამშრომელი(1.გვ.72)

პროგრესული, ინკლუზიური და მდგრადი განვითარება მოითხოვს უფრო სიღრმისეულად გადაიხედოს მშპ-სთან დამოკიდებულება. ახალი არაფერია იმაში, რომ შესაძლებლობების ხელმისაწვდომლობის თვალსაზრისით მშპ სულ უფრო ნაკლებად გამოსადეგი მაჩვენებელია. გაზომვის სირთულის მიუხედავად ბუნებრივი და სოციალური კაპიტალი უმნიშვნელოვანესია სოციალური და გარემოსდაცვითი მდგრადობისათვის;

ეკონომიკის ვარდნის ხანგრძლივობა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ერთნაირი არაა. ის დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა ,,1.აფეთქების ხნგრძლივობა და სიმძიმე; 2.თითოეული ქვეყნის წარმატება პანდემიის შეკვებაში და მისი შედეგების შერბილებაში; 3.თითოეული საზოგადოების თანმიმდევრულობა იზოლაციის შემდგომ ზომებთან და გახსნის სხვადასხვა სტრატეგიებთან მიმართებაში''; (1.გვ.23.); ასევე განსხვავებულია ქვეყნებს შორის კრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლის სიმწვავე და ის პირდაპირ კავშირშია განვითარების საწყის დონესთან; რამდენადაც ეკონომიკური კეთილდღეობის მაღალი დონის ქვეყნებში მეტია დანაზოგები; ამიტომაც აქ უფრო ადვილად გადასატანია პანდემიით გამოწვეული შეზღუდვები. ეკონომიკურად და სოციალურად დაუცველი ადამიანების რაოდენობასთან ერთად გაიზარდა უთანასწორობის მასშტაბები. კოვიდმა არაპროპორციულად დააზიანა დაბალი შემოსავლის მქონე ადამიანები, მოწყვლადი მოსახლეობა. ცნობილია, რომ ქვეყნები, რომლებიც ფლობენ ეკონომიკურ

პოლიტიკაში სოციალური უსაფრთხოების ძლიერ მექანიზმებს ნაკლები დანაკარგებით გაუმკლავდნენ პანდემიას;

პანდემიას უკავშირდება უფრო მეტად დაფიქრება ღირებულებებზე; მკვლევარები ფიქრობენ, რომ ფოკუსირებამ უპირატესად ეკონომიკის აღდგენაზე შეიძლება გამოიწვიოს გლობალური დათბობისადმი ყურადღების შესუსტება. ამიტომაც ქვეყნები კრიზისების დადგომამდე ისეთ ეკონომიკურ პოლიტიკას უნდა ატარებდნენ, სადაც მასტიმულირებელი იქნება მდგრადი გარემო, მწვანე ვალდებულებები; ეს შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ეკონომიკური ბერკეტებით/მაგ. ფინანსური შეღავათების შესთავაზებით ისეთი კომპანიებისთვის, რომლებიც უზრუნველყოფენ დაბალ ნახშირბადის ემისიას/; დისტანციური მუშაობა, ნაკლები მგზავრობა, ველოსიპედით მეტი სიარული იწვევს ნახშირ-ბადის ემისიების შემცირებას. პანდემიის შედეგად ჩვენ უფრო მეტად გავაცნობიერებთ ჰაერის დაბინძურების რისკს და დავფიქრდებით ქცევების შეცვლაზე.

ჩაკეტვის პირობებში მოხდა მომხმარებლების ჩვევების შეცვლა. ის ძირითადად დაეყრდნო ციფრულ სერვისებს. ბევრი საქონელი თუ მომსახურება გახდა ,,ელექტრონული''-ელექტრონული წიგნები, ელექტრონული სწავლება, ელექტრონული კომერცია და სხვ; საქართველოში დისტანციური მუშაობა ამჯერად უფრო მასობრივი გახდა; გამოწვევამ საჭირო გახადა ამ მიმართულებით ბევრი კომპანიისთვის დამატებით ორგანიზაციული ცვლილებების გატარება; ბევრი ტექნიკური ხასიათის ქცევა პანდემიის შემდგომაც გაგრელდება, რამდენადაც ხშირად ელექტრონული პროდუქტი, თუ ონლაინ მომსახურება უსაფრთხოა და უფრო იაფი. ასევე წარმოუდგენელია არ დაბრუნდეს ბევრი ძველი სოციალური ჩვევა, რამდენადაც ადამიანები ვართ სოციალური ცხოველები; გაძლიერდება განვითარების ტენდენციები შემდეგი პრიორიტეტებით: ონლაინ სერვისების მაქსიმალურად გამოყენება, განათლება, ისევე როგორც სხვა ინდუსტრია ნაწილობრივ ვირტუალური ხდება, ოპტიმალური იქნება ჰიბრიდულ მოდელი; ადამიანები ამჯობინებენ ძვირადღირებული კორპუსების ნაცვლად გადავიდნენ ისეთ ადგილებში, სადაც მეტი გამწვანება, მეტი სივრცე და ნაკლები დაბინძურებაა; იცვლება ჩვენი დამოკიდებულება დროსთან; პოპულარული ხდება ცხოვრების ჯანსაღი წესი, ჯანმრთელი კვება, ტყეები, პარკები, ბაღები და მწვანე ადგილები;

გადატვირთვა ხდება სხვადასხვა ინდუტრიებში. პანდემიით ყველაზე უფრო დაზარალდა მომსახურების სექტორი, სადაც დასაქმებულია სამუშაო ძალის უმეტესი ნაწილი; პანდემიურ სიტუაციაზე მორგების კვალობაზე მათ უძვირდებათ მომსხურება, რომელიც თავისი ბუნებით განსხვავებულია- მას ვერ გადადებ, ვერ შექმნი მარაგებს. გადაადგილების შეზღუდვა განსაკუთრებით შეეხო ტურისტულ ქვეყნებს; საქართველოში ტურიზმის წილი მშპ-ში საგრძნობლად შემცირდა. 2018 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით ტურიზმის ინდუსტრიაში დასაქმებულთა რაოდენობამ 71,574 ადამიანი შეადგინა, რაც 6,5 %-ით მეტი იყო 2020 წლის მაჩვენებელთან შედარებით'' /სემგს/; აღნიშნულ პერიოდში სამუშაოების სპეციფიკა სოფლის მეურნეობაში უფრო შეესაბამებოდა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციებს. ამ დარგში მოთხოვნა არსებობს როგორც კრიზისის, ისე პოსტკრიზისულ პერიოდში; პანდემიის შემდეგ ისევ პრიორიტეტული იქნება სოფლის მეურნეობის განვითარება, რომელშიც დღეისათვის საქართველოში იქმნება მხოლოდ მშპ-ს 9%- მდე. პანდემიამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკური პოლიტიკა ორიენტირებული უნდა იყოს სოფლის შესაძლებლობების მაქსიმალურ განვითარებაზე, ცენტრის განტვირთვაზე; უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში დედაქალაქში ცხოვრობს მოსახლეობის თითქმის მესამედი/3 716,9 ათ. კაციდან ცხოვრობს - 1184,8 ათ.კაცი/სსეს/.

პანდემია იწვევს სახელმწიფო და კერძო სექტორების თანაარსებობის გადახედვას. გარდა

იმისა, რომ მთავრობამ გამოასწოროს ბაზრის ჩავარდნა, მანვე უნდა მოახდინოს ისეთი ბაზრების სტიმულირება, რომლებიც უზრუნველყოფენ მდგრად და ინკლუზიურ ზრდას, მწვანე განვითარებას, გლობალური რისკების შერბილებას. შესაბამისად, ბიზნესი აღმოჩნდება სახელმწიფოს მეტი ჩარევის წინაშე. ეს დამოკიდებული იქნება ამა თუ იმ ქვეყანაზე, დარგსა თუ სფეროზე. თუმცა, ბიზნესთან პარტნიორობას საფუძვლად დაედება უპირატესად საზოგადოებრივი ინტერესი. პოსტპანდემიურ პერიოდში მსოფლიოს ყველა ქვეყანას, როგორც მიკრო, ისე მაკროდონეზე მოუწევს ახალი ტენდენციების გათვალ-სწინება.

დასკვნა

ამრიგად, კოვიდ-19-მა გამოიწვია მნიშვნელოვანი ცვლილებები და გააღრმავა ის მნიშვნელოვანი გამოწვევები, რაც არსებობდა საზოგადოებაში. პანდემიამ გამოიწვია პრიორიტეტების შეცვლა და დაგვაფიქრა უკეთესი მომავლის შესაძლებლობაზე კეთილდღ-ობის ახალი ეპოქისკენ, სადაც იქნება მეტი სოციალური დაცულობა და მეტი მდგრადობა. ეს იქნება სისტემა, რომელიც პრიორიტეტს ანიჭებს არა მხოლოდ მშპ-ს ზრდას, არამედ, ამასთან ერთად საზოგადოების ყველა წევრის კეთილდღეობის ხელმის-აწვდომობას.

პანდემია დააჩქარებს სისტემურ ცვლილებებს. შესაბამისად, უნდა მოხდეს სახელმწიფორ როლის გადახედვა. სულ უფრო აქტუალური ხდება გარემოსდაცვითი, სოციალური, ეფექტური მმართველობის მიდგომები. წინა პლანზე იწევს სამომხმარებლო ქცევა, ჯანმრთელობა და უსაფრთხოება; საჭირო ხდება ეკონომიკური პოლიტიკის გადატვირთვა ახალი გამოწვევების შესაბამისად.

ლიტერატურა

1. COVID: -19. The great teset - Klaus Schwab; Thierry Malleret, 2020 (forum publishing) http://reparti.free.fr/schwab2020.
2. პაპავა ვლადიმერ; კორონომიკა და ეკონომიკა კრიზისის წინაშე; 21 მარტი.2020. https://for.ge/view/182671/koronomika-da-ekonomika-krizisis-winaSe.html/; 18.01.2021.
3. პოსტ-COVID ეკონომიკური პოლიტიკა ეკონომიკის აღდგენის და მდგრადი განვითარების გზები/ ანგარიში ; 2020 წლის 31 აგვისტო / ავტორები: უორენ კოუტსი, სტივენ სიმანსკი, ჯესიკა მაინო, რონ მაკმორანი და ლუის პანიაგა/. https://pdf.usaid.gov/
4. COVID-19 Is Transforming Economic Policy in the United States By Claudia Sahm https://www.intereconomics.eu/contents/year/2021/number/4/article/
5. სემგს: /საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ,,ტურიზმის ინდუსტრიაში შრომის ბაზრის საჭიროებათა კვლევა" 2018 წ. ანგარიში/http://www.lmis.gov.ge/
6. სტეა: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია; https://gnta.ge/ge/;

Resetting economic policies in line with modern challenges

Maqatsaria Nino
Associate Professor at Shota Meskhia Zugdidi State Teaching University

Summary

For the world has not yet fully overcome corona virus wave, But the expected dangers and new challenges can be assessed; outlow future economic priorities at both micro and macro levels. As a result of pandemic we will think more about values. Pandemic is accelerating the pace of automation. As a result of the pandemic, companies are faced to constantly adapt the changing environment. they will have to review their activities. sustainable long-time changes, can encourage remote work. Exchange air travel and face to face meetings with digital relationships; E-comerce e is growing. In additions to correcting market failures, the government must also simulate markets and ensure sustainable and inclusive growth, green development, mitigation of global risks. Consequently the business will face more interference from the state, it will depend on the country field or fields. Partnerships with businesses ,however will be based primarily on the public interest. Progressive, inclusive and sustainable development requires a more in-depth review of attitudes towards GDP. Focusing predominantly economic recovery may lead to weakeing of attention to global warming. Therefore, even before the crisis, countries had to persue economic policies that would stimulate a sustainable environment, green commitments.

Keywords: Pandemic, economic policy, pandemic shocks, online services, sustainable development, clean environment, anti-crisis policy.

ნივთების ინტერნეტის გამოყენება ენერგეტიკაში

მაღრაძე მანანა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ქაფიანიძე გიორგი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია ნივთების ინტერნეტის გამოყენების მნიშვნელობა ენერგეტიკულ ინდუსტრიაში, მისი უპირატესობები და ციფრულ პროექტებთან კავშირის სარგებელი. ნივთების ინტერნეტის მწვანე ელექტროენერგიასთან კავშირი, რომელიც ამარტივებს ქარის ან მზის სადგურებზე ავტომატიზირებული პროცესების მიმდინარეობას, რაც თავის მხრივ აუმჯობესებს სადგურის მუშაობას და ზრდის მის ეფექტურობას. არსებითად, ჰიდროენერგეტიკაში ნივთების ინტერნეტის გამოყენების არასაკმარისი ცოდნის გამო, შესაძლოა ელექტროენერგეტიკული სისტემა მივიდეს ენერგიის სრულ კოლაფსამდე. რაც გულისხმობს გენერაციის და მოხმარების ბალანსის დარღვევას თუ არ იქნება შესაბამისი ზომები მიღებული დროულად სისტემა სრულად გაითიშება. ამდენად, მნიშვნელოვანია ელექტროენერგიის ინდუსტრიაში ნივთების ინტერნეტის გამოყენება, რაც საშუალებას იძლევა მოხდეს ენერგეტიკაში ჭკვიანი ქსელების გამოყენების ეფექტების შეფასება, რაც უზრუნველყოფს ელექტროენერგეტიკულ სისტემაში წარმოქმნილი ავარიების სწრაფ აღმოჩენას და დროულ აღმოფხვრას.

საკვანძო სიტყვები: ნივთების ინტერნეტი, ნივთების ინტერნეტი ენერგეტიკაში.

შესავალი

ნივთების ინტერნეტის გამოყენება ენერგეტიკაში

ნივთების ინტერნეტი (The Internet of Things, IoT) არის ინტერნეტის განვითარების ახალი ეტაპი, რომელიც მნიშვნელოვნად აფართოებს მონაცემთა შეგროვების, ანალიზისა და გავრცელების შესაძლებლობებს. ნივთების ინტერნეტი (IoT) აკავშირებს ობიექტებს ინტერნეტთან, რაც საშუალებას გვაძლევს განვახორციელოთ ანალიზი და მივიღოთ მონაცემები. ნივთების ინტერნეტი გულისხმობს ინტერნეტთან დაკავშირებული მოწყობილობების ქსელს, რომელიც აგებულია მანქანა-მანქანის M2M (Machine-to-machine) ურთიერთქმედების ტექნოლოგიაზე. ეს ნიშნავს, რომ არსებობს მინიმუმ ორი მოწყობილობა, რომლებიც ერთმანეთთან ურთიერთობენ ტექნოლოგიების საშუალებით. ევროპის ქვეყნებში Internet of Energy (IoE) გამოიყენება IoT-ის ნაცვლად, როგორც ნივთების ინტერნეტის ტექნოლოგიის დანერგვა გამანაწილებელ ენერგეტიკულ სისტემებში. IoE-ს ტექნოლოგია გამოიყენება ელექტროენერგიის ინდუსტრიის ყველა დონეზე მომხმარებლებიდან ელექტრულ სადგურებამდე.

ძირითადი ნაწილი

ელექტროენერგეტიკის ინდუსტრიაში ნივთების ინტერნეტის ტექნოლოგიების დანერგვა ამ ინდუსტრიის თანამედროვე განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტია. ნივთების ინტერნეტი ენერგეტიკულ სექტორში მუშაობს ყველა დონეზე მომხმარე-ლისგან მონაცემთა გადაცემის მომენტიდან გენერირებულ სიმძლავრემდე:

- IoE-ს საშუალებით სამომხმარებლო მრიცხველები პირდაპირ უგზავნის მონაცემებს მიმწოდებელს, ადამიანური ფაქტორის გარეშე;
- IoE სისტემა გასცემს და აკონტროლებს მომხმარებლის გადახდებს;
- IoE-ს საშუალებით ოპერატორი დისტანციურად აკონტროლებს სადგურის

აღჭურვილობას და ოპერატიულად წყვეტს პრობლემებს;

- IoE-ს მეშვეობით სადგურის აღჭურვილობა და ელექტრული ქსელების მდგომარეობა მუდმივი კონტროლის ქვეშ იმყოფება;
- IoE-ს სენსორების სისტემა საშუალებას გვაძლევს ვაკონტროლოთ დატვირთვა ქსელში [1].

ელექტროენერგიის ინდუსტრიაში IoT ტექნოლოგია დაკავშირებულია სხვა ციფრულ პროექტებთან, როგორიცაა ხელოვნური ინტელექტი. ასეთი "კავშირის" სარგებელია:

1. უსაფრთხოება - აღჭურვილობის რეგულარული მონიტორინგი ამცირებს სახიფათო ავარიების რაოდენობას, რაც შეიძლება კატასტროფად იქცეს განსაკუთრებით დიდ პროექტებზე. პრობლემის გადასაჭრელად კი ჩართულია დანადგარები და მოწყობილობები რომელიც აჩქარებს პროცესს და იხსნის თანამშრომლებს ჯანმრთელობისათვის სახიფათო საქმიანობისაგან.

2. მინიმალური დანახარჯი და მაქსიმალური შემოსავალი - სისტემა ოპტიმიზირებას უკეთებს ხარჯების ბევრ ელემენტს საწვავის ხარჯებიდან დაწყებული რემონტის ჩათვლით. მონაცემების პირდაპირი შეგროვება „ჭკვიანი“ მრიცხველებიდან ზოგავს ხარჯებს და უზრუნველყოფს კომპანიის შემოსავალს სრულად.

3. მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება - ავარიების სწრაფი ლიკვიდაცია ავტომატურად და ამავდროულად სწორად, იწვევს დანადგარების სტაბილურ და ხანგძლივი დროით მუშაობას, რის შედეგადაც პროცესი უფრო უსაფრთხო ხდება.

უნდა აღინიშნოს შემდეგიც: პერსონალის გათავისუფლება დოკუმენტების შევსებაზე რუტინული სამუშაოდან; დროული ინფორმირებულობა აღჭურვილობის მდგომარეობაზე; ადამიანური შეცდომის მინიმიზაცია ელექტროენერგიის წარმოებასა და განაწილებაზე.

IoT წარმატებით გამოიყენება ასევე „მწვანე“ ენერგეტიკაში. IoT პლატფორმა ქარის ან მზის სადგურებზე ამარტივებს და ავტომატიზირებას უკეთებს პროცესებს, აუმჯობესებს მუშაობას და ზრდის სადგურის ეფექტურობას. ასევე ნივთების ინტერნეტი შესაძლებელია გამოვიყენოთ ჰიდროენერგეტიკაში. დღეს მსოფლიოში ენერგიის მოთხოვნილების დაახლოებით 16% განახლებად ენერგიაზეა დამოკიდებული, ხოლო 71% კი ჰიდროენერგეტიკაზე. ჰიდროენერგეტიკული ინდუ-სტრიის სპეციფიკური გამოწვევა, აღჭურვილობის სიცოცხლისუნარიანობის გაზრდა იწვევს ტექნიკური ხარჯების ზრდას. დანახარჯების შემცირების სურვილი აიძულებს ოპერატორს შეამციროს ტექნიკური ძალისხმევა, რის შედეგადაც აღჭურვილობა ზიანდება და ვერ მუშაობს ისე, როგორც იყო მოსალოდნელი. ნივთების ინტერნეტით შეუძლებელი იქნება ტექნიკური სარემონტო სამუშაოების გადადება.

ელექტროენერგიის ინდუსტრია ტრადიციულად აგებულია მომხმარებლების ელექტროენერგიით უწყვეტად მიწოდების პრინციპზე. ამ მიზეზით, ენერგოსისტემაში არსებობს სიჭარბის პრინციპი. ელექტროენერგეტიკის ინდუსტრიაში რეზერვების გამოყენების მნიშვნელობა განპირობებულია ელექტროენერგეტიკული ინდუსტრიის მთავარი მაჩვენებელით - მომხმარებლების ელექტროენერგიით უზრუნველყოფის მაჩვენებელი. ამ პარამეტრის შესაფასებლად, ჩვეულებრივ გამოიყენება SmartGrid ტექნოლოგიები, რომლებიც ელექტრო ქსელების მართვის გარდა, ასრულებენ ფუნქციებს ელექტროენერგიის მოხმარების შესახებ ინფორმაციის სტატისტიკური შეგროვებისა და დამუშავებისთვის. ზემოაღნიშნული ტექნოლოგიის გამოყენება შესაძლებელს ხდის ქსელში ავარიების რაოდენობის შემცირებას ძაბვის ავტომატური კონტროლის გამო და პრევენციული შეკეთების შესაძლებლობას. SmartGrid ტექნოლოგია გამოიყენება ელექტროენერგიის გამომუშავებაში, როგორც სადიაგნოსტიკო სისტემა სადგურებისთვის. ტექნოლოგიური გადაწყვეტა "SmartGrid" საშუალებას გაძლევთ სწრაფად მივიღოთ ინფორმაცია აღჭურვილობის მდგომარეობის შესახებ და დროულად დადგინდეს მისი რეკონსტრუქციის ან გამოცვლის აუცილებლობა [2]. ეს ტექნოლოგია შესაძლებელს ხდის

აღჭურვილობის მუშაობის დროის გაკონტროლებას, რაც ამცირებს საგანგებო სიტუაციების რისკს. აღნიშნული ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფს აღჭურვილობის შეკეთებას დროულად, მკაცრად „რეგლამენტის მიხედვით“.

ენერგეტიკის სისტემაში ნივთების ინტერნეტის გამოყენება იძლევა ღირებუ-ლების კოლოსალურ ეფექტს. ელექტროგადამცემი კომპანიებისთვის ხარჯების შემცირება მნიშვნე-ლოვანი გამოწვევაა. ქსელის კომპონენტი შეადგენს ელექტროენე-რგიის ღირებულების 67%-ს მოსახლეობისათვის და დაახლოებით 40%-ს ინდუსტრიისთვის.

ელექტრული ქსელის კომპლექსებში დაგროვდა უამრავი პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია მუდმივად მზარდ მოთხოვნებთან ელექტრომომარაგების ხარისხთან, მის საიმედოობასთან და ახალი მომხმარებლებისთვის ელექტროენერგიის ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობასთან [3]. ელექტრული ქსელის კომპლექსის გამოწვევები მხედველობაში უნდა იქნას მიღებული და დამუშავდეს ინდუსტრიის ტექნოლოგიური და ინოვაციური განვითარების სტრატეგიის ფორმირებისას უახლოეს მომავალში, როგორც ინდუსტრიის ციფრული ტრანსფორმაციის აუცილებელი პირობა.

ელექტროქსელის კომპლექსის პრიორიტეტული გამოწვევები მოიცავს:

1. მომხმარებელთა მიერ ახალ სერვისებზე მოთხოვნას;
2. ელექტროენერგიის დანაკარგებს ქსელებში;
3. სატარიფო შეზღუდვებს;
4. ელექტრომომარაგების ხარისხს და საიმედოობას.
5. პერსონალის გადინება და მაღალკვალიფიციური კადრების ნაკლებობას.

ტრადიციულად, ელექტროგადამცემი კომპანიები დიდ ყურადღებას აქცევენ ქსელის საიმედოობას მთელი წლის განმავლობაში სარემონტო პროგრამებისა და გადაუდებელი ღონისძიებების გატარებით [3]. ელექტროენერგიის განაწილებისა და ტრანსპორტირების ტექნოლოგიური პროცესი ავტომატიზაციისგან გარეშე, ვერ ამცირებს კომპანიის აქტივების საკუთრების ღირებულებას, გაციფრულება საშუალებას გვაძლევს მივაღწიოთ ამ მიზანს ერთიანი სანდო ციფრული გარემოს შექმნით. ციფრული ტრანსფორმაციის მიზანი ენერგეტიკულ სექტორში არის ერთიანი საინფორმაციო სივრცის, როგორც გარემოს და ურთიერთქმედების საერთო ენის განვითარება სხვადასხვა პლატფორმებისა და ტექნოლოგიებისთვის. ეს მიდგომა საშუალებას იძლევა მოხდეს პირველადი ციფრული ტექნოლოგიური მონაცემების ბოლომდე გადაცემის ორგანიზება ელექტროენერგეტიკული ინდუსტრიის სუბიექტების მიერ მოწოდებული მოცულობებით; ელექტროენერგეტიკული სუბიექტების ადმინისტრაციული ვალდებულებების შემცირება შემოდგომა-ზამთრის პერიოდში; სანდო გარემოს შექმნა, საიმედოობის დონის ამაღლება მინიმალური ტექნიკური ხარჯებით; მონიტორინგის ზრდა; ინტეგრირებული ინფორმაციის მართვის სისტემების განვითარება, რაც უზრუნველყოფს კიბერუსაფრ-თხოებას

ეფექტური გაციფრულების სტრატეგია ეფუძნება საცავში მრავალი განსხვავებული სისტემის მონაცემების გაერთიანებას. რაც საშუალებას იძლევა მოხდეს ზუსტი ანალიტიკური გამოთვლები და პროგნოზები რაც შესაძლებელს ხდის მოხდეს სწორი გადაწყვეტილების მიღება ელექტროგადამცემი ქსელის კომპლექსში ავტომატური მართვის სისტემების შემუშავებისას [4].

დასკვნა

1. ნივთების ინტერნეტის გამოყენებით შესაძლებელია ენერგეტიკული ქსელის, სადგურის ან ქვესადგურის აღჭურვილობის დაზიანებისა და ავარიების ოპერატიულად აღმოფხვრა;

2. IoT საშუალებას აძლევს ელექტროგადამცემ კომპანიებს შეამცირონ ელექტროენერგიის დანაკლისი ქსელში და მოვლ-შეკეთების ღირებულება, გააუმჯობესონ ელექტროენერგეტიკული

დანადგარების მუშაობა.

3. სისტემების ავტამატიზირება დააჩქარებს ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების საჭიროებას ენერგეტიკულ სექტორში, რაც უზრუნველყოფს ენერგეტიკული ქსელის გამართულ, ხარისხიან და საიმედო ფუნქციონირებას.

ლიტერატურა

1. Masera M., Bompard E.F., Profumo F., Hadjsaid N. Smart (electricity) grids for smart cities: assessing roles and societal impacts // Proceedings of the IEEE. 2018. V. 106. N 4. P. 613– 625. doi: 10.1109/JPROC.2018.2812212
2. Arun Ramamurthy and Pramod Jain THE INTERNET OF THINGS IN THE POWER SECTOR. No. 48 | 2017 P.68
3. Jedwab, R. M., Chalmers, C., Dobroff, N., & Redley, B. (2019). Measuring nursing benefits of an electronic medical record system: A scoping review. Collegian, 26, 562.
4. https://doi.org/10.1016/j.colegn.2019.01.003
5. https://doi.org/10.1016/j.scs.2020.102571

Internet of Things in Energy

Maghradze Manana
Professor atGeorgian Technical University

Kapianidze Giorgi
PhD student at Georgian Technical University

Summary

This article discusses the concept of the Internet of Things, a theoretical description of the functioning of the Internet of Things in the electricity industry, the possible perspectives and uses of the Internet of Things in the energy industry, its advantages in energy and the benefits of connecting to digital projects. The connection of the Internet of Things to green electricity and electric vehicles, which simplifies the process of automated processes at wind or solar stations, which in turn improves the operation of the station and increases its efficiency. Essentially, due to insufficient knowledge of the specific challenges of using the Internet of Things in hydropower, we may lead the entire power system of Georgia to a complete energy collapse. The article also discusses the effects related to the introduction of the Internet of Things in the electricity industry and the key areas for the development of energy and smart grids.

Keywords: Internet of Things, Internet of Things in Energy, Energy, SmartGrid.

არასაბანკო საკრედიტო სექტორის განვითარების ტენდენციები საქართველოში

მუშკუდიანი ვალერი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

საკრედიტო სისტემა ქვეყნის ეკონომიკის ერთ–ერთი ყველაზე მზარდი და წარმატებული სფეროა, მისი როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში მრავალმხრივია. საკრედიტო ბაზარზე მრავალი სახეობის საკრედიტო ინსტიტუტია წარმოდგენილი. თავის მხრივ, ეს ინსტიტუტები ორ ჯგუფად შეიძლება დავყოთ - ბანკები და არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციები.

დღეს გლობალური ეკონომიკის პირობებში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება არასაბანკო სექტორის შესწავლასა და განხილვას. დღეისათვის როგორც ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების ისე განვითარებადი ქვეყნების საკრედიტო სისტემები ხასიათდება საფინანსო საკრედიტო ინსტიტუტების მრავალფეროვნებით. საქართველოში საკრედიტო სისტემის მნიშვნელოვან ინსტიტუტებს წარმოადგენს მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და სესხის გამცემი სუბიექტები. სწორედ ეს ინსტიტუტები წარმოადგენს სასესხო კაპიტალის ბაზრის მნიშვნელოვან მონაწილეებს და მათი საქმიანობის სრულყოფა ხელს უწყობს ქვეყნის საფინანსო-საკრედიტო სისტემის გაუმჯობესებას და მდგრადობას.

საკვანძო სიტყვები: საკრედიტო სისტემა, არასაბანკო საკრედიტო ინსტიტუტები, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, საკრედიტო კავშირი, სესხის გამცემი სუბიექტი.

შესავალი

საკრედიტო სისტემა არის ფინანსურ საკრედიტო დაწესებულებათა კომპლექსი, რომელსაც სახელმწიფო იყენებს ეკონომიკის განვითარებისათვის. იგი მონაწილეობს საზოგადოებრივი კვლავწარმოების ყველა რგოლის ფუნქციონირებაში, რამდენადაც უზრუნველყოფს დროებით თავისუფალი ფულადი საშუალებების მობილიზაციას და მათ პრაქტიკულ გამოყენებას მეურნეობრივ საქმიანობაში.

ძირითადი ნაწილი

არასაბანკო საკრედიტო სექტორის განვითარების ტენდენციები საქართველოში

თანამედროვე საკრედიტო სისტემა მოიცავს საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუ-ტების სამ ძირითად ჯგუფს: 1. ცენტრალური (ეროვნული) ბანკი; 2. საბანკო სექტორი (კომერციული ბანკები); 3. სპეციალური არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტები.

საქართველოში საკრედიტო-საბანკო სისტემის ფორმირება დაიწყო XVIII-XIX სს, როგორც რუსეთის იმპერიაშვი შემავალ სხვა სახელმწიფოებში საქართველოშიც არსებობდა განშტოებული, მრავალსუბიექტიანი საკრედიტო-საბანკო სისტემა, რომელიც იურიდიული და ფიზიკური პირების საკრედიტო და სხვა სახის საბანკო მომსახურეობის ფართო სპექტრით უზრუნველყოფას ანხორციელებდა, მაგრამ ეს სისტემა ორიარუსიანი მაინც ვერ გახდა. 1917-1921 წ.წ. საქართველოში ჩაისახა დამოუკიდებელი საკრედიტო სისტემის კონტურები, რომელიც ვითარდებოდა საბაზრო ეკონომიკის კანონების შესაბამისად, მაგრამ ეკონომიკის კატასტროფული მდგომარეობის და მრავალრიცხოვანი საომარი და შიდაპოლიტიკური სიძნელეების გამო ვერ მოხერხდა თვითმყოფადი საკრედიტო სისტემის შექმნა.

საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის ეკონომიკური რეფორმების

კომპლექსურ პროგრამაში განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა დათმობითი საკრედიტო ორგანიზაციას. მიღებულ იქნა კანონები ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკის საქმიანობის შესახებ. საქართველოს საკრედიტო სისტემის სტრუქტურა XXI საუკუნის დასაწყისისათვის შემდეგნაირად გამოიყურებოდა: 1) საქართველოს ეროვნული ბანკი; 2) კომერციული ბანკები; 3) სპეციალიზებული საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტები.

არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტები საბანკო-საკედიტო სისტემის მესამე ელემენტია. ისინი დაკავებულნი არიან ეკონომიკის ცალკეული დარგების ან სფეროების საკრედიტო-საფინანსო მომსახურებით. როგორც წესი, მათ საქმიანობაში გამოირჩევა ერთი ან ორი ძირითადი ოპერაცია,ოპერირებენ სასესხო კაპიტალის ბაზრის შედარებით ვიწრო სეგმენტებზე და ჰყავთ სპეციფიკური კლიენტურა[1].

საქართველოს ეროვნული ბანკი, ფინანსური სტაბილურობის ხელშეწყობის ფარგლებში, ახორციელებს არასაბანკო დაწესებულებათა ზედამხედველობას. არასაბანკო დაწესებულებათა ზედამხედველობის და რეგულირების მიზანია საქართველოს არასაბანკო სექტორის სტაბილური ფუნქციონირების, საიმედობის და მდგრადობის უზრუნველყოფა, შესაძლო რისკის თავიდან აცილება და ამ გზით კრედიტორთა ინტერესების დაცვა. ამ კუთხით მნიშვნელოვანია არასაბანკო საფინანსო ინსტიტუტების გამჭვირვალობის ზრდა და კორპორატიული კულტურის სრულყოფა, რაც ხელს შეუწყობს მათ ინსტიტუციონალურ განვითარებას და ამავდროულად, დადებითად იმოქმედებს საზოგადოების ეკონომიკური ცნობიერების ამაღლებაზე.

არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის და რეგულირების გაუმჯობესების მიზნით შემუშავებულია შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა. მოქმედი კანონმდებლობით არასაბანკო დაწესებულებთა ზედამხედველობას ექვემდებარებიან მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, სესხის გამცემი სუბიექტები, საკრედიტო კავშირები და ვალუტის გადამცვლელი პუნქტები.

2021 წლის 1 მარტის მდგომარეობით, არასაბანკო საფინანსო სექტორი 38 მიკროსაფინანსო ორგანიზაციით (385 ფილიალი), ვალუტის გადამცვლელი 721 პუნქტით (549 სათავო ოფისი და 172 ფილიალი), სესხის გამცემი 345 სუბიექტითა (183 სათავო ოფისი და 162 ფილიალი) და ერთი საკრედიტო კავშირით იყო წარმოდგენილი. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არასაბანკო საფინანსო სექტორის მთლიანი აქტივები 2,15 მილიარდ ლარამდეა (საიდანაც უდიდესი წილი - 1,63 მლრდ ლარი - მიკროსაფინანსო სექტორს ეკუთვნის). მთლიანი სასესხო პორთფელი 2,31 მილიარდ ლარამდეა, საიდანაც 1,36 მილიარდი მოდის მიკროსაფინანსო ორგანიზაციაზე, ხოლო 947 მილიონი სესხის გამცემ სუბიექტებზე.

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია - არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ან სააქციო საზოგადოების სამართლებრივი ფორმით დაფუძნებული იურიდიული პირი, რომელიც მისი განაცხადის საფუძველზე რეგისტრირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ და ახორციელებს კანონით გათვალისწინებულ საქმიანობას საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობით[2].

საქართველოს კანონმდებლობით მიკროსაფინანსო ორგანიზაცია უფლებამოსილია განახორციელოს მხოლოდ შემდეგი საქმიანობა: ა)იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის მიკროსესხების, მათ შორის, სამომხმარებლო, სალომბარდო, იპოთეკური, არაუზრუნველყოფილი, ჯგუფური და სხვა სესხების (კრედიტების) გაცემა; ამ მიზნით საკრედიტო საგადახდო ბარათის გამოშვება; ბ) ინვესტირება სახელმწიფო და საჯარო ფასიან ქაღალდებში; გ) ფულადი გზავნილების განხორციელება; დ) სადაზღვევო აგენტის ფუნქციის შესრულება; ე) მიკრო

[1] კოვზანაძე ი; კონტრიძე გ. თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა. თბ; 2014. გვ. 31.
[2] საქართველოს კანონი „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“.მუხლი 3.

დაკრედიტებასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურების გაწევა; ვ) სესხების (კრედიტების) მიღება რეზიდენტი და არარეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირებისაგან; ზ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ფინანსური მომსახურებები და ოპერაციები: მიკროლიზინგი, ფაქტორინგი, ვალუტის გადაცვლა, თამასუქების, ობლიგაციების გამოშვება, რეალიზაცია, გამოსყიდვა და ამ ფინანსურ მომსახურებებთან და ოპერაციებთან დაკავშირებული სხვა ოპერაციები.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, როგორც კერძო სექტორის შემადგენელ სუბიექტებს, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, და წარმოადგენენ ფინანსური ინფრასტრუქტურისა და საბაზრო ეკონომიკის უმთავრეს ნაწილს. საქართველოში მოქმედი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სამართლებრივი რეგულირების წყაროა კანონი "მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ", რომელიც ეროვნული ბანკის მიერ და 2006 წლის 18 ივლისს იქნა მიღებული, რომელშიც შემდგომში მთელი რიგი ცვლილებები შევიდა.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ გაცემული მიკროკრედიტის მაქსიმალური ჯამური ოდენობა ერთ მსესხებელზე არ უნდა აღემატებოდეს 100 000 (ასი ათას) ლარს.

მისოს საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციისათვის აუცილებელი პირობებია:

ა) ფულადი სახით განაღდებული საწესდებო კაპიტალი იყოს არანაკლებ 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარი;

ბ) მიკროსაფინანსო ორგანიზაციის დირექტორი (დირექტორთა საბჭოს წევრი) არ შეიძლება იმავდროულად იყოს რომელიმე კომერციული ბანკის, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების – საკრედიტო კავშირის ან სხვა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის პარტნიორი (აქციონერი), სამეთვალყურეო ან/და დირექტორთა საბჭოს წევრი;

მისო-ები სებ-ს რეგულარულად აბარებენ ანგარიშს, ხოლო ცენტრალური ბანკის საზედამხედველო ჩარჩო მიმართულია მომხმარებელთა უფლებების დაცვის,

უკანონო შემოსავლების ლეგალიზებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციისკენ.

არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება – საკრედიტო კავშირი – კოოპერატივის ორგანიზაციულსამართლებრივი ფორმით რეგისტრირებული საწარმო, რომელიც მხოლოდ თავისი წევრებისაგან იღებს ანაბრებს, აძლევს მათ სესხს, ახორციელებს ამ კანონით ნებადართულ საბანკო საქმიანობას და რომლის უმთავრესი მიზანი არ არის მოგების მიღება[1];

საკრედიტო კავშირი უფლებამოსილია განახორციელოს შემდეგი საბანკო საქმიანობა:

ა) მიიღოს ანაბრები მხოლოდ თავისი წევრებისაგან;

ბ) გასცეს სესხები მხოლოდ თავის წევრებზე;

სესხის გამცემი სუბიექტი – პირი, რომლის მიმართ ერთდროულად 20-ზე მეტ ფიზიკურ პირს (მათ შორის, ინდივიდუალურ მეწარმეს) აქვს სასესხო/საკრედიტო ვალდებულება[2];

ვალუტის გადამცვლელი პუნქტი - ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებული მეწარმე სუბიექტი, რომელიც ეროვნული და უცხოური ვალუტის ნაღდი სახით ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებს ახორციელებს საოპერაციო ფართში ან/და ელექტრონული აპარატის მეშვეობით[3];

2018 წლამდე არასაბანკო საკრედიტო სექტორი საქართველოში ქაოტურად ვითარდებოდა და მასზე ვრცელდებოდა მსუბუქი ზედამხედველობა, ბოლო 4 წლის განმავლობაში სექტორის

---

[1] საქართველოს კანონი „არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების შესახებ". მუხლი 1.

[2] საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №217/04 2018 წლის 27 სექტემბერი ქ. თბილისი. სესხის გამცემი სუბიექტის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე. მუხლი 2

[3] საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №37/04 2018 წლის 28 თებერვალი ქ. თბილისი ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ.

რეგულირებისა და ზედამხედველობის კუთხით განხორციე-ლდა ძირეული ცვლილებები, დაწესდა მთელირი რიგი შეზღუდვები, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა ამ სექტორის რისკები და სისტემა უფრო სტაბილური გახადა, თუმცა მეორეს მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ გატრებულმა ცვლილებებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ბაზარზე, ბევრმა საკრედიტო ორანიზაციამ ვერ მოახდინა მორგებოდა ცვლილებებს და იძულებული გახდა ლიკვიდაცია მოეხდინა, თუ 2018 წლის 31 დეკემბრის მგომარეობით ქვეყანაში ფუნქციონირებდა 67 მიკროსა-ფინანსო ორგანიზაცია, 2019 წლის 31 დეკემბრის მგომარეობით მათი რიცხვი 48-მდე შემცირდა, დღეს კი ბაზარზე წარმოდგენილია 38 სუბიექტი, ლიკვიდაციის პროცესში არის 7 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია და 7 საკრედიტო კავშირი.

დასკვნა

საკრედიტო ბაზრის განვითარება პირდაპირ დაკავშირებულია ქვეყანის ეკონომიკური ზრდის ამაღლებასთან. მისი განვითარება დამოკიდებულია საკრედიტო ბაზრის ინფრასტრუქტურისა და მისი ინსტიტუტების განვითარებასთან.

ქვეყნის ეკონომიკური ზრდა-განვითარება, დიდად არის დამოკიდებული, გამართული, მაღალ დონეზე ორგანიზებული საკრედიტო სისტემის, მათ შორის არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციების არსებობაზე. ქვეყნის საკრედიტო-ფინანსური სისტემის განვითარება წარმოუდგენელია არასაბანკო-საკრედიტო ინსტიტუტების განვითარების გარეშე.

არასაბანკო საფინანსო სექტორის განვითარებას განაპირობებს პროდუქტების და სერვისების ხელმისაწვდომობა და მომსახურების ფართო ქსელი, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში, აგრეთვე დაბალი საკომისიოები, მომსახურების სისწრაფე და მიწოდების დისტანციური არხები. სექტორის განვითარებას ხელი შეუწყო, კომერციულ ბანკებთან შედარებით, სებ-ის რეგულაციების სიმცირემ და „მსუბუქი“ ზედამხედველობის რეჟიმმა. თუმცა, 2017 წლის საკანონმდებლო ცვლილებებით, გამკაცრდა სებ-ის საზედამხედველო მიდგომა არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ.

განხორცილებულმა ცვლილებებმა ხელი შეუწყო, როგორც ფინანსურ მდგრადობასა და გამჭვირვალობას, ისე მომხმარებელთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფას, შეთავაზებული მომსახურების ხელმისაწვდომობასა და უსაფრთხოებას.

ლიტერატურა:

1. ი. კოვზანაძე, გ. კონტრიძე „თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა” თბილისი 2014 წ.
2. მოსიაშვილი ვ., ჭილაძე მ., - საბანკო საქმის საფუძვლები. -თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი, 2013
3. მოსიაშვილი ვ., მამაცაშვილი ე., ახალკაცი ნ., ფულის მიმოქცევა და კრედიტი. თბილისი 2017.
4. საქართველოს კანონი „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ”. 18 ივლისი 2006 წლი
5. საქართველოს კანონი „არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების შესახებ”. ოთხი ივლისი 2002 წლი
6. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №217/04 2018 წლის 27 სექტემბერი ქ. თბილისი. სესხის გამცემი სუბიექტის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე.

7. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №37/04 2018 წლის 28 თებერვალი ქ. თბილისი ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ.
8. https://nbg.gov.ge

Development of Non-banking credit field in Georgia

Mushkudiani Valeri
PhD student of Georgian Technical University

Summary

Credit system is one of the most developing and successful field in Georgia, It has a multilateral role on developing the country's economy. A lot of credit institutions are presented in the credit market, these credit institutes can be divided into two main groups, banks and non-banking organizations.

Today, on the lite of global economy it is more important to study and discuss non-banking field issues. Today both economically developed and developing countries are characterized by the diversity of financial credit institutions. Microfinance organizations and Loan issuing entities are an important part of credit institutes in Georgia. Exactly these institutes are the most important part of credit market of Georgia and the improvement of their activities contributes to the improvement and stability of the country's financial and credit system.

Keywords: Credit system, Non-bank credit institutions, Microfinance organization, Credit union, Lending entity.

შიდა აუდიტის სტანდარტების დანერგვა საქართველოში

ჟვანია გიორგი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ნაშრომის მიზანია, ერთი მხრივ, საქართველოში შიდა აუდიტის სტანდარტების დანერგვის შესახებ ინფორმაციის მოპოვება და მეორე მხრივ, რამდენად შეესაბამება შიდა აუდიტის საქმიანობა საერთაშორისო და ადგილობრივ სტანდარტებს როგორც სამართლებრივად ისე პარაქტიკაში.

კვლევის საგანია შიდა აუდიტის საქმიანობაში არსებული თეორიული, პრაქტიკული და მეთოდური პრობლემების ერთობლიობა. კვლევის ობიექტად გვევლ-ინება ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები, ადგილობრივი თვითმმარ-თველობის შიდა აუდიტის ერთეულები.

კვლევის პროცესში გამოყენებულია შიდა აუდიტორთა ინსტიტუტის (IIA) მასალები, საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების მიერ მიღებული კანონები და ნორმატიული აქტები, შიდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები (IPPF), უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) სახელმძღვანელოები და სტანდარტები საჯარო სექტორისათვის; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ჰარმონიზაციის ცენტრის (CHU) მეთოდოლოგიები და ანგარიშები, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების პუბლიკაციები.

საკვანძო სიტყვები: შიდა აუდიტი, სტანდარტები, ადგილობრივი თვითმმართ-ველობა.

შესავალი

საჯარო სექტორი მოიცავს დაწესებულებებს, რომლებიც მოქალაქეებს აწვდიან სხვადასხვა მომსახურებას, რაც დადგენილია საჯარო პოლიტიკითა და კანონმდებლობით. მთავარი მახასიათებელი, რაც განასხვავებს ორგანიზაციებს, როგორც საჯარო სექტორს არის ის, რომ მათ ევალებათ ემსახურონ, დაიცვან და ხელი შეუწყონ საზოგადოებრივ კეთილდღეობას. დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემებში მოქალაქეები ირჩევენ მმართველობას, ანიჭებენ მათ ძალაუფლებას და აწვდის სახსრებს სახელმწიფო გადასახადებისა და ადგილობრივი გადასახადების მეშვეობით სხვადასხვა მომსახურების მიწოდებისა და განხორციელებისთვის. თანხები ნაწილდება სუბსიდიების, გრანტების ან/და ფინანსური ტრანსფერების (გრძელვადიანი სესხები ან წილობრივი წილი) მეშვეობით. ამრიგად, მოქალაქეები არიან პირველადი დაინტერესებული მხარეები საჯარო სექტორის ორგანიზაციებში და საჯარო სერვისები უნდა იყოს უზრუნველყოფილი საზოგადოების დაინტერესებული მხარეების ინტერესების გათვალისწინებით. ხოლო თანამდებობის პირები და ორგანიზაციები, პასუხისმგებელნი არიან იმაზე, თუ როგორ იხარჯება თანხები. სწორედ კარგი მმართველობა გულისხმობს მონიტორინგს, ხორციელდება თუ არა მომსახურება და დაგეგმილი პროგრამები სრულდება თუ არა ეფექტურობით და ხდება თუ არა დასახული მიზნების მიღწევა.

კარგი მმართველობა, როგორც წესი, მოიცავს სტრატეგიის ჩამოყალიბებას, ზედამხედ-ველობის უზრუნველყოფას და ეთიკის დანერგვას ორგანიზაციებში. შიდა აუდიტი ხელს უწყობს კარგ მმართველობას საჯარო სექტორში. შიდა აუდიტორები უზრუნველყოფენ გარანტიას, რომ საჯარო დაწესებულებებმა ეფექტიანად შეასრულონ მათ წინაშე არსებული სამართლებრივი და ეთიკური ვალდებულებები. შიდა აუდიტი სვთავაზობს გზებს მმართველობას, რისკების მართვისა და კონტროლის პროცესების გასაუმჯობესებლად[1].

[1] https://iia.no/wp-content/uploads/2019/11/2019-PG-Unique-Aspects-of-Internal-Auditing-in-the-Public-Sector.pdf

ძირითადი ნაწილი

თავდაპირველად საქართველოში შიდა აუდიტის ინსტიტუტის შექმნის აუცილებლობას საფუძველი ჩაეყარა 2007 წელს ევროკომისიასა და საქართველოს მთავრობას შორის გაფორმებული დაფინანსების ხელშეკრულების - „საქართველოს ფინანსური მართვის რეფორმის მხარდაჭერა“ ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებებით. აღნიშნული შეთანხმების საფუძველზე, 2009 წლის ივნისში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადდა კანონპროექტი „სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ“, რომელიც მოგვიანებით, 2010 წლის 3 მარტში დამტკიცებულ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ. გარდა ამისა, 2014 წელს დაიდო ასოცირების შეთანხმება „ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის“, რომლის V კარის მე-2 თავში გაწერილია საჯარო ფინანსების მართვისა და შიდა კონტროლის სფეროში მისაღწევი ამოცანები, რომელიც მოიცავს ფუნქციონალურად დამოუკიდ-ებელი შიდა აუდიტის სუბიექტების ფუქციონირებას მთელს საჯარო სექტორში.

შიდა აუდიტი არის დამოუკიდებელი და ობიექტური მარწმუნებლობის და საკონსულტაციო საქმიანობის გამწევი, რომელიც შექმნილია

დაწესებულებისთვის დამატებითი სარგებლის და მისი საქმიანობის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად. რისკის მართვის, კონტროლის და მმართველობის პროცესის ეფექტურობის შეფასების და გაუმჯობესების სისტემური და დისციპლინირებული მიდგომების შემუშავებით, ის ეხმარება დაწესებულებას დასახული მიზნის მიღწევაში.

დღეის მდგომარეობით, საჯარო დაწესებულების უმეტეს ნაწილში შიდა აუდიტის სუბიექტები ძირითადად ატარებენ შესაბამისობის და ფინანსური აუდიტებს. მოქმედი კანონმდებლობის და საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით შიდა აუდიტის სუბიექტი ვალდაებულია ჩაატაროს სხვა სახის აუდიტები, მაგალითად ეფექტიანობის და ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტები. ამასთანავე, აუცილე-ბელია შემუშავებულ იქნეს აღნიშნული აუდიტების მეთოდოლოგია, რაც შეუწყობს ხელს აღნიშნული აუდიტების განხორციელებას შიდა უადიტის სუბიექტების მიერ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, შიდა აუდიტის სუბექტი ვალდებულია მარწმუნ-ებელი საქმიანობის გარდა განახორციელოს საკონსულტაციო მომსახურება. საკოსულტ-აციო მომსახურება წარმატებით გამოიყენება ევროპის ქვეყნებში. მარწმუნებელი საქმიანობისგან საკონსულლტაციო მომსახურება იმით განსხვავდება რომ ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს რჩევას კლიენტების სპეციფიკური მოთხოვნების შესაბამისად. ხოლო მარწმუნებელი საქმიანობა უზრუნველყოფს დამოუკიდებელ აზრს მტკიცებულებების ობიექტური შეფასების საფუძველზე. ამდენად, საკონსულტაცო მომსახურებასთნ მიმართებით მნიშვნელოვანია აუდიტის მოთოდოლოგიაში და შიდა აუდიტის სუბექტების დებულებებში გაიწეროს აღნიშნული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით.

საჯარო დაწესებულებებში მოქმედი ცალკეული შიდა აუდიტის სუბიექტები აუდიტის გარდა ასევე გააჩნიათ ინსპექტირების ფუნქციაც. რაც აუცილებლად უნდა იყოს გამიჯნული შიდა აუდიტის ფუნქციისგან.

ინსპექტირების ფუნქცია დაკავშირებულია ხელმძღვანელობასთან და იგი ხელმძღვანე-ლობის დავალებით ახორციელებს გამოძიებებს, კონტროლს და გადამოწ-მებას. ვინაიდან ინსპექტირება არის მენეჯერული პასუხისმგებლობის ნაწილი, ის არ უნდა გამოიყენებოდეს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის შეფასების მიზნით. აღნიშნული წარმოადგენს შიდა აუდიტის ფუნქციას.

ასევე საინტერესოა ის რომ ცალკეულ მუნიციპალიტეტბში შეიქმნა ანტიკორუფ-ციული

რისკების მეთოდოლოგია, რაც უზრუნველყოფს კორუფციის რისკების შეფასებას მუნიციპა-ლიტეტის სისტემაში. ამ მხრივ ვფიქრობ, რომ კორუფციული რისკ-ების შემცირების/აღმოფხვრის კუთხით შესაძლებელია გამოყენებული იყოს ინსპექტირების ფუნქცია, როგორ ამ პროცესის კოორდინატორი.

კანონმდებლობაში აუცილებელია ცვლილება შევიდეს შიდა აუდიტის სუბიექტის საქმია-ნობის გამჭვირვალობის კუთხით, კერძოდ, სავალდებულო გახდეს შიდა აუდიტის სუბიექტების ანგარიშების საჯარო გამოქვეყვება. აღნიშნული შესაძლე-ბელს გახდის შიდა აუდიტის როლის აღქმას საზოგადოებაში და ასევე მისი საქმიანობის ეფექტურობას შეუწყობს ხელს.

დასკვნა

შიდა აუდიტის სტანდარტების დანერგვა საქართველოში დადებითი მოვლენაა და საჯარო სექტორში კარგ მმართველობას უწყობს ხელს, ამავდროულად ზრდის მმართველობითი პროცესების ეფექტურობას. შიდა აუდიტი სვთავაზობს გზებს მმართველობას, რისკების მართვისა და კონტროლის პროცესების გასაუმჯობესებლად.

მიუხედავად სახელმწიფოს მხრიდან ზემოთ გატარებული ღონისძიებებისა არსებობს რიგი ფაქტორები რომლის გათვალისწინებაც კიდევ უფრო ეფექტურს გახდის შიდა აუდიტს საჯარო სექტორში, უზრუნველყოფს კიდევ უფრო კარგ მმართველობას.

იმისათვის რომ შიდა აუდიტის საქმიანობა შეესაბამებოდეს საერთაშორის სტანდარტებს აუცილებელია შემდეგი ღონისძიებების გაატარება, კერძოდ შიდა აუდიტის სუბიექტებში აუცილებელია დაინერგოს აუდიტის კომიტეტის ინსტიტუტი, ასევე შიდა აუდიტი გახდეს უფრო დამოუკიდებელი ცალკეულ დაწესებულებებში, შიდა აუდიტის საქმიანობა მისი ანგარიშები გახდეს საჯარო, მოხდეს საჯარო სექტორის შიდა აუდიტორების სერტიფიცირება ასევე აუცილებელია შიდა აუდიტის სუბიექტებმა განახორციელონ მოქმედი კანონმდებლობით და საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული აუდიტის ყველა სახის შემოწმებები, განსაკუთრებით ეფექტიანობის აუდიტი და ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტი. ამასთან, აუცილებელია გაიზარდოს შიდა აუდიტის სუბიექტებში შრომითი რესურსები, ასევე შეიქმნას შიდა აუდიტის სუბიექტებისათვის ერთიანი ელექტრონული სისტემა, რომელიც სიტემატიზებულს გახდის და ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს.

ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ 26.03.10 №2839–Iს;
2. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 დეკემბრის N593 დადგენილება „შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“;
3. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 ივლისის N1016 დადგენილება „შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“;
4. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 ივლისის N1015 დადგენილება „შიდა აუდიტის სტანდარტების დამტკიცეის შესახებ“;
5. შიდა აუდიტის პროფესიული პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტები 19 ოქტომბერი, 2010 წელი, შიდა აუდიტორთა ინსტიტუტი (The IIA).

Introducing the Internal Audit Standards in Georgia

Zhvania Giorgi
PhD student of Geortian Technical University

Summary

The aim of the paper is, on the one hand, to obtain the information on the introduction of internal audit standards in Georgia and, on the other hand, how relevant is internal audit activities with local and international standards, both legally and in practice.

The subject of the paper is the combination of theoretical, practical and methodological problems in internal audit activities. The local and international experts, as well as local self-government audit units act as the objects of the paper.

The materials of the Institute of Internal Auditors (IIA), laws and regulations adopted by the legislative and executive bodies of Georgia, International Standards on Internal Auditing (ISIA), guidelines and standards of International Organization of Supreme audit Institutions (INTOSAI) for public sector, as well as the methodologies and reports of Center for Harmonization Unit of the Ministry of Finance of Georgia have been used during the survey.

Keywords: Internal Auditing, Standards, Local Self-governance.

PROS AND CONS OF PROGRESSIVE TAXATION

Ugulava Maya
Doctoral student at Georgian Technical University

Baghaturia Otar
Associate Professor at Georgian Technical University

Summary

This article discusses current issues with progressive income tax, both globally and locally. The problem facing the world economy is the flow of money from people with low financial capabilities to the owners of more and more financial resources. The article discusses the conditions under which the state tries to neutralize this inequality by introducing a progressive tax, analyzes the statistics of various economically developed countries, revealing the specifics of a progressive income tax, as well as its pros and cons. At the end, considerations are summarized to present the components of a progressive income tax that determine its complexity.

Keywords: Progressive Tax, Economic Policies, Gross Domestic Product, Gini coefficient, Inequality.

Introduction

A progressive tax by its nature is a tax where the tax is directly proportional to the income, the higher the income the higher the tax. By doing so, states are trying to solve the problem of inequality. This tax is intended to reduce the severity of taxes levied on people with low incomes and low solvency. Such a tax allows the burden of payment to be shifted to people with high solvency, as the tax burden on high incomes increases, it automatically decreases for low- and middle-income individuals, increasing their competitiveness. This model of the tax system is interesting to discuss because it can have both negative and positive effects which relate to economic growth and unemployment differently.

The positive side of progressive income tax

A progressive tax is a tax rate that increases in proportion to an increase in taxable value. It is usually redistributed in tax frameworks that move consistently at higher rates. As an example, the progressive tax rate can move from 0% to 50%, from the lowest rate to the highest, as the taxable amount increases. Along with the progressive rate, when imposing a tax, the law should specify the intervals in which income is considered to be high or low. Setting low and high-income thresholds depends on the economic development of the country. One of the most distinctive positive goals that a progressive tax serves is to eliminate inequality. The proper functioning of the tax system significantly determines the level of development of the country, and the progressive income tax guarantees the effective functioning of this, because and because it contributes to the balance of income inequality between social groups. When we talk about this issue, we should not forget to mention that most of the tax burden falls on ordinary citizens, because they are the most active income taxpayers. If we consider the example of the Republic of Georgia, we note that there is a single income rate for all, which implies taxation of 20% of income and does not take into account the amount of human income. [1] Against the background of the reality that one person whose monthly income is conditionally 3500 GEL and the income of another person does not exceed 200 GEL per month, the income is taxed at an equal percentage, it is not at all surprising the common protest of the society and the feeling of injustice. The optimal solution to this problem is precisely that of a progressive income tax, which allows for the introduction of a special scale where interest rates will be distributed according to income. The gap that exists between the rich and the poor is widening and widening, which ultimately, not surprisingly, is related to the rise of crime, the formation of aggressive, negative attitudes towards the rich, and so on. This aggressive attitude hurts the latter the most because, in conditions of poverty and poor social status, people turn to them in anger.

The mentioned principle is especially important for a state with low economic status. After all, the main part of the budget in the country will be created at the expense of high-income individuals, which will also solve the dissatisfaction of middle and lower-class people because they will no longer face the pressure of low

income. At first glance, we may see only the satisfaction of middle and lower-class people in this process, but the positive effect is much greater. In particular, many other different content links are linked to this event, which ultimately leads to economic prosperity. If we pay less tax on lower incomes and save more money, it will boost the economy as well, as this part of society spends money on local products and services. [3] And high-income people, on the other hand, spend most of their money on foreign products and services that do not boost the local economy but encourage imports. As we have already said, from an economic point of view, the middle and lower classes, in case of having more monetary resources, will probably cause increased consumer demand as well. Predictably, progressive income tax will also help and encourage the sector that needs support the most, which are local small businesses and startups. For a small company that has only been in the market for a while and has not yet made a significant profit, the biggest pressure is on the tax rate. Withstand the problem mentioned at the beginning, they can not make a profit for months and then in the background of such a situation they disappear from the market. This is the reason why you will not meet many successful local businesses in Georgia, but you will find it difficult to find them in general. Judging by such examples, we can be sure that against the background of a logical distribution, progressive income tax will have an incentive to heal the tax system of the economy, which can collectively encourage both the employer and the employee.

If we look at the world practice and judge the economic policies and development level of specific states, we will be convinced that a progressive tax system is essential for social justice and economic prosperity. If we look at recent history, we notice that after the Second World War, the rich capitalist countries implemented a progressive tax system. It is as a result of this policy that we have achieved the highest economic growth in the history of these countries, which experts attribute to the introduction of high-interest rates in 1950-1973. However, to prove this, they cite the annual income statistics of several countries per capita, which shows that before World War II, the GDP (Gross Domestic Product) of capitalist countries increased by 1-1.5% per year, and after the implementation of progressive taxation, the figures changed to 2-3% on average. [4]

The negative side of progressive income tax

Progressive taxes, of course, have their downsides as well. This system has a negative effect on the businesses of the states. At first glance, it seems that it is quite unfair to introduce progressive taxes because those who work, start a business, and have more income are more oppressed because they have to pay more taxes. Progressive tax implies some kind of discrimination against high-income people. The tax system should focus not on punishing the income recipient, but on encouraging him. Consequently, if inequality in one context is considered a positive external effect, an unequal tax system puts the other segment in another unequal environment. High income means that people, businesses work much more and that their income is more is not a crime. Taxes serve one good, its purpose is to create a state budget, which is then distributed on various social issues. Most of these issues serve the common good and well-being. This means that when people receive the same benefits, their contributions to the budget in the form of taxes are different. Consequently, it logically occurs to us that for the same result, we should not pay different taxes, even though the percentage difference does not apply to total income.

Before we start discussing the data, let us generally explain that the Gini coefficient measures income distribution across a population.[5] We selected 3-3 target countries with fixed and progressive tax systems and compared their Gini ratios with each other to show how effectively the goal that justifies the existence of progressive taxes is being achieved. The target countries where there is a progressive tax are: Germany (45%), Belgium (50%), and Finland (31%) and we have compared them with countries with a fixed tax system such as Georgia, Russia, and Estonia.[2] Based on this comparison, we can conclude that progressive taxation does not yield real results and it does not actually affect the equitable distribution of financial capital, hence the assumption that it has a negative impact and it puts pressure on people who work harder and earn more. The progressive tax system is mainly beneficial for the states because it has a positive effect on the budget increase, however, it is a risk factor that we give another mechanism to the misuse of this amount to the state.

There is also a danger that if such a tax is introduced, there will be a risk of corruption and people will start to hide the tax for example they will start selling an illegal service or product as well manufacturers or individuals will start looking for alternative ways to hide the tax. On the other hand, such a tax creates a less attractive economic environment in order to be attractive to investors. With reduced investment, manufacturers

have no motivation to expand their business, they are more demotivated because more profit equals more tax. Covering the income of productive companies is economically devastating. This not only limits productivity and wealth creation but also limits employment and taxes paid.

When defining the downside of a progressive tax, we should also talk about the fact that tax increases apply equally to both the employee and the employer, and the tax burden is evenly distributed. Increasing taxes will reduce the employer's motivation to hire more employees and at the same time, it will try to reduce the number of employees. As a result, we get increased unemployment and reduced total welfare. This type of tax not only reduces the motivation of the employer, but also the employee, because the higher the salary, the more tax the employer has to pay. Therefore, the employee no longer has such a high motivation to develop the quality, position, and remuneration of his activity.

Conditions in Georgia

It is interesting how relevant this tax model is to Georgia. Although a developing country like Georgia needs to strive for an equal distribution of income and bridge the gap between rich and poor, we think that Georgia does not yet have the political and economic stability and background that the system can justify.[6] In a country where corruption is not so insignificant and where the majority of the public doubts that the increased income from the rich is being used for targeted spending, it is unlikely that people will support it. Given that from a legislative point of view, the tax system will not change without a referendum. At the same time, there is a lack of competence to determine the correctness of the low and high pay frameworks, and how biased the demand for progressive taxes is. How much can the state deal with a rather anticipated problem called tax evasion? Finally, there should be a proper foundation to justify this tax system in Georgia.

Conclusion

The economy is reciprocally taxing progressively. On the one hand, if it is a motivational indicator for small businesses, on the other hand, big businesses are oppressed. Progressive taxation is seen as a prerequisite for economic growth, implying that it helps reduce the gap between rich and poor, while breaking the concentration of financial capital with the rich and trying to balance and equate taxpayers. However, it is debatable how different the interest rate is on equal terms it is also debatable. It depends on the individual approach, which is more important and under what conditions the fundamental feature of equality is more preserved, and whether such a discriminatory tax system really gives us a rate of well-being that is acceptable. First of all, it should be noted that there is no clear causal link between inequality and progressive taxes on the one hand, and poverty and progressive taxes on the other. However, it can be said that in countries where there is a progressive tax rate poverty and inequality is relatively low. There is also no direct correlation between economic growth and progressive taxes. Low and high economic growth may have been in countries where there is a progressive tax and in countries where there is a so-called. Fixed income taxes. Consequently, we come to the conclusion that equality/inequality is not only directly related to the tax system, it is a fact that it plays an important role, but in order to play a decisive role, other economic factors also need to contribute.`

BIBLIOGRAPHY

1. https://matsne.gov.ge/en/document/view/1043717?publication=175 (Article 81 – Tax rate)
2. https://worldpopulationreview.com/ Gini Coefficient by Country 2020.
3. Congressional Budget Office (CBO). 2018a. “Revenues—Option 20: Increase the Maximum Taxable Earnings for the Social Security Payroll Tax.” In Options for Reducing the Deficit: 2019 to 2028, December 2018.
4. https://www.imf.org/external/datamapper/index.php
5. https://www.investopedia.com/terms/g/gini-index.asp
6. http://www.economy.ge/uploads/files/2017/reitingebi/doing_business_2020_eng_.pdf (“Ease of Doing Business” 2020)

პროგრესული საშემოსავლო გადასახადის დადებითი და უარყოფითი მხარეები

უგულავა მაია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

ბაღათურია ოთარ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

აღნიშნული სტატია განიხილავს მიმდინარე გამოწვევებს, რომლებიც დაკავშირებულია პროგრესულ საშემოსავლო გადასახადთან, როგორც გლობალური, ისე ადგილობრივი ქვეყნების ჭრილში. აღწერილია, სიტუაციები როდესაც სახელმწიფო ცდილობს პროგრესული საშემოსავლო გადასახადით ნეიტრალიტეტის შენარჩუნებას. განხილულია სხვადასხვა ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების რაოდენობრივი სტატისტიკები, რომლებიც ხაზს უსვამს პროგრესული საშემოსავლო გადასახადის სპეციფიურობას, ისევე როგორც აღნიშნავს მის დადებით და უაროფით მხარეს. სტატიის ბოლოს ყველა მოსაზრება შეჯამებულია, რომლებიც წარმოაჩენს აღნიშნული საშემოსავლო გადასახადის კომპონენტებსა და კომპლექსურობას.

საკვანძო სიტყვები: პროგრესული გადასახადი, ეკონომიკური პოლიტიკა, მთლიანი შიდა პროდუქტი, ჯინის კოეფიციენტი, უთანასწორობა.

სამხრეთ კავკასიის რეგიონის აქტორების ეკონომიკური უსაფრთხოება პოსტსაბჭოთა პერიოდში

ფეიქრიშვილი დავით
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კავკასიის რეგიონის პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის უსაფრთხოების დღის წესრიგი უფრო ახლო გახდა მოსახლეობისთვის. შედეგად, ეკონომიკური კრიზისი, გარემოს დაბინძურება და კლიმატის ცვლილება, ტერორიზმი, ხალხის პოლიტიკური და სოციალური მოლოდინები და სხვა მსგავსი პრობლემები სახელმწიფოების მთავარ გამოწვევად იქცა. ასეთი პრობლემებისგან გამოწვეული საფრთხეები განსხვავდება ტრადიციულისგან და მათ შესაბამისად "არატრადიციულ საფრთხეებს" უწოდებენ.

როგორც ყოფილ საბჭოთა-კომუნისტურ ეკონომიკას, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს - აზერბაიჯანს, სომხეთსა და საქართველოს ბევრი მსგავსი და განსხვავებული ეკონომიკური მახასიათებლები აქვთ. ჯერ ერთი, საბაზისო საწარმოო ინფრასტრუქტურა როგორც მძიმე, ისე მსუბუქ მრეწველობაში უკვე მოძველებულია და საჭიროებს მოდერნიზებას, რაც დიდ ფინანსურ ინვესტიციებს მოითხოვს. მეორე მხრივ, კორუფცია და არაჯანსაღი კონკურენტული გარემო ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან დაბრკოლებებს წარმოადგენს.

ამრიგად, ამ სტატიაში შევეცდები ყურადღება გავამახვილო ეკონომიკური უსაფრთხოების გამოწვევებზე რეგიონული უსაფრთხოების კონტექსტში სამხრეთ კავკასიის შემთხვევაში.

საკვანძო სიტყვები: რეგიონული უსაფრთხოება, ეკონომიკური განვითარება, სამხრეთ კავკასია, საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი

შესავალი

საბჭოთა სამხრეთ კავკასიის ეკონომიკის თავისებურებების გამორკვევის შედეგად შევძლებთ გავიგოთ ის მსგავსება, რაც დარგების ნიშნებს ჰქონდათ. კერძოდ, საუბარია საბჭოთა პერიოდის ეკონომიკის ცალმხრივ სპეციალიზაციაზე სამხრეთ კავკასიის ამ ქვეყნებში. რადგან ამ სამრეწველო საწარმოებში წარმოებული საქონელი მიმართული იყო კავშირის შიდა ბაზრისთვის. მეორე მხრივ, აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებით სსრკ-ს არსებობის ბოლო პერიოდში სამრეწველო აღჭურვილობა უკვე მოძველებული იყო. ამრიგად, ამ საწარმოების ფუნქციონირება ეფუძნებოდა ძველი მოდელის წარმოებას.

ძირითადი ნაწილი

ეკონომიკური უსაფრთხოების ტენდენციები სამხრეთ კავკასიაში

საბჭოთა პერიოდში აზერბაიჯანის ეკონომიკა სპეციალიზირებული იყო ნავთობის წარმოებასა და გადამუშავებაში, ხოლო მეტალურგია და მინერალური სასუქების, საწვავის და საპოხი მასალების, ჰერბიციდების და სინთეზური რეზინის წარმოება ასევე მნიშვნელოვანი ინდუსტრია იყო. აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანის სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია მოიხმარებოდა არა მხოლოდ ქვეყანაში, არამედ სხვა საბჭოთა რესპუბლიკებშიც[1].

საინტერესოა, რომ საბჭოთა სომხეთის ეკონომიკას ახასიათებდა ქიმიური მრეწველობა, შავი ლითონების წარმოება, ჩარხები, ზუსტი ხელსაწყოები, ქსოვილები, ტანსაცმელი, ტყავის ფეხსაცმელი და ა.შ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ელექტროენერგეტიკული მრეწველობა და

[1] Eldar Ismailov and Vladimir Papava, The Central Caucasus: Essays on Geopolitical Economy, CA&CCPress, 2006. p.92,

ატომური ელექტროსადგური, რომელიც იყო და რჩება ერთადერთი მთელ სამხრეთ კავკასიაში[1].

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ ეკონომიკურ სისტემაშიც ჰქონდა ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ინდუსტრიული ბაზა, რაც განსაკუთრებით რთული იყო საქართველოს ეკონომიკისთვის. მაგალითად, უნდა აღინიშნოს მეტალურგია, ფეროშენადნობების წარმოება, ჩარხები და ქიმიური მრეწველობა. რაც შეეხება სოფლის მეურნეობის პროდუქციასა და საკვებს, განსაკუთრებით ღვინო, მინერალური წყალი, ჩაი და ციტრუსები, დიდი პოპულარობით სარგებლობდა, ძირითადად საქართველოს ფარგლებს გარეთ გადიოდა და მოთხოვნადი იყო ყოფილი სსრკ-ის თითქმის მთელ ტერიტორიაზე[2].

მაშასადამე, კომუნისტური რეჟიმებისა და თანმდევი ეკონომიკური სისტემის მოშლის შემდგომ, ყოფილი საბჭოთა ქვეყნები მსოფლიო ბაზრისთვის არასაკმარისი რაოდენობისა და ხარისხის საქონლით დარჩნენ. რამდენიმე გამონაკლისის გარდა, როგორიცაა ჰიდროენერგიის გამომუშავება, ნავთობისა და გაზის მოპოვება და ნედლეულის პირველადი გადამუშავება, მათ მიერ წარმოებული საქონელი არ აკმაყოფილებდა მაღალ საერთაშორისო სტანდარტებს მათი საერთო ცუდი ხარისხის და/ან მაღალი ფასების გამო. ფაქტობრივად, ამ კონკრეტული პროდუქტების ბაზარი არ არსებობდა[3].

მეორე მხრივ, სსრკ-ს დაშლისთანავე გაჩენილმა ტერიტორიულმა კონფლიქტებმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს. ლტოლვილთა დიდი რაოდენობით (აზერბაიჯანი) გამოწვეული ნგრევა, მსხვერპლი და სოციალური პრობლემები, ასევე სატრანსპორტო არტერიების ბლოკადა ძლიერად აისახა სამხრეთ კავკასიის ეკონომიკურ მდგომარეობასა და საწარმოო პოტენციალზე.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა უცხოელი ინვესტიციების მოზიდვა. ეს მოითხოვს მდგრად ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტაბილურობას.თუნდაც, კონფლიქტის ზონებში ცეცხლის შეწყვეტას. მეორე მხრივ, ერთიანი ბაზრის შექმნა მნიშვნელოვანია რეგიონის განვითარებისთვის, მაგრამ კონფლიქტური ზონები სერიოზულ დაბრკოლებებს უქმნის ამ ამოცანის განხორციელებას[4].

ხალხის ეკონომიკური უსაფრთხოების კიდევ ერთი გამოწვევა კორუფციაა. სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანა კვლავ კორუფციით იტანჯება. ის ასევე წარმოადგენს საბჭოთა პერიოდის ერთ-ერთი არასასურველ მემკვიდრეობას. მეორე მხრივ, აზერბაიჯანის ეკონომიკა დიდად არის დამოკიდებული ნავთობის შემოსავლებზე, რაც

დამახასიათებელია ნავთობზე დაფუძნებული ყველა ეკონომიკისთვის.

მსოფლიო ფაქტების წიგნის მიხედვით, 2022 წელს აზერბაიჯანში უმუშევრობის დონემ 6.27% შეადგინა. აზერბაიჯანის შრომისა და სოციალური დაცვის მინისტრმა, სალიმ მუსლიმოვმა თქვა, რომ პრეზიდენტ ილჰამ ალიევის თანმიმდევრული ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად ბოლო 19 წლის განმავლობაში უმუშევრობის დონე 9,25%-დან 6.27%-მდე შემცირდა[5].

აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანის ზრდის დიდი ნაწილი განპირობებული იყო ნავთობის

---

[1] The South Caucasus 2021: Oil, Democracy and Geopolitics/Fariz Ismailzade and Glen E. Howard, Editors, p.68 Copyright 2012 The Jamestown Foundation

[2] Non-Traditional Security Threats and Regional Cooperation in the Southern Caucasus Edited by Mustafa Aydin Department of International Relations, Kadir Has University, Istanbul, Turkey, 2011. Economic Transformation and the Impacts of the Global Financial Crisis in the Southern Caucasus Vladimer Papava, p20 available at: http://www.papava.info/publications/Papava_Economic_Transformation.pdf

[3] Economic Transformation and the Impacts of the Global Financial Crisis in the Southern Caucasus Vladimer Papava, p.18 available at: http://www.papava.info/publications/Papava_Economic_Transformation.pdf

[4] Eldar Ismailov and Vladimir Papava, The Central Caucasus: Essays on Geopolitical Economy, CA&CCPress, 2006,.97-98

[5] Aaron O'Neill , Azerbaijan: Unemployment rate. Jan 5, 2022 available at: https://www.statista.com/statistics/457518/unemployment-rate-in-azerbaijan/#:~:text=In%202020%2C%20the%20unemployment%20rate,amounted%20to%20approximately%206.27%20percent.

შემოსავლების გამოყენებით სახელმწიფო ინვესტიციების დასაფინანსებლად. აზერბაიჯანის ერთ-ერთი მთავარი მიზანია ნავთობის შემოსავლებზე ეკონომიკური განვითარების დამოკიდებულების შემცირება. ამდენად, ხელისუფლებამ უნდა განავითაროს ბანკის ფილიალების ფართო რეგიონალური ქსელი, გააძლიეროს მომხმარებელთა ფინანსური დაცვა და შექმნას პირობები, რომელიც საშუალებას მისცემს ფინანსურ ინსტიტუტებს შეამცირონ სოფლის მეურნეობის რეალური სესხების განაკვეთები. ამ ნაბიჯებმა უნდა გაზარდოს სოფლის შემოსავლები და საბოლოო ჯამში, შემოსავალი სოფლიდან, რითაც შეამცირებს ბიუჯეტის ამჟამინდელ დამოკიდებულებას ნავთობის შემოსავლებზე[1].

თავის მხრივ, საქართველო ისტორიულად განიცდიდა კორუფციის გამო საგადასახადო შემოსავლების ქრონიკულ წარუმატებლობას; თუმცა, 2004 წელს გაუმჯობესდა საგადასახადო ადმინისტრირება, გაზარდა საგადასახადო აღსრულება და წვრილმანი კორუფციის დარბევა, რამაც გამოიწვია საბიუჯეტო შემოსავლების ზრდა[2]. საქართველოს მოქალაქეებისთვის კიდევ ერთი გამოწვევას უმუშევრობა წარმოადგენს. 2021 წლის მონაცემებით მოსახლეობის 20.6% უმუშევარია[3].

სომხეთის ეკონომიკური უსაფრთხოებისთვის მთავარი საფრთხეა კორუფცია,

უმუშევრობა, აზერბაიჯანისა და თურქეთის მიერ კომუნიკაციებზე წვდომის ბლოკადა, რუსეთზე დამოკიდებულება და დიასპორის დახმარება[4].

სომხეთში უმუშევრობა ყველაზე აქტუალური პრობლემაა, რომელიც რაც შეიძლება მალე უნდა მოგვარდეს. 1991-2009 წლებში მნიშვნელოვნად შეიცვალა ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით დასაქმების სტრუქტურაც, ისე, რომ იგი გახდა ნაკლებად დივერსიფიცირებული და უფრო დაუცველი შიდა და გარე შოკების მიმართ. სოფლის მეურნეობა წარმოადგენდა ძირითად ფაქტორს გარდამავალი პერიოდის შოკების შესარბილებლად, ისევე როგორც არასასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შექმნის პოლიტიკის არარსებობისთვის. ამ გადასვლის შემდეგ ყველაზე დიდი ცვლილება იყო, თუმცა არანებაყოფლობითი, სტაბილური ხელფასიდან და ანაზღაურებადი სამუშაოდან შემთხვევით და ნაკლებად ფორმალურ სამუშაოებზე და თვითდასაქმებაზე გადასვლა. უფრო მეტიც, ამ მდგომარეობის მთავარი მიზეზი არის ალტერნატიული დასაქმების ნაკლებობა, განსაკუთრებით სოფლად. სომხური შრომის ბაზრის კიდევ ერთი პრობლემაა არაფორმალურობა; არაფორმალურ სექტორში დასაქმება ძირითადად შემთხვევითია და დაფუძნებულია პირად და სოციალურ ურთიერთობებზე და არა სახელშეკრულებო ურთიერთობებზე. არაფორმალური დასაქმება, როგორც წესი, არის დაბალანაზღაურებადი, არასტაბილური და ასევე ქმნის გამოწვევებს მომავლისთვის. ამ სექტორში დასაქმებული ადამიანები არ იღებენ სოციალური დაცვის უფლებას. უმუშევრობის ან ავადმყოფობის შემთხვევაში ნებისმიერი დაზღვეული საპენსიო უფლება დამოკიდებული იქნება მხოლოდ სოციალურ პენსიაზე, რაც დამატებით ტვირთად დააწვება ბიუჯეტს[5]. მეორე მხრივ, ნელი ბაბაიანის თქმით, სომხეთში სიღარიბისა და უმუშევრობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზიც მონოპოლიაა.

---

[1] Asian Development Bank Asian Development Outlook 2014 Fiscal Policy for Inclusive Growth: Azerbaijan, p.103

[2] Georgia Economic Report No.5,Spring 2014, The world Bank Washington DC. Also available at: http://www-wds.worldbank.org

[3] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები. available at: https://www.geostat.ge/en/modules/categories/683/Employment-Unemployment

[4] Angela Hassassian, AUA PSIA Class of 2013Corruption in Armenia: An unresolved Problem Posted by auatcpa on January 24, 2013. Available at: http://tcpablog.wordpress.com/2013/01/24/corruption-in-armenia

[5] Armenia: Social Protection and Social Inclusion Country Report European Commission Directorate-General for Employment, Social Affairs and Inclusion Manuscript completed in 2011. Also available at: http://ec.europa.eu/social/BlobServlet?docId=6881&langId=en

მეორე მხრივ, რუსეთის ფედერაციას აქვს ძლიერი სამხედრო და ეკონომიკური პოზიცია სომხეთში. რუსეთი სომხეთის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია და სომხეთის ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციების 40%-ზე მეტი რუსეთის საკუთრებაა. ეს ვითარება აჩვენებს, რომ სომხეთის ეკონომიკის თითქმის ნახევარი რუსეთზეა დამოკიდებული. ასე რომ, გასაგებია, რომ რუსეთს აქვს ყველა შესაძლებლობა, მართოს შიდა ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება და ყურადღება გაამახვილოს ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე.

დასკვნა

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ სსრკ-ს დაშლის შემდეგ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებმა აღადგინეს დამოუკიდებლობა და განსაკუთრებით დამოუკიდებლობის ადრეულ პერიოდში, 1991 წლიდან 1994 წლამდე, რეგიონში ძალიან რთული სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური და ჰუმანიტარული კრიზისი იყო. მსგავსი პრობლემების პრევენცია ან აღმოფხვრა მოითხოვს საერთაშორისო ყურადღებას და რეგიონის ფარგლებში თანამშრომლობას.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ძველი საბჭოთა-კომუნისტური ეკონომიკური სისტემის ნგრევა, მოძველებული სამრეწველო ქარხნები და ტერიტორიული კონფლიქტების შედეგები (ინფრასტრუქტურის განადგურება, ლტოლვილები და იძულებით გადაადგილებული პირები) გახდა რეგიონის ეკონომიკური უსაფრთხოების მთავარი საფრთხე.

ლიტერატურა

1. ARMENIA: SOCIAL PROTECTION AND SOCIAL INCLUSION COUNTRY REPORT European Commission Directorate-General for Employment, Social Affairs and Inclusion Manuscript completed in 2011
2. Econonomic trends and porspectsin developing Asia: Azerbaijan.
3. Ismailov E., and Papava V., The Central Caucasus: Essays on Geopolitical Economy, CA&CCPress, 2006. Available from The Center for Strategic Studies under the President of the Republic of Azerbaijan
4. Ismailzade F. and Howard G. E., The South Caucasus 2021: Oil, Democracy and Geopolitics/, Editors/ Copyright 2012 The Jamestown Foundation
5. Angela Hassassian, AUA PSIA Class of 2013 CORRUPTION IN ARMENIA: AN UNRESOLVED PROBLEM Posted by auatcpa on January 24, 2013, available at: http://tcpablog.wordpress.com/2013/01/24/corruption-in-armenia
6. Georgia Economic Report No.5, Spring 2014, The world Bank Washington DC. available at: http://www-wds.worldbank.org
7. Non-Traditional Security Threats and Regional Cooperation in the Southern Caucasus Edited by Mustafa Aydin Department of International Relations, Kadir Has University, Istanbul, Turkey-Economic Transformation and the Impacts of the Global Financial Crisis in the Southern Caucasus Vladimer Papava p.20 available at:
8. http://www.papava.info/publications/Papava_Economic_Transformation.pdf
9. Aaron O'Neill , Azerbaijan: Unemployment rate. Jan 5, 2022 available at:
10. https://www.statista.com/statistics/457518/unemployment-rate-in-azerbaijan/#:~:text=In%202020%2C%20the%20unemployment%20rate,amounted%20to%20approximately%206.27%20percent.

Economic security of actors in the South Caucasus region in the post-Soviet period

Peikrishvili David
PhD student at Caucasus International University

Summary

After the collapse of the Soviet Union, the security agenda for the post-Soviet countries of the Caucasus region became more internal to the population. As a result, economic crisis, the political and social expectations of the people, and other similar problems have become major challenges for states. The threats posed by such problems are different from traditional threats and are called non-traditional security threats.

Like the former Soviet-communist economy, the countries of the South Caucasus have many similar and different economic characteristics. First, the basic production infrastructure in both heavy and light industries is already obsolete and needs to be modernized, which requires large financial investments. On the other hand, corruption and an unhealthy competitive environment are significant obstacles to economic development.

Thus, in this article, I will try to focus on the economic security challenges in the context of regional security in the case of the South Caucasus.

Keywords: Regional Security, Economic Development, South Caucasus, Georgia, Armenia, Azerbaijan

საქართველოში მონოლითური რკინაბეტონის მშენებლობის განვითარების ტენდენციები

ქვარაია ირაკლი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

გლობალიზაციის პირობებში, ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს სამშენებლო სფერო და მისი პოტენციური შესაძლებლობები წარმოადგენს. ამის მაგალითია საქართველო, სადაც გასული საუკუნის 90-იან წლებში, მისი დამოუკიდებლობის მოპოვებას ყველაზე მეტი პრობლემები მშენებლობაში მოყვა. ცენტრალიზებულ დაგეგმა-დაფინანსებაზე დამოკიდებული რესპუბლიკა, საბაზრო ეკონომ-იკისადმი სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა. საჭირო ნედლეულისა და მასალების შემოტანის უეცარ შეწყვეტას, მრეწველობის, მათ შორის სამშენებლო მასალების საწარმოების გაჩერება მოყვა, რამაც შესაბამისად სამშენებლო კომპლექსის სრული პარალიზება გამოიწვია. არსებულმა მდგომარეობამ, მხოლოდ ათწლიანი პაუზის შემდეგ დაიწყო გამოსწორება. მიუხედავად იმისა, რომ სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოები აღარ არსებობდნენ, კერძო ბიზნესის წარმომადგენლებმა ადგილობრივი სამშენებლო მასალების (ქვიშა, ღორღი, აგური, საკედლე მასალები და სხვა) მცირე საწარმოების გახსნა და უმნიშვნელო ობიექტების მშენებლობა წამოიწყეს. უცხოური კაპიტალის შემოდინებას კი ქვეყანაში მონოლითური რკინაბეტონის მშენებლობის განვითარება მოყვა, რომელიც ადრე თითქმის არ არსებობდა.

საკვანძო სიტყვები: მშენებლობა, ტექნოლოგია, რკინაბეტონი, ცემენტი, არმატურა, ქარხანა, ობიექტი, ყალიბები, ტექნიკა, წარმოება.

შესავალი

მონოლითური რკინაბეტონის მშენებლობისათვის, ადგილობრივი ინერტული მასალების დიდი რაოდენობით არსებობის პირობებში, გადაუდებელ ამოცანას წარმოად-გენდა ცემენტის წარმოების აღდგენა, რაც ადგილობრივი ძალებით შეუძლებელი იყო. პირველი და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი ამ მხრივ გადადგა მსოფლიოში ცნობილმა გერმანულმა კომპანიამ „ჰაიდელბერგცემენტმა“, რომელიც 2006 წელს შეუდგა, ქვეყანაში ორად-ორი, თითქმის უმოქმედოდ დარჩენილი, რუსთავისა და კასპის ცემენტის ქარხნების რეკონსტრუქცია-გადაიარაღებას და სრულფასოვნად დაიწყო საქართველოში ოპერირება. ბინათმშენებლობის გარდა, იმ პერიოდში ქვეყანაში, პირველად დაიწყო მასობრივად ბეტონის საფარის გამოყენება საგზაო მშენებლობაში. აქედან გამომდინარე, არსებული ორი ქარხანა ვერ დააკმაყოფილებდა ცემენტის წარმოებაზე მნიშვნელოვნად გაზრდილ მოთხოვნილებას და „ჰაიდელბერგცემენტის“ შემდეგ, ბაზარზე ერთმანეთის თანმიყოლებით დაიწყეს შემოსვლა და საკუთარი ცემენტის ქარხნების მშენებლობა, შესაბამისი პროფილის მქონე ცნობილმა კომპანიებმა. თურქულ „ბეაზლი გრუპს“, საქართველოში ამჟამად უკვე 6 ქარხანა აქვს (თბილისში-3, ქუთაისში-2 და ზუგდიდში-1); „მიქსორი“, ყოველწლიურად აფართოებს, ავჭალაში გახსნილ ცემენტის ქარხანას. ფრანგული გიგანტის, „ლაფარჟის“ წარმომადგენლობამ საქართველოში, 2017 წელს დიდი ქარხანა ააშენა ქ.ფოთში. მიუხედავად ცემენტის წარმოების ასეთი მასშტაბებით ზრდისა, უახლოეს მომავალში კიდევ იგეგმება სხვადასხვა უცხოური კომპანიების მიერ ახალი ქარხნების გახსნა. პროდუქციის, რაოდენობის გაზრდის, გარდა ამ მეტად კონკურენტუნარიან პირობებში, უდიდესი ყურადღება ექცევა წარმოებული ცემენტის ხარისხს, რომელზეც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მისი რეალიზაცია. მრავალი მცდელობის მიუხედავად, გამოყენება ვერ ნახა ქვეყანაში, იმპორტული ან

სხვადასხვა ადგილობრივი მწარმოებლების მიერ შემოთა-ვაზებულმა დაბალფასიანმა ცემენტმა, რომლის ხარისხი ელემენტარულ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. მსგავსი გაუგებროებების ასაცილებლად, 2017 წელს ჩამოყალიბდა საქართველოს ცემენტის მწარმოებელთა ასოციაცია, რომლის ერთ-ერთ მთავარ მიზანს ცემენტის ხარისხის კონტროლი წარმოადგენს.

ძირითადი ნაწილი

ხარისხიანი და საჭირო რაოდენობის ცემენტის წარმოებასთან ერთად, მონოლითური რკინაბეტონის მშენებლობისათვის ქვეყანაში აუცილებელი იყო, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბეტონის ქარხნების, ბეტონის გადამზიდი და მიმწოდებელი ტექნიკის არსებობა. აქაც ერთ-ერთი პირველი „ჰაიდელბერგიბეტონჯორჯია“ აღმოჩნდა. მან 2008-2010 წლებში თბილისში (ფონიჭალაში და გლდანში) ააშენა სტაციონარული ქარხნები, ხოლო მოგვიანებით ახალი წარმოება გახსნა ბათუმში. ამჟამად, აღნიშნული ქარხნების გარდა კომპანიას გააჩნია 11 მობილური ქარხანა, რომლებიც ქვეყნის სვადასხვა კუთხეშია განთავსებული. ანალოგიურ გზას დაადგნენ საქართველოში, ცემენტის მწარმოებელი სხვა კომპანიებიც, რომლებიც ინტენსიურად აფართოებენ ბეტონის წარმოებას. ამასთან თითოეული მათგანი ცდილობს ბეტონმზიდების ანუ ე.წ. „მიქსერების“ პარკის განახლებას, რომელთა მომსახურების ხარისხზე და სიჩქარეზე, ბევრად არის დამოკიდებული ბეტონის მწარმოებელთა პრესტიჟი. გარდა ამისა, ურთიერთკონკურენციის პირობებში ბეტონის მწარმოებელი კომპანიებისათვის დიდ მნიშვნელობა აქვს საკუთარი ბეტონმიმწოდებელი და ბეტონგამანაწილებელი ტექნიკის არსებობას. მათი სიმცირე თავიდან დიდ სირთულეებს ქმნიდა დაბეტონების სამუშაოების შესრულების დროს, რადგანაც მხოლოდ ამწეების და ბადიების გამოყენების საშუალებით იყო შესაძლებელი ბეტონის მიწოდება. ამჟამად, ამ ტიპის თანამედროვე ტექნიკური საშუალებების ნაკლებობა საქართველოში არ იგრძნობა და ყველასათვის ხელმისაწვდომია ნებიმიერი სახის ავტობეტონტუმბო. უფრო მეტიც, ზოგიერთი ობიექტის მშენებლობა ამჟამად მხოლოდ მათი საშუალებით ხორციელდება და კოშკურა ამწეების გამოყენება საერთოდ აღარ არის აუცილებელი დაბეტონების სამუშაოების შესრულებისას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კოშკურა ამწეების ნაცვლად, სხვა სამშენებლო პროცესების შესასრულებლად ობიექტებზე ხშირად გამოიყენება მარტივი ამწე-მექნიზმები. ძალიან მაღალი ან ძნელად მისადგომი შენობა-ნაგებეობების მშენებლობის დროს, ბეტონის მიწოდებისათვის სარგებლობენ უცხოური წარმოების სტაციონარული ბეტონტუმბოებით, რომელთა მილგაყვანილობის მოწყობა და ექსპლუატაციის პირობები, ყველა ახალი მოდელის გამოშვებასთან ერთად სულ უფრო იხვეწება. რამდენიმე წელია, დიდი ობიექტების მშენებლობის დროს, საქართველოში გამოჩნდა, ბეტონგამანაწილებელი სტაციონარული დანადგარები, რომლებიც ავტობეტონტუმბოზე დამონტაჟებული ბეტონმიმწოდებელი მექანიზმის ანალოგიური კონსტრუქციისა, მაგრამ ამ შემთხვევაში, მხოლოდ ბეტონის გადამტანის ფუნქციას ასრულებს და ძალიან ამარტივებს დაბეტონების პროცესს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბეტონის მწარმოებელი ყველა დიდი თუ მცირე საწარმო ცდილობს ბეტონის საკედლე ბლოკების გამოშვებას. კონკურენციის პირობებში, აქაც მნიშვნელოვანია მათი მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, რასაც, ძირითადად ახალი ტექნოლოგიური ხაზების მქონე მსხვილი საწარმოები აღწევენ და მათ პროდუქციაზე ყოველთვის არის მოთხოვნილება. უნდა აღინიშნოს, რომ ცემენტისა და ბეტონის წარმოებასთან დაკავშირებული ცნობილი კომპანიების ფუნქციონირება საქართველოში უზრუნველყოფს, მსოფლიო ბაზარზე მომხდარი ყველა ტექნოლოგიური სიახლების ადგილზე სწრაფად დანერგვას და ათვისებას. ეს დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის სამშენებლო სფეროს, კერძოდ მონოლითური რკინაბეტონის მშენებლობის განვითარებაზე.

მონოლითური რკინაბეტონის მშენებლობის მასშტაბების ზრდასთან ერთად, უკანასკნელ

წლებში სათანადო ყურადღება ეთმობა საქართველოში, სამშენებლო არმატურის წარმოებას. ადრე ფოლადის არმატურა მხოლოდ საზღვარგარეთიდან შემოდიოდა, მაგრამ 2010 წელს ქვეყანაში განხორციელდა ერთ-ერთი უმსხვილესი პირდაპირი უმცხოური სამშენებლო ინვესტიცია და ცნობილმა ინდურმა კომპანიამ „ჯეოსთილის“ სახელით ქ.რუსთავში დაიწყო ადგილობრივი არმატურის წარმოება. ის ფლობს თანამედროვე ტექნოლოგიებს როგორც მანქანა-დანადგარების ასევე პროგრამული უზრუნველყოფის სახით. თანამედროვე გამოსაცდელი ხელსაწყოებით, პრესებით და ყველა საჭირო დანადგარებით აღჭურვილ ლაბორატორიაში სისტემატიურად ხდება არმატურის ხარისხის შემოწმება. შედეგად, გამოშვებული პროდუქცია დიდი კონკურენციას უწევს სხვა ქვეყნებიდან შემოტანილ არმატურას. მას წარმატებით იყენებს საქართველოს ყველა დიდი სამშენებლო კომპანია. აღნიშნული არმატურით აგებულია მრავალი მნიშვნელოვანი ობიექტი, მაგრამ გამოშვებული არმატურა მხოლოდ ნაწილობრივად აკმაყოფილებს საქართველოს სამშენებლო ბაზრის მოთხოვნებს. მისასალმებელია, რომ „ჯეოსთილი“ სისტემატიურად ზრუნავს უახლესი ტექნოლოგიების დანერგვაზე და წარმოების გაფართოებაზე, რაც ყველაზე მიზანშეწონილი ისევ რუსთავში აღმოჩნდა. მშენებლობისათვის საჭირო არმატურის დიდი ნაწილის იმპორტი კვლავ საზღვარგარეთის ქვეყნებიდან (უკრაინა, თურქეთი, ჩინეთი, ირანი, აზერბაიჯანი და სხვა) ხორციელდება. უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე წლის წინ, არმატურის წარმოებას რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანაც შეუდგა რომელიც მანამდე არასდროს არ უშვებდა მსგავსი სახის პროდუქციას. მისი ხარისხი აშკარად ჩამოუვარდება „ჯეოსთილის“ არმატურის ხარისხს და მასზე მოთხოვნილება ნაკლებია. ქარხანაში ხორციელდება მთელი რიგი ღონისძიებები არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად და მისი ნაწარმის ამ მეტად მოთხოვნად ბაზარზე დამკვიდრებისათვის. გარდა ამისა ახლო მომავალში, დასავლეთ საქართველოში, კერძოდ ქუთაისში და ზესტაფონში, გათვალისწინებული მეტალურგიული წარმოების ტრადიციების მქონე საწარმოების ბაზაზე, არმატურის გამოშვების ათვისება სხვა უცხოელი ინვესტორების მიერ.

ქვეყანაში, მონოლითური რკინაბეტონის მშენებლობისათვის საჭირო ინერტული მასალების, ცემენტის, ბეტონისა და არმატურის წარმოებაში მომხდარი მნიშვნელოვანი წინსვლის პირობებში, ძალიან არასახარბიელო მდგომარეობაა შექმნილი დაბეტონებისათვის საჭირო, ქარხნულად დამზადებული მრავალჯერადი გამოყენების ყალიბებთან დაკავშირებით. სამშენებლო კომპანიები ძალიან დიდ თანხებს იხდიან, ადგილობრივ ბაზარზე არსებული მხოლოდ უცხოური წარმოების საყალიბე სისტემების და მისი ცალკეული ელემენტების შეძენაში. მსხვილი კომპანიები, რომელთაც კარგი ფინანსური შესაძლებლობები გააჩნიათ, ხშირად უშუალოდ მომწოდებლებს უფორმებენ დაკვეთებს ინდივიდუალური საყალიბე სისტემების მოწოდებაზე. ამის ერთ-ერთი მაგალითია კომპანია „დომუსის“ მიერ „თი-ბი-სი ბანკის“ ახალი ბიზნეს ცენტრის მშენებლობა ლისის ტბასთან. უნიკალური არქიტექტურით გამორჩეული ნაგებობის რკინაბეტონის კარკასის აგებისას იდეალური ბეტონის ზედაპირების მიღება იყო აუცილებელი. ამიტომ, მშენებლობის დაწყებამდე, მოლაპარაკება გაიმართა და საკმაოდ ძვირადღირებული ხელშეკრულება გაფორმდა, საჭირო საყალიბე სისტემების მოწოდებაზე, მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე განთქმულ ავსტრიულ კომპანია „დოკას“-თან. შედეგად სამუშაოების ძალიან მაღალხარისხოვნად შესრულება მოხერხდა. ყალიბების ასეთი წესით შეძენის შესაძლებლობა ბევრ სამშენებლო კომპანიას არ გააჩნია და ხშირად ადგილი აქვს მათ ხელთ არსებული ყალიბების იმაზე მეტჯერ და არატექნოლოგიურად გამოყენებას, რაც მათი ექსპლუატაციის პირობებით არის გათვალისწინებული. გარდა ამისა თანხების ეკომომიის მიზნით, არც თუ იშვიათად სარგებლობენ უშუალოდ სამშენებლო მოედანზე არსებული მეორეხარისხოვანი მასალისაგან კუსტარულად დამზადებული ყალიბებით, რაც საგრძნობლად

ამცირებს შესრულებული მონოლითური რკინაბეტონის სამუშაოების ხარისხს. მსგავსი უარყოფითი შედეგების თავიდან ასაცილებლად, მშენებლობისათვის ამ მეტად საჭირო პროდუქციის გამოშვება ალბათ საქართველოს პირობებშიც არის შესაძლებელი. ამასთან, თუ მაღალხარისხოვანი საყალიბე სისტემების წარმოება დიდ სიზუსტეებთან და ძვირადღირებულ ტექნოლოგიებთან არის დაკავშირებული, გადაუჭრელი სირთულე არ უნდა იყოს შეწებებული საყალიბე ფარების და კოჭების გამოშვება, მით უმეტეს რომ საქართველოში ხის დამუშავების კარგი ტრადიციები არსებობს და მრავალი ახალი საწარმო იხსნება. სამწუხაროა, რომ ყალიბებისთვის დეტალების დამზადებით ჯერ არავინ დაინტერესებულა და უცხოელი მწარმოებლები, საქართველოში თავისი წარმომადგენლების საშუალებით სულ უფრო აფართოებენ მათ რეალიზაციას.

დასკვნა

საქართველოში, სამშენებლო სფეროში მრავალი წლების განმავლობაში არსებული

1. ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებით მშენებლობის ტექნოლოგია, მიმდინარე საუკუნის დასწყისიდან მთლიანად შეიცვალა მონოლითური რკინაბეტონის ტექნოლოგიით. არსებულ ცვლილებებს მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების გამოყენებით ცემენტის წარმოების გაფართოებამ, რომელიც თითქმის სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ პროდუქციაზე ქვეყნის სამშენებლო სფეროში არსებულ მოთხოვნილებას;

2. სამშენებლო სფეროს, უცხოური კომპანიების ან მათი წარმომადგენლობების არსებობა, ხელს უწყობს ტექნოლოგიური სიახლეების, ახალი მანქანა-დანადგარების სწრაფად დანერგვას და ათვისებას, რაც დიდ როლს თამაშობს საქართველოს მშენებლობის საერთო დონის ამაღლებაში. ამაზე კარგად მეტყველებს საქართველოში სულ უფრო მზარდი უახლესი ტექნოლოგიური ხაზებით აღჭურვილი საწარმოები და უშუალოდ სამშენებლო ობიექტებზე გამოყენებული თანამედროვე ტექნიკური საშუალებები და საყალიბე სისტემები;

3. საქართველოში აშკარად გამოკვეთილია სამშენებლო სფეროს, განსაკუთრებით

მონოლითური რკინაბეტონის მშენებლობის ტექნოლოგიის განვითარების დადებითი ტენდენციები, მაგრამ ამასთან არასახარბიელოდ უნდა ჩაითვალოს დაბეტონებისათვის საჭირო საყალიბე სისტემების ან მათი ცალკეული ელემენტების გამოშვებისადმი არსებული დამოკიდებულება. ადგილობრივ ბაზარზე მხოლოდ უცხოური წარმოების ყალიბების რეალიზების პირობებში, არ ტარდება ზომები მათი საქართველოში წარმოებისათვის.

ლიტერატურა

1. ი.ქვარაია, ინოვაციური ტექნოლოგიები მშენებლობაში. ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი, 2020;
2. ი.ქვარაია. სამშენებლო წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიები. ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი, 2018;
3. ი.ქვარაია. რკინაბეტონის გუმბათ-თაღოვანი გადახურვების მოსაწყობი საყალიბეო სისტემების აგების მეთოდები და მათი გამოყენების მაგალითები. ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი, 2017.

Trends in the development of monolithic reinforced concrete construction in Georgia

Kvaraia Irakli
Professor of Georgian Technical University

Summary

In the context of globalization, one of the most important factors in the development of the country's economy is the construction sector and its potential. An example of this is Georgia, where, after gaining independence in the 1990s, there were the most problems in construction. The republic, dependent on central planning and financing, was completely unprepared for a market economy. The abrupt cessation of the import of the necessary raw materials and materials was followed by a halt in industry, including building materials enterprises, which led to a complete paralysis of the construction complex. the situation began to improve only after a ten-year pause. In conditions when the enterprises of the construction industry no longer existed, representatives of private business opened small enterprises of local building materials and the construction of minor objects began. The influx of foreign capital was followed by the development of monolithic reinforced concrete construction in the country, which practically did not exist before.

Keywords: construction, technology, reinforced concrete, cement, reinforcement, factory, facility, molds, equipment, manufacturing.

ძველი შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციის მნიშვნელობა თბილისის ტურისტული პოტენციალის ამაღლებაში

ქვარაია ირაკლი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ქუთათელაძე ქეთევან
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

მალანია ელისაბედ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოც.პროფესორი

აბსტრაქტი

ტურისტებს განსაკუთრებით ქალაქების ტრადიციული განაშენიანების ნახვის სურვილი იზიდავს. ამიტომ, ქალაქების ტურისტული პოტენციალის ამაღლებაში ძალიან დიდია კულტურული და ისტორიული ძეგლების შენარჩუნების და მოვლა-პატრონობის როლი. ნებისმიერი ნაგებობა, დროთა განმავლობაში აუცილებლად სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარებას მოითხოვს. ხშირად საჭირო ხდება სიძველის ან სხვა მიზეზით (ხანძარი, მიწისძვრა და სხვ.) წყობიდან გამოსული უნიკალური ძეგლის თითქმის მთლიანად აღდენა. მსოფლიოს მრავალი ქალაქი თავის მიმზიდველობას ამ გზით ინარჩუნებს. მათ რიცხვს მიეკუთვნება 1500 წელზე მეტი ხნის, საქართველოს დედაქალაქი თბილისი, თავისი მდიდარი წარსულით. მის დარსებამდე ბევრად ადრე, რომაულ რუქებზე, მის ადგილას ბუნებრივი თბილი წყლების აღნიშვნები იყო დატანილი. ახლო წარსულში, არქეოლოგიური გათხრების შედეგად, აღმოჩენილი იქნა I-II საუკუნის აბანოთა ნანგრევები, მოზაიკური იატაკებით და კერამიკული მილებით. დამპყრობთა მრავალი შემოსევების მიუხედავად თბილისმა შეინარჩუნა თვითმყოფადობა და ის სამრთლიანად ითვლება ერთ-ერთ მთავარ ტურისტულ ცენტრად ევროპული და აზიური ცივილიზაციების საზღვარზე,

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი, შენობა, ნაგებობა, აღდგენა, რეკონსტრუქცია, მშენებლობა, ძეგლები, ნარიყალა, მეტეხი, ფასადი.

შესავალი

პირველი, ყველაზე ადრეული და ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლი თბილისისათვის ნარიყალას ციხეა, რომელიც ქალაქის დაარსებასთან ერთად აიგო. ის ისტორიულ ძეგლთა შორის, მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს ციხე-სიმაგრედ არის მიჩნეული. მან მტრების ურიცხვ დამანგრეველ შემოსევებს გაუძლო და მრავალჯერ იყო დაზიანებული. ადრეულ საუკუნეებში, მისი აღდგენა-გამაგრებება სისტემატიურ ხასიათს ატარებდა. XII საუკუნეში, მეფე დავით აღმაშენებელმა მოახდინა მისი მნიშვნელოვანი გაფართოება-გაძლიერება, რომელსაც მოგვიანებით შემოსულმა მონღოლებმა „ნარინ ქალა“ (მცირე ციხე-სიმაგრე) უწოდეს. XVI და XVIII საუკუნეებშიც განხორციელდა ციხე-სიმაგრის რეკონსტრუქცია, მთელი რიგი ახალი გამაგრებების მოწყობით, რომელთა ნაწილმა, დღემდე მოაღწია. მთლიანობაში, ნარიყალა რთული სისტემის, ძნელად მისადგომ და ასაღებ, თავდაცვით ნაგებობას წარმოადგენდა მტკიცე კედლებით, კოშკებითა და ბასტიონებით. მიუხედავად ამისა, 1827 წელს მომხდარი მიწისძვრის დროს ის თითქმის მთლიანად დაინგრა და 150 წელზე მეტი ხნის განმავლობაში მის აღდგენაზე არავის უზრუნია. მე-20 საუკუნის შუა წლებში არქეოლოგებმა, ნარიყალას შესახებ მრავალი მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოიპოვეს, მაგრამ ზუსტად ვერ იქნა დადგენილი ციხე-სიმაგრის

კედლების სიმაღლე და მათი ზომები. ამის გამო, მეცნიერთა და საზოგადოების ნაწილი წინააღმდეგი იყო აღდგენითი სამუშაოების დაწყებაზე და საჭიროდ თვლიდა, ხელუხლებლად შეენარჩუნებინათ არსებული ნანგრევები. საბედნიეროდ, საღმა აზრმა გაიმარჯვა და გასული საუკუნის მიწურულისათვის, დასრულებული იქნა, როგორც ციხე-სიმაგრის, ასევე, იქ 1847 წელს მეხის დაცემისაგან განადგურებული წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრის აღდგენა-რეკონსტრუქცია. კარგად დაგეგმილი და განხორციელებული სამუშაოების შესრულების შედეგად ნარიყალამ ახალი სიცოცხლე შეიძინა. მისი კედლები, სიძველისა და სიახლის, ბუნებრივ კლდოვან რელიეფთან განუმეორებელ შეხამებას ქმნიან, რომელიც დედაქალაქის შუაგულში, ყველა სტუმრისა და ტურისტის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. თანდათან გაკეთდა მასთან მისასვლელი გზები, ტურისტული ბილიკები. საგრძნობლად გაიოლდა იქ ასვლა ახალი საბაგირო გზის მოწყობის შემდეგ. გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ იგი გახდა ტურისტული თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე ღირშსანიშნავი და მიმზიდველი ობიექტი არა მარტო თბილისში, არამედ მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ძირითადი ნაწილი

არანაკლებ საინტერესოა ნარიყალას მოპირდაპირე მხარეს, მტკვრის კლდოვან შემაღლებაზე მდებარე მეტეხის უბნის რეკონსტრუქციის ისტორია. ის თავისი მდებარეობის გამო, თბილისში ყველაზე ადრეულ დასახლებას წარმოადგენდა, სადაც .მეფე ვახტანგ გორგასალმა ეკლესია და ციხე ააგო, რომელიც მისი რეზიდენციის ფუნქციასაც ასრულებდა. ქართული ისტორიული წყაროები მეტეხის კლდეს XI-XIII საუკუნეში მძლავრ გამაგრებულ ციხედ იხსენებენ, იქ განთავსებული ბაგრატოვან მეფეთა პალატებით. სამწუხაროდ 1235 წელს მონღოლების შემოსევას ვერც ერთი ადრინდელი ნაგებობა ვერ გადაურჩა. მეტეხის ტაძარი მხოლოდ XIII საუკუნის ბოლოს აღადგინეს, რომელსაც შემდეგ რამდენჯერმე ჩაუტარდა რეკონსტრუქცია. 1660 წელს მას მეხი დაეცა და დიდხანს მიტოვებული იყო. 1749 წელს მეფე ერეკლემ დაზიანებები შეაკეთა და გუმბათი აღადგინა, მაგრამ რუსეთის მმართველობის პერიოდის დაწყებიდან მას სრულიად სხვადასხვა დანიშნულებით (საწყობი, ყაზარმა, სატუსაღო და სხვა) იყენებდნენ. ბოლოს ტაძრის შენობაში თეატრიც კი იყო განთავსებული. მიმდებარე ტერიტორიის ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისა და ტაძრის სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულების შემდეგ, მხოლოდ 1988 წელს გახდა შესაძლებელი ეკლესიის ფუნქციონირების აღდგენა. თითქმის ორი საუკუნის შემდეგ ის კვლავ გადაიქცა ერთ-ერთ მთავარ მოქმედ ტაძრად და გამორჩეულ ტურისტულ ობიექტად ითვლება. მეტეხის უბანი, მანამდეც განსაკუთრებით იზიდავდა ტურისტებს. კლდიდან მტკვარზე გადმოკიდებული შენობებით, რაც თბილისს განუმეორებელ და სხვა ქალაქებისაგან განსხვავებულ ხიბლს აძლევს. სწორედ მისი სრულფასოვანი შენარჩუნება იყო მთავარი, აღნიშნული უბნის მასშტაბური რეკონსტრუქციის დროს და საგრძნობლად გაიზარდა მის მიმართ ტურისტების ინტერესი, რასაც იმ ტერიტორიაზე და მის სიახლოვეს აშენებული ან აღდგენილ-რეკონსტრუირებული უამრავი შენობა-ნაგებობები მოწმობენ.

თბილისის ტურისტული პოტენციალის ამაღლებაში, გამორჩეული ადგილი უჭირავს ძველი თბილისის უბნების რესტავრაცია-რეკონსტრუქციას, რომელიც გასული საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო და რამდენიმე წლიანი შფერხების შემდეგ, დღესაც დიდი წარმატებით გრძელდება. ქალაქის ცენტრალურ ნაწილში არსებული უძველესი შენობების აღგენა-რეკონსტრუქცია, არა მარტო ტრადიციული არქიტექტურული სტილის შენარჩუნების უნიკალური საშუალებას იძლევა, არამედ მნიშვნელოვნად აფართოებს ტურისტულ ინფრასტრუქტურას და მათ მიმართ ინტერესს. სამაგალითოა ამ მხრივ აბანოთუბანი, რომელიც ერთ-ერთი პირველი რეკონსტრუირებული უბანი გახდა, თავისი ისტორიული მდებარეობიდან

გამომდინარე. თბილისის დაარსებამდე ბევრად ადრე, მიიქცია ყურადღება ამ ადგილმა, აქ არსებული გოგირდის თბილი წყლების გამო. მონღოლების შემოსევამდე ანუ XIII საუკუნემდე, ისტორიული ცნობებით, თბილისში მინერალური წყლeb 65 აბანო არსებობდა. XVII-XVIII საუკუნეში კი მხოლოდ 6-ია დაფიქსირებული და მათი უმრავლესობა ირანული არქიტექტურის გავლენითაა შექმნილი. აბანოთუმბნის რესტავრაცია-რეკონსტრუქციის შედეგად თითოეული აბანო სათანადოდ იქნა აღდგენილი და ისინი არა მარტო თავისი არქიტექტურით, არამედ ფუნქციონალური დანიშნულებიდან გამომდინარეც უამრავ უცხოელ სტუმარს იზიდავენ. შესაბამისად, ყოველთვის დიდი ხალხმრავლობით გამოირჩევა მათ გარშემო არსებული სასტუმროები, რესტორნები, კაფეები, ბარები, მაღაზიები და სხვა ტურისტებისათვის საინტერესო ობიექტები. 1979 წელს დაარსებული და ტრადიციულად გადაქცეული „თბილისობის“ ყოველწლიური დღესასწ-აული, პირველად და რამდენიმე წელი ზედიზედ სწორედ აბანოთუბანში აღინიშნებოდა. 2005 წლის 9 მაისს საქართელოში აშშ პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ვიზიტთან დაკავშირებული დიდი საზეიმო ღონისძიებაც იქ გაიმართა. ყოველწლიურად იზრდება რეაბილიტირებული და რეკონსტრუირებული უბნების რიცხვი თბილისში, რომელიც იქ მდებარე, მრავალი ძველი შენობა-ნაგებობის გადარჩენასა და მათი ექსპლუატაციის ვადის გახანგრძლივებას უზრუნველყოფს.

თბილისური ტრადიციების შენარჩუნებაში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, მის ცენტრალურ ნაწილში მდებარე საქვეყნოდ ცნობილ შენობა-ნაგებობებს. მათ შორის უნდა გამოიყოს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობა. თავისი აღმოსავლური არიქიტექტურით და ცნობილი შემსრულებლებით გამორჩეული ქართული სამუსიკო და ქორეოგრაფიული კულტურის კერა ყველა ტურისტისთვის და ქალაქის სტუმრისთვის ძალიან მიმზიდველი ობიექტია. შენობა 1851 წელს აიგო, მაგრამ 1874 წელს ხანძრისგან თითქმის სულ განადგურდა და მის აღდგენას 22 წელი დასჭირდა. თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ, 1973 წელს კვლავ ხანძრის გამო შენობა ისევ ძალიან დაზიანდა, მაგრამ ამჯერად რამდენიმე წელიწადში მოხერხდა მისთვის პირვანდელი სახის დაბრუნება. 2010 წელს მას ჩაუტარდა სრულფასოვანი რეკონსტრუქცია და ის რჩება ქალაქში ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ და ლამაზ შენობად. არ შეიძლება არ აღინიშნოს რუსთაველის სახელობის თეატრის შენობაც, რომელიც 1901 წელს არის აგებული გვიანდელი ბაროკოსა და როკოკოს არქიტექტურულ სტილში. სამწუხაროდ, 1949 წელს ეს შენობაც დაიწვა და მისი სრული აღდგენა გახდა საჭირო. მას შემდეგ რამდენჯერმე კიდევ ჩატარდა სარეკონსტრუქციო სამუშაოები. თეატრის შენობის ტრადიციული სახის შესანარჩუნების მნიშვნელობასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია ერთი ეპიზოდის გახსენება. გასული საუკუნის 80-იან წლებში, ლონდონში, რუსთაველის თეატრის დასის ტრიუმფალური გასტროლების შემდეგ, თბილისში ჩამოსულმა, ინგლისელი ტურისტების მრავალრიცხოვანმა ჯგუფმა პირველ რიგში რუსთაველის თეატრის შენობის ნახვა მოისურვა, რომელიც თეატრის აფიშებზე იყო გამოსახული. აღფრთოვანებული ტურისტები, წვიმიანი ამინდის მიუხედავად დიდი ხნის განმავლობაში იდგნენ შენობის წინ და შეუჩერებლად უკრავდნენ ტაშს.

მიუხედავად, თბილისში არსებული ძველი, ისტორიული და კულტურული ძეგლებისადმი სისტემატიური ყურადღებისა, ზოგიერთი ობიექტის სრული რეკონსტრუქცია და თავდაპირველი სახით შენარჩუნება ხშირად შეუძლებელი ხდება. ამის მიზეზი ძირითადად მათი ფიზიკური მდგომარეობაა, რომელიც არ იძლევა შესაბამისი სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარების საშუალებას. აღნიშნული სირთულეების გადაწყვეტის მიზნით, უკანასკნელ წლებში, ინტენსიურად მიმდინარეობს ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობის მქონე შენობების რეკონსტრუქცია მათი ფასადების შენარჩუნებით. მსოფლიო პრაქტიკაში რეკონსტრუქციის ეს ფართოდ გავრცელებული მეთოდი საშუალებას იძლევა არ დაირღვეს ქალაქის ასეთ ნაწილებში,

წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული განაშენიანების სტილი. ამასთან, შესაძლებელი ხდება ფასადის შიგნით შენობის ფუნქციონალური დანიშნულების რადიკალური შეცვლა. ერთ-ერთი პირველი ამ მხრივ იყო, თბილისის ცენტრში, თანამედროვე სავაჭრო ცენტრის „მერანის“ გაფართოება-რეკონსტრუქციის სამუშაოები. იქ არსებული სტამბის შენობა, მე-20 საუკუნის დასაწყისში ძალიან გავრცელებული, კონსტრუქტივიზმის მიმართულების უნიკალურ ნიმუშს წარმოადგენდა. რეკონსტრუქციამ საკმაოდ რთული გამაგრება-გადაკეთების სამუშაოების შესრულება მოითხოვა, მაგრამ სამაგიეროდ არ დაირღვა მისი არქიტექტურული ფორმები და მთლიანად აღდგენილი და განახლებული იქნა ფასადის უნიკალური, ტერაზიტული ბათქაში. აქვე აუცილებელია ხაზი გაესვას იმ ფაქტს, რომ პროსპექტის ეს მონაკვეთი ოთხი სხვადასხვა არქიტექტურული სტილის შერწყმის უიშვიათეს მაგალითს წარმოადგენს. რეკონსტრუირებული შენობის გვერდით მდებარეობს როკოკოს სტილის გამოყენებით აგებული საცხოვრებელი სახლი, ხოლო მოპირდაპირე მხარეს, ერთმანეთის გვერდით დგას სტალინური ეპოქისთვის დამახასიათებელი არქიტექტურის მარქსიზ-ლენინიზმის ინსტიტუტის შენობა და განვითარებული სოციალიზმის პირობებში ჩამოყალიბებული არქიტექტურის ნიმუში - ცენტრალური ტელეგრაფის შენობა. სრულიად განსხვავებული სამუშაოების ჩატარება გახდა საჭირო, იუსტიციის სამინისტროს ყოფილი შენობის ფასადის შესანარჩუნებლად. 1900 წელს აგებული ულამაზესი შენობა იმდენად ამორტიზირებული იყო, რომ ფასადის კედლების გარდა, მთელი მისი შიგა ნაწილის დემონტაჟი განხორციელდა საძირკვლის ჩათვლით. ფასადის კედლები, რთული კონსტრუქციული სისტემით გამაგრდა. ახალი რკინაბეტონის შენობის აგების შემდეგ მათი შერწყმა-გაერთიანება ისე, მოხდა, რომ ფასადი სრულფასოვნად შენარჩუნდა. ასევე საინტერესო მოვლენად იქცა, მელიქიშვილის ქუჩაზე ტუპერკულოზის პირველი ინსტიტუტის შენობის რეკონსტრუქცია. შენობის სიძველის გამო, ფასადის კედლები თავისით იშლებოდა და მისი სრული დემონტაჟი გახდა საჭირო. ძველი, ქვით ნაგები ფასადი მთელი სიზუსტით იქნა აღდგენილი რკინაბეტონში, იმ ადგილას აშენებული მრავალსართულიანი სასტუმროს ქვედა სართულებზე. ფასადების შენარჩუნება საშუალებას აძლევს ტურისტებს, ადგილზე ნახონ იმ ტრადიციული ისტორიული თუ კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ძეგლები, რომელთა შესახებ ბევრჯერ ქონდათ გაგონილი ან ფოტოებზე ნანახი, საქართველოში ჩამოსვლამდე.

დასკვნა

თბილისის ტურისტული პოტენციალის ამაღლებაში, განსაკუთრებული მნიშვნელობა

1. აქვს, ძველი შენობა-ნაგებობების აღდგენა-რეკონსტრუქციას. მრავალსაუკუნოვან ქალაქში, რომელსაც გამორჩეული არქიტექტურა და განაშენიანების თავისებური სტილი ახასიათებს, ტურისტების ინტერესს ძირითადად ტრადიციული სიძველეების ნახვა და დათვალიერება წარმოადგენს. მათი არსებული სახით შენარჩუნება კი შეუძლებელია სისტემატიური აღდგენა-რეკონსტრუქციის სამუშაოების ჩატარებისა და მათი განახლების გარეშე;

2. ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ძეგლების აღდგენა-

რეკონსტრუქციის დროს, აუცილებელია, მათთვის პირვანდელი ან მასთან რაც შეიძლება მიახლოვებული სახის დაბრუნება. ამ გზით ცალკეული შენობა-ნაგებობისათვის „სიცოცხლის“ გახანგრძლივება, თბილისისათვის დამახასიათებელი არქიტექტურული სტილის შენარჩუნების საშუალებას იძლევა. ამ მიმართულებით, განსაკუთრებით წარმატებით ხორციელდება თბილისში, ძველი უბნების რესტავრაცია-რეკონსტრუქცია და საქვეყნოდ ცნობილი ცალკეული შენობების რეკონსტრუქცია, მათი ფასადური ნაწილების ხელუხლებლად შენარჩუნებით.

ლიტერატურა

1. ი.ქვარაია, ლ.გიორგობიანი. ძველი შენობების ფასადების შენარჩუნება მათი რეკონსტრუქციის დროს. სტუ სამეცნიერო შრომების კრებული, №1(519);
2. ი.ქვარაია, ქ.ქუთათელაძე, ე.მალანია. თბილისის „ძველი შენობების“ „ახალი სიცოცხლის“ შედეგად გაახსნილი სასტუმროები და მათი როლი ტურიზმის განვითარებაში. სტუ IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - გლობალიზავია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები. 29-30 ივნისი. თბილისი. 2020;
3. ი.ქვარაია. შენობების რეკონსტრუქცია მათი ფასადების შენარჩუნებით. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“, №4(53), 2019;
4. ი.ქვარაია. გამაგრება-გაძლერების სამუშაოების წარმოება უკიდურესად შეზღუდულ პირობებში მშენებლობისა და რეკონსტრუქციის დროს. ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი. 2016.

The importance of the reconstruction of old buildings and structures in increasing the tourism potential of Tbilisi

Kvaraia Irakli
Georgian Technical University, Professor

Kutateladze Ketevan
Georgian Technical University, Professor

Malania Elisabed
Georgian Technical University, Associate Professor

Summary

Tourists are especially attracted by traditional urban development. Therefore, the role of preserving and maintaining cultural and historical monuments is very important in increasing the tourism potential of cities. Any structure inevitably needs reconstruction over time. Often, due to antiquity or other reasons (fire, earthquake, etc.), a unique monument has to be built almost completely anew. Many cities in the world retain their attractiveness in this way. Among them is Tbilisi, the capital of Georgia with a rich past, which is more than 1500 years old. Long before its appearance, natural warm waters were mentioned in this area on Roman maps. Archaeological excavations have unearthed the ruins of baths of the 1st-2nd centuries, with mosaic floors and ceramic pipes. Despite numerous invasions of invaders, Tbilisi has retained its originality and is rightfully considered one of the main tourist centers on the border of European and Asian civilizations.

Keywords: tourism, building, construction, restoration, reconstruction, construction, monuments, Narikala, Metekhi, facade.

კოვიდ პანდემიის გავლენა ფირმის მართვის სტილსა და ადაპტაციური მენეჯმენტის დანერგვაზე

ბეგდარაშვილი თამარი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

COVID-19-ის პანდემიამ გაურკვევლობა გამოიწვია მთელ მსოფლიოში. 2020 წელს ახალ რეალობაში გაიღვიძა მსოფლიომ და ბრძოლა დაუწყო უხილავ მტერს - კორონა ვირუსს. წლის დასაწყისში ჯერ კიდევ რთული იყო წინასწარი პროგნოზების გაკეთება, თუმცა ერთი რამ გარდაუვალი იყო - ეკონომიკური თუ ბიზნეს პროცესები უნდა გადაწყობოდა ახალ რეალობას, რათა შესძლებოდათ გადარჩენა მიმდინარე პანდემიური სიტუაციის პარალელურად.

პირველი და უმნიშვნელოვანესი იყო ორგანიზაციების მიზანი - შეენარჩუნებინათ ბიზნესის უწყვეტობა. COVID-19 პანდემია კი თავისი სიმძიმით უპრეცედენტო იყო, რადგან ხელშემშლელი ფაქტორები ძალიან ართულებდა ბიზნესის უწყვეტობის სცენარების დაგეგმვას თავიანთი სიმძიმიდან გამომდინარე.

საკვანძო სიტყვები: COVID-19, პანდემია, მართვა, ადაპტაციური მენეჯმენტი, დისტანციური მუშაობა, წარმოების ჯაჭვი, ადაპტაციური პოტენციალი, ბიზნეს გეგმა, სტრატეგია.

შესავალი

პანდემიის როლი ადაპტაციური მენეჯმენტის დანერგვის გადაწყვეტილების მიღებაში

რთულია კომპანიამ წინსწარ განსაზღვროს ყველა მოსალოდნელი რადიკალური ცვლილება ბაზარზე, თუმცა ადაპტაციური მენეჯმენტის წინასწარი შემუშავება და დანერგვა ხელს უწყობს მსგავსი ეკონომიკური რყევების გამკლავებას მინიმალური დანაკარგით. აქვე გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ როდესაც კრიზისული სიტუაცია ბოლომდეა მომწიფებული და კარგად ჩანს მისი გავლენა და შედეგები ეკონომიკურ საქმიანობაზე - უფრო მარტივია სამოქმედო გეგმის განსაზღვრა. თუმცა, როდესაც ეს უკანასკნელი ბოლომდე არაა ჩამოყალიბებული, ჯერ მხოლოდ საწყისი ეტაპია და განუსაზღვრელია მომავლის შედეგები - ბევრად უფრო რთულია რეაგირება ყოველდღიურ გამოწვევებზე, რადგან მინიმუმ იმის განსაზღვრაა რთული ფირმას ამ რეალობასთან დროებით მოუწევს გამკლავება თუ მომავალი საქმიანობის ჩვეულ გარემოდ ჩამოყალიბდება. ეს ყველაფერი კითხვის ნიშნის ქვეშ იყო პანდემიის დასაწყისში, დღესდ-ღეობით კი ცხადია, რომ ეს მდგომარეობა ახალ განზომილებებს გახსნის ადამიანებისა და მწარმოებელი ორგანიზაციების სოციალური მდგრადობისთვის.

ძირითადი ნაწილი

ეკონომიკურ ბრძოლაში გამარჯვების მთავარი პირობაა გრძელვადიანი განჭვრეტისა და სხვადასხვა ინოვაციების თანმიმდევრული რეალიზაციის უნარი როგორც წარმოების, ასევე მომსახურების სფეროში. ასევე, უნდა შევთანხმდეთ იმაზე, რომ ამ გარემოში გადარჩენისა და განვითარებისთვის ფირმამ უნდა შეძლოს ადაპტაცია ბაზრის სწრაფად ცვალებად მოთხოვნებთან, თანამედროვე ინოვაციური ტიპის ეკონომიკის პირობებთან. პანდემიის პირველი ნაბიჯებიდანვე ცალსახა იყო, რომ მწარმოებლებს მოუწევდათ წარმოების მაქსიმალური ოპტიმიზაცია კადრების მაქსიმალური გადისტანციურებისა და წარმოების უწყვეტი ჯაჭვის შენარჩუნების პარალელურად. ამ ყველაფერს ხელს უწყობს გლობალური დიჯიტალიზაციის პროცესი, რაც პრაქტიკაში ბევრად უფრო მარტივი დასანერგია მომსახურების სფეროში, ხოლო წარმოებაში ბევრად უფრო მეტ

გამოწვევას აწყდება.

რა გამოწვევები ჰქონდა წამროების პროცესს პანდემიურ პირობებში? პირველი ის, რომ შეუძლებელია თანამშრომელთა სრული გადისტანციურება. ფირმებისთვის სასწრაფო შესამუშავებელი იყო ფირმაში ადგილზე მომუშავეთა ოპტიმალური რაოდნობის და ცვლების სწორი შედგენა, რათა ფირმაში არ გავრცელებულიყო COVID-19 და წარმოების პროცესი კიდევ უფრო მეტად არ შეეფერხებინა. ამ მიზეზით მარტივად გადისტანციურდა ფინანსური და მარკეტინგის განყოფილება, ხოლო წარმოებაში უშუალოდ ჩართული პერსონალი მკაცრი კონტროლის ფარგლებში (ტესტირება, კოვიდ-რეგულაციების დაცვა) კვლავ ადგილზე აგრძელებდა მუშაობას. ამ ყველაფერმა საერთო ჯამში გაზარდა მიმდინარე ხარჯები, რაც დაკავშირებულია უსაფრთხო სამუშაო გარემოს მოწყობასა და აგრესიულ კოვიდ-ტესტირებებთან. გამოწვევების წინაშე დადგა პერსონალის მართვის პროცესიც. გართულდა თანამშრომელთა მოტივაცია, ფაქტობრივად აღარ ტარდებოდა ტრენინგები და პერსონალის ადგილზე გადამზადებები. გარდა ამისა, დიდ ძალისხმევას მოითხოვდა მათი კონტროლი, რადგან დისტანციურად მუშაობა და ჩართულობა რთული შესაფასებელია, თუ კომპანიას წინსწარი გეგმა და მიდგომა არ აქვს შემოშუავებული ამისთვის.

მეორე და უმნიშვნელოვანესი დარტყმა ფირმებისთვის იყო იმ ფაქტის გაანალიზება

და აღიარება, რომ გლობალური წარმოებისა და მიწოდების ჯაჭვის სისტემა ძირითადად დაირღვა კორონა ვირუსული პანდემიის (COVID-19) ფართოდ გავრცელების გამო. ინდუსტრიული მენეჯერებისა და პოლიტიკის შემქმნელების უმეტესობა ჯერ კიდევ აქტიურად ეძებს ადეკვატურ სტრატეგიებსა და პოლიტიკას წარმოების მოდელების განახლებისთვის და მომხმარებელთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. გლობა-ლური მიწოდების ჯაჭვის პერსპექტივიდან, ნედლეულის უმეტესი ნაწილი იმპორტირებულია ჩინეთიდან და აზიის სხვა განვითარებადი ქვეყნებიდან. სწორედ ამ რეგიონებიდან დაიწყო ვირუსის გავრცელებაც, დაირღვა სატრანსპორტო კავშირები და განაწილების მექანიზმები მომწოდებლებს, საწარმოო ობიექტებსა და მომხმარებლებს შორის. მთელს მსოფლიოში გამოჩენილი ეკონომიკის ქვეყნებიც კი სერიოზული გამოწვევებისა და სირთულეების წინაშე აღმოჩნდნენ. შეიცვალა ბაზრის სტურქტურა - აქცენტი გაკეთდა პირველადი მოხმარების პროდუქტებსა და სერვისებზე მოთხოვნის ზრდაზე, რამაც პარალელურად გამოიწვია მოთხოვნის შემცირება ზოგიერთ არაარსებით პროდუქტსა და მომსახურებაზე.

პანდემიური სიტუაციის გამოცხადებისთანავე ორგანიზაციებმა დაიწყეს აქტიური მუშაობა და ბაზრის კვლევა, რათა წინასწარ განესაზღვრათ და შეძლებისდაგვარად გაენეიტრალებინათ COVID-19-ის უარყოფითი შედეგები. საფუძვლიანია ვივარაუდოთ, რომ ფირმისთვის ადაპტაციური მენეჯმენტის ქონა კომპანიას ბევრად უფრო გაუმარტივებდა ცვალებად და არაპროგნოზირებად ბიზნეს გარემოსთან მორგების პროცესს. ადაპტაციური მენეჯმენტის შემუშავება და ადაპტაციის ბიზნეს-გეგმის სტრუქტურა და შინაარსი იძლევა იმის საშუალებას, რომ ფირმა დაწვრილებით ფლობდეს ინფორმაციას მის ძლიერ და სუსტ მხარეებზე, იცოდეს მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების ფუნქციონირების თავისებურებები, შეძლოს პროდუქციის ფასისა და სასაქონლო პოლიტიკის ადაპტაცია და რაც ყველაზე მთავარია, წინასწარაა განხილული შესაძლო ძირითადი სარისკო სიტუაციები და შემუშავებულია რისკის დონის შემცირების ან მისი აღკვეთის გზები.

საწარმოს ადაპტაციური პოტენციალის განმაზოგადებელი მაჩვენებლისა და გარე გარემოს პარამეტრების შეფასებების სკალების საფუძველზე იქმნება ადაპტაციის ბიზნეს-

გეგმის სამი ვარიანტი - ოპტიმისტური, ინერციული და პესიმისტური:

ბიზნეს გარემოს გავლენის სტადიები	ადაპტაციური პოტენციალის დონე		
	მაღალი	**საშუალო**	**დაბალი**
სუპერარამდგრადი	ინერციული	პესიმისტური	პესიმისტური
არასტაბილური	ინერციული	ინერციული	პესიმისტური
ხელსაყრელი	ოპტიმისტური	ოპტიმისტური	ინერციული
მდგრადი	ოპტიმისტური	ოპტიმისტური	ინერციული

ადაპტაციის ბიზნეს-გეგმის **ოპტიმისტური** სცენარით გათვალისწინებულია საქმიანობის საკვანძო მაჩვენებლების მდგრადი ზრდა, რაც საწარმოს ბაზარზე დაკავებული პოზიციების როგორც შენარჩუნების, ასევე განმტკიცების შესაძლებლობას მისცემს.

ინერციული სცენარი გულისხმობს ძირითადი მაჩვენებლების ზრდას საწარმოს ფუნქციონირების ყველა პარამეტრის ოპტიმიზაციაზე მუდმივი მუშაობისას, რაც წარმოების მიღწეული დონის შენარჩუნებას უზრუნველყოფს.

პესიმისტური განვითარების სცენარის თანახმად შესაძლებელია არახელსაყრელი ტენდენციების ზრდა. პესიმისტური ვარიანტით შედგენილი ბიზნეს-გეგმა აუცილებელია საქმიანობის საკვანძო მაჩვენებლების დინამიკაზე მუდმივი კონტროლის განსახორციე-ლებლად და ოპერატიული მიზნებისა და მათი მიღწევის უზრუნველმყოფი მოქმედებების დროული კორექციისთვის.

ნებისმიერი ალტერნატივისთვის შემუშავებული ადაპტაციის გეგმა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: შეიცავდეს ადაპტაციის მიზნებისა და ამოცანების რეალიზაციის უზრუნველმყოფ სტრატეგიას; ითვალისწინებდეს საწარმოს ყველა სახის ეკონომიკური რესურსის რაციონალურ განაწილებასა და გამოყენებას; შეიცავდეს არჩეული ორგანიზაციული სტრუქტურის აღწერას, რომელიც უზრუნველყოფს გეგმის თანმიმდევრულობას, მის მოქნილობასა და მობილობას; ასახავდეს ადაპტაციის რაოდენობრივ ორიენტირებს კონტროლის უზრუნველსაყოფად.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგ ფირმას შესაძლოა ჰქონდა კიდეც წინასწარ განსაღვრული ადაპტაციური ბიზნეს-გეგმა კრიზისული სიტუაციებისთვის, ფირმებს COVID-19-ის ფონზე მაინც მოუწიათ გამკლავებოდნენ გარკვეულ გამოწვევებს. პირველი, იმიტომ, რომ, რაც არ უნდა კარგი სცენარი ჰქონოდა ფირმას შემუშავებელი კრიზისული სიტუაციებისთვის, მათ მიერ შემუშავებული ორგანიზაციული გეგმები ხშირ შემთხვევაში აღმოჩნდა უფრო ზოგადი, ან მოძველებული, ან არ მოიცავდა პანდემიურ გარემოებებს და დისტანციური მუშაობის გაუთვალისწინებელ სიტუაციებს.

პანდემიის კიდევ ერთი გამოწვევა გამოვლინდა იმაში, რომ კომპანიებს ხშირ შემთხვევაში მოუწიათ უფლება-მოვალეობების დელეგირების შეცვლა. ეს გადაწყვეტ-ილებები უმეტეტესად იყო სპონტანური და მიმართული ბიზნეს უწყვეტობის შესანარჩუნებლად. აქვე უნდა ვახსენოთ, ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება, რაც გამოვლინდა პანდემიური სიტუაციის ფონზე. კიდევ ერთხელ დამტკიცდა, თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს კომპანიისთვის ხელმძღვანელობას, მათ გუნდისადმი მხარდაჭერის გამოხატვის სურვილს და საქმიანობაში უშუალო ჩართულობას. არსებულ სიტუაციაში მოტივაციის ამაღლებისათვის ეს ერთ-ერთი უპირველესი ფაქტორი აღმოჩნდა იმის პარალელურად, რომ თანამშრომლებმა იგრძნეს თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მათი წვლილი კომპანიის წარმატებულ საქმიანობაში.

როდესაც ვსაუბრობთ COVID-19 პანდემიის გამოწვევებზე აუცილებელია ვისაუბროთ იმ სირთულეებზე, რაც თან ახლდა არსებულ სიტუაციაში კონტროლს და კონტროლის მექანიზმებს. საკმაოდ რთული აღმოჩნდა პერსონალის პროგრესისა და მუშაობის დისტანციური მონიტორინგი. ყველაზე კრიტიკული გამოსავალი იყო რეგულარული და არაფორმალური შემოწმებების

გამოყენება გუნდის წევრების ჩართულობისა და მუშაობის შესაფასებლად. თუმცა, ისიც აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ მენეჯერების უმეტესობა ეყრდნობოდა შესრულების გაზომვის ტრადიციულ მეთოდებს, როგორიცაა მკაფიო ვადების დაწესება და რეგულარული შეხვედრები თანამშრომლებთან, შედეგების განსახილველად და სამომავლო მოტივაციის ასამაღლებლად. ამით კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ ციფრული ინსტრუმენტები, როგორიცაა ინტერნეტი, უმნიშვნელოვანესია ერთი მხრივ გუნდის წარმატებული მუშაობისათვის და მეორე მხრივ - კომუნიკაციისა და მონიტორინგისთვის.

დასკვნა

კოვიდ პანდემიამ კიდევ ერთხელ დაგვანახა კომპანიის ადაპტაციური მენეჯმენტის არსებობის აუცილებლობა. ბიზნეს გარემოს ცვლილებებისადმი სრულებით მოუმზადებლობა სავალალოდ გადამწყვეტი აღმოჩნდა არა ერთი ფირმისათვის.

რეკომენდაციის სახით შეიძლება ითქვას, რომ სასურველია ყველა ფირმას შესწავლილი ჰქონდეს როგორც საკუთარი ბიზნეს სტრუქტურა, ასევე კარგად ფლობდეს ინფორმაციას ბაზრის თავისებურებებზე. სწორედ ამ ორ ინდიკატორზე დაყრდნობით განისაზღვრება კომპანიის ადაპტაციური პოტენციალის დონე (მაღალი, საშუალო, დაბალი) და შემდგომ კი ამაზე დაყრდნობით მუშავდება ადაპტაციური ბიზნეს-გეგმის სამი ალტერნატივა - ოპტიმისტური, ინერციული და პესიმისტური სცენარები ბიზნეს გარემოს ცვალებადობის მიხედვით.

მართალია, პანდემიური ფონი სრულებით მოულოდნელი სიახლე იყო ბიზნეს სექტორისთვის და კომპანიები მაინც მეტწილად გაურკვევლობაში აღმოჩნდებოდნენ, თუმცა ფაქტებით დასტურდება, რომ მათ ვისაც სწრაფი რეაგირების უნარი აღმოაჩნდა გარემოსთან და მარტივად გადაეწყო მართვის ახალ სტილსა და დისტანციურ მუშაობაზე, პროპორციულად ნაკლები დანაკარგებით გაიარეს პანდემიის ყველაზე მძაფრი პერიოდები, როგორადაც პირველი ერთი წელი შეიძლება მიიჩნეს.

ლიტერატურა:

1. Linda Diokpa, Alexandra Swift, Oreoluwa Afe, Amalia Lentini (2021), The Impact Of COVID-19 On The Five Functions Of Management
2. Kulynych. Y (2020), Crisis Management: Multi-Dimensional Typologies
3. Aalok Kumara, Sunil Luthrab, Sachin Kumar Manglac YiğitKazançoğlud (2020), COVID-19 impact on sustainable production and operations management

The impact of the Covid Pandemic on management and adaptive management

Begdarashvili Tamar
PhD student at Georgian Technical University

Summary

The COVID-19 pandemic has caused difficult and uncertain situations for everyone. In 2020, the world woke up to a new reality and began to fight the invisible enemy - the corona virus. At the beginning of the year it was still difficult to make preliminary predictions, but one thing was inevitable - economic or business processes had to adapt to the new reality in order to survive in the current pandemic situation.

The first and foremost goal of the organizations was to maintain business continuity. The COVID-19 pandemic was unprecedented in its severity, as disruptive factors made it very difficult to plan business continuity scenarios due to their severity.

Keywords: COVID-19, Pandemic, Management, Adaptive Management, Remote Work, Production Chain, Adaptive Potential, Business Plan, Strategy, Competitiveness.

Some aspects of hospitality in Khulo Municipality

Gogitidze Giorgi
Ph.D Student at Georgian Technical University

Nadareishvili Nana
Associate Professor at Georgian Technical University

Summary

The potential opportunities of the landscape of the mountainous region of Adjara enable the development of tourism in the mountainous region. Especially in the mountainous municipality of Adjara - Khulo, its ecology, traditions/and culture create a unique opportunity for tourism development in different directions. Therefore, we think that studying the local population's attitude in the mountainous region of Adjara will allow us to properly manage tourism by preserving the conditions of preservation/protection of the heritage/traditions of the mountainous region. In particular, we will be able to identify priority issues with a .complex approach and strengthen the capacity to address them adequately, which will positively impact the proper management of tourism in the mountainous region. Based on the above, we have studied the dependence of the population of Khulo Municipality on the readiness to receive guests and the development of tourism. One hundred respondents from Khulo municipality were involved in the study.

Keywords: Adjara, mountainous region, hospitality, tourism

Introduction

In the last few years, mountain tourism is becoming an increasing field because of tremendous opportunities. In general, tourism's development is related to the current issues and approaches according to social, environmental, cultural, economic, etc. In the tourism system, is Mountains are prevalent tourist destinations globally. Their problems and opportunities are complex and vary widely based on the environment, biodiversity, and natural constraints, including the cultural heritage, traditions, and economic activities. Notably, tourists have different requirements for relaxation, sports, leisure, wellness, etc. (Duglio et al., 2019). Moreover, Georgia belongs to a traditional country historically (Salukvadze & Backhaus, 2020). According to Georgia's traditions, hospitality is a specific aspect of Georgia, particularly in the Adjara Region of Mountains, including the Khulo municipalities. Noted that the potential of the mountain landscape of the Adjra mountain, Khulo municipality is vast. In particular, its ecology, food production, and traditions suggest an opportunity to achieve Sustainable Development tourism here. Accordingly, we think that mountain heritage management requires more investigations. In particular, investigating the hospitality aspects may have some role in sustainable development. Thus, it is significant to investigate community-based characteristics and experiences. In mountain tourism, local actors provide active support and co-participation (Peira et al., 2021). Mountain tourism might be a strategic driver for further developing mountain economics (Peira et al., 2021). Therefore, strategy is also essential for tourism to devise a shared vision and related tools with locals.

Material and Methods:

The study was conducted in the mountain area of the Adjara, particularly Khulo municipality, where visitors from different countries are noticed. During our research, including the 2021-2022 years, A survey based on a questionnaire was used to assess some aspects of tourism development. In this survey, one hundred respondents from Khulo Municipality were included.

Results and discussion. According to our survey, Khulo municipality's 96% have a guest room in the residential house, and only 4% have not it (Figure 1. A.). Our present research found that 67% of guest rooms have a separate entrance, and 33% have no separate entrance (Figure 1.B). According to our population readiness survey about the guest's free overnight stay in their residential house, all respondents are ready to receive the visitors free in case of their requirements (Figure 1.C). Interestingly, the percentage of having family hotel cases is very low. As our study showed, only 13% of respondents mentioned having family hotels (Figure 1. D). It is noteworthy that, according to locals, the municipality has the resources to develop terrorism.70% of respondents mentioned that Khulo municipality has resources for Torurm development

(Figure 1. E).



Figure 1. The study of some aspects of hospitality in Khulo Municipality

A.Having the room for a guest in a residential house; B. The existence of a separate entrance for the Residental Guest room; C. Survey of residents' readiness about the free overnight stay of the guest in their residential house; D. The study of family hotel's cases in Khulo municipalities E. The required resources potential for tourism development;

Research has shown that the family hotel business is underdeveloped in Khulo Municipality; however, due to the tradition of hospitality, it has emerged that most families traditionally have guest rooms in their homes. In most cases, the guest room has an isolated entrance. This is a good opportunity to create a family-run hotel industry based on traditional customs.

References:

7. Duglio, Bonadonna, Letey, Peira, Zavattaro, & Lombardi. (2019). Tourism Development in Inner Mountain Areas—The Local Stakeholders' Point of View through a Mixed Method Approach. Sustainability, 11(21), 5997. https://doi.org/10.3390/su11215997
8. Madanaguli, A., Kaur, P., Mazzoleni, A., & Dhir, A. (2021). The innovation ecosystem in rural tourism and hospitality – a systematic review of innovation in rural tourism. Journal of Knowledge Management, ahead-of-print(ahead-of-print). https://doi.org/10.1108/JKM-01-2021-0050
9. Peira, G., Longo, D., Pucciarelli, F., & Bonadonna, A. (2021). Rural Tourism Destination: The Ligurian Farmers' Perspective. Sustainability, 13(24), 13684. https://doi.org/10.3390/su132413684
10. Saarinen, J. (2006). Traditions of sustainability in tourism studies. Annals of Tourism Research, 33(4), 1121–1140. https://doi.org/10.1016/j.annals.2006.06.007
11. Salukvadze, G., & Backhaus, N. (2020). Is Tourism the Beginning or the End? Livelihoods of Georgian Mountain People at Stake. Mountain Research and Development, 40(1). https://doi.org/10.1659/MRD-JOURNAL-D-19-00078.1

სტუმარმასპინძლობის ზოგიერთი ასპექტი ხულოს მუნიციპალიტეტში

გოგიტიძე გიორგი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

ნადარეიშვილი ნანა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

აჭარის მთიანი რეგიონის ლანდშაფტის პოტენციური შესაძლებლობები იძლევა ტურიზმის განვითარების შესაძლებლობას მთიან რეგიონში. განსაკუთრებით აჭარის მთიანი მუნიციპალიტეტი - ხულოს ეკოლოგია, ტრადიციები/კულტურა ქმნის უნიკალურ შესაძლებლობას ტურიზმის სხვადასხვა მიმართულებით განვითარები-სთვის. ვფიქრობთ, აჭარის მთიანი რეგიონში ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულების გამოკვლევა მოგვცემს ტურიზმის სწორი მენეჯმენტის შესაძლებლობას მთიანი რეგიონის მემკვიდრეობითობის/ტრა-დიციების შენარჩუნება/ დაცვის პირობების გათვალისწინებით. კერძოდ, შევძლებთ - კომპლექსური მიდგომის გათვალისწინებით პრიორიტეტული საკითხების იდენტიფიკაციასა და მათი სწორად გადაჭრის შესაძლებლობების გაძლიერებას, რაც დადებითად აისახება მთიანი რეგიონის ტურიზმის სწორ მენეჯმენტზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენს მიერ შესწავლილია ხულოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დამოკიდებულება სტუმრის მიღების მზაობასთან და ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებით. კვლევაში ჩართული იყო ხულოს მუნიციპალიტეტის 100 რესპონდენტი.

საკვანძო სიტყვები: აჭარა, მთიანი რეგიონი, სტუმარმასპინძლობა, ტურიზმი

გადაწყვეტილების მიღება ბიზნეს საქმიანობის დაწყების მიზნით და გავრცელებული შეცდომები

ებრალიძე ალექსანდრე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია ის გავრცელებული შეცდომები, რომლებსაც უშვებენ ბიზნეს საქმიანობის დაწყების დროს გამოუცდელი ახალგაზრდები, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი ბიზნეს საქმიანობას იწყებენ სესხით. არასწორად გათვლილი ბიზნეს საქმიანობა, როგორც წესი, გაკოტრებით მთავრდება, ხოლო სესხი და მზარდი საპროცენტო სარგებელი გადასახდელია. ასეთ ვითარებას ხელს უწყობს ფართოდ გავრცელებული რჩევები, რომლებიც ასაბუთებენ, რომ წარმატების მისაღწევად საჭიროა გარისკვა და მოგვიწოდებენ არ შეგვეშინდეს ახალი ბიზნეს იდეის განხორციელება თუნდაც შესაბამისი სახსრებისა და სათანადო გაანგარიშების გარეშე. ნაშრომში ჩამოყალიბებულია რამდენიმე მოსაზრება ბიზნეს საქმიანობის დაწყების მსურველთათვის, რომლებიც დაეხმარება ახალგაზრდა დამწყებ ბიზნესმენებს არ დაუშვან საბედისწერო შეცდომები.

საკვანძო სიტყვები: ბიზნეს საქმიანობა. გაკოტრების მიზეზები. რისკი. სესხი. არასწორი რეკომენდაციები. „სულელი მეზღვაური“. იპოთეკური სესხები. ბიზნესის მასშტაბი. საკუთარი კაპიტალი.

შესავალი

ბიზნესის სამყაროს ერთ-ერთი მთავარი კანონზომიერება შესაძლებელია ამგვარად ჩამოვაყალიბოთ - ყველა წარმატებული ბიზნესი წარმატებას აღწევს საკუთარი, ინდივიდუალური გზით, ხოლო კომპანიის წარუმატებლობა და, საბოლოო ანგარიშით, გაკოტრება უკავშირდება ერთ-ერთ ძირითად მიზეზს - არასწორ მენეჯმენტს.

როდესაც ბიზნესის გაკოტრების მიზეზებს გავაანალიზებთ, აღმოჩნდება რომ გაკოტრებული კომპანიები ბიზნესის მართვის პროცესში ფაქტობრივად უგულვებე-ლყოფდნენ მენეჯმენტის თეორიაში კარგად ცნობილ, პრაქტიკულად გამოცდილ პრინციპებს. მსგავსი პრობლემები ახასიათებს საქართველოში თითქმის ყველა წარუმატებელ კომპანიას, როგორც ახალბედებს, ისე საქმიანობის საკმაო სტაჟის მქონე გამოცდილ კომპანიებსაც. თუმცა, ძირითადად ეს პრობლემა ეხება ახალგაზრდა და დამწყებ ბიზნესმენებს, გადაწყვეტილების მიღება ბიზნეს საქმიანობის დაწყების მიზნით და გავრცელებული შეცდომები არასწორი რეკომენდაციები.

ძირითადი ნაწილი

საზოგადოდ ბიზნესის დაწყება ძალიან რთულია და როგორც გამოკვლევები აჩვენებს ბიზნესის დაწყების „სტარტაპების (start-up) “ დიდი უმეტესობა, დაახლოებით 70-75 % წარუმატებელია მთელი მსოფლიოს მასშტაბით. საქართველოს შემთხვევაში ეს ვითარება კიდევ უფრო დამძიმებულია, რასაც ხელს უწყობს, ერთი მხრივ, დამწყები ბიზნესმენების ბიზნესისადმი ერთგვარი ქარაფშუტული დამოკიდებულება, ხოლო, მეორე მხრივ, ზოგიერთი ბიზნეს-კონსალტინგის მესვეურთა ხმამაღალი, „ბიზნეს-მითების“ თითქოსდა უარმყოფელი მცდარი რეკომენდაციები. მაგალითად, „ახალ ბიზნესს ვერ დაიწყებ ვალით – არასწორია, დღეს არსებული წარმატებული ბევრი ბიზნესი დაიწყო ვალით, თუ გაქვს კარგი იდეა საკუთარი კაპიტალის არქონის გამო მასზე უარი არ თქვა“.

აქ წინა პლანზე გამოდის, რომ ვალის აღება შესაძლებელია „კარგი იდეის“ შემთხვევაში, მაგრამ როგორ უნდა მოხდეს ამ ვალის გადახდა კადრს მიღმა რჩება. ამიტომ, იღებენ ვალებს, „კარგი იდეა“ არ ყოფილა ბოლომდე გააზრებული, საქმე არ გამოვიდა, ვალი კი გადასახდელი რჩება.

ან სხვა რეკომენდაცია, რომ ბიზნესში წარმატებისთვის უნდა იყო როგორც ბავშვი, რაც აგრეთვე ილუსტრირებულია ე.წ „სულელი მეზღვაურის“ მაგალითით, რომელიც მუდმივად წინ მიისწრაფვის და ვერ ამჩნევს ტალღებს, წვიმას, ქარიშხალს და ა.შ. ხოლო ჭკვიანი მეზღვაური ხედავს და ეშინია. საბოლოოდ სულელი მეზღვაური „მივა უცნობ პორტში და მაშინ იტყვიან რომ ის იყო ჭკვიანი“. ცხადია, ზოგადი მოწოდება - რომ უნდა იყო სიახლის მაძიებელი, ენტერპრენული სულისკვეთებით - სწორია, მაგრამ რა ხდება რეალურ ბიზნესში? სწორედ იმიტომ, რომ „ვერ ამჩნევს (ბიზნესის) ტალღებს, წვიმას, ქარიშხალა“ ასი ათასობით მეზღვაური (დამწყები ბიზნესმენი) იღუპება, ერთი კი შეიძლება გადარჩეს და ის შესაძლოა მილიარდერიც გახდეს, მაგრამ რა ქნას დაღუპული ათასობით „მეზღვაურის“ ოჯახმა, რომელმაც ამ ავანტურით ყველაფერი დაკარგა?

იპოთეკური სესხები სტარტაპისთვის

ქართულ სტარტაპთან დაკავშირებით სქემა მარტივია. ახალგაზრდები გადაწყვეტენ „დაიწყონ ბიზნესი და გააკეთონ ფული“. რაც არ უნდა პარადოქსალურად ჟღერდეს, ამ დროს, როგორც წესი, ეს ადამიანები თავს არ იწუხებენ სათანადო გაანგარიშებებით, არც ბიზნეს-გეგმა, არც არაწამგებიანობის ანალიზი მაინც, არც რისკების გაანგარიშება, მარკეტინგული კვლევა, ფინანსური ანალიზი და ა.შ. რაც ყველაზე უარესია, ასეთ დამწყებ ბიზნესმენებს არც ფული აქვთ და სესხის იმედით არიან, ხოლო სესხის უზრუნველსაყოფად იყენებენ მათ საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას, ძირითადად საკუთარ საცხოვრებელ ბინებს (რაკიღა სხვა ქონება არ გააჩნიათ). უმეტეს შემთხვევაში, ასეთი ბიზნესი კრახით მთავრდება (სხვადასხვა მიზეზების გამო), ადამიანები კარგავენ უკანასკნელ ქონებას, ვალების გადაუხდელობის გამო მათ ასახლებენ ბინებიდან და ისინი ბედის ანაბარად რჩებიან. დღევანდელი საქართველოს ერთ-ერთი უმწვავესი სოციალური პრობლემა სწორედ მოსახლეობის დიდი ნაწილის მიერ საცხოვრებელი ბინების დაკარგვა გახლავთ. იპოთეკართა მიმართ მოვალეთა დავალიანებამ ასობით მილიონ ლარს მიაღწია. დაახლოებით ასი ათასი ოჯახი კერძო საკუთრების დაკარგვის პირას უკვე დგას. კიდევ უფრო მეტმა ოჯახმა წინა წლებში დაკარგა საკუთრება. აუქციონის წესით გაიყიდა მრავალი საცხოვრებელი ბინა და მიწის ნაკვეთი, მასზე მიმაგრებული შენობა-ნაგებობებით. ამის მიზეზი კი ხშირ შემთხვევაში მხარეებს შორის დადებული კაბალური სასესხო ხელშეკრულებაა. შემდეგ ეს დაზარალებული ხალხი დახმარებას ხელისუფლებას, სთხოვს. ასეთი მძიმე ვითარება კვლავაც გაგრძელდება, თუ ბიზნესის დაწყების ან გაფართოების მსურველები ბიზნესის ელემენტარულ წესებს არ გაითვალისწინებენ.

მენეჯმენტის ელემენტარული წესები სტარტაპისთვის

რა არის ბიზნესის მართვის ის წესები, ურომლისოდაც შეუძლებელია წარმატების მიღწევა? უნდა აღინიშნოს, რომ თეორიული თვალსაზრისთ მენეჯმენტის თეორიაში ყველაფერი ცნობილია, საჭიროა მხოლოდ ამ დაგროვილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. აქ არ განვიხილავთ მსხვილი კომპანიებისთვის აუცილებელად გასათვალისწინებელ მოთხოვნებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია მენეჯმენტის თანამედროვე პრინციპების თუნდაც სტანდარტულ სასწავლო კურსებში. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ხშირად მრავალი წარმატებული კომპანიაც კი არანხორციელებს ბიზნესის მართვას აღნიშნული პრინციპების გათვალისწინებით. სწორედ ამიტომ, მათი წარმატება არ არის ისეთი თვალსაჩინო, როგორიც შეიძლებოდა ყოფილიყო და მათი მდგომარეობაც მუდამ გაკოტრების საფრთხის წინაშე დგას. შემოვიფარგლებით

რამდენიმე რჩევით, ერთგვარი ბიზნეს-რეკომენდაციებით, რომლის გათვალისწინება დამწყები ბიზნესმენებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია. ეს უმარტივესი ბიზნეს რეკომენდაციები მდგომარეობს იმაში, რომ:

(1) მანამ. სანამ მიიღებ გადაწყვეტილებას ბიზნესის დაწყების შესახებ უნდა კარგად იცნობდე იმ საქმეს, რის დაწყებასაც აპირებ. ამასთანავე, მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული საკუთარი ბიზნესის ე.წ. კონკურენტული უპირატესობები სხვა კომპანიებთან შედარებით. უნდა იცოდე რას გააკეთებ სხვებზე უკეთესად, რაც მოგებას მოიტანს, გასათვალისწინებელია მოსალოდნელი ხელშეშლები და რისკები.

(2) უმნიშვნელოვანესია ერთ-ერთი საყოველთაოდ გამოცდილი ბიზნეს აქსიომა: ბიზნესის მასშტაბები უნდა შეესაბამებოდეს არსებულ საკუთარ კაპიტალს. როდესაც ბიზნესმენი იწყებს რაიმე საქმეს, მას არასდროს არ ყოფნის კაპიტალი. თუ ბიზნესი, რომელიდანაც დიდი მოგებაა მოსალოდნელი, მოითხოვს დამატებით თანხებს, იდეის პატრონს კი საჭირო თანხა არ გააჩნია, სჯობს მან გაყიდოს ბიზნესის ნაწილი, იპოვოს პარტნიორი და მას გაუნაწილოს შესაძლო მოგება, ვიდრე ისესხოს ბანკისგან (ან, მით უმეტეს, კერძო იპოთეკარისგან) საჭირო თანხა უკანასკნელი საცხოვრებელის გარანტიით. თუ ბიზნესმენი ვერ პოულობს ასეთ პარტნიორს, მაშასადამე მან ვერავინ დაარწმუნა საქმის მომგებიანობაში და ასეთი ბიზნესის დაწყება არ ღირს. იმ შემთხვევაში თუ საქმე არ გამოვიდა, დაიკარგება ბიზნესმენის საკუთარი თანხა, მაგრამ ამით ცხოვრება არ მთავრდება, დარჩენილი ქონებით შესაძლებელია საქმიანობის გაგრძელება. მაგრამ თუ დაიკარგა ნასესხი კაპიტალი მაშინ საქმე ძალიან რთულდება - სესხი დასაფარია, მისი ოდენობა დაუნდობლად და ზვავისებურად იზრდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად და ახალბედა ბიზნესმენი საბოლოოდ ნადგურდება მსგავსად ზემოთ განხილული შემთხვევებისა.

რა თქმა უნდა არსებობს წარმატებული სესხის მაგალითები, მაგრამ ეს ეხება სწორად დასაბუთებულ, გაანგარიშებულ და რაც მთავარია, არსებულ წარმატებულ ბიზნესს და არა მცირე ბიზნესისა თუ ინდმეწარმის სტარტ-აპს.

დასკვნა

ბიზნესის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს უპირველესად ყოვლისა უნდა დარწმუნდე, რომ კარგად იცნობ იმ სფეროს, სადაც აპირებ ბიზნესის დაწყებას. შენი საკუთარი კაპიტალი უნდა შეესაბამებოდეს ბიზნესის მასშტაბს. ყოველმხრივ უნდა შემოწმდეს ისეთი წინადადებები, რომლებიც მოითხოვს რისკს და გპირდებათ დიდ მოგებას. განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა იქნას გამოჩენილის სესხხის აღების დროს, მითუმეტეს საკუთარი უძრავი ქონების გარანტიით. არასოდეს დააგირავოთ საკუთარი საცხოვრებელი ბინა, მითუმეტეს თუ სხვა საცხოვრებელი არ გაგაჩნიათ. სჯობს მიიღოთ მცირე და გარანტირებული მოგება, ვიდრე ეცადოთ გაურკვეველი სახის რისკთან დაკავშირებულ დიდი მოგების მიღება, როდესაც მოგების მიღების წყაროები ბურუსით არის მოცული.

ლიტერატურა:

1. სტარტაპების წარუმატებლობის ძირითადი მიზეზები http://startup.ge/
2. მითები და სტერეოტიპები. http://startup.ge/
3. გოგიჩაიშვილი დ. „ბავშვი - ყოჩაღი მენეჯერი“. http://www.youtube.com/watch?v=kF1vv63htEE
4. იპოთეკარები დაბალპროცენტიანი სესხის მიღებას ითხოვენ

http://ptpress.ge/index.php?year=2013&magazine_id=360&topic_id=8347#.U8OASfmSxzo

5. პრემიერ-მინისტრის პასუხი იპოთეკარებისგან დაზარალებულებს http://www.netgazeti.ge/GE/105/business/17827/

6. კესონი ჰ. ბიზნესის აქსიომები http://www.scribd.com/

Decision Making for Business Beginning and Common Mistakes

Ebralidze Alexander
Doctoral student of Georgian Technical University

Summary

The paper discusses the common mistakes made by inexperienced young people when starting a business, especially when they start a business on credit. Improperly calculated business activities usually end in bankruptcy, while the loan and the rising interest rate are payable. Such a situation is facilitated by widespread advice that argues for the success is necessary to take risks and urges us not to be afraid to implement a new business idea even without the appropriate funds and proper calculation. The paper outlines some ideas for business start-ups that will help young start-up entrepreneurs avoid making fatal mistakes.

Keywords: Business activities. Reasons for bankruptcy. Risk. Loan. Wrong recommendations. "Stupid sailor." Mortgages. Business scale. Equity.

სინერგიული ეფექტი შერწყმისა და შეძენის შემთხვევაში (M&A)

თაბუკაშვილი თამთა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

შერწყმა და შესყიდვა (M&A) დღევანდელი ბიზნეს სამყაროს ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილია. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც კომპანია ირჩევს M&A-ს, არის ზრდა. არსებობს რამდენიმე შესაძლო მიზეზი, რის გამოც კომპანია ირჩევს ზრდას M&A-ით, მაგრამ ყველაზე გავრცელებული მოტივი არის სინერგიის შექმნა. მოდით გავაანალიზოთ, თუ როგორ ქმნის და ახორციელებს კომპანიის მენეჯმენტი სინერგიას M&A პროცესში.

კომპანიას აქვს რამდენიმე ვარიანტი ასარჩევად, როდესაც საქმე ეხება ზრდის სტრატეგიებს. ერთ-ერთი ვარიანტია ორგანული ზრდა, გაყიდვების პერსონალის გაზრდით, ახალი პროდუქტის განვითარებით და ახალ გეოგრაფიულ ზონებში გაფართოებით. ალტერნატიული ვარიანტები, როგორიცაა არაორგანული ზრდა, არის გარე შემოსავლების ზრდა, რომელიც არის მაგალითად სტრატეგიული ალიანსები, ერთობლივი საწარმოები და ფრანჩაიზინგი. შერწყმა და შეძენა (M&A) კიდევ ერთი ვარიანტია, რაც არაორგანული მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება გაიზარდოს კომპანია.

პირველ რიგში საჭიროა M&A ცნების განსაზღვრა. შერწყმისას ორი კომპანიის აქციონერები რჩებიან როგორც ერთობლივი მფლობელები და ორი კომპანია აერთიანებს მათ რესურსებს საერთო მიზნების მისაღწევად, თუ ორი კომპანია ხდება ახალი იურიდიული პირი, ხოლო შეძენისას ერთ-ერთი კომპანია აკონტროლებს მეორე ფირმის აქტივებს. ბევრ კომპანიას არ აქვს მკაფიო ხედვა.

საკვანძო სიტყვები: სინერგია, შერწყმა & შეძენა(M&A)

შესავალი

შერწყმა და შეძენა (M&A) დღევანდელი ბიზნეს გარემოს ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილია. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც კომპანია ირჩევს M&A-ს, არის ზრდა. არსებობს რამდენიმე შესაძლო მოტივი, რის გამოც კომპანია ირჩევს ზრდას M&A-ით, მაგრამ ყველაზე გავრცელებული მოტივი არის სინერგიის შექმნა. მოდით გავაანალიზოთ, თუ როგორ ქმნის და ახორციელებს კომპანიის მენეჯმენტი სინერგიას M&A პროცესში.

კომპანიას აქვს რამდენიმე ვარიანტი ასარჩევად, როდესაც საქმე ეხება ზრდის სტრატეგიებს. ერთ-ერთი ვარიანტია შიდა ორგანული ზრდა, გაყიდვების პერსონალის გაზრდით, ახალი პროდუქტის განვითარებით და ახალ გეოგრაფიულ ზონებში გაფართოებით. ალტერნატიული ვარიანტები, როგორიცაა არაორგანული ზრდა, არის გარე შემოსავლების ზრდა, რომელიც არის მაგალითად სტრატეგიული ალიანსები, ერთობლივი საწარმოები და ფრანჩაიზინგი. კიდევ ერთი ვარიანტია შერწყმა და შეძენა (M&A), რაც არაორგანული მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება გაიზარდოს კომპანია.

ძირითადი ნაწილი

ინტეგრაციის მნიშვნელობა სინერგიის შექმნაში

პირველ რიგში საჭიროა M&A ცნების განსაზღვრა. შერწყმისას ორი კომპანიის აქციონერები რჩებიან როგორც ერთობლივი მფლობელები და ორი კომპანია აერთიანებს მათ რესურსებს საერთო მიზნების მისაღწევად, ორი კომპანია ხდება ახალი იურიდიული პირი, ხოლო შეძენისას ერთ-ერთი კომპანია აკონტროლებს მეორე ფირმის აქტივებს. ღირებულება არ იქმნება

ინტეგრაციის შემდეგ. შესაძლებლობები გადანაწილდება და ორივე ორგანიზაცია იწყებს თანამშრომლობას მოსალოდნელი სარგებლის შესაქმნელად ან სხვა ახლის აღმოსაჩენად. როგორ ვიზრუნოთ შესაძლებლობაზე, გავაერთიანოთ ორივე ფირმის ძალა და შევქმნათ სინერგია? ეს არის ის, რისი გარკვევაც ჩვენ გვინდა, რომ გავაანალიზოთ ინტეგრაციის პროცესი . რაც უფრო სრულყოფილია ინტეგრაცია, მით უფრო მაღალია შანსი იმისა, რომ განვითარდეს სინერგია, რომელიც მიანიშნებს ფინანსურ წარმატებაზე. M&A-ის შემდეგ მენეჯმენტის წარმატების გასაღები არის ადამიანებისთვის ცვლილებების მინიმუმამდე შემცირება, გარდა ადმინისტრაციული და ფინანსური კონტროლისთვის აუცილებელი სისტემებისა.

ახლად შეძენილ კომპანიასა და „მშობელ“ კორპორაციას შორის ყოველთვის არის კონფლიქტი. ცვლილებები არსებულ პოლიტიკასა და პროცედურებში ფრთხილად უნდა იქნას განხილული და მნიშვნელოვანია თანამშრომლებისთვის ცვლილებების ახსნა მათ განხორციელებამდე. იმისათვის, რომ მინიმუმამდე შემცირდეს ღელვა არსებული პოლიტიკისა და პროცედურების ცვლილებებთან დაკავშირებით, მენეჯერებმა სრულად უნდა განიხილონ კორპორაციის პოლიტიკისა და პროცედურების მიღმა არსებული მიზეზები. არ არის აუცილებელი, რომ ყველა ახლად შეძენილი თანამშრომელი ეთანხმებოდეს პოლიტიკას, მაგრამ მათ უნდა გააცნობიერონ მათი მნიშვნელობა.

შერწყმა და შეძენა (M&A) ზრდის და ახანგრძლივებს საკომუნიკაციო არხებს, უფრო მეტი ადამიანის ჩართულობიით. უფრო მეტიც, მისი უფრო დიდი ზომის გამო, ზოგიერთი თანამშრომელი შეიძლება უნებლიედ ჩამორჩეს სიახლეებს. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ შევინარჩუნოთ უფრო მჭიდრო კონტაქტი, ვიდრე ჩვეულებრივ. კომუნიკაცია წარმატებული ინტეგრაციაში ერთ-ერთი მთავარ როლს თამაშობს და მეტიც, მკაფიო და მუდმივი კომუნიკაცია ინტეგრაციის პროცესში შეიძლება გადამწყვეტი იყოს. ღია კომუნიკაცია აუცილებელია, ის ხსნის ახალ შესაძლებლობებს და ამცირებს გაურკვევლობას. სტრუქტურირებული კომუნიკაცია, ისევე როგორც ხშირი პირისპირ ინტერაქცია, თავიდან აიცილებს ადმინისტრაციული და კულტურული ინტეგრაციის დამარღვეველ შედეგებს და ასევე იძლევა კოორდინაციის მაღალ დონეს.

ინტეგრაციის მნიშვნელობა სინერგიის შექმნაში. შერწყმისა და შეძენის(M&A) უმეტეს შემთხვევაში, ინტეგრაცია ნიშნავს შემძენის ან დომინანტური შერწყმის პარტნიორის არსებული კულტურის წარმატებულ დაწესებას მეორეზე და არა ამ ორის თანაბარად შეერთებას. M&A-ს მუშაობის კიდევ ერთი დიდი ნაწილი არის კორპორატ-იული კულტურების წარმატებით შერწყმა. M&A-ში წარმატება უფრო მარტივად მიღწევადია, თუ სამიზნე ბიზნესი ერგება მყიდველი ბიზნესის კონცეფციებს, ბაზრის პრინციპებს, კულტურულად, პასუხისმგებლობის მინიჭებისა და ხალხის მოტივაციის თვალსაზრისით.

მას შემდეგ, რაც შერწყმა & შეძენა(M&A) უფრო გავრცელებული გახდა, იმისათვის, რომ კომპანიებმა განასხვავონ თავი კონკურენტებისგან, გარიგების წარმატება უფრო მეტად იქნება დამოკიდებული M&A-ს შემდგომ ეტაპებზე. განსაკუთრებით ინტეგრაციის პროცესზე, სადაც ღირებულების შექმნის ძიება არ არის შეფასებული. ძირითად შემთხვევაში, M&A ფაზის შემდგომი ინტეგრაციის პროცესი ყველაზე ხშირად წარმატების გასაღებია. ჩვენ აღმოვაჩინეთ სამი სფერო (იხ. ნახაზი 1), რომელიც აუცილებელია M&A პროცესის შემდგომი ინტეგრაციის დროს. ორგანიზაციის ყველა დონე უნდა შეუერთდეს გარიგებას, იმისთვის, რომ თანამშრომლებმა მხარი დაუჭირონ მომავლის ხედვებს, უნდა არსებობდეს ორიენტაციის გრძნობა და თანამშრომლები უნდა იყვნენ კარგად ინფორმირებული. მოლოდინები და კომუნიკაცია უნდა იყოს უშუალოდ მართვადი მთელი პროცესის განმავლობაში.



ნახაზი 1. შერწყმის წარმატების სამკუთხედი

„შვიდი წესი M&A წარმატებისთვის“. ეს წესები შემუშავებულია იმ სფეროებიდან, რომლებთანაც M&A კომპანიებს აქვთ პრობლემა. M&A წარმატებული ინტეგრაციის შვიდი წესი უფრო ჰგავს სახელმძღვანელოს, ვიდრე წესებს, რათა გაიზარდოს აქციონერებისთვის ღირებულების შექმნის ეფექტიანი ინტეგრაციის შანსები. **პირველი** წესი არის ხედვა; კომბინირებული ხედვა აუცილებელია შესყიდვისა და მოლოდინების მართვისთვის. ბევრი კომპანია პირველ რიგში უყურებს კომპანიებს შორის შესაბამისობას, სანამ მათ ექნებათ მკაფიო ხედვა იმის შესახებ, რისი მიღწევა სურთ. **მეორე** წესი არის ლიდერობა; მნიშვნელოვანია ხედვის ზუსტად გამოყენება და შესრულება. მენეჯმენტის გუნდის სწრაფი ცვლილება არ არის სასურველი, რადგან გაურკვევლობას გამოიწვევს. **მესამე** წესი არის ზრდა; სინერგია არის არა მხოლოდ ხარჯების დაზოგვა, არამედ ბაზარზე ორიენტირებული შესაძლებლობები. **მეოთხე** წესი არის ადრეული მოგება; ხალხის გაურკვევლობის დასამარცხებლად M&A-ს შესახებ ადრეული შედეგების მიღწევა, გამოიყენება დარწმუნების მოსაპოვებლად, რაც ხელს უწყობს გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად მუშაობის გაგრძელების მოტივაციას. **მეხუთე** წესი არის კულტურული განსხვავებები; მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ სხვადასხვა კულტურები და როგორ გავუმკლავდეთ მათ საუკეთესოდ. **მეექვსე** წესი არის კომუნიკაცია; ადეკვატური კომუნიკაციის გარეშე ძნელია თანამშრომლების ერთგულება M&A-ში. რაც მნიშვნელოვანია, რადგან ეს არის ის, თუ რამდენად აიძულებენ მენეჯერები სხვებს დაიჯერონ მათი ხედვა და შემდეგ განახორციელონ იგი. **მეშვიდე** და ბოლო წესი არის რისკის მართვა; M&A სარისკოა, მაგრამ მნიშვნელოვანია რისკის პროაქტიულად გამკლავება და რისკების მენეჯმენტი არის ამის უზრუნველყოფის ერთ-ერთი გზა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გრძელვადიანი ზრდა.

M&A-ს უნდა იყოს სათანადოდ ინტეგრირებული სინერგიების შესაქმნელად, რაც გამოიწვევს კონკურენტულ უპირატესობას და აქციონერთა ღირებულების ზრდას. ინტეგრაციის პროცესში საჭიროა პოტენციური პრობლემების გამოვლენა და ქმედებების განხორციელება ინტეგრაციის სირთულეების თავიდან ასაცილებლად. რაც უფრო სწრაფად იმოქმედებთ, მით უფრო სავარაუდოა, რომ ინტეგრაცია წარმატებული იქნება. M&A-ს შემდგომ ინტეგრაციისას აქცენტი უნდა გაკეთდეს ღირებულების შექმნაზე და, შესაბამისად, ინტეგრაციის პროცესში აქტივობები, რომლებიც ქმნიან ყველაზე მეტ ღირებულებას, პირველ რიგში უნდა

განიხილებოდეს. თუ კომპანიას სჯერა, რომ შერწყმისა და შეთანხმების ყველაზე დიდი ღირებულება მომხმარებელთა ინფორმაციის გაზიარებიდან მოდის, მაშინ პირველ რიგში უნდა განიხილებოდეს მომხმარებელთა საინფორმაციო სისტემების ინტეგრაციის აქტივობა. როდესაც ორი ბიზნესის ინტეგრირება ხდება სინერგიის შესაქმნელად, ისინი ხდებიან ურთიერთდა-მოკიდებულნი და უარყოფითი გავლენა ერთ ბიზნესზე უფრო დიდ გავლენას მოახდენს მეორეზე, ვიდრე მაშინ, როდესაც ისინი ცალკე იყვნენ. ამას ეწოდება გადამდები ეფექტი. კიდევ ერთი ეფექტი ორი კომპანიის ინტეგრაციისას არის სიმძლავრის ეფექტი, რომელიც წარმოიქმნება იმის გამო, რომ სინერგიის განსახორციელებლად, სიმძლავრის გამოყენება ხშირად იზრდება, რაც იწვევს რესურსების ნაკლებობას ან ნაკლებ გამოყენებას. ეს შეიძლება იყოს უარყოფითი, რადგან შესაძლებლობების შეზღუდვამ შეიძლება უფრო გაართულოს პოზიტიური შოკების სარგებლობა ბიზნეს გარემოში, ვიდრე ეს ორი კომპანია ცალ-ცალკე იყოს. გადამდები და სიმძლავრის ეფექტები ნიშნავს, რომ მაშინაც კი, თუ M&A კარგად არის განხორციელებული და ქმნის სინერგიას, შედეგები ყოველთვის არ იქნება უკეთესი და ეს არის სინერგიის პარადოქსი.

სინერგია და ღირებულების შექმნა სინონიმია, ხოლო სინერგია არის მაშინ, როდესაც შერწყმა და შეძენის(M&A) ღირებულება აღემატება ორი ცალკეული ფირმის ღირებულებას ერთად. ანუ სინერგია წარმოადგენს დამატებით ღირებულებას, რომელიც იქმნება ფირმებთან გაერთიანებით. სინერგია ჩვეულებრივ გამოიყენება M&A-მდე კაპიტალის მოსაზიდად. სინერგიისთვის პრემიის გადახდისას კომპანია იხდის შესაძლებლობას და კომპანიებს ჩვეულებრივ უჭირთ გარკვეული სინერგიის იდენტიფიცირება. ჰებეკის თქმით ბევრი იყენებს სინერგიას, როგორც ხარჯების შემცირების სინონიმს და ის თვლის, რომ იმ კომპანიებს, რომლებსაც აქვთ სინერგიის ეს განმარტება, უნდა განაახლონ , რომ ასევე შეიცავდეს M&A-ს პოზიტიურ ასპექტებს, როგორიცაა ზრდის ასპექტები, ცოდნის გაზიარება. სინერგია შეიძლება იყოს M&A კომპანიასთან, რომელსაც აქვს წვდომა ახალ გეოგრაფიულ ბაზარზე ან წვდომა ახალ მომხმარებელთა სეგმენტზე, რაც საშუალებას აძლევს შემძენს კომპანიას მიაღწიოს ამ ახალ ბაზრებს და სეგმენტებს უფრო სწრაფი ტემპით და დაბალ ფასად. მნიშვნელოვანია, რომ რაც შეიძლება სწრაფად მოხდეს ზრდის სინერგიების დაფიქსირება და პრიორიტეტული სფეროს მინიჭება, სადაც შესაძლებელია ხარჯების ეფექტურობის მიღწევა, და ამ გზით სინერგია მნიშვნელოვანი ნაწილია წარმატებული შერწყმისას. სინერგია დაყოფილია სამ ტიპად: ფინანსური, ოპერატიული და მენეჯერული სინერგია. **ფინანსური სინერგია** არის მომავალი მოგების ამჟამინდელი ღირებულება, რომელიც მოდის M&A-დან. **ოპერაციული სინერგია** არის შესაძლებლობა, შექმნას მეტი ღირებულება ორი კომპანიისგან, რომლებიც მუშაობენ ერთად, ვიდრე ორი კომპანია, რომელიც მუშაობს ცალკე. **მენეჯერული სინერგია** არის ის, როდესაც იქმნება დამატებითი ღირებულება გადაწყვეტილების მიმღებთა უნარიდან, გააერთიანონ ორი კომპანია კონკურენტული უპირატესობის შესაქმნელად. ეს შეიძლება შევადაროთ ლარსონის (1990) **ოთხი სინერგიის ტიპოლოგიას** - საბაზრო ძალა, ოპერატიული, მენეჯერული და ფინანსური სინერგია. საბაზრო სიმძლავრის სინერგია არის, როდესაც კომპანია გაერთიანდა მონოპოლიური ზომის კომპანიაში, რომელსაც გაზრდილი ვაჭრობის უნარის გამო შეუძლია კლიენტებს მეტი დააკისროს ან აიძულოს მომწოდებლები ნაკლები გადაიხადონ; ოპერაციული სინერგია არის, როდესაც კომპანიას გაზრდილი მასშტაბისა და გამოცდილების გამო შეუძლია შეამციროს წარმოებისა და მარკეტინგული ხარჯები. მენეჯმენტის სინერგია არის, როდესაც კომპანია სარგებლობს ორი ცალკეული კომპანიის გაზიარებით, მენეჯმენტის დამატებითი ან დამატებითი ტექნიკისა და ნიჭის გაზიარებით. ფინანსური სინერგია არის რისკის შემცირება და კაპიტალის მოპოვების ღირებულების შემცირება. ამას ეწოდება გადამდები ეფექტი. კიდევ ერთი ეფექტი ორი კომპანიის ინტეგრაციისას არის სიმძლავრის ეფექტი, რომელიც წარმოიქმნება იმის

გამო, რომ სინერგიის განსახორციელებლად, სიმძლავრის გამოყენება ხშირად იზრდება, რაც იწვევს რესურსების ნაკლებობას ან ნაკლებ გამოყენებას. ფინანსური სინერგია არის რისკის შემცირება და კაპიტალის მოპოვების ღირებულების შემცირება.

დასკვნა

M&A-ს ინტეგრაციის საერთო პრობლემა არის ის, რომ ისინი მუშაობენ განყოფილებების მეშვეობით, რომლებიც სპეციალიზირებულია სხვადასხვა სფეროებში, როგორიცაა წარმოება, მარკეტინგი, ბუღალტერია და ფინანსები. არსებობს ინტეგრაციის სამი ძირითადი პროცედურა. პირველი მოქმედება არის საქმიანობის კოორდინაცია, მეორე არის ცალკეული დეპარტამენტების მონიტორინგი და კონტროლი მაღალი ხარისხის მისაღწევად და მესამე მოქმედება არის დეპარტამენტებისთვის საერთო მიზნების შექმნა.

ორგანიზაციულ ინტეგრაციაზე გავლენას ახდენს რამდენიმე ფაქტორი, რაც მას ართულებს. ცვალებადი ბაზარი და ორგანიზაციული ტექნოლოგიური გარემო ქმნის გაურკვევლობას შერწყმა და შეძენის შემთხვევაში(M&A). ეს შეიძლება გამოსწორდეს ფუნქციური ჯგუფებისთვის კონკრეტული ამოცანების მინიჭებით, როგორიცაა გაყიდვები, შესყიდვები, წარმოება და აღრიცხვა. ეს ჯგუფები ერთმანეთთან ინტეგრირებულნი უნდა იყვნენ, რათა საბოლოოდ მიიღონ ერთი ბიზნეს ერთეული. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია იმ ტექნოლოგიის ბუნება, რომელსაც ფირმები იყენებენ წარმოებისთვის, რადგან წარმოების სხვადასხვა ტექნოლოგია მოითხოვს ადამიანის სპეციალურ უნარებს. საბოლოოდ, ინტეგრაცია არის ორგანიზაციული ზომის ასპექტი. მსხვილ ფირმას აქვს ინტეგრაციის დიდი საჭიროება, რადგან ის მოიცავს რამდენიმე ერთეულს კოორდინირებისთვის.

განიხილოთ სამი სხვადასხვა ტიპის პროცედურა M&A-ის შემდეგ წარმატებული ინტეგრაციის მისაღწევად; პროცედურული ინტეგრაცია, ფიზიკური ინტეგრაცია და მენეჯერული და სოციოკულტურული ინტეგრაცია :

1. პროცედურული ინტეგრაცია მოიცავს ოპერაციული აქტივობების, მართვის კონტროლისა და სტრატეგიული დაგეგმვის დონეების გაერთიანებას; მისი მიზანია, პროცედურების სტანდარტიზაცია კომპანიებს შორის კომუნიკაციის გასაუმჯობესებლად.

2. ფიზიკური ინტეგრაცია გულისხმობს პროდუქციის ხაზების, წარმოების ტექნოლოგიების, კვლევისა და განვითარების პროექტების, ქარხნებისა და აღჭურვილობისა და უძრავი ქონების გაერთიანებას. ეს ნიშნავს, რომ ფირმის აქტივები გაერთიანებულია სინერგიული ეფექტის შესაქმნელად.

3. და ბოლოს, სოციოკულტურული ინტეგრაცია არის გადაწყვეტილების მიღების ინტეგრაცია სხვადასხვა დონეზე და ის ფაქტი, რომ მენეჯერები მიდრეკილნი არიან შეინარჩუნონ თავიანთი ორგანიზაცია და მისი გარემო. ეს არის ვარაუდები, ინფორმაცია და გონებრივი რუქები, რომლებსაც მენეჯერები იყენებენ გადაწყვეტილების მიღებისას.

ლიტერატურა

1. მ. გოლდი და ა. კემბელი (1998). სინერგიის უიმედო ძიება. ჰარვარდის ბიზნეს მიმოხილვა. https://hbr.org/1998/09/desperately-seeking-synergy
2. რობერტ ს. კაპლანი და დევიდ ფ.ნორტონი(2006) - ორგანიზაციის წყობა
3. Kaplan, R. S. & Norton, D. P. (2006) - Alignment
4. https://www.perlego.com/book/836985/alignment-using-the-balanced-scorecard-to-create-

corporate-synergies-pdf

5. მ. გოლდი და ა. კემბელი 1998; მარტინი და აიზენჰარტი 2002; ნოლი 2008 - ჯვარედინი ბიზნეს სინერგიების კონცეფცია და მახასიათებლები -სტატიები;
6. (Goold and Campbell, 1998; Martin & Eisenhardt, 2002; Knoll, 2008 - Concept and Characteristics of cross business synergies- Articles.
7. https://scholar.google.com/scholar?q=(Goold+and+Campbell,+1998%3B+Martin+%26+Eisenhardt,+2002%3B+Knoll,+2008).&hl=en&as_sdt=0&as_vis=1&oi=scholart

Synergistic effect in case of merger and acquisition (M&A)

Tabukashvili Tamta
PhD stident of Georgia Technical University

Summary

Mergers and Acquisitions (M&A) are a very important part of today's business world. One of the main reasons the company chooses M&A is growth. There are several possible reasons why a company chooses to grow with M&A, but the most common motive is to create synergies. Let's analyze how company management creates and implements synergies in the M&A process.

The company has several options to choose from when it comes to growth strategies. One option is to grow organically, by increasing sales staff, developing new products, and expanding into new geographic areas. Alternative options, such as inorganic growth, are external revenue growth, such as strategic alliances, joint ventures, and franchising. Merger and Acquisition (M&A) is another option that is an inorganic example of how a company can grow.

First we need to define the concept of M&A. Upon merger, the shareholders of the two companies remain joint owners and the two companies pool their resources to achieve common goals if two companies become new legal entities and one company controls the assets of the other firm at the time of acquisition. Many companies do not have a clear vision.

Keywords: Synergy, Merger & Acquisition (M&A)

კონფლიქტების მართვის მნიშვნელობა ორგანიზაციის საქმიანობაში

იაშვილი გენადი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

მიროტაძე გიორგი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ტრადიციული შეხედულებით ნებისმიერი კონფლიქტი ნეგატიური ხასიათის, ნორმალური სამუშაო პროცესის ხელისშემშლელი გარემოებაა და უარყოფითად მოქმედებს თანამშრომელთა პროდუქტიულობაზე, რაც ასევე უარყოფითად აისახება ორგანიზაციის საქმიანობაზე. შესაბამისად, კარგი მენეჯერი ყოველთვის ცდილობს ორგანიზაციაში არ იყოს უთანხმოება და საწყის ეტაპზევე, დროულად აღმოფხვრას იგი.

კონფლიქტი სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნას გაგებული და დანახული კონფლიქტის მონაწილე პირების მხრიდან. განსხვავებულად აფასებენ მას მენეჯერები, თანამშრომლები და ასეთ კონფლიქტებს ორგანიზაციებისა და თანამშრომლებისთვის განსხვავებული შედეგი მოჰყვება.

კონფლიქტების მართვა მენეჯმენტის შედარებით ახალი მიმართულებაა. კონფლიქტოლოგია მეცნიერული დისციპლინის სახით მეოცე საუკუნის შუა პერიოდიდან იღებს სათავეს. იგი კონფლიქტების რეგულირებას და მისი გადაწყვეტის მეთოდებს შეისწავლის.

კონფლიქტების უკონტროლობას მივყავართ უარყოფით შედეგებამდე, მაგრამ მნიშვნელოვანია გავიაზროთ, რომ კონფლიქტის არსებობა თავისთავად არ არის ზიანის მომტანის ორგანიზაციისთვის თუ მენეჯერი შეეცდება მის მართვას.

მოცემულ ნაშრომში განხილულია სწორედ კონფლიქტის ცნება, მისი წარმოშობისა და გადაჭრის მეთოდები და ორგანიზაციისთვის დამახასიათებელი კონფლიქტი.

საკვანძო სიტყვები: კონფლიქტი, ორგანიზაციული კონფლიქტი, კონფლიქტის მართვა, კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები, კონფლიქტის გადაჭრის გზები.

შესავალი

კონფლიქტი არის უკონტროლო უთანხმოების შედეგი. ის შეიძლება ნებისმიერ დროს წარმოიშვას იქ სადაც არსებობს განსხვავებული, დაპირისპირებული აზრი, რომელიც ხშირად კამათის წინაპირობაა, რაც შეიძლება შემდეგ კონფლიქტში გადაიზარდოს. კამათს ყოველთვის არ მოსდევს კონფლიქტი, ხოლო კონფლიქტს უარყოფითი შედეგი და მას შეიძლება დადებითი შედეგიც მოჰყვეს. უთანხმოება და აზრთა სხვადასხვაობა არ არის ისეთი ზიანის მომტანი ორგანიზაციისთვის, როგორიც კონფლიქტია.

კონფლიქტი უპირველესად უნდა განვიხილოთ, როგორც შესაძლებლობა და შეგვიძლია განვსაზღვროთ როგორც პროცესი, რომელიც იწყება, როდესაც ერთი მხარე აღიქვამს, რომ მეორე მხარე უარყოფით გავლენას ახდენს იმაზე, რასაც თავად მნიშვნელოვნად მიიჩნევს.

კონფლიქტი თავისთავში აერთიანებს კონფლიქტის წარმოშობის მიზეზებს, მოტივაციას და მის მოგვარებას. კონფლიქტის შედეგი მისი მართვის ეფექტიანობაზეა დამოკიდებული. თუ მენეჯერმა სათანადოდ მართა კონფლიქტი, მას შეიძლება ორგანიზაციისთვის დადებითი შედეგი მოჰყვეს.

ძირითადი ნაწილი

კონფლიქტების მართვა

ზოგიერთი მეცნიერი კონფლიქტს აღიქვამს სოციალური ცხოვრების ნორმად. მეცნიერთა

ნაწილს მიაჩნია, რომ კონფლიქტი სოციალური პათოლოგიაა, რომელიც უნდა გამოირიცხოს ადამიანთა ურთიერთობის ნებისმიერი ფორმიდან. ხოლო, ზოგიერთი თვლის, რომ ურთიერ-თობის კონფლიქტისგან განთავისუფლება უნდა მოხდეს თანდათანობით, არაძალადობრივი და თანმიმდევრული ბრძოლის გზით.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით ტერმინი „კონფლიქტი" განიმარტება, როგორც სერიოზული უთანხმოება, განხეთქილება, მოპირდაპირე ძალთა და საწინააღმდეგო ინტერესთა, შეხედულებათა შეხლა-შემოხლა.

კონფლიქტს აქვს სხვადასხვა ფორმა. მათ შორის შეიძლება გამოვყოთ სოციალური კონფლიქტი, რომელიც აღიქმება, როგორც უთანხმოება სხვადასხვა ჯგუფებს შორის. სოციალური თავისთავად ადამიანების ჯგუფს გულისხმობს, შესაბამისად ის პიროვნებებს შორის კონფლიქტისაგან განსხვავდება. ჯგუფებს აქვთ სხვადასხვა შეხედულებები და ვერ თანხმდებიან გარკვეულ საკითხებზე.

სოციალური კონფლიქტის სახეა ორგანიზაციაში არსებული კონფლიქტი, სადაც ადგილი აქვს კონფლიქტს თანამშრომლებს შორის.

კონფლიქტი არ უნდა იყოს გაგებული მხოლოდ როგორც აზრთა სხვადასხვაობა დაპირისპირებულ პირებს (ჯგუფებს) შორის, არამედ კონფლიქტი ასევე არის განსხვავებული აზრებისა და შეხედულებების მქონე პირთა (ჯგუფების) ქმედებაც, რომელთა ქცევებიც, ისევე როგორც შეხედულებები ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს.

ჩვეულებრივმა, თითქოსდა უწყინარმა კონფლიქტმა შეიძლება მიიღოს მწვავე

ხასიათი. მან შეიძლება გამოიწვიოს ნეგატიური ქმედებები, რომლებიც კონკრეტული ინდივიდის წინააღმდეგ იქნება მიმართული. ეს გამწვავებული კონფლიქტის სახელითაა ცნობილი, რაც ინგლისური სიტყვისგან „მობინგი" წარმოდგება. გერმანელი მეცნიერი ჰაინც ლეიმანი მობინგის შესახებ აღნიშნავდა, რომ მობინგი არის ნეგატიური მოქმედებები, რომლებიც მიმართულია კონკრეტული ადამიანის წინააღმდეგ, იგი დიდი ხანი გრძელდება და ურთიერთობაში ვლინდება მსხვერპლი და მოძალადე. მობინგი არ არის უბრალო კონფლიქტი, იგი კონფლიქტის განსაკუთრებულად მძიმე ფორმაა სამუშაო ადგილზე. მობინგი არის გრძელვადიანი კონფლიქტი, რომელიც მიმდინარეობს სამსახურში, მას ჰყავს კონკრეტული მსხვერპლი და მოჰყვება განსაკუთრებით მძიმე შედეგი. უნდა აღინიშნოს, რომ კონფლიქტი ყოველთვის არ არის მობინგი, მაგრამ მობინგი პირიქით, ყოველთვის კონფლიქტია.

ზოგადად განასხვავებენ კონფლიქტის ოთხ ძირითად ტიპს, როგორიცაა: (1) პიროვნებათაშორისი კონფლიქტი, რომელიც ვლინდება სხვადასხვა მატერიალური თუ მორალური ღირებულებების დაპირისპირების დროს; (2) პიროვნების შინაგანი კონფლიქტი, რომელიც წარმოიშობა მაშინ, როდესაც საზოგადოების მოთხოვნები არ ან ვერ ემთხვევა პირადს და ადამიანს ერთი და იგივე საკითხზე თავადვე უყალიბდება ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებები; (3) კონფლიქტი პიროვნებასა და ჯგუფს შორის, რომელიც წარმოიშობა, როდესაც პიროვნებისთვის მიუღებელია ჯგუფის მიერ დაწესებული ქცევის წესები და მას აქვს ამა თუ იმ საკითხზე ჯგუფისგან განსხვავებული პოზიცია; (4) ჯგუფთაშორისი კონფლიქტი, რაც გულისხმობს დაპირისპირებულ დაჯგუფებებს შორის უთანხმოებას, როდესაც ერთი ჯგუფი თავისი ინტერესების დაკმაყოფილებას ცდილობს მეორე ჯგუფის ინტერესების ხარჯზე.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზოგი კონფლიქტი სტიმულს აძლევს ჯგუფის მიზნებს და აუმჯობესებს მის ქმედითობას, ესენია კონფლიქტის ფუნქციური, კონსტრუქციული ფორმები. მისი საპირისპიროა კონფლიქტის დისფუნქციური ანუ დეკონსტრუქციული ფორმები. ხოლო, იმისათვის, რომ განვასხვავოთ ფუნქციური კონფლიქტი დისფუ-ნქციურისაგან, მხედველობაში უნდა მივიღოთ კონფლიქტის სამი ტიპი:

1. ამოცანების კონფლიქტი - დაკავშირებულია სამუშაოს მიზნებთან და შინაარსთან. როდესაც თანამშრომლებისთვის გაურკვეველია თავიანთი როლები შესასრულებელი დავალების მუშაობის პროცესში, ისინი სამუშაოს შესრულებას საჭიროზე მეტ დროს ანდომებენ და მათი მუშაობაც უპირისპირდება ერთმანეთს. ამოცანის კონფლიქტის დონე, რაც უფრო დაბალია, მით უფრო დადებით გავლენას ახდენს ჯგუფის პროდუქტიულობაზე, რადგან ჯგუფის წევრებს ეძლევათ სტიმული, მოტივაცია იკამათონ სხვადასხვა მოსაზრებების გარშემო.

2. ურთიერთობის კონფლიქტი - ადამიანებს შორის ურთიერთობასთან არის დაკავშირებული. ურთიერთობის კონფლიქტისთვის დამახასიათებელია უთანხმოება და ადამიანებს შორის პიროვნული დაპირისპირება, რაც ამცირებს ურთიერთგაგებას და ხელს უშლის ორგანიზაციული ამოცანების შესრულებას.

3. პროცესის კონფლიქტი - უშუალოდ უკავშირდება სამუშაო პროცესს, იმას თუ როგორ სრულდება შესასრულებელი სამუშაო. პროცესის კონფლიქტის დაბალი დონე და ამოცანის კონფლიქტის დონე დაბალიდან საშუალომდე ფუნქციურია. იმისათვის, რომ პროცესის კონფლიქტი პროდუქტიული იყოს მისი დაბალი დონე უნდა იქნეს შენარჩუნებული.

შეიძლება ითქვას, რომ სხვა მრავალი კომფლიქტი ძირითადად ამ სამი ტიპის კონფლიქტის კომბინაციას წარმოადგენს.

რაც შეეხება ორგანიზაციებს, მკვლევარები ძირითადად გამოყოფენ ორგანიზაციისთვის დამახასიათებელ შემდეგი ტიპის კონფლიქტებს:

ა) საქმესთან დაკავშირებული კონფლიქტები, რომელიც წარმოიშობა მაშინ, როდესაც დაპირისპირებულ მხარეებს გააჩნიათ საერთო მიზანი, მაგრამ რა რესურსებისა და მეთოდების გამოყენებით შეასრულონ იგი ვერ აღწევენ შეთანხმებას.

ბ) როლების გადანაწილებასთან დაკავშირებული კონფლიქტი, რასაც იწვევს ის, რომ ყველა ადამიანს სამუშაოს შესრულების პროცესში გააჩნია თავისი როლი, მაგრამ, როდესაც იგი ვერ ითავისებს თავის როლს, არ მოსწონს ან ვერ მოირგო მას, ეს უქმნის დისკომფორტს, რაც აისახება გუნდის წევრებთან ურთიერთობაზეც, რასაც თან მოსდევს პრობლემები და უთანხმოებები.

გ) მეთოდის არჩევასთან დაკავშირებული კონფლიქტი, რომელიც ვლინდება მაშინ, როდესაც არ არის ზუსტად გაწერილი თუ როგორ უნდა შესრულდეს მოცემული დავალება და ჯგუფის წევრები ვერ თანხმდებიან ერთ კონკრეტულ მეთოდზე. ყველა ცდილობს მისთვის სასურველი მეთოდით შეასრულოს დავალება, რის გამოც ადგილი აქვს ქაოსს, რაც გავლენას ახდენს შესრულებელი სამუშაოს ხარისხზე.

დ) ურთიერთობებთან დაკავშირებული კონფლიქტი, რომელიც უმეტესად თავს იჩენს, რიდესაც გუნდში მოდის ახალი წევრი და მისი ადაპტაციის პერიოდი გამოირჩევა ძველი თანამშრომლების მხრიდან მისდამი უნდობლობით, რა დროსაც ხშირია კონფლიქტები მანამდე, სანამ იგი გახდება გუნდის სრულყოფილი წევრი.

როდესაც ორგანიზაციაში არის კონფლიქტური სიტუაცია, მენეჯერმა უნდა ეცადოს განმუხტოს იგი. პრობლემების იგნორირება, თავის არიდება, ფიქრი იმისა, რომ კონფლიქტი თავისით მოგვარდება ორგანიზაციისთვის არის საზიანო. დამალული ან თუნდაც დროებით შეჩერებული და ბოლომდე მოუგვარებელი კონფლიქტი მიძინებ-ული ვულკანივითაა, რომელმაც შეიძლება ნებისმიერ დროს, გარკვეული მაპროვოცი-რებელი პირობების დადგომისთანავე იფეთქოს და ზიანი მოუტანოს ორგანიზაციას.

მეცნიერებაში კონფლიქტების წარმოქნის ორ ძირითად თეორიას განასხვავებენ. ესაა, პიროვნული ნაკლოვანების თეორია და გარემოდან გამოწვეული თეორია.

- პიროვნული ნაკლოვანების თეორია გულისხმობს, რომ მენეჯერს კონფლიქტის წარმოშობის მიზეზად მიაჩნია პიროვნება (მისი ნაკლოვანებები) და არა გარემო, სადაც ის

მუშაობს. მენეჯერთა ნაწილი თვლის, რომ სამუშაოს უხარისხოდ შესრულების მიზეზი არის მომსახურე პერსონალის შესაბამისი უნარ-ჩვევების არქონისა და მოტივაციის ნაკლებობის ბრალი. მენეჯერი არასდროს თავის თავს არ ადანაშაულებს და ვერ ხედავს თავის ბრალეულობას. თუმცა, თანამშრომლებისათვის მოტივაციის არ არსებობა, ნაკლებობა, ეს არის მენეჯერის სისუსტე, რადგან მენეჯერმა უნდა შეძლოს თანამშრომლების მოტივირება, რითაც გაზრდის პროდუქტიულობას. თუ ასეთ კონფლიქტს შევხედავთ თანამშრომელთა პოზიციიდან, სამუშაოს ცუდად შესრულების მიზეზი შეიძლება იყოს არახელსაყრელი გარემო-პირობები ან მენეჯერების თუ სხვა თანამშრომლების არაკოლეგიალური დამოკიდებულება ერთმანეთისადმი.

- გარემოდან გამოწვეული კონფლიქტის თეორიაში იგულისხმება ყველა ის სხვადასხვა მიზეზი, რასაც მენეჯერი კონფლიქტის გამომწვევად ხედავს, ეს შეიძლება იყოს: პიროვნული განსხვავებულობა, ინფორმაციის ნაკლებობა, როლებისა და ფუნქციების შეუთავსებლობა, ხარვეზები მართვაში, კონკურენცია, ორგანიზაციის გარედან გამოწვეული სტრესი.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ორგანიზაციის ეფექტური საქმიანობა წარმოუდგენელია მუდმივად სიახლეების და ცვლილებების განხორციელების გარეშე.

ცვლილებები, რომელიც ეხება ორგანიზაციის საქმიანობის სრულყოფას აუცილებელია, მაგრამ არასწორი ცვლილებების განხორციელებაც აგრეთვე შეიძლება გახდეს ორგანიზაციაში, როგორც თანამშრომლებს, ასევე მენეჯერსა და თანამშრომლებს შორის კონფლიქტების მიზეზი.

ორგანიზაციის განვითარებისთვის აუცილებელია შეგუება მუდმივ ცვლილებებთან, შესაბამისად, მენეჯმენტს უნდა გააჩნდეს უნარი მუდმივად განახორციელოს განახლება, უნდა აფასებდეს და პატივს სცემდეს ინოვაციებს, რაც არის ახალი იდეების დაბადებისა და პრაქტიკაში გამოყენების პროცესი და ახსოვდეს, რომ წარმატებულია ცვლილებებზე ორიენტირებული ორგანიზაცია მხოლოდ მაშინ, როდესაც პრობლემის გადაწყვეტაში ჩართული იქნება თითოეული თანამშრომელი და სადაც მენეჯმენტი მუდმივად ფიქრობს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

კონფლიქტოლოგიაში შემუშავებულია ხუთი მეთოდი, რაც ნებისმიერი ტიპის კონფლიქტური სიტუაციის მოგვარებას ესადაგება. თითოეულ კონკრეტულ სიტუაციას ინდივიდუალური მიდგომა სჭირდება და წინასწარ ვერ განსაზღვრავ თუ როგორ უნდა მოიქცეს მენეჯერი, მაგრამ რომელიმე მათგანის არჩევამდე კარგად უნდა იქნეს გააზრებული კონფლიქტის მიზეზები და პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზები, რათა ხელი შეეწყოს კონფლიქტების მოგვარებას. აღნიშნულის ძირითადი თავისებურებაა ის, რომ პიროვნული წყენის უგულებელყოფით აქცენტი გაკეთდეს პრობლემების მრავალმხრივ განხილვაზე. კონფლიქტის გადაწყვეტის ეს ინტერპერსონალური მეთოდებია: კონფლიქტის თავიდან არიდება, დათმობა, კომპრომისი, კონკურენცია, თანამშრომლობა.

ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტურობისთვის მნიშვნელოვანია, რომ მენეჯერს გააჩნდეს კონფლიქტების მართვის უნარები. მენეჯერი ყოველთვის ყურადღებით უნდა მოეკიდოს კონ-ფლიქტის სიგნალებს და შეეცადოს თავიდანვე მის კონსტრუქციულად მოგვარებას, რისთვისაც პირველ რიგში აუცილებელია კონფლიქტის იდენტიფიცირება. ამასთან, მენეჯერს უნდა შეეძლოს კონფლიქტის გადაჭრის საუკეთესო გზების მოძიება და გადაწყვეტილების მიღება, რაც ისეთ ნაბიჯებს მოიცავს, როგორიცაა: დიალოგის დაწყება (გულისხმობს იმას, რომ მხარეებს პირდაპირ კონფლიქტზე არ უნდა დაელაპარაკო), შეხედულების გამოხატვა (რაც პირადი ემოციური განწყობის თავშეკავებაა), რეალური მიზეზის დადგენა (აუცილებელია პრობლემის რეალური არსის გარკვევა), პრობლემების ერთობლივი მოგვარება (გულისხმობს კონფლიქტის მონაწილეთა აზრის მოსმენას პრობლემის მოგვარების ხერხებზე), შეთანხმება (დათმობა, კომპრომისი, კონსესუსი), კონტროლი (გადამოწმება, თუ რამდენად სწორად იქნა გადაწყვეტილება მიღებული).

დასკვნა

ამდენად, კონფლიქტების მოგვარება რთული პროცესია. ამასთან, კონფლიქტების მართვა ორგანიზაციის ეფექტიანი საქმიანობის განხორციელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს, რადგან მისი ძირითადი მიზანი ეფექტური კომუნიკაციის გზით თანამშრომელთა ურთიერთგაგების უზრუნველყოფაცაა.

შესაბამისად, კონფლიქტის ეფექტურად მართვისთვის, მიზანშეწონილია ერთ-მანეთისგან გაიმიჯნოს პიროვნება და პრობლემა, მოხდეს კონფლიქტში მონაწილეთა პოზიციების გარკვევა, მოლაპარაკებების პროცესის წარმართვა აქტიური მოსმენის, გულისხმიერი დამოკიდებულების, დაპირისპირებული მოსაზრებების დაახლოების, საკუთარი და სხვა ადამიანების მიმართ ღირსების პატივისცემის და გულწრფელი თვითგამოხატვის გზით. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ხშირად კონფლიქტს გაუგებრობა ან უთქმელობა იწვევს და მისი მოგვარებაც საუბრის, სხვისი აზრის პატივისცემისა და მოსაზრებების გაცვლა-გამოცვლის მეშვეობითაა შესაძლებელი.

ლიტერატურა:

1. თინათინ იაშვილი - „კონფლიქტების მენეჯმენტი ორგანიზაციებში“, 2016.
2. სტივენ პ. რობინსი, ტიმოთი ა. ჯაჯი - „ორგანიზაციული ქცევის საფუძვლები“, 2009.
3. ევგენი ბარათაშვილი, ლამარა ქოქიაური - „მენეჯმენტის პრინციპები“, 2010.
4. ნინო ფარესაშვილი - „კონფლიქტების მართვა“, 2012
5. გიორგი შუბლაძე, ბაბულია მღებრიშვილი, ფიქრია წოწკოლაური - „მენეჯმენტის საფუძვლები“, 2008.

The importance of conflict management in the activities of the organization

Iashvili Genadi
Professor at Georgian Technical University

Mirotadze Giorgi
Doctoral student at the Georgian Technical University

Summary

According to the traditional view, any conflict is of a negative nature, hindering the normal work process and negatively affects the productivity of employees, which also has a negative impact on the activities of the organization. Consequently, a good manager always tries not to have disagreements in the organization and from the very beginning, eliminate them in a timely manner.

Conflict can be understood and seen differently by people involved in the conflict. It is valued differently by managers, employees and such conflicts will have different consequences for organizations and employees. Conflict management is a relatively new direction in management. Conflictology as a scientific discipline dates back to the middle of the twentieth century. It will explore conflict resolution and methods of resolving it. Conflict control leads to negative consequences, but it is important to understand that the existence of conflict is not in itself detrimental to the organization if the manager tries to manage it.

This paper discusses the concept of conflict, the methods of its origin and resolution, and the conflict inherent in the organization.

Keywords: Conflict, Organizational Conflict, Conflict Management, Causes of Conflict, Ways to Resolve Conflict.

საბანკო-საფინანსო მომსახურების სისტემის ეფექტურობის შეფასების მენეჯმენტი

ლიპარტია ზურაბი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ბასილაია დავითი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

საქართველოში 1995 წლიდან ქვეყნის ეფექტიანი და საკრედიტო საანგარ-იშსწორებო მომსახურების საჭიროება განისაზღვრა „საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის" მიერ დადგენილი ეფექტური საბანკო ზედამხედველობის 25 ძირითადი პრინციპების შესაბამისად.

საქართველოს საბანკო-საფინანსო სისტემა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი ძალაა. იგი ბევრად უფრო განვითარებულია სხვა სფეროებთან შე-დარებით, რაც გამოიხატება როგორც მის სტაბილურობასა და მდგრადობაში, ისე ბანკების მიერ შემოთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების ფართო სპექტრსა და უცხოური კომპანიების მიერ განხორციელებული ინვესტიციების მოცულობაში.

ეფექტური საბანკო ფინანსურ მენეჯმენტი მოიცავს საკრედიტო რესურსების მოძრაობის უწყვეტობისა და თანადროულობის უზრუნველსაყოფად ბანკის მიერ მიღებული მმართვე-ლობითი ღონისძიებების სისტემას, რომლის მიზანია ბანკის ფინანსური სიმყარის უზრუნველყოფა, კლიენტების რესურსებისა და მათი შემოსავ-ლიანობის დაცვა, ბანკის ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის უზრუნველყოფა და ა.შ., ხოლო მაკროდონეზე კომერციული ბანკების მიზნად გვესახება ბიზნესის აქტივობის ამაღლება საკრედიტო რესურსების გამოყენების მიმართულებით.

საკვანძო სიტყვები: საბანკო და ფინანსური მომსახურების სისტემა; ფინანსური მენეჯ-მენტის ეფექტიანობის შეფასება; აუდიტი საბაკო-საფინანსო ბიზნესის კონტროლის სისტემაში; ფინანსური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სტრატეგია.

შესავალი

საბანკო-საფინანსო მომსახურების სისტემის ეფექტურობის შეფასების მენეჯმენტი

საქართველოში საბანკო სისტემის ევოლუცია და განვითარებას, როგორც მსოფლიოს უმეტეს ძველ ცივილიზებულ ქვეყანაში საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. 1995 წლიდან ქვეყანას ეფექტიანი და საკრედიტო საანგარიშსწორებო მომსახ-ურების საჭიროება გაუჩნდა საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნებიდან გამომდინარე, რომელიც ეფუძნებოდა მსოფლიოს წამყვანი ინდუსტრიული ქვეყნე-ბისა და „საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის" მიერ დადგენილ „ეფექ-ტური საბანკო ზედამხედველობის 25 ძირითად პრინციპს". შესაბამისად, საბანკო სისტემის მდგრადი და ეფექტური ფუნქციონირებისათვის ამავე პერიოდიდან საქა-რთველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკების ფინანსური მდგომარეობის შეფასებაც ეფუძნება საყოველთაოდ ცნობილ და მრავალ ქვეყანაში აპრობირებულ CAMEL-ის სარეიტინგო სისტემას, რომელიც შედგება: C (Capital Adecuacy) კაპიტალის ადეკვატურობა, შესაბამისობა; A (Asset Quality) ბანკის აქტივების ხარისხი; M (Manage-ment) მენეჯმენტი; E (earnings) შემოსავლები; L (liquidity) ლიკვიდურობა.

საბანკო-საფინანსო საქმიანობა მიმდინარეობს მუდმივად ცვალებად ეკონო-მიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ სიტუაციაში, ეს ყველაფერი გავლენას ახდენს საკრედიტო ორგანი-ზაციის საერთო ეკონომიკურ სიმყარეზე. აქედან გამომდინარე ბანკის ძირითადი ყურადღება

გამახვილებული უნდა იყოს ორგანიზაციულ-ეკონ-ომიკურ ღონისძიებებზე, ბანკის საფინანსო-ეკონომიკური პოლიტიკის კომპლექსურ შეფასებაზე, ინფორმაციულ-ანალიტიკური უზრუ-ნველყოფის და საბანკო ფინანსური ტექნოლოგიების სრულყოფაზე.

ძირითადი ნაწილი

კომერციული ბანკის მდგრადობას არსებულ საბაზრო გარემოში განსაზღვრავს რამდენიმე ფაქტორი: 1) კაპიტალური სიმყარე; 2) სიდიდე; 3) სიმყარე; 4) ორგანიზ-აციულ-სტრუქტურული სიმყარე; 5) ფინანსური სიმყარე.

თითოეულმა ბანკმა უნდა უზრუნველყოს თავისი ლიკვიდობის შენარჩუნება მოცემულ დონეზე, როგორც მისი მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე, ასევე საქ-მიანობის შედეგების პროგნოზირებისა და შემდგომში საწესდებო კაპიტალის, სპეცი-ალური დანიშნულების ფონდებისა და რეზერვების, ნასესხების საშუალების მოზი-დვას, აქტიური ოპერაციების განხორციელების სფეროში დასაბუთებული ეკონ-ომიკური პოლიტიკის გატარებით. შესაბამისად, ბანკის ბალანსის ლიკვიდობა ფასდე-ბა სპეციალური მაჩვენებლების გაანგარიშებით, რომლებიც ასახავენ აქტივებისა და პასივების თანაფარდობას, აქტივების სტრუქტურას. ლიკვიდურ სახსრებზე მოთხო-ვნის დაკმაყოფილებისათვის ბანკმა შეიძლება მოიზიდოს ის შეთავაზების პოტენციური წყაროებიდან. როგორც წესი მეტად მნიშვნელოვანი წყაროა: კლიენტ-ებისაგან ანაბრების შემოსვლა, ადრე აღებული სესხის დაფარვა, შემოსავლები არასადეპოზიტო საბანკო მომსახურებიდან, ფულად ბაზრებზე აღებული სესხებ-იდან, ბანკის აქტივების გაყიდვა. ლიკვიდობის ოპტიმალური დონის შენარჩუნება ბანკის მართვაში მუდმივი პრობლემაა და ყოველთვის მიმართულია მისი მოგებიან-ობის ზრდისაკენ. ბანკისათვის შედარებით გავრცელებულ ლიკვიდურ აქტივებს წარმოადგენს სახაზინო თამასუქები, ეროვნული ბანკის სესხები, სხვა ბანკებში დეპო-ზიტები, ბანკის აქცეპტები. ბანკი არის ლიკვიდური როდესაც მას შეუძლია მიიღოს ლიკვიდური სახსრები მისაღებ ფასად, დროის აუცილებელ მომენტში.

ბანკის მოთხოვნილებები ლიკვიდურ სახსრებზე და მათ განთავსებაზე გადაწყვეტილება მუდმივად უნდა ანალიზდებოდეს ლიკვიდური სახსრების დეფიც-იტისა და სიჭარბისაგან თავის დაღწევისათვის. ლიკვიდობის მართვისათვის მენეჯე-რმა ყურადღებით უნდა შეისწავლოს ყველა ფაქტორი და მოახდინოს სარეზე-რვო სახსრების ალტერნატიული წყაროების სწორი არჩევანი. კომერციული ბანკის მოგება წარმოადგენს მისი განვითარების და წარმოების შინაგან წყაროს, სწორედ ამიტომ მოგების მართვა საბანკო მენეჯმენტის მთავარი შემადგენელი ნაწილია, რომლის უპირველესი მიზანია მოგების მაქსიმიზაცია დასაშვები რისკებისა და ლიკვიდობის უზრუნველყოფის პირობებში.

შესაბამისად, საბანკო-საკრედიტო სისტემის მოგების მართვის ძირითად ელემენტებად განიხილება: ბანკის ქვედანაყოფების განსაზღვრა, რომლებიც მონაწილ-ეობენ მოგების მართვის პროცესში; შემოსავლების, ხარჯებისა და ბანკის მოგების დაგეგმვა; საბანკო საქმიანობის მოგებიანობის დონის შეფასების მეთოდების გამოყე-ნება; მოგების მიმდინარე მართვის მეთოდების განსაზღვრა.

საქართველოს საბანკო-საფინანსო სისტემა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი ძალაა. იგი ბევრად უფრო განვითარებულია სხვა სფეროებთან შე-დარებით, რაც გამოიხატება როგორც მის სტაბილურობასა და მდგრადობაში, ისე ბანკების მიერ შემოთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების ფართო სპექტრსა და უცხოური კომპანიების მიერ განხორციელებული ინვესტიციების მოცულობაში. შესაბამისად, ფინანსური პოლიტიკა ძირითადად მოიცავს აქტივებისა და პასივების კომპლექსური მართვას, რომელიც მოკლე და გრძელვადიან პედიოდში სხვადასხვა მიზნებს ისახავს, თუმცა მთლიანობაში იგი მიმართულია:

1)წმინდა საპროცენტო შემოსავლისა და საბაზრო ღირებულების გადიდებისაკენ; 2) ბანკის დანახარჯების კონტროლისა და სესხების ხარისხის შენარჩუნებისაკენ; 3) ლიკვიდურობის უზრუნვ-ელყოფისა და კაპიტალის შექმნისაკენ; 4) ბალანსგარეშე საქმიანობის მართვისაკენ.

კვლევები მიუთითებენ, რომ ხარისხიან, ეფექტურ საბანკო ფინანსურ მენეჯმ-ენტს თავისი სწორი ფინანსური პოლიტიკით შეუძლია წინ აღუდგეს ნეგატიურ მიკრო და მაკროეკონომიკური ფაქტორების ზემოქმედებას. კომერციული ბანკის საქმიანობა შეიძლება ნამდვილად წარმატებული იყოს მაშინ, თუ იგი ბრმად კი არ მისდევს გარემოს ცვლილებებს, არამედ სათანადო პოლიტიკის დამუშავებით ანეიტრალებს უარყოფით ფაქტორებს და მაქსიმალურად იყენებს დადებით ფაქტორებს. ბანკის ფინანსური პოლიტიკა საერთო საბანკო სისტემის პოლიტიკის ნაწილია და როგორც უკვე აღინიშნა, იგი ძირითადად მოიცავს აქტივების და პასივების მართვას.

საბანკო საქმის პრაქტიკაში დიდი ხანია გავრცელდა აქტივების და პასივების კომპლექსური მართვა, ანუ მისი ერთ პორტფელად მართვა (ბალანსის არა ცალკეული ნაწილების, არამედ მთელი ბალანსის კოორდინირებული მართვა). აქტივებისა და პასივების მართვის ინსტრუმენტარიუმის გამოყენებით ხორციელდება შემდეგი მაჩვენებლების გამოთვლა და ანალიზი, როგორიცაა: წმინდა საპროცენტო მარჟა; საპრ-ოცენტო განაკვეთების ცვლილების მიმართ მგრძნობიარე აქტივებისა და პასივების დისბალანსი (გეპი); ვალის ხანგრძლივობა (“დიურაცია”). ბანკის ფინანსური მენეჯ-მენტი უნდა ითვალისწინებდეს ყველა იმ ფაქტორს (საპროცენტო განაკვეთების, შემოსავლებისა და ხარჯების სტრუქტურის ცვლილებები, აქტივებისა და პასივების თანაფარდობითი ცვლილება და ა.შ.), რომლებიც მოქმედებენ წმინდა საპროცენტო მარჟაზე და უზრუნველყოფდეს მის ფიქსირებულ დონეზე შენარჩუნებას. კომერციულ ბანკებში ფინანსური მენეჯმ-ენტის მიერ „გეპ“ მოდელის მართვის მიზანია მისი გამოყენება პროცენტული რისკის შესამცირებლად. საპროცენტო მარჟის ცვლილებას განსაზღვრავენ, როგორც ბანკის მგრძნობიარე აქტივების და პასივებს შორის სხვაობას.

გამოჩენილი ქართველი მეცნიერ-ფინანსისტი, აკადემიკოსი გ.ცაავა კომერციული ბანკების ფინანსური მდგომარეობის შესაფასებლად გამოყოფს [1]: ფინანსური კოეფი-ციენტების ორ ჯგუფს: ა) მაჩვენებლები, რომლებიც მთლიანობაში საკრედიტო ორგანიზაციის აქტივებისა და პასივების სტრუქტურისა და ლიკვიდობის შეფასების შესაძლებლობას იძლევა; ბ) მაჩვენებლები, რომლებითაც საკრედიტო ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტურობის შეფასება ხორციელდება და იგი ძირითადად პირველი ჯგუფის ფინანსური კოეფიციენტების დეტალიზაციას და გაშიფვრას ემსახურება. მისი აზრით, რომელშიც იგი იმოწმებს რუს მეცნიერ ა. ტიუტნიკს, კომერციული ბანკების ფინანსური მდგომარეობის სრული სურათის შექმნისა და წარმატებული ანალიზი-სათვის საანგარიშო კოეფიციენტების სრული ნაკრების გამოყენება არის მიზანშეწო-ნილი. კერძოდ, ბანკის აქტივების (A) ხარისხის შეფასება შემდეგი ფინანსური კოეფიც-იენტების A1; A2; A3; A4; A5-ს გამოყენებით, ხოლო ხოლო, პასივების (P) ხარისხის შესაფასებლად: P1; P2; P3; P4.

ამრიგად, კომერციული ბანკების ფინანსური მდგომარეობის შესაფასებლად და მისი ფინანსური მენეჯმენტის ქმედითუნარიანობის დასახასიათებლად იყენებენ მიმდინარე და სწრაფი (ვადიანი) ლიკვიდობის, აქტივების და აქციონერული (საკუ-თარი) კაპიტალის რენტაბელობის და საერთო გადახდისუნარიანობის კოეფიც-იენტურ მაჩვენებლებს. ცნობილია, რომ რომ სხვადასხვა ქვეყანა ბანკის ლიკვიდობის შესაფასებლად სხვადასხვა მაჩვენებელს იყენებს. არც ზევიდან ნორმატივების დაწეს-ებაა ყველა ქვეყანაში მიღებული. უცხოელი ექსპერტები თვლიან, რომ ბანკის ლიკვიდობის სრულად გაზომვა ფინანსური კოეფიციენტებით შეუძლებელია. ამიტომ მათთან (აშშ, იაპონია) იგი თანდათან ეფუძნება აქტივების და პასივების მიხედვით წარმოქმნილ ნაღდი ფულის ნაკადებს. დასკვნა, კომერციული ბანკების ლიკვიდობის მართვა რთული და კომპლექსური ამოცანაა. ცნობილია, რომ მეტისმეტი ლიკვიდობა

უარყოფითად მოქმედებს ბანკის შემოსავალზე. ამიტომ ხანმოკლე პერიოდში ბანკის-თვის მომგებიანია ლიკვიდობის შენარჩუნება მინიმალურ დონეზე და ნორმატივის მინიმალურ ზღვარზე მუშაობა გრძელვადიან პერიოდში უკეთესი ვარიანტია ლიკვიდობის შედარებით უფრო მაღალი დონის შენარჩუნება, რაც მართალია, შეაფერხებს მაღალი შემოსავლიანობის მიღწევას, მაგრამ სამაგიეროდ ხელს შეუწყობს ბანკების ფინანსური მდგომარეობის განმტკიცებას.

გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, პროფესორი ლ. ქოქიაური ბანკების ფინანსურ მენეჯ-მენტში პირველხარისხოვან მნიშვნელობას აძლევს მიმდინარე, ელვისებურ და გრძელვადიანი ლიკვიდობის, საერთო ლიკვიდობის და ფასიან ქაღალდებზე წარმოებ-ული ოპერაციების ლიკვიდობის კოეფიციენტებს. აგრეთვე, აქტივების გამოყენების ეფექტიანობის კოეფიციენტს, რომელიც ტოლია შემოსავლის მომტან ანგარიშებზე არსებული საშუალო ნაშთები შეფარდებული მთელი აქტივების ანგარიშზე არსებული საშუალო ნაშთებთან. აქტივების შემოსავლიანობის დონეს, რომელიც ტოლია შემოს-ავლის მომტანი ნეტო აქტივები შეფარდებული შემოსავლის მომტან ბრუტო აქტივე-ბთან და საკუთარი კაპიტალის რენტაბელობას, რომელიც ტოლია მოგება შეფარდებ-ული კაპიტალთან, ასევე აქტივების რენტაბელობა, რომელიც ტოლია მოგება შეფარდებული აქტივებთან [2].

ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი-ფინანსისტი ჯოზეფ სინკი დიურაციის შესახებ აღნიშნავს, რომ დიურაცია შეიძლება წარმოიდგინოთ როგორც ეფექტური დრო დაფ-არვამდე. იგი იძლევა პასუხს კითხვაზე თუ რამდენი დრო დასჭირდება ინვესტორს შეძენილი კაპიტალის საბაზრო ღირებულების დასაბრუნებლად, ანუ რა სიდიდის საშუალო დრო არის საჭირო ყველა ძირითადი თანხისა და პროცენტის მისაღებად [3].

შესაბამისად, კომერციული ბანკის (საბანკო-საფინანსო დაწესებულების) ფინან-სური მენეჯმენტის ქმედითუნარიანობა იმ ფინანსური შედეგით უნდა შეფასდეს, როგორიცაა: კომერციული ბანკის ლიკვიდობა; გადახდისუნარიანობა; საკუთარი კაპ-იტალის საკმარისობა (ნორმატივთან შედარებით); რენტაბელობის დონე; საკრედიტო აქტივების კოეფიციენტი; საკრედიტო პორტფელის მაჩვენებლები და ა. შ.

კომერციული ბანკის ფინანსური მენეჯმენტის ქმედითუნარიანობა იმ ფინანსური შედეგით უნდა შეფასდეს, როგორიცაა: კომერციული ბანკის ლიკვიდობა; გადახდის-უნარიანობა; საკუთარი კაპიტალის საკმარისობა (ნორმატივთან შედარებით); რენტაბ-ელობის დონე; საკრედიტო აქტივების კოეფიციენტი; საკრედიტო პორტფელის მდგ-ომარების მაჩვენებლები და ა. შ.

ამერიკელი მეცნიერი ბოსტონის უნივერსიტეტის ფინანსების პროფესორი ზვი ბოდი და ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი, ნობელის პრემიის ლაურიატი ეკონომიკის დარგში (1997) რობერტ მერტონი უპირატესობას ანიჭებენ ფინანსური შედეგების ანალიზისა და სამომავლო საქმიანობის პროგნოზირებისას, შემდეგი ფინა-ნსური კოეფიცენტების გამოყენებას, როგორიცაა: ა) ბანკის აქციონერულ (საკუთარი) კაპიტალს ROE, რომელიც ტოლია წმინდა მოგება/აქციონერულ კაპიტალთან;ბ) აქტივების რენტაბელობის მაჩვენებლებს ROA, რომელიც ტოლია მოგება გადასახ-ადების და პროცენტების გადახდამდე/აქტივების ჯამთან; გ)ლიკვიდობის მაჩვენე-ბლებიდან მყისიერი (მომენტალური) ლიკვიდობის მაჩვენებელს, რომელიც ტოლია ფულად სახსრებს დამატებული დებიტორული დავალიანება შეფარდებული მოკლევ-ადიან ვალდებულებებთან; დ) მიმდინარე ლიკვიდობის მაჩვენებელს, რომელიც ტოლია საბრუნავი აქტივები შეფარდებული მოკლევადიან ვალდებულებებთან [4].

კვლევები გვიჩვენებს, რომ საზღვარგარეთის ქვეყნების (მათ შორის საქართველოშიც) სამწუ-ხაროდ კომერციული ბანკების ფინანსური მენეჯმენტის ქმედითუნარიანობის შეფასების ერთი-ანი, უნიფიცირებული, სისტემური მეთოდიკა არ არსებობს. წინამდებარე ნაშრომში განხილულია ქართველ და უცხოელ მეცნიერთა მიერ ეფექტიანობის შეფასების შემოთავაზებულ მიდგომები და

შესაბამისად, ნაშრომის დასკვნით ნაწილში გამოვყოფთ ჩვენს თვალსაზრისს მაჩვენებელთა თუ რომელ ჯგუფს ვანიჭებთ უპირატესობას ეკონომიკური ეფექტიანობის შესაფასებლად.

მმართველობითი აუდიტის საბანკო ბიზნესის კონტროლის სისტემაში, მთავარ მიზანს წარმოადგენს: შექმნას შიდა კონტროლის სისტემები, რომლებიც უზრუნვ-ელყოფენ ინვესტორე-ბის, ბანკებისა და მათი კლიენტების ინტერესების დაცვას ბანკის თანამ-შრომლების მიერ კანონ-მდებლობის, კონტროლის დაწესების, ინტერესთა კონფლიქტების მოგვარების და საიმედოობის ისეთი დონის უზრუნველყოფის გზით, რომელიც შეესაბამება ბანკის მიერ ჩასატარებელი ოპერაციების შინაარსისა და საბანკო საქმიანობის რისკების მინიმიზაციას. ბანკებში შიდა კონტროლის (აუდიტის) ორგან-იზაციის ძირითად საკითხებს უმთავრესად ეროვნული (ცენტრალური) ბანკის ნორმ-ატიული აქტები დებულებები და მითითებები განსაზღვრავს [5].

ბანკის საქმიანობის აუდიტის სისტემა მოიცავს მონიტორინგულ მოწყობას ბანკის მუშაობის ყველა უბანზე, მათი საქმიანობის შედეგების შესაფასებლად და საბანკო ბიზნესის შემდგომი გაუმჯობესებისა და განვითარების მიზნის სტრატეგიული გეგ-მის ფორმირებისათვის გადაწყვეტილების მისაღებად, რომელმაც უნდა უზრუნვე-ლყოს კომერციული ბანკის ფინანსური უსაფრთხოების დაცვა.

ფინანსური უსაფრთხოების შენარჩუნების მთავარი პრინციპია ეკონომიკური სის-ტემის შემოსავლებისა და ხარჯების კონტროლი და ბალანსირება. ფინანსური უსაფ-რთხოების შენარჩუნებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შიდა და გარე ფაქტორები.

ბანკის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სტრატეგიის კონცეფციებად განიხილება: ა) აქტიური წინმსწრები უკუზემოქმედების; ბ) პასიური დაცვის; გ) ადეკვატური პას-უხის (კომპრომისული). შესაბამისად, ბანკის უსაფრთხოების სისტემის ფორმირების, ექსპლოატაციისა და განვითარებისას აუცილებელია დაცულ იქნას ზოგიერთი მეთო-დური მოთხოვნები და მიდგომები, როგორიცაა: 1) უმთავრესია სისტემური მიდგომის გამოყენება. 2) მეთოდური მიდგომით პოტენციური საფრთხეების თავიდან აცილების ღონისძიებათა პრიორიტეტის განსაზღვრა; 3) ორიენტირება კონფიდენციალური ინფორმაციის პრიორიტეტულ დაცვაზე. 4) ბანკის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში მისი ყველა სტრუქტურული ერთეულის უშუალო მონაწილეობა მათი კომპეტენციისა და პასუხისმგებლობის ფარგლებში. 5) უსაფრთხოების სამსახურის ურთიერთქმედება მენეჯმენტის სხვა რგოლებთან. 6) უსაფრთხოებაზე გაწეული ხარჯების თანაფარდობა საფრთხის რეალურ დონესთან. 7)უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების მკაცრად განსაზღვრული უფლებები და პასუხისმგებლობები.

დასკვნა

კვლევები მოწმობს, რომ ხარისხიან, ეფექტურ საბანკო ფინანსურ მენეჯმენტს თავისი სწორი ფინანსური პოლიტიკით შეუძლია წინ აღუდგეს ნეგატიურ მიკრო და მაკროეკო-ნომიკური ფაქტორების ზემოქმედებას. კომერციული ბანკის საქმიანობა შეიძლება ნამდვილად წარმატებული იყოს მაშინ, თუ იგი ბრმად კი არ მისდევს გარემოს ცვლილებებს, არამედ სათანადო პოლიტიკის დამუშავებით ანეიტრალებს უარყოფით ფაქტორებს და მაქსიმალურად იყენებს დადებით ფაქტორებს. ბანკის ფინანსური პოლიტიკა საერთო საბანკო სისტემის პოლიტიკის ნაწილია და იგი ძირი-თადად მოიცავს აქტივების და პასივების მართვას. კვლევის შედეგები მიუთითებენ იმაზე, რომ საბანკო-საფინანსო დაწესებულების ფინანსური მართვის ეფექტიანობას უცხოელი მეცნიერებიც ერთნაირი მაჩვენებლებით არ აფასებენ, ხშირად კი ერთი და იგივე მაჩვენებელს სხვადასხვანაირი მეთოდებით ანგარიშობენ.

კომერციული ბანკების ფინანსური მდგომარეობის შესაფასებლად ფინანსური კოეფიცი-ენტების ორ ჯგუფს გამოყოფენ: მაჩვენებლები, რომლებიც მთლიანობაში საკრედიტო

ორგანიზაციის აქტივებისა და პასივების სტრუქტურისა და ლიკვიდობის შეფასების შესაძლებლობას იძლევა; მაჩვენებლები, რომლებითაც საკრედიტო ორგა-იზაციის საქმიანობის ეფექტურობის შეფასება ხორციელდება და იგი ძირითადად პირველი ჯგუფის ფინანსური კოეფიციენტების დეტალიზაციას და გაშიფვრას ემსახურება. კომერციული ბანკების ფინანსური მდგომარეობის სრული სურათის შექმნისა და წარმატებული ანალიზისათვის საანგარიშო კოეფიციენტების სრული ნაკრების გამოყენება არის მიზანშეწონილი.

შესაბამისად, კომერციული ბანკების ფინანსური მდგომარეობის შესაფასებლად და მისი ფინანსური მენეჯმენტის ქმედითუნარიანობის დასახასიათებლად იყენებენ მიმდინარე და სწრაფი ლიკვიდობის, აქტივების და აქციონერული (საკუთარი) კაპი-ტალის რენტაბელობის და გადახდისუნარიანობის კოეფიც-იენტურ მაჩვენებლებს.

ლიტერატურა:

1. ცაავა გ., ხანთაძე გ. საბანკო მენეჯმენტი (თეორია, მეთოდები და პრაქტიკა). გამომცემლობა, “დანი” 2015.-გვ.
2. ქოქიაური ლ. საბანკო საქმიანობის საფუძვლები. ტ. 1-2. თბილისი. გამომც-ემლობა - “ტექნიკური უნივერსიტეტი”. 2010. - 742-751გვ.
3. Синки Дж. Финансовый менеджмент в комерческом банке и в индустрии финансовых услуг/Джозеф Синкимл.; Пер.с англ.М.:Альпина Бизнес Букс,2007. 351.
4. Боди, Зви, Мертон, Роберт. Финансы.: Пер. С англ.: Уч. пос. -М.: Издательский дом „Вильямс“, 2013. -592с. Эта книга является базовым учебником по курсу финансов, в которой рассматриваются вопросы, затрагивающие все аспекты современной финансовой наук. Гл. 3.6.С. 127-134).
5. ცაავა გ., გავაშელი შ., ცაავა დ., ბურდიაშვილი რ., მოსიაშვილი ვ. - „რისკო-ლოგია“: ეკონომიკური, ფინანსური და საბანკო საკრედიტო რისკების მენეჯმენტი. თბილისი 2018 წ.

Management of the evaluation of the efficiency of the banking-financial services system

Lipartia Zurab
Professor at Sokhumi State University

Basilaia David
PhD student at Sokhumi State University

Summary

The need for efficient and credit settlement services in Georgia since 1995 has been identified in accordance with the 25 Basic Principles of Effective Banking Supervision established by the Basel Committee on Banking Supervision.

The banking and financial system of Georgia is the main driving force of our country's economy. It is much more developed compared to other areas, which is reflected in its stability and sustainability, as well as the wide range of products and services offered by banks and the volume of investments made by foreign companies.

Effective bank financial management includes the system of management measures taken by the bank to ensure the continuity and concurrence of credit resources, which aims to ensure the bank's financial soundness, protect customers' resources and their income, ensure the bank's liquidity and solvency, etc. We aim to increase business activity in the use of credit resources.

Keywords: banking and financial services system; Evaluate the effectiveness of financial management; Audit in the banking-financial business control system; Financial security strategy.

დისტანციური საბანკო მომსახურება, როგორც თანამედროვე საბანკო ეკოსისტემის ძირითადი ელემენტი

მიქაია ელიკო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

საბანკო საქმიანობის წარმატებული განვითარების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია მუდმივი ინოვაციების პოლიტიკა. ამჟამად ინოვაცია არის ბანკების სტაბილურობის, კონკურენტუნარიანობისა და მდგრადი ეკონომიკური ზრდის მთავარი ფაქტორი. ნებისმიერი კომერციული ბანკის მიზანი, განსაკუთრებით ეკონომიკის ციფრულ-იზაციის პირობებში, არის ნაკლები დანახარჯებით მომხმარებელთა მოთხოვნილებების მაქსიმალურად დაკმაყოფილება, მომხმარებლისთვის საბანკო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება და ასორტიმენტის გაფართოება, რაც პირველ რიგში, ფინტექ-ინდუსტრიის განვითარებით და საბანკო სექტორში ინოვაციების აქტიური გამოყენებით არის შესაძლებელი. 21-ე საუკუნის ტექნოლოგიები სწრაფად იცვლება ადამიანების ცნობიერებასთან ერთად. ასეთ გარემოში, ძალიან მნიშვნელოვანია საბანკო სისტემა მზად იყოს ყველა სახის ცვლილებისთვის და შეაფასოს ამ პროცესების სავარაუდო შედეგები ადგილისა და სტატუსის შესანარჩუნებლად, საბანკო პროდუქტებისა და მომსახურების ბაზარზე. წინამდებარე სტატიაშიც, სწორედ ბანკების ფინტექ-ეპოქაში გადასვლის პროცესები და შედეგებია აღწერილი, ვინაიდან დღეს მთელი მსოფლიოს საბანკო სტრუქტურები კონცენტრირებულია ინოვაციური პროექტების განხორციელებისა და განვითარებაზე ციფრულ სივრცეში.

საკვანძო სიტყვები: საბანკო ინოვაციები, ციფრული ეკონომიკა, ფინტექი, ციფრული ბანკები.

შესავალი

ინოვაციური პროცესები თანამედროვე საბანკო სისტემაში

თანამედროვე ეკონომიკაში დღეს ყველაზე გავრცელებული საბანკო ინოვაცია არის დისტანციური სერვისების დანერგვა ინტერნეტ ტექნოლოგიების გამოყენებით. ეს საშუალებას გაძლევთ განახორციელოთ ონლაინ საინფორმაციო კონსულტაცია, განახორციელოთ საინვესტიციო და სავალუტო ოპერაციები, ელექტრონული ანგარიშსწორებები და გადახდები, ოპერაციები ინვესტიციებით, დეპოზიტებით, ვალუტით. გლობალურად, 2020 წლის მდგომარეობით, ონლაინ მომსახურე მომხმარებელთა რაოდენობა შეადგენდა მომხმარებელთა მთლიანი ბაზის 28%-ს. მოსალოდნელია, რომ უახლოეს წლებში უნაღდო ანგარიშსწორების მოცულობა გაორმაგდება და 420 მილიარდ ტრანზაქციას შეადგენს

ამრიგად, ბანკები ფართოდ იყენებენ კლიენტების მომსახურების პროცესში

ციფრულ ტექნოლოგიებს, რაც საშუალებას აძლევთ სწრაფად და ზუსტად მოახდინონ კლიენტის იდენტიფიცირება, შეამცირონ საბანკო ანგარიშის გახსნის დრო, გააუმჯობესოს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის ხარისხი, შიდა პროცესების ოპტიმიზაცია. ციფრულ ეკონომიკაში საბანკო ინოვაციების თვალსაზრისით ლიდერები არიან გერმანია, იაპონია, აშშ, სამხრეთ კორეა და გაერთიანებული სამეფო. ამ პროცესის საპირისპირო მხარე ინტერნეტ-თაღლითობების შემთხვევათა ზრდაა, რაც ერთ-ერთი მთავარი თანამედროვე საბანკო რისკია.

მსოფლიოს ტოპ-10 განვითარებული ქვეყნის საბანკო სექტორის მაგალითზე, ნათელია რომ, დღევანდელი წამყვანი ბანკების უმეტესობა ცდილობს მიაღწიოს “Direct bank”-ის მოდელს. ეს მოდელი გულისხმობს ყველანაირი ტრანზაქციის, რაც შესაძლებელია დისტანციური არხების მეშვეობით განხორციელებას. მაგალითად, ამერიკული ბანკი „JPMorgan Chase & Co.“ შეგვიძლია

გამოვიყენოთ მათ მიერ გამოქვეყნებული დოკუმე-ნტი,რომელშიც ვკითხულობთ, რომ „online“ ბანკთან დაკავშირებით აქვთ საკმაოდ დიდი მოლოდინები და მათი ინვესტიციები გარკვეული ნაწილი მომავალი წლებში განხორციელდება ამ სფეროში. მათ მიერ ჩატარებული კვლევა გათვლილია მოლოდინებზე და არ ასახავს აბსოლუტურ სიმართლეს, თუმცა ნათლად ჩანს, რომ მომხმარებლის ქცევა აშკარად მიმართულია ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებაზე

სხვადასხვა გერმანული ბანკის ოფიციალური საიტების კვლევისას გაანალიზდა გერმანიაში არსებული საბანკო სიტუაცია, სადაც საბანკო სისტემა არათუ ძალიან განვითარებულია, არამედ ბევრი ინოვაცია და საბანკო სისტემის მამოძრავებელი პროდუქტი სწორედ აქ დაინერგა და ეს ტენდენცია გრძელდება ბოლო 10 წლის განმავლობაში. გერმანია იყო ერთ-ერთი პირველი, სადაც შეიქმნა ტერმინი “Direktbanken”, რაც ნიშნავს ბანკს, რომელსაც მომსახურების უმეტესი ნაწილი გადაყვანილი ჰყავს დისტანციურ არხებზე. ამ მომენტისთვის გერმანიაში ფუნქციონირებს 1800-მდე ბანკი, რომელთაც ჯამში 35 000 ზე მეტი ფილიალი აქვს. ბანკების ძირითადი ნაწილს შეადგენს გერმანული ბანკები როგორიცაა: „Deutsche Bank“, „Commerzbank“, „Kfw“ და სხვა. გერმანიაში ასევე ფუნქციონირებს უცხოური ბანკები, რომლებიც უკვე გვხდება მთლიანად „Online”- ბანკის სახით, მაგალითად: „Bunq“, „N26“, „ComDirect“, „1822Direkt“, „DKB” და ასევე “ProCredit Bank”-ი, რომელიც საქართველოსთვისაც ცნობილია. ეს უკანასკნელი ბანკები გამოირჩევიან 100% - იანი “Directbanking”-ით, მათ არ გააჩნიათ ფილიალები, რომლებშიც შეიძლება მიხვიდე და რაიმე სტანდარტული სახის ტრანზაქცია შეასრულო.

თანამედროვე ბანკს არ შეიძლება ეწოდოს კონკურენტუნარიანი, თუ ის არ დანერგავს ციფრული გაყიდვების არხებს თავის ბიზნეს სტრატეგიაში, არ დანერგავს ახალ ტექნოლოგიებს და არ გააუმჯობესებს მომსახურების ხარისხს ინოვაციებით. შეგვიძლია გავაანალიზოთ საბანკო ინოვაციების მრავალი წარმატებული მაგალითი ციფრულ ეკონომიკაში

Hypo Vereins Bank-მა (გერმანია) წარმატებით ახორციელებდა ტრანსფორმაციის პროგრამას 2019 წლამდე, რამაც შეამცირა ხარჯები, გაზარდა მომხმარებელთა მომსახურების დრო და გაუმჯობესა მომსახურების ხარისხი. შედეგად, უმოქმედო სესხების რაოდენობა 2018 წელს 4.08%-დან 2019 წელს 3.26%-მდე შემცირდა. განხორციელების პირველ წელს (2018) მოგება გაიზარდა 365 მლნ.ევრო. UC eBanking აპლიკაცია დაინერგა მეწარმეების მომსახურებისთვის, რაც მათ საშუალებას აძლევს მართონ გადახდები და ნაღდი ფული და მიიღონ კონსულტაციები სმარტფონის გამოყენებით ING ბანკმა (ნიდერლანდები) დააჩქარა Think Forward სტრატეგია დღევანდელი მომხმარებლის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. 2016 წელს ციფრულ ტრანსფორმაციაში 800 მილიონი ევროს ინვესტიცია განხორციელდა. 2017 წელს კიდევ 300 მილიონი ევროს ინვესტიცია განხორციელდა. ბანკი გახდა 90 ფინანსური და ტექნიკური კომპანიის პარტნიორი, რომლებიც მონაწილეობენ ინოვაციური საბანკო გადაწყვეტილებების შექმნასა და განხორციელებაში. შედეგი იყო ხარჯების შემცირება და გაზრდილი ეფექტურობა.

Santander Bank (ესპანეთი), როგორც საბანკო ინოვაცია 2016 წელს, დანერგა „1-2-3 Loyalty Strategy”. ბანკმა ასევე გააფართოვა ბანკომატები უკონტაქტო ოფციებით,

მაგალითად, თანხის გატანა სმარტფონის გამოყენებით და შესთავაზა მომხმარებლებს სპეციალიზებული მობილური აპლიკაციები . ეს არის პირველი ბანკი ესპანეთში, რომელმაც Apple Pay აპლიკაცია წარადგინა 2016 წელს. ამან ხელი შეუწყო წმინდა შემოსავლის 4.7%-ით და კაპიტალის უკუგების 7.8%-ით ზრდას. სტრატეგიამ მოიზიდა ყველა ახალი მომხმარებლის 50%-ზე მეტი და გაუმჯობესა არსებული მომხმარებლების ლოიალობის მაჩვენებლები

SEB-Bank (შვედეთი) მომხმარებლისთვის უფრო ხელმისაწვდომი გახდა ციფრული ტექნოლოგიების დანერგვით. Aida ტექნოლოგია განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს - ეს არის ვირტუალური სერვისი მომხმარებლის სერვისისთვის, რომელიც აწარმოებს დიალოგებს

Tink-ის მეშვეობით, ეხმარება ნახოს შემოსავალი და ხარჯები და გადაჭრას სხვა საკითხები. ასევე დაინერგა დისტანციური ვიდეოკონფერენცია, ციფრული იპოთეკური პლატფორმა, ელექტრონული ხელმოწერები მომხმარებლებისთვის, ციფრული ბიზნეს დაგეგმვის ინსტრუმენტები ბლოკჩეინზე დაფუძნებული მცირე და საშუალო ბიზნესისთვის.

საბანკო ინოვაციების განვითარებამ და მთლიანობაში ციფრულმა ეკონომიკამ მნიშვნელოვნად ხელი შეუწყო ვირტუალური ბანკების გაჩენას და შემდგომ მათ განვითარებასაც. დღეს მსოფლიოში დაახლოებით 250-მდე ციფრული ბანკი ფუნქციონირებს. მათ შორისაა: Atom, Monza и Revolut (დიდი ბრიტანეთი), Number26 и Fidor Bank (გერმანია), Saxo Bank (დანია), Moven (აშშ), Nemea (მალტა), WeBank и MyBank (ჩინეთი), Tinkoff Bank (რუსეთი), Morning (საფრანგეთი). Atom Bank- ითვლება პირველ ციფრულ ბანკად მსოფლიოში, რომელმაც 2016 წლის ოქტომბერში მიიღო ლიცენზია დიდ ბრიტანეთში. სულ რაღაც ორ თვეში შეძლო 110 მლნ. სტერლინგის დეპოზიტის მიღება. გავლენიან ციფრულ ბანკად ითვლება ამერიკული Moven ბანკიც. გერმანული Number26-ბანკი თავდაპირველად შეიქმნა გერმანელი და ავსტრიელი მომხმარებლებისთვის, მაგრამ მას უკვე აქტიურად იყენებენ საფრანგეთში, იტალიასა და ესპანეთში. ამ ნეო-ბანკების უმრავლესობა საცალო კლიენტების მომსახურებაზეა ორიენტირებული. დიდი უპირატესობა მათი ტრადიციულ მოდელთან მიმართებაში, არის დაბალი საკომისიო. ტრადიციული მოდელის ბანკებს ამ მიმართულებით ნაკლებად აქვთ მანევრირების საშუალება, ვინაიდან სწორედ ამ საკომისიოებიდან მიღებული შემოსავლების დიდ ნაწილს საოპერაციო ხარჯებისთვის იყენებენ.

დასკვნა

საბანკო სექტორი მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვა სისწრაფითა და მოდელით ვითარდება. თუმცა, 21-ე საუკუნეში, ტექნოლოგიური ბუმის პერიოდში, პარალელურად მოხდა სხვადასხვა საბანკო მიმართულებების ჩამოყალიბება: „მომავლის ბანკი“, რომელიც უკვე ძალიან ახლოსაა, ყალიბდება როგორც მთლიანად ციფრული ბანკი, რომელსაც თითქმის არ აქვს ფილიალები და სადაც ყველა ოპერაცია კეთდება დისტანციური არხების მეშვეობით.

საბანკო ინოვაციების გლობალური ტენდენციები ხასიათდება საინტერესო ტექნიკური სიახლეებით და მომხმარებლებთან მჭიდრო და გრძელვადიანი ურთიერთ-ობის დამყარების სურვილით. აღსანიშნავია, რომ ამ ტენდენციებს ქართული ბანკებიც მიჰყვებიან და ზოგიერთი გლობალური საბანკო ინოვაცია უკვე წარმატებით გამოიყენება შიდა ბაზარზე. ბანკები და მათი მომხმარებლები მიჰყვებიან ტრენდს და ისინი უფრო და უფრო მეტ ინოვაციურ პროდუქტს ითვისებენ, მოსწონთ და შემდეგ იყენებენ. ამ პროცესის ძალიან დიდ დადებით მხარედ მიჩნეულია დროის დაზოგვით მიღებული სარგებელი, რაც 21-ე საუკუნეში ძალიან ფასობს. ასევე საკმაოდ გაადვილებული ინტერფეისები ხელს უწყობს ყველა სახის მომხმარებლის სურვილზე მორგებას. მიუხედავად იმისა, რომ გაციფრულების ტრენდი აღმავალია და ონლაინ ტრანზაქციების პროცენტული წილი განუხრელად იზრდება, კომერციულ ბანკებს მაინც უჭირთ მთლიანად უარი თქვან ტრადიციულ ბანკინგზე და იძულებულნი არიან შეინარჩუნონ ფილიალები და სერვისცენტრები, რათა მომსახურებით უზრუნველყონ ის კლიენტები, ვისთვისაც ხელმისაწვდომი არ არის ციფრული პროდუქტები.

ამრიგად, დღეს ინოვაციების ზრდა ძირითადად განპირობებულია სწრაფად განვითარებადი ციფრული ტექნოლოგიების ბაზრით და მონაცემების ძიების, კომბინაციისა და ანალიზის ახალი ვარიანტების გაჩენით. ფინანსური სერვისების დინამიურად განვითარებად ბაზარზე, კონკურენტულ გარემოში გაძლების მიზნით, კომერციული ბანკები აშენებენ ახალ ეფექტურ ბიზნეს მოდელებს, მომხმარებლის გამოცდილების და მოლოდინების ცვალებადობის გათვალისწინებით, ცდილობენ უზრუნველყონ საუკეთესო მომსახურება და დროულად უპასუხონ კლიენტების მოთხოვნებს.

ლიტერატურა

1. საბანკო საქმე - მოსიაშვილი ვ.,ჭელიძე მ.,აბუთიძე გ.- თბილისი, გამომცემლობა „დანი“ – 2020.
2. Ефимушкин В.А., Ледовских Т.В., Щербакова Е.Н. - Инфокоммуникационное технологическое пространство цифровой экономики. телекоммуникации и транспорт. 2017. Том 11.№5. С.15-20.
3. Сидоров А.С. - Влияние цифровой технологий на экономику страны. Российский внешнеэкономический вестник.2018. №8. С.119-128)
4. http://www.rfej.ru/rvv/id/9004BAF9A/$file/119-128.pdf
5. Цхададзе Н.В. - Развитие системы дистанционного банковского обслуживания: деньги уходят в онлайн // Вестник экономической безопасности. 2018. https://cyberleninka.ru/article/n/razvitie-sistemy-distantsionnogo-bankovskogo-obsluzhivaniya-dengi-uhodyat-v-onlayn
6. Forbes. ru - https://www.forbes.ru/tehnologii/344459-neobanki-budushchee-ili-tupikovaya-vetv-razvitiya-bankovskoy-sistemy

Remote banking as a key element of the modern banking ecosystem

Mikaia Eliko
PhD student of Georgian Technical University

Summary

One of the main factors for the successful development of banking is the policy of constant innovation. Innovation is currently a main factor in banks' stability, competitiveness and sustainable economic growth. The goal of any commercial bank, especially in the conditions of digitalization of the economy, is to maximize the needs of consumers with less costs, Improving the quality of banking services for customers and expanding the range, which is primarily possible through the development of the fintech industry and the active use of innovations in the banking sector. 21-st century technologies are changing rapidly with the advent of human consciousness. In such an environment, it is very important for the banking system to be prepared for all kinds of changes and to assess the likely consequences of these processes in order to maintain a place and status in the market for banking products and services. This article also describes the processes and results of the transition of banks to the fintech era, as today the banking structures around the world are concentrated on the implementation and development of innovative projects in the digital space.

Keywords: Innovation, Digitalization, Fintech, Digital Banks.

ციფრული ტექნოლოგიების როლი საქართველოს სამედიცინო სექტორში

ნეფარიძე ირინე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის რეორიენტაციის პროცესი, რომლითაც დაიწყო დარგში ცვლილებები, ქვეყანაში მიმდინარე ციფრული გარდაქმნების ერთიანი პროგრამის განუყოფელი ნაწილია. ამ გარდაქმნების შედეგად ინერგება მართვისა და ორგანიზაციის ახალი მოდელი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს დარგის მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების ოპტიმიზაცია და სამკურნალო პროგრამების განხორციელება უპირატესად ციფრული მენეჯმენტის მეშვეობით. ყოველივე ეს მოითხოვს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მართვისა და დაფინანსების ახალი მექანიზმების და მეთოდების ამოქმედებას. აღნიშნულ ღონისძიებათა თანამიმდევრული და მიზანმიმართული გატარების უზრუნველსაყოფად: აუცილებელია სამედიცინო დაწესებულებებში პროდუქტი-ულობის დონის ამაღლება, ასევე მნიშვნელოვანია შემოსავლების ზრდა, რასაც ციფრული მენეჯმენტი უზრუნველყოფს, საჭიროა აგრეთვე გაუმჯობესდეს მომხმარებელთა კმაყოფილება ორგანიზაციაში დანერგილი ციფრული ინსტრუმენტების საშუალებით.

საკვანძო სიტყვები: სამედიცინო სექტორი, ციფრული მენეჯმენტი, ციფრული ტექნოლოგიები.

შესავალი

დღესდღეობით სამედიცინო სისტემაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ციფრულ მენეჯმენტს, რაც საქართველოში ახალი შემოსულია მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან შედარებით. მათი განვითარება და სიახლეების დანერგვა, მითუმეტეს პანდემიის პირობებში, გააიოლებს ელექტრონულ აღრიცხვას კლინიკებში, შეუწყობს ხელს მეტად მარტივად და მოქნილად ამოქმედდეს ფინანსური მხარე, სამედიცინო პერსონალი-სათვის გაადვილდეს სამედიცინო ისტორიების მოძიება და მათზე წვდომა ნებისმიერ დროს. დაიხვეწოს სადაზღვევო სისტემებთან მუშაობა ელექტრონულ ფორმატში. ექიმებისათვის გამარტივდეს მოდელი ელექტრონული ხელმოწერების, რათა ნაკლები დრო დაეხარჯოს ექიმს პაციენტის შესახებ ინფორმაციის მოძიებაში (კლინიკო-ლაბორატორიული ანალიზები, გამოკვლევები და სხვა), მობილიზებული და აქცენტირებული იყოს მთავარ საკითხებზე. თემის მიზანია შეფასდეს და გამოიყოს დადებითი მხარეები, სუსტი აღმოიფხვრას და დაიხვეწოს თუ რაიმე ხარვეზია. გავაშუქოთ ძირითადი პრიორიტეტები და შევიტანოთ წვლილი სამედიცინო სფეროში შემავალი ამბულატორიული თუ სტაციონარული ტიპის კლინიკებისა და სადაზღვევო სისტემის მუშაობაში.

ძირითადი ნაწილი

ციფრული ტექნოლოგიების როლი საქართველოს სამედიცინო სექტორში

COVID 19-ის პანდემიით გამოწვეული კრიზისის მიერ ქვეყნის ეკონომიკასა და ადამიანების კეთილდღეობაზე მიყენებული ზიანი ჯერ კიდევ არაპროგნოზირებადი და მზარდია. სახელმწიფოების მხრიდან ადამიანთა სიცოცხლის გადარჩენის და პანდემიის გავრცელების პრევენციისთვის გატარებულმა ზომებმა - მათ შორის, საზღვრების ჩაკეტვამ, ქალაქებს შორის მოძრაობის აკრძალვამ, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამ და სოციალური დისტანცირების მოტივით ეკონომიკური საქმიანობის შეზღუდვამ, - მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა მსოფლიოს

ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებას. 2021 წელს ყურადღება გამახვილდა პანდემიით გამოწვეულ ეკონომიკურ სირთულეებზე და EBRD-ის მხარდაჭერის კრიტიკულ მნიშვნელობაზე პოსტპანდემიური ეკონომიკური აღდგენისთვის. ასევე ხაზი გაესვა სამედიცინო სექტორის წინაშე არსებული გამოწვევების უკეთ იდენტიფიცირებას და სტრუქტუ-რული რეფორმების განსაზღვრას, რომელთა განხორციელება, პოსტპანდემიური ეკონომიკური საჭიროებების გათვალისწინებით, დღესდღეობით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

კორონავირუსით გამოწვეული კრიზისის მართვის კუთხით სამომავლო საქმიანობის დაგეგმვისას მიზანშეწონილია სამედიცინო სექტორის დაფინანსება, ეკონომიკური მდგომარეობის აღდგენის მიზნით აქტიური დიალოგი დარგობრივი პოლიტიკის და ინიციატივების ნაწილში. აქცენტი უნდა გაკეთდეს სამედიცინო სისტემაში საჭიროებებსა და პრიორიტეტებზე, ყურადღება გამახვილდეს ამ სფეროში სერვისების გაციფრულებაზე.

ზოგადად პრიორიტეტებად განსასაზღვრია, ქვეყნის სამედიცინო სექტორის შემდგომი განვითარება, ეკონომიკური მდგომარეობის აღდგენა, ადამიანური კაპიტალის გაძლიერება, ჰოსპიტალური სექტორის ინფრასტრუქტურის განვითარება და სამედიცინო აპარატურითა თუ სხვა საშუალებებით აღჭურვა, ასევე მედპეროსნალით, განსაკუთრებით კი ექთნების გადამზადება და დამატებითი კვალიფიციური კადრების აყვანა, მეტი ინკლუზიურობის უზრუნველყოფა, განსაკუთრებით გაციფრულების მიმართულებით, რომელთა სისრულეში მოყვანა დაგვეხმარება სამედიცინო სისტემის ფუნქციონირების გუმჯობესებაში და სასიკეთო ძვრებს შეიტანს საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში.

Ehealth.gov.ge, statistic.gov.ge, portal.ncdc.ge ეს ის საიტებია, რომლებმაც ელ. სერვისებისა და ციფრული მმართველობის ინოვაციური ხელსაწყოს სახელი იმთავითვე დაიმკვიდრეს. მარტივად გამოსაყენებელმა ვებგვერდებმა, სადაც ელექტრონული სერვისები ერთ სივრცეშია თავმოყრილი, დიდი ინტერესი გამოიწვია. მათი გამოყენება სტაბილურად იზრდებოდა გასული წლების მანძილზე, რაც, უმეტესწილად, სამედიცინო სერვისების განვითარების მხრივ განხორცილებულ რეფორმებსა და ინტერნეტის მოხმარების ზრდას უკავშირდებოდა. პანდემიის დროს შექმნილი ვითარების ფონზე, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ელექტრონული სერვისების მიწოდების განვითარებასა და ახალ რეალობასთან ადაპტირების ხელშეწყობას, სამედიცინო მომსახურე პერსონალისა და მოქალაქეთა ინტერესების გათვალის-წინებით.

UNDP აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროსთან, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ციფრული მმართველობისა და სამედიცინო სერვისების განვითარებაში.

უდავოა, რომ თანამედროვე სამყაროში ციფრული გადაწყვეტები სხვადასხვა პრობლემის მოგვარების გზაა, როგორც მოქალაქეებისთვის, ისე მედიცინის მუშაკებისა და სამედიცინო საქმიანობისათვის. ამ მოსაზრებას საქართველოს გამოცდილებაც ადასტურებს, განსაკუთრებით, ქვეყნის უახლესი მიღწევები ინოვაციური და მომხმარებელზე მორგებული სერვისების მიწოდების მიმართულებით.

თუმცა, აშკარაა ისიც, რომ ციფრული სფეროს განვითარებას ახალი საფრთხეებიც მოყვება, რომლებიც ძირითადად ინფორმაციის დაცვას უკავშირდება.

ციფრული გადაწყვეტების გამოყენება ცვლის საჯარო სექტორს და სისტემურ გავლენას ახდენს როგორც მოქალაქეებისა და სახელმწიფო უწყებების ურთიერთობაზე, ასევე ამ უწყებების შიდა მართვის სისტემებზე.

დღეს საქართველოს სამედიცინო სექტორი ელექტრონულ მართვაზე გადადის და სულ უფრო ხშირად იყენებს ციფრულ პლატფორმებს, რომლებიც სამედიცინო სექტორს მათი

მოვალეობების შესრულებაში ეხმარება.

სამედიცინო სექტორში უკვე დაინერგა ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემა, რომლის გამოყენებითაც ხორციელდება სამედიცინო პერსონალის შეფასება, მათი პროფესიული განვითარების მართვა და მონაცემთა გენერირება 'სმარტ' ანგარიშგების მეშვეობით.

ამ სიახლეთა დიდი ნაწილი ინერგება საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის, ციფრული მმართველობის სააგენტოს, საჯარო სამსახურის ბიუროსა და ფინანსთა სამინისტროს ინიციატივით. ელექტრონული სერვისებისა და სისტემების განვითარება საჯარო მმართველობის რეფორმის ნაწილია და UNDP-ისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობის ხელშეწყობით ხორცილდება.

საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, პანდემიამ საგრძნობლად დააჩქარა ისედაც გარდაუვალი ციფრული გარდაქმნა. ის რასაც პანდემიის დაწყებამდე წლები დასჭირდებოდა, ახლა შესაძლოა თვეებში დასრულდეს.

ბევრ დადებით შედეგთან ერთად, დიგიტალიზაციის ესოდენ სწრაფი და ხშირად სპონტანური პროცესი ახალ გამოწვევებსაც ქმნის და საზოგადოებაში არსებულ უთანასწორობას ავლენს.

ციფრული უთანასწორობა უკვე განხილვის საგანია ბევრ ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოში, სადაც ინტერნეტის მოხმარება საშუალოდ 40-დან 70 პროცენტამდე მერყეობს, ხოლო ზოგიერთ რეგიონში 15 პროცენტს არ აღემატება.

დასკვნა

ციფრულ რეალობაში, სადაც ცვლილებები ყოველდღიური გამოწვევაა საჭიროა მომხმარებლებისათვის სამედიცინო სფეროში ტრანსფორმაციასა და გამოწვევის დაძლევაში დახმარება. ციფრული მენეჯმენტის განვითარება და სიახლეების დანერგვა გააიოლებს ელექტრონულ აღრიცხვას კლინიკებში, შეუწყობს ხელს მეტად მარტივად და მოქნილად ამოქმედდეს ფინანსური მხარე, სამედიცინო პერსონალისათვის გაადვილდეს სამედიცინო ისტორიების მოძიება და მათზე წვდომა ნებისმიერ დროს. დაიხვეწოს სადაზღვევო სისტემებთან მუშაობა ელექტრონულ ფორმატში. ექიმებისათვის გამარტივდეს ელექტრონული ხელმოწერების მოდელი, რათა ნაკლები დრო დაეხარჯოს პაციენტის შესახებ ინფორმაციის მოძიებაში, მობილიზებული და აქცენტირებული იყოს ძირითად საკითხებზე.

ჩემს მიერ ჩამოყალიბებულია პოზიცია, რომ ციფრულ ეპოქაში მენეჯმენტი საჭიროებს სხვადასხვა უნარების განვითრებას და აუცილებელია ამ უნარების შესწავლა და პრაქტიკაში განხორციელება. აღნიშნული ხელს შეუწყობს იმას, რომ ორგანიზაციებმა უპასუხონ თანამედროვე გამოწვევებს და მათი საქმიაონობა გახდეს მეტად ეფექტური.

ლიტერატურა

1. UniqueWritersBay., Analysis of Shifting Management and Leadership Roles in a Digital Age.https://uniquewritersbay.com/analysis-shifting-management-leadership-roles-digital-age/ (07.02.2017);
2. Sodapdf anywhere., Management Skills in the Digital Era.,
3. https://www.sodapdf.com/blog/management-skills-in-the-digital-era/ (02.08.2021)
4. GDS Insights., What is Digital Leadership? – Definition, Examples, Skills, Qualities.,
5. https://gdsgroup.com/insights/marketing/blueprint-for-digital-leadership/ (14.01.2020)
6. Undf., საქართველოს საჯარო სექტორის ციფრული გარდაქმნა

7. https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/stories/electronic-services.html (11.02.2021)
8. Michaela Wrede, Vivek K Velamuri, Tobias Dauth .,Top managers in the digital age: Exploring the role and practices of top managers in firms' digital transformation 03.04.2020.
9. Mdpi., Digital Transformation and Knowledge Management
10. https://www.mdpi.com/2071-1050/12/14/5824 (2020)
11. https://olacom.ru/ka/security/na-styke-biznesa-i-it-obuchenie-konsultantov-oracle-siebel-crm dzhete-oracle-siebel-crm/
12. https://bdodigital.ge/services/tsipruli-transpormatsia/
13. https://bdodigital.ge/services/protsesebis-optimizatsia/
14. Thomas M. Siebel. Digital Transformation. Survive and Thrive in an Era of Mass Extinction 2021.

The role of digital technologies in the Georgian medical sector

Neparidze Irine
PhD student of Geortian Technical University

Summary

The process of reorientation of the Georgian healthcare system, which initiated changes in this area, is an integral part of the unified digital transformation program in the country. As a result of these transformations, a new management and organization model is being introduced, which should ensure the optimization of the material, labor and financial resources of the industry and the implementation of treatment programs, mainly through digital management. All this requires the introduction of new mechanisms and methods for managing and financing the health care system. To ensure a consistent and targeted implementation of these measures: it is necessary to increase the level of productivity in medical institutions, as well as increase the revenue generated from digital management, it is also necessary to increase customer satisfaction through digital tools implemented in the organization.

Keywords: medical sector, digital management, digital technologies.

შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრაციის მენეჯმენტის საზღვარგარეთის გამოცდილება

რევაზიშვილი რევაზ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ნაშრომი განხილულია საზღრვარგარეთის განვითარებული ქვეყნების გამოცდილება შშმ პირების სოციალური ინტეგრაციის პროცესის მიმართულებით. საქართველო, რომელიც მიისწრაფვის გახდეს ევროკავშირის წევრი, უნდა აკმაყოფილებდეს ცივილიზებული სამყაროს ფუნდამენტური ღირებულებებს, რომელთა შორის მნიშვნელოვანია შეზღუდული შესაძლებ-ლობების მქონე (შშმ) პირების უფლებების დაცვა და მათი სოციალური ინტეგრაცია. ამ მიზნით გააანალიზებულია შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესის მართვის მოწინავე ქვეყნების - იაპონიის, საფრანგეთის, აშშ-ის, იტალიის, ბულგარეთის, სლოვენიისა და შვედეთის - გამოცდილება, რაც სასარგებლო იქნება საქარტველოსთვის.

საკვანძო სიტყვები: შშმ პირები, შშმ პირების უფლებების დაცვა, შშმ პირთა უფლებების კონვენცია, სოციალური ინტეგრაცია, უცხოური გამოცდილება.

შესავალი

იმისათვის, რომ საქართველო გახდეს ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრი ქვეყანაში უნდა სრულდებოდეს ცივილიზებული სამყაროს ფუნდამენტური ღირებულ-ებები, მათ შორის უმნიშვნელოვანესია ადამიანთა, მათ შორის შეზღუდული შესაძლ-ებლობების მქონე (შშმ) პირების უფლებების განუხრელი დაცვა. ადამიანთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით მსოფლიოში და საქართველოშიც შშმ პირთა ინტეგრაცია საზოგადოებაში, მათთვის თანაბარი შესაძლებლობების ერთერთ მნიშვნელოვან გამოწვე-ვას წარმოადგენს როგორც მსოფლიოში ისე საქართველოში

საქართველოში სერიოზული ძვრები განხორციელდა შშმ პირთა უფლებების დაცვის მიზნით გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციის რატიფიცირების შედეგად. შეიმჩნევა სერიოზული მიღწევები შშმ პირთა სოციალური ინტეგრაციის თვალთახედვით. თუმცა, კვლავ მწვავეა მთელი რიგი მნიშვნელოვანი პრობლემა, როგორიცაა საქართველოს საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპული წარმოდგენები, შშმ პირთა მიმართ დისკრიმინაციისა და სტიგმა-ტიზების საკითხები, სოციალური დაცვისა და ჯანმრთელობის დაცვის ყოვლისმომცველობა და ხელმისაწვდომობა და სხვ. ამდენად, შშმ პირთა საზოგადოებში სრულფასოვანი ინტეგრაციის გზაზე კვლავ მრავალი გამოწვევა რჩება, რომელთა აღმოსაფხვრელი შესაძლებლობების განხილვა ფრიად მნიშვნელოვანი ამოცანაა. ამ თვალსაზრისით ფრიად საგულისხმოა შშმ პირთა სოციალური ინტეგრაციის პროცესის მენეჯმენტის მსოფლიოს ქვეყნების გამოცდილება.

ძირითადი ნაწილი

შშმ პირთა სოციალური ინტეგრაციის პროცესის მენეჯმენტი საზღვარგარეთ

შშმ პირებს მრავალ განვითარებულ ქვეყნაში აქვთ სერიოზული მხარდაჭერა. ჩვენთვის საგულისხმოა ისეთი ქვეყნების გამოცდილება, როგორიცაა იაპონია, საფრან-გეთი, აშშ, იტალია, ბრაზილია, ბულგარეთი, სლოვენია, შვედეთი, სადაც შშმ პირთა სოციალური ინტეგრაციული პროცესების მენეჯმენტი მაღალ დონეზეა.

იაპონიაში პირველად ჩასულ ვიზიტორს შეიძლება მოეჩვენოს, რომ იქ ძალიან ბევრი შშმ

პირია. მაგრამ ეს შთაბეჭდილება მხოლოდ იმიტომ ჩნდება, რომ შშმ პირებს უბრალოდ არ ეშინიათ სახლიდან გარეთ გასვლის ისე კარგად არის ორგანიზებული მათთზე მორგებული გარემო. ეს არის ტაქტილური გოფრირებული ფილებით დაგებული ტროტუარები უსინათლოთა ორიენტაციის მიზნით. საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა შშმ პირებისთვის მარტივი და მოსახერხებელია. ქუჩებში არ არის მაღალი ბორდიურები, რომლებიც ხელს უშლიან შშმ პირის ეტლით მოსარგებლეს მოძრაობას. ხოლო მეტროს სადგურების უმეტესობა აღჭურვილია შშმ პირთა ლიფტებით, საზო-გადოებრივი ტუალეტები და სატელეფონო ჯიხურებიც კი ისეა დამზადებული, რომ მათი გამოყენება შშმ პირებმა ადვილად შესძლონ. სავაჭრო ცენტრები, მუზეუმები, მატარებლის სადგურები და ძირითადი საჯარო დაწესებულებები აღჭურვილია პანდუსებითა და ფართო კარებით.

იაპონიის ხელისუფლება სპეციალური სუბსიდირების პროგრამით აფინანსებს შშმ პირთა საჭიროებებს. მაგალითად, ძვირი ელექტრო ეტლის ყიდვას. სახელმწიფო აფინანსებს აგრეთვე შშმ პირთა დამხმარე სოციალური მუშაკების საქმიანობას. იაპონიაში თითოეული ადგილობრივი კომპანია ვალდებულია უზრუნველყოს შშმ პირთა სამუშაო ადგილების გარკვეული რაოდენობაც, რაც დამოკიდებულია დასაქმებულთა საერთო

რაოდენობაზე. ფირმამ უნდა დაიქირაოს თანამშრომელი, მოამზადოს და დაასაქმოს.

საფრანგეთში ათობით მილიარდი ევრო იხარჯება შშმ პირთა მხარდაჭერის პროგრამებზე. დაფინანსების ფონდები ივსება მრავალი წყაროდან, მათ შორის სოციალური დაზღვევის სისტემიდან, ადგილობრივი თვითმმართველობის ფონდებიდან, როგორც რეგიონებიდან, ასევე დეპარტამენტებიდან და, რა თქმა უნდა, სახელმწიფო ბიუჯეტიდან. შშმ პირთა არსებობის ხელშეწყობის მიზნით, მიღებულ იქნა მრავალი კანონი, რომელიც აღიარებს მათ უფლებას ჰქონდეს ცხოვრების თანაბარი შანსები ქვეყნის დანარჩენ მოქალაქეებთან ერთად. შშმ პირთა მუშაობის უფლება კანონმდებლობით არის გათვალისწინებული. არსებული კანონმდებლობის მიხედვით, ყველა საწარმოში, სადაც 20-ზე მეტი თანამშრომელია დასაქმებული, შშმ პირთა მინიმუმ ექვსი პროცენტი უნდა იყოს დასაქმებული. კანონი ასევე ავალდებულებს ყველა სამშენებლო კომპანიას, ააშენონ ნაგებობები, რათა შშმ პირებს ჰქონდეთ თავისუფალი წვდომა. დიდი საკითხია საზოგად-ოებრივი ტრანსპორტის ადაპტაცია ეტლით მოსარგებლეების საჭიროებებთან. ყველა ავტობუსი და ტრამვაი აღჭურვილია დაბალი დონის ზღურბლის მქონე კარებით. საჭიროების შემთხვევაში, მძღოლებს შეუძლიათ გამოიყენონ ავტომატურად ამოსაწევი ხიდი - შშმ პირის ეტლისთვის.

აშშ-ის კანონმდებლობა ითვალისწინებს მრავალფეროვან ზომებს შშმ პირთა ინტეგრაციისა და მხარდაჭერისთვის. სახელმწიფო ვალდებულია შეუქმნას ყველა პირობა, რომ შშმ პირებმა იცხოვრონ საკუთარ სახლებში ჩვეულებრივ ურბანულ გარემოში და არა სპეციალურ პანსიონატებში. არსებობს მრავალი სამთავრობო, კომერციული და საქველმოქმედო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს რეგულარულ საყოფაცხოვრებო ან სამკურნალო-პროფილაქტიკურ მომსახურებას სახლში. მრავალი ღონისძიება ეხება დასაქმებას, კანონმდებლობა კრძალავს დასაქმებაზე უარის თქმას იმ შშმ პირებისთვის, რომლებსაც შეუძლიათ სრულად შეასრულონ სამსახურებრივი მოვალეობა. აკრძალულია შშმ პირთა დისკრიმინაცია საცხოვრებლის ხელმისაწვდომობის კუთხით. ყველა დონის მთავრობები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ, რომ შშმ პირებს ჰქონდეთ თანაბარი წვდომა მათ მომსახურებაზე, მათ შორის ჯანდაცვის, განათლების, ტრანსპორტის, დასვენებისა და ა.შ. შესაბამისად, შენობები, სადაც ხორციელდება ასეთი სერვისები, როგორიცაა სკოლები ან საზოგადოებრივი ტუალეტები, უნდა იყოს აღჭურვილი პანდუსებით და შშმ პირის ეტლით ხელმისაწვდომობის სხვა საშუალებებით, ხოლო ლიფტები რელიეფური შრიფტის მქონე სპეციალური ღილაკებით. სტანდარტული მოთხოვნაა

სპეციალური გასასვლელები ტროტუარებზე. საქალაქო ავტობუსები აღჭურ-ვილია შშმ პირის ეტლების პლატფორმებით, ხოლო მეტროსადგურებზე დამონტაჟებუ-ლია ლიფტები ქუჩიდან სადგურზე გადასაადგილებლად.

შშმ პირთა მსგავსი პირობები განიხილება სტანდარტად კერძო სექტორის უმეტესი საჯარო დაწესებულებებისთვის, შშმ პირთათვის, რომლებიც ვერ ახერხებენ დამოუკი-დებლად შემოსავლის მიღებას. არის ფინანსური მხარდაჭერისა და სუბსიდირების პროგრამები შშმ პირების დახმარება თვეში დაახლოებით 1100-1200 დოლარია. საერთო ჯამში, შშმ პირთა ფინანსური მხარ-დაჭერის პროგრამები მთავრობას წელიწადში დაახლოებით 150 მილიარდი დოლარი უჯდება, რაც აშშ-ს სოციალური დაცვის ადმინისტრაციის ბიუჯეტის დაახლოებით 20 პროცენტს შეადგენს.

იტალია. შშმ პირად აღიარებისთვის, აპლიკანტმა უნდა წარუდგინოს მოთხოვნა ე.წ. სანიტარულ განყოფილებას თავის მუდმივ საცხოვრებელ ადგილას და აიღოს სერთიფიკატი, რომელიც დაადასტურებს, რომ პირს არ შეუძლია შეასრულოს რაიმე სახის სამუშაო. შშმ პირის უფლებები ასევე აღიარებულია უცხოელებისთვის, რომლებსაც აქვთ მუდმივი ბინადრობის ნებართვა იტალიაში. თუმცა, ბოლო წლებში ქვეყანაში იმატა შშმ პირად დარეგისტრირების თაღლითობის შემთხვევებმა, ამიტომ შშმ პირების იდენტიფიკაციას ახორციელებს ფინანსური გვარდია, რომელიც რეგულარულად ატარებს რეიდებს ყალბი შშმ პირების გამოსავლენად.

შშმ პირს, უშუალო დახმარების გარდა, უფლება აქვს ისარგებლოს მთელი რიგი მნიშვნელოვანი შეღავათებით: მიიღოს ყოველთვიური ფინანსური დახმარება ან დაფინანსება საშინაო საქმეების შესასრულებლად (შეიძლება 1900 ევრომდე ავიდეს); სამედიცინო „ბილეთის“ გადახდისგან გათავისუფლება (სამედიცინო მომსახურების ნაწილობრივი გადახდის კუპონი); უფასო პროთეზები და მობილურობის დამხმარე საშუალებები; ფასდაკლება საზოგადოებრივი ტრანსპორტის ბილეთებზე; სპეციალური ზონებში მანქანის გაჩერების უფლება და ა.შ. მათ შორის ტურიზმის სფეროშიც. შშმ პირებისა და ერთი თანმხლები პირისთვის გათვალისწინებულია უფასო შესვლა ყველა მუზეუმში, გალერეასა და ეროვნულ პარკში.

ბულგარეთი არ არის ძლიერ მდიდარი ქვეყანა, მაგრამ შშმ პირთა სოციალურ ინტეგრაციას დიდი ყურადღება ექცევა. ბულგარეთში შშმ პირთა ცხოვრებას სპეციალური კანონი არეგულირებს, რომლის განხორციელებაც შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტროს დაევალა. კონკრეტულად ადგილზე, ამ საკითხებს ამუშავებს სპეციალური სააგენტო, რომელიც შეიმუშავებს პროგრამებს შშმ პირთა დასახმარებლად, აფინანსებს პროექტებს მათი რეაბილიტაციისა და კომფორტული ყოფნისთვის პირობების შესაქმნე-ლად. მაგალითად, შშმ პირებს შეიძლება მიეწოდოთ უფასო ეტლები, მოწყობილობები ფეხით სიარულისთვის (walker), სმენის აპარატები, მედიკამენტები და სპეციალური საშუალებები საწოლში მიჯაჭვული პაციენ-ტებისთვის. შშმ პირებს არ აქვთ გადასახადი პირადი მანქანის ფლობისთვის, მათ კომპენსაციას უხდიან საზოგადოებრივ ტრანსპო-რტში მგზავრობისთვის. მედიკამენტების ნაწილი უფასოა. გარდა ამისა, შშმ პირებს ეძლევათ სუბსიდია საკუთარი ბიზნესის განვითარებისთვის. იგივე შეღავათებით სარგებლობენ შშმ უცხოელებიც მუდმივი ბინადრობის ნებართვით.

სლოვენია. სლოვენია მიჩნეულია როგორც კეთილდღეობის სახელმწიფო, რომელიც ხასიათდება შშმ პირთა დაცვის განსაკუთრებული პოლიტიკით. სლოვენიის რესპუბ-ლიკის მთავრობის სამოქმედო პროგრამა შშმ პირთათვის გათვალისწინებულია შშმ პირთათვის ადამიანის უფლებების სრული და თანაბარი განხორციელების ხელშეწყობა, დაცვა და უზრუნველყოფა და მათი ღირსების პატივისცემის წახალისება. ეს არის ღონი-სძიებათა პროგრამა ყველა შშმ პირისთვის, განურჩევლად მათი უნარშზღუდულობის ტიპისა და ასაკისა, ყველა სფეროში, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მათ ცხოვრ-ებაზე (განათლება, დასაქმება, ჯანმრთელობა, კულტურა, ხელმისაწვდომობა, შშმ პირთა ორგანიზაციებში თვითორგანიზება).

შვედეთმა შშმ პირთა მიმართულებით ძირითადი აქცენტი გააკეთა სამთავრობო გეგმებისა და სტრატეგიების შემუშავებაზე, სახელმწიფო პოლიტიკის მთავარ მიზნად კი შშმ პირების საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში სრულად ინტეგრაცია დასახა.

ასევე მაღალ დონეზე შშმ პირთა სოციალური ინტეგრაცია მრავალ სხვა ქვეყანაში.

დასკვნა

შშმ პირთა მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის ზემოთ განხილული მარტივი ანალიზიც კი ნათლად აჩვენებს თუ რა დიდი ჩამორჩენაა საქართველოში შშმ პირთა საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრაციის თვალსაზრისით. საქართველოს ცივილიზებული განვით-არების გზაზე. კვლავაც განუხრელად უნდა გაგრძელდეს ის ღონისძიებები, რომლ-ებიც, ცივილიზებული ქვეყნების მსგავსად ხელს შეუწყობს შშმ პირთა უზრუნველყოფას თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, რაც გულისხმობს მათ სრულფასოვან ჩართვას ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრებაში. ვიმედოვნებთ, რომ სახელმწიფოს მიერ რატიფიცირებული „გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციაში" ასახული თითოეული პუნქტის იმპლემენტაცია დროულად განხორციელ-დება, რათა უფრო მარტივად და ეფექტურად მოხდეს შშმ პირთა სოციალურ გარემოში ინტეგრაცია.

ლიტერატურა

1. რამინ მაჭარაშვილი. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესახებ საქართველოში არსებული სტატისტიკური მონაცემები და ამ მხრივ არსებული გამოწვევები. 2020
2. რევაზიშვილი რ. შშმ პირთა სოციალური ინტეგრაციის გამოწვევები საქართველოში. V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები“, თბ. 2021
3. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია.
4. რევაზიშვილი რ. სპორტი შშმ პირთა ცხოვრებაში „ხელისუფლება და საზოგადოება“ # 4 (60), 2021
5. ნინო გურული. გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენცია და მისი იმპლემენტაციის მექანიზმები. 2013.
6. Convention on the Rights of Persons with Disabilities (CRPD).
7. World Health Organization, International classification of functioning, disability and health. Geneva:2001, WHO. p. 214.
8. Andrew Pulrang. 5 Things Everyone Should Know About People With Disabilities.

Foreign experience in managing the social integration of persons with disabilities

Revazishvili Revaz
Doctoral student of Georgian Technical University

Summary

The paper discusses the experience of developed foreign countries in the process of social integration of persons with disabilities (PWD). Georgia, which aspires to become a member of the European Union, must meet the fundamental values of the civilized world, including the protection of the rights of PWD and their social integration. For this purpose, the experience of the leading countries in managing the process of integration into the society of PWD- Japan, France, USA, Italy, Bulgaria, Slovenia and Sweden - is analyzed, which will be useful for Georgia.

Keywords: Persons with Disabilities, Protection of the Rights of PWD, Convention on the Rights of PWD, Social Integration, Foreign Experience.

ინოვაციების დანერგვის ენტროპიული მიდგომა და მისი გამოყენება

რობაქიძე მიხეილ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების დოქტორანტი

აბსტრაქტი

თანამედროვე ეკონომიკა სულ უფრო სწრაფად იძენს ინოვაციურ სახეს, რაც ტრადიციულ ეკონომიკერ პროცესებს აძლევს ახალ ფორმებს და შინაარსს. მაგრამ ინოვაციური პროცესების შინაარსისა და შეფასების თანამედროვე მიდგომების არარსებობა სშირად ხდება კომპანიების მხრიდან ინოვაციებზე უარის თქმის საბაბი. ერთ-ერთი ასეთი მიზეზია მოსალოდნელი ეკონომიკური შედეგების განუსაზღვრელობაა. ასეთ პირობებში მკაცრდება მოთხოვნები ინოვაციური საქმიანო-ბის შედეგების მიმართ და ჩნდება აუცილებლობა ინოვაციური პროცესების მართვის ახალი ინსტრუმენტების ძებნისა.

საკვანძო სიტყვები: ენტროპია, ინოვაცია, ქაოსი, განუსაზღვრელობა, საინფორმაციო სისტემა, კომპანია, საწარმოო სისტემა.

შესავალი

თანამედროვე ეკონომიკა სულ უფრო სწრაფად იძენს ინოვაციურ სახეს, რაც ტრადიციულ ეკონომიკერ პროცესებს აძლევს ახალ ფორმებს და შინაარსს. თუმცა, ინოვაციური პროცესების შინაარსისა და შეფასების თანამედროვე მიდგომების სიმწირე სშირად ხდება ინოვაციებზე უარის თქმის საბაბი კომპანიების მხრიდან. ერთ-ერთი ასეთი მიზეზია მოსალოდნელი ეკონომიკური შედეგების განუსაზღვრელობაა. ასეთ პირობებში მკაცრდება მოთხოვნები ინოვაციური საქმიანობის შედეგების მიმართ და ჩნდება აუცილებლობა ინოვაციური პროცესების მართვის ახალი ინსტრუმენტების ძებნისა.

ძირითადი ნაწილი

ენტროპიის დონე როგორც ინოვაციის დანერგვის მახასიათებელი

ბოლო პერიოდში გაიზარდა სამეცნიერო კლვლევათა რაოდენობა, რომელიც ეძღვნება ინოვაციური საქმიანობის მეთოდოლოგიის შეფასებას. მათ შორის მეცნიერთა ყურადღებას იწვევს საწარმოთა საქმიანობის და მათ მიერ ინოვაციების დანერგვის ენტროპიული მიდგომა.

ენტროპია ყოველი სისტემისთვისაა დამახასიათებელი და იგი გამოხატავს სისტემის მდგომარეობას და მასში არსებული ცვლელებების სიჩქარეს.

ენტროპიის ცნების რამდენიმე განმარტება არსებობს: ენტროპია- როგორც განუსაზ-ღვრელობის ზომა; ენტროპია როგორც ინფორმაციის განუსაზღვრელობა; ენტროპია როგორც ქაოსის ზომა.

ენტროპია არის არეულობის (უწესრიგობის) რაოდენობრივი მაჩვენებელი, დასახული მიზნის მასაღწევად შესრულებული ზედმეტი სამუშაო, გვერდითი უსარგებლო პროცესების ან მოვლენების წილი, რომელიც თან სდევს რაიმე ქმედებას. ეკონომიკური სუბიექტისთვის მნიშვნელოვანია ენტროპიის დონის შენარჩუნება საჭირო ნიშნულზე, რადგან ენტროპიის ზრდა იწვევს სამეწარმეო (საწარმოო) პროცესის გაუარესებას. შესაბამისად, ეკონომიკური სუბიექტი უნდა ზრუნავდეს მის დაქვემდებარებაში მყოფი სისტემის ფარგლებში ენტროპიის შენარჩუნებაზე საჭირო ნიშნულზე. სამეურნეო ერთეულის ენტროპია სათანადო მართვის გარეშე იზრდება, რადგან მასზე მოქმედებენ შიდა წინააღმდეგობანი და გარე ფაქტორები. ცხადია, რომ სამეურნეო ერთეული (კომპანია, საწარმო) გარკვეულ შემთხვევაში გვევლინება როგორც რთული

თვითორგანიზებადი სისტემა (რომელსაც გააჩნია ძალა დაძლიოს ენტრიპია მართვადი და მმართველი ქვესისტემის არსებობის ხარჯზე), მაგრამ ასეთ სისტემებსაც (ორგანიზაციებს) აქვთ შემოსაზღვრული (შეზღუდული) ცხოვრების ციკლი.

„ინოვაცია“ გულისხმობს განახლების, გაუმჯობესების, სრულყოფის პროცესს, რომლის მიზანია ორგანიზაციის (კომპანიის) განვითარების ეფექტურობის ზრდა, ხოლო, ინოვაციისგან განსხვავებით, „ენტროპია“ დაკავშირებულია გარდაქმნასთან, ანუ რაღაცის ცვლილებასთან და ასახავს გაურკვეველ ქმედებას არა ბოლომდე მოწესრიგებულ სისტემაში მაკროსკოპული სიმრავლეების სიზუსტემდე.

ეს ორი ცნება მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან: როცა ჩნდება ენტროპია, საჭირო ხდება კარდინალური ზომების მიღება მის შესამცირებლად და, ამ ზომებში იგულისხმება ტექნოლოგიური და მმართველობითი სიახლეები.

ორგანიზაციაში ენტროპიის განხილვისას შესაძელებელია გამოვყოთ ორი სისტემა, რომელთა ენტროპიები დაკავშირებულია ერთმანეთთან და ამავე დროს მოითხოვენ სახვადასხვა მიდგომას მის შესამცირებლად ან ზრდის შესაჩერებლად:

საინფორმაციო სისტემა რომელიც ერთის მხრივ აანალიზებს საწარმოს მდგომარეობას

და მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისას წარმოადგენს საფუძველს და ასევე შეიცავს საწარმოო პროცესების შესასრულებლად საჭირო ინფორმაციას (ნორმატიული, საკონსულტაციო, სამოქმედო); საწარმოო სისტემა, რომელიც შეიცავს რესურსებს (ძირითად ფონდებს, პერსონალს, შრომის ინსტრუმენტებს) და მატერისლურ ნაკადებს.

თანამედროვე ეკონომიკაში მიმდინარეობს საწარმოო სისტემების აქტიური ცვლილება. ესენია: ტექნოლოგიური პროცესები, მარკეტინგული ღონისძიებების დანერგვა, მენეჯმენტის ტექნოლოგიები, საორგანიზაციო სტრუქტურების ცვლელება. ყველაფერი ეს ჯერ იმპულსურად და შემდეგ დროთა განმავლობაში ცვლის საწარმოთა (კომპანიების) ენტროპიას.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად რომელიც ინოვაციების დანერგვისას ენტროპიის მნიშვნელობაზე მოქმედებს, არის კომპანიაში ინოვაციების დანერგვის გამოცდილება. ითვლება რომ კომპანია (საწარმო), რომელსაც ხანმოკლე არსებობის ისტორია აქვს, დანერგილი აქვს ინოვაციების მცირე რაოდენობდა და მენეჯმენტის დაბალი ტექნოლოგიურობა, ინოვაციის დანერგვისას, უფრო მნიშვნელოვნად და უფრო ხანგრძლივად შეამცირებს ენტროპიას, ვიდრე ანალოგიური კომპანია (საწარმო) ინოვაციათა დანერგვის ხანგრძლივი ისტორიით, ინოვაციების მნიშვნელოვანი რაოდენობით, მენეჯმენტის ტექნოლოგიურობის მაღალი ხარისხით და ინოვაციური სტრუქტურის არსებობით. კომპანიაში ინოვაციის დანერგვისას ენტროპიის გაანგარიშებისას იყენებენ მაკორექტირებელ კოეფიციენტს, რომელიც განისაზღვრება დასანერგი ინოვაციისთვის ჩამოთვლილი ფაქტორების არსებობის საფუძველზე.

ეკონომიკურ სისტემაში ენტროპიის სისტემის ცვლილების შეფასების აღნიშნული მეთოდიკა საშუალებას იძლევა მიყვანილ იქნას საერთო მნიშვნელამდე ეკონომიკური და არაეკონომიკური ფაქტორები. შედეგად მნიშვნელოვნად ადვილდება არაცხადი ან დაგვიანებული ეკონომიკური ეფექტის მქონე ინოვაციური პროექტების განსაზღვრა.

მსოფლიოში საერთაშორისო მასშტაბის მქონე ლიდერი კომპანიები იყენებენ განსხვავებულ სტრატეგიებს- თითოეული მათგანი იყენებს საკუთარ სტრატეგიას, საქმიანობის სიღრმისეულ პრინციპებს, რაც უზრუნველყოფს მდგრად განვითარებას და ევოლუციას. კომპანიები აღწევენ წარმატებას და კონკურენტულ უპირატესობას ინოვაციების დანერგვის მეშვეობით-მათი მესვეურები ახდენენ კაპიტალის დაბანდებას პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაში, ცოდნის მიღებაში, ფიზიკურ აქტივებში და სავაჭრო ნიშნის რეპუტაციის ამაღლებაში. ნებისმიერ შემთხვევაში საწარმო არის ერთიანი სისტემა, რომელიც მოიცავს ცალკეული ელემენტების

სიმრავლეს და ფუნქციონირებს გარკვეულ მდგრად პირობებში. ამ პირობების დარღვევისას იქმნება შიდა და გარე კავშირების ენტროპიის ეფექტი, რაც შემდგომში იწვევს სინერგიულ-ინოვაციური სისტემის წარმოქმნას.

თუ განვიხილავთ სიტუაციას, როდესაც კომპანია ნერგავს ინოვაციას, ვნახავთ, რომ შედეგად იწყება ქაოსი, რომელიც არ იქმნება სპონტანურად, არამედ იგი მიზანმიმართული და მართვადი პროცესია. ამა თუ იმ რთულ სისტემაში გარკვეული მიზანმიმართული პროცესების მიმდინარეობა განპირობებულია მართვის სუბიექტების მონაწილეობით. მნიშვნელოვანი და სწორი გადაწყვეტილების მისაღებად ხელმძღვანელი ინფორმაციის გარკვეულ რაოდენობას უნდა ფლობდეს, რათა მიზანმიმართულად შექმნას ქაოსი ძველ სისტემაში (ჩვენს შემთხვევაში დანერგოს სიახლე), და შემდგომ შექმნას წინასწარ დაპროგრამებული თვისებების მქონე ახალი წესრიგი, რომელიც აკმაყოფილებს მის ინტერესებს (ბაზარზე მოწინავე პოზიციების მიღება). ამის დასტურად შეგვიძლია მოვიყვანოთ ბილ გეითსის გამონათქვამი: „დღეს საუბარი არის არა ფულზე, არამედ იმაზე თუ როგორ ვმართოდ მომავალი“. ასე რომ, შეგვიძლია დავასკვათ, რომ მენეჯერს უწევს გადაწყვეტილების მიღება მაღალი ჰიპერკონკურენტული ბრძოლის პირობებში, სადაც მაღალია გაურკვევლობა და რისკები. ენტროპიული მენეჯერი ასეთ პირობებში ვერ შეძლებს დროულად და ეფექტიანად იმოქმედოს, რაც გამოიწვევს ენტროპიის ზრდას და ინფორმაციული ტევადობის შემცირებას.

იმის გასაგებად, თუ როგორ მიმდინარეობს ინოვაციის დანერგვა, ენტროპიული მდგომარეობის წარმოქმნა (დესტაბილიზაციის წარმოქმნა) და მისი შემდგომი სტაბილიზაცია, უნდა განვიხილოდ თვითორგანიზაციის არსის პროცესული მიდგომა, რონელიც დუგლას როსის მიერ იყო შემოთავაზებული 1973 წელს. ეს მოდელი განიხილება ადამიანის მონაწილეობის გარეშე და ადამიანის მონაწილეობით. განვიხილოთ უკანასკნელი. მოდელი მოიცავს თვით პროცესს, შესასვლელს, გასასვლელს, ხელმძღვანელობას და მექანიზმის უკუკავშირს.

პროცესის სტადიაზე ხდება არსებული ჩამოყალიბებული კავშირების რღვევა დანერგვის პროცესის ხარჯზე, რაც თავის მხრივ ხდება ენტროპიის ზრდის მიზეზი (ენტროპია როგორც ქაოსის ზომა ამ შემთხვევაში), მაგრამ ქაოსი მართვადია და აუცილებელია გარკვეული პროცედურების წარმართვა იმისათვის რომ ორგანიზაციაში დამყარდეს წესრიგი. პროცედურების სისტემა დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ სფეროში იყო დანერგილი ინოვაცია. მაგალითად, ინერგება ტექნოლოგიური ინოვაცია. ასეთი ინოვაცია საშუალებას იძლევა რომ კომპანიამ კონკურენტებს შორის მიიღოს მნიშვნელოვანი უპირატესობა ეს გადაწყვეტილება გამოიწვევს არა მარტო ტექნოლოგიური პროცესის შეცვლას, არამედ დანადგარების, პროდუქციის რაოდენობის და ხარისხის, პერსონალის უნარის შეცვლასაც. იმისათვის რომ გაურკვევლობის (განუსაზღვრელობის) შემცირება მოხდეს, აუცილებელია დამატებითი სწავლის ხარჯზე ამაღლდეს თანამშრომელთა კვალიფიკაცია, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების პროცედურაში ჩაირთოს კომპანიის უველა რგოლი, რომალთა მოტივაციის პროცედურაც ინქბა აუცილებლად შესასრულებელი.

შემდგომ, როდესაც ბიზნესის წარმატებული განვითარება ენტროპიის შემცირების ხარჯზე დინამიური ხდება, კომპანიას უჩნდება ახალ ბაზარზე გასვლის შესაძლებლობა, რისთვისაც საჭირო ხდება მარკეტინგული ინოვაციების გამოყენება. ამ ინოვაციების რეალიზება ხდება მომხმარებელთან კომუნიკაციის დამყარების ახალი მეთოდების ძებნით და აგრეთვე პროდუქციის გასაღბის ახალი ხერხების დანერგვით.

დამამთავრებელ სტადიაზე კომპანია შედის წონასწორობის მდგომარეობაში, რომელშიც მიმდინარეობს სინერგეტიკული პროცესი, კარძოდ ინოვაციის დანერგვით ყველა პრობლემის გადაწყვეტა იწვევს დადებით შედეგებს: კონკურენტული პროდუქციის გამოშვებას, კომპანიის

გასვლას ახალ ბაზრებზე, რეპუტაციის ამაღლებას, მომხმარებლებში და პარტნიორებში ნდობის მოპოვებას, და საგარეო ეკონომიკური კავშირების გაძლიერებას.

დასკვნა

ენტროპიული და კრიზისული მდგომარეობიდან ბიზნეს- სტრუქრურის გამოსვლისთვის საჭიროა ენტროპიის სწრაფად გადაყვანა მოწესტიგებულობის მდგომარეობაში. საჭიროა ნეგ-ენტროპიული მართვის მიდგომა, დრო არ უნდა დაიკარგოს წამგებიანი ვარიანტების განხორციელებაზე. ყოველი დაგვიანებული ნაბიჯი სტრუქტურის დაშლას და მსხვრევას გამოიწვევს. სინერგიის დონის კონტროლი უნდა იყოს მიმართული შემოსავლების გაზრდაზე. კომპანია თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში უნდა ნერგავდეს ინოვაციებს, რათა გაუძლოს კონკიურენციას და შეინარჩუნოს განვითარების პოტენციალი.

ლიტერატურა

1. ბარათაშვილი.ე.,მახარაშვილი.ი „მმართველობითი გადაწყვეტილება და მასზე ზემოქმედი გარემო.“ მესამე საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია IEC-2015
2. Weidlich W., Haag G. Concept and Models of a Quantitative Sociology. Springer-Verlag.
3. Zhang Wei-Bin. Synergetic Economics. Springer-Verlag.- Volume
4. Дятлов С.А. Энтропийная экономика: типология и методология анализа системного мирового экономического кризиса // Новая модель экономики России: условия и основные направления инновационного развития. – Тамбов, 2012

The entropic Approach to the Assessment of Innovation

Robakidze Mikheil
PhD student of the Georgian Technical University

Summary

The article considers the possibility of an entropy approach to the innovative activity of enterprises. Theoretical definitions of the concept of entropy and innovation, use of the concept of entropy for evaluating the results of innovation implementation are considered. The influence if the development of the elements of the innovative structure on the speed and dynamism of introducing innovations, the transience of increasing the entropy of the system is investigated. Some managerial elements that are charactesistic of innovative structures are given.

Keywords: Entropy, Innovation, Chaos, Uncertainty, Information system, Company, Production system.

ბიომეტრული სენსორებით ჩატარებული კვლევების მნიშვნელობა ბიზნესის განვითარებაში

როსტიაშვილი თამარ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ფოფხაძე გვანცა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ნეირომარკეტინგი არის მარკეტინგის ახალი მიმართულება, რომელიც სამედიცინო ტექნოლოგიების დახმარებით იკვლევს ტვინს და მის რეაქციებს მარკეტინგულ სტიმულებზე. იგი ყურადღებას ამახვილებს რატომ და როგორ ხდება ყიდვის გადაწყვეტილების მიღება. ეს პროცესი ქვეცნობიერია, შესაბამისად სჭირდება სიღრმისეული შესწავლა. ნეირომარკეტინგი განისაზღვრა, როგორც კვლევის მესამე განზომილება, რაოდენობრივ და თვისობრივ კვლევებთან ერთად.

ნეირომარკეტინგი არის სფერო, რომელიც პასუხს სცემს იმ კითხვებზე, სადაც უძლურია ტრადიციული კვლევები. მარკეტინგის ეს მიმართულება იყენებს ბიომე-ტრულ სენსორებს, იკვლევს ტვინის აქტივობას, რათა უკეთესად აღიქვას მომხმარებლის ქცევა და მოთხოვნილებები.

საკვანძო სიტყვები: ნეირომარკეტინგი, მომხმარებელის ქცევა, ემოციური მარკეტინგი, გადაწყვეტილების მიღების პროცესი, ბიომეტრული სენსორები.

შესავალი

რატომ ყიდულობენ მომხმარებლები იმას, რასაც ყიდულობენ? რამდენის გასდახდას აპირებს მომხმარებელი? რატომ იზიდავს მომხმარებლებს ზოგი ბრენდი სხვებზე მეტად? რა განაპირობებს მომხმარებელთა დამოკიდებულებასა და ქცევას პროდუქტისა თუ სერვისის მიმართ? ამ კითხვებზე პასუხების გასარკვევად უფრო მეტი ძალისხმევა დაგვჭირდებათ, ვიდრე ბაზრის კვლევის ტრადიციული მეთოდები, როგორიცაა მომხმარებელთა გამოკითხვები და ფოკუს-ჯგუფები. ამ დროს მომხმარებლები შეგნებულად გამოხატავენ თავიანთ აზრს, ხოლო ფიქრების უმეტესობა ჩვენს ქვეცნობიერ გონებაშია, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მომხმარებლები არ ირჩევენ რაციონალურად და შესაბამისად მათი ვერბალური პასუხები ვერ ასახავენ მათ სურვილებს, სწორედ აქ შემოდის ნეირომარკეტინგი: საშუალება მიიღო პასუხები კითხვების დასმის გარეშე.

ძირითადი ნაწილი

ნეირომარკეტინგული კვლევების მნიშვნელობა ბიზნესის განვითარებაში

ნეირომარკეტინგი იყენებს ნეირომეცნიერებას იმისათვის, რომ შეისწავლონ მომხმარებლის ქვეცნობიერი გადაწყვეტილების მიღების პროცესი. ნეირომარკეტერები შეისწავლიან ტვინს, ბიომეტრიულ რეაქციებს, აგრეთვე ქცევას, იმის გასარკვევად თუ რას გრძნობენ მომხმარებლები, როგორ ფიქრობენ და მოქმედებენ. ისინი პასუხობენ კითხვებს

- რამდენად სასურველია თქვენი პროდუქტი ან სერვისი?
- რომელი რეკლამა არის ყველაზე ეფექტური?
- რა ფასი იწვევს მომხმარებელთა უკმაყოფილებას?
- როგორ გრძნობენ მომხმარებლები თქვენს გაყიდვების წერტილში?

ნეირომარკეტინგი გულისხმობს ფიზიოლოგიური და ნერვული აქტივობის გაზომვას რათა მიიღოს ინფორმაცია მომხმარებლის მოტივაციის, პრეფერენციების და გადაწყვეტილებების შესახებ, რაც ხელს შეუწყობს შემოქმედებითი რეკლამირების, პროდუქტის განვითარების და

მარკეტინგის სხვა ასპექტების განვითარებას.

ნეირომარკეტინგის სფეროს ხშირად სამომხმარებლო ნეირომეცნიერებასაც უწოდებენ, რამდენადაც ის შეისწავლის თავის ტვინს მომხმარებლის ქცევისა და გადაწყვე-ტილების მიღების პროგნოზირებისთვის და პოტენციურად მანიპული-რებისთვისაც კი. ბოლო ათწლეულის განმავლობაში ჩატარებულმა ინოვაციურმა კვლევებმა აჩვენეს, რამდენად დიდი პოტენციალი აქვს სფეროს, რამდენადაც ის ქმნის ღირებულს ინფორმაციას მარკეტერებისათვის.

ნეირომარკეტინგი ზომავს ფიზიოლოგიურ და ნერვულ სიგნალებიებს რათა მოიპოვოს ინფორმაცია მომხმარებელთა მოტივაციების, უპირატესობებისა და გადაწყვეტი-ლებების შესახებ. ნობელის პრემიის ლაურეატმა ფრენსის კრიკმა მას საოცარი ჰიპოთეზა უწოდა: იდეა, რომ ადამიანის ყველა გრძნობა, აზრი და მოქმედება - თვით ცნობიერებაც კი - არის მხოლოდ ტვინის ნერვული აქტივობის პროდუქტი. ნეირობიოლოგია მარკეტერებისთვის ამცირებს გაურკვევლობას და ვარაუდს, რაც აქამდე ტრადიციულად აფერხებდა გაეგოთ მომხმარებლის ქცევა. ნეირომარკეტინგის სფერო, ცნობილია როგორც სამომხმარებლო ნეირომეცნიერება, რომელიც სწავლობს ტვინს მომხმარებლის ქცევისა და გადაწყვეტილების მიღების პროგნოზირებისთვის. ბოლო 5 წლის განმავლობაში ნეირომარკეტინგის სფეროსი ჩატარებულმა რამდენიმე კვლევამ მნიშვნელოვნად გაზარდა და ჩამოაყალიბა ნეირომეცნიერების როლი ბიზნესისათვის. ამ მეთოდოლოგიებმა შექმნეს ღირებული მასალა მარკეტერებისათვის.

ნეირომარკეტინგული ხელსაწყოები. ბიომეტრული სენსორებით მიღებული ინფორმაცია მარკეტერებს ეხმარებათ რეკლამის შექმნაში, პროდუქტის განვითარებაში, სწორ ფასწარმოქმნაში. მისი ყველაზე გავრცელებული მეთოდებია eye tracking.

Eye Tracking - თვალის მოძრაობა ვიზუალური ყურადღების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინდიკატორია. საინტერესოა, რეკლამის ყურების დროს, რა იქცევს ყველაზე მეტ ყურადღებას. ამიტომაც, ვიყენებთ თვალის მოძრაობაზე დაკვირვების - Eye Tracking ტექნოლოგიას. ეს არის მოწყობილობა, რომელიც გვაძლევს ინფორმაციას თვალის მოძრაობის თანმიმდევრობის, სიხშირისა და ფიქსაციის შესახებ. კვლევის შედეგად შეგვიძლია განვსაზღვროთ, რეკლამის რომელი ელემენტი, მონაკვეთი ან ფერი იყო ყველაზე ეფექტური.

აი თრექერი მაგრდება კომპიუტერზე და შესაძლებლობას იძლევა დავაკვირდეთ, რას უყურებს მომხმარებელი. უზრუნველყოფს მაღალ ხარისხს, ზუსტ მონაცემებს მომხმარებლების აღქმის შესახებ პროდუქტებსა და სარეკლამო მასალებზე. ეს არის სწრაფი და ადვილი გზა რომ გავაანალიზოთ ჩვენი სამიზნე აუდიტორიის რეაქცია მარკეტინგულ ინსტუმენტებზე, რომელსაც ვიყენებთ საკომუნიკაციოდ. მომხარებელმა შესაძლოა აღქმული ინფორმაცია დაამახინჯოს ან განსხვავებული ინტერპრეტაციით გადმოსცეს ვერბალურად.

ამიტომ, სანამ გაფილტრავს დანახულ ინფორმაციას აი თრექინგის გამოყენებით ვაკვირდებით მათ და გვაძლევს ზუსტ მონაცემებს რას ხედავს რესპონდენტი და რა რჩება აღქმის გარეშე.

აი თრექერის საშუალებით შესაძლებელია ვიდეო რგოლების, ვებგვერდების, პროდუქტის შეფუთვის, ფოტოების ტესტირება. სანამ რესპონდენტი აანალიზებს რეკლამას, თრეილერს ან ნებისმიერ ვიდეო კონტენტს, გვაძლევს ინფორმაციას, რესპონდენტის მზერამ რომელი საგანი ან წარწერა დააფიქსირა და რომელი გამორჩა მისი მხედველობის არედან. აი თრექინგი შესაძლებლობას გვაძლევს, სანამ საჯაროდ მოხდება რეკლამის გაშვება, მასში აღმოვაჩინოთ დაშვებული შეცდომები. საუკეთესო გზა, რომ გაიტესტოს პროდუქტის შეფუთვა და ასევე ის მესიჯი, რომელიც გადმოცემულია რეკლამაში. შედეგები გამოტანილია ადვილად წასაკითხ და ფერად კოდირებულ სქემაზე. სტატისტიკური მონაცემების გამოტანის გარდა ასევე შესაძლებელია სითბური რუკების გამოსახვაც.

Eye Tracking სათვალის- მეშვეობის მომხმარებელზე დაკვირვება ხდება რეალურ დროსა და

გარემოში. სათვალე აღჭურვილია სამი კამერით, ორი მათგანი აკონტროლებს თვალის გუგების მოძრაობას, ხოლო მესამე იმ გარემოს სადაც რესპონდენტი იყურება. მომხმარებლის თვალის მოძრაობის მიხედვით შედეგების მიღება სხვადასხვა რეალურ სივრცეში გვაძლევს ზუსტ მონაცემებს თუ რა ობიექტებს აღიქვამს მომხმარებელი. სათვალის გამოყენება შეგვიძლია ვიზუალური მერჩენდაიზინგის მიმართულებით, სავაჭრო ობიექტებში (მარკეტი, აფთიაქები), ქუჩებში სადაც ბანერებია განთავსებული. ტესტირების შედეგები გვიჩვენებს, პროდუქტის შერჩევისას რა ძირითადი კრიტერიუმები ვლინდება, რაც იწვევს ყიდვის გადაწყვეტილბას. შედეგად ვიგებთ: თვალის მიერ აღქმული დეტალებს, რა დრო სჭირდება მომხმარებელს თითოეული დეტალის აღსაქმელად, რა დროს აყოვნებს ამა თუ იმ დეტალზე, რა რჩება აღსაქმის მიღმა, როგორია მომხმარებლის ნავიგაცია-გადაადგილება სავაჭრო ობიექტებში და როგორი უნდა იყოს სივრცის განლაგება, ან პროდუქტების განლაგება თაროებზე, იქმნება მზერის სითბური რუკები.

კანის გალვანური გამტარებლიანობა GSR-ის საშუალებით ხდება ქვეცნობიერი ემოციების გაზომვა. მაღალმგრძნობიარე სენსორი, მაგრდება თითებსა და ყურის ბიბილოზე და კანის მდგომარეობის ცვლილების მიხედვით გვაძლევს შედეგებს. პირდაპირ კავშირშია საოფლე ჯირკვლის აქტივობასთან, რომელიც გამოიყოფა რესპონდენტის ემოციური აქტივობის ცვლილებასთან ერთად, სხვაგვარად რომ ვთქვათ, გვაძლევს მონაცემებს, რესპონდენტის ემოციური აღშფოთების ან პოსიტიური განწყობის შესახებ.

GSR გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერი კონტენტის ვიდეოს, თრეილერის ტესტირებისას, მისი კომბინაცია შესაძლებელია სახის ემოციების გაზომვის ტექნოლოგიასთან. GSR- გვაძლევს შედეგებს, რესპონდენტის გამოვლენილი განწყობის ინტენსიურობის მაჩვენებელს, დადებითი იქნება თუ უარყოფითი, ასევე მისი პიკის გამოვლინების ასახვა დროის კონკრეტულ მონაკვეთში.

Facial coding (სახის ემოციების გაზომვა) - არის ნეირომარკეტინგის კიდევ ერთი ტექნოლოგია, რომლის შესაძლებლობა რესპონდენტის ყოველი რეაქციისა და მიმიკის აღქმა და იდენტიფიცირებაა. ხშირად, ემოციური დამოკიდებულება პროდუქტისთვის ქმნის მთავარ როლს შექმნის პროცესში. ეს ინსტრუმენტი გვეხმარება, რომ მივიღოთ საშუალო შედეგები თითოეული ნახვის დროს, რესპონდენტების კმაყოფილების დონე, გამოავლინეს თუ არა დადებითი ემოციები, როგორციაა მხიარულება და აღფრთოვანება ან როგორია მათი ჩართულობის მაჩვენებელი. ემოციები არის მნიშნელოვანი რეკლამის ეფექტიანობის შესაფასებლად. გეცოდინება თუ რომელი ემოცია დაეუფლა ადამიანს სანამ გაანალიზა რეკლამა. ამ მონაცემების მიღების შემდეგ, შეგვიძლია გავაკეთოთ ანალიზი, რეკლამის რომელი ნაწილი გამოირჩეოდა ჩართულობით და დადებითი ემოციებით. აღნიშნული ბიომეტრული სენსორების გამოყენება ხდება ბიზნეს საქმიანობის ყოველ ეტაპზე, დაწყებული პროექტის იდეის შემუშავებით, საბოლოო პროდუქტის ტესტირებით დამთავრებული. გამოყენების სფეროები კი მრავალია: მარკეტინგი, პოლიტიკა, ვებ გვერდები, საცალო ვაჭრობა და სხვა.

ცნობილია, რომ ადამიანი ყველაზე ხშირად ხელმძღვანელობს არა გონებრივი სქემებით, რამდენადაც ქვეცნობიერი ემოციებით. ამგვარად ნეირომარკეტინგი უფრო და უფრო პოპულარული ხდება ჩვენს ეპოქაში. ის შესაძლებლობას აძლევს კომპანიებს წინასწარ გააკეთონ პროგნოზირება, თუ რამდენად წარმატებული აღმოჩნდება მათი პროდუქცია. სამომავლოდ ნეირომარკეტინგი რეკლამის და ბრენდინგის წამყვან და მნიშვნელოვან ინსტრუმენტად იქცევა.

ტრადიციულად, მარკეტოლოგებს უფრო მეტი ინტერესი აქვთ, ვიდრე უბრალოდ მომხმარებლის პრეფერენციების გაზომვა, ისინი ასევე ცდილობენ შეცვალონ მომხმარებლები და მათი ქცევა, შეუქმნან ღირებულებები. ნეირომეცნიერების მკვლევარებმა დაიწყეს იმის გამოკვლევა, შესაძლებელია თუ არა ტვინის გამოყენება რათა მოახდინონ ზემოქმედება მომხმარებლის ყიდვის გადაწყვეტილების პროცესზე. კვლევის არეალია ტვინის ის უბანი, სადაც წარმოიშობა

აღფრთოვანება და ასევე ეთიკური ინტერესები.

რეკლამის მთავარი მიზანია, მოახდინოს გავლენა მყიდველზე და გაუჩინოს მას ყიდვის სურვილი. რამდენადაც ბაზარი გაჯერებულია რეკლამით რთულია მოამზადო ისეთი რეკლამა, რომელსაც მომხმარებელი გამოარჩევს რეკლამების გროვაში. სწორედ ამ პროცესსი ერთვება ნეირომარკეტინგი და ბიომეტრული სენსორების გამოყენებით ჩატარებული კვლევები გვაძლევენ ღრმა წარმოდგენებს პროდუქტის შეფუთვის, განლაგებისა თუ რეკლამირების შესახებ.

დასკვნა

აღნიშნული ბიომეტრული სენსორების გამოყენება ხდება ბიზნეს საქმიანობის ყოველ ეტაპზე, დაწყებული პროექტის იდეის შემუშავებით, საბოლოო პროდუქტის ტესტირებით დამთავრებული. გამოყენების სფეროები კი მრავალია: მარკეტინგი, პოლიტიკა, ვებ გვერდები, საცალო ვაჭრობა და სხვა.

ცნობილია, რომ ადამიანი ყველაზე ხშირად ხელმძღვანელობს არა გონებრივი სქემებით, რამდენადაც ქვეცნობიერი ემოციებით. ამგვარად ნეირომარკეტინგი უფრო და უფრო პოპულარული ხდება ჩვენს ეპოქაში. ის შესაძლებლობას აძლევს კომპანიებს წინასწარ გააკეთონ პროგნოზირება, თუ რამდენად წარმატებული აღმოჩნდება მათი პროდუქცია. სამომავლოდ ნეირომარკეტინგი რეკლამის და ბრენდინგის წამყვან და მნიშვნელოვან ინსტრუმენტად იქცევა.

ლიტერატურა

1. მარტინ ლინდსტრომი „Buy ოლოგია: მითი და რეალობა იმის თაობაზე რატომ ვყიდულობთ“. გამომცემლობა „პალიტრა L“, თბ., 2019წ.
2. http://gammaresearch.ge/Neurolab
3. https://imotions.com/blog/eye-tracker/
4. https://cooltool.com/abouteeg
5. https://cooltool.com/blog/the-ultimate-guide-on-how-to-analyze-eye-tracking-data
6. https://pupil-labs.com/products/core/
7. Bizer, G. Y., & Schindler, R. M. (2005). Direct Evidence of Ending-. Psychology & Marketing, Vol. 22, 771-783.
8. Monahan & Fisher (2010). Benefits of observer effects: Lessons from the field. Qualitative Research, 10(1), pp. 357-376.

The importance of research conducted with biometric sensors in business development

Rostiashvili Tamar
Associate Professor of Georgian Technical University

Popkhadze Gvantsa
PhD student of Georgian Technical University

Summary

Neuromarketing is a new field of marketing that uses medical technology to study the brain and its responses to marketing stimuli. It focuses on why and how purchasing decisions are made. This process is subconscious, therefore it needs in-depth study. Neuromarketing has been defined as the third dimension of research, along with quantitative and qualitative research.

Neuromarketing is a field that answers questions where traditional research is powerless. This direction of marketing uses biometric sensors, examines brain activity to better perceive user behavior and needs.

Keywords: Neuromarketing, Customer Behavior, Emotional Marketing, Decision Making Process.

How the Russia-Ukraine War is Accelerating Shifts in Global Supply Chains

Kvaraia Nino
Ph.D. student of Georgian Technical University

Summary

The Russia – Ukraine war is presenting additional disruptions to the global supply chains that are still suffering from COVID-19 implications. Russia's invasion of Ukraine will further accelerate the shift from global to regional sourcing that had been triggered by recent events including the China-U.S. trade war, pandemic and climate change. However, given China's dominance in the market and its role in the global supply chain systems, the shift will likely need to happen progressively and will require government reinforcement.

Keywords: disruption, supply chain, logistics, war, pandemic, climate change

Risks and Challenges in Global Supply Chains

Recent events around the Russia – Ukraine war and the new pandemic-related shutdowns are the newest challenges in the global supply chains. COVID-19 prompted many Western companies to rethink their supply chain structure. Supply shortages caused by the pandemic urged many businesses to reduce their reliance on China and consider alternative options including more localized, or regional, sourcing strategies.

Historically, China has been a very appealing market for companies to pursue to achieve economies of scale, cut cost and gain competitive advantage [1]. Cost saving strategies such as outsourcing, offshoring, and lean manufacturing gave rise to China as a major manufacturing hub and over the years its dominance has only grown. Only recently have the businesses started to rethink their supply chain operations and the need to bring production closer to their customer market.

The impact of the recent events has been so dramatic on material movement that even supply chains outside of China are rethinking their operations and strategies. A recent survey of 3,000 firms from Bank of America Securities found that companies in more than 80% of 12 global sectors [2], including semiconductors, autos, and medical equipment, had shifted, or planned to shift, at least part off their supply chains from current locations. Companies in about half of all global sectors in North America declared an intent to "reshore" [3], citing automation as a key enabler of shifting supply chain.

In late 2021, Schneider Electric announced its plan to invest $100 million to strengthen the company's regional capabilities and increase manufacturing capacity to meet the rising customer demand [4]. As part of the plan Schneider Electric is set to build three new manufacturing facilities in North America.

Similar announcements have been made recently in the solar, semiconductor and the biotech industries. Wallbox, a global provider of electric vehicle charging solutions, announced its commitment to US based production to support domestic sustainability and infrastructure goals. The company plans to establish its first U.S. manufacturing facility in Texas. The Ukraine war and closer alignment of China and Russia will profoundly change the way supply chains have been structured. The magnitude of exchange of energy, raw materials, industrial parts, and goods between the Western world, China, and Russia will likely never be the same, especially in light of the recent reshoring trend that has been exponentially accelerating.

Another important area to highlight is the oil and gas industry. With the recent spike in prices due to the war, transportation costs will also rise. While soaring gas prices have already affected many, what remains to be seen is the impact of the war-imposed constraints on the ability to use Russian transportation infrastructure to support manufacturing in Asia. What may come as a surprise to many people is that a lot of companies have been sourcing components and finished goods from China and using the Russian railways for transportation to Eastern and Western Europe [5]. While it is possible to ship some of these items by air, it will obviously be much more expensive, and directly impact the consumer, especially now that airlines need to bypass Russia.

It is also noteworthy that Ukraine supplies about half of the world's neon gas, which is used to produce semiconductor chips [6]. Chips have already been in short supply given that demand for cellphones and laptops dramatically increased after the pandemic. Therefore, the recent stoppage of production caused by the war is only fueling the supply shortage. Intel was one of the first companies to announce landmark investment in the

US [7] to meet the surging demand for advanced semiconductors. Additionally, Intel announced its historic investment of as much as 80 billion euros in the European Union over the next decade along the entire semiconductor value chain – from research and development (R&D) to manufacturing to state-of-the art packaging technologies [8].

Russia and Ukraine also play a big role in the global supply chains as exporters of grains such as corn, barley, and wheat as well as fertilizer. Governments around the world are struggling to combat soaring agriculture prices, especially in Many Middle Eastern and African countries that rely heavily on Black Sea grains and vegetable oils [9].

These factors are boosting interest in local supply chain strategies. Électricité de France (EDF) and GE's exclusive agreement from earlier this year to sell GE's part of steam power's nuclear activities to EDF [10] exemplifies the swing from globalization to localization. Another example is semiconductor manufacturing equipment. The US and Dutch governments have blocked ASML, the world's largest producer of the machines that make semiconductor chips, from selling its most advanced machines to China. According to ASML, its most advanced technology is so complex, it would take over a decade for others to replicate.

The Ukraine war has had surprisingly large impact on European car manufacturing as well which has introduced risks associated with the current global supply chain. Volkswagen and BMW have been cutting out and temporarily closing some assembly lines in Germany due to the shortage of wiring harnesses manufactured in Ukraine. Audi has indicated that the entire group is focused on getting major suppliers to relocate their Ukrainian wire harness production to other plants or find alternative suppliers. Michelin Group announced that they are facing major logistical and transportation issues in supplying its plants and delivering to customers as well [11]. It's inevitable for the European car companies to start buying more locally to overcome shortage issues and meet the client demand, even if this requires additional price increases. This could be a good opportunity for Europe to strengthen its internal manufacturing sector.

Conclusion

It is abundantly clear that, whether voluntarily or involuntarily, shifts in global supply chains are happening at unprecedented rates. While some companies may have found short term solutions, Governments will need to be involved to drive change on large scale and support businesses in their reshoring efforts. The U.S. CHIPS Act and the European Chips Act are examples of government efforts to reduce dependence on Taiwan and South Korea for semiconductor.

Until infrastructure investments in local regions transpire, companies should stress test their supply chains to prevent this problem from occurring again when the next disaster strikes [12]. Challenges to global supply chains will further unfold as impact of the recent events becomes more quantitative. It is key for businesses to pursue strategies to make their supply chains more resilient to risks.

References

1. Simchi Levi. (2022, March 17). *How the war in Ukraine is further disrupting global supply chains*. Harvard Business Review. Retrieved March 31, 2022, from https://hbr.org/2022/03/how-the-war-in-ukraine-is-further-disrupting-global-supply-chains
2. Rabouin. (2022, February 11). *"Tectonic shift" in supply chains already happening*. AXIOS. Retrieved March 31, 2022, from https://www.axios.com/tectonic-shift-supply-chains-management-95051b3b-86ac-4b50-9250-e9355dfde22a.html
3. Simchi Levi. (2022, March 17). *How the war in Ukraine is further disrupting global supply chains*. Harvard Business Review. Retrieved March 31, 2022, from https://hbr.org/2022/03/how-the-war-in-ukraine-is-further-disrupting-global-supply-chains
4. Schneider Electric to Invest and Build Three New Manufacturing Plants in North America. (2021, November 10). Business Wire.
5. https://www.businesswire.com/news/home/20211110006019/en/Schneider-Electric-to-Invest-and-Build-Three-New-Manufacturing-Plants-in-North-America
6. Simchi Levi. (2022, March 17). *How the war in Ukraine is further disrupting global supply*

chains. Harvard Business Review. Retrieved March 31, 2022, from https://hbr.org/2022/03/how-the-war-in-ukraine-is-further-disrupting-global-supply-chains

7. Alper. (2022, March 11). *Exclusive: Russia's attack on Ukraine halts half of world's neon output for chips*. Reuters. Retrieved March 31, 2022, from
8. https://www.reuters.com/technology/exclusive-ukraine-halts-half-worlds-neon-output-chips-clouding-outlook-2022-03-11/
9. *Intel Announces Next US Site with Landmark Investment in Ohio*. (2022, January 21). Intel. Retrieved March 31, 2022, from
10. https://www.intel.com/content/www/us/en/newsroom/news/intel-announces-next-us-site-landmark-investment-ohio.html
11. *Intel Announces Initial Investment of Over €33 Billion for R&D and. . .* (2022, March 15). Intel. Retrieved March 31, 2022, from https://www.intel.com/content/www/us/en/newsroom/news/eu-news-2022-release.html#gs.vg0w9r
12. Reiley. (2022, March 11). *War is driving up food prices, exacerbating shortages abroad, especially for food-insecure nations*. The Washington Post. Retrieved March 31, 2022, from https://www.washingtonpost.com/business/2022/03/11/ukraine-impact-on-countries-food/
13. *GE Signs an Exclusive Agreement to Sell Part of Steam Power's Nuclear Activities to EDF | GE News*. (2022, February 10). GE. Retrieved March 31, 2022, from https://www.ge.com/news/press-releases/ge-signs-an-exclusive-agreement-to-sell-part-of-steam-powers-nuclear-activities-to
14. *Michelin - Consequences of the conflict in Ukraine*. (2022, March 3). Michelin. https://www.michelin.com/en/press-releases/consequences-of-the-conflict-in-ukraine/
15. Simchi-Levi. (2021, February 2). *We Need a Stress Test for Critical Supply Chains*. Harvard Business Review. https://hbr.org/2020/04/we-need-a-stress-test-for-critical-supply-chains

როგორ აჩქარებს რუსეთ-უკრაინის ომი ცვლილებებს გლობალური მიწოდების ჯაჭვებში

ქვარაია ნინო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

რუსეთ-უკრაინის ომი დამატებით შეფერხებებს იწვევს გლობალური მიწოდების ჯაჭვებში, რომლებიც ჯერ კიდევ ებრძვიან COVID-19-ის გამოწვევებს. რუსეთის შეჭრა უკრაინაში დააჩქარებს გადასვლას გლობალურიდან რეგიონულ მიწოდებაზე, რაც უკვე გამოწვეული იყო ბოლოდროინდელი მოვლენებით, მათ შორის ჩინეთი-ამერიკის სავაჭრო ომი, პანდემია და კლიმატის ცვლილება. თუმცა, ბაზარზე ჩინეთის დომინირებისა და მისი როლის გათვალისწინებით გლობალური მიწოდების ჯაჭვის სისტემებში, ცვლილება სავარაუდოდ ნელნელა და მთავრობების დახმარებით უნდა მოხდეს.

საკვანძო სიტყვები: შეფერხება, მიწოდების ჯაჭვი, ლოგისტიკა, ომი, პანდემია, კლიმატის ცვლილება.

სიცოცხლის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით

ბლიაძე თამარ
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

დალუნდარიძე მარიამი
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

აღნიშნულ სტატიაში, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციიდან განხილულია ადამიანისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ღირებული-სიცოცხლის უფლება.

ალბათ გაჩნდება კითხვა იმის შესახებ,რატომ მაინცდამაინც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით. პასუხი ძალიან მარტივია.ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, 1950 წელს მიღებული, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო აქტია,რომელიც აყალიბებს და იცავს ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს და რომელიც თავის მხრივ ემყარება გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წლის 10 დეკემბერს მიღებულ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას და რომელიც სავალდებულოდ შესასრულებელია კონვენციის ხელმომწერი ყველა ქვეყნისთვის.

საკვანძო სიტყვები: აბორტი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, ევთნაზია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, სიცოცხლის უფლება (ევთანაზია, აბორტი).

შესავალი

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით მოწესრიგებული ადამიანის უფლებების ჩამონათვალი ძალიან გრძელია, სწორედ ამიტომ განვიხილავთ კონვენციის მოერე მუხლს, რომელიც სიცოცხლის უფლებას გულისხმობს.თავად სიცოცხლის უფლებიდანაც გამოვყოფთ ორ ყველაზე სადავო და მწვავე საკითხს მსოფლიოს მასშტაბით-აბორტის და ევთანაზიის უფლებებს.

აბორტის და განსაკუთრებით ევთანაზიის საკითხზე დავა არ წყდება. არსებობს მუდმივად ორი დაპირისპირებული მხარე და ორივეს საკმაოდ საფუძვლიანი მიზეზი აქვს იმისთვის რომ ეთანხმებოდეს,ან არ ეთანხმებოდეს ევთანაზიისა და აბორტის დაშვებობა არ-დასაშვებობის საკითხს.საინტერესოა თვითონ ეროპული კონვენცია რას ამბობს აბორტსა და ევთანაზიაზე და რა სასამართლო პრაქტიკა არსებობს ამ მხრივ,ჩვენს სტატიაში განხილული საკითხიც სწორედ ამ თემას ეხება.

ძირითადი ტექსტი

1. სახელმწიფოს ნეგატიური და პოზიტიური ვალდებულებები

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, რომელიც, თავის მხრივ,გაეროს 1948 წლის 10 დეკემბრის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას ითვალისწინებს, სიცოცხლის უფლება, კონვენციაში განხილულ უფლებათა და თავისუფლებათა შორის, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლებაა. თავისი არსით, სიცოცხლის უფლება მოიაზრებს სახელმწიფოს მთელ რიგ პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებებს.

სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება გულისხმობს შემდეგს:

1.სახელწიფომ არ უნდა ხელყოს ადამიანის სიცოცხლე, გარდა ამისა, მოიცავს პროცედურულ ვალდებულებასაც გონივრულ ფარგლებში ეფექტურად დაიცვას პირის სიცოცხლე და უფლების დარღვევის შემთხვევაში აწარმოოს სათანადო გამოძიება.

2.სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება წარმოეშობა გარემოს დაბინძურებასთან დაკავშირებულ საქმეებზე,რაც საფრთხეს უქმნის ადამინათა სიცოცხლეს.

3.სახელმწიფო ვალდებულია გაატაროს სათანადო ღონისძიებები სამედიცინო მკურნალობის მხრივ.

სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულება ვრცელდება შემდეგზე:

1.ჯეროვნად უზრუნველყოს პოლიციის კონტროლი,რათა მათ მიერ ჩატარებულ ოპერაციებს ადამიანთა სიცოცხლე არ ემსხვერპლოს და ადგილი არ ჰქონდეს პოლიციის მხრიდან ძალის გადამეტებას.

2.დაიცვას პატიმრები ციხეში სიკვდილისგან და ფაქტის დადგომის შემთხვევაში ეფექტურად გამოიძიოს საქმე

3.ნეგატიური ვალდებულებები ვრცელდება ევთანაზიასა და აბორტზეც,რომლებიც თავიანთი სირთულიდან გამომდინარე,ჩვენი სტატიის ძირითად განსახილველ საკითხებს წარმოადგენენ.[1]

2. ევთანაზიის უფლება

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის პირველ ნაწილში ვკითხულობთ შემდეგს: "ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება კანონით არის დაცული.არ შეიძლება სიცოცხლის განზრახ ხელყოფა,თუ არა სიკვდილის სასჯელის აღსრულების შედეგად,რომელიც სასამართლოს განაჩენით შეეფარდა მოცემულ პირს ისეთი დანაშაულის ჩადენისათვის,რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს ამ სასჯელს".[2] საინტერესოა სიცოცხლის უფლება მოიაზრებს თუარა სიკვდილის უფლებასაც და რამდენადაა დასაშვები ევთანაზია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით.ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება,საქმეზე PRETTY vs. THE UNITED KINGDOM.[3]

ამ საქმეში მოსარჩელე 43 წლის ქალბატონი იყო,რომელიც იუწყებოდა რომ დაავდებული იყო ნეიროდეგენერაციული დაავადებით,რომელიც აფერხებს კუნთების მუშაობას,იწვევს გაგუდვით სიკვდილს,რადგან სუნთქვა შეუძლებელი ხდება,ამას კი წინ უძღვის ძლიერი ტკივილები.სარჩელის შეტანის დროს ქალბატონი კისერს ქვემოთ მოწყვეტილი.მას სჭირდებოდა მეუღლის დახმარება თვითმკვლელობის აღსრულებაში და მოითხოვდა სახელმწიფოს მისი მეუღლისთვის,ამის გამო პასუხისმგებლობა არ დაეკისრებინა.სტრასბურგის სასამართლომ არ გაამტყუნა დიდი ბრიტანეთი და კონვენციის ხელმომწერ სახელმწიფოებს მისცა დისკრეციული უფებამოსილება, გადაეწყვიტათ ევთანაზიის დაშვებობა,არ-დასაშვებობის საკითხი,რადგან სიცოცხლის უფლება სიცოცხლის უფლებას ნიშნავს და არა სიკვდილისას,თან ამავდროულად, კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოების გადაწყვეტილება ევთანაზიის დასაშვებობაზე სასამართლომ უკანონოდ ვერ გამოაცხადა.[4]

3. ევთანაზია ქართული კანონმდებლობით

საქართელოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" 151-ე მუხლის სახით შეიცავს ჩანაწერს,რომ „სამედიცინო პერსონალს,აგრეთვე ნებისმიერ სხვა პირს ეკრძალება ევთანაზიის განხორციელება ან ამ უკანასკნელში მონაწილეობის მიღება"[5],შესაბამისად ევთანაზიის ჩატარება

---

[1] „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი";თბილისი,2004 წ; 129-140 გვ.

[2] „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია",რომი,1950 წლის 4 ნოემბერი- https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0 (ნანახია 28.03.2022)

[3] CASE OF PRETTY v. THE UNITED KINGDOM;2002,no. 2346/02 – https://hudoc.echr.coe.int/eng#{"itemid":["001-60448"]} (ნანახია 28.03.2022)

[4] „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი";თბილისი,2004 წ; 129-140 გვ.

[5] საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ- https://matsne.gov.ge/ka/document/download/29980/42/ge/pdf# (ნანახია 28.03.2022)

დასჯადია.სახელმწიფო განიხილავს როგორც განზრახ მკვლელობას,ჩადენილს შემამსუბუქებელ გარემოებაში იქიდან გამომდინარე რომ მსხვერპლს სიკვდილი თავად სურს,სასჯელის ზომაც შესაბამისად მსუბუქია[1].

სახელმწიფოს ამ მიდგომას სავსებით ვეთანხმები და მივიჩნევ,რომ ევთანაზია ჩვეულებრივი თვითმკვლელობა და მკვლელობაა.არცერთ დემოკრატიულ სახელმწიფოს, სადაც სიცოცხლის მნიშვნელობასა და მისი დაცვის აუცილებლობაზე კონსტიტუციის მუხლებია მიძღვნილი,არ "ეკადრება" ევთანაზიის დაშვება,ვინაიდან სიცოცხლე ის ღირებული უფლებაა,რომლის დაცვა სახელმწიფოს უპირველესი მოვალეობაა, ევთანაზია კი პირიქით,სიცოცხლის შეწყვეტის ხელშეწყობაა.გარდა ამისა,მედიკოსები არ უნდა იყვნენ იძულებულნი სიცოცხლე მოუსპონ ადამიანს, ვინაიდნ ეს მათი პროფესიულ-ზნეობრივი საფუძვლის დარღვევას წარმოადგენს.

4. აბორტი

აბორტი - ზოგიერთი სამართალმცოდნის გადმოსახედიდან ადამიანის ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი არც ისე გარკვევით განმარტავს თუ ვინ მოიაზრება„ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება დაცულია" მოიაზრება და იცავს თუ არაადამიანის უფლებების ევროპული კონვენცია ჩანასახს? ირღვევა თუ არა აბორტის ჩატარებით ადამიანის უფლებათ ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი და ექმნება თუარა საფრთხე ადამიანის (ჩანასახის) სიცოცხლის უფლებას.რასაკვირველია ადამიანის უფლებათა კონვენცია ყველა ქვეყანას უტოვებს არჩევანს აბორტის უფლების შესახებ, გარკვეული მოთხოვნების შესაბამისად სასამართლომ ყველაზე სწორად მიიჩნია ნორვეგიის კანონმდებლობა, რომელშიც განსაზღვრულია თარიღები თუ რა პერიოდში შეიძლება ქალმა ჩაიტაროს აბორტი ეს განსაზღვრული ვადებია 12 კვირამდე,როდესაც ორსულს თვითონ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება აბორტის გაკეთებასთნ დაკავშირებით 12-18 კვირამდე ექიმთა კოლეგა გადაწყვეტს შეიძლება თუ არა ჩატარდეს აბორტი,ხოლო 18

კვირის შემდეგ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჩატარდეს თუ ორსული ქალის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, ეს ის ვადებია რომელიც დაწესდა ევროპული კონვენციის მიხედვით [2]რაც შეეხება საქართველოს, საქართველოში ქალის სურვილით

აბორტი შეიძლება ჩატარდეს 12 კვირამდე, ხოლო 12-21 კვირის განმავლობაში შეიძლება ჩატარდეს ე.წ სოციალური მიზეზით (მაგალითად თუ ქალი გააუპატიურეს რის შედეგადაც დაორსულდა) ან სამედიცინო ჩვენების მიხედვით,როდესაც ორსული ისეთი მძიმე დაავადებითაა დავადებული როგორიც ავთვისებიანნი სიმსივნეა.[3] შეგვიძლია ვნახოთ,რომ გერმანიის კანონის მიხედვითაც ქალს საკუთრი სურვილით შეუძლია 12 კვირამდე მიმართოს სამედიცინო დაწესებულებას აბორტის კანონიერი გზით ჩატარებისთვის.თუ დავაკვირდებით ევროპის თითქმის ყველა ქვეყანა ასრულებს ადამიანის უფლებათ ევრპული კონვენციით დადგენილ ვადებში აბორტის უფლებით სარგებლობას იმ ქალებისთვის რომლებსაც სურთ აბორტი.ვინაიდან შეგვიძლია თვალი ვადევნოთ ევროპის სასამართლოს რამოდენიმეგადაწყვეტილებას, შეგვიძლია დავადასტუროთ რომ კონვენციის მიხედვითდაუბადებელი ბავშვი არ არის „პირი „ რომელიც პირდაპირ ისარგებლებსკონვენციის მე-2 მუხლით, იმ შემთხვევაშიც კი თუ დაუბადებელ ნაყოფს აქვს„სიცოცხლის უფლება" ეს უფლება შეიძღუდება ქალის უფლებებით რომელიცარის ორსულად ანუ კონვენცია არ უზრუნველყოფს დაუბადებელი ბავშვის სიცოცხლის უფლებას, რომელიც გამომდინარეობდა ევროპული სასამართლოს მიერ განხილული ერთერთი საქმიდან -Vo. v. France-. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს რომ კონვენციის ზედამხედველ ორგანოებს არ

[1]„ევთანაზია და ფეტუსის დაცვის სისხლისსამართლებრივი დაცვის პრობლემები"; თ.სადრაძე, თბილისი,2012,გვ.80

[2] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი";თბილისი,2004 წ; 129-140 გვ.

[3] „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II";მ.ლეკვეიშვილი,გ.მამულაშვილი,ნ.თოდუა;თბილისი,2019

გამოურიცხავთ ის შესაძლებლობა რომ მე_2 მუხლმა გარკვეულ შემთხვევებში და კონკრენტულ გარემოებებში დაიცვას ნაყოფის სიცოცხლე. საფრანგეთში მომხდარი საქმე,რომელიც უკვე ვახსენეთ,შეეხებოდა ვიეტნამელ ქალს რომლის გვარიც იყო „ვუ“, იმ დღეს როდესაც ექიმმა დაუდევობით პაციენტის ნაყოფს მიაყენა დაზიანება ასევე ჩაწერილი იყო მეორე ქალბატონიც რომელსაც იგივე გვარი ქონდა მას სურდა ე.წ სპირალის მოშორება სხეულიდან, ექიმმა როდესაც გვარით გამოიძახა პაციენტი მასთან შევიდა „ვუ“ რომელსაც უბრალოდ ნაყოფის მდგომარეობის

გაგება სურდა მან ვერ გაიგო ექიმი რას ეუბნებოდა ვინაიდან არ ესმოდა ფრანგული ენა ექიმმა ივარაუდა რომ მას სურდა კონტრაცეპტივისაგან გათვისუფლება და დაიწყო სამედიცინო ჩარევა რის შედეგადაც დაზიანდა ქალის საშვილოსნოსთან მდებარე ორგანო და აუცილებელი გახდა ბავშვის მოშორება. მოცემულ საქმეზე საფრანგეთის სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება რომ ექიმის ქმედება არ დაკვალიფიცირდებოდა გაუფრთხილებლობით მკვლელობად რის შედეგადაც მომჩივანმა სტრასბურგის სასამართლოშ შეიტანა სარჩელი სასამართლოს და ექიმის წინააღმდეგ საქმის წარმოება დაიწყო, მაგრამ მოგვიანებით მოცემული საქმე შეწყდა რადგან ექიმის მიზანი არიყო ნაყოფის განზრახ მკვლელობა ხოლო საფრანგეთის კანონმდებლობის მიხედვით ნაყოფის გაუფრთხილებლობით დაზიანება არ წარმოადენდა დანაშულს და აგრეთვე მიიჩნია რომ ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი არ დარღვეულა საფრანგეთის მხრიდან.[1]

დასკვნა

დასკვნისთვის მოკლედ მიმოვიხილავთ და შევაჯამებთ მოცემულ ორ საკმაოდ მწვავე პრობლემას დღეს მსოფლიოში, როგორც უკვე განხილული მასალიდან ჩანს ევთანაზიაზე ევროკავშირმა დისკრეციული უფლებამოსილება მისცა ყველა ქვეყანას რათა თვითონ აერჩიათ რამდენად დასაშვები მათთვის, აბორტი კი კონვენციის მიხედვით უფრო ჩამოყალიბებული და განსაზღვრულია ვადების მიხედვით რომელსაც ევროკავშირის ქვეყნები ასრულებენ დადგენილი ნორმების შესაბამისად. ჩვენი პირადი გადმოსახედიდან ევთანაზია არ უნდა იყოს დაშვებული და აბორტი მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ორსულის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. ვინაიდან როგორც მთლიანი საზოგადოებისთვის ისე კონკრეტულად მედიკოსებისთვის, ადამიანის სიცოცხლის მოსპობა იქნება, ეს უკვე ზრდასრული (ევთანაზიის სახით) თუ დაუბადებელი ნაყოფი(აბორტის სახით) მორალურ-პროფესიული ეთიკის ნორმებს ეწინააღმდეგებაა, ჩვენ ვიფქრობთ რომ უნდა გამაკცრდეს კანონი მოცემულ შემთხვევებში რათა ასე მარტივი არიყოს სარგებლობა სამედიცინო დაწესებულებებში.

ლიტერატურა:

1. (1994 წლის 11 მაისი). მოპოვებული საქართველოს საკანონმდებლო მაცნე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0-დან
2. CASE OF PRETTY v. THE UNITED KINGDOM. (2002 წლის 29 ივლისი). მოპოვებული HUDOC: https://hudoc.echr.coe.int/eng#{"itemid":["001-60448"]}-დან
3. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი. (2004). თბილისი.
4. ლეკვეიშვილი, მამულაშვილი, & თოდუა. (2019). სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II. თბილისი: მერიდიანი.
5. სადრაძე, თ. (2012). ევთანაზია და ფეტუსის დაცვის სისხლისსამართლებრივი დაცვის პრობლემები. (გვ. გვ.80). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის

[1] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი“;თბილისი,2004 წ; 129-140 გვ.

გამომცემლობა.

6. საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ. (თ. გ.). მოპოვებული https://matsne.gov.ge/ka/document/download/29980/42/ge/pdf#-დან

Right to life according to European Convention On Human Rights

Tamar Bliadze
IBSU; Faculty of law

Mariami Dagundaridze
IBSU; Faculty of law

Summary

In this article we are discussing right to life according to European Convention On human rights. Right of life involves a lot of responsibilities for Governments to protect humans life from any kind of threat and it's impossible to discuss all of them right now, so our article is only about abortion and euthanasia.

In article 2, "Right to life" it's written:" Everyone's right to life shall be protected by law. No one shall be deprived of his life intentionally save in the execution of a sentence of a court following his conviction of a crime for which this penalty is provided by law". it's interesting if right to life can protect right of death too, is euthanasia permitted? Best way to understand that is to take a look at European court decisions.. In a case PRETTY vs. THE UNITED KINGDOM, the applicant,43 years old woman decided to end her life, but because she was unable to end her life herself she needed her husband's assistance, so The applicant's lawyer requested the Director of Public Prosecutions to give an undertaking that her husband would not be prosecuted if he assisted her to commit suicide, her request was refused, European court explained that right of life doesn't involve right of death, but European court couldn't condemn countries that supported euthanasia, so Euro-pean court gave permission to countries to choose what they deemed right and act according to it.

Abortion is more or less settled, according to European convention on human rights women have free will to make abortion till they are 12 weeks pregnant. If woman is 12-18 weeks pregnant only doctors can decide if abortion could be done and after 18 weeks, only if mother's life is at risk. Every country ,that signed convention follows this rules and never breaks them.

Keywords: Abortion according to European Convention on Human Rights, euthanasia According to European Convention on Human Rights, right to life (euthanasia, abortion).

შავი ზღვა, როგორც თანამედროვე გლობალური კონიუნქტურის კონფრონტაციული სივრცე

გაბელია ირაკლი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

2022 წლის 24 თებერვალს, უკრაინაში დაწყებულმა მოვლენებმა მსოფლიო კიდევ ერთი გამოწვევის წინაშე დააყენა, რომლის აღმოფხვრა სახელმწიფოთა შორის განსაკუთრებულ თანამშრომლობას მოითხოვს. მიუხედავად ამისა, აშკარად გამოიკვეთა დაპირისპირებულ მხარეთა შორის დაშორების ტენდენცია, რაც მათ შორის ინტერესთა კონფლიქტში გამოიხატება.

კონფლიქტში უშუალოდ ჩართული მხარეები (რუსეთის ფედერაცია და უკრაინა) შავი ზღვის აუზის სახელმწიფოებს განეკუთვნებიან, ამიტომ რეგიონი აქტიური დაკვირვების ობიექტია გლობალური მასშტაბით, რადგან მასში მიმდინარე არაკონტროლირებადი მოვლენები საფრთხის შემცველია მსოფლიოსთვისაც. შესაბამისად, შავი ზღვის გეოგრაფიული მდებარეობა არა მხოლოდ რეგიონის, არამედ გლობალურ მოთამაშეთა ინტერესის სფეროსაც განეკუთვნება. რეგიონში არსებული გარემო, რომელმაც უკანასკნელი დეკადის განმავლობაში უფრო მეტი არასტაბილურობა შეიძინა, შეშფოთების საგანს წარმოადგენს საერთაშორისო საზოგადოებისთვის. შესაბამისად ხშირია დისკუსიები იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება დარეგულირდეს აღნიშნული სიტუაცია, რათა მხარეებმა შეძლონ მოლაპარაკებებით თავიანთი ინტერესების გაცვლა. თუმცა არსებული მდგომარეობა სახელმწიფოთა უფრო დაშორებას გვპირდება, აღნიშნულის თავიდან აცილების გზების ძიება აქტიურად მიმდინარეობს როგორც პოლიტიკურ, ასევე აკადემიურ სფეროში.

საკვანძო სიტყვები: შავი ზღვის უსაფრთხოება, გეოპოლიტიკა, ეროვნული ინტერესები, კონფლიქტი, ენერგოუსაფრთხოება.

შესავალი

შავი ზღვის უსაფრთხოების მნიშვნელობა გლობალურ პოლიტიკაში

შავ ზღვის რეგიონი ევროპის სამხრეთ ნაწილის მნიშვნელოვან მონაკვეთს წარმოადგენს, რომლის მნიშვნელობასაც გლობალურ პოლიტიკაში გეოგრაფიული მდებარეობა განსაზღვრავს. კომუნისტური სივრცის დაშლამ რეგიონში დიდი ძვრები გამოიწვია. გამოჩნდა ახალი შესაძლებლობები, რომელზედაც ფიქრი რამდენიმე ათეული წლის წინათ თითქოს წარმოუდგენელი ჩანდა. შავი ზღვა აღქმული იყო როგორც "ჩაკეტილი სივრცე" და სხვა სტრატეგიულ რეგიონებში შეღწევისათვის საჭირო "გასაღებად" განიხილებოდა "ცივი ომის" დასრულების შემდეგ მოცემულობა მკვეთრად შეიცვალა, შესაბამისად დახურული სივრცე ერთბაშად ღია სისტემაში ტრანსფორმირდა და ამასთანავე სახელმწიფოთა ინტერესებიც კონცენტრირდა შავი ზღვის არეალში. დროთა მიმდინარეობამ ნათლად გვიჩვენა, რომ შავი ზღვის აუზი დაპირისპირების ეპიცენტრად იქცა, სადაც არა მხოლოდ სახელმწიფოთა, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციათა ინტერესებია თავმოყრილი. ინტერესთა გამძაფრებული დაპირისპირების განმარტების ძიების პროცესში მნიშვნელოვანია ინგლისელი გეოგრაფისა და გეოპოლიტიკოსის ჰელფორდ ჯონ მაკინდერის (1861-1947) მოსაზრება რეგიონთან დაკავშირებით. მისივე შექმნილი თეორიის ფარგლებში, რომელსაც "ჰართლენდის" თეორიის სახელით ვიცნობთ, გვთავაზობს მოსაზრებას, რომ შავი ზღვის რეგიონი ერთგვარი გასაღებია სამხრეთ და დასავლეთი ფლანგისა და მისი ფლობა უდიდესი მნიშვნელობის მატარებელია.

ძირითადი ნაწილი

მაკინდერმა მსოფლიო ისტორიული პროცესების ინტერპრეტაცია მოახდინა იმ აზრზე დაყრდნობით, რომ სამყარო არსებითად დაყოფილი იყო იზოლირებულ ტერიტორიებად, რომელთაგან თითოეულს განსაკუთრებული ფუნქცია ჰქონდა. აქვე დასძენს, რომ "ჰართლენდი" წარმოადგენდა ყველაზე ხელსაყრელ გეოპოლიტიკურ მდებარეობას. მისი შეხედულებით, გეოპოლიტიკური აქტორები, რომლებიც შეძლებდნენ დომინირებას "ჰართლენდში" გახდებოდნენ გეოპოლიტიკური და ეკონომიკური პოტენციალის მაკონტროლებელნი მსოფლიო მასშტაბით.

ტერმინი - "გეოპოლიტიკური თეორია" "ცივი ომის" პერიოდში ამერიკული გეოპოლიტიკური სკოლის მიერ ჩაისახა, რომელიც ეროვნული უსაფრთხოების მეშვეობით გეოგრაფიული ინტერესების დაცვას გულისხმობდა[1]. თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, სადაც "დომინოს პრინციპით" მიმდინარეობს, პროცესები და თითოეული აქტორი ერთმანეთზეა დამოკიდებულია, ხოლო ამ ფონზე დაპირისპირების კერის შექმნა შავი ზღვის რეგიონში, გლობალური მასშტაბით არასტაბილურ გარემოს ქმნის. შავი ზღვა ხშირად ფართო გეოპოლიტიკური კონკურენციის ნაწილია, რეგიონი ასევე სარგებლობდა შედარებით სტაბილურობის პერიოდებით, როგორც წესი, ერთ კონკრეტულ ჰეგემონურ წესრიგში გაერთიანების შედეგად, როგორც ეს იყო შემთხვევა, როდესაც შავი ზღვა კონტროლდებოდა ოსმალეთის ან რუსეთის იმპერიების ან საბჭოთა კავშირის მიერ. ცივი ომის დასასრულს არსებობდა პან-ევროპული მცდელობა შავი ზღვის გარშემო ისტორიული განხეთქილების გადალახვისა და ახალი უსაფრთხოების გარემოს ჩამოყალიბების, რომელიც აგებული იყო თანამშრომლობაზე, საერთო წესებსა და ინსტიტუტებზე. საპირისპიროდ, დღეს შავი ზღვა განიცდის მილიტარიზაციას და პოლიტიკური ინტეგრაციის პროექტის ფრაგმენტაციას[2].

1936 წლის მონტროს კონვენციით, შავ ზღვაში დამყარდა სრუტეების რეჟიმი, რითაც დადასტურდა თურქეთის სუვერენიტეტის ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებზე. მიუხედავად ამისა, საბჭოთა კავშირმა არ დათმო თავისი პრეტენზიები სრუტეებზე, რომელსაც ეს ტერიტორიები ცარისტული რუსეთისგან მემკვიდრეობით ერგო.. როგორც მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთი გამარჯვებული მხარე, სსრკ იმ დროისათვის უპირატესობასაც გრძნობდა რეგიონში. სწორედ ამიტომ, 1946 წელს საბჭოთა კავშირმა გაზარდა შავი ზღვის რეგიონში საკუთარი სამხედრო დანაყოფების რაოდენობა. აღნიშნულის მიზანს თურქეთის მხრიდან დათმობაზე წასვლა წარმოადგენდა, რაც თავის თავში საბჭოთა სამხედრო ბაზის თურქეთის ტერიტორიაზე განთავსებას გულისხმობდა. ეს გახდა 1952 წელს თურქეთის ნატოში გაწევრიანების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. სწორედ ეს შეიძლება ჩაითვალოს იმ ათვლის წერტილად, საიდანაც სათავეს იღებს დღეს არსებული დაპირისპირება რუსეთის ფედერაციასა და დასავლეთს შორის. ეს არის ერთი მხრივ საბჭოთა კავშირსა და აშშ-ს შორის ურთიერთობებში ბზარის გაჩენა, ხოლო მეორე მხრივ დღეს არსებული ვითარება, როდესაც ესკალაციის მაღალი დონე ფიქსირდება მხარეებს შორის.

შავი ზღვის აუზზე საუბრისას მნიშვნელოვანია აღინიშნოს მისი როლი და ფუნქცია ენერგეტიკული თვალსაზრისით. განსაკუთრებით მას შემდეგ, როდესაც 2005 წელს ნავთობის მიწოდების პრობლემები შეიქმნა - რუსეთსა და ბელორუსს შორის ფასებისა და დავალიანების დაპირისპირების დროს, ასევე ამავე მიზეზით გაზის მიწოდება შეფერხდა - 2006 წელს, ამჯერად უკრაინასთან, შემდეგ კი 2009 წელს, იგივე დავა მომარაგების შეწყვეტის ყველაზე გრძელი, 14 დღიანი პერიოდით.

---

[1] მაისაია, ვ. შავი ზღვის აუზის გეოსტრატეგიული ბალანსის პოლიტიკური ასპექტები. პარიზი: ქართულ-ევროპული ინსტიტუტი. (2003). გვ 60-61

[2] NEIL J. MELVIN - the Black Sea as a security space, Stockholm International Peace Research Institute, 2018

2018 წელს შავ ზღვაში ენერგეტიკის მნიშვნელოვანი ნაწილი, პირველ რიგში, რუსეთის ფედერაციაზე მოდიოდა, რომელიც გაზისა და ნავთობის დიდი მწარმოებელია. რუსეთის წილმა 2018 წელს მსოფლიო ნავთობის მოპოვების 37% შეადგინა. ხოლო გაზის წარმოება ამავე წელს შთამბეჭდავ მაჩვენებლამდე - მსოფლიო წარმოების 41%-მდე გაიზარდა.. სამომავლოდ მოსალოდნელია, რომ რუსეთი შეინარჩუნებს ლიდერობას გაზის მიწოდებაში, რადგან მას მსოფლიო ბუნებრივი გაზის საბადოების თითქმის ¼ უკავია[1]. რეგიონში ენერგიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ექსპორტიორი აზერბაიჯანია. თუმცა მისი წილი ამავე პერიოდში რუსეთის ფედერაციასთან მიმართებით.

ევროპის მასშტაბით გაზის მიწოდების დიდ წილს შავი ზღვის რეგიონის ქვეყნები შეადგენენ. რუსეთიდან გაზის იმპორტის ერთ-ერთი ძირითადი დერეფანი უკრაინის ტერიტორიაზე გადიოდა, რომელიც ბოლო წლებში შეჩერდა არასტაბილური პოლიტიკური ვითარებისა და სამხედრო დაძაბულობის გამო. მოცემული სიტუაცია კი ევროკავშირს აიძულებს ეძიოს და შეიმუშაოს ბუნებრივი რესურსებით მომარაგების ახალი გზები/გეგმები. შავ ზღვას აქვს რესურსი იყოს გლობალური ენერგეტიკული დერეფანი, რომელიც ახორციელებს ნავთობის მიწოდების 40%-ზე მეტს ევროკავშირში, ბოლო ათწლეულის განმავლობაში მსოფლიო ნავთობის დაახლოებით 6% მისი გავლით მარაგდება[2].

შავი ზღვის რეგიონის ძირითად აქტორებს მხოლოდ დასავლეთი და რუსეთი არ წარმოადგენენ, ვინაიდან მცდარი იქნება ისეთი აქტორის უგულებელყოფა, როგორიც ჩინეთია. აღნიშნულის დასტური 2013 წლიდან რეგიონის მიმართ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ინტერესის მკვეთრი ზრდაა. ამბიციური პროექტი - ერთი სარტყელი, ერთი გზის ინიციატივა (Belt and Road Initiative (შემდეგში BRI)) უშუალოდ უკავშირდება შავ ზღვას და ერთგვარ დამაკავშირებელ რგოლს წარმოადგენს ევროპასა და აზიას შორის. შავიზღვისპირა სახელმწიფოები BRI-ს განიხილავენ რუსეთის დაბალანსების გზად, ამიტომაც ისინი აქტიურად არიან ჩართულნი პროექტის იმპლემენტაციაში.

ზემოჩამოთვლილ აქტორთა გათვალისწინებით, მარტივად სავარაუდოა დაძაბულობის ის მაღალი მაჩვენებლები, რომელიც უშუალოდ შავ ზღვაში გვხვდება და ნათლად ასახავს მიმდინარე საერთაშორისო პოლიტიკის კრიზისს. კრიზისი გამოხატულია სასაუბრო ენის არარსებობასა და ურთიერთბრალდებებში. თითოეული დაპირისპირებული მხარე პოზიციას საკუთარი ინტერესების შესაბამისად განსაზღვრავს, ხოლო ინტერესთა შეუთავსებლობა სხვადასხვა პოლუსზე აყენებს მათ და ართულებს პროცესების დიპლომატიურ ჩარჩოებში მოქცევას. შესაბამისად დაპირისპირება შესაძლოა ხშირად ომში გადაიზარდოს, როგორც ეს წარსულში არაერთხელ მომხდარა. ცნობილი გამოთქმა: "ომი ეს არის პოლიტიკის გაგრძელება განსხვავებული საშუალებებით" სრულიად ასახავს რეალობას, რომელიც ადაპტირებადია თანამედროვე ყოფასთან. შავი ზღვის რეგიონის სახელმწიფოები უკრაინა და რუსეთის ფედერაცია ჩართულნი არიან კონფლიქტში ერთმანეთის პირისპირ, რომელიც ამა წლის 24 თებერვალს დაიწყო და თვეზე მეტია მიმდინარეობს.

აღსანიშნი ფაქტია ისიც, რომ რეგიონში ასევე არსებობს ე.წ. გაყინული კონფლიქტები (აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის, ყირიმის, ყარაბაღის) სახით, რომელიც არასტაბილურ გარემოს კიდევ უფრო ამძაფრებს და სრული ქაოსი შემოაქვს რეგიონში. ამ კონტექსტის გათვალისწინებით შავი ზღვის აუზში მიმდინარე პროცესები ანალოგიურია იმისა, რაც საერთაშორისო დონეზე

[1] Grishin O,, Todorova R., Tolochko A. - ENERGY SECURITY OF THE BLACK SEA REGION: GEOSTRATEGY AND GEOENERGY MEASUREMENT, Przegląd Strategiczny 2020, Issue 13
https://repozytorium.amu.edu.pl/bitstream/10593/25962/1/27-Grishin_Todorova_Tolochko.pdf
[2] იქვე

მიმდინარეობს. ერთი მხრივ რუსეთის ფედერაციის ეროვნული ინტერესების დაცვის მოტივით გამართლებული საომარი მოქმედებები, ხოლო მეორე მხრივ დასავლურ თარგზე მორგებული სამომავლო პერსპექტივები ურთიერთდაპირისპირების მთავარ ღერძს წარმოადგენს, რომლის მოგვარება გასცდა კონსტრუქციულ ჩარჩოებს და უშუალოდ ბრძოლის ველზე გადაინაცვლა.

დასკვნა

შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების რთული ქსელი მოითხოვს კომპლექსურ და ყოვლისმომცველ მიდგომას. არსებული დავების და უსაფრთხოების გამოწვევების გადაწყვეტა მხოლოდ მოლაპარაკების მაგიდაზეა შესაძლებელი, რომელიც დაეფუძნება მეცნიერულ პოზიციებს. ვინაიდან არსებული, კლასიკური თეორიების ჩარჩოებში აღნიშნული საკითხის მოგვარება ვერ ხერხდება, აუცილებელია ახალი პარადიგმის შემუშავება.

რეგიონი განისაზღვრება ადგილობრივი და ეროვნული დინამიკით და ასევე უფრო ფართო მეტოქეობით რუსეთსა და ნატოს შორის. შედეგად, შავი ზღვაში სახელმწიფოები ფოკუსირებულნი არიან ადგილობრივი და საერთაშორისო სამხედრო ძალების არსებითი გაძლიერებისაკენ მოწინავე იარაღებით, მათ შორის ბირთვული შესაძლებლობების მქონე სისტემებით. შავი ზღვის რეგიონში კონფლიქტის რისკებს აძლიერებს რეგიონში კონკურენტული და მზარდი ურთიერთმტრული უსაფრთხოების ნარატივების გაჩენა, რაც შესაძლო საფრთხის აღქმას ეფუძნება.

ლიტერატურა

1. მაისაია, ვ. შავი ზღვის აუზის გეოსტრატეგიული ბალანსის პოლიტიკური ასპექტები. პარიზი: ქართულ-ევროპული ინსტიტუტი 2003 წ.
2. Aydin, M. „Europe's New Region: The Black Sea in the Wider Europe Neighbourhood", Southeast European and Black Sea Studies Vol. 5, No. 2, May 2005
3. Binnendijk, A. "Understanding Russian Black Sea Power Dynamics Through National Security Gaming" Published by the RAND Corporation, Santa Monica, Calif. 2020
4. Grishin O,, Todorova R., Tolochko A. - Energy security of the Black Sea Region: geostrategy and geoenergy measurement, Przegląd Strategiczny 2020, Issue 13
5. Roslycky, L. „Organized transnational crime in the Black Sea Region: a geopolitical dilemma?" February 2009
6. GARCÉS de LOS FAYOS F., "The EU's Black Sea policy: Where do we stand?" - English-language manuscript completed on 13 September 2013. European Union, 2013
7. ORAL, F. - Ş. OĞUZ, "The Security of the Black Sea: The Struggle in the Black Sea and Turkey's Policy in the Post-Cold War Era". Karadeniz Araştırmaları. XVIII/69: (2021) 1-16
8. Paskal, Z. Building a Closer Black Sea: Promoting Trade and Economic Interdependence, Middle East Institute, March 2021
9. Sanders, D. Can China promote stability in the Black Sea Region?, Southeast European and Black Sea Studies, 2021, 21:3, 415-46

The Black Sea as a Confrontational Space of Current Global Conjuncture

Gabelia Irakli
PhD Candidate at Caucasus International University

Summary

The events that began in Ukraine on February 24, 2022, posed another challenge to the world, the elimination of this challenge requires special cooperation between states. However, there is a clear trend towards distancing the warring parties, which causes conflict of interests between them.

The parties, who are directly involved in the conflict (the Russian Federation and Ukraine) belong to the Black Sea basin countries, therefore the region is an object of active surveillance on a global scale since the uncontrolled events that took place threaten the peaceful development of the region as well. Consequently, the geographical position of the Black Sea is an interest not only for the region but also for global players. The environment in the region, which has become even more unstable over the past decade, worries the international community.

Keywords: Black Sea security, geopolitics, national interests, conflict, energy security.

ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების ორგანიზაციული და ჯგუფის მასშტაბით რისკის ანალიზის ძირითადი მახასიათებლების მიმოხილვა

კვიცარიძე ქეთევან
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

საქართველო ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო არქიტექტურის პასუხისმგებლიანი მოთამაშეა. ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმებით, საქართველომ აიღო ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების ვალდებულება, მათ შორის ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის, გამოვლენის და აღკვეთის სფეროში. საქართველო ასევე მონაწილეობს ევროსაბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის (Moneyval) საქმიანობაში. Moneyval ამოწმებს ქვეყნების თავსებადობას ფინანსურ ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) სტანდარტებთან, რომლის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასებაა.

რისკი შეიძლება სამი ფაქტორის ერთობლიობად მოიაზრებოდეს: საფრთხე, სისუსტე და შედეგი. ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების (ML/FT) რისკების შეფასება წარმოადგენს შედეგს ან პროცესს, რომელიც მხარეებს შორის შეთანხმებულ მეთოდოლოგიაზეა დაფუძნებული და რომელიც მიზნად ისახავს ML/TF რისკების იდენტიფიცირებას, გაანალიზებასა და გაგებას.

საკვანძო სიტყვები: ფულის გათეთრება, ტერორიზმის დაფინანსება, ორგანიზაციული და ჯგუფური რისკი.

ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების ორგანიზაციული და ჯგუფის მასშტაბით რისკის ანალიზის ძირითადი მახასიათებლების მიმოხილვა

ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების ორგანიზაციული და ჯგუფის მასშტაბით რისკის ანალიზის მიზანია:

- რისკების დროული იდენტიფიცირება;
- ფინანსური დანაშაულის მართვასთან დაკავშირებული სისუსტეების გამოვლენა;
- მოქმედი პოლიტიკები, პროცედურების გაუმჯობესება;
- ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღება ფინანსური დანაშაულის რისკების აპეტიტის შესახებ;
- ადეკვატური კონტროლი და რესურსების განაწილება;
- მენეჯმენტისთვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში დახმარება;
- სამომავლო პრობლემების აღმოფხვრა.

ორგანიზაციის /ჯგუფის მასშტაბით ML/TF რისკების ანალიზი წარმოადგენს უწყვეტ ციკლს, რომელიც ერთმანეთის მონაცვლე, ხანდახან კი პარალელურად მიმდინარე მიმართულებებს მოიცავს. თითოეული მიმართულება, თავის მხრივ, იყოფა რამდენიმე ქვემიმართულებლად და ამ ქვემიმართულებლის ფარგლებში განსახორციე-ლებელ ცალკეულ ეტაპად. კერძოდ, ორგანიზა-ციული/ჯგუფის მასშტაბით: ა) რისკის ანალიზთან დაკავშირებული უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობის განსაზ-ღვრა-ამ ეტაბზე მნიშვნელოვანია განსაზღვრულ იქნას, სულ მცირე, ორგანიზაციის სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორატის, მონიტორინგის განხორცი-ელებაზე პასუხი-სმგებელი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, შიდა აუდიტის უფლებამოსი-ლებები და პასუხისმგებლობები.

ბ) რისკის ანალიზის კომპლექსურობის საჭიროების განსაზღვრა და არგუმენტების დოკუ-მენტირება - აღნიშნულ ეტაპზე ანგარიშვალდებულმა პირმა ორგანიზაციის ძირითადი მახასიათებლების ანალიზის საფუძველზე უნდა მოახდინოს ორგანი-ზაციული/ ფინანსური ჯგუფის ML/TF რისკის ანალიზის კომპლექსურობის საჭიროების იდენტიფიცირება და აღნიშნული სფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება, თუ რამდენად რთული და დახვეწილი რისკის შეფსების, მართვისა და კომუნიკაციის სისტემაა მისი ორგანიზაციის მახასითებლებისთვის თანაზომიერი.

გ)რისკის შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება

დ)რისკის ანალიზის ძირითადი კომპონენტების (რისკის შეფასება, მართვა და კომუნიკაცია) შესრულება.

ორგანიზაციული და ჯგუფის მასშტაბით რისკის შეფასების მეთოდოლოგიის შედგენის ძირითადი პრინციპებია:

- მეთოდოლოგიის შემუშავება
- მეთოდოლოგიის კომპლექსურობა
- ანალიზის პროცესი
- მკაფიოდ განსაზღვრული პასუხისმგებლობები;
- რისკის შემფასებლისათვის დასახული მკაფიო და გასაგები ამოცანები;
- ფორმალიზება, წინასწარგანსაზღვრული გადახედვის პერიოდულობის დადგენა:
- რისკის ანალიზის ჩარჩო და პროცედურული საკითხები:

ორგანიზაციის/ჯგუფის მასშტაბით რისკის შეფასების ეტაპები და მეთოდები: რისკის შეფასება სტანდარტულად მოიცავს 4 ძირითად ეტაპს:

- თანდაყოლილი რისკების შეფასება;
- რისკის აპეტიტის განსაზღვრა;
- იდენტიფიცირებული რისკებისთვის არსებული კონტროლის მექანიზმების შეფასება;
- ნარჩენი რისკის დონის განსაზღვრა.რისკის შეფასების მეთოდები:
- ორგანიზაციის სპეციფიკის გათვალისწინებით დამატებითი რისკ-ფაქტორების გათვალისწინება;
- რისკის შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა - რაოდენობრივი, ხარისხობრივი ან კომბინირებული მეთოდი;
- რისკის მატრიცის შემუშავება - რისკის რანგირება. რისკის ალბათობის და გავლენის ურთიერთკავშირი; რისკის რეიტინგის განსაზღვრა და კატეგორიზაცია.

რისკის ანალიზის კომპლექსურობა: ორგანიზაციული რისკის ძირითადი მახასიათე-ბლები (რისკ-კატეგორიები):

- ორგანიზაციის ბიზნეს სტრუქტურასა და საქმიანობის მოდელთან დაკავში-რებული რისკ-კატეგორიები:

– მოცულობა, ფილიალები და შვილობილი კომპანიები, თანამშრომლები;
– ორგანიზაციის ოპერირების ქვეყანა;
– ფინანსური სუბ-სექტორის მახასიათებლები (ქვეყნის რისკის შეფასების დოკუმენტი);
– საქმიანობის სპეციფიკა და მოდელი; აგენტები, შუამავლები; მესამე მხარეზე დაყრდნობა;
– ორგანიზაციული და მმართველობითი სტრუქტურა, ანგარიშვალდებულების ფარგლები; ე.წ. აუთსორსინგი;

- შეთავაზებული პროდუქტები და მომსახურება;
- პროდუქტების/მომსახურების მიწოდების არხები (ახალი ტექნოლოგიები, დისტანციური ფორმა, აგენტები);
- კლიენტთა ტიპები(რისკის მიხედვით კლასიფიკაცია,რეზიდენტობა, სამართლებრივი ფორმა, მფლობელობა და სხვ.)

ორგანიზაციასთან საქმიან ურთიერთობაში მყოფ პირებთან ასოცირებული რისკ-კატეგორიები:

- კლიენტებთან საქმიანი ურთიერთობა - ორგანიზაციის კლიენტების მიერგამოყენებული პროდუქტებისა და მომსახურების ტიპები, მიწოდების არხები;
- კლიენტთა რეზიდენტობა და მათ მიერ განხორციელებული ოპერაციების გეოგრაფიული არეალი;
- კლიენტთა მიერ განხორციელებული აქტივობები,
- ტრანზაქციებთან/ გარიგებებთან ასოცირებული მახასიათებლები;
- ფინანსურ ინსტიტუტებთან საქმიანი ურთიერთობა;
- გარე კომპანიის მომსახურება (ე.წ აუთსორსინგი);

ჯგუფის სტრუქტურასთან დაკავშირებულ რისკ-კატეგორიებს:

- ჯგუფის შემადგენელი შვილობილი კომპანიებისა და ფილიალების ოპერირების ქვეყანა (ები);
- ჯგუფის შემადგენელი შვილობილი კომპანიებისა და ფილიალების ფინანსური სუბ-სექტორები;
- ჯგუფის შემადგენელი თითოეული შვილობილი კომპანიის საქმიანობის სპეციფიკა და ბიზნეს მოდელი;
- ჯგუფის შემადგენელი თითოეული შვილობილი კომპანიის ნარჩენი ორგანიზაციული ML/TF რისკის დონე და ML/TF ორგანიზაციული რისკის შეფასების ანალიზი;

ჯგუფის წევრებს შორის კორელაციასთან დაკავშირებულ რისკ-კატეგორიებს:

- ML/TF რისკების გადადება (ზეგავლენის დონე და ზეგავლენის მასშტაბი);
- AML/CFT შესაბამისობის რისკების გადადება;
- რეპუტაციული რისკების გადადება.

ორგანიზაციის/ჯგუფის მასშტაბით რისკის შეფასების ეტაპები:

თანდაყოლილი რისკების შეფასება:

- სტანდარტულ და დამატებით რისკ-კატეგორიებთან დაკავშირებული მოსალ-ოდნელი რისკ-ფაქტორების ანალიზისა და მათთვის რისკის მიხედვით კლასიფიკაციის პროცესი;

რისკის აპეტიტის განსაზღვრა

- რისკების ტოლერანტობის ჩარჩოს შემუშავება - ლიმიტების სისტემის შემუშავება, რომელიც ანგარიშვალდებულ პირს საშუალებას მისცემს მუდმივი მეთვალყურეობა გაუწიოს შესაბამისი რისკ-ფაქტორების პოზიციას;
- რისკის აპეტიტის განსაზღვრის პერიოდი და ვადაზე ადრე გადახედვის გამომწვევი გარემოებების დეტალიზება;

იდენტიფიცირებული რისკებისთვის არსებული კონტროლის მექანიზმების შეფასება:

- პოლიტიკა-პროცედურების ეფექტურობა;
- პროგრამული უზრუნველყოფის გამართული ფუნქციონირება;

ნარჩენი რისკის დონის განსაზღვრა:

- ნარჩენი რისკის იდენტიფიცირება;
- ორგანიზაციულ-სტრუქტურულ დონეზე და ML/TF კუთხით მოწყვლადი ბიზნეს მიმართულებების ნარჩენი რისკების იდენტიფიცირება;

➢ ნარჩენ რისკთან გასატარებელი ღონისძიებების განსაზღვრა.

➢ ორგანიზაციის/ჯგუფის მასშტაბით რისკის მართვა:

რისკების იდენტიფიცირება:

- რისკის მართვის გამართული სისტემის ჩამოყალიბება და ფუნქციონირება - ორგანიზაციის ხელმძვანელობა;
- რისკის მართვის სისტემის შეფასება და რეკომენდაციების შემუშავება - შიდააუდიტი;
- რისკის მართვის პერიოდულობის განსაზღვრა (ყოველწლიურად);

იდენტიფიცირებული რისკების შემცირების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების განსაზღვრა და მონიტორინგი:

- პრევენციული ღონისძიებების ინიცირება რისკის აპეტიტის განსაზღვრულ ლიმიტამდე შენარჩუნების მიზნით;
- მაკორექტირებელი კონტროლი - იდენტიფიცირებული გადაცდომების გამოს-წორების მიზნით სამოქმედო გეგმის შემუშავება;
- შიდა აუდიტის ფუნქცია - სისტემატური და ორგანიზაციის მახასიათებლების შესაბამისი.

დასკვნა

ორგანიზაციის/ფინანსური ჯგუფის წინაშე არსებული ML/TF რისკების დროული იდენტიფიცირებისა და სათანადო შეფასების სისტემის გამართული ფუნქციონირება ქმნის რისკზე დამყარებული მიდგომის ბაზისს და ანგარიშვალდებულ პირს საშუალებას აძლევს რისკების მართვისთვის საჭირო რიგი ძირითადი მიმართულებების შესახებ მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები და შეიმუშაოს ადეკვატური შიდაკონტროლის სისტემა.

მნიშვნელოვანია, ანგარიშვალდებულ პირს სათანადოდ ჰქონდეს გაანალი-ზებული საკუთარი ორგანიზაციისს/ ჯგუფის მასშტაბით არსებული ML/TF რისკების შეფასების, მართვისა და კომუნიკაციის ეფექტური სისტემის შემუშავებისა და დანერგვის მნიშვნელობა, ვინაიდან სუსტი მმართველობითი მექანიზმების არსებობის პირობებში, პოტენციური ნეგატიური შედეგები საკმაოდ მასშტაბური შეიძლება აღმოჩნდეს ორგანიზაციისთვის და გამოიწვიოს ფინანსური, რეპუტაციული, სამართლებრივი და სვხა ტიპის რისკები, აღნიშნულმა კი, საბოლოო ჯამში, საფრთხე შეუქმნას ორგანიზაციის გრძელვადიან და სტაბილურ განვითარებას.

ლიტერატურა

1. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №79/04 2021 წლის 18 ივნისი ქ. თბილისი. ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების ორგანიზაციული და ჯგუფის მასშტაბით რისკის ანალიზის სახელმძღვანელოს დამტკიცების თაობაზე.
2. საქართველოში ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასების ანგარიში, 2019 წელი.
3. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №82/04 2019 წლის 7 მაისი ქ. თბილისი. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების რისკის შეფასების სახელმძღვანელოს დამტკიცების თაობაზე.

4. https://nbg.gov.ge
5. https://fms.gov.ge

Overview and analyze of the main points of Money Laundering and Terrorism Financingthrough Organizational and Group-wide Risk

Kvitsaridze Qetevan
PhD student of Georgian Technical University

Summary

Analyzing the ML/TF risk through organizations and group-wide is a continuous cycle, which includes parallel processes or sometimes alternatively ongoing process. Each direction of the process in turn divided into several sub-direction processes and the enforceable separate stages in the scope of these sub-direction processes.

It is crucial for the Obliged entity to properly analyzes the importance of developing and enforcing an effective ML / TF risk assessment, management and communication system through organizational / group-wide, Whereas in the presence of weak mechanisms of management, the potential negative consequences can be too wide for the organization and lead it to financial, reputational, legal and other risks, all mentioned above can threaten the stability and developmentof the organization in a long term.

Keywords: Money Laundering, Terrorism Financing, Organizational and Group-wide Risk.

სამხედრო უშიშროების უზრუნველყოფა ეროვნული უშიშროების უმნიშვნელოვანესი კომპონენტი

კუპრაშვილი ჰენრი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

ურთულესი გლობალური და რეგიონალური გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული რეალიების ფონზე სამხედრო უშიშროების უზრუნველყოფის პრობლემა მთელი სიგრძე-სიგანით დგას თანამედროვე საქართველოს წინაშე. რუსეთ-უკრაინის ომმა ნათლად აჩვენა, რომ ციფრულ ეპოქაშიც სამხედრო უშიშროება კვლავ რჩება ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ კომპონენტად. მის განმტკიცებაში ამა თუ იმ ფორმით მონაწილეობა უნდა მიიღოს ხელისუფლებასთან ერთად ყველა მოქალაქემ. სრულყოფილი სამხედრო უშიშროების სისტემა, რომელიც გულისხმობს თანამედროვე შეიარაღებული ძალების ყოლას, კოლექტიური ან საყოველთაო უშიშროების სისტემის ფორმირებას, უზრუნველყოფს ეროვნული ინტერესების დაცვას. სამხედრო უშიშროება მოიცავს სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა ორგანიზაციისა და ინსტიტუტების მიერ გატარებულ ღონისძიებათა კომპლექსს ომის თავიდან ასარიდებლად, ასევე მისი გაჩაღებისა და სამხედრო მუქარის განხორციელებისათვის წინააღმდეგობის შესაქმნელად. სამხედრო უშიშროების უზრუნველყოფა გულისხმობს სახელმწიფოს შესაძლებლობას, წინააღმდეგობა გაუწიოს ომის წარმოქმნას, ომში ჩაბმას, ხოლო ომის შემთხვევაში - მინიმუმადე დაიყვანოს ზარალი და დამანგრეველი შედეგები. იგი ასახავს ერის უნარს, დაუპირისპირდეს და შეაკავოს უცხოეთიდან მომდინარე მტრის აგრესია, აშკარა ან ფარული დესტრუქციული მოქმედება.

საკვანძო სიტყვები: ეროვნული უშიშროება, სამხედრო უშიშროება, თავდაცვა, ხელისუფლება, სამხედრო პოლიტიკა

შესავალი

სამხედრო უშიშროების სისტემური უზრუნველყოფის ასპექტები

რუსეთ-უკრაინის ომმა ნათლად აჩვენა, რომ ინფორმაციულ (ციფრულ) ეპოქაშიც სამხედრო უშიშროება კვლავ რჩება ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ კომპონენტად, იგი მთავარი განმსაზღვრელია ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის მდგომარეობის და მის შესაძლებლობების სამხედრო ძალის საშუალებებით ეროვნული ინტერესების დაცვის უზრუნველყოფაში.

ზოგადად, სამხედრო უშიშროება გულისხმობს სახელმწიფოს უნარს, დაიცვას თავი სამხედრო ძალის გამოყენებასთან დაკავშირებული გარე და შიდა სამხედრო საფრთხეებისაგან. მკვლევართა ნაწილისათვის ტერმინი „სამხედრო უშიშროება“ , ძველი ინერციით, ჯერ კიდევ ითვლება სიტყვა „უშიშროების“ სინონიმად. მაგალითად, „სამხედრო უშიშროების“ ცნების განმარტებად ზოგისათვის მისაღებია თავდაცვის დეპარტამენტის (DOD) სამხედრო და მასთან დაკავშირებული ტერმინების ლექსიკონში მოცემული ეროვნული უშიშროების განსაზღვრება: „კრებითი ტერმინი, რომელიც მოიცავს როგორც ეროვნულ თავდაცვას, ასევე... საგარეო ურთიერთობებს, რათა მოიპოვოს: შემტევი ან თავდაცვითი უპირატესობა რომელიმე უცხო სახელმწიფოებზე ან სახელმწიფოთა ჯგუფზე; ხელსაყრელი პოზიცია საგარეო ურთიერთობებში; თავდაცვითი პოზიცია, რომელსაც შეუძლია წარმატებით გაუძლოს მტრის აშკარა ან ფარულ დესტრუქციულ მოქმედებას როგორც შიგნიდან, ისე გარედან“ [1].

სამხედრო უშიშროება მოიცავს სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა ორგანიზაციისა

და ინსტიტუტების მიერ გატარებულ ღონისძიებათა კომპლექსს ომის გაჩაღებისა და სამხედრო მუქარის განხორციელებისათვის წინააღმდეგობის შესაქმნელად. სამხედრო უშიშროების გამომხატველია სახელმწიფოს უნარი, წინააღმდეგობა გაუწიოს ომის წარმოქმნას, ომში ჩაბმას, ხოლო ომის შემთხვევაში - მინიმუმადე დაიყვანოს ზარალი და დამანგრეველი შედეგები.

ძირითადი ნაწილი

ურთულესი გლობალური და რეგიონალური გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული რეალიების ფონზე სამხედრო უშიშროების უზრუნველყოფის პრობლემა მთელი სიგრძე-სიგანით დგას თანამედროვე საქართველოს წინაშე, მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, აგრეთვე, საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ შემთხვევებში თავდაცვასა და უშიშროებასთან დაკავშირებული სხვა ამოცანებისა და საერთაშორისო ვალდებულებების შესასრულებლად საქართველოს ჰყავს საკუთარი თავდაცვის ძალები. საქართველოს თავდაცვის ძალების სახეობებია: სახმელეთო ძალები, საჰაერო ძალები, ეროვნული გვარდია და სპეციალური ოპერაციების ძალები [2].

2021 წელს გამოქვეყნდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საინტერესო და ყურადსაღები დოკუმენტი - „თავდაცვის სამინისტროს ხედვა 2030“ [3], რომელშიც მოკლედ ჩამოყალიბებულია 2030 წლამდე სამინისტროს ხედვები, მაგრამ მას უფრო პოლიტიკური დეკლარაციის ხასიათი აქვს, ამიტომ სამხედრო უშიშროების არსისა და დანიშნულების გადმოსაცემად ნაკლებად გამოსაყენებელია.

ამჟამად შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, საქართველოს სახელმწიფოს საქმიანობის უმნიშვნელოვანესი მიმართულება უნდა იყოს სამხედრო უშიშროების უზრუნველყოფა, რომლის მთავარი ამოცანაა საქართველოს წინააღმდეგ მომართული სამხედრო მუქარების თავიდან აცილება, ლოკალიზაცია, ნეიტრალიზაცია. სამხედრო უშიშროების შესანარჩუნებლად ქვეყანას მოეთხოვება სამხედრო პოტენციალი გაზრდილი ჰქონდეს იმ დონემდე, რომ კრიზისული სიტუაციის შემთხვევაში საკმარისი იყოს თავდასაცავად. სამხედრო უშიშროების ასეთი დონე მიიღწევა სახელმწიფოს ძალისხმევით, მიზანმიმართულად და კოორდინირებულად, სტრუქტურული კომპონენტების სრული კომპლექსის არსებობის შემთხვევაში, როგორც წმინდა სამხედრო, ისე პოლიტიკურ-დიპლომატიური, ეკონომიკური, იდეოლოგიური და სხვ.

მორალურ-ფსიქოლოგიური კომპონენტი მჭიდროდ არის დაკავშირებული სამხედრო კომპონენტთან, რომელიც მოიაზრებს: ქვეყნის მოსახლეობის სულიერ შესაძლებლობებს, რომლებიც განიზომება მოსახლეობის მორალური მდგომარეობითა და ფსიქოლოგიური მომზადების ხარისხით (სამაგალითოდ გამოდგება უკრაინელი სამოქალაქო მოსახლეობის გააფრთებული წინააღმდეგობა. ისინი არ უშინდებოდნენ და შიშველი ხელებით აჩერებდნენ აგრესორების ტანკებს); სამხედრო მოსამსახურეთა საზოგადოებრივ სტატუსს, რომელიც მოიცავს საზოგადოებასა და სახელმწიფოში მათი უფლებებისა და მოვალეობების, მდგომარეობისა და პრესტიჟის ერთობლიობას; შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის ძირითადი კატეგორიის მორალურ-ფსიქოლოგიურ მდგომარეობას.

მნიშვნელოვანია შავი ზღვის რეგიონის ნაწილის, სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური ფრაგმენტაცია. მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის ფარგლებში სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ფართომასშტაბიანმა შეიარაღებულმა დაპირისპირებამ კიდევ უფრო გააძლიერა რეგიონში რუსული სამხედრო ძალა. ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების მიუხედავად, არსებობს აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის პერიოდული სამხედრო ესკალაციის ალბათობა, რაც გავლენას ახდენს რეგიონული უშიშროების გარემოზე. რეგიონის ქვეყნების

განსხვავებული ხედვები უშიშროების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით ამ ეტაპზე პრობლემურს ხდის სრულყოფილი რეგიონული პარტნიორობის ჩამოყალიბებას, რაც უმარტივებს რუსეთს რეგიონის ცალკეულ სახელმწიფოებზე დომინირებას. საქართველოს უშიშროებისათვის ასევე გამოწვევას წარმოადგენს ჩრდილოეთ კავკასია. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონში ვითარება ბოლო წლებში შედარებით სტაბილურია, მდგომარეობა საკმაოდ მყიფეა და ჩრდილოეთ კავკასია რჩება დესტაბილიზაციის პოტენციურ კერად [4].

როგორც საქართველოს ეროვნული უშიშროების კონცეფციაში [5] არის აღნიშნული, აგვისტოს სამხედრო აგრესიამ, საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციამ და იქ რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო ჯარებისა და სამხედრო ინფრასტრუქტურის განლაგებამ კიდევ უფრო გააუარესა ქვეყნის ისედაც მყიფე უშიშროების გარემო.[1] საქართველოს წინააღმდეგ 2008 წელს და 2022 წელს უკრაინაში რუსეთის ფედერაციის მიერ განხორციელებულმა ღია, ფართომასშტაბიანმა სამხედრო აგრესიამ ნათელი გახადა, რომ თანამედროვე ცივილიზებულ მსოფლიოშიც კი შეიძლება ადვილად გახდნენ ქვეყნები სამხედრო აგრესიის სამიზნე, რაც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ აუცილებელია სათანადოდ აწყობილი სამხედრო უშიშროების სისტემის სრულყოფა.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს სამხედრო პოლიტიკამ ამოცანად დაისახოს სამხედრო უშიშროების უზრუნველყოფის სრულყოფილი სისტემის შექმნა, რომელიც შესაძლებლობას მისცემს, შეაფასოს უშიშროების შიდა და გარე სამხედრო მუქარები, განსაზღვროს სამხედრო და არასამხედრო შესაძლებლობების თანაფარდობა. სამხედრო უშიშროების დაცვაში განსაკუთ-რებული ადგილი უჭირავს სახელმწიფოს სამხედრო ორგანიზაციის შექმნას, განმტკიცებასა და სრულყოფას, აგრეთვე, სახელმწიფოს სამხედრო სიძლიერის იმ დონეზე შენარჩუნებას, რომელიც უზრუნველყოფს აგრესიის აღმოჩენას, ეფექტურ შეკავებასა და მოგერიებას.

მნიშვნელოვანია სამობილიზაციო ბაზის შექმნა და ხელისუფლების, ეკონომიკის, ტრანსპორტის, კომუნიკაციის მზადყოფნა სამხედრო უშიშროების უზრუნველყოფის ამოცანების გადასაწყვეტად, სამხედრო-ეკონომიკური მიმართულების ამოცანებისა და პრიორიტეტების განსაზღვრა. უნდა გაირკვეს სამხედრო ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებები მშვიდობიან პერიოდში შეიარაღებული ძალების მზადყოფნის შესანარჩუნებლად და ომის დროს ამოცანების შესრულების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე, შეიარაღებული ძალების ამოცანები საქართველოს წინააღმდეგ აგრესიის აღსაკვეთად და მოსაგერიებლად, ანტიკონსტიტუციური მოქმედებების ლოკალიზებისა და ნეიტრალიზებისათვის, რომელიც ემუქრება საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, სუვერენიტეტს და სხვ.

საქართველოს სამხედრო უშიშროების უზრუნველსაყოფად სამხედრო პოლიტიკის

---

[1] უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ, მიუხედავად რუსეთ-საქართველოს აგვისტოს სამხედრო ბრძოლებში განცდილი მარცხისა, მაინც იქნა მოპოვებული ერთგვარი სტრატეგიული დივიდენდი, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ერთგვარი გასაღები ტერმინების „ოკუპანტისა“ და „ოკუპირებული ტერიტორიების“ სახით: 2008 წლის აგვისტოს ომამდე რუსეთის ხელში მთავარი კოზირი იყო აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში მოსკოვის მიერ დადგენილი სტატუს-კვო: საერთაშორისო საზოგადოების თვალში კონფლიქტის მხარეებად აღიქმებოდა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება და სეპარატისტული რეგიონების ,,მთავრობები”, ხოლო რუსეთი - საერთაშორისო მშვიდობისმყოფელ შუამავლად, რომლის გარეშეც ამ რეგიონებში ,,ბუზსაც ვერავინ ააფრენდა”. შესაბამისად, არც არსებობდა კონფლიქტების ობიექტურად მოგვარების რაიმე შანსი. მაგრამ მანამდე არსებული, საქართველოსათვის სრულიად წამგებიანი ეს სტატუს-კვო შეიცვალა 2008 წლის აგვისტოში რუსეთის მიერ საქართველოში განხორციელებული აგრესიის შემდეგ: რუსეთი უკვე არის არა შუამავალი და მშვიდობისმყოფელი გაეროს ეგიდით, არამედ - კონფლიქტის მონაწილე მხარე. წინა პერიოდისაგან განსხვავებით, დღეს მსოფლიოსათვის საქართველოს ტერიტორიის აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონები ოკუპირებულია რუსეთის მიერ. საქართველოს ამ რეგიონებში რუსეთის შეიარაღებული ძალები იმყოფებიან უკანონოდ, საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების დარღვევით. შესაბამისად, საქართველოს აქვს ყველა იურიდიული და მორალური უფლება, ნებისმიერი გზით აღადგინოს კანონიერება რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე. ამით საქართველო სტრატეგიული თვალსაზრისით მომგებიან მდგომარეობაშიც კი აღმოჩნდა. აქედან გამომდინარე, საჭიროა რუსეთის საოკუპაციო მისწრაფებების მიმართ აქტიური საგარეო პოლიტიკის გატარება, მათ შორის - ამ სტრატეგიული დივიდენდის ტერმინების „ოკუპანტისა“ და „ოკუპირებული ტერიტორიების“ საერთაშორისო პოლიტიკური აქტორების ლექსიკონში მყარად დამკვიდრება, იმისათვის, რომ საერთაშორისო ურთიერთობების დღის წესრიგში დადებულ ხელშეკრულებებში მუდმივად ფიგურირებდეს რუსეთის მიმართ ტერმინი ,,ოკუპანტი“ და ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონები.

ძირითადი ამოცანებია: სამხედრო ძალის გამოყენების შესაძლებლობის, აუცილებლობისა და ფარგლების განსაზღვრა სამხედრო უშიშროების განმტკიცებისათვის; აუცილებელი და საკმარისი სამხედრო ძალის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მახასიათებლების შეფასება, სამხედრო ძალის გამოყენების გზებისა და საშუალებების განსაზღვრა სამხედრო უშიშროების უზრუნველყოფისათვის, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში სამხედრო ძალითაც ზემოქმედება სავარაუდო მოწინააღმდეგეზე; სამხედრო-პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა დასაბუთება და შემუშავება; სახელმწიფოს სამხედრო სისტემის ფუნქციონირებისა და განვითარების კონკრეტული გეგმების მომზადება; სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობების დარეგულირება სხვა სახელმწიფოებთან, კოალიციებთან, ბლოკებთან; მიღებული გადაწყვეტილებების, გეგმებისა და სამხედრო აქციების ინფორმაციული უზრუნველყოფის ორგანიზება; სამხედრო და შეიარაღებული ძალების აღმშენებლობის ორგანიზება, რომელიც ქვეყნის სამხედრო პოტენციალის ამაღლებასთან არის დაკავშირებული; საქართველოს ტერიტორიაზე და შეძლებისდაგვარად საერთაშორისო არენაზეც სხვადასხვა ხასიათისა და მასშტაბების სამხედრო-პოლიტიკური აქციების ხელმძღვანელობა და სხვ.

კრიზისული სიტუაციების წარმატებით გადაჭრისა და სამხედრო უშიშროებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სამხედრო პოლიტიკის ინფორმაციულ უზრუნველყოფას. აქ იგულისხმება ინფორმაციის შეკრება-დამუშავება და გადაცემა სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობის, მისი განვითარების ტენდენციების შესახებ, გეოსტრატეგიული მდგომარეობის ცვლილებებზე, ასევე - რეალური და პოტენციური მოწინააღმდეგეების ჭეშმარიტი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების, ქვეყნების სამხედრო პოტენციალის, მებრძოლი მხარეების შეიარაღებული ძალების შემადგენლობის, მდგომარეობისა და მოქმედების ხასიათის შესახებ და სხვ. მონაცემები. ამავე დროს, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ინფორმაციის მიღებისა და გადაცემის ოპერატიულობა, სისრულე და სანდოობა. სამხედრო უშიშროების უზრუნველყოფაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ინფორმაციულ სფეროში ღირსეულად დაიცვა საქართველოს ფუნდამენტური ეროვნული ინტერესები: სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური დამოუკიდებლობა; ტერიტორიული მთლიანობა; კეთილდღეობა და ეკონომიკური განვითარების სტაბილურობა; ეროვნულ-კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნება და სხვ.

დასკვნა

სამხედრო უშიშროება არის კომპლექსური სიდიდე, სპეციფიკური ფორმით, ის თავის თავში ახდენს სახელმწიფო მშენებლობის ყველა მხარის აკუმულირებას. მის განმტკიცებაში ამა თუ იმ ფორმით მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველა მოქალაქემ, ქვეყნის ყველა დაწესებულებამ და ორგანიზაციამ. სამხედრო უშიშროების სპეციფიკაა ის, რომ სამხედრო ძალის საშუალებებით უზრუნველყოფს ეროვნული უშიშროების ინტერესების დაცვას. სამხედრო უშიშროების საგარეო ასპექტი ასახავს ერის უნარს, დაუპირისპირდეს და შეაკავოს უცხოეთიდან სამხედრო ძალების აგრესია. ეს კი ითვალისწინებს თანამედროვე შეიარაღებული ძალების ყოლას, კოლექტიური ან საყოველთაო უშიშროების სისტემის ფორმირებას.

ლიტერატურა

1. DDD Dictionary of Military and Associated Terms. Pg 150. As of November 2021. https://www.jcs.mil/Portals/36/Documents/Doctrine/pubs/dictionary.pdf \
2. საქართველოს კანონი საქართველოს თავდაცვის შესახებ. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საიტი. https://mod.gov.ge/ge/page/13/tavdacvis-dzalebi
3. თავდაცვის სამინისტროს ხედვა 2030. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საიტი. https://mod.gov.ge/uploads/ModVision/tavdacvis_saministros_xedva__2030.pdf

4. თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2021-2025.
5. https://mod.gov.ge/uploads/2021/november/tavdacvis_strategiuli_mimoxilva__2021-2025.pdf
6. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. https://nsc.gov.ge/ka/კონცეპტუალური-დოკუმენტები/ეროვნული- უსაფრთხოების-კონცეფცია

Ensuring Military Security - Essential Component of National Security

Kuprashvil Henri
Professor at Georgian Technical University

Summary

Against the background of the most difficult global and regional geopolitical and geostrategic realities, the problem of providing military security is facing the whole of Georgia in full length and breadth. The Russo-Ukrainian War has made it clear that even in the digital age, military security remains an essential component of national security. All citizens, together with the Government, should participate in its strengthening in one way or another. A comprehensive military security system, which implies the presence of modern armed forces, the formation of a collective or universal security system, ensures the protection of national interests. Military security includes a set of measures taken by various state government organizations and institutions to prevent war, as well as to create resistance to its unleashing and military threat. Ensuring military security implies the ability of the state to resist the outbreak of war, to engage in war, and in the event of war - to minimize the negative consequences. It reflects the nation's ability to resist and deter foreign aggression, overt or covert destructive action.

Keywords: National Security, Military Security, Defense, Government, Military Policy.

კაცობრიობის გლობალური გამოწვევები და თანამედროვე მსოფლიოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები

ლობჯანიძე გელა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

კაცობრიობის პროგრესი წინ მიიწევს, მაგრამ მას აქვს მთელი რიგი უარყოფითი მხარეებიც გლობალური პრობლემების სახით. სტატიაში განხილული და გაანალიზებულია არსებული თანამედროვე ძირითადი გლობალური პრობლემები, მათი მიზეზები, სახეები და გადაწყვეტილებები. შემოთავაზებულია რეკომენ-დაციები და წინადადებები მსოფლიოში არსებული ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გლობალური გამოწვევების რაციონალური და ოპტიმალური გადაწყვეტის შესახებ თანამედროვე პირობებსა და პოსტპანდემიურ პერიოდში.

საკვანძო სიტყვები: გლობალური გამოწვევები, გლობალური სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, სახელმწიფო, საზოგადოება, საერთაშორისო თანამშრომლობა.

შესავალი

21-ე საუკუნის სამყარო აღმოჩნდა ბევრად უფრო რთული და მრავალმხრივი. ტენდენცია საყოველთაო უნივერსალიზაციისა და გაერთიანებისაკენ, ყველასათვის ერთიანი წესებისა და ნორმების გაჩენისაკენ, თუკი ოდესღაც არსებობდა, დღეს აშკარად ჩიხშია. დღესდღეობით, ჩვენს ირგვლივ სამყარო უკიდურესად რთულია. ჩნდება აქამდე არნახული რეალობა, რომელშიც მჭიდროდ არის გადაჯაჭვული პროგრესისა და არქაულის, რაციონალური და ირაციონალური, ზოგადი და კონკრეტული ელემენტები. ასეთ პირობებში, პოლიტიკა არ შეიძლება განიხილებოდეს ეკონომიკის, სოციალური ინსტიტუტების, კულტურისა და სამხედრო სფეროსგან იზოლირებულად.

ძირითადი ნაწილი

თანამედროვე მსოფლიოს გლობალური გამოწვევები, პრობლემები და ტენდენციები

კაცობრიობის 21-ე საუკუნეში შესვლა საკმაოდ დრამატული გამოდგა. ორი მსოფლიო სისტემის - კაპიტალისტური და სოციალისტური - დაპირისპირება შეიცვალა სხვა სოციალური ძალების დაპირისპირებით: დასავლეთი-აღმოსავლეთი. დასავლეთი, რომელიც აცხადებს მსოფლიო ლიდერობას, დგას ტერორიზმის წინაშე, რომელმაც გლობალური მასშტაბები შეიძინა. გლობალიზმისა და ანტიგლობალიზმის პრობლემა გამწვავდა. ამავდროულად, ერთის მხრივ, მნიშვნელოვანია თანამედროვე პროცესების გლობალური ინტეგრაციის რეალობის დანახვა და, მეორე მხრივ, ასევე რეალური გახდა მილიონობით ადამიანის მოძრაობა, რომლებიც უარყოფენ გლობალიზმს მის ამჟამინდელ კონკრეტულ ფორმაში.

ჩვენი დროის გლობალური პრობლემები, როგორც რთული და ყოვლისმომცველი, საკმაოდ მჭიდროდ არის გადაჯაჭვული, რომლებიც ეხება პლანეტის ყველა ადამიანის სასიცოცხლო ინტერესს და მოიცავს ბევრ სფეროს. ისინი ემყარება მნიშვნელოვანი მასშტაბის წინააღმდეგობებს, რომლებიც ეხება მთელი კაცობრიობის არსებობის საფუძველს. ამ წინააღმდეგობების გამწვავება იწვევს სხვა, არანაკლებ მძაფრი პრობლემების გაჩენას, რომლებიც გავლენას ახდენს ერთზე მეტ სახელმწიფოზე. გლობალური საკითხების გადაწყვეტას ართულებს ის ფაქტი, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ცალკეული პროცესების მართვის, მათი ინფორმირებულობისა და ზოგიერთი სახელმწიფოს მიერ დაფინანსების დონე ჯერ კიდევ დაბალია.

ურთიერთდაკავშირებული სამყარო წარმოშობს გლობალურ კრიზისებს, თავისი გამოწვევებითა და შესაძლებლობებით. მართალია, თანამედროვე სამყაროში ადამიანები გვერდიგვერდ თითქოს ჰარმონიულად ცხოვრობენ, თუმცა სწორედ აქედან გამომდინარეობს ის წინააღმდეგობები, კონფლიქტები და პრობლემები, რომლებიც იზრდება ადგილობრივიდან გლობალურამდე. ტექნოლოგიური პროგრესი არა მხოლოდ კეთილდღეობა და სიკეთეა, არამედ პასუხისმგებლობაც. საზოგადოება ყოველთვის არ არის ისე კარგად ორგანიზებული და შეგნებული, რომ მას შეეძლოს რაციონალურად და გონივრულად დაგეგმოს და იყოს პასუხისმგებელი თავისი საქმიანობის შედეგებზე.

დღესდღეობით კაცობრიობას ემუქრება პრობლემები, რომლებიც დამოკლეს მახვილივით ეკიდება პლანეტის მომავალს (იხ. ნახ. 1 და ცხრილი 1).

თერმობირთვული ომის პრობლემა: თერმობირთვული ომის საფრთხე დღეს კაცობრიობის ერთ-ერთი უდიდესი გლობალური პრობლემის მაგალითია. მისი არსი მარტივია: მესამე მსოფლიო ბირთვულ ომს შეუძლია გაანადგუროს კაცობრიობა. პლანეტის ყველა ბირთვული იარაღის ჯამური სიმძლავრე 18 მლრდ ტონა ტროტილია. ეს ნიშნავს, რომ დედამიწის ყოველ მკვიდრზე არის 3,6 ტონა ასაფეთქებელი ნივთიერება. თუკი დედამიწის ბირთვული იარაღის 1 %-მაც იმუშავა, ეს გამოიწვევს ე. წ. „ბირთვულ ზამთარს“, რაც, თავის მხრივ, გაანადგურებს არა მარტო ადამიანებს, არამედ მთელ ბიოსფეროს.

ეკოლოგიური პრობლემები: მსოფლიოს ყველა ეკოლოგიური პრობლემა ადამიანის არაციონალური საქმიანობის სახით მნიშვნელოვნად აზიანებს გარემოს.

ნახ. 1. თანამედროვეობის გლობალური პრობლემები [1,2,3]

ცხრილი 1. გლობალური პრობლემების სახეები [1,2,3]

ინტერსოციალური პრობლემები	პრობლემები „ადამიანი-ბუნება“ ურთიერთობაში	პრობლემა „ადამიანი-საზოგადოების“ ურთიერთობაში
ომისა და მშვიდობის პრობლემა	ეკოლოგიური	სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესის უარყოფითი შედეგები
ერებს, ეთნიკურ ჯგუფებს, რასებს შორის ურთიერთობა	ენერგეტიკული	საშიში დაავადებები
ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ჩამორჩენილობა	კლიმატური	კულტურული მემკვიდრეობისა და მრავალფეროვნების არაადეკვატური დაცვა
მსოფლიო ოკეანისა და კოსმოსის შესწავლა	სანედლეულო	დემოგრაფიული კრიზისი, შიმშილი, სიღარიბე და ა.შ.
ტერორიზმი და ა. შ.	კვების პრობლემები და ა.შ.	

გასული საუკუნის მეორე ნახევარში ერთდროულად დაიწყო რამდენიმე ეკოლოგიური კატასტროფის განვითარება, რომელთა შორის აღსანიშნავია გლობალური ეკოსისტემის განადგურება, ფლორისა და ფაუნის სულ უფრო მეტი სახეობის გაქრობა, გლობალური კლიმატის ცვლილება და სათბურის გაზების ემისიის ზრდა ატმოსფეროში, ბუნების ეკოლოგიური ბალანსის დარღვევა, რითაც სულ უფრო მეტი ტერიტორია ზარალდება ან კატასტროფის პირასაა, რაც გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობასა და ცხოვრების ხარისხზე, საფრთხეს უქმნის პლანეტის ყველა ცოცხალ არსებას, ხოლო დაზარალებული ტერიტორიები საცხოვრებლად უვარგისი ხდება და ამ დაზიანების წყაროები ხელს უშლის ბიოსფეროს აღდგენას და საბოლოოდ ანადგურებს მას.

დემოგრაფიული პრობლემა: ეს გლობალური პრობლემა გავლენას ახდენს მსოფლიოს მოსახლეობის რაოდენობაზე. დღეს მსოფლიოში ორი საპირისპირო ტენდენცია არსებობს:

- „მოსახლეობის აფეთქება“ 2 აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების მოსახლეობა სწრაფად იზრდება, რაც უკვე იწვევს განვითარებად ქვეყნებში სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს, რომელთა გადაუჭრელობა ვითარებას კიდევ უფრო დააძიმებს;
- „ნულოვანი ზრდა“ 2 დასავლეთ ევროპაში უფრო მეტი ხანდაზმული ადამიანია, ვიდრე ახალგაზრდები, რაც იწვევს იმას, რომ შრომისუნარიანი მოსახლეობა ვერ უმკლავდება დატვირთვას და ვერ ემსახურება სახელმწიფოს უწინდელ დონეზე.

ჩრდილოეთ-სამხრეთის პრობლემა: ჩრდილოეთ-სამხრეთის გლობალური პრობლემა არის დაძაბული ეკონომიკური ურთიერთობები მსოფლიოს განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის, რომელთა შორის უფსკრული ეკონომიკური და კულტურული განვითარების კუთხით ყოველწლიურად იზრდება. ამგვარად, აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ზოგიერთ ქვეყანას არ შეუძლია მაღალი ზრდის შესაძლებლობა სხვადასხვა ინდუსტრიებში, მაღალი ხარისხის საქონელსა და მედიცინაში, რაც გავლენას ახდენს მათ ცხოვრების დონეზე.

მსოფლიო კვების პრობლემა: გლობალური კვების პრობლემა ერთ-ერთი ყველაზე მწვავეა თანამედროვე მსოფლიოში, რაც დაკავშირებულია იმასთან, რომ სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესის ეპოქაში ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ საკუთარ თავს საკვებით. GHI (Global Hunger Index) პორტალის ანგარიშის მიხედვით, 2021 წელს მსოფლიოს 47 ქვეყანას აქვს შიმშილის საგანგაშო მაღალი მაჩვენებელი. პროგნოზების მიხედვით, 2030 წლისთვის მისი „ნულოვანი შიმშილის“ დაწევა შეუძლებელი იქნება.

სიღარიბის პრობლემა: პორტალ Our World In Data-ის თანახმად, მსოფლიოს მოსახლეობის ⅔ დღეში 10 $-მდე ხარჯავს, ხოლო ყოველი მეათე მცხოვრები 2 $-ზე ნაკლებს ხარჯავს. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ბევრ განვითარებად ქვეყანას არ შეუძლია უზრუნველყოს ადეკვატური

ცხოვრების დონე თავისი მოქალაქეებისთვის. ასეთ ქვეყნებში ადამიანებისთვის მიუწვდომელია მაღალი ხარისხის წამალი და სასიცოცხლო მნიშვნელობის სხვადასხვა საქონელი, რაც იწვევს სხვა გლობალურ საფრთხეებს ჯანმრთელობის დაცვისაა და განათლების ხარისხის პრობლემების სახით. ხოლო, COVID-19-ის პანდემიით გამოწვეულმა ეკონომიკურმა კრიზისმა კიდევ უფრო გაამწვავა ეს და წარმოშვა მრავალი სხვა პრობლემა განვითარებად ქვეყნებში, რომელთა შორის აღსანიშნავია, გლობალური ეკონომიკური კრიზისი, უმუშევრობის მნიშვნელოვანი ზრდა, მოსახლეობისა და ეკონომიკის ფინანსური მხარდაჭერის უპრეცედენტო ზომები, რომლებიც მიღებული იქნა უმეტეს ქვეყნებში და, რომლებმაც მსოფლიოს აჩვენა, რომ არსებული გლობალური განვითარების მოდელი და ერთი შეხედვით ასეთი სტაბილური გლობალური სამართლებრივი წესრიგი წარმოუდგენლად დაუცველია, რაც ცხადია, საჭიროებს გლობალური განვითარების სტრატეგიების გადახედვას.

საერთაშორისო ტერორიზმის პრობლემა: ტერორიზმი არის ძალადობრივი ქმედებები, რომლებსაც კრიმინალები იყენებენ მოსახლეობის დასაშინებლად და პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. როგორც წესი, ტერორისტული აქტები ხელისუფლებაზე ზეწოლის ბერკეტია, ხოლო ტერორიზმის განვითარების მიზეზებია:

- ეკონომიკური, სადაც ქვეყნები არათანაბრად ვითარდება, ანუ ზოგიერთ მათგანში იზრდება ცხოვრების მაღალი დონე და ვითარდება ტექნოლოგიები, ხოლო ზოგში სუფევს შიმშილი და განადგურება;
- სოციალური, სადაც ნიშანდობლივია თანამედროვე დასავლეთის ღირებულე-ბების და ტრადიციული საფუძვლების კონფლიქტი, რომლებიც დაკავშირებუ-ლია რელი-გიასთან და ეთნო-ეროვნულ საკითხებთან.

საერთაშორისო ტერორიზმის ერთ-ერთი მთავარი საფრთხე არის მისი უნარი, გააძლიეროს საზოგადოების სხვა გლობალური პრობლემები. დღეს ტერორისტულ ჯგუფებს აქვთ წვდომა ტექნოლოგიებისა და დაფინანსების ყველა სარგებელზე ძარცვის, ჩრდილოვანი ეკონომიკის შემოსავლის და სხვათა სახით, რაც, თავის მხრივ თანამედროვე სამყაროს დაუცველს ხდის ტერორიზმის მიმართ.

ზემოაღნიშნული საფრთხეების გარდა, რომლებიც დაკავშირებულია პლანეტაზე, არსებობს საზოგადოების თანამედროვე სხვა, არანაკლებ საშიში პრობლემები, მ. შ. საშიში და ხშირად განუკურნებელი დაავადებები, რომლებიც სწრაფად ვრცელდება (შიდსი, SARS და სხვ.), ადამიანის გენური მოდიფიკაცია, ხელოვნური ინტელექტის მზარდი გავლენა, კოსმოსური კვლევის მშვიდობიანი და მსოფლიო ოკეანის რაციონალური ათვისება, ბუნებრივი რესურსების მნიშვნელოვან სახეობათა ამოწურვა, მტკნარი წყლის ნაკლებობა, კაცობრიობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაკარგვა, ახალი გეოპოლიტიკური უთანხმოებები, უმუშევრობა, დანაშაული, ნარკომანია, არალეგალური მიგრაცია, კიბერუსაფრთხოება და სხვა. ამასთან, ნიშანდობლივია გლობალური ეკონომიკის პანდემიური კრიზისიდან აღდგენის ფონზე, რუსეთ-უკრაინის ომის სოციალურ-ეკონომიკური გავლენა მსოფლიოზე, რომელიც კიდევ უფრო მეტად გაართულებს პოლიტიკურ ლანდშაფტს, სადაც ენერგოპროდუქტებისა და სურსათის გაძვირება ინფლაციურ ზეწოლას გაზრდის, რაც, თავის მხრივ, გავლენას მოახდენს მსყიდველო-ბითუნარიანობასა და მოთხოვნაზე, ასევე მოსალოდნელია, რომ კონფლიქტმა გამოიწვიოს მიწოდების ჯაჭვის პრობლემები, ვაჭრობის შეზღუდვა და ფულადი გზავნილების შემცირება და ის ნეგატიურ მოლოდინები, რომლებიც უკავშირდება გაურკვევლობას და არასტაბილურობას და, რომელიც გამოიწვევს ინვესტორების მხრიდან ნდობის შემცირებას, რაც ასახვას პოვებს აქტივების ფასებსა და განვითარებადი ბაზრებიდან კაპიტალის გადინებაზე. შესაბამისად, მოსალოდნელია ენერგოპროდუქტებისა და სურსათის გაძვირება,

გლობალური ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელება, ინფლაციის დონის ზრდა და ფისკალური ანგარიშების გაუარესება. ხოლო, გრძელვადიან პერსპექტივაში, ენერგეტიკული ვაჭრობის წესრიგის ცვლილებამ, მიწოდების ჯაჭვების რეკონფიგურაციამ, საგადასახადო სისტემების ფრაგმენტაციამ და ქვეყნების მიერ სარეზერვო ანგარიშების გადახედვამ, შესაძლოა, ფუნდამენტურად შეცვალოს გეოპოლიტიკური წესრიგი და გლობალური ეკონომიკა. ამიტომ, ცენტრალურ ბანკებს მოუწევთ ყურადღებით დააკვირდნენ საერთაშორისო ბაზარზე ფასების ზრდას და მის ადგილობრივ ინფლაციაზე ასახვას, რათა შესაბამისი რეაგირება მოახდინონ. ამასთან, მნიშვნელოვანია ფისკალური პოლიტიკა წარიმართოს დაუცველი ოჯახების მხარდასაჭერად, რათა დაბალანსდეს მზარდი ცხოვრების ხარჯები. ამავდროულად, ძალიან მნიშვნელოვანია ეროვნული ჰარმონიის შენარჩუნება ხელისუფლების სხვადასხვა დონეს, ძალაუფლების სტრუქტურებს, სოციალურ ჯგუფებს, პოლიტიკურ პარტიებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და ბიზნეს საზოგადოებას შორის. [3,4,5,6]

ზემოაღნიშნულ საფრთხეებთან გამკლავებისა და კაცობრიობის გლობალური პრობლემების გადაწყვეტის გზები მოცემულია ცხრილში 2.

ცხრილი 2. კაცობრიობის გლობალური პრობლემების გადაჭრის გზები [3,5]

გლობალური საფრთხე	**გადაწყვეტის გზები**
თერმობირთვული ომის პრობლემა	,,შეიარაღების რბოლის“ შეჩერება, ბირთვული იარაღის გარეშე სამყაროს კონცეფციის ჩამოყალიბება და შენარჩუნება, მასობრივი განადგურების იარაღის შექმნის და გამოყენების აკრძალვა
ეკოლოგიური პრობლემა	„სუფთა“ ტექნოლოგიების შექმნა, ნარჩენების გადამუშავების ორგანიზება, გამწმენდი ნაგებობების კონტროლის გამკაცრება
დემოგრაფიული პრობლემა	მიგრაციის მოთხოვნების შემსუბუქება, რათა განვითარებადი ქვეყნებიდან მიგრანტებს მიეცით საშუალება შეავსონ მოსახლეობა და მხარი დაუჭირონ განვითარებული ქვეყნების ეკონომიკას
ჩრდილოეთ-სამხრეთის პრობლემა	განვითარებადი ქვეყნების დახმარება: განათლების დონის გაუმჯობესება, ვალების ჩამოწერა, აზიიდან, აფრიკიდან და ლათინური ამერიკიდან შემოსული საქონლის დასავლურ თაროებზე განთავსების საშუალების მიცემა
მსოფლიო სასურსათო პრობლემა	განვითარებადი ქვეყნების აგრარული სისტემის გარდაქმნა, სახელმწიფო მხარდაჭერის ჩართვა
სიღარიბის პრობლემა	განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკების დახმარება, რათა უფრო სწრაფად გაიზარდოს იმ ღონისძიებების მეშვეობით, რომლებიც ზემოთ იქნა განხილული
საერთაშორისო ტერორიზმის პრობლემა	კონტრტერორისტული ცენტრების შექმნა, ანტიტერორისტული სტრატეგიის შემუშავება და მონიტორინგი, ისეთი ხალხმრავალი ადგილების დაცვა, როგორიცაა ტრანსპორტი, საკონცერტო დარბაზები, სტადიონები, რომლებზეც უფრო მოსალოდნელია თავდასხმა

ამრიგად, მომავალში გლობალური პრობლემების ეფექტიან გადაწყვეტაში მნიშვნელოვანია საზოგადოებაში არსებული გლობალური სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოწვევების შესწავლა და განხილვა, ინფორმაციის ეფექტური გაცვლა, ჰუმანიზმის როგორც მსოფლმხედველობრივი და ეთიკური სისტემის ფასეულობების დამკვიდრება, იმ მიზეზებისა და წინააღმდეგობების შესწავლა, რომლებიც ამძაფრებს გლობალურ პრობლემებს და ქმნის ახალს, ძალისხმევის გაერთიანება ახალი და პროგრესული ტექნოლოგიების შექმნის თვალსაზრისით, არსებულ თანამედროვე გლობალურ საფრთხეებზე დაკვირვება და კონტროლი, რომელთა ოპტიმალური გადაწყვეტა დამოკიდებულია ქვეყნების რაციონალური მოლაპარაკებებზე, ერთობლივი კოორდინირებული მუშაობის უნარსა და ეფექტიან გადაწყვეტილებებზე უკეთესი და უფრო მდგრადი მომავლის მისაღწევად.

დასკვნა

მიმდინარე პროცესების ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ გლობალური

სამყაროს განვითარების საპირისპირო ტენდენციებია. კერძოდ, მსოფლიო ბაზარზე ქვეყნების გაერთიანებისა და პლანეტარული მასშტაბით გაერთიანების ტენდენციასთან ერთად ძლიერდება ფრაგმენტაციის ტენდენცია, გაზრდილი განსხვავებები, კონფლიქტი და მსოფლიო ეკონომიკის განვითარების არაპროგნოზირებადობა. კაცობრიობის გლობალური პრობლემები არ შეიძლება გადაწყდეს ერთი სახელმწიფოს ძალისხმევით. მთელი მსოფლიო საზოგადოების წინაშე დგას მნიშვნელოვანი ამოცანა, შექმნას ერთიანი მარეგულირებელი მექანიზმი გლობალურ დონეზე, რომელიც დააკმაყოფილებს ადამიანის ყველა საჭიროებას. ერთობლივი ქმედებების ძიებაში გლობალური პრობლემების გადასაჭრელად დიდია საერთაშორისო ორგანიზაციების როლი, სადაც ნიშანდობლივია გაეროს განვითა-რების პროგრამა (UNDP) და სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO), ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, მსოფლიო ბანკი (WB) და მრავალი სხვა საერთაშორისო ორგანიზაციის დაფინანსებების დახმარების პროგრამები ჩამორჩენილ ეკონომიკებზე, რომლებიც შესაძლებლობას იძლევა შემცირდეს ან თავიდან იქნას აცილებული მასობრივი შიმშილი, ეპიდემიები, მილიონობით ლტოლვილთა მოძრაობა და რაციონალურად გადაიჭრას სხვა გლობალური პრობლემები, რათა ჩვენს გარშემო არსებული სამყარო შეიცვალოს უკეთესობისკენ.

ლიტერატურა

1. https://borgenproject.org/tag/global-issues/
2. https://www.millennium-project.org/15-global-challenges/
3. https://skysmart.ru/articles/obshestvoznanie/globalnie-problemi-chelovechestva
4. https://geographyofrussia.com/globalnye-problemy-chelovechestva-2/
5. https://www.bbc.com/russian/vert-fut-41113224
6. https://forbes.ge/imf-ruseth-ukrainis-omis-ekonomikuri-gavlenis-shesakheb-gantskhadebas-avrtselebs/

The Global Challenges of Humanity and the Socio-Economic Development Perspectives of the Modern World

Lobjanidze Gela
Associate Professor of Georgian Technical University

Summary

The global problems of mankind cannot be solved by the forces of one state. The whole world community is facing an important task, to create a unified regulatory mechanism at the global level that will meet all human needs. The role of international organizations in the search for joint actions to solve global problems is great. The United Nations Development Program (UNDP), the World Health Organization, the Food and Agriculture Organization of the United Nations (FAO), the World Bank (WB), and many other international organizations provide assistance programs to backward economies to reduce or prevent mass famines, epidemics, millions. Refugee movement and rationally solve other global problems to change the world around us for the better.

Keywords: Global Challenges, Global Socio-Economic Problems, State, Society, International Cooperation.

საჯარო და კერძო ინტერესების ბალანსი საგადასახადო სამართალში

ლორია გიორგი
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი

აბსტრაქტი

კვლევის მიზანია საგადასახადოსამართლებრივ ურთიერთობებში სადავო შემოსავლების დაბეგვრის პრობლემის და საგადასახადო ორგანოების უფლებამოსი-ლებათა ფარგლების დადგენა. საჯარო და კერძო ინტერესების ბალანსის დაცვის გაშუქების ფონზე სასურველი მოდელის წარმოჩენა. ძირითადი ყურადღება გამახვილებულია სახელმწიფოს უფლებამოსილების და გადასახადის გადამხდელის უფლებათა დაცვის მექანიზმების კანონის მოთხოვნების შესაბამისად განხორციელებაზე. საგადასახადო სამართლებრივი ურთიერთობა განხილულია, როგორც თანასწორუფლებიან პირთა შორის განხორციელებული ურთიერთობა. გაშუქებულია კანონმდებლის მიზნები და ამოცანები საგადასახადო სფეროში. ყურადღება გამახვილებულია კანონდარღვევით მიღებული შემოსავლების დაბეგვრის სამართლებრივ პრობლემებზე და ეროვნული რეგულაციები შედარებულია უცხოურ, კერძოდ კი, ამერიკულ მოდელთან. დაბეგვრის საკითხები გაშუქებულია სამართლიანობის და მხარეთა თანასწორობის პრინციპების საფუძველზე.

საკვანძო სიტყვები: საგადასახადო სამართლებრივი ურთიერთობა; საჯარო და კერძო ინტერესები; სამართალდარღვევით მიღებული შემოსავლები; კონსტიტუციური მართლწესრიგი.

შესავალი

საგადასახადო სამართალი იმ სამართლებრივ ურთიერთობებს არეგულირებს, რომლებშიც საჯარო და განსაკთრებით კი, სახელმწიფო ინტერესები ყველაზე მკაფიოდაა დაცული და სახელმწიფოს ინტერესებს მკვეთრად გამოხატული უპირატესობა ენიჭებათ.

სამართლებრივი ურთიერთობების დარეგულირებისას სამართლის ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ პრობლემას საჯარო და კერძო ინტერესების ბალანსის დაცვა წარმოადგენს [1]. საგადასახადო სამართალში კიდევ უფრო რთულდება საქმე, რადგან დასახელებულთან ერთად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო ინტერესებსაც. საგადასახდო სამართალში პრობლემას წარმოშობს გადასახადის გადამხდე-ლის სამართლებრივი დაცვის მექანიზმების არასწორი შეფასება. ხშირად სადავო ხდება გადასახადის გადამხდელის კანონიერი და სამართალდარღვევით მიღებული შემოსავლების დაბეგვრის მარეგულირებელი ნორმების გამოყენება. ნაშრომში სწორედ სადავო შემოსავლების დაბეგვრაზეა ყურადღება გამახვილებული.

ძირითადი ნაწილი

სადავო შემოსავლების დაბეგვრა

დაბეგვრა გულისხმობს პირის კანონიერი შემოსავლების ნაწილის სახელმწიფოს სასარგებლოდ გასხვისებას. გადასახადების გადახდა რომ ყველა გადამხდელის ვალდებულებაა, ამაზე არავინ დაობს. პრობლემა იმ შემოსავლების დაბეგვრისას წარმოიშობა, რომელთა მიღებაც კანონის მოთხოვნებთან ჰარმონიულ დამოკიდებულებაში არ ხდება.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, კანონდარღვევით მიღებული შემოსავლების დაბეგვრა 73-ე მუხლის შესაბამისად ხორციელდება. საგადასახადო კოდექსი

[1] წკეპლაძე ნ., (2003), *კერძო და საჯარო ინტერესების ბალანსი საკანონმდებლო საქმიანობისას,* ჟურნ. ქართული სამართლის მიმოხილვა, 6/2003-2/3. გვ. 404 – 405.

კანონდარღვევით მიღებული შემოსავლების სამ სახეობას გამოყოფს: ა) სადავო შემოსავლებს; ბ) საგადასახადო სამართალდარღვევით მიღებულ და გ) ისეთი საქმიანობით მიღებულ შემოსავლებს, რომლებიც სრულად ექვემდებარება ბიუჯეტის სასარგებლოდ ამოღებას[1].

სადავო იმგვარ შემოსავლებს გულისხმობს, რომლის მიღების წყაროც გაურკვეველია[2]. ასეთ სიტუაციაში გადაწყვეტილება პოზიტიური დამოკიდებულების სასარგებლოდ უნდა იქნეს მიღებული და კანონმდებელიც დასაბეგრ შემოსავლად მიიჩნევს სადავო შემოსავლებს. საგადასახადო სამართალდარღვევით მიღებული შემოსავლები ასევე ექვემდებარება დაბეგვრას, რადგან რომ არა საგადასახადო სამართალდარღვევა, ეს შემოსავლები უნდა დაბეგრილიყო და თუ სახელმწიფო მხოლოდ სანქციას დააკისრებს პირს და საგადასახადო ვალებულების შესრულებას არ მოსთხოვს, მაშინ თვითონვე დაარღვევს საგადასახადო კოდექსის და კონსტიტუციის მოთხოვნას, რომ „სავალდებუ-ლოა გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდა კანონით დადგენილი ოდენობითა და წესით“ [3]. გადასახადის გადამხდელ სუბიექტებს კი წარმოექმნებათ შეხედულება, რომ გადასახადის გადახდა სავალდებულო არაა და მხოლოდ სანქციის გადახდა წარმოადგენს პირის კანონისმიერ მოვალეობას.

საგადასახადო კოდექსის 73-ე მუხლის მე-3 ნაწილი ეხება სისხლისსამართლებრივი დარღვევებით მიღებულ შემოსავლებს (მაგ. ნარკოტიკებით ან ადამიანით ვაჭრობა და სხვ.) ამგვარი საქმიანობით მიღებული შემოსავალი სრულად ექვემდებარება ბიუჯეტის სასარგებლოდ ამოღებას. თუ ლიცენზიის გარეშე ვაჭრობით ან დეკლარაციაში გადასახადის შემცირებით მიღებული თანხები იბეგრება, ეს აიხსნება იმით, რომ ზოგადად ის საქმიანობა, რასაც პირი ახორციელებდა, აკრძალული არაა, დაბეგვრა დამოკიდებულია ფაქტებზე და არა გადასახადის გადამხდელის ბუღალტრულ ჩანაწერებზე[4] ან მის სურვილებზე. სისხლის სამართლის კანონმდებლობით აკრძალული საქმიანობით მიღებული თანხა კი არ შეიძლება პირის საკუთრებად განიხილებოდეს. ეს საკითხი სადავოა სამეცნიერო საზოგადოებაში. სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა განსხვავებულად არეგულირებს უკანონო შემოსავლების დაბეგვრას. ამერიკის შეერთებული შტატების და საქართველოს საგადასახადო რეგულაციები ამ საკითხში მკაფიოდ განსხვავებულია. თუ საქართველოში სისხლის სამართლის ნორმების დარღვევით მიღებული შემოსავლები გადასახადებით არ იბეგრება, ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლო პრაქტიკა აღიარებს, რომ შემოსავლის წყაროში არსებული უკანონობა ხელს არ უშლის ასეთი შემოსავლის დაბეგვრას [5].

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 73-ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილები მოითხოვს, რომ კანონით დადგენილი ვალდებულება შესრულდეს. ნორმაში მკაფიოდ იკვეთება სახელმწიფოს ინტერესების უპირატესობა, მაგრამ ეს უკანასკნელი საჯარო ინტერესებიდან გამომდინარეობს და დავის საგანს არ წარმოადგენს. საჯარო და კერძო ინტერესების დაბალანსების და კონსტიტუციური მართლწესრიგის განხორცი-ელების თვალსაზრისით ყურადღებით შესწავლას მოითხოვს საგადასახადო კანონმდებლობის ის რეგულაციები,

---

[1] საქართველოს 17.09.2010 #3591 კანონი, საქართველოს საგადასახადო კოდექსი, სსმ, 54, 12/10/2010, <https://www.matsne.gov.ge/document/view/1043717?publication=183> [27.02.2022]

[2] იხ. ნადარაია ლ., როგავა ზ., რუხაძე კ.,ბოლქვაძე ბ., (2012), *საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარი.* გვ. 477 – 494.

[3] საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 67. პუნქტი 1. <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36> [27.02.2022] .

[4] Lashell's Estate v. Commissioner of Internal Revenue, 208 F. 2d 430 (6th Cir. 1953). <https://law.justia.com/cases/federal/appellate-courts/F2/208/430/214141/ > [27.02.2022].

[5] United States v. Sullivan, 274 U.S. 259, 47 S. Ct. 607, 71 L. Ed. 1037 <https://www.law.cornell.edu/supremecourt/text/274/259> [27.02.2022].

რომლებიც საგადასახადო ორგანოს აძლევს უფლებამოსილებას, აიძულოს გადასახადის გადამხდელი, გადაიხადოს ის გადასახადები, რომელთა გადახდაც მას კანონით არ ევალება.

სადავოა ურთიერთდამოკიდებულ პირთა შორის გარიგებების, ცრუმაგიერი პირების, დღგ-ის გადამხდელად იძულებით დარეგისტრირების მარეგულირებელი მექანიზმები და საგადასახადო კოდექსის 73-ე მუხლის მე-5 ნაწილის დებულებები. საგადასახადო კოდექსის 73-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გადასახადის გადამხდელის ვალდებულებები შეიძლება განისაზღვროს ისეთი არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით, როგორიცაა: „აქტივების სიდიდის, საოპერაციო შემოსავლებისა და ხარჯების, პირის შესახებ ინფორმაციის მისი საქმიანობის სხვა საგადასახადო პერიოდთან ან სხვა ამგვარი გადასახადის გადამხდელის შესახებ მონაცემების შედარების“ მეთოდები. ჩამოთვლილი მექანიზმები იმდენად დიდ უფლებამოსილებას ანიჭებს საგადასახადო ორგანოს, რომ მარტივად შეუძლია სინამდვილეში არსებული ფაქტიური ვითარების საკუთარი წარმოსახვების შესაბამისად გარდაქმნა და გადასახადის გადამხდელის უფლებების ხელყოფა. კოდექსში ჩამოთვლილ მექანიზმებს დასახელებული მუხლის ამავე ნაწილის ბოლო წინადადება კიდევ უფრო გაურკვეველი რეგულაციით ასრულებს, სადაც მითითებულია, რომ საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, სხვა მსგავსი ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე განსაზღვროს გადამხდელის საგადასახადო ვალდებულებები [1].

გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულებების არაპირდაპირი მეთოდებით განსაზღვრა და გადამხდელისთვის სანქციის დაკისრება ხშირად წარმოშობს საგადასახადო დავებს. ამ საკითხში შემოსავლების სამსახურის და საერთო სასამართლოების პოზიციები ერთმანეთს ხშირად არ ემთხვევა[2]. შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილებები ზოგჯერ სამართლებრივ საფუძვლებს მოკლებულია და მკაფიოდ არაა დასაბუთებული მიღებული გადაწყვეტილების მართლზომიერება [3].

საგადასახადო კანონმდებლობის ნორმები ზოგჯერ სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა და საგადასახადო ორგანოების მოქმედებას მკაფიოდ ჩამოყალიბებულ ფარგლებში არ აქცევს. ეს კი იძლევა საშუალებას, კერძო ინტერესების ხარჯზე სახელმწიფო ინტერესების გადამეტებულად დაცვა განხორციელდეს. სადავო საგადასახადო ნორმები როგორც გადამხდელის, ასევე სახელმწიფოს სასარგებლოდ თანაბრად იძლევა ინტერპრეტირების შესაძლებლობას. პრობლემა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომელი მხარის ინტერესები უნდა იქნეს გათვალისწინებული უპირატესად. მართალია, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 73-ე მუხლი და XXXV თავი, რომელიც საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებებს ეძღვნება, სახელმწიფოს, როგორც კრედიტორის ინტერესების დაცვის მიზანს ატარებს[4] და საგადაახადოსამართლებრივ ურთიერთობებში სახელმწიფოს ფისკალური ინტერესი პრიორიტეტულია, მაგრამ სახელმწიფოს ინტერესების დაცვა გადასახადის გადამხდელის უფლებების დარღვევის ხარჯზე არ უნდა განხორციელდეს, რადგან დემოკრატიულ სახელმწიფოში ხელისუფლებას ემორჩილებიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი ქმედებები

[1] საქართველოს 17.09.2010 საგადასახადო კოდექსი, სსმ, 54, 12/10/2010, მუხ. 73. ნაწილი 5. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717?publication=183> [27.02.2022].

[2] უზენაესი სასამართლოს 16.10.2018 გადაწყვეტილება # ბს-408-408(კ-18). კრებულში: საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი ადმინისტრაციულ საქმეებზე, 2019, #3. გვ. 134 – 148.

[3] იხ. USAID G4G | „მმართველობა განვითარებისთვის“ტექნიკური ანგარიში. საგადასახადო დავების ანალიზი, 14.12.2016. გვ. 22 – 27.

[4] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 16.04.2019 #ბს-1191(კ-18) გადაწყვეტილება. კრებულში: საგადასახადო დავები. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი ადმინისტრაციულ საქმეებზე, 2020, # 1. გვ. 62.

აუმჯობესებს საზოგადოების წევრთა ცხოვრებას და აუმჯობესებს მათ კეთილდღეობას[1]. საგადასახადოსამართლებრივი ურთიერთობების დარეგულირების პროცესში კანონმდებლის ნებას წარმოადგენს საჯარო ინტერესების დაცვა[2]. საგადასახადო სისტემა უნდა ეფუძნებოდეს სამართლიანობას და კანონიერებას და არა კონკრეტული პირის პირად მიზნებს[3] საგადასახადო ორგანოს ამოცანას წარმოადგენს, რომ გადასახადის გადამხდელებს არ მისცეს გადასახადებისაგან თავის არიდების საშუალება. იურიდიულ ლიტერატურაში იმასაც კი აღნიშნავენ, რომ კერძო სამართალი საგადასახადო კანონმდებლობაზე გაბატონებულ პოზიციას იკავებს[4], ეს კი საკითხის სახელმწიფოს სასარგებლოდ გადაწყვეტას აბსოლუტურად არ გულისხმობს. საგადასახადო კანონმდებლობის მიზანი საჯარო და კერძო ინტერესების ბალანსის დაცვის საფუძველზე სახელმწიფო ფინანსების კანონის შესაბამისად ფორმირებაა.

დასკვნა

საგადასახადოსამართლებრივი ურთიერთობა თანასწორუფლებიან პირთა შორის განხორციელებულ ურთიერთობებს არეგულირებს და მან თანაბრად უნდა დაიცვას როგორც სახელმწიფოს, ასევე გადასახადის გადამხდელის უფლებები და მათი ინტერესები კანონისმიერ განსაზღვულობაში მოაქციოს. გადასახადების დაწესება, შეცვლა და გაუქმება მხოლოდ კანონის მიღებით და მასში ცვლილების შეტანითაა შესაძლებელი, შესაბამისად, მხოლოდ საზოგადოების წარმომადგენლობით ორგანოს - პარლამენტს გააჩნია გადასახადების დაწესების უფლებამოსილება და არა აღმასრულებელ ხელისუფლებას. საგადასახადო ნორმები არცერთი მხარის ინტერესს არ უნდა ანიჭებდეს უპირატესობას, ის მხოლოდ ბალანსს უნდა იცავდეს. სხვა შემთხვევაში საგადასახადო კანონმდებლობა კონსტიტუციურ მართლწესრიგს დაუპირისპირდება და სახელმწიფოს სახელით მოქმედ საგადასახადო ორგანოს სამართალდამრღვევ სუბიექტად გადააქცევს.

ლიტერატურა:

1. ნადარაია ლ., როგავა ზ., რუხაძე კ.,ბოლქვაძე ბ., (2012), საქართველოს საგადასა-ხადო კოდექსის კომენტარი.
2. წკეპლაძე ნ., (2003), კერძო და საჯარო ინტერესების ბალანსი საკანონმდებლო
3. საქმიანობისას, ჟურნ. ქართული სამართლის მიმოხილვა, 6/2003-2/3.
4. USAID G4G | „მმართველობა განვითარებისთვის"ტექნიკური ანგარიში. საგადა-სახადო დავების ანალიზი, 14.12.2016
5. <chromeextension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/viewer.html?pdfurl=https%3A%2F%2Fpdf.usaid.gov%2Fpdf_docs%2FPA00T2SC.pdf&chunk=true>
6. Bundgaard J., On Tax Law and Private Law Relations. Stockholm Institute for Scandianvian Law 1957-2009 P. 81.
7. Edrey, Y., Constitutional Review and Tax Law: An Analytical Framework. American

[1] Edrey, Y., *Constitutional Review and Tax Law: An Analytical Framework*. American University Law Review 56, no. 5 (June 2007):1187-1228. P. 1193.

[2] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 27.12.2018 #ბს-754-754(კ-18) გადაწყვეტილება. კრებულში: საგადასახადო დავები. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი ადმინისტრაციულ საქმეებზე, 2020, # 1. გვ. 32

[3] Vanistendael S., *Legal Framework for Taxation.* P. 15. <https://www.elibrary.imf.org/view/books/071/06711-9781557755872-en/ch02.xml> [27.02.2022].

[4] Bundgaard J., *On Tax Law and Private Law Relations*. Stockholm Institute for Scandianvian Law 1957-2009 P. 81.

University Law Review 56, no. 5 (June 2007):1187-1228.

8. Vanistendael S., Legal Framework for Taxation.
9. <https://www.elibrary.imf.org/view/books/071/06711-9781557755872-en/ch02.xml> [27.02.2022].
10. საქართველოს კონსტიტუცია.
11. <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36> [27.02.2022] .
12. საქართველოს 17.09.2010 #3591 კანონი, საქართველოს საგადასახადო კოდექსი, სსმ, 54, 12/10/2010.
13. <https://www.matsne.gov.ge/document/view/1043717?publication=183> [27.02.2022]
14. უზენაესი სასამართლოს 16.10.2018 გადაწყვეტილება # ბს-408-408(კ-18).
15. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 16.04.2019 #ბს-1191(კ-18) გადაწყვეტილება.
16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 27.12.2018 #ბს-754-754(კ-18) გადაწყვეტილება.
17. Lashell's Estate v. Commissioner of Internal Revenue, 208 F. 2d 430 (6th Cir. 1953). <https://law.justia.com/cases/federal/appellate-courts/F2/208/430/214141/ > [27.02.2022].
18. United States v. Sullivan, 274 U.S. 259, 47 S. Ct. 607, 71 L. Ed. 1037 <https://www.law.cornell.edu/supremecourt/text/274/259> [27.02.2022].
19. Keywords: tax relationship; Public and private interests; Constitutional order.

Balance of public and private interests in Tax law

Loria Giorgi
Invited Lecturer at the International Black Sea University

Summary

The paper addresses issues such as the taxation of disputed income and the maintenance of the balance of public and private interests in tax relations. The goals and objectives of the legislator in the field of taxation are covered. The focus is on the legal problems of taxation of illegally earned income. Taxation issues are covered on the basis of the principles of fairness and equality of concerned parties. The paper covers the positions of the tax authorities of Georgia and the Courts on the taxation of disputed revenues. American and Georgian models of illegal income taxation are analyzed using the comparative-legal method.

Keywords: tax relationship; Public and private interests; Constitutional order.

ციფრული ტრანსფორმაციის გავლენა თანამედროვე საზოგადოების ფსიქო-სოციალურ კონდიციებზე უკრაინაში მიმდინარე ომის მაგალითზე

მამულაიძე თამთა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

ბაღათურია ოთარ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

მორალს დასავლეთში გარკვეული ღირებულება აქვს, რომელიც შეიძლება კონვერტირდებოდეს პოლიტიკურ პრობლემებსა თუ ძალაში. 1648 წელს ვესტფალიის ზავის ერთ-ერთი მიზეზი მაგდებურგის კატასტროფა და მისი მორალური ფასი იყო. გარკვეული თვალსაზრისით, დასავლური სამხედრო ტექნოლოგია ვითარდება მაღალი სიზუსტის იარაღისკენ სწორედ მორალური დანაკარგებისგან თავის დასაზღვევად, რაც საბოლოო ანგარიშით ანიჭებს უპირატესობას ბრძოლის ველზე.

თანამედროვეობაში, დაჩქარებული ტექნოლოგიური პროგრესი იწვევს ორუელისეული ანტიუტოპიების შიშებს იმისა, რომ ხელისუფლებანი შეძლებენ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ძალაუფლების უზურპაციას და ტოტალური კონტროლით ციფრული ტოტალიტარიზმის დამყარებას.

ამავდროულად, აღნიშნულის საპირისპიროდ არსებობს პოზიტიური მოლოდინი იმისა, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით საზოგადოება შეძლებს ხელისუფლებათა კონტროლს და ამგვარად დამყარდება ციფრული დემოკრატია. ფორმაციული განვითარების შინაგანი ლოგიკით კაცობრიობა ახალი (უცნობი) ფორმაციის გარიჟრაჟზეა,[1] (ვინაიდან არსებობს კორელაცია ტექნოლოგიურ პროგრესსა და ღირებულებათა სისტემის ევოლუციას შორის). გადაჭრით შეიძლება ითქვას რომ ახალი ფორმაცია წარმოიქმნება არსებული ფორმაციის კრიზისის პირობებში, ახალი ტექნოლოგიების და თანამედროვე საკაცობრიო ღირებულებების შესაბამისად. შეიძლება ითქვას რომ ფსიქო-სოციალური თავისებურებები გარკვეულწილად დამოკიდებულია ტექნოლოგიურ განვითარებაზე, აღნიშნული თვალსაზრისით ცივილიზაციები და მათი განვითარების დონეები შეიძლება დახასიათდეს ტექნოლოგიური მიღწევების ან ღირებულებითი სისტემების მეშვეობით. მაგალითად, თანამედროვე განვითარებული დასავლეთი შეიძლება ითქვას რომ შედის ციფრული ჰუმანიზმის ეპოქაში.

საკვანძო სიტყვები: ციფრული ტრანსფორმაცია, ფორმაცია, ციფრული დიქტატურა, ციფრული დემოკრატია, ლიბერალური დემოკრატია, ციფრული პროპაგანდა, ფეიქ ნიუსი.

შესავალი

ლიბერალური დემოკრატიის და ჰუმანიზმის, ალტრუიზმის განვითარება მოწინავე ქვეყნებში დღის წესრიგში უფრო და უფრო მწვავედ აყენებს სახელმწიფოს, საზოგადოების და ინდივიდის ურთიერთმიმართების საკითხს. საყოველთაო განათლების და ტექნოლოგიური პროგრესის შედეგად საზოგადოების გარკვეულ ნაწილში ძალას იკრებს ორველისეული ანტიუტოპიები, შიში, იმის თაობაზე რომ ციფრული ტექნოლოგიების მეშვეობით ხელისუფლება მოახდენს ძალაუფლების უზურპაციას, თუმცა, ილონ მასკის პოზიტიურ და ასანჟის ნეგატიურ ქეისზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვივარაუდოთ რომ, საზოგადოებას თავდაცვის მექანიზმების გარდა ტექნოლოგიური ცოდნის მიღების/გენერირების/გამოყენების უპირატესობაც კი აქვს. ილონ

[1] თ. მამულაიძე., ო.ბაღათურია., ციფრული ტრანსფორმაცია და ახალი (უცნობი) ფორმაციის პერსპექტივები., 2021

მასკის კოსმოსური პროგრამა ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია იმისა, რომ ციფრული ერის არქეტიპის (ილონ მასკი) მიერ კომერციულ საწყისებზე შექმნილი ტექნოლოგიური სერვისი/პროდუქტი დღეს ბევრად უფრო იაფია ვიდრე სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ანალოგები. სწორედ მაღალი ტექნოლოგიების დემოკრატიზაციამ, ანუ ხელმისაწვდომობამ და გავრცელებამ უპირატესობა მისცა უკრანულ რაზმებს ბრძოლის ველზე რაც ერთ-ერთი თვალსაჩინო ასპექტია ციფრული დემოკრატიისა და ციფრული დიქტატურის შეჯახების და დემოკრატიის სასარგებლოდ წარმართვის, ისევე როგორც 90-იან წლების მეორე ნახევარში ჩეჩენი კომბატანტების ჯგუფებისთვის პეიჯინგი და მობილური მოწყობილობები აღმოჩნდა მაკოორდინირებელი საშუალება ფედრეალურ ძალებზე უპირატესობის მისაღწევად.

თუ ერთის მხრივ არსებობს შიში იმისა, რომ სახელმწიფო - „ლევიათიანი“ ციფრული ერის დღევანდელი არქეტიპების წარმატებით შთაგონებული თაობის მიერ, შექმნილი ტექნოლოგიების გამოყენებით ეცდება ძალაუფლების უზურპაციას და საზოგადოების ტოტალიტარულ კონტროლს, მეორეს მხრივ ილონ მასკის და ასანჟის ქეისები იმის ვარაუდის საშუალებას იძლევა, რომ ციფრული ერის დღევანდელი არქეტიპების წარმატებით შთაგონებული თაობა მის მიერვე შექმნილი ტექნოლოგიებით საზოგადოებას საშუალებას მისცემს ეფექტიანად გააკონტროლოს მთავრობა და არ მისცეს ძალაუფლების უზურპაციის საშუალება.

კაცობრიობის ისტორიაზე ფორმაციული განვითარების კუთხით დაკვირვებისას ვლინდება ფორმაციათა მონაცვლეობის შინაგანი ლოგიკა[1], რომლის მიხედვითაც საზოგადოებათა, კულტურათა და ტექნოლოგიათა მიღწევები აკუმულირდება მოულოდნელ ფორმაციულ ცვლილებებში, ტრანსფორმაციებში, ანუ არსებული ფორმაციის კრიზისის კვალდაკვალ, ახალი ფორმაციების ჩამოყალიბებში. შესაძლოა, უკრაინასა და რუსეთს შორის მიმდინარე სრულმასშტაბიანი ომი იყოს არა ტრივიარული დაპირისპირება დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, არამედ მარცხისთვის განწირული დაპირისპირება ტექნოლოგიურად და მორალურად ჩამორჩენილ დიქტატურისა როგორც ტექნოლოგიურად ისე მორალაურად დაწინაურებულ დემოკრატიასთან.

ძირითადი ნაწილი

კაცობრიობის ისტორია ტრანსფორმაციების კუთხით

ადამიანმა თავისი განვითარების გარიჟრაჟზე ფიზიკური სისუსტეების კომპენსირება შეძლო შეიარაღებით. თავდაპირველად მან გამოიყენა პრიმიტიულ იარაღად ქვა და ჯოხი, რამაც განაპირობა შეიარაღებულთა უპირატესობა და კონკურენცია შეიარაღებაში. კაცობრიობის შემდგომ განვითარებაში შეიძლება მოიაზრდებოდეს სწორედ ტექნოლოგიური პროგრესი, ანუ განვითარების ყოველ ეტაპზე ადამიანი ქმნის უფრო და უფრო რთულ ტექნოლოგიურ იარაღს და რაც უფრო მომაკვდინებელია იარაღი, მით უფრო იზრდება სრული ურთიერთგანადგურების რისკი და მის პარალელურად ჩნდება პოპულაციის დამცავი მორალური ნორმები და ფსიქო-სოციალური ბარიერები. ეს პროცესი თვალნათლივ ჩანს როდესაც ტექნოლოგიურად მაღალგანვითარებული საზოგადოების მიერ შექმნილი იარაღი აღმოჩნდება ცივილიზაციურად ნაკლებ განვითარებული საზოგადოების ხელში.

რთული ფსიქიკური და სოციალური ორგანიზაციის სახეობებს მომაკვდინებელ „შეიარაღებასთან“ (ბრჭყალები, კბილები, რქები, ეშვები) ერთად აქვს დამცავი ფსიქო-სოციალური მექანიზმები, კერძოდ: სახეობის შიგნით კონკურენციის პირობებში, მოცემული სახეობის წარმომადგენლები როგორც წესი კმაყოფილდებიან თვისტომზე უპირატესობის დემონსტრირებით და არ იყენებენ მათ ხელთ არსებულ საშუალებებს კონკურენტების ფიზიკური განდგურებისათვის,

[1] თ. მამულაიძე., ო.ბაღათურია., ციფრული ტრანსფორმაცია და ახალი (უცნობი) ფორმაციის პერსპექტივები.

უფრო მეტიც შეტაკების დროსაც, როდესაც ერთ-ერთი მოპაექრეთაგანი მარცხდება, გამარჯვებული მას თავს ანებებს.

პრიმატები - არ გამოირჩევიან ბუნებისგან ბოძებული ძლიერი შეიარაღებით, რომლის არქონის კომპენსირებას ახდენენ ჭარბი აგრესიით, სხვადასხვა ხელსაწყოებით (ჯოხი, ქვა) და ინტელექტით. მაგალითად, მამრი შიმპანზეების მესამედი იღუპება თანამოძმეთა ძალადობის შედეგად, ხოლო მეორე მესამედს აღენიშნება თანამოძმეთაგან მიყენებული და შემდგომ მორჩენილი ტრავმების კვალი.

ადამიანის მთავარ იარაღად იქცა წარმოსახვის უნარი, მან არამხოლოდ გამოიყენა ბუნებაში არსებული ქვა, ჯოხი ან სხვა რესურსი იარაღად, არამედ თავად დაიწყო იარაღის, რთული ხელსაწყოების შექმნა და გარემოზე ზემოქმედება, რომლის საშუალებითაც საბოლოო ანგარიშით დღეს კაციობრიობა მოვიდა ტექნოლოგიურ რევოლუციამდე და ციფრულ ტრანსფორმაციამდე, რომელიც აისახა არა მხოლოდ ტექნოლოგიურ საშუალებებზე, არამედ სოციალურ ურთიერთობებზე, კულტურაზე, მორალზე, მგრძნობელობაზე, განსაკუთრებით თავისუფლების, თანასწორობის, თანაგრძნობის, თანადგომის, ჰუმანნიზმის თვალსაზრისით.

რა ხდება უკრაინაში

გარკვეული თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ კაცობრიობა ახალ ფორმაციაზე გადასვლის კრიზისშია და მისი მწვავე პიკი შესაძლოა იყოს რუსეთ-უკრაინის სრულმასშტაბიანი ომი, რომელიც აგრეთვე წარმოადგენს მომავალზე, ტექნოლოგიებზე, თავისუფლებაზე, თანასწორობაზე, ჰუმანიზმზე და ზოგადად საკაცობრიო ღირებულე-ბებზე ორიენტირებული დასავლეთის თავდაცვას წარსულზე, რაოდენობაზე, მორჩილებაზე, იერარქიულობაზე, გარკვეული ერთობის უპირატესობის რწმენაზე (ფაშიზმი-რაშიზმი), ღირებულებების აღრევაზე, ცნებების ჩანაცვლებაზე, მოურიდებელ პროპაგანდაზე, შეუნიღბავ ძალადობაზე და უკიდურეს ცინიზმზე დაფუძნებული, უკვე ფაქტობრივად მკვდარი საბჭოეთის მარცხისთვის განწირული ბოლო გაბრძოლებისგან.

განსაკუთრებით ნიშანდობლივია მარიუპოლის ქეისი: რუსული ხელისუფლება და სარდლობა, რომელიც თავად მოექცა თავისივე მილიტარისტული პროპაგანდის ტყვეობაში, აღმოჩნდა სრულიად არაინფორმირებული, როგორც უკრაინის, ისე თავისი შეიარაღებული ძალების და საზოგადოებების კონდიციების თაობაზე, რის გამოც დასახულ მიზანს ვერ მიაღწია და აღმოჩნდა დილემის წინაშე ეღიარებინა მარცხი და დაეთმო პოზიციები თუ დაბრუნებულიყო მე-2 მსოფლიო ომის პარადიგმებში და წასულიყო სამხედრო დანაშაულზე, მასობრივ მკვლელობაზე და საპასუხოდ მიეღო სრული საერთაშორისო იზოლაცია. მის საპირისპიროდ მთელმა კაცობრიობამ და თანამედროვე საზოგადოებამ იხილა უკრაინელების თავგანწირული თავდაცვა და მშვიდობიანი მოქალაქეების მასობრივი, არამოტივირებული, უსაგნო და უმიზნო ტანჯვა, რაც უდიდეს მორალურ უპირატესობას ანიჭებს უკრაინას მსოფლიოს თვალში და ახდენს რუსეთის დემონიზაციას. ყოველივე ეს ერთის მხრივ შესაძლებელი გახდა თანამედროვე და ციფრული ტექნოლოგიების მეშვეობით, უკრაინის მორალური უპირატესობის ხოლო, მეორეს მხრივ კი რუსეთის ჩამორჩენილობის და ამორალურობის გამო.

სწორედ დასავლური საზოგადოების მგრძნობელობასა და უკრაინის მორალურ უპირატესობაზე იმუშავა ზელენსკის გუნდის მიერ სწორად წარმართულმა საკომუნიკაციო სტარტეგიამ სოციალურ არხებში. ციფრული კომუნიკაციის მექანიზმების გამოყენებით შესაძლებელი გახდა ციფრული უნარების მქონე ადამიანებში ფსიქო-სოციალური კონდიციებზე დადებითი ზეგავლენის მოხდენა, სწორედ ამიტომ რუსეთის მიერ აიკრძალა ზელენსკის მიმართვები. ვინაიდან მათ შეეძლო რუსულ საზოგადოებაზეც ემოქმედა და ტრადიციული პროპაგანდის და ფეიქ ნიუსების მონოპოლია დაერღვია. რუსეთ-უკრაინის ბრძოლა წარმოადგენს

ეპიკურ მითოლოგიურ ჯახს ბნელსა და ნათელს, ძველსა და ახალს შორის. ერთ მხარეს არის მხდალი, ვერაგი, დაუნდობელი, ზღაპრის გამოქვაბულში დამალული ბოროტი პერსონაჟების არქეტიპი, რომელსაც დაუპირსპირდა ასევე მითოლოგიური არქეტიპი, გაბედული, მორალური, ჰუმანური, შეიარაღებული თანამედროვე და ციფრული უნარებით. მისი წარმატების მიზეზი არის არა მხოლოდ მასში, არამედ თანამედროვე საზოგადოებაში. ის თანამედროვე საზოგადოების არქეტიპია.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება შეჯამდეს შემდეგი:

რუსეთის თავდასხმა უკრაინაზე არის არა უბრალოდ ორი ქვეყნის სამხედრო დაპირის-პირება, არც ყოფილ მეტროპოლიასა და ყოფილ კოლონიას შორის ბრძოლა, ერთისა იმპერიის აღდგენისთვის ხოლო მეორისა დამოუკიდებლობისთვის, არამედ ფორმაციული ტრანზიტის კრიზი, რომელიც მოასწავებს ძველი ფორმაციის დასასრულს და ახალი ფორმაციის დასაწყისს...

აგრესიული წარსული ცდილობს ჟამთასვლის შემობრუნებას წინა ფორმაციის შესაბამისი სამხედრო, სოციალური და მმართველობითი მეთოდებისა თუ ტექნოლოგიების მეშვეობით. დასავლური მორალი მას სისუსტედ მიაჩნია, რაც წარმატების შესაძლებლობის ილუზიას უქმნის, რითაც ამძიმებს და აჩქარებს მის გარდაუვალ კრახს...

ჰუმანური მომავალი თავს არა მხოლოდ იცავს, არამედ იმარჯვებს, არა მხოლოდ ტექნოლოგიური, არამედ მორალური უპირატესობის გამოც და გზას უხსნის ახალ ფორმაციას...

ახალი ფორმაცია განსხვავდება ძველისგან არა მხოლოდ ტექნოლოგიურად და მეთოდოლოგიურად, არამედ ფსიქო-სოციალურად და კულტურალად, მორალის, ჰუმანიზმის და ალტრუიზმის ახალ დონეზე რეალიზაციის პერსპექტივით.

მთავარი რაც უნდა აღინიშნოს, ციფრული ტრანსფორმაციის შედეგად, ახალი ტექნოლოგიების და ახალი ტიპის სოციო-კულტურული კავშირების, ჰუმანიზმის და მგრძნობელობის ახალ დონეზე რეაქციის შედეგად მოხდა თანამედროვე ცივილიზებული საზოგადოების კონსოლიდაცია, რაც ქმნის ახალ (ახალი ფორმაციის შესაბამის) ფსიქო-სოციალურ კონდიციებს, ახალი ფორმაციის საზოგადოებაში.

ტერმინთა განმარტება:

- ციფრული ტრანსფორმაცია - გაციფრულება, დიჯიტალიზაცია, თანამედროვე ტექნოლოგიების შესაბამისს სოციალურ ფორმაციაზე გადასვლა.
- ფორმაცია - ადამიანთა საზოგადოების განვითარების საფეხური, რომელსაც ახასიათებს ეკონომიკურ - სოციალურ - პოლიტიკურ - ტექნოლოგიური ურთიერთქმედებათა გარკვეული სისტემა და ფორმა.
- ციფრული დიქტატურა - პოლიტიკური რეჟიმი, რომელიც ციფრული ტექნოლოგიების რესურსით ახერხებს საზოგადოების ეფექტიან კონტროლს და ავტორიტარულ მართვას.
- ციფრული დემოკრატია - არა რეჟიმი, არამედ საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემა, რომელშიც დემოკრატიული ღირებულებები და პროცედურები გარანტირებულია საზოგადოების მიერ ციფრული ტექნოლოგიების მეშვეობით.
- ლიბერალური დემოკრატია - საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემა, რომელშიც ინდივიდუალური თავისუფლებები და საყოველთაო თანასწორობა არა მხოლოდ გარანტირებულია კანონმდებლობით და პროცედურით, არამედ გაზიარებულიც არის საზოგადოების მიერ.
- ციფრული პროპაგანდა - ციფრული ტექნოლოგიების დახმარებით საზოგადოებრივი აზრით მანიპულირება და ბიგ დატა ტექნოლოგიების საშუალებით საზოგადოების

ცალკეულ კლასტერებში მგრძნობიარე წერტილების დადგენა, რომელიც ისეთ მასშტაბებს აღწევს რომ საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების თვისობრივად ახალ ფორმას ქმნის.

- ფეიქ ნიუსი - ცრუ ინფორმაცია რომელიც საზოგადოებისთვის ახალ ამბებად საღდება.
- ჰუმანიზმი - ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც ღირებულებათა სისტემის სათავეში ადამიანს მოიაზრებს, ანუ ადამიანი არის მთავარი ღირებულება, თანამედროვე საზოგადოებრივ-კულტურულ კონტექსტში გულისხმობს ამა თუ იმ საზოგადოებაში გაზიარებულ ცხოვრებისეულ ფილოსოფიას, რომლის მატარებლებიც მგრძნობიარენი არიან ადამიანის, როგორც ღირებულების მიმართ.

ლიტერატურა

1. თ. მამულაიძე., ო.ბაღათურია., ციფრული ტრანსფორმაცია და ახალი (უცნობი) ფორმაციის პერსპექტივები., 2021
2. Jared diamond. Guns, Germs and Steel:The Fates of Human Societies. W.W.Norton and Company, 1997 (20 გამოცემა)
3. Mohammad Salehan, Dan J.Kim, Jae-NamLee. Are there any relationships between technology and cultural values? A country-level trend study of the association between information communication technology and cultural values. Information & Management Volume 55, Issue 6, September 2018, Pages 725-745.
4. https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S0378720616302580
5. Jatinder Kumar Sharma. Culture, Civilization, Values and Human Destiny. ResearchGate 2011.
6. https://www.researchgate.net/publication/284388091_Culture_Civilization_Values_and_Human_Destiny

The Impact of Digital Transformation on the Psycho-Social Conditions of Modern Society on the Example of the War in Ukraine

Mamulaidze Tamta
PhD student of Geortian Technical University

Baghaturia Otar
Associate Professor at Geortian Technical University

Summary

Morality has some value in the “West” that can be turned into political troubles or strengths. One of the reasons for the Westphalian Peace in 1648 was the Magdeburg’s catastrophe and its moral cost. In a sense, Western military technology is evolving towards high-precision weapons precisely in order to insure itself against moral losses, which ultimately gives it an advantage on the battlefield.

In modern times, acceleration of technological progress leads rise to fears of Orwellian dystopias that the authorities will be able to usurp power with the help of modern technologies and establish a digital totalitarianism with total control. At the same time, on the contrary, there is also a positive expectation that society will be able to control authorities with the help of modern technologies and thereby establish a digital democracy. According to the internal logic of formational

development, humanity is at the eve of a new (unknown yet) formation (because there is a correlation between technological progress and the evolution of the value system). It is safe to say that a new formation will arise in the conditions of the existing formation crisis, in accordance with new technologies and modern human values. It can be said that psychosocial characteristics are to some extent dependent on technological development, in this respect civilizations and their levels of development can be characterized by technological advances or value systems. For example, we can say that the modern developed West is entering the era of digital humanism..

Keywords: Digital Transformation, Formation, Digital Dictatorship, Digital Democracy, Liberal Democracy, Digital Propaganda, Fake News, Humanism.

ინტელექტუალური საკუთრების დაცვის პრობლემები და განვითარების პერსპექტივები საქართველოში

მაღრაძე მანანა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ყავლაშვილი კახაბერ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ინტელექტუალური საკუთრების უფლება ადამიანის უფლებათა დეკლარაციის მიხედვით, ადამიანის ფუნდამენტურ უფლებად ითვლება და რამდენიმე საუკუნეა, რაც მსოფლიო საზოგადოებამ გააცნობიერა, რომ აქვს უფლება მიიღოს სარგებელი საკუთარი ინტელექტუალური პროდუქტიდან.

ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის ერთ-ერთი მიზანია ხელი შეუწყოს ინოვაციების განვითარებას, რომელიც მზარდი იქნება თუკი გამომგონებელი-შემოქმედი უზრუნველყოფილი იქნება მის მიერ შექმნილი ინტელექტუალური საკუთრების დაცვით, რაც საბოლოოდ აისახება ეკონომიკურ განვითარებაზე, იქმნება ახალი სამუშაო ადგილები, ტექნოლოგიური განვითარებით უმჯობესდება წარმოება და ვიღებთ მეტ კომფორტს, რაც გამოიხატება ყველა სახის პროდუქციის იოლად, ნაკლები ძალისხმევით და დანახარჯებით მიღებაში.

ნაშრომის განხილულია საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის პრობლემები, ციფრული უნარების და შესაძლებლობების გამოყენება ინტელექტუალური საკუთრების დაცვაში, პრობლემების მოსაგვარებელი, აუცილებელი საკითხები, როგორიცაა კანონი, დაცვის საშუალებები, რომლებიც გამოყენებული იქნება ინტელექტუალური საკუთრების დასაცავად.

საკვანძო სიტყვები: ინტელექტუალური საკუთრება, საავტორო უფლებები, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა

შესავალი

ინტელექტუალური საკუთრების დაცვის პრობლემები და განვითარების პერსპექტივები საქართველოში

ინტელექტუალური საკუთრების უფლება ადამიანის უფლებათა დეკლარაციის მიხედვით, ადამიანის ფუნდამენტურ უფლებად ითვლება და რამდენიმე საუკუნეა, რაც მსოფლიო საზოგადოებამ გააცნობიერა, რომ აქვს უფლება მიიღოს სარგებელი საკუთარი ინტელექტუალური პროდუქტიდან.

ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის ერთ-ერთი მიზანია ხელი შეუწყოს ინოვაციების განვითარებას, რომელიც მზარდი იქნება თუკი გამომგონებელი-შემოქმედი უზრუნველყოფილი იქნება მის მიერ შექმნილი ინტელექტუალური საკუთრების დაცვით, რაც საბოლოოდ აისახება ეკონომიკურ განვითარებაზე, იქმნება ახალი სამუშაო ადგილები, უმჯობესდება წარმოება და ვიღებთ მეტ კომფორტს, რაც გამოიხატება ყველა სახის პროდუქციის იოლად, ნაკლები ძალისხმევით და დანახარჯებით მიღებაში.

აშკარაა, რომ ოცდამეერთე საუკუნეს ახასიათებს პროგრესის სწრაფი ტემპი, რაც გამოიხატება სამეცნიერო შესაძლებლობების გაზრდაში, სამეცნიერო მიღწევებში, ინოვაციურ გამოგონებებში და სხვადასხვა სფეროებში განვითარების მაღალი დონით. დღესდღეობით,

მსოფლიო ბაზარზე მწარმოებლებს შორის იმდენად მაღალი კონკურენციაა, რომ ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ინოვაციური პროდუქტების ბაზრისთვის დროულად შეთავაზება, რათა კომპანიებმა გააგრძელონ არსებობა და წინსვლა. აღნიშნულიდან გამომდინარე უმნიშვნელოვანესია ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ეფექტიანი სისტემა, რათა გაგრძელ-დეს ახალი გამოგონებების შექმნა და შენარჩუნებული იქნას მოტივაცია, შესაძლებლობები, მათ შორის ფინანსური სამომავლო ინვესტიციების განხორციელებისთვის, რომელსაც სჭირდება ძვირადღირებული კვლევები და ინტელექტუალური შრომის გაწევა.

ძირითადი ნაწილი

ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად მიმდინარეობს ინტექტუალური საკუთრების უკანონოდ მითვისების, დარღვევით გამოყენების პროცესები, ყველაზე მეტად ინტერნეტ სივრცეში და მომხმარებლისთვისაც კი რთული გასარკვევია დაარღვია თუ არა კანონი, ან როდის და რა სახით გამოიყენა სხვისი საკუთრება.

საქართველოში არსებული ვითარების გათვალისწინებით ცხადია, რომ ერთ-ერთი პრობლემა, რომლის გადაჭრასაც შესაძლოა ყველაზე მეტი დრო დასჭირდეს არის საზოგადოების ცნობიერების დონე აღნიშნულ სფეროში. ერთი საკითხია კანონის აღსრულება და ეფექტური მექანიზმები, მეორე კი საზოგადოების მზადყოფნა ამ ყველაფრისთვის. მზადყოფნაში იგულისხმება სხვადასხვა გარემოებები:

- საზოგადოებამ გააცნობიეროს რამდენად მნიშვნელოვანია ინტელექტუალური საკუთრების დაცვა და დაცვის ხელშეწყობა,
- გააზრება იმისა, რომ თითოეული მოქალაქე ვალდებულია დაიცვას სხვისი საკუთრება, რათა თვითონაც იყოს დაცული და წვლილი შეიტანოს სახელმწიფოს მშენებლობაში, მზად იყოს კანონის აღსრულებისთვის,
- იცოდეს როგორ განასხვაოს, გამოავლინოს კონტრაფაქციული პროდუქცია თუ მოპარული ინტელექტუალური საკუთრება,
- რა არის მისი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა და როლი კონკრეტულ შემთხვევაში, რა ქმედებებია საჭირო იმისთვის, რომ ხელი შეუწყოს კანონის აღსრულებას.

საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონი საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისია, თუმცა კანონის აღსრულება შეფერხებებით მიმდინარეობს. საქართველოში არსებული საავტორო უფლებების დაცვის ასოციაციას ჯარიმების დაკისრების ბერკეტი არ გააჩნია, მსგავსი უფლებების მქონე უწყებები კი საკუთარ მოვალეობას ჯეროვნად ვერ ასრულებენ. შედეგად, საავტორო უფლებების დაცვას ავტორები სასამართლოს გზით ცდილობენ. საავტორო უფლებების დაცვის ასოციაცია უმეტეს შემთხვევაში დამრღვევებთან მოლაპარეკებებით ასრულებენ საკითხს, წინააღმდეგ შემთხვევაში არსებობს ერთადერთი ბერკეტი, სასამართლოში მიმართვა და მისი ძალით კომპენსაციის მოთხოვნა, რაც არ არის ეფექტური მექანიზმი, რადგან სასამართლო გრძელდება თვეების განმავლობაში, ამიტომ უმჯობესია ამოქმედდეს ის სანქციები, რომლებიც დადგენილია კანონის მიხედვით[1].

დღევანდელი კანონმდებლობის და პრაქტიკის ხარვეზად ჯერ ისევ რჩება საავტორო უფლებების დაცვა ინტერნეტსივრცეში. ინტერნეტის ყოველ მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა მოიპოვოს, გაავრცელოს, ცვლილებები შეიტანოს საავტორო უფლებით დაცულ შემოქმედებაში.

ინტერნეტკონტენტი ზედმეტად ხელმისაწვდომი და დაუცველია ისეთი არალეგალური მასალებისგან, როგორიცაა მოპარული პროგრამები, მუსიკა და კინო. დღევანდელი კანონმდებლობით, საავტორო უფლების მქონე სუბიექტი, რომლის უფლებაც დაირღვა ინტერნეტსივრცეში, უფლებამოსილია სასამართლოს გზით იდაოს, მაგალითად, კონკრეტული

ვებგვერდის წინააღმდეგ, რომელმაც გაავრცელა საავტორო უფლების ობიექტი. თუმცა, ეს დავა შეიძლება წლები გაგრძელდეს და ფიზიკურმა პირმა ვერ შეძლოს მიყენებული ზიანის სრულყოფილად ანაზღაურება, არასაკმარისი ფინანსური შესაძლებლობების გამო[2].

საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მიზანმიმართული პოლიტიკა უნდა არსებობდეს, მნიშვნელოვანი ხარვეზია კანონის აღსრულების მექანიზმების მიმართ მიდგომაა-თუ ავტორი არ ან ვერ აპროტესტებს მისი უფლებების დარღვევას, სხვა მხრივ ღონისძიებები არ ტარდება მის დასაცავად. ზოგადად კანონის აღსრულებას ითხოვს ავტორი/შემოქმედი და ხშირ შემთხვევაში თვითონვე ურიგდება დამრღვევს, რაც პირდაპირ დამნაშავესთან გარიგების ტოლფასია, თუმცა ამ შემთხვევაში დამრღვევი არსად ჩანს, როგორც კანონის დამრღვევი, და ეს ყველაფერი იმის გამო, რომ არ გაგვაჩნია სისტემა, რომელიც მათ დაიცავს, ეფექტიანი იქნება და დამატებით პრობლემების, დროის კარგვის, ფინანსური ხარჯის მომტანი იქნება ავტორისთვის დარღვევებზე რეაგირება.

თანამედროვე ეპოქაში უკვე აღარავის უკვირს ციფრული შესაძლებლობები და მათი როლი ყოველდღიურ ცხოვრებაში. რამდენადაც ვითარდება ციფრული სამყარო, იმდენად მეტი მოთხოვნაა საზოგადოების მიმართ, რაც გამოხატება ციფრული უნარების ფლობაში. ერთის მხრივ ძალიან იოლია სხვადასხვა მოწყობილობების ოპერირება, მეორე მხრივ შესაძლოა ურთულესი იყოს, თუკი ადამიანს არ გააჩნია შესაბამისი უნარები, რომლებსაც პერიოდულად სჭირდება განახლება. ახალი ტექნოლოგიები გავლენას ახდენს, როგორც შრომის ბაზარზე ასევე განათლების სისტემაზე და საჭიროებაზე. რაც შეეხება ინოვაციებს და ინტელექტუალური საკუთრების დაცვას, ისინი მჭიდრო კავშირში არიან ერთმანეთთან და ყოველდღიურად განიცდიან წინსვლას ტექნოლოგიური კუთხით.

ციფრული ეკონომიკის და საზოგადოების ინდექსის (DESI) მიხედვით ევროკავშირში ათი მოზრდილი ადამიანიდან ოთხს საბაზისო ციფრული უნარები არა აქვს. გარდა ამისა, ბიზნეს-კომპანიების 70%-ზე მეტი აღნიშნავს, რომ შესაბამისი ციფრული უნარების მქონე პერსონალის ნაკლებობა დაბრკოლებას წარმოადგენს ინვესტიციებისთვის[3].

აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების წინაშე იგივე პრობლემა დგას, ხოლო მოსახლეობის საბაზისო ციფრული უნარების დონე კვლავაც შედარებით დაბალია. მაგალითად, Caucasus Barometer-ის მიერ 2019 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით საქართველოს მოსახლეობის 47%-ს კომპიუტერის საბაზისო ცოდნა არ ჰქონდა. იგივე მდგომარეობაა სომხეთში – 2019 წელს მოსახლეობის 34% არ ფლობდა საბაზისო ციფრულ უნარებს. უკრაინის ციფრული ტრანსფორმაციის სამინისტროს 2019 წლის კვლევის მიხედვით უკრაინის მოსახლეობის 53%-ს ჰქონდა ციფრული უნარების საბაზისოზე დაბალი დონე, ხოლო 15.1%-ს ციფრული უნარები საერთოდ არ გააჩნდა[4].

ზემოაღნიშნული კვლევის შედეგების გათვალისწინებით ერთ-ერთ გამოწვევას ასევე წარმოადგენს ციფრული უნარების ფლობა, რაც გამოიწვევს ინტერნეტსივრცეში ინტელექტუ-ალური საკუთრების დაცვის მხრივ საზოგადოების დაბალ აქტივობას, თუმცა ევროკავშირის სამოქმედო გეგმებს თუ გავითვალისწინებთ 2030 წლამდე აღნიშნული საკითხი მოგვარებადია[5]. ძირითადი მიზანი და აზრი ციფრული ტექნოლოგიების ჩართვის, გამოყენების ინტელექტუა-ლური საკუთრების დაცვაში არის გამჭირვალეობა, დარღვევის დამალვის შესაძლებლობის მინიმუმამდე დაყვანა, ავტორის მიერ დამსახურებული ჰონორარის ზედმეტი ბიუროკრატიის და გართულებების გარეშე მიღება, საზოგადოებისთვის შემოქმედებითი საქმიანობის ხელმისაწვდომობა, დამწყები გამომგონებლების ხელშეწყობა გამარტივებული პროცედურებით და ა.შ. აღნიშნული მიმართულებით წინსვლისთვის აუცილებელია კანონი, აღმასრულებელი ორგანოები და ციფრული ტექნოლოგიების შესაძლებობები მოდიოდეს თანხვედრაში.

სახელმწიფო სექტორში ბლოკჩეინ ტექნოლოგიის გამოყენებასთან დაკავშირებით BDO-ს (აუდიტური და ბიზნეს საკონსულტაციო კომპანია) გლობალური კვლევის მიხედვით გამოიკვეთა, რომ არსებობს „ბლოკჩეინის" რეგულირებისა და ამ მიმართულებით განათლების დიდი საჭიროება და 2020 წელს ჩატარებული კვლევები აჩვენებს, რომ ტექნოლოგია სულ უფრო მისაღები ხდება სახელმწიფო სექტორისთვის. მაგალითად, ესტონეთში ბლოკჩეინი წარმოადგენს პროგრამის e-Estonia საფუძველს, რომელიც აერთიანებს სახელმწიფო სერვისებს ერთი ციფრული პლატფორმის მეშვეობით[6].

დასკვნა

საქართველოში საზოგადოების ინფორმირებულობა ინტელექტუალური საკუთრების დაცვაზე ძალიან დაბალია, შესაბამისად, დაბალია მისი დაცვის ხარისხიც. საზოგადოებისთვის ხშირ შემთხვევაში ისიც კი გაურკვეველი რჩება დაარღვია თუ არა სხვისი უფლებები. დღეისათვის დარღვევების უმეტესობა შეეხება ნებართვის გარეშე ნაწარმოების საჯარო შესრულების აკრძალვას ან სალიცენზიო შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობას. უფრო მეტი ინფორმაციის მიწოდების შედეგად საზოგადოება გაითავისებს, რომ ინტელექტუალური საკუთრების ნებისმიერი გამოყენებისას უნდა დაიცვას ავტორის უფლებები და რომ უფლებების დაცვის გარეშე ინტელექტუალური საკუთრების გამოყენება ქურდობაა. არსებული სასამართლო პრაქტიკა კიდევ ერთ ბარიერს წარმოადგენს საავტორო უფლებების დაცვის თვალსაზრისით. სასამართლო მოკლებულია საავტორო უფლებების დაცვის სფეროში მდიდარ პრაქტიკას. აღსანიშნავია აგრეთვე ციფრული უნარები და ციფრული ინოვაციების პერსპექტივები ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის სისტემაში, რაც სამომავლოდ ხელს შეუწყობს კანონის აღსრულებას და ავტორის სათანადოდ დაფასებას. ციფრული ტექნოლოგიების როლი ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში ყოველდღიურად იზრდება, რასაც ადასტურებს უცხო ქვეყნების მაგალითი აღნიშნული მიმართულებით. დღესდღეობით ყველაზე მეტად გამოყენებადია ინტერნეტი და მისი საშუალებით მიღებული ინფორმაცია, შესაბამისად დარღვევებიც ამ სივრცეში ჭარბობს და მნიშვნელოვანია ციფრული ინოვაციების როლი ინტელექტუალური საკუთრების დაცვაში. არსებობს სხვადასხვა ტექნოლოგიური საშუალებები, თუმცა მხოლოდ ინსტრუმენტები არ არის საკმარის პრობლემების მოსაგვარებლად, აუცილებელია შესაბამისი კანონი, აღმასრულებელი ორგანოები და საშუალებები, რომლებიც გამოყენებული იქნება შემოქმედის დასაცავად.

ლიტერატურა

1. საავტორო უფლებების დაცვა საქართველოში, 2019, https://blh.com.ge/საავტორო-უფლებები/
2. ბეგიაშვილი მ., ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სფეროს ანალიზი, თბილისი., 2018., გვ. 34.;
3. Digital Skills for all Europeans — Brochure 2021, https://digital-strategy.ec.europa.eu/en/library/digital-skills-all-europeans-brochure;
4. Digital Literacy in times of the COVID-19 in the Eastern Partnership Countries 2021, page 18. https://eap-csf.eu/wp-content/uploads/Digital-Literacy-in-times-of-the-Covid-19-in-the-Eastern-Partnership-Countries.pdf;
5. ციფრულ უნარებში არსებული ხარვეზების გამოსწორება ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონისთვის. https://eufordigital.eu/geo/tackling-the-digital-skills-gap-a-key-priority-for-the-eu-and-the-eastern-partnership/;

6. Blockchain in the Public Sector, 2020. https://www.bdo.global/en-gb/insights/global-industries/public-sector/blockchain-in-the-public-sector.

Problems of intellectual property protection in Georgia and development prospects

Maghradze Manana
Professor at Georgian Technical University,

Kavlashvili Kakhaber
PhD student at Geortian Technical University

Summary

Intellectual property rights are considered a fundamental human right under the Universal Declaration of Human Rights, and it has been several centuries since the world community realized that it has the right to benefit from its own intellectual product.

One of the goals of intellectual property rights is to promote innovation, which will grow if the inventor-creator is protected by the intellectual property he creates, which ultimately affects economic development, new jobs are created, technological development improves production and we get more comfort manifested in getting all kinds of products easily, with less effort and expense.

The paper discusses the problems of protection of intellectual property rights in Georgia, the use of digital skills and capabilities in the protection of intellectual property, to solve problems, necessary issues such as law, remedies that will be used to protect intellectual property.

Keywords: Intellectual property, Copyright, Protection of intellectual property

ანგარიშვალდებულება და „ლეგიტიმურობის მუდმივობა“

მდივანი მუხრან
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

სახელმწიფო მმართველობის საპარლამენტო მოდელზე გადასვლასთან ერთად დღის წესრიგში დადგა მმართველობის საპარლამენტო ინსტიტუტებისა და მექან-იზმების თეორიული საფუძვლებისა და პრაქტიკული ფუნქციონირების, მათ შორის, მმართველობის ხარისხის შესწავლის, გაანალიზებისა და განვითარების საკითხი.

სტატიაში ყურადღება გამახვილებულია მმართველობის პროცესში უკუკავშირზე, როგორც მმართველობის ხარისხის მსაზღვრელზე; გაანალიზებულია და ხაზგასმულია წარმომადგენლობით დემოკრატიაში ანგარიშვალდებულებისა და უკუკავშირის მმართველობითი მექანიზმებით „ლეგიტიმურობის მუდმივობის“ უზრუნველყოფის მნიშვნელობა; წარმოდგენილია შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები;

საკვანძო სიტყვები: პარლამენტი, კარგი მმართველობა, უკუკავშირი, ლეგიტიმურობა, ანგარიშვალდებულება.

შესავალი

ანგარიშგებისა და უკუკავშირის მმართველობითი მექანიზმები

ყველა ეპოქაში, საზოგადოების დომინირებული ფენების ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას საკუთარი იერარქიულობის შენარჩუნება და განმტკიცება წარმოადგენდა. ალბათ ამიტომაცაა, რომ პოლიტიკის ერთ-ერთი განმარტების მიხედვით, ეს არის ხელისუფლების მოსაპოვებლად, შესანარჩუნებლად და განსახორციელებლად მიმართული ქმედება. ამასთანავე, წარმომადგენ-ლობითი დემოკრატია საზოგადოებას განუმტკიცებს რწმენას, რომ სახელმწიფო მმართველობა ხალხის ხელშია; არჩევნები აჩვენებს ხალხს, რომ იგია ხელისუფლების წყარო. მაგრამ როგორ უნდა შეივსოს ის ვაკუუმი, რომელიც არჩევნებიდან არჩევნებამდე ჩნდება. გარდა არჩევნებისა, ამომრჩეველს თითქმის არ აქვს საშუალება ჩაიბაროს პოლიტიკური ანგარიში. წარმომადგენ-ლობითი მმართველობის მიმართ ზემოაღნიშნული თვალსაზრისით „უნდობლობის“ მომენტი 1921 წლის საქართველოში საკონსტიტუციო დებატების დროსაც გამოიკვეთა. მიაჩნდათ, რომ „არჩევნების დროს ხალხი მხოლოდ ერთხელ ხდება ძალაუფლების განმახორციელებელი; როცა იგი აირჩევს თავის წარმომადგენლებს, მაშინ ეს უკანასკნელნი მხოლოდ თავიანთი სურვილების შესაბამისად მოქმედებენ და ივიწყებენ ხალხის ნებას“. [1; 49] ვფიქრობთ, ეს საკითხი დღემდე გამოწვევად რჩება.

ძირითადი ნაწილი

მნიშვნელოვანია მმართველობის ობიქტი იყოს სათანადოდ ინფორმირებული მმართვე-ლობითი პროცესის შინაარსის შესახებ. „ადამიანებმა ყოველდღიურ ცხოვრებაში უნდა იგრძნონ მათი ბედით დაინტერესება,..“. [2; 8] ამომრჩეველი უნდა გრძნობდეს, რომ ხელისუფლების ყურადღება მხოლოდ მიმდინარე საარჩევნო კამპანიას არ უკავშირდება და რომ მისი აზრი ხელისუფლებისთვის მნიშვნელოვანია. კვლევის „წინასაარჩევნო დაპირებები“ [3; 119] შედეგების შესაბამისად გამოკითხული მოსახლეობის მხოლოდ 7% მიიჩნევს, რომ მმართველი პარტია ასრუ-ლებს თავის დაპირებებს; ხოლო კვლევის „ხელისუფლების დამოკიდებულება საზოგადოებივი აზრის მიმართ“ შედეგების მიხედვით გამოკითხული მოსახლეობის 12%-ს მიაჩნია, რომ

საქართველოს ხელისუფლებისთვის მნიშვნელოვანია მისი მოქალაქეების აზრი.

წარმომადგენლობით დემოკრატიაში ერთგვარი „ლეგიტიმურობის მუდმივობის“ უზრუნველყოფა უშუალო დემოკრატიის სხვადსხვა ფორმასთან ერთად შესაძლებელია ანგარიშვალდებულებისა და უკუკავშირის მმართველობითი მექნიზმებით. „ეფექტური და ფუნქციონირებადი ადმინისტრაციული სტრუქტ-ურების არსებობა, პირველ რიგში, გულისხმობს მათ ანგარიშვალდებულებას ხალხის წინაშე. მხოლოდ ასეთი ანგარიშვალდებულების პირობებში შეიძლება მოიხსნას ხელისუფლებისადმი მხარდაჭერის პრობლემა და მიღწეულ იქნეს მოდერნიზაციის სხვა მიზანი – ინსტიტუციონალური სტაბილურობა“. [4; 33] აღნიშნულ თემაზე თანამედროვე მეცნიერულ შრომებს შორის, აგრეთვე, უნდა აღინიშნოს შ.დოღონაძისა და ო.ბაღათურიას მონოგრაფია ,,სახელმწიფო მართვის თანამედროვე პრობლემები“, რომელიც დამყარებულია ავტორთა ორიგინალურ კვლევებზე და მოიცავს სახელმწიფო მართვის პროცესის დაგეგმვისა და რეალიზაციის ძირითად ცნებებს, ამოცანებსა და მეთოდოლოგიურ საფუძვლებს. ნაშრომში, მართვის პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების თანამედროვე პრობლემებს შორის ყურადღება გამახვილებულია უკუკავშირზე, როგორც ეფექტიანი მართვის მთავარ შემადგენელ ელემენტზე. [2; 207] მათი აზრით, თუ უკუკავშირი არ არსებობს ასეთი სისტემა შესაძლოა კონტროლიდან გამოვიდეს და უმართავი გახდეს. [2; 18] უკუკავშირის მნიშვნელობაზე გამახვილებულია ყურადღება აგრეთვე გ.ბაღათურიასა და ო.ბაღათურიას ნაშრომში

„სტრატეგიული დაგეგმვა. მეთოდოლოგიური საფუძვლები“; სახელმწიფო მართვის კიბერნეტიკულ მოდელში შემოთავაზებული ალგორითმით გადაწყვეტილების საბოლოო რეალიზაცია მხოლოდ მას შემდეგ არის მიზანშეწონილი, როდესაც უკუკავშირით მიღებული შედეგი გვაჩვენებს, რომ დასახული ან კორექტირებული მიზანი მიღწევადია. გადაწყვეტილების საბოლოო რეალიზაციის შემდეგ გრძელდება მუდმივი მონიტორინგი და გადაწყვეტილებათა შესაძლო კორექტირება. [5; 12]

„ლეგიტიმურობის მუდმივობის“, ანგარიშვალდებულებისა და უკუკავშირის მიმართება სხვადასხვა ცვლადიან განტოლებად უნდა წარმოვიდგინოთ, რომლის პარამეტრები სხვადასხვა მახასიათებელზე და გარემოებაზეა დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, აქტუალურია და განსაკუთრებული თეორიული/პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს პარლამენტის კონსტიტუციური პრეროგატივის განხორციელებით სახელმწიფო მმართველობისთვის შესაბამისი შედეგების დადგომის კანონზომიერების მიგნებას. ამასთანავე, კვლევის მიზანია საჯარო მმართველობის ხარისხის თვალსაზრისით საუკეთესო პრაქტიკის იდენტიფიცირება და შესაბამისი რეკომენდაციების განსაზღვრა.

მთავარი კითხვა, რასაც განსახილველ თემაზე ჩვენს მიერ აქამდე განხორციელებული პირველადი, აღწერითი და ანალიტიკური კვლევების ფარგლებში გაეცა პასუხი, იყო - რამდენად შეესაბამება არსებული კონსტიტუციურ-სამართლებრივი მექანიზმები ანგარიშვალდებულებასა და უკუკავშირზე დაფუძნებული ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფას; აღნიშნული მიმართულებებით გამოვლენილია ახალი პრობლემები, ფაქტები; დადგენილია ახალი კანონზომიერებები, მიზეზ-შედეგობრივი კავშირები/კორელაციები. მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით, აგრეთვე, ემპირიული დაკვირვებისა და მეცნიერული მსჯელობის საფუძველზე ჩამოყალიბდა რეკომენდაციები; მათ შორის:

- მიზანშეწონილია პარლამენტის მიერ მიღებული ნორმატიული აქტების აღსრულების მდგომარეობასა და პარლამენტის ნორმატიული აქტების გარდამავალი დებულებებით განსაზღვრული დავალებების შესრულების მდგომარეობაზე კონტროლისა დარეაგირების ცხადი, ეფექტიანი მექანიზმის განსაზღვრა;

- მიზანშეწონილია არსებობდეს ქმედითი მექანიზმი, რომელიც მოახდენს სავარაუდო

არაკონსტიტუციური საკანონმდებლო აქტის მიღების პრევენციას;

- მიზანშეწონილია არსებობდეს ცხადი პასუხისმგებლობის/გაკიცხვის პროცედურა საპარლამენტო კონტროლის მექანიზმით განსაზღვრული ვალდებულების დარღვევაზე;

- მიზანშეწონილია არსებობდეს პოლიტიკურ-მმართველობითი მექანიზმი, რომელიც განსაზღვრავს საპარლამენტო უმრავლესობის მოტივს - განახორციელოს ეფექტიანი საპარლამენტო კონტროლი;

- საჭიროა მმართველობის ხარისხზე გავლენის მქონე თანამედროვე მექანიზმის შემუშავება და დასაბუთება.

იმის გათვალისწინებით, რომ უკვე აღარაა საკმარისი ძალაუფლების გაუმართლებელი კონცენტრაციის გამორიცხვა, არამედ ასევე აუცილებელია „კარგი მმართველობის“ ღირებულებების რეალიზება, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შეიქმნას ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაფუძნებული თვითკონტროლირებადი ნორმატიული მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობს დაბალანსებული და ეფექტიანი ხელისუფლების ტრადიციად ქცევას. საჭიროა მოინახოს ეფექტიანი ბალანსი „ლეგიტიმურობის მუდმივობისა“ და „უსაფრთხოების“ პრინციპებს შორის, ასევე ხელისუფლების წყაროსა და ხელისუფლებას შორის. აღნიშნული მიზნის მისაღწევად საჭიროა სათანადო პოლიტიკური/მმართველობითი საფუძვლების შემუშავება და დასაბუთება. „პარლამენტის წევრები სამისდღეშიოდ რომ ირჩეოდნენ და რომ არ შეიძლებოდეს ამომრჩეველთა მიერ მათი რამენაირი კონტროლი, ისინი სრულიად დამოუკიდებელნი გახდებოდნენ და მათი ხელისუფლება თითქმის აბსოლუტური იქნებოდა. რაც უფრო დემოკრატიულადაა განწყობილი ამომრჩეველი და რაც უფრო მეტი ანგარიში ეწევა მას, მით უფრო მძლავრი უნდა იყოს პალამენტის ხელისუფლების შეზღუდვის შინაგანი მექანიზმი. ამ გაგებით, საპარლამენტო არჩევნები ემსახურება არა მარტო და არა იმდენად ხალხის ნების გამოხატვას, რამდენადაც საზოგადოებრივი კონტროლისა და კავშირების შენარჩუნებას. რაც უფრო ნაკლებადაა იგი მისი ხელისუფლების სხვა განშტოებით გაწონასწორებული, მით უფრო მცირე ვადით უნდა ირჩეოდნენ პარლამენტის წევრები“. [6; 155]

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით განისაზღვრა მმართველობის ძირეული ღირებულებების რეალიზებისა და ლეგიტიმურობის მუდმივობის გაუმჯობესების მექანიზმები, რომლებმაც თავის მხრივ უნდა გააუმჯობესოს „კარგი მმართველობის“ ინდიკატორების მაჩვენებლები. [7; 3]

ერთ-ერთი მთავარი დაშვება, რომელიც საპროგნოზო კვლევით გადამოწმდა შემდეგია: თუ გავაკეთებთ დაშვებას, რომ არსებობს სამართლებრივად გამართული მექანიზმი, რომლის მიხედვითაც, საპარლამენტო უმრავლესობის მიერ წინასაარჩევნოდ აღებული პროგრამული ვალდებულების წინასწარვე დაფიქსირებულ თარიღამდე (მაგალითად: 1 წელში; 2 წელში) არ/ვერ შესრულების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება პარლამენტის უფლებამოსილება ვადაზე ადრე შეწყდეს და დაინიშნოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, მაშინ ამგვარი მექანიზმის არსებობა ხელს შეუწყობს/გამოიწვევს სხვადასხვა მაჩვენებლისა და პროცესის გაუმჯობესებას.

გარდა ამისა, მოვლენათა შემდგომი განვითარების შესახებ წარმოვადგინეთ და საპროგნოზო კვლევის მეთოდით შევამოწმეთ რეკომენდაციებიდან გამომდინარე სხვა

ვარაუდები. აღნიშნული დაშვებისა და ვარაუდების შესამოწმებლად და მოვლენათა შემდგომი განვითარების წარმოსაჩენად, ექსპერტული პროგნოზირების მეთოდით განხორციელდა სპეციალური რესპონდენტების ჯგუფების გამოკითხვა (40 კითხვა), რომლებიც თავიანთი პროფესიული საქმიანობისა და გამოცდილების გამო საკვლევ თემასთან დაკავშირებით მნიშვნელოვან ინფორმაციას ფლობენ. განისაზღვრა 3 ფოკუს-ჯგუფი, კერძოდ: პირველ ჯგუფი - საქართველოს პარლამენტის აპარატის ექსპერტიზის განყოფილების სპეციალისტები; მეორე

ჯგუფი - საქართველოს პარლამენტის სხვადასხვა დარგობრივი კომიტეტის აპარატის გამოცდილი თანამდებობის პირი/სახელმწიფო მოსამსახურე; მესამე ჯგუფი - კონსტიტუციური სამართლისა და საჯარო მმართველობის დარგის ექსპერტები.

ექსპერტული გამოკითხვით მეღებული კრებსითი შედეგების მიხედვით ექსპერტთა:

- 100% მიიჩნევს, რომ სტაბილურობა და მდგრადი განვითარება დამოკიდებულია (80%) ან ნაწილობრივ (20%) დამოკიდებულია „კარგი მმართველობის“ ღირებულებების რეალიზების ხარისხზე;

- 80% მიიჩნევს, რომ სტაბილურობა და მდგრადი განვითარება დამოკიდებულია (20%) ან ნაწილობრივ (60%) დამოკიდებულია კონკრეტულ მმართველობის ფორმაზე;

- 100% ეთანხმება, რომ პარლამენტის კონსტიტუციური პრეროგატივის ყველა კომპონენტის შესაბამისი პროცედურის სრულად და დროულად განხორციელების

ხარისხი განსაზღვრავს მთლიანად სახელმწიფო მმართველობის ხარისხს;

- 74% ეთანხმება, რომ მიზანშეწონილია არსებობდეს ქმედითი მექანიზმი, რომელიც მოახდენს სავარაუდო (მაღალი ალბათობით) არაკონსტიტუციური საკანონმდებლო აქტის მიღების პრევენციას;

- 100% ეთანხმება, რომ ამა თუ იმ საკანონმდებლო აქტის არადროული ან/და არასრული იმპლემენტაცია უარყოფით გავლენას ახდენს მართლწესრიგზე, სამოქალაქო წესრიგზე

ან/და სტაბილურობაზე;

- 100% ეთანხმება, რომ ამა თუ იმ საკანონმდებლო აქტის სრულად ამოქმედება და აღსრულების ეფექტური კონტროლი აუმჯობესებს ეფექტიანობის, კორუფციის კონტროლისა და კანონის უზენაესობის ხარისხის მაჩვენებლებს;

- 100% ეთანხმება, რომ სახელმწიფოს ეფექტიანი მართვის, კანონმდებლობის, კორუფციის კონტროლისა და კანონის უზენაესობის ხარისხის პარამეტრები ერთმანეთს განაპირობებენ;

- 94% ეთანხმება, რომ მიზანშეწონილია არსებობდეს ისეთი პოლიტიკურ-

მმართველობითი მექანიზმი, რომელიც გაზრდის საპარლამენტო უმრავლესობისა და ოპოზიციის მოტივს - განახორციელოს უფრო ეფექტიანი საპარლამენტო კონტროლი.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი დაშვებით შემოთავაზებული მექანიზმის სხვადასხვა პროცესებზე და მაჩვენებლებზე შესაძლო გავლენის შესახებ მივიღეთ შემდეგი შედეგები:

მოსაზრებას, რომ ამგვარი მექანიზმის არსებობა ხელს შეუწყობს/გამოიწვევს:

- პოლიტიკური კრიზისების თავიდან აცილებას - ეთანხმება ექსპერტთა 60%;

- ხელისუფლების ანგარიშვალდებულებისა და უკუკავშირის ხარისხის გაუმჯობესებას - ეთანხმება ექსპერტთა 67%;

- პოლიტიკური დღის წესრიგის შეცვლას - ეთანხმება ექსპერტთა 80%;

- საჭიროების შემთხვევაში პოლიტიკის ოპერატიულად კორექციას - ეთანხმება ექსპერტთა 73%;

- ე.წ. „ლეგიტიმურობის მუდმივობის“ გაუმჯობესებას - ეთანხმება ექსპერტთა 60%;

- არაკონსტიტუციური, ძალადობრივ გზით ხელისუფლების შეცვლის პრევენციას - ეთანხმება ექსპერტთა 60%;

- ამომრჩეველთა ჩართულობას- ეთანხმება ექსპერტთა 67%;

- ხარისხობრივად უკეთეს წარმომადგენლობას - ეთანხმება ექსპერტთა 67%;

-საპარლამენტო უმრავლესობის მოტივაციას - განახორციელოს უფრო ეფექტიანი საპარლამენტო კონტროლი - ეთანხმება ექსპერტთა 60%;

- საპარლამენტო ოპოზიციის მოტივაციას - განახორციელოს უფრო ეფექტიანი

საპარლამენტო კონტროლი - ეთანხმება ექსპერტთა 60%;

- საკანონმდებლო აქტების (რეფორმების) დროულ და სრულ იმპლემენტაციას - ეთანხმება ექსპერტთა 67%;

- სავარაუდო არაკონსტიტუციური სამართლებრივი აქტის მიღების პრევენციას - ეთანხმება ექსპერტთა 40%;

- კანონის უზენაესობის ხარისხის მაჩვენებლის გაუმჯობესებას - ეთანხმება ექსპერტთა 53%;

- კორუფციის კონტროლის ხარისხის მაჩვენებლის გაუმჯობესებას - ეთანხმება ექსპერტთა 60%;

- ხელისუფლების ეფექტიანობის ხარისხის მაჩვენებლის გაუმჯობესებას - ეთანხმება ექსპერტებთა 67%;

- სამართლებრივი სახელმწიფოსა და „კარგი მმართველობის" („good governance") ფუნდამენტური ფასეულობების/ძირეული ღირებულებების ხარისხის მაჩვენებლების გაუმჯობესებას - ეთანხმება ექსპერტთა 67%;

დასკვნა

ჩატარებული კვლევის შედეგებმა დაადასტურა პირველადი ვარაუდი უკუკავშირის სქემაში ასახული პარლამენტის კონსტიტუციური პროგატივის ყველა კომპონენტის შესაბამისი პროცედურის სრულად და დროულად განხორციელებასა და მმართვე-ლობის ხარისხს შორის კაუზალობის შესახებ. გარდა ამისა, დადასტურდა საპროგნოზო კვლევის ფარგლებში წარმოდგენილი დაშვება და ვარაუდები.

კვლევის შედეგად მიღებულ მეცნიერულ შედეგებს, შესაბამის პრაქტიკულ რეკომენ-დაციებს, ამოცანათა გადაჭრის ინოვაციურ მექანიზმებს ექნება როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მნიშვნელობა დარგის განვითრებისთვის. წარმოდგენილი მექანიზმების საკანონმდებლო იმპლემენტაციის შემთხვევაში გაუმჯობესდება საჯარო მმართველობის ხარისხის ინდიკატორების მაჩვენებლები.

ლიტერატურა

1. ბექა ქანთარიას სადისერტაციო ნაშრომი; „მმართველობის ფორმის დასავლური სისტემების გავლენა საქართველოს პირველ კონსტიტუციაზე", 2012, 297 გვ.
2. დოღონაძე შ., ბაღათურია ო., სახელმწიფო მართვის თანამედროვე პრობლემები, თბილისი, „ცის ნამი", 2009, გვ. 143.
3. ნათია გოცაძის სადისერტაციო ნაშრომი; „საზოგადოებასთან ურთიერთობის როლი თანამედროვე საქართველოს საჯარო მმართველობაში", 2015, 158 გვ.
4. ხუბუა გ., ყალიჩავა კ., ადმინისტრაციული მეცნიერების სახელმძღვანელო, თსუ ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამოცემები, ტომი IV, გამომცემლობა: პეტიტი, თბილისი 2018, 484 გვ.
5. ბაღათურია გ., ბაღათურია ო., სტრატეგიული დაგეგმვა სახელმწიფო მართვისა და ბიზნესის ამოცანებში, 2009, 275 გვ.
6. შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, თბილისი, 2003, 382 გვ.
7. Kaufmann D., Kraay A., Mastruzzi M. The Worldwide Governance Indicators Methodology andAnalytical Issues. The World Bank Development Research Group Macroeconomics and Growth Team.Policy Research Working Paper № 5430. 2010, p 3.

Accountability and “Permanence of legitimacy”

Mdivani Mukhran
PhD student at Georgian Technical University

Summary

Due to the transition to the parliamentary model, the issue of studying, analyzing and developing the relevant parliamentary institutions and mechanisms of governance, including the quality of governance, has been put on the agenda.

The article focuses on the feedback in the management process as a determining factor in the quality of management; The importance of ensuring "permanence of legitimacy" through accountability and governance feedback mechanisms in representative democracies is analyzed and emphasized; Relevant conclusions and recommendations are presented.

Keywords: parliament, good governance, feedback, legitimacy, accountability.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს გლობალური გამოწვევები

მოსიაშვილი ვალერი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი

ბიბილური ანი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

აბსტრაქტი

13. Joint Chiefs of Staff. (2015, February 15). "Charter of the Joint Requirements Oversight Council,"
14. Chairman of the Joint Chief of Staff Instruction (CJCSI) 5123.01G Washington, DC: The Pentagon: GL-7
15. https://www.mccdc.marines.mil/Portals/172/Docs/MCCDC/FDSP/FDS%20References/CJCSI%205123.01G.pdf?ver=2018-05-01-115226-067
16. Joint Publication 1. (2013). Doctrine for the Armed Forces of the United States. https://www.jcs.mil/Portals/36/Documents/Doctrine/pubs/jp1_ch1.pdf?ver=2019-02-11-174350-967
17. Mazarr, M.J., Best, K.L., Laird, B., Larson, E.V., Linick, M.E., and Madden, D. (2019). The U.S.
18. Department of Defense's Planning Process Components and Challenges. *Published by the RAND Corporation*, Santa Monica, Calif.
19. https://www.rand.org/content/dam/rand/pubs/research_reports/RR2100/RR2173z2/RAND_RR2173z2.pdf
20. NATO Standardization Office (NSO). (2019). NATO Glossary of Terms and Definitions. https://www.coemed.org/files/stanags/05_AAP/AAP-06_2019_EF.pdf
21. Omitoogun, W., Hutchful, E., & Stockholm International Peace Research Institute. (2006).
22. *Budgeting for the military sector in Africa: The process and mechanisms of control.* Oxford: Oxford University Press.
23. https://www.sipri.org/sites/default/files/2018-10/sipri06omitoogun.pdf
24. Pentagon. (2019). AF/A5R Requirements Development Guidebook https://daytonaero.com/wp-content/uploads/AF-A5R_Requirements_Development_Guidebook_Vol-1_Guidelines_5-Dec-19.pdf
25. Rempel, M. (2010). An Overview of the Canadian Forces' Second Generation Capability-Based

26. Planning Analytical Process. DRDC CORA TM 2010 198, Ottawa, Ontario, Canada: Defense R&D Canada, Centre for Operational Research and Analysis, Strategic Planning Operational Research Team

27. https://www.researchgate.net/publication/235073958_An_Overview_of_the_Canadian_Forces%27_Second_Generation_Capability-Based_Planning_Analytical_Process

28. Smith, R., & Fontanel, J. (2008). International security, defense economics and the powers ofnations. *Jacques Fontanel; Manas Chatterji. War, Peace and Security, Emerald, pp.37-51 Contributions to conflict management, peace economics and development* https://hal.univ-grenoble-alpes.fr/hal-02091131/document Strategic Defense Review (SDR) 2021-2025. (2021).

29. https://mod.gov.ge/uploads/2021/november/Strategic_Defence_Review_2021-2025.pdf

30. Taliaferro, A. C., Gonzalez, L. M., Tillman, M., Ghosh, P., Clarke, P., & Hinkle, W. (2019).

31. *Defense Governance and Management: Improving the Defense Management Capabilities of Foreign Defense Institutions. A Guide to Capability-Based Planning (CBP).* IDA https://www.ida.org//media/feature/publications/d/de/defense-governance-and-management--improving-the-defense-management-capabilities/d-10369.ashx

32. Tellis, A. J., Bially, J., Layne, C., McPherson, M., & Sollinger, J. M. (2000). *Measuring NationalPower in the Postindustrial Age, Analyst's Handbook*. RAND Corporation. https://www.rand.org/pubs/monograph_reports/MR1110.html

თავდაცვის სექტორში ეფექტიანობის გაზომვის საკითხები გლობალური უსაფრთხოების გამოწვევების ფონზე

ოქრომჭედლიშვილი ივანე
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

დღევანდელ მსოფლიოში, გლობალური გამოწვევების ფართო სპექტრთან ერთად, აქტუალურ საკითხს წარმოადგენს სამხედრო კონფლიქტების წარმოქმნის შესაძლებლობა, რაც საფრთხეს უქმნის სახელმწიფოთა უსაფრთხოებას, განსაკუთრებით ისეთი ქვეყნების, რომელთაც არ გააჩნიათ მნიშვნელოვანი სამხედრო პოტენციალი ან არ არიან ძლიერი სამხედრო ალიანსების წევრები. მოსალოდნელი სამხედრო კონფლიქტებისადმი მდგრადობის გაზრდის გზა გულისხმობს ეროვნული ძლიერების სამხედრო კომპონენტის ეფექტიანობისა (efficiency) და შედეგიანობის (effectiveness) ამაღლებას არსებული რესურსული შეზღუდვების ფარგლებში. მოცულობითი თავდაცვის ბიუჯეტი არ იძლევა უსაფრთხოების გარანტიას. მთავარი საკითხია, რამდენად ეფექტიანად და შედეგიანად იხარჯება თანხები თავდაცვაზე. წარმატების კრიტერიუმების განსაზღვრისა და პროცესებზე დაკვირვების გარეშე, შეუძლებელია იმის ცოდნა, თუ რამდენად წარმატებით მუშაობს თავდაცვის სექტორი. მხოლოდ მკაფიოდ განსაზღვრული მთავარი შუალედური და საბოლოო შედეგებისა (main outputs and outcomes) და კარგად ჩამოყალიბებული წარმატების ინდიკატორების საშუალებით არის შესაძლებელი პროგრესის რაოდენობრივი შეფასება და პროცესის კორექტირება სასურველი შედეგებისა მისაღებად. წინამდებარე ნაშრომი გთავაზობთ და განიხილავს თავდაცვის სექტორის წარმოების მოდელს და შეაქვს წვლილი თავდაცვის სამინისტროს მთავარი შუალედური და საბოლოო შედეგების განსაზღვრის საკითხის გარკვევაში.

საკვანძო სიტყვები: ძალები, სამხედრო შესაძლებლობები, შედეგი, ეფექტურობა

საქართველოს როლი საერთაშორისო პოლიტიკური კრიზისის გადაწყვეტაში

პაპოშვილი მადლენ
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

გლობალურ პოლიტიკურ ველზე მოქმედი დიდი სახელმწიფო აქტორების უთანხმოება სულ უფრო და უფრო სცილდება ზღვარს. მესამე მსოფლიო ომი, რომელიც დღევანდელი ტექნოლოგიური განვითარების ფარგლებში დედამიწის მოსახლეობის უმეტესობის სრულ განადგურებას გამოიწვევს, დამოკლეს მახვილივით ჰკიდია ჰაერში და დიდი სახელმწიფოების მესვეურების ერთ არასწორ ნაბიჯს ელოდება, რომ ბირთვული ომი ჰიპოტეთურიდან რეალურ განზომილებაში გადმოიტანოს.

ასეთ სიტუაციაში ჩნდება შეკითხვა: არის კი ომის გამომწვევი მიზეზების თავიდან არიდება შესაძლებელი? როგორ უნდა მოხერხდეს ასეთი განსხვავებული პრინციპების და ღირებულებების მქონე სახელმწიფოების ურთიერთშეთანხმება და მათ შორის პარიტეტის დამყარება?

საქართველო უძველესი კულტურული და ისტორიული წარსულის მქონე ქვეყანაა. რა ოპტიმალური ფუნქცია აკისრია ქართველ ერის კაცობრიობის განვითარების საქმეში და შეუძლია თუ არა საქართველოს შეიტანოს თავისი წვლილი გლობალური საერთაშორისო პრობლემების მოგვარებაში?

ახალი პარადიგმა, რომელსაც კვანტური რელატივისტური ნოოლოგია ეყრდნობა, ზემოთ წამოჭრილი საკითხების ახლებურად დანახვას და გადაჭრას გვთავაზობს.

საკვანძოსიტყვები: გლობალური პოლიტიკური კრიზისი; საქართველოს როლი საერთაშორისო ურთიერთობებში; კვანტური რელატივისტური ნოოლოგია; ახალი პარადიგმა.

შესავალი

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების კრიზისის ანალიზი

შეიძლება ითქვას, რომ დღეს საერთაშორისო ურთიერთობები ჩიხშია შესული. მიმდინარე, აქამდე არნახულად დაძაბული გლობალური ურთიერთობები უაღრესად კრიზისულ დაღმასვლას განიცდის. რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ არსებული სტატუს-კვოს დარღვევა დაწყებულია და მალე სერიოზული გეოპოლიტიკური ცვლილებებია მოსალოდნელი. ამასთანავე, ისეთი გლობალური პოლიტიკური სუბიექტები, როგორებიც არიან ჩინეთი და ინდოეთი, მაქსიმალურად ცდილობენ ნეიტრალიტეტი შეინარჩუნონ, თუმცა ამ ქვეყნების ოფიციალური წარმომადგენლების მრავალი კომენტარი, შეფასება თუ ოფიციალური პოზიციის გაჟღერება, საკმაოდ ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ ჩინეთიც და ინდოეთიც უფრო მეტად რუსეთის მხარეს იხრებიან, ვიდრე კოლექტიური დასავლეთის.

ძალთა ზემოხსენებული გადანაწილება და აზიის უდიდესი სახელმწიფოების მიერ რუსეთის პოზიციებისათვის შეფარულად გამოხატული, მაგრამ მაინც მხარდაჭერა, ორ მნიშვნელოვან საკითხზე დაფიქრებისკენ გვიბიძგებს:

1. რა ბედი ელის საქართველოს უახლოეს მომავალში?

2. არის თუ არა რუსეთის ფედერაციის მიერ გაჟღერებული მოთხოვნები ლეგიტიმური? ექმნება თუ არა რუსეთს (ან თუნდაც ჩინეთს) უსაფრთხოების პრობლემები და აქედან გამომდინარე, აქვს თუ არა მას უფლება, მოითხოვოს უსაფრთხოების გარანტიები? საკითხი მაქსიმალურად რომ გავამარტივოთ, შეკითხვა დაისმის შემდეგნაირად: აქვთ თუ არა რუს და ჩინელ ერებს ისეთნაირად არსებობის უფლება, როგორსაც ისინი თავისთვის მიზანშეწონილად მიიჩნევენ?

იმისათვის, რომ ამ კითხვებს პასუხი გავცეთ, პირველ რიგში, აუცილებელია ვიცოდეთ, რა ფენომენია ერი და რა ტიპის ერებით არის წარმოდგენილი მსოფლიოს ძირითადი გლობალური პოლიტიკური სუბიექტები, ანუ წამყვანი სახელმწიფოები. თუ ეს შესაძლებელია, ასეთი საკითხების გასარკვევად საჭიროა დავეყრდნოთ შესაბამის მეცნიერულ თეორიულ ცოდნას.

ძირითადი ნაწილი

ქართული სამეცნიერო სკოლის თანამედროვე მიღწევები სოციალურ მეცნიერებებში, კონკრეტულად კი ემზარ ხვიჩიას კვანტური რელატივისტური ნოოლოგია (შემდგომში, ნოოლოგია), გვაძლევს ისეთი საკამათო ტერმინების მეცნიერულ განმარტებებს, როგორიცაა: პიროვნება, ერი და ცივილიზაცია. შესაბამისად, წინამდებარე ნაშრომში ამ ტერმინებს (პიროვნება, ერი და ცივილიზაცია) გამოვიყენებთ იმ მნიშვნელობებით, რომელსაც ემზარ ხვიჩია გვთავაზობს ნოოლოგიის მიხედვით.

აქვე აღვნიშნავთ, რომ წინამდებარე ნაშრომში გამოვიყენებთ ნოოლოგიის მონოგრაფიებში ავტორის მიერ შემოთავაზებულ სხვა ტერმინებს: ფორმის მანია, ცხრომის მანია, ძლევის მანია, მართვის მანია და სხვ.

ნოოლოგიის მიხედვით, "ცივილიზაცია 4 განსხვავებული ტიპის ერების ერთობლიობას წარმოადგენს და ცივილიზაციური პროცესების სტაბილურად წარმართვისათვის, აუცილებელია ოთხივე ტიპის ერების ურთიერთთანამშრომლობა".[1]

ნოოლოგიის შინაარსის მიხედვით ცხადია, რომ აშშ არის ცხრომის მანიის კლასის ლიდერი სახელმწიფო, ჩინეთი ფორმის მანიის კლასის ლიდერი სახელმსიფო, რუსეთი კი ძლევის მანიის კლასის ლიდერი სახელმწიფო.[2]

სამივე კლასის ეროვნულ სახელმწიფოს ახასიათებს ე.წ. მონომოდალისტური გლობალიზმი, ანუ საკუთარი საარსებო სივრცის უსასრულოდ გაფართოების მოთხოვნილება. სამივე ტიპის (ცხრომის, ფორმის და ძლევის მანიის კლასის) ერი მხოლოდ თავის თავს განიხილავს ერთადერთ სწორ ფენომენად, ხოლო დანარჩენი ტიპის ერებს მიიჩნევს დესტრუქციულ და მისი არსებობისათვის ხელისშემშლელ და ზოგჯერ საშიშ ფაქტორად.

ლიბერალური მონომოდალისტური გლობალიზმი, რაც ცხრომის მანიის მოდუსის შესაბამისია და რომლის რეალიზატორია აშშ, 1980-იანი წლების ბოლოდან გვევლინება დომინანტად, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც დაიშალა სსრკ. ზემოთ აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, სრულიად გასაგები ხდება აშშ-ის მისწრაფება, შეინარჩუნოს აქამდე არსებული უპირატესობა და განახორციელოს ცხრომის მანიის პოზიციისთვის მიუღებელი ერების "გამოსწორების", ცივილიზებულ გზაზე დაყენების მცდელობები, რისთვისაც პერიოდულად არ ერიდება არც სამხედრო მანქანის ამოქმედებას, არც ფერადი რევოლუციების მოწყობას და არც მის ხელთ არსებული ზემოქმედების სხვა საშუალებების გამოყენებას.

მეორე მხრივ, როდესაც გასაგები ხდება ის მოტივები და მიზნები, რაც ამოძრავებთ რუსეთსა თუ ჩინეთს, გაოცებას და აღშფოთებას აღარ იწვევს მათ მიერ განხორცილებელი ქმედებები, რადგანაც შეგვიძლია თვალნათლივ დავინახოთ ის ეგზისტენციალური საფრთხეები, რომლებიც ამ ქვეყნებს ემუქრება და რომლებზეც ისინი აპელირებენ.

ნოოლოგიის მიხედვით ცივილიზაციისთვის (ამ შემთხვევაში მთელი კაცობრიობისთვის) აუცილებელია ოთხივე კლასის ერების ურთიერთობა და ოპტიმალურია მათ შორის როლების

[1] პაპოშვილი, მ. (2021). "პოლიტიკური აზრის კრიზისი საქართველოში" https://www.researchgate.net/publication/355338849

[2] ხვიჩია, ე. (2020). ნოოლოგია, თვითკმარი არსებობის ლოგიკა, საზოგადოების თვითორგანიზაციისა და მდგომარეობის ცვლის კანონები. გამომცემლობა "ახალი პარადიგმა", თბილისი.

გადანაწილება. ამავე დროს, შეუძლებელია არსებობდეს ერთადერთი სწორი, ანუ უნივერსალური მსოფლმხედველობა, რომელმაც უნდა დაიქვემდებაროს სხვა დანარჩენი და გახდეს დომინანტური. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის და ჩინეთის განხილვა "ჭეშმარიტი ღირებულ-ებებისაგან" აცდენილ ქვეყნებად არასწორია, რადგანაც რუსი და ჩინელი ერები არიან განსხვავებული ფენომენები, ცივილიზაციას სტაბილურობისთვის კი ოთხივე ელემენტი, ოთხივე ტიპის ერი აუცილებლად სჭირდება.

საქართველოს როლი საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე

იმის ფონზე, როდესაც დიდი სახელმწიფოებიც კი ვეღარ ეყრდნობიან დიპლომატიას და იძულებულები არიან ძალისმიერ საშუალებებზე გადავიდნენ, პატარა ქვეყნების გავლენა თითქოსდა სრულიად უმნიშვნელოა. რჩება შთაბეჭდილება, რომ პატარა ქვეყნებს მხოლოდ ერთი გამოსავალი აქვთ - მიეკედლონ რომელიმე დიდ ძალას და მორჩილად გაატარონ მის მიერ თავსმოხვეული პოლიტიკა. ასეც აკეთებს პატარა ქვეყნების უმეტესობა და, დღესდღეობით, მათ რიგებში საქართველოცაა.

ამასთანავე, საქართველოს გეოგრაფიული მდგომარეობა იძულებულს ხდის ყველა დიდ მოთამაშეს მაქსიმალური ძალისხმევა გამოიჩინოს, რათა შეინარჩუნოს საქართველოში საკუთარი გავლენები. შედეგად ვიღებთ ხელოვნურად გაღვივებულ სამოქალაქო დაპირისპირებებს, რომლის ერთ-ერთ ბოლო მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ საზოგადოების მიერ უკრაინაში განვითარებული მოვლენების სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია და ამ თემასთან დაკავშირებით გაჩენილი ახალი განხეთქილება.

ამავე დროს, დაპირისპირებაში მონაწილე მხარეები ყურადღების მიღმა ტოვებენ იმ საკითხს, რომ უკრაინასა და რუსეთს შორის დღეს არსებული ვითარების განხილვა, როგორც მხოლოდ ამ ორ ქვეყანას შორის არსებული ბრძოლისა - არასწორია. მოვლენების ზედაპირული სიბრტყიდან სიღრმისეულ განზომილებაში გადატანა თვალნათელს ხდის, რომ დასავლეთის მიერ დღეს გატარებული საერთაშორისო პოლიტიკის უპირველესი მიზანია გლობალური მონოპოლარული რეჟიმის დამყარება, ხოლო მეორე ფრონტს ასეთი რეჟიმის მოწინააღმდეგეები წარმოადგენენ.

ცალკე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თვით დასავლეთის წარმომადგენელთა შორისაც შეიმჩნევა დაპირისპირებები და სურვილი, თავი დააღწიონ დღევანდელი ჰეგემონის გავლენას. თუმცა, იმის გამო, რომ ბევრი დასავლური ქვეყნის პოლიტიკური ელიტა დღეს სრულად განიცდის აშშ-ის, როგორც ნეოლიბერალური ღირებულებების მთავარი მატარებლის და გამტარებლის ზემოქმედებას, ეს სურვილი ღიად მხოლოდ ოპოზიციური წიაღიდან ფიქსირდება.

როგორც ზემოთ ვახსენეთ, აშშ ცდილობს საკუთარი ჰეგემონიის შენარჩუნებას, ამიტომაც რუსეთს და ჩინეთს განიხილავს იმ წინააღმდეგობებად, რომლებიც აუცილებლად უნდა განადგურდნენ. მას მხარს მოკავშირეებიც უბამენ, რითაც იძულებულს ხდიან მოწინააღმდეგეს, გადადგას სამხედრო ძალაზე გათვლილი ნაბიჯები, რაც საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ აშშ-ს და მის მოკავშირეებს, არამედ მთელ მსოფლიოს.

ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ არც რუსეთის ქმედებებია დღეს კონსტრუქციული. ნოოლოგიის მიხედვით ფორმის მანიის ფაზაში, რომელშიც იმყოფება დღეს კაცობრიობა, შესაძლო გახდა დასავლეთს მხარდაჭერა ეპოვა რუსეთის წინააღმდეგ მიმართული, რუსეთის გამოფიტვაზე ორიენტირებული კონსოლიდ-ირებული ქმედებების გატარებაში.

დიდი შეცდომაა ისიც, რომ რუსეთი უკრაინელ ერს განიხილავს, როგორც რუსი ერის დეზორიენტირებულ ნაწილს და მოელის, რომ საკმარისია, გამოჩნდეს ახალი ძალა, რომელიც დაუპირისპირდება უკრაინაში გაბატონებულ ნაციონალისტურ ძალებს და უკრაინელი ერი ადვილად დათანხმდება მშობლიურ რუსულ წიაღში დაბრუნებას.

დღეს, როცა ჩვენ ვსაუბრობთ მულტიპოლარულ სამყაროზე, მსოფლიო წესრიგის შემადგენელ ნაწილებად უნდა მივიჩნიოთ არა რომელიმე კონკრეტული ჰეგემონი სახელმწიფო ან კოალიცია, არამედ ლიდერი ერი კონკრეტული კლასის ერთა შორის. რადგანაც დღეს ლიდერი ერის ფუნქციებს დიდი სახელმწიფოებივე ატარებენ, ზემოთ თქმული მოსაზრება მარტივ, ქვემოთმოყვანილ მაგალითამდე შეგვიძლია დავიყვანოთ.

7. ცხრომიის მანიის კლასის ეროვნულ სახელმწიფოებად მოიაზრებიან აშშ, ინდოეთი, საფრანგეთი, ბრიტანეთი (ჩამონათვალი არასრულია). აშშ არის ლიდერი ამ კლასის სახელმწიფოებს შორის. ესე იგი, მულტიპოლარულ სამყაროში ცხრომის მანიის ქვეყნებს წარმოადგენს აშშ.
8. ფორმის მანიის კლასის ეროვნულ სახელმწიფოებად მოიაზრებიან ჩინეთი,
9. გერმანია, პოლონეთი, უკრაინა (ჩამონათვალი არასრულია). ჩინეთი არის ლიდერი ამ კლასის სახელმწიფოებს შორის. ესე იგი, მულტიპოლარულ სამყაროში ფორმის მანიის ქვეყნებს წარმოადგენს ჩინეთი.
10. ძლევის მანიის კლასის ეროვნულ სახელმწიფოებად მოიაზრებიან რუსეთი, სერბეთი, მონღოლეთი (ჩამონათვალი არასრულია). რუსეთი არის ლიდერი ამ კლასის სახელმწიფოებს შორის. ესე იგი, მულტიპოლარულ სამყაროში ძლევის მანიის ქვეყნებს წარმოადგენს რუსეთი.

და დგება მთავარი საკითხი: ვინ არიან მეოთხე ფსიქოტიპის წარმომადგენლები და რა როლი აქვთ მათ ცივილიზაციის განვითარებაში და გამართულად ფინქციონირებაში?

ნოოლოგიის მიხედვით, მართვის მანიის კლასის ერები იმ უნიკალურ ერთა რიცხვს მიეკუთვნებიან, რომლებიც, ზემოთ ჩამოთვლილი სამი ტიპის ერებისაგან განსხვავებით, "ხედავენ" დანარჩენი სამი კლასის ერებსაც. ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მართვის მანიის ტიპის ერები ახერხებენ დაინახონ და გაითვალისწინონ სამი სხვა კლასის ერების ინტერესები.

ნოოლოგიის მიხედვით მართვის მანიის კლასის ერებს შეუძლიათ ერთმანეთში მოარიგონ დანარჩენი სამი სხვა კლასის ერი, სწორედ ეს არის მათთვის ოპტიმალური საერთაშორისო როლი.

უფრო ნათელი რომ გავხადოთ ზემოთ მოყვანილი წინადადება, დავაზუსტებთ: მართვის მანიის კლასის ერს შეუძლია შეასრულოს მომრიგებლის ანუ მოდერატორის როლი და მოახერხოს ცხრომის, ფორმის და ძლევის მანიის კლასის ერების ურთიერთშეთანხმება, მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელ საერთაშორისო ურთიერთობებში არსებული ცოდნის ფარგლებში ასეთი შეთანხმება სრულიად უტოპიურად გამოიყურება.

ის გარემოება, რომ დღეს მართვის მანიის კლასის ერები ვერ ახორციელებენ თავიანთ საერთაშორისო ფუნქციას, იწვევს საერთაშორისო კონფლიქტებს, რომლებიც ბირთვული ომის საშიშროების წინაშე აყენებს მთელ მსოფლიოს.

ნოოლოგიის თანახმად, მეოთხე, ე.წ. მართვის მანიის კლასის ერებს წარმოადგენენ ქართველები, ირლანდიელები, შოტლანდიელები, ბასკები და სხვ. დღესდღეობით, საქართველო და ირლანდიის რესპუბლიკა არიან ლიდერები მართვის მანიის კლასის ეროვნულ სახელმწიფოებს შორის. მაგრამ იმ ფაქტორიდან გამომდინარე, რომ საქართველო გეოპოლიტიკურად მდებარეობს განსხვავებული კლასის ეროვნულ სახელმწიფოთა კვეთის არეალში (ჩრდილოეთიდან ძლევის მანიის კლასის ლიდერი რუსეთია, დასავლეთიდან, ანუ ევროპის მხრიდან ცხრომის მანიის კლასის ერების გავლენაა საგრძნობი, სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან კი ძირითადად ფორმის მანიის კლასის ერები ჭარბობს), მას ყველაზე უკეთ შეუძლია სამი სხვადასხვა კლასის ერებს შორის მოდერატორის ფუნქციის შესრულება.

ნოოლოგიაზე დაყრდნობით, ემზარ ხვიჩიას მიერ არის შემუშავებული "ოპტიმალიზმის დოქტრინა", რომელიც მსოფლიო წესრიგის ახლებურ, ოპტიმალურად მოწყობას ითვალისწინებს,

ოთხივე ტიპის ერების თანაბარი მონაწილეობით. ოპტიმალიზმის დოქტრინის მიხედვით, ერთა შორის უნდა მოხდეს ფუნქციური დანაწილება - ოთხივე კლასის ერს მიენიჭოს მისთვის ოპტიმალური საერთაშორისო როლი, რაც საფუძველს დაუდებს ერებს შორის მშვიდობიან თანაარსებობას.

ოპტიმალიზმის დოქტრინის თანახმად, ქართველ ერს, როგორც მართვის მანიის ტიპის ლიდერ ერს, აკისრია უმნიშვნელოვანესი როლი - უზრუნველყოს დანარჩენი ტიპის ერების ურთიერთშეთანხმება, იყოს მედიატორი და მოდერატორი სხვა ტიპის ერთა შორის. ნოოლოგიის შინაარსზე დაყრდნობით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ სანამ მსოფლიო არ აღიარებს ქართველი ერის ოპტიმალურ ზოგადასზკაცობრიო როლს, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ქართველი ერი უნდა იყოს სამ სხვა კლასის ერებს შორის მოდერატორი, ანუ ქართველი ერი არ ჩაერთვება საერთაშორისო პოლიტიკური საკითხების მოგვარებაში, გლობალური პოლიტიკური პროცესები მუდმივად იქნება არაოპტიმალურად განვითარების რისკის ქვეშ.

დასკვნა

დღეს კაცობრიობა ერთიანი თვითრეგულირებადი სისტემაა და მისი რომელიმე მნიშვნელოვანი ელემენტის (რასაც წარმოადგენენ ძირითადად ერები, უმსხვილესი სახელმწიფოები და ძირითადი კორპორაციები) არაოპტიმალურ მოქმედებას ახლავს უდიდესი რისკები, მათ შორის ბირთვული მესამე მსოფლიო ომის სახით. ქართველი ერი განიცდის უცხო ელემენტის ძლიერ ზეგავლენას, რა პირობებშიც შეუძლებელია მან შეძლოს თავისი ოპტიმალური ზოგადსაკაცობრიო ფუნქციის შესრულება, რაც გულისხმობს სამი სხვა კლასის ეროვნულ სახელმწიფოთა შორის მედიატორის როლს. იმისათვის, რომ საქართველომ დაიმკვიდროს მართვის მანიის კლასის ლიდერი ერის სტატუსი, მან უნდა იმოქმედოს თავისი ფსიქოტიპის შესაბამისად, რაც საშუალებას მისცემს ქართველ ერს შეასრულოს მსოფლიოში გლობალური პოლიტიკური პროცესების მოდერატორის ფუნქცია.

ზემოთქმულის მისაღწევად, ეჭვგარეშეა, რომ საჭიროა ახალი პარადიგმული ნახტომი, რაც მოაგვარებს საერთაშორისო ურთიერთობებში არსებულ კრიზისს. ამ საქმეში ქართველმა ერმა უშუალო აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს.

ლიტერატურა

1. პაპოშვილი, მ. (2021). "პოლიტიკური აზრის კრიზისი საქართველოში". - ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - 1921 წლის ისტორიულ-კულტურული მოვლენები: ხედვა საუკუნის შემდეგ. https://www.researchgate.net/publication/355338849

2. ხვიჩია, ე. (1997). ერი როგორც ფილოსოფიური კატეგორია და ონტოლოგიურ-გნოსეოლოგიური პრინციპი. ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოსოფიის კათედრა.

3. ხვიჩია, ე. (2004). ქართველი ერი და მსოფლიო ცივილიზაცია. გამომცემლობა "ნეკერი", თბილისი.

4. ხვიჩია, ე. (2007). პიროვნება - ერი - ცივილიზაცია, საზოგადოების ოპტიმალური სტრუქტურა ახალი პარადიგმის მიხედვით. თბილისი. http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/4754/1/Sajaro_Lekcbi.pdf

5. ხვიჩია, ე. (2009). ნაციონალ-გლობალიზმი (ოპტიმალიზმი) - მსოფლიო პოლიტიკური სისტემის გლობალური ოპტიმიზაციის პროგრამა (გლობალიზმი

ნაციონალური მოდუსით). საერთაშორისო კონფერენცია - “მსოფლიოს ახალი წესრიგი და კავკასია”. თბილისი, სტუ.

6. ხვიჩია, ე. (2009). ნაციონალ-გლობალიზმი (ოპტიმალიზმი) მსოფლიო პოლიტიკური სისტემის გლობალური ოპტიმიზაციის პროგრამა. ევრაზიის ინსტიტუტი.
7. ხვიჩია, ე. (2010). „ახალი გეოპოლიტიკური პარადიგმა საქართველოსთვის”. საერთაშორისო კონფერენცია - “ხელისუფლება და საზოგადოება”. თბილისი, სტუ
8. ხვიჩია, ე. (2011). ნოოსფერო საბოლოო სტაბილიზაციის ზღვარზე”. საერთაშორისო კონფერენცია - “მსოფლიო და კავკასია”. თბილისი, სტუ.
9. ხვიჩია, ე. (2012). ინფორმაციული ცივილიზაცია გლობალიზებულ სამყაროში და საქართველო. წარდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი. http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000613/D-Khvichia%20E.pdf
10. ხვიჩია, ე. (2012). ოპტიმალიზმი - ახალი პარადიგმა. http://noosphereinstitutegeorgia.blogspot.com/p/blog-page_46.html
11. ხვიჩია, ე. (2015). „კავკასიის მომავლის ნოოლოგიური ხედვა”. ივანე ჯავახიშვილის სახე-ლობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო კონფერენცია. თბილისი.
12. ხვიჩია, ე. (2016). „ნოოლოგია ევროპის ისტორიული როლისა და პერსპექტივების შესახებ”. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო კონფერენცია. თბილისი.
13. ხვიჩია, ე. (2020). ნოოლოგია, თვითკმარი არსებობის ლოგიკა, საზოგადოების თვითორ-განიზაციისა და მდგომარეობის ცვლის კანონები. გამომცემლობა “ახალი პარადიგმა”, თბილისი.
14. ხვიჩია, ე. ფსიქიკური სტიქიები (მოკლე შესავალი). http://noosphereinstitutegeorgia.blogspot.com/p/blog-page_12.html

The Role of Georgia in resolving the international political crisis

Paposhvili Madlen
PhD student in Caucasus International University

Summary

The Russian-Ukraine War has made it evident that global politics is in a deadlock. The confrontation between the NATO-centered Western alliance and Russia is one of the most vivid manifestations of the global crisis. The major actors of international politics, such as the US, Russia, and China, have exhausted a resource for constructive dialogue. The United Nations turned out to be an obsolete institution, and it cannot guarantee cooperation among leading states. In this context, Georgia passively observes the ongoing power shift and formation of the new world order, while it has the potential to play a crucial role in resolving the most pressing issues and structural crises.

In the article, I will use the Relativistic-Quantum Noology theory and delineate what function and role Georgia can play in resolving the stand-off. The theory suggests a new cooperation model for the leading countries in international politics; It explains how Georgia can play a facilitator/mediator role in managing and supervising their negotiations.

Keywords: global political crisis; Georgia's role in international relations; Quantum relativistic noology; A new paradigm.

ქურთების საკითხი თანამედროვე გლობალური პოლიტიკის კონტექსტში

სიჭინავა ბუხუტი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ქურთები მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი და მრავალრიცხოვანი ეთნიკური ჯგუფია. ისინი მრავალი საუკუნეა ცხოვრობენ ახლო აღმოსავლეთის იმ ტერიტორიაზე, რომელიც ქურთისტანის სახელწოდებითაა ცნობილი. დღეს ქურთები ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ოთხ სახელმწიფოში არიან წარმოდგენილნი და მრავალი წელია იბრძვიან ავტონომიისა და დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. ქურთების საკითხი საერთაშორისო პოლიტიკაში XIX საუკუნეში გააქტიურდა. იგი, ერთი მხრივ, განპირობებული იყო მსოფლიოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების დაწყებით, ხოლო, მეორე მხრივ, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების საშინაო პოლიტიკაში ევროპული სახელმწიფოების ჩარევით, რის გამოც იგი გასცდა რეგიონული პოლიტიკის საზღვრებს და საერთაშორისო საკითხად გადაიქცა. საერთაშორისო დონეზე დეკლარირებული თვითგამორკვევის უფლებისა და ახლო აღმოსავლეთში სამანდატო სისტემის ამოქმედების მიუხედავად, ქურთებმა, ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო, მაინც ვერ მოახერხეს სახელმწიფოს შექმნა. პირველი ომის დასრულების შემდეგ ქურთები რეგიონის ოთხი სახელმწიფოს საზღვრებში გადანაწილდნენ და სწორედ ამ პერიოდიდან ჩაეყარა საფუძველი მათ აქტიურ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებს ცალკეულ ქვეყნებში, რაც დღემდე დაუსრულებლად და უშედეგოდ მიმდინარეობს.

საკვანძო სიტყვები: ქურთები, ქურთისტანი, ქურთების საკითხი, ახლო აღმოსავლეთი, გლობალური პოლიტიკა.

შესავალი

ქურთები ახლო აღმოსავლეთში მცხოვრები ერთ-ერთი უძველესი და მრავალრიცხოვანი ეთნიკური ჯგუფია. ისინი საუკუნეებია სახლობენ იმ ტერიტორიაზე, რომელსაც ქურთისტანი ეწოდება. შუა საუკუნეებში ქურთები სპარსეთისა და ოსმალეთის იმპერიების ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, თუმცა პირველი მსოფლიო ომის დასრულებისა და რეგიონში შექმნილი ახალი გეოპოლიტიკური მოცემულობის შედეგად ისინი ირანის, სირიის, თურქეთისა და ერაყის საზღვრებში აღმოჩნდნენ მოქცეულნი. ტერმინი ქურთისტანი მხოლოდ გეოგრაფიული სახელწოდებაა და მას არავითარი საერთაშორისო სამართლებრივი სტატუსი გააჩნია. სავარაუდოდ მისი ფართობი უნდა მოიცავდეს დაახლოებით 409 650 კვ.კმ-ს.[1]

გარკვეული სუბიექტური და ობიექტური მიზეზების გამო ქურთი ხალხის რაოდენობის დადგენა ვერ ხერხდება. ზოგიერთი კვლევითი ორგანიზაციისა თუ ცენტრის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით ქურთების რაოდენობა 30-40 მილიონს შორის მერყეობს. პარიზის ქურთული ინსტიტუტის (Institut Kurde de Paris) მიხედვით მათი რაოდენობა 36-45 მილიონია.[2] ამავე ინსტიტუტის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით ირკვევა, რომ ყველაზე მეტი ქურთი თურქეთსა (15-20 მლნ.) და ირანში (8-12 მლნ.) ცხოვრობს. ერაყში მათი რაოდენობა 8.5 მლნ-ს არ აღემატება. ქურთების რაოდენობა სირიაში დაახლოებით 3-3.6 მილიონია. [3]

---

[1] ბუხუტი სიჭინავა, ქურთები ირანის ისლამურ რესპუბლიკაში, აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე, 2020 წ. გვ. 30.
[2] იქვე, გვ. 30.
[3] La population kurde, https://www.institutkurde.org/info/la-population-kurde-1232550992

ძირითადი ნაწილი

ქურთების საკითხი რეგიონულ პოლიტიკაში და საერთაშორისო საკითხად გადაქცევის დინამიკა

ქურთების საკითხი საერთაშორისო პოლიტიკაში ჯერ კიდევ 19-ე საუკუნეში გააქტიურდა, რაც, ერთი მხრივ, ოსმალეთისა და სპარსეთის ცენტრალური ხელისუფლების სისუსტით, ხოლო, მეორე მხრივ, მსოფლიოში დაწყებული „ერების გამოღვიძების“ პროცესით იყო განპირობებული. პირველი მსოფლიო ომის პერიოდში ქურთების საკითხმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა საერთაშორისო პოლიტიკაში. პირველმა მსოფლიო ომმა და აშშ-ის პრეზიდენტის ვუდრო ვილსონის მიერ გაჟღერებულმა 14 პუნქტიანმა გეგმამ მნიშვნელოვნად განსაზღვრა ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების პროცესი. ვუდრო ვილსონის 14 პუნქტიანი გეგმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქვაკუთხედს ერთა თვითგამორკვევა წარმოადგენდა. აღნიშნული პრინციპის მიხედვით ქურთებს და სხვა ერებს, რომლებიც იმპერიების (ავსტრია-უნგრეთი, რუსეთი, ოსმალეთი) შემადგენლობაში იყვნენ, დამოუკიდებელ სუბიექტებად ფორმირების შესაძლებლობა ეძლეოდათ.

ერთა თვითგამორკვევის პრინციპმა საერთაშორისო დონზე გლობალური აქტორების მხარდაჭერა მოიპოვა და იმ პერიოდის საერთაშორისო პოლიტიკის მნიშვნელოვან ღირებულებად გადაიქცა. 1920 წლის სევრის ხელშეკრულება ქურთებისათვის ავტონომიის შექმნას და, შემდგომში კი, ქურთული სახელმწიფოს შექმნას ითვალისწინებდა. მიუხედავად იმისა, რომ იმპერიების ნანგრევებზე მრავალმა ეთნიკურმა ჯგუფმა თუ ერმა შეძლო დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად ჩამოყალიბება, ქურთ ხალხს მაინც არ მიეცა ეროვნული კერის შექმნის შესაძლებლობა, ვინაიდან ახლადშექმნილმა თურქეთის რესპუბლიკამ ლოზანის (1923 წ.) ხელშეკრულებით მოახერხა სევრის შეთანხმების ანულირება, რამაც თურქეთის ტერიტორიაზე ქურთების ავტონომიის საკითხი საბოლოოდ დაასამარა.

პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ გლობალურმა აქტორებმა ახლო აღმოსავლეთის რეგიონში სამანდატო სისტემა აამოქმედეს, რის შედეგადაც ქურთი ხალხი და ქურთისტანი ოთხი სახელმწიფოს (თურქეთი, ერაყი, სირია და ირანი) ტერიტორიაზე აღმოჩნდა. აღნიშნულმა ფაქტმა გარკვეულწილად შეასუსტა ქურთების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საქმიანობა. ახლო აღმოსავლეთის რეგიონში შექმნილი დღის წესრიგის შედეგად ქურთები იძულებულნი გახდნენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი და განსხვავებული ნაბიჯები გადაედგათ.

უნდა ითქვას, რომ თურქეთში, ერაყში, სირისა და ირანში მცხოვრები ქურთების პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა ერთმანეთისაგან განსხვავებულია. აქვე უნდა აღინიშნოს, ის ფაქტი, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიურობისა და დამოუკიდებლობის მოპოვების სურვილით ყოველთვის გამოირჩეოდნენ ჩრდილოეთ ერაყში მცხოვრები ქურთები, რომლებიც 2005 წლიდან ფართო ავტონომიის სტატუსით სარგებლობენ. ერაყის ქურთისტანმა ამ სტატუსის მიღებამადე საკმაოდ რთული და ტრაგიკული პერიოდი განვლო. განსაკუთრებით აღსანიშნავია არაბული ნაციონალიზმის აღზევება და სადამ ჰუსეინის მმართველობის პერიოდი, რომლის დროსაც ერაყში ანტიქურთულმა განწყობამ პიკს მიაღწია. სადამ ჰუსეინის მმართველობის პერიოდში ერაყის მთავრობის მიერ ქურთების წინააღმდეგ მიმართულმა სამხედრო კამპანიამ 180 ათასამდე ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, ხოლო საყოველთაო გადასახლება და დაპატიმრება დაახლოებით 1.5 მილიონ ადამიანს შეეხო. ალ-ანფალის[1] ანტიქურთული სამხედრო კამპანიის დროს 1988 წლის 16 მარტს ჰალაბჯაში

[1] 1988 წელს ქურთების წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო კამპანიების რვა სერია. ტერმინი მომდინარეობს ყურანის მერვე სურის სახელწოდებიდან, რაც ნადავლს ან ბრძოლის ნადავლს ნიშნავს.

გამოყენებულ იქნა ქიმიური იარაღიც, რომლის შედეგადაც 5 ათასამდე ადამიანი დაიღუპა. ერაყის მთავრობის ანტიქურთულ სამხედრო კამპანიას გენოციდის სტატუსი აქვს მინიჭებული.[1]

არაბული ნაციონალიზმის პერიოდი რთული გადასატანი აღმოჩნდა სირიაში მცხოვრები ქურთებისთვისაც. ანტიქურთული განწყობის ნათელი გამოვლინებაა 1962 წლის ელ-ჰასაქის პროვინციაში მოსახლეობის საყოველთაო აღწერა, რომლის შედეგადაც 120-150 ათასმა ქურთმა დაკარგა მოქალაქეობის უფლება. გარდა ამისა, ამავე აღწერის მიხედვით, სირიაში მცხოვრები ქურთები სამ კატეგორიად დაიყო. დემოგრაფიული სურათის შეცვლის მიზნით 1973 წელს სირიის ხელისუფლებამ „არაბული სარტყლის“ პროექტს ჩაუყარა საფუძველი, რამაც წინააღმდეგობა გაზარდა მხარეებს შორის და სირიის ცალკეულ რეგიონებში სოციალური წონასწორობა კიდევ უფრო დაარღვია.[2]

სირიის სამოქალაქო ომის დაწყების შემდეგ ქურთებისთვის ახალ ერას ჩაეყარა საფუძველი. სირიის დემოკრატიულმა ძალებმა (Syrian Democratic Forces - SDF) ქურთების ხელმძღვანელობით ჩრდილო-აღმოსავლეთ სირიის ავტონომიური ადმინისტრაციის, როჟავას, ტერიტორიულ ექსპანსიას შეუწყო ხელი. ქურთებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს ისლამური სახელმწიფოს განადგურებაში, რამაც რეგიონში მათი პოზიციები და გავლენები გააფართოვა.

ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, რომელსაც თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკაში განსაკუთრებული ადილი უკავია, გლობალურ აქტორთა ინტერესები იკვეთება. ჩინეთი, რუსეთი და აშშ თავს იკავებენ ქურთების აქტიური მხარდაჭერისაგან, რაც ისტორიის მანძილზე არაერთხელ დადასტურდა. უნდა ითქვას, რომ ახლო აღმოსავლეთსა და მსოფლიოში, ისრაელი ერთადერთი სახელმწიფოა, რომელიც ღიად უჭერს მხარს ქურთების ეროვნულ-განმათავისუფლებელ გამოვლინებებსა და მისწრაფებებს.

მრავალი ექსპერტი თუ საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი მიიჩნევს, რომ გეოპოლიტიკა კვლავ გადაულახავ დაბრკოლებად რჩება ქურთებისათვის. ფაქტია, რომ თანამედროვე გლობალურ პოლიტიკაში კვლავ აქტუალურია რესურსების დატაცების პოლიტიკა, რაც, რასაკვირველია, გლობალურ პოლიტიკაში ქურთებსა და სხვა ერების როლისა და ფუნქციის შეზღუდვას იწვევს. ცხადია, რომ დღევანდელი გადმოსახედიდან გლობალურ დონეზე ქურთების საკითხის მოგვარება ძველი პარადიგმის არსებობის პირობებში შეუძლებელია.

ძველი პარადიგმების არსებობის პირობებში, რომელიც უმთავრესად რესურსების დატაცების სტრატეგიასა და ძალის პრიმატს ემყარება, შეუძლებელია ნებისმიერი სახის გლობალური პრობლემის გადაწყვეტა. ცხადია, რომ საჭიროა მსოფლიომ დროულად გადადგას ქმედითი და გონივრული ნაბიჯები იმისთვის, რომ თავი დააღწიოს არსებულ ჩიხურ მდგომარეობას, რადგანაც პოლიტიკური პროცესები მომავალში გაცილებით კომპლექსურად და ცუდი სცენარებით წარიმართება. აღნიშნული მოსაზრების გაჟღერებას საფუძვლად უდევს კვანტური რელატივისტური ნოოლოგიის (შემდგომში ნოოლოგია) პროგნოზები, რომლის ავტორმაც, ემზარ ხვიჩიამ, თავის ძველ ნაშრომებში, მეცნიერულად დაასაბუთა გლობალური პოლიტიკური პროცესების ძირითადი ტენდენციები. გარდა გლობალური პოლიტიკური თუ სოციალური პროცესების ძირითადი ტენდენციების გამოვლენისა, ავტორმა, ასევე, შეძლო მსოფლიოს ისტორიული პროცესების სისტემატიზაცია და ოპტიმალური გლობალური მოდელის შემუშავება, რომელსაც ავტორი

„ოპტიმალიზმის დოქტრინას“ უწოდებს.[3]

---

[1] Story of Anfal, https://kurdistanmemoryprogramme.com/story-of-anfal/

[2] ბუხუტი სიჭინავა, ქურთები სირიის არაბულ რესპუბლიკაში, პოლიტო / LOGOS, 2021 წ. გვ. 149-150.

[3] ემზარ ხვიჩია, ნოოლოგია: თვითკმარი არსებობის ლოგიკა, საზოგადოების თვითორგანიზაციისა და მდგომარეობის ცვლის კანონები, თბილისი, 2020.

დასკვნა

როგორც დავინახეთ, ქურთების საკითხი დიდი ხანია გაცდა რეგიონის საზღვრებს და მან საერთაშორისო დონეზე გადაინაცვლა, რამაც არსებული პრობლემა კიდევ უფრო კომპლექსური და აქტუალური გახადა. ცხადია, რომ რეგიონის სახელმწიფოები მხარს არასდროს დაუჭერენ რეგიონში ახალი ქურთული სახელმწიფოს შექმნას, ვინაიდან ახალი პოლიტიკური ერთეულის შექმნა ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური რუკისა და ძალთა ბალანსის რადიკალურ ცვლილებას გამოიწვევს. საერთაშორისო აქტორები, როგორებიცაა აშშ, რუსეთი და ჩინეთი მზად არ არიან რეგიონში ქურთული სახელმწიფოს შექმნისთვის, რადგანაც მათ მიერ ქურთების მიმართ ღია მხარდაჭერა და აქტიური მოქმედებები რეგიონის პარტნიორ სახელმწიფოებთან ურთიერთობის გაფუჭების ტოლფასი იქნება. შესაბამისად, უნდა ითქვას, რომ დღევანდელი გადმოსახედიდან, ზემოხსენებული აქტორები ახლო აღმოსავლეთის რეგიონში არსებული სტატუს-კვოს შეცვლით არ არიან დაინტერესებულები. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული თემა საკმაოდ აქტუალური და კომპლექსურია და საჭიროებს მის უფრო სიღრმისეულ შესწავლას, რომლის მეცნიერულ საფუძველიც უკვე არსებობს კვანტური რელატივისტური ნოოლოგიის სახით.

ლიტერატურა

1. ბუხუტი სიჭინავა, ქურთები სირიის არაბულ რესპუბლიკაში, პოლიტო / LOGOS, 2021, გვ. 144-155.
2. ბუხუტი სიჭინავა, ქურთები ირანის ისლამურ რესპუბლიკაში, აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე, 2020, გვ. 29-40. (იხ. ბმული - https://openjournals.ge/index.php/hos/article/view/2750/3228)
3. ემზარ ხვიჩია, ნოოლოგია: თვითკმარი არსებობის ლოგიკა, საზოგადოების თვითორგანიზაციისა და მდგომარეობის ცვლის კანონები, თბილისი, 2020.
4. David McDowall, A Modern History of the Kurds. London: Tauris & Co Ltd, London, 2007.
5. La population kurde, https://www.institutkurde.org/info/la-population-kurde-1232550992
6. Story of Anfal, https://kurdistanmemoryprogramme.com/story-of-anfal/

The Kurdish Issue in the Context of Contemporary Global Politics

Sitchinava Bukhuti
Ph.D. Student of Caucasus International Universityy

Summary

Kurds are one of the oldest and largest ethnic groups in the world. For many centuries they lived in the Middle Eastern region called Kurdistan. Today, Kurds are represented in four states of the Middle East region and have been fighting for autonomy and independence for many years. The Kurdish problem became active in international politics in the 19th century, which led to the beginning of national liberation movements in the world and the involvement of European states in Middle Eastern politics. Consequently, it became an international issue. After the end of the WWI, despite certain changes in overall discourse the Kurds were dispersed within the borders of the four states of the region, and it was from this period that the foundations of their active national liberation movements in individual countries were laid, which are still endless and fruitless.

Keywords: Kurds, Kurdistan, Kurdish issue, Middle East, Global politics.

რუსეთ-უკრაინის ომი: მიგრაციის ახალი ტალღა და მოსალოდნელი შედეგები

ტერტერაშვილი ხატია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

რუსეთის უკრაინაში შეჭრამ და სამხედრო ოპერაციის სახელით დაწყებულმა ფართომასშტაბიანმა ომმა, მსოფლიო პოლიტიკური მოვლენები ფაქტობრივად სრულიად შეცვალა და დღის წესრიგი მთლიანად გადააწყო უკრაინის მიმართულებით. 2022 წლის 21 თებერვლიდან დღემდე უკრაინის ტერიტორიაზე მიმდინარე ომის თანმდევი გამოწვევები და კრიზისები ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხია პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური თუ ჰუმანიტარული თვალსაზრისით.

სამხედრო ძალების აგრესიულმა მოქმედებებმა ხელი შეუწყო ახალი მიგრაციული კრიზისის წარმოქმნას და უკრაინის მშვიდობიანი მოსახლეობა აიძულა დაეტოვებინა საცხოვ-რებელი ადგილი და უსაფრთხო თავშესაფრის საძებნელად. გაეროს უმაღლესი ლტოლვილთა კომისარიატის მონაცემებით დაახლოებით ორ მილიონზე მეტი ლტოლვილი დაიძრა დასავლეთის მიმართულებით, რამაც თავის მხრივ განაპირობა ევროპული სახელმწიფოების მობილიზება და კოორდინირებული ურთიერთთანა-მშრომლობის გეგმის შემუშავება.

საკვანძო სიტყვები: რუსეთ-უკრაინის ომი, მიგრაცია, შედეგები; გლობალური გამოწვევები

შესავალი

საქართველოს მთავრობის ოფიციალური გაცხადებული პოზიციით, საქართველო მზადაა მიიღოს უკრაინიდან შემოსული მოქალაქეები და მისცეს თავშესაფარი საქართველოს ტერიტორიაზე, უზრუნველყოს ისინი დროებითი თავშესაფრით და აღმოუჩინოს შესაბამისი დახმარება. თუმცა, მიგრაციული პროცესების სპეციფიკიდან გამომდინარე, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სახელმწიფოს გააჩნდეს გრძელვადინი სამოქმედო გეგმა მიგრაციული პროცესების სამართვად. შესაბამისად, მნიშვნელოვანია საქართველომ გაიზიაროს ევროპული გამოცდილება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი მიდგომები არსებობს ევროპაში უკრაინელი მიგრანტების მიმართ, რა პოზიციაშია საქართველო უკრაინელი მოქალაქეების მიღების თვალსაზრისით და რა გამოწვევების წინაშე დგას ქვეყანა მიმდინარე პროცესების პარალელურად.

ძირითადი ნაწილი

ევროპის ყველაზე დიდი მიგრაციული პროცესი 21-ე საუკუნეში:
ევროკავშირი და არაწევრი სახელმწიფოები

რუსეთის უკრაინაში შეჭრის დღიდან უკრაინის ტერიტორიიდან გასულ მიგრანტებს ინტენსიურად ძირითადად იღებს ევროპის ხუთი ქვეყანა. მათგან ოთხს: პოლონეთს, უნგრეთს, სლოვაკეთს და რუმინეთს აქვს ევროკავშირის წევრის სტატუსი. ხოლო მეხუთე ქვეყანას, მოლდოვა, უკრაინის და საქართველოს მსგავსად ევროკავშირის წევრობაზე განაცხადი გაკეთებული აქვს მიმდინარე წლის მარტში. თითოეული ჩამოთვლილი სახელმწიფო აქტიურადაა ჩართული უკრაინის ტერიტორიიდან შემოსული მიგრანტების მიღებასა და მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.

პოლონეთი უკრაინელი მიგრანტების მიღების თვალსაზრისით ერთ-ერთი მოწინავე სახელმწიფოა, რაც განპირობებულია ომამდელი ორ სახელმწიფოს შორის არსებული ეკონომიკური თუ პოლიტიკური ურთიერთობით. პოლონეთი ყოველთვის წარმოადგენდა უკრაინისთვის ერთ-ერთ ყველაზე ხელსაყრელ შრომით ბაზარს. შესაბამისად, პოლონეთსა და

უკრაინის სახელმწიფოებს შორის კავშირებმა განაპირობა მიგრანტთა მასობრივი გადაადგილება პოლონეთის მიმართულებით. სააგნეტო Reuters- ის ცნობით უკრაინიდან პოლონეთში მილიონზე მიგრანტია გადასული. უნდა აღინიშნოს, რომ მიგრანტების მიღების პროცესში სახელმწიფო ინსტიტუტებთან ერთად ჩართულია სამოქალაქო საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა. სამოქალაქო და კერძო კავშირების მიღმა მიგრანტებს მასპინძლობს და თავშესაფარს სთავაზობს სახელმწიფოს მიერ მოწყობილი მიმღები ცენტრები. მიგრანტთა თავშესაფრის მიღების პარალელურად კი მათ სთავაზობენ უფასო ჯანდაცვას და ტრანსპორტირებას.

რიგით მეორე სახელმწიფო, რომელიც უზრუნველყოფს მიგრანტების აქტიურ მიღებას არის უნგრეთი. რამდენადაც სამხედრო დახმარების თუ გაძლიერების თვალსაზრისით უნგრეთი პასიურ რეჟიმშია, იმდენად აქტიურადაა ჩართული მიგრაციული პროცესების მართვაში. გარდა სოციალური კომპონენტისა სახელმწიფო აქტიურად უზრუნველყოფს მიგრანტთა სამართლებრივ დახმარებას საერთაშორისოდ აღიარებული დოკუმენტების შესაბამისად. ამის პარალელურად კი, გაეროს უმაღლესი ლტოლვილთა კომისარიატის მონაცემებით რუმინეთის და სლოვაკეთის სახელმწიფოებმა ჯამში 100 000-ზე მეტი მიგრანტი მიიღეს საკუთარ ტერიტორიაზე. რუმინეთის სახელმწიფო ინსტიტუტები უზრუნველყოფენ ლტოლვილთა მხარდაჭერას რამდენიმე მიმართულებით. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კი მიგრანტებისთვის ფსოქოლოგიური დახმარების აღმოჩენა, ტრანსპორტირება და ფინანსური მხარდაჭერაა. რაც შეეხება სლოვაკეთს, მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო კანონმდებლობის შეცვლა, რათა გაემარტივებინა მიგრანტთა სლოვაკეთის ტერიტორიაზე შემოსვლის იურიდიული პროცედურები.

სტატიის დასაწყისში ნახსენები მოლდოვა, რომელიც მიგრანტთა მიმღები ქვეყნი ხუთეულშია, ერთადერთი მეზობელი ქვეყანაა, რომელიც არ არის ევროკავშირის წევრი სახელმწიფო. თუმცა უკრაინიდან შესულ მიგრანტებს აქტიურად იღებს. ბოლო სტატისტიკური მონაცემების მიხედვით მოლდოვამ 1 მილიონ უკრაინელს მისცა თავშესაფარი საკუთარ ტერიტორიაზე. თუმცა, გასათვალისწინებელია ის მოცემულობა, რომ საერთაშორისოდ გამოცხადებული ნეიტრალიტეტის სტატუსიდან გამომდინარე მოლდოვა ვერ იღებს მტკიცე და ხისტ გადაწყვეტილებებს რუსეთთან საბრძოლველად. ფაქტობრივად, ევროპის ქვეყნების სანქციებთან შეერთება მოლდოვისთვის ერთ-ერთი დიდი გამოწვევაა, რადგან მას არ აქვს შესაბამისი მექანიზმები შეურთდეს საევროკავშირის ქვეყნების მიერ რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ სანქციებს. თუმცა, მიგრანთა მიღების საკითხში მოლდოვა არის ერთ-ერთი ქვეყანა, რომელიც აქტიურადაა ჩართული მიმდინარე პროცესებში და ფაქტობრივად მზადყოფნას გამოთქვამს საკუთარი რესურსით დაეხმაროს უკრაინიდან შემოსულ ლტოლვილებს. აღსანიშნავია, რომ მთავრობის ყველა ინსტიტუტი აქტიურადაა ჩართული მიმდინარე პროცესებში. ორი ქვეყნის საზღვარზე ვიზიტით პრეზიდენტმა მაია სანდუმ ფაქტობრივად ღია მხარდაჭერა გამოუცხადა იძულებით გადაადგილებულ პირებს. მიგრანტებთან ჰუმანიტარული და ლოიალური მხარდაჭერით, ფინანსური და ტექნიკური მატერიალების მობილიზებით მოლდოვა წარმატებით ახერხებს ითანამშრომლოს , როგორც ოფიციალურ კიევთან და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან , ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ნეიტრალური სტატუსის მიუხედავად.

უკრაინიდან შემოსული მიგრანტები და საქართველო: მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების პარალელურად, საქართველოს სახელმწიფოს ოფიციალური

პოზიცია რუსეთ-უკრაინის ომთან დაკავშირებით თამამად შეიძლება ითქვას, რომ უფრო მეტად ფრთხილი და მეტ-ნაკლებად სტრატეგიულია. მთავრობის პოზიციის პოლიტიკური შეფასებით, საქართველო ცდილობს თავიდან აირიდოს მოსალოდნელი საფრთხე და ხელი არ შეუწყოს აგრესორი ქვეყნის გაღიზიანებას. თუმცა, ბუნებრივია რომ ეს ფაქტი ბევრ კითხვის

ნიშანს ბადებს, როგორც ოპოზიციურ სპექტრში, ასევე სამოქალაქო საზოგადოებაში. სესაბამისად არსებობს სრულიად ლოგიკური ეჭვები იმის შესახებ, რომ ხომ არ იქნება ეს პოზიცია ევროატლანტიკური ინტეგრაციისთვის ხელისშემშლელი.

ბუნებრივია საქართველოსთვის ეს პროცესი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა.ერთის მხრივ ჩვენ უნდა ჩევძლოთ არ გამოვეთიშოთ რეგიონალურ მოვლენებს და მეორე მხრივ არ დავაზიანოთ ქვეყნის სტრატეგიული იმიჯი საერთაშორისო ასპარეზზე. სტრატეგიული თვალსაზრისით უკრაინიდან შემოსული მიგრატების მიღება და მათთვის შესაბამისი დახ-მარების აღმოჩენა შესაძლოა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქმედით ნაბიჯად განვიხილოთ. საქართველოს მთავრობის ოფიციალური პოზიციის მიხედვით, რომელშიც მოიაზრება როგორც ეკონომიკის ისე საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველო მზადაა მიიღოს უკრაინელი მიგრანტები და გაუწიოს მათ შესაბამისი დახმარება საქართველოს ტერიტორიაზე.

გეოგრაფიული მდებარეობის და სახმელეთო საზღვრის არარსებობის გამო, ასევე ქვეყანაში არსებული ზოგადი ეკონომიკური და სოციალური ფონის გათვალისწინებით საქართველოს გაუჭირდება მიგრაციულ პროცესებში აქტიური ჩართვა, თუმცა ამ პროც-ესებში მაქსიმალური რესურსით ჩართვა არის არა მხოლოდ ჰუმანური ქმედება, არამედ, სტრატეგიული გეგმის ხელშეწყობა საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლო დროს საქართველო კიდევ ახალი გამოწვევის წინაშე დადგა, რაც განპირობებულია რუსეთის ფედერაციიდან შემოსული გაზრდილ ტურისტულ ნაკადებითან. საქართველოს მთავრობის შეფასებით მიდგომა რუს ტურისტებს შორის არ შეიძლება იყოს ხისტი, რადგან უმეტესი მათგანი ავტორიტარულ რეჟიმს გაურბის. თუმცა რამდენად მისაღებია ეს არგუმენტი, ეს კიდევ ცალკე განხილვის საგანია. ბუნებრივია, რუსეთი საქართველოსთვის დღემდე იდენტიფიცირებულია მთავარ აგრესორ ქვეყანად, ხოლო მისი მოქალაქეების საქართველოში შემოსვლა ახალი ჰიბრიდული საფრთხეების მიზეზად სახელდება.

დასკვნა

ამრიგად, ოფიციალური წყაროებზე და სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ომის პარალელურად ევროკავშირის წევრი და არაწევრი სახელმწიფოები აქტიურად არიან ჩართულნი მიგრაციული პროცესების მართვა-მენეჯმენტში. ისინი აქტიურად მუშაობენ ლტოლვილებისთვის უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შეთავაზებისთვის და საჭირო რესურებით უზრუნველყოფისთვის. ექსპერტთა აზრით მიგრანტთა რაოდენობა 4 მილიონამდე შეიძლება გაიზარდოს, რაც ნებისმიერ შემთხვევაში ევროპისთვის რთული პროცესი იქნება. შესაბამისად, საქართველოს მზაობა და ქმედითი ნაბიჯები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია როგორც საერთაშორისო ავტორიტეტის მოსაპოვებლად. ასევე მეგობარი ქვეყნის უკრაინის მხარდასაჭერად. საქართველოსთვის გამოწვევა და ამავდროულად კარგი შესაძლებლობაა შეიმუშავოს და შესთავაზოს საერთაშორისო საზოგადოებას მიგრანტთა პოლიტიკის სტრატეგიული გეგმა. სწორად დაგეგმილ მიგრაციულ პოლიტიკას და საქართველოს ტერიტორიაზე მიგრანტთა მხარდაჭერას შეუძლია განსაკუთრებულად დიდი წვლილი შეიტანოს უკაინის დასახმარებლად მიმართულ ერთობლივ საერთაშორისო დახმარებაში.

ლიტერატურა

1. Operational Data Portal (Ukraine Refugee Situation), Refugees fleeing Ukraine (since 24 February 2022)
2. https://data2.unhcr.org/en/situations/ukraine
3. Reuters, More than a million Ukrainians fled to Poland since Russian invasion-Poland”

March 7, 20225:36 PM (Last Updated 25 days ago)

4. https://www.reuters.com/world/europe/around-1067-mln-ukrainians-fled-poland-since-russian-invasion-poland-2022-03-07/
5. UNHCR – The UN Refugee Agency -, Ukraine Emergency"
6. https://www.unhcr.org/ukraine-emergency.html
7. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია - National Security Concept of Georgia
8. https://mod.gov.ge/uploads/2018/pdf/NSC-GEO.pdf

Russia-Ukraine War: A New Wave of Migration and Expected Consequences

Terterashvili Khatia
PhD student at the Georgian Technical University

Summary

Since the Russian annexation of Crimea, Eastern Europe has faced a migration crisis. Several million Ukrainians are internally displaced or have fled the country and face an uncertain future. At the same time, Western-imposed sanctions and the creation of the Eurasian Economic Union have affected Russia's migration policies. These processes could change the region's social landscape for many years to come. This article aims to shed light on the migrant crisis at the EU's doorstep and make sense of the various migration processes in and out of Ukraine and Russia. The aggressive actions of the military contributed to the emergence of a new migration crisis and forced the civilian population of Ukraine to leave their homes and seek safe refuge. According to the UN High Commissioner for Refugees, more than two million refugees have moved westward, which in turn has led to the mobilization of European states and the development of a coordinated cooperation plan. The article discusses ways to promote migration policy and support for Ukrainian refugees.

Keywords: Russia-Ukraine war, migration, consequences; Global Challenges

კოოპერატივის რეგულირების სამართლებრივი ასპექტები (საკანონმდებლო სიახლეები)

ქოქრაშვილი ქეთევანი
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი

ზუბიტაშვილი ნონა
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში შედარებითი სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე, განხილულია კოოპერატივის, როგორც მეწარმე სუბიექტის ისტორიული განვითარების საფუძვლები და ძირითადი ეტაპები, მისი სამართლებრივი რეგულირების ძირითადი ასპექტები, სახელმძღვანელო პრინციპები და მათი ევოლუცია. ნაშრომში წარმოდგენილია 2021 წლის „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნორმატიულ მოდელი და ევროკავშირის კანონმდებლობით დარეგულირებული კოოპერატივის სუპრანაციონალური ფორმა. წარმოჩენილია პაის საკანონმდებლო რეგულაციის პრობლემა და კოოპერატივის განვითარების შემაფერხებელი მიზეზები საქართველოში, ამ კონტექსტში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სპეციალურ საკანონმდებლო რეგულაციასა და მათ პრაქტიკულ დანიშნულებაზე.

საკვანძო სიტყვები: კოოპერატივის განვითარება, „როჩდეილის პრინციპები“, SCE, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი.

შესავალი

კოოპერატივი, როგორც სამეწარმეო იურიდიული პირის ერთ-ერთ ორგანიზაციული ფორმა, როგორც წესი, გამოიყენება მიზნობრივად, სოფლის მეურნეობისა და წარმოების სფეროში სამეწარმეო საქმიანობისთვის. კოოპერატივი ერთ-ერთ ძველი და საკმაოდ განვითარებული ორგანიზაციული ფორმაა და არაერთი ქვეყნის ეკონომიკაში მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებს.[1] მიუხედავად აღნიშნულისა, საქართველოში კოოპერატივმა დღემდე ვერ მოიპოვა პოპულარობა და 2022 წლის იანვრის სტატისტიკური მონაცემებით, კოოპერატივთა რაოდენობა, რეგისტრირებულ აქტიურ კომერციულ იურიდიულ პირთა ოდენობის მხოლოდ 0,09%-ს შეადგენს.[2]

კოოპერატივის ნორმატიული მოდელი, არ შეესაბამება მეწარმე სუბიექტის კლასიკურ განმარტებას (საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, მუხ.2, პუნქ.2), მისი საქმიანობის მიზანს არ წარმოადგენს მოგების მიღება, რის გამოც კოოპერატივს არ აქვს დამკვიდრებული მკაფიო ადგილი ქართულ საკორპორაციო სამართალში, სავარაუდოდ იგივე მიზეზით აიხსნება კოოპერატივის ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმასთან დაკავშირებით სამართლებრივი კვლევების სიმწირეც. იმის გათვალისწინებით, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად კოოპერატივი არის სამეწარმეო საზოგადოება (კანონის მუხ.2, პუნქ.3), ამასთან, სოციალური ფენომენი, რომელსაც აქვს პოტენციალი, მნიშნელოვანი როლი ითამაშოს შესაბამის სეგმენტში,

---

[1]მაგალითად, ევროკავშირში ფუნქციონირებს 250 00 კოოპერატივი (მონაწილეობს ევროკავშირის საერთო პოპულაციის 1/3), და დასაქმებულია 5.4 მილიონი ადამიანი. ამის გარდა, კოოპერატივებს უჭირავთ მნიშვნელოვანილი წილი ევროკავშირის ბაზრის სხვადასხვა ინდუსტრიებში (ნიდერლანდებში აგრარული სფეროს 83% მოდის კოოპერატივებზე, ფინეთში 79%, იტალიაში 55% და ა.შ.) https://ec.europa.eu/growth/sectors/proximity-and-social-economy/social-economy-eu/cooperatives_en;

[2] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/67/organizatsiul-samartlebrivi-formebis-mikhedvit

არსებობს საჭიროება შეივსოს ერთგვარი სიცარიელე, რომელსაც ქართულ იურიდიული ლიტერატურაში ვაწყდებით კოოპერატივთან მიმართებით.

ძირითადადი ნაწილი

1. კოოპერატივის განვითარების ისტორიული ასპექტები

ისტორიულად კოოპერატივის, როგორც მეწარმე სუბიექტის პირველადი ჩანასახი XVII - XVIII საუკუნეებში ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ამერიკაში - „კოოპერატიული ასოციაციების" სახით გამოჩნდა.[1] კოოპერატივის, როგორც ეკონომიკური კონცეფციის დასაწყისი და მისი, როგორც სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების ორგანიზაციული ფორმის ლეგალიზაცია XIX საუკუნის 30-იან წლებს უკავშირდება. ამ პერიოდში ბრიტანეთში იქმნება ასეულობით კოოპერატივი, რომელთა დიდმა ნაწილმა დაახლოებით 10 წელიწადში „მარცხი" განიცადა და დაიხურა (აქვე აღსანიშნავია, რომ ამავე პერიოდში, კერძოდ, 1832 წელს დაფუძნებული „Lockhurst Lane Industrial Co-operative Society" და 1839 წელს დაფუძნებული „Hawick Cooperative

Societies", დღესაც წარმატებით ოპერირებენ ბრიტანეთის ბაზარზე). [2]

კოოპერატივი ევროპაში კაპიტალიზმის განვითარების ნაყოფია, რომლის წარმოშობის ძირითადი მოტივი თვითდახმარება იყო. თავიდანვე კოოპერატივების მიზანი იყო მასში გაერთიანებული წევრების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა პირველი სამომხმარებლო კოოპერატივები ინგლისში (1827, 1844 წლები), მოგვიანებით გერმანიაში („რიფაიზენის" კოოპერატივი 1871წ.) და სხვა.[3]

არსებული წყაროების ანალიზი ცხადყოფს, რომ კოოპერატივების განვითარებაში ყველაზე დიდი დამსახურება მიუძღვის 1843 წელს დაფუძნებულ „Rochdale Society of Equitable Pioneers",[4] რომელმაც 1844 წელს შეიმუშავა „კოოპერატივების ოპერირების პრინციპები", რაც კოოპერატივების ფუნდამენტურ სამოქმედო პრინციპებად იქცა და დღემდე "The Rochdale Principles" ("როჩდეილის პრინციპების")[5] სახელითაა ცნობილი.[6] თავდაპირველად პრინციპები გულისხმობდა:

- წევრობის ღიაობას და დაბალ წილობრივ შენატანებს;
- წილის შეზღუდულ რაოდენობას თითოეული კოოპერატორისთვის;

---

[1] ზოგიერთი წყაროს ცნობით მსოფლიოში პირველი კოოპერატივი -„Shore Porters Society" - დაარსდა შოტლანდიის ქალაქ აბერდინში ჯერ კიდევ 1498 წელს. https://www.shoreporters.com/history/.

[2] ბრიტანეთში კოოპერატიული საქმიანობის განვითარებაში განსაკურებული წვლილი უელსელი მეწარმეებს მიუძღვით. მაგალითად, რობერტ ოუენის (1771–1858) ე.წ. "თანამშრომლობის სოფლები", სადაც კოოპერატივის წევრები საკუთარ მოთხოვნებს სწორედ კოოპერატივში მუშაობით იკმაყოფილებდნენ აწარმოებდნენ სოფლის მეურნეობის პროდუქტებს, კერავდნენ ტანსაცმელს და ა.შ. არსებობდა სპეციალიზირებული გაზეთიც „The Cooperator", სადაც ქვეყნებდა პრაქტიკული რჩევები კოოპერატივის წევრებისათვის. გასაკუთრებით აღნიშვნის ღირსია, „კოოპერატორ ქალთა გილდია," რომელიც ქალაქ ედინბურგში დაფუძნდა 1883 წელს და მისი მიზანი იყო კოოპერატიულ მოძრაობაში ქალთა მონაწილეობის მოტივირება და ზრუნვა კოოპერატორ ქალთა სოციალურ მდგომარეობაზე.
https://www.academia.edu/22701446/Cooperatives_Principles_and_practices_in_the_21st_century P.6-7.

[3] ჭანტურია ლ. კანონი მეწარმეთა შესახებ და საკორპორაციო სამართლის წარმოშობა საქართველოში. https://www.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/sergo%20jorbenadze.pdf გვ.43.

[4] „Rochdale Society of Equitable Pioneers"- დაფუძნებიდან ათი წლის თავზე 24 ფილიალი, 13000 წევრი, 320000 ფუნტი სტერლინგი კაპიტალი და 320000 ფუნტზე მეტი წლიური მოგება ჰქონდა. ქოქრაშვილი ქ., სამეწარმეო სამართალი. თბ. 2019. გვ. 243.

[5] როჩდეილის პრინციპები შეიქმნა 1844 წელს და წარმოადგენს კოოპერატივების ფუნქციონირების უნიფიცირებულ პროგრესულ საფუძვლებს. როჩდეილის ორიგინალური პრინციპები ოფიციალურად იქნა მიღებული საერთაშორისო კოოპერატივის ალიანსის (ICA) მიერ 1937 წელს. პრინციპების განახლებული ვერსიები მიღებულ იქნა ICA-ს მიერ 1966 წელს. https://www.ica.coop/en/cooperatives/cooperative-identity

[6] https://www.aciamericas.coop/IMG/pdf/guidance_notes_en.pdf

- კოოპერატორთა თანასწორობას (ერთი პარტნიორი უდრის ერთ ხმას);
- საქონლის რეალიზაციას „ზომიერ“ საბაზრო ფასად და მხოლოდ ნაღდი ანგარიშსწორებით;
- ყველასათვის საერთო ფასს (მათ შორის, კოოპერატივის არაწევრებისთვის);
- პოლიტიკურ და რელიგიურ ნეიტრალიტეტს;
- წევრთა თანასწორობას (არანაირი დისკრიმინაცია სქესის მიხედვით).

1860-1880-იან წლებში კოოპერაციულ საწყისებზე თვითორგანიზების გზით კოოპერატივების წევრებმა (ფერმერებმა და წვრილმა მეწარმეებმა) მოიცვეს ევროპის უამრავლესი ქვეყნები (გერმანია, იტალია, საფრანგეთ, შვეიცარია, ბელგია, სკანდინავიის ქვეყნები) და ამერიკის შეერთებული შტატები. [1]

კოოპერატივების სამართლებრივი რეგულირება პირველად ბრიტანეთში განხორციელდა (1852წ.), მოგვიანებით ნიდერლანდებში (1855წ.), აშშ-ში (1865წ.), გერმანიაში, პორტუგალიასა და თურქეთში (1867წ.), ბელგიასა და ავსტრიაში (1873 წ.), ლუქსემბურგში (1884 წ.), ესპანეთში (1885წ.), იტალიაში (1886წ.).[2]

აშშ-ში კოოპერატიულ განვითარებას და „როჩდეილის პრინციპების“ დამკვიდრებას, ხელი შეუწყო ე.წ. „სოფლის მეურნეობის მფარველთა ორდენმა“. 1960 წელს აშშ-ში კოოპერატიული მოძრაობა შევიდა ახალ ფაზაში და კოოპერატივების დაცვის მიზნით შეიქმნა „ამერიკის შეერთებული შტატების კოოპერატივების ლიგა“, რომელიც დღეს ცნობილია „ეროვნული კოოპერატივების ბიზნეს ასოციაციის“ სახელით.[3]

მიუხედავად აღნიშნულისა, ამერიკის სამთავრობო პოლიტიკა არაერთხელ შეიცვალა კოოპერატივებთან მიმართებით, მაგალითისთვის, XIX საუკუნის მიწურულს ამერიკის მთავრობამ შერმანის ანტიტრასტული აქტით (Sherman Antitrust Act -1890წ.) ერთგვარი ომი გამოუცხადა ამ პერიოდში მომრავლებულ აგრარულ კოოპერატივებს. კოოპერატივების მეტ-ნაკლებად არასტაბილური პოზიცია ნაწილობრივ გამოსწორდა ფედერალურ დონეზე 1914 წელს, კლეიტონის აქტის (The Clayton Act) მიღებით, რომელმაც გაათავისუფლა „სასოფლო-სამეურნეო ანდა მებაღეობის სფეროში დასაქმებული კომპანიები, რომელთა მიზანიც იყო წევრთა ურთიერთდახმარება, და ამასთან უპირატეს მიზნად არ ისახავდნენ მოგების მიღებას.“[4] განსახილველ საკითხთან მიმართებით, მნიშვნელოვანია The Capper-Volstead Act, („კოოპერატივის უფლებათა აქტი“), რომლის საფუძველზეც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამუშავება/რეალიზაციის მიზნით დაფუძნებულ კოოპერატივებზე არ ვრცელდებოდა ანტიტრასტული კანონმდებლობა, გარკვეული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში.[5] XX საუკუნის დასაწყისში ნიუ-იორკის კოოპერატივების ლიგამ განვითარების ახალი ბიძგი

---

[1] აღსანიშნავია, რომ აშშ-ში „Philadelphia Contributionship for the Insurance of Houses from Loss by Fire“ (Philadelphia,Pennsylvania), დააფუძნა ბენჯამინ ფრანკლინმა, 1752 წელს

[2] Kimberly A.Zeuli, Robert Cropp. Cooperative: Principles and Practices in the 21th century. https://www.academia.edu/22701446/Cooperatives_Principles_and_practices_in_the_21st_century P.12

[3] Kimberly A.Zeuli, Robert Cropp. Cooperative: Principles and Practices in the 21th century. https://www.academia.edu/22701446/Cooperatives_Principles_and_practices_in_the_21st_century P.9-10

[4] Clayton Act, Section 6.

[5]მაგ. კოოპერატივის წევრები უნდა ყოფილიყვნენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებლები (ფერმერები); დაცული უნდა ყოფილიყო შემდეგი მოთხოვნები - „კოოპერატივის ერთი წევრი უდრის ერთ ხმას, დივიდენდები საფონდო ან საწევრო კაპიტალზე არ უნდა აჭარბებდეს წლიურ რვა პროცენტს“; აღშანიშნავია, რომ აშშ-ში XX საუკუნის დასაწყისში აშშ-ში კოოპერატივების ფინანსური მხარდაჭერის მიზნით არაერთი სახელმწიფო პროექტი დაიგეგმა და განხორციელდა, კერძოდ, 1916 წელს „The Farm Loan Act-ით“ („ფერმერული კრედიტის შესახებ ფედერალური აქტი“), შეიქმნა „ფედერალური მიწის ბანკი“, რომელიც კოოპერატივებზე, მიწის შეძენის მიზნით, გასცემდა გრძელვადიან შეღავათიან სესხებს. 1933 წელს “The Farm Credit Act-ით“ („ფერმერთა დაკრედიტების აქტი“), ფერმერებზე გაიცემოდა შეღავათიანი საოპერაციო სესხები. ამ პერიოდში კოოპერატივების დაკრედიტების მიზნით გაიხსნა 13 ბანკი, რომლებიც დღეს გაერთიანებული არიან და ოპერირებენ „CoBank“-ის სახელწოდებით. https://www.academia.edu/22701446/Cooperatives_Principles_and_practices_in_the_21st_century P.18.

მისცა კოოპერატივებს, აშშ-ს მთელ ტერიტორიაზე. ლიგის საქმიანობის ძირითადი მიზანი იყო კოოპერატივის წევრთა სწავლება, ტრენინგების ჩატარება და კოოპერატივის, როგორც მეწარმეობის განმხორციელებელი ორგანიზაციული ფორმის, განსაკუთრებით აგრარულ სფეროში, უპირატესობათა დემონსტრირება.[1] აშშ-ში კოოპერატივების განვითარებაში დიდი როლი ითამაშა ასევე კონსტულტირების მიმართულებით განხორციელებულმა აქტივობებმა, მაგალითად, 1929 წელს „The Agricultural Marketing Act"-ის საფუძველზე ჩამოყალიბდა „Commodity Advisory Boards for Cooperatives" („სასაქონლო საკონსულტაციო საბჭოები კოოპერა-ტივებისთვის") და „The Federal Farm Board" („ფერმერთა ფედერალური საბჭო"),[2] რომელთა საქმიანობის უმთავრეს მიზანს სწორედ კოოპერატორთა წვრთნა და განათლება წარმოადგენდა.

კოოპერატივების განვითარების ისტორიული პროცესის ანალიზი ცხადყოფს, რომ კოოპერატივებმა განვითარების ოთხი ეტაპი გაიარეს, კერძოდ:

- ინოვაციებისა და ექსპერიმენტების ეტაპი;
- ე.წ. „აფრენის ფაზა" (სწრაფი განვითარება ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად);
- სტაბილიზაციის ფაზა;
- კონსოლიდაციის ეტაპი. ეს უკანასკნელი უკავშირდება გასული საუკუნის 40-იან წლებს, როცა კოოპერატივებმა მასიურად დაიწყეს შერწყმის სახით რეორგანიზაციის პროცესები, რითაც რადიკალურად შემცირდა მათი რაოდენობა. აღნიშნულის მიზანი იყო: მეტი დივერსიფიცირებულობა, ვერტიკალურად ინტეგრირებულობა და გლობალურ ბაზარზე ფოკუსირება.[3]

საქართველოში კოოპერატივების შექმნა XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება.[4] 1925 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის გამოიცა სავაჭრო სამართლის პირველი ქართული სახელმძღვანელო სერგი ჯაფარიძის ავტორობით, რომელშიც კოოპერაცია, ე.წ. „ცვალებადი შემადგენლობის ამხანაგობა", განხილულია სავაჭრო სამართლის სუბიექტად.[5] ფაქტია, რომ XX საუკუნის 20-იან წლებში, კოოპერატივები სავაჭრო საქმიანობის იმდენად გავრცელებული ფორმა იყო, რომ საუნივერისტეტო სწავლების დონეზე ისწავლებოდა. აღნიშნული რეალობა გარკვეულწილად განპირობებული იყო 1923 წლის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, რომელიც არეგულირებდა ამხანაგობების სხვადასხვა სახეებს.[6]

გასული საუკუნის 80-იან წლებში კოოპერატივების სამართლებრივი რეგულირება

---

[1] 2022 წლისთვის აშშ-ში ფუნქციონირებს 30000-ზე მეტი კოოპერატივი, რომელთა აქტივები 3 ტრილიონ აშშ დოლარს აღემატება. მათი ყოველწლიური შემოსავლები 500 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს, საიდანაც ხელფასის სახით გაიცემა 25 მილიარდი აშშ დოლარი. https://www.academia.edu/22701446/Cooperatives_Principles_and_practices_in_the_21st_century. P.13.

[2] დღეს აშშ-ში კოოპერატივების მხარდაჭერის ფუნქციას ასრულებს - „ფერმერთა კოოპერატივების ეროვნული საბჭო" (NCFC) – რომელიც ხელს უწყობს ფერმერული კოოპერატივების ყოველმხრივ განვითარებას. საბჭოში გაერთიანებულია 3000-ზე მეტი ადგილობრივი კოოპერატივი და 26 რეგიონალური ან ეროვნული საბჭო; „რძის მწარმოებელთა ეროვნული ფედერაცია" (NMPF) – რომელიც რძის მწარმოებელ ფერმერებსა და მათი გაერთიანებით შექმნილ კოოპერატივებს ეხმარება გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმების შემუშავებაში.
https://www.academia.edu/22701446/Cooperatives_Principles_and_practices_in_the_21st_century

[3] Tim Mazzarol, Elena Mamouni Limnios. Co-operative enterprise: A Unique Business Model? 2011.
https://www.researchgate.net/publication/235432100_Co-operative_Enterprise_A_Unique_Business_Model P.3.

[4] 1869 წელს ილია ჭავჭავაძის თაოსნობით დაარსდა ერთ-ერთი პირველი კოოპერატივი „მომჭირნეობა". XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე კი, საქართველოში სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა დარგში ჩამოყალიბდა საწარმოო კოოპერატივები. 1911 წელს ქალაქ ქუთაისში დაიწყო ჟურნალ „კოოპერაციის" გამოცემა, რომლის მეშვეობით მკითხველი ეცნობოდა ევროპული ქვეყნების გამოცდილებასა და მიღწევებს კოოპერატივების მუშაობის შესახებ. დაუზუსტებელი ინფორმაციით 1921 წლისათვის საქართველოში 900-მდე კოოპერატივი მოქმედებდა, რომელიც მილიონზე მეტ ადამიანს აერთიანებდა. დეისაძე ე., კოოპერაციული თანამშრომლობის ფორმების ისტორიული გამოცდილება, ჟურ. ეკონომიკური პროფილი, #17, 2017, გვ. 37.

[5] ჯაფარიძე ს., სავაჭრო სამართალი, აკრძალული იურიდიული ლიტერატურა I, 2019, გვ., 132.

[6] იმ დროისთვის გავრცელებული იყო კოოპერაციის შემდეგი სახეები: (ა) მომხმარებელთა კოოპერატიული ამხანაგობა; (ბ) საკრედიტო კოოპერატიული ამხანაგობა; (გ) მწარმოებელთა კოოპერაცია (გ.ა) სასოფლო სამეურნეო (გ.ბ) კუსტარულ ხელოსნური (გ.გ) მუშაა არტელები;პირადი სატრანსპორტო საშუალებით მომსახურება, რეპეტიტორობა და სხვა; ჯაფარიძე ს., სავაჭრო სამართალი, აკრძალული იურიდიული ლიტერატურა I, 2019, გვ., 134-138.

განხორციელდა საბჭოთა კავშირში. რეალურად, ეს იყო პირველი სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმა, რომლითაც დაიწყო სამეწარმეო საქმიანობის ეტაპობრივი ლეგალიზების პროცესი. ამ პროცესის მასტიმულირებელი გახდა საქონლისა და პროდუქციის დეფიციტი, რაც, თავის მხრივ, განპირობებული იყო მოსახლეობის შემოსავლებისა და წარმოების შემცირებით. 1986 წლის 19 ნოემბერს მიღებული იქნა „ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ" კანონი, რომელიც მოქალაქეებს და მათი ოჯახის წევრებს, ძირითადი სამუშაოდან თავისუფალ დროს პარალელური შემოსავლის მიღების უფლებას აძლევდა, აღნიშნულს მოჰყვა საკავშირო მინისტრთა საბჭოს დადგენილება (25.02.1987) „მოხმარების საქონლის წარმოებისთვის კოოპერატივების შექმნის შესახებ" და საკავშირო კანონი „სსრკ-ში თანამშრომლობის შესახებ" (26.05.1988), რომელიც სამეწარმეო საქმიანობის ლეგალიზაციისკენ გადადგმული ნაბიჯი იყო, ამ კანონის საფუძველზე კოოპერატივებს პირველად მიეცათ უფლება, ესარგებლათ ოჯახის არაწევრი პირების შრომით.

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგომ ერთ-ერთი პირველი სფერო რომლის მოწესრიგებაც სახელმწიფო პრიორიტეტად იქცა - იყო სამეწარმეო საქმიანობა. 1991 წელს მიღებულ იქნა კანონი „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ", რომელსაც უამრავი ნაკლის გამო მალევე ჩაენაცვლა 1994 წლის კანონი „მეწარმეთა შესახებ". დღეის მდგომარეეობით ჩვენს ქვეყანაში მოქმედებს „მეწარმეთა შესახებ" კანონი, 2022 წლის 1 იანვრის განახლებული რედაქციით. ყველა ზემოთ დასახელებულ საკანონმდებლო რედაქციაში, შემოთავაზებულია კოოპერატივის, როგორც მეწარმე სუბიექტის რეგულაცია. ამ კონტექტში აღსანიშნავია, რომ 2012 წელს გაეროს და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მოწონებული იქნა „კოოპერატიული ბიზნესის კონცეფცია", ასევე, განისაზღვრა კოოპერატივების როლი ევროკავშირის ე.წ. „სოციალურ ეკონომიკაში"[1] რაც მნიშვნელოვანი სტიმული გახდა ევროკავშიირში კოოპერატივების მეტად განვითარებისთვის.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის საკორპორაციო სამართლის ჰარმონიზაციის პროცესში კოოპერატივს დიდი ყურადღება არ ექცევა, რაც ექსპერტთა აზრით განპირობებულია იმით, რომ კოოპერატივი ძირითადად განიხილება როგორც შიდა ბაზარზე ორიენტირებული მეწარმე სუბიექტი. დღემდე, ევროკავშირის სოფლის მეურნეობის სექტორის კოოპერატივების დიდი უმრავლესობა მოქმედებს ადგილობრივ, რეგიონულ ან ეროვნულ დონეზე (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, მაგ. FrieslandCampina და Arla).[2] სწორედ ამიტომ ევროკავშირის საკორპორაციო სამართლის ჰარმონიზაციის პროცესი არ ითვალისწინებს დირექტივების სავალდებულოდ გათვალისწინებას ეროვნულ კანონმდებლობებში, კოოპერატივებთან მიმართებით.[3]

2. კოოპერატივის სახელმძღვანელო პრინციპები

კოოპერატივის სახელმძღვანელო პრინციპები აერთიანებს იმ ღირებულებებს, რომელსაც

---

[1] Ger J.H. van der Sangen. How to Regulatee Cooperatives in the EU? https://www.elevenjournals.com/tijdschrift/doqu/2014/4/DQ_2211-9981_2014_002_004_002

[2] იქვე.

[3] წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ გადაწყვიტონ, არ გამოიყენონ ეს დირექტივა (…) კოოპერატივებზე (…)", მუხ. 1, პუნქტი. 2, მესამე ევროკავშირის CL დირექტივა: „წევრმა სახელმწიფოებმა არ უნდა გამოიყენონ ეს დირექტივა კოოპერატივების მიმართ (…). იგივე ეხება ექვსი ევროკავშირის CL დირექტივას, ხელოვნებაში მითითების გამო. 1, პუნქტი. 1 ევროკავშირის CL დირექტივის მესამე. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ევროკავშირის მეათე CL დირექტივა ტრანსსასაზღვრო გაერთიანებების შესახებ. მეათე ევროკავშირის CL დირექტივა ვრცელდება სააქციო კაპიტალის მქონე შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიებზე. თუმცა, ხელოვნების მიხედვით. 3, პუნქტი. 2, მეათე ევროკავშირის CL დირექტივა, წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება გადაწყვიტონ არ გამოიყენონ დირექტივა კოოპერატიულ საზოგადოებებზე, მაშინაც კი, თუ ის მიეკუთვნება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების განმარტებას. აქედან გამომდინარეობს, რომ ასოციაციების სახით სტრუქტურირებული კოოპერატივები, ნიდერლანდების მსგავსად, საერთოდ არ ხვდებიან მეათე დირექტივის ფარგლებში. პირველ, მეოთხე, მეშვიდე, მერვე, მეცხრე, მეთერთმეტე და მეცამეტე ევროკავშირის CL დირექტივაში კოოპერატივებზე მითითება არ ყოფილა. https://www.elevenjournals.com/tijdschrift/doqu/2014/4/DQ_2211-9981_2014_002_004_002

ეფუძნება კოოპერატივი. კოოპერატივის პრინციპების ჩამოყალიბება ისტორიული პროცესია და დაკავშირებულია 1895 წელს ლონდონში დაფუძებულ საერთაშორისო კოოპერატივების ალიანსთან, რომლის დაფუძნებიდან 100 წლის შემდეგ, კერძოდ 1995 წლის სექტემბერში, ქალაქ მანჩესტერში, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში გამართულ ასწლეულ კონგრესზე, მიღებულ იქნა კოოპერატივის პრინციპების დეკლარაცია.[1] საერთაშორისო კოოპერატივის ალიანსის (ICA)[2] განმარტებით: „კოოპერატივი არის ადამიანთა ავტონომიური გაერთიანება, რომელიც გაერთიანებულია ნებაყოფლობით, რათა დააკმაყოფილოს მათი საერთო ეკონომიკური, სოციალური და კულტურული საჭიროებები და მისწრაფებები, ერთობლივ საკუთრებაში არსებული და დემოკრატიულად კონტროლირებადი საწარმოს მეშვეობით.[3] ალიანსის მიერ მიღებული სახელმძღვანელო პრინციპები აერთიანებს შემდეგ ღირებულებებს:

- **ნებაყოფლობითი და ღია წევრობა** - კოოპერატივი არის ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომელიც ღიაა ყველა იმ პირისთვის, ვისაც შეუძლია ისარგებლოს მათი მომსახურებით და მზად არის აიღოს წევრობასთან დაკავშირებული ყველა პასუხისმგებლობა გენდერული, სოციალური, რასობრივი, პოლიტიკური ან რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე;
- **წევრების მიერ დემოკრატიული კონტროლი** - კოოპერატივი არის დემოკრატიული გაერთიანება, რომელსაც აკონტროლებენ მისი წევრები, რომლებიც თავის მხრივ აქტიურად არიან ჩართული კოოპერატივის პოლიტიკის განსაზღვრასა და მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა მიღებაში. კოოპერატივის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირები ანგარიშვალდებულნი არიან კოოპერატივების წევრების წინაშე. კოოპერატივში წევრებს აქვთ თანაბარი ხმის უფლება (ერთი წევრი - ერთი ხმა). კოოპერატივები ყველა დონეზე ორგანიზებულია დემოკრატიულ საფუძველზე;
- **წევრების მონაწილეობა ეკონომიკურ საქმიანობაში** - კოოპერატივის ძირითადი კაპიტალი შედგება დემოკრატიული კონტროლის ქვეშ მყოფი მისი წევრების თანაბარი შენატანებისგან. ასეთი კაპიტალის ნაწილი მაინც, როგორც წესი, კოოპერატივის საერთო საკუთრებაა. კოოპერატივში წევრობის ერთ-ერთი პირობაა კომპენსაციის არ არსებობა ან წევრების მიერ შეტანილი კაპიტალიდან მიღებული კომპენსაციის შეზღუდული ოდენობა. კოოპერატივის წევრები მიღებულ მოგებას ანაწილებენ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი ან ყველა მიზნის მისაღწევად, ესენია: კოოპერატივის განვითარება შესაძლებელია რეზერვების შექმნის გზით, რომელთა ნაწილი მაინც განუყოფელია; შემოსავლების განაწილება წევრებს შორის კოოპერატივთან მათი გარიგებების პროპორციულად და კოოპერატივის წევრების მიერ დამტკიცებული სხვა საქმიანობის მხარდაჭერა;
- **ავტონომია და დამოუკიდებლობა** - კოოპერატივი არის ავტონომიური გაერთიანება, რომელიც მოქმედებს წევრთა თვითდახმარების საფუძველზე, მათივე წევრთა კონტროლით. თუ კოოპერატივი დებს შეთანხმებას სხვა ორგანიზაციასთან (მათ შორის სამთავრობო), ან იზიდავს ფინანსებს გარე წყაროებიდან, ის ამას აკეთებს იმ პირობებით, რომლებიც უზრუნველყოფენ მათი წევრების დემოკრატიულ კონტროლს და უნარჩუნებენ კოოპერატივებს ავტონომიას;
- **განათლება, ტრენინგი და ინფორმაცია** - კოოპერატივები თავიანთ წევრებს, წარმომადგენლებს, მენეჯერებსა და თანამშრომლებს უზრუნველყოფენ მათთვის საჭირო განათლებით (ტრენინგებისა და კონსულტირების გზით), რათა მათ შეძლონ ეფექტური წვლილი

[1]აღნიშნული დეკლარაცია ეფუძნება „როჩდეილის პრინციპების“ შესწორებულ რედაქციას.
[2] ICA -ში გაერთიანებულია 230-ზე მეტი წევრი ორგანიზაციაა 100-ზე მეტი ქვეყნიდან.
https://www.academia.edu/22701446/Cooperatives_Principles_and_practices_in_the_21st_century
[3] Christopher S. Axworthy. Consumer Co-operatives and the Rochdale Principles Today. Osgoode Hall Law Journal 15.1 (1977). P. 137-164.

შეიტანონ თავიანთი კოოპერატივების განვითარებაში;

- **კოოპერატივების თანამშრომლობა** - კოოპერატივები ემსახურებიან თავიანთი წევრების საუკეთესო ინტერესებს და ერთობლივი მუშაობით აძლიერებენ კოოპერატიულ მოძრაობას ადგილობრივ, ეროვნულ, რეგიონალურ და საერთაშორისო სტრუქტურებში;
- **საწარმოზე ზრუნვა** - კოოპერატივები მოქმედებენ მათი წევრების მიერ დამტკიცებული პოლიტიკის საფუძველზე, მდგრადი განვითარების მიზნით.[1]

3. ევროპის კოოპერატივის სუპრანაციონალური სამართლებრივი ფორმა

2003 წელს ევროკავშირის საბჭოს მიერ მიღებულ იქნა ევროპის კოოპერატივის, როგორც დამატებითი, წევრ სახელმწიფოებში რეგულირებელი სამართლებრივი ფორმებისგან დამოუკიდებელი, ორგანიზაციული ფორმის სტატუტი[2]. რეგულაციის მიზანია, ხელი შეუწყოს წევრ სახელმწიფოებს კოოპერატივებს შორის ტრანსნაციონალურ აქტივობების განხორციელებაში. [3]

ევროპის კოოპერატივი წარმოადგენს სუპრანაციონალურ ორგანიზაციულ ფორმას, რომელსაც შიდასახელმწიფოებრივი კომერციული საზოგადოებების მსგავსად, გააჩნია საკუთარი დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობა. SCE დაფუძნებულად ითვლება რეგისტრაციის მომენტიდან, ხოლო რეგისტრაციამდე განხორციელებული ქმედებებისთვის მისი წევრები სოლიდარულად არიან პასუხისმგებელი. [4]

კოოპერატივის დაფუძნება შესაძლებელია როგორც პირველადი დაფუძნების გზით - არანაკლებ 5 ფიზიკური[5] ან იურიდიული პირების (თანა)მონაწილეობით, ასევე ევროკავშირის წევრ სახლმწიფოებში რეგისტრირებული კოოპერატივების ევროპის კოოპერატივად რეორგანიზაციის გზით (შერწყმით ან გარდაქმნით).[6] SCE -ს შეიძლება ჰყვადეს როგორც მომხარებელი წევრები, ასევე ინვესტორები (არამომხმარებელი) წევრები.

ევროპის კოოპერატივს გააჩნია საკუთარი წესდება, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად უნდა ითვალისწინდებს კოოპერატივის მიზნებს, დამფუძნებლების შესახებ ინფორმაციას, რეგისტრაირებული ოფისის მისამართს, კოოპერატივში მიღებისა და კოოპერატივიდან გასვლის წესებს, წევრთა უფლებებსა და მოალეობებს, განთავსებული კაპიტალისა და წილების ნომინალური ღირებულების ოდენობას. მართვის ორგანოების უფლებამოსილებებს, გადაწყვეტილების მიღების წესს და ა.შ.

SCE, მიუხედავად იმისა რომ კოოპერატივის ნაციონალური ფორმების მსგავსად მიმართულია უპირატესად წევრთა მოთხოვნებებისა და საჭიროებების დაკმაყოფილებისკენ, წარმოადგენს კაპიტალზე დაფუძნებულ გაერთიანებას. რეგულაცია ადგენს მინიმალურ საწესდებო კაპიტალს, რომელიც შეადგენს 30000 ევროს,[7] კაპიტალი დაყოფილია ნომინალური ღირებულების წილებად. დაუშვებელია წილების გამოშვება ნომინალურ ღირებულებაზე ნაკლებ ფასად. კაპიტალის ფორმირება უნდა მოხდეს ეკონომიკურად შეფასებადი შენატანებით, შესაბამისად სამუშაოს შესრულება და მომსახურების გაწევა არ წარმოადგენს შენატანის სახეს. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს, წილების სხვადასხვა კლასს. თავის მხრივ, სხვადასხვა კლასის წილები შეიძლება ითვალისწინებდეს განსხვავებულ უფლებებს.

---

[1] https://www.academia.edu/22701446/Cooperatives_Principles_and_practices_in_the_21st_century. P.9

[2] რეგულაცია No 1435/2003, ამოქმედდა 2006 წელს.

[3] Cracogna D., Fici A., Henry H., International Handbook on Cooperative Law, 2013, 116.

[4] რეგისტრაცია უნდა განხორციელდეს ერთ-ერთ წევრ სახელმწიფოში.რეგულაცია No 1435/2003;

[5] აუცილებელი მოთხოვნაა, რომ ფიზიკური პირები იყვნენ მინიმუმ ორი წევრი სახელმწიფოს რეზიდენტები. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ ევროპის კოოპერატივი ემსახურება ტრანსნაციონალური სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებას.

[6] A Member State may provide that a legal body the head office of which is not in the Community may participate in the formation of an SCE provided that legal body is formed under the law of a Member State, has its registered office in that Member State and has a real and continuous link with a Member State's economy.

[7] მინიმალური კაპიტალი შეიძლება გაიზარდოს წევრების შემდგომი შენატანებით

ევროპის კოოპერატივის მართვის სისტემა, რეგულაციის თანახმად შეიძლება იყოს ერთსაფეხუარიანი ან ორსაფეხურიანი. ორსაფეხურიან სისტემაში ხელმძღვანელ პირს ნიშნავს სამეთალყურეო საბჭო, ან წევრთა საერთო კრება,[1] ამასთან, დაუშვებელია, რომ ხელმძღვანელი ორგანოს წევრი და სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იყოს ერთიდაიგივე პირი, თუმცა საგამონაკლისო წესი უშვებს, ხელმძღავნელი პირის არარსებობის შემთხვევაში, სამეთვალყურეო საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა, საბჭოს გადაწყვეტილებით დროებით შეიძლება განახორციელოს ხელმძღნელი პირის ფუნქციები, ასეთ შემთხვევაში მას უჩერდება შესაბამისი უფლებამოსილება საბჭოს შემადგენლობაში.

სამეთვალყურეო საბჭო კომპლექტდება საერთო კრების მიერ და ზედამხედველობას უწევს ხელმძღვანელი ორგანოს საქმიანობას, შესაბამისად, თავად არ ახორციელებს მმართველობით და წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს. სამეთალყურეო საბჭოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ შიდა ურთიერთობაში, მაგალითად, საბჭო წარმოადგენს კოოპერატივს ხელმძღვნელ პირთან ხელშეკრულების დადების დროს, ან მასთან დავის შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ სამეთვალყურეო საბჭოს საერთო რაოდნობის 25% მაინც დაკომპლექტებული უნდა იყოს კოოპერატივის არაწევრი პირებით. მნიშვნელოვანია სამეთვაყურეო საბჭოში დასაქმებულთა მონაწილეობა, რომელსაც არეგულირებს დირექტივა.[2]

კოოპერატივის მართვის ერთსაფეხურიანი სისტემა ეფუძნება მხოლოდ ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელიც ახორცილებს ხელმძღავნელობით და წარმომადგენლობით უფლებამო-სილებას. რეგულაცია ითვალისწინებს ადმინისტრაციული ორგანოს ნაცვლად მმართველი დირექტორის არსებობას. ადმინისტრაციული ორგანოს წევრთა რაოდენობა განისაზღვრება წესდებით, ამასთან, წარმოდგენილი უნდა იყოს არანაკლებ სამი წევრით, დასაქმებულთა მონაწილეობა სავალდებულოა და რეგულირდება დირექტივით 2003/72/EC.[3] ზოგადი წესით, სამეთალყურეო საბჭოს მსგავსად, ადმინისტრაციული ორგანოს წევრთა საერთო რაოდენობის ¼-ს უნდა წარმოადგენდნენ კოოპერატივის არაწევრი პირები. ადმინისტრაციული ორგანოს წევრებს ირჩევს კოოპერატივის საერთო კრება. ადმინისტრაციული ორგანოს ყოველ წევრს აქვს კონტროლის უფლება, რაც გამოიხატება, დოკუმენტებსა თუ ანგარიშზე შეუზღუდავი წვდომით.[4]

კოოპერატივის წევრის უფლებები. კოოპერატივის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება მიუხედავად იმისა თუ რამდენ წილს ფლობს. ამავდროულად, რეგულაცია წევრ სახელმწიფოებს ანიჭებს შესაძლებლობას, განსხვავებულად მოაქწესრიგონ ხმის უფლება ნაციონალურ კანონმდებლობებში, იმ დათქმით რომ თითო წევრს არ შეიძლება მინიჭოს 5 ხმაზე ან ხმათა საერთო რაოდენობაზე 30%-ზე მეტი. [5]

არამომხარებელი წევრების - ინვესტორების ხმის უფლება რეგულირდება იმ წევრი სახელმწიფოს ნაციონალური კანონმდებლობით, სადაც SCE არის რეგისტრირებული, იმ დათქმით, რომ ინვესტორ წევრებს ჯამში არ შეიძლება ჰქონდეთ ხმების 25%-ზე მეტი. [6]

კოოპერატივის წევრებს, საერთო კრებაზე, შეუძლიათ მოითხოვონ ინფორმაცია ხელმძღავნელი ორგანოსგან. ხელმძღვანელმა ორგანომ შეიძლება არ დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნა, თუ ინფორმაციის გამჟღავნება არევს კოოპერატივის მიერ, სხვა პირის წინაშე ნაკისრ კონფიდენციალობის მოვალეობას. [7]

---

[1] Cracogna D., Fici A., Henry H., International Handbook on Cooperative Law, 2013, 116.
[2] Cracogna D., Fici A., Henry H., International Handbook on Cooperative Law, 2013, 116.
[3] Regulation No 1435/2003,
[4] Regulation No 1435/2003.
[5] Regulation No 1435/2003.
[6] Regulation No 1435/2003.
[7] Regulation No 1435/2003.

4. კოოპერატივის ნორმატიული მოდელი საქართველოს 2021 წლის „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მიხედვით

2021 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „მეწარმეთა შესახებ“ ახალი კანონი, რომელმაც სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, რიგი სიახლეები შემატა კოოპერატივის ნორმატიულ მოდელს, მათ შორის მნიშვნელოვანია კოოპერატივის სოციალური ასპექტის წარმოჩენა საკანონმდებლო დონეზე, კერძოდ, კანონის 227-ე მუხლის შესაბამისად, „კოოპერატივი არის წევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული“ მეწარმე სუბიექტი, „ან წევრთა ეკონომიკური თუ სოციალური საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით შექმნილი სამეწარმეო საზოოგადოება, რომლის ამოცანაა წევრთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება“.

კოოპერატივი წევრობაზე დაფუძნებული სამეწარმეო საზოგადოებაა - მისი დაფუძნებისთვის საჭიროა მინიმუმ 5 პირის (როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული) მონაწილოება.[1] სხვა კომერციული იურიდიული პირებისგან განსხვავებით, კოოპერატივის უპირატესი მიზანია არა მოგების მიღება, არამედ წევრთა საჭიროებების დაკმაყოფილება. შესაბამისად, კოოპერატივის სამართლებრივი ფორმის გამოყენება უკავშირდება უშუალოდ მასში გაერთიანებული წევრების მიერ საკუთარი შრომითი, ეკონომიკური თუ სოციალური საქმიანობის ორგანიზებულად წარმართვის საჭიროებას. მიუხედავად აღნიშნულისა, კანონის ახალი რედაქციით კოოპერატივში დაშვებულია წესდებით განისაზღვროს ე.წ. განთავსებული კაპიტალის არსებობა, რომლის შევსება ხდება წევრების შენატანებით. კოოპერატივში შენატანის მიმართ არ მოქმედებს სპეციალური წესები, შესაბამისად, ვრცელდება ზოგადი ნორმები, რომლის თანახმად, კოოპერატივში შენატანი შეიძლება იყოს როგორც ფულადი/არაფულადი, ასევე მომსახურების გაწევა/სამუშაოს შესრულება.

კოოპერატივში კაპიტალისა და შენატანთან დაკავშირებეული ქართული საკანონმდებლო მოთხოვნები, განსხვავდება ევროპის კოოპერატივის სუპრანაციონალური ფორმის რეგულირებისგან, რომლისთვისაც დადგენილია არამხოლოდ მინიმალური კაპიტალის მოთხოვნა, არამედ მომსახურების გაწევა/სამუშაოს შესრულება არ განიხლება ეკონომიკური ღირებულების მქონე (შენატანუნარიან) სიკეთეებად, ამასთან, კოოპერატივის ერთ წევრს შეიძლება ჰქონდეს რამოდენიმე პაი (მუხ. 229; პ.2). მიუხედავად აღნიშნულისა, ყოველ წევრს აქვს ერთი ხმა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა პაის ერთზე მეტი მესაკუთრე ჰყავს, რა დროსაც ერთი პაის რამდენიმე მესაკუთრეს აქვთ ერთი ხმა (მუხ.240; პ.4). რამდენადაც წარმოდგენილი ნორმა დისპოზიციური ხასიათისაა, წესდებით ან წესდებით გათვალისწინებულ შემთხხვევაში პარტნიორთა ცალკე ხელშეკრულებით შესაძლებელია დადგინდეს ხმათა განსხვავებული გადანაწილება (იქვე).

კოოპერატივის მართვის მოდელს არეგულრებს კანონის 249-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს წესდებით, მართვის როგორც მონისტური ისე დუალისტური სისტემის არჩევას. თუ წესდებაში არ არის აღნიშნული სისტემის არჩევის შესახებ, ივარაუდება რომ გამოიყენება მართვის დუალისტური სისტემა (მუხ.249; პ.3).

სამეწარმეო საქმიანობის განმხორციელებელი სხვა დანარჩენი სამართლებრივი ფორმა-ბისაგან განსხვავებით, კოოპერატივთან მიმართებით კანონი სავალდებულოდ ითვალისწინებს წარმომადგენელთა კრების მოწვევას, თუ წევრთა რაოდენობა 500-ზე მეტია (მუხ.248).[2]

კოოპერატივში, როგორც კაპიტალური საზოგადოების ნაირსახეობაში, მოქმედებს პასუხის-მგებლობის შეზღუდვის პრინციპი, რაც გამორიცხავს მისი წევრების პირად პასუხისმგებლობას საზოგადოების ვალდებულებებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სახეზეა

[1] იგივე რაოდენობა რაც ევროპის კოოპერატივის შემთხვევაში.

[2] დაწვრილებით იხ.: ქოქრაშვილი ქ., სამეწარმეო სამართალი. თბ. 2019. გვ.246-247.

პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის ბოროტად, კრედიტორების საზიანოდ, გამოყენება.

საკანონმდებლო სიახლეა კოოპერატივის ინვესტორი წევრის ცნების შემოტანა. როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ კოოპერატივი წევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული სამეწარმეო საზოგადოებაა, რომელიც მიზნად ისახავს თავის წევრთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, თუმცა ეს არ გამორიცხავს კოოპერატივის შესაძლებლობას, დასახული მიზნის მისაღწევად მოიზიდოს დამატებითი კაპიტალი. მსხვილი ინვესტორები, როგორც წესი, თავისი ინვესტიციის დასაცავად მოითხოვენ განსაკუთრებულ უფლებებს კორპორაციულ მართვაში, სწორედ ამიტომ, კანონის 233-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კოოპერატივის ინვესტორ წევრს წესდებით შეიძლება მიენიჭოს ვეტოს უფლება იმ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, რომლებიც მის მიერ განხორციელებულ ინვესტიციებს შეეხება. ამასთან, ინვესტორ წევრს არ შეიძლება ჰქონდეს ხმათა 25%-ზე მეტი (იქვე, პ.3).[1]

პაის საკანონდებლო რეგულირების პრობლემა. აღსანიშნავია, რომ "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის ახალი რედაქცია მკაფიოდ არ არეგულირებს პაის სამართლებრივ ბუნებას. მაგალითად, ერთი მხრივ, კანონი პაის აღიარებს საკუთრების ობიექტად (მუხ.229. პუნქ.3, მუხ. 230. პუნქ.1) მეორე მხრივ, პაის მოიხსენებს შენატანად (მუხ. 232. პუნქ.4), რაც სავარაუდოდ, წარმოადგენს ტერმინილოგიურ აღრევას, რადგან შენატანი, სამართლებრივი შინაარსიდან გამომდინარე, არ არის პარტნიორის საკუთრება. ზოგადი წესის თანახმად, შენატანი, განხორციელების მომენტიდან იქცევა საზოგადოების საკუთრებად. შესაბამისად, თუკი პაი არის წევრის საკუთრების უფლებით დაცული სიკეთე, იგივე ამავდროუალდ ვერ იქნება შენატანი. აღნიშნულის გარდა, კანონი უშვებს პაის გასხვისებაზე წესდებით შეზღუდვის დაწესების შესაძლებლობას ხელმძღვანელი ორგანოს თანხმობის სახით (მუხ. 230.1). ასეთი შეზღუდვის ლეგიტიმურობა საეჭვოა, რადგან ხელმძღვანელი პირის თანხმობის არარსებობის შემთხვევაში, უპირობოდ გამოირიცხება საკუთრების სუბსტანციით სარგებლობა.

„მეწარმეთა შესახებ" კანონის სიახლეა კოოპერატივის „ინვესტორი წევრის" ცნება. 233-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, "კოოპერატივის წესდებით შეიძლება გათვალისწინებული იყოს ინვესტორი წევრის მიღება". ამ საკანონმდებლო ნოვაციის მიზანია მისცეს შესაძლებლობა კოოპერატივის წევრებს, მათივე მიზნის მისაღწევად მოიზიდონ დამატებითი კაპიტალი.[2] მსხვილი ინვესტორები, როგორც წესი, თავისი ინვესტიციის დასაცავად მოითხოვენ განსაკუთრებულ უფლებებს კორპორაციულ მართვაში.[3] შესაბამისად, ინვესტორ წევრს წესდებით შეიძლება მიენიჭოს ვეტოს უფლება იმ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, რომლებიც მის მიერ განხორციელებულ ინვესტიციებს ეხება (მუხ.233. პუნქ.2), ფაქტობრივად, ის აკონტროლებს მის მიერ განხორციელებული ინვესტიციის მიზნობრივ ხარჯვას; ამასთან, ინვესტორ წევრს არ შეიძლება ჰქონდეს ხმათა 25 პროცენტზე მეტი (მუხ.233. პუნქ.3). ე.წ. საინვესტიციო წილის ყიდვა (ზოგჯერ მას "სასურველ აქციას" უწოდებენ) ნიშნავს უფრო დიდი ინვესტიციის განხორციელებას კოოპერატივში და შესაბამისად უფრო დიდი შემოსავლის მიღებას.[4]

---

[1] ჯუღელი გ., გიგუაშვილი გ., განმარტებები საქართველოს „მეწარმეთა შესახებ კანონის პროექტზე", თბ., 2021. გვ.280-281. http://lawlibrary.info/ge/books/GIZ_-Draft-Law-on-Entrepreneurs_2021.pdf

[2] აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის ქვეყნებში კოოპერატივებსუფლება აქვთ გამოსცენ სხვადასხვა ტიპის და კლასის წილები, სხვადასხვა ინტერესების დასაკმაყოფილებლად ან სახსრების მოსაზიდად. პრაქტიკის გათვალისწინებით, კოოპერატივების უმრავლესობა გამოსცემენ კოოპერატივის წევრთა წილებს და ინვესტორ წევრთა წილებს. https://coopcreator.ca/resource/cooperative-shareholders-and-governance/

[3] ჯუღელი გ., გიგუაშვილი გ., განმარტებები „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის პროექტზე. თბ., 2021. http://lawlibrary.info/ge/books/GIZ_-Draft-Law-on-Entrepreneurs_2021.pdf გვ.280.

[4] https://coopcreator.ca/resource/cooperative-shareholders-and-governance/

5. სასოფლო - სამეურნეო კოოპერატივი

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 227-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოთვლის სხვადასხვა ტიპის საქმიანობის განმხორციელებელ კოოპერატივებს, მათ შორის მნიშვნელოვანია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, რომელთა ჩამოყალიბება საქართვე-ლოში ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დაიწყო. 1921 წლისთვის ჩვენს ქვეყანაში 900-მდე კოოპერატივი ფუნქციონირებდა, რომელიც მილიონზე მეტ ადამიანს აერთიანებდა, თუმცა საქართველოს გასაბჭოებამ წერტილი დაუსვა ზოგადად მეწარმეობისა და კონკრეტულად კოოპერატივთა განვითარებას.

დღეს მსოფლიო მასშტაბით არსებულ კოოპერატივთა (დაახლოებით 30%) უმეტესობა სასოფლო სამეურნეო დანიშნულებისაა. ევროპული გამოცდილების თანახმად, ყველაზე მნიშვნელოვანი სარგებელი რასაც კოოპერატორები იღებენ კოოპერაციის შედეგად, არის ხელმისაწვდომობა ტექნიკასა და მანქანა-დანადგარებზე, ბაზარსა და ინფორმაციაზე, ხელმისაწვდომობის ზრდა სპეციალიზაციაზე და საქმის განაწილება. ევროპაში ძირითადად გავრცელებულია ორი ტიპის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები: საწარმოო კოოპერატივები და მომსახურების ტიპის კოოპერატივები. მომსახურების ტიპის კოოპერატივები ყველაზე ფართოდ გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს. ამ ტიპის გაერთიანებაში კოოპერატივის წევრები არ ახდენენ ქონებისა და საწარმოო საშუალებების კონსოლიდაციას. მომსახურების ტიპის კოოპერატივი მის წევრებს შესაძლებლობას აძლევს საწარმოო აქტივები შეიძინონ შედარებით დაბალ ფასად; მოახდინონ პროდუქციის გაერთიანება, გადამუშავება და ერთობლივი რეალიზაცია; აწარმოონ ერთობლივი მარკეტინგი; მიიღონ დარგობრივი და სხვა ტიპის კონსულტაციები. მომსახურების ტიპის კოოპერატივების ხვედრითი წილი განვითარებული ქვეყნების სასოფლო-სამეურნეო ტრანზაქციებში ყველაზე დიდია, მაგალითად,

აშშ-ში საშუალოდ 30%-ს შეადგენს, ევროკავშირში 50%-ს, ხოლო იაპონიაში კი 85%-ს.[1]

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სამართლებრივ რეგულირებას სხვა საკანონმდებლო აქტებთან ერთად ახდენს სპეციალური კანონი, „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“, რომელიც არეგულირებს სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების ფუნქციონირებასთან, სახელმწიფო ხელშეწყობასთან, მათი საქმიანობის მონიტორინგთან, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მოპოვებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს (კანონის მუხ.1; პ.1). აღნიშნული კანონი მიღებული იქნა 2013 წელს, რომლის საფუძველზე შეიქმნა სსიპ - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო. სააგენტოს ერთ-ერთ საქმიანობას წარმოადგენს კოოპერატივის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით ჩამოყალიბებული იურიდიული პირისათვის სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მინიჭება, რომლის შედეგად 2014 წლიდან სასოფლო- სამურნეო კოოპერატივის სტატუსი მინიჭებული აქვს 2172 კოოპერატივს[2], საიდანაც დღეის მდგომარეობით აქტიური სტატუსი შენარჩუნებული აქვს მხოლოდ 189[3]კოოპერატივს.

„სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ კანონი განსაზღვრავს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ძირითად პრინციპებს, ესენია: ა)ნებაყოფლობითი წევრობა; ბ)დემოკრატიული მართვა; გ)სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მეპაიეთა ეკონომიკური მონაწილეობა; დ)სოციალური პასუხისმგებლობა, სამართლიანობა და ურთიერთდახმარება. კანონი ასევე განსაზღვრავს სასოფლო - სამეურნეო კოოპერატივის წევრთა შემადგენლობას, კერძოდ

[1] ქეშელაშვილი გ., სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფორმირებისა და მართვის ძირითადი ასპექტები საქართველოში. 2017. http://eprints.tsu.ge/1368/1/Key%20aspects%20of%20formation%20and%20management%20of%20agricultural%20cooperatives%20in%20Georgia.pdf

[2] https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/236451

[3] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები 2022 წლის 1 იანვრის მონაცემებით.

კოოპერატივის წევრები არიან მეპაიეები და ასოცირებული წევრები, ამასთან კანონი იმპერატიულად განსაზღვრავს რომ მეპაიე შეიძლება იყოს 18 წელს მიღწეული საქართველოს მოქალაე ან/და სხვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს ამ კოოპერატივის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში და ფლობს პაის (მუხ. 11; პ. 1 და 2).

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სტიმულირების მიზნით დადგენილია საგადასახადო შეღავათები, კერძოდ, 1)მიღებული შემოსავალი (პირველადი წარმოება) და გრანტი მოგების გადასახადით არ იბეგრება; 2) კოოპერატივის ქონება, რომელიც გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის, ქონების გადასახადით არ იბეგრება; 3) ქონების გადასახადისგან გათავისუფლებულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის ლიზინგით გაცემული მოძრავი ქონება; 4)სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივთან დაკავშირებით, არ არის დაწესებული მოგების გადასახადის ზღვარი წლიური ბრუნვის მიხედვით; 5)საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება კოოპერატივის საქმიანობის ფარგლებში, კოოპერატივის წევრების მიერ მიღებული დივიდენდი; 6)სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები ასევე სარგებლობენ სხვა საგადასახადო შეღავათებით, რომლებიც სოფლის მეურნეობასთან მიმართებაში მოქმედებს.[1]

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი შესაძლებლობას აძლევს ფერმერებს, მეტი სარგებელი მიიღონ საკუთარი საქმიანობიდან, ამასთან, მაქსიმალურად შეიმსუბუქონ ფინანსური ტვირთი და მოიზიდონ ინვესტიციები. ეს არის შედარებით მარტივი გზა მცირე ფერმერებისთვის დიდ ბაზრებზე გასასვლელად.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები ხელს უწყობენ მიწის ნაკვეთების გაერთიანებას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. ამის შედეგად იზრდება მოსავლიანობა და პროდუქციის ხარისხი, ხოლო ამასთან ერთად მისი ექსპორტზე გატანის პოტენციალიც.[2]

დასკვნა

მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა და იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო აგრარული ქვეყანაა, როგორც სტატისტიკა ცხადყოფს, კოოპერატივმა, როგორც კორპორაციის სამართლებრივმა ფორმამ დღემდე ვერ მოიპოვა პოპულარიზაცია, პირიქით შეიმჩნევა აქტიური სტატუსის მქონე კოოპერატივების პერმანინტული რაოდენობრივი შემცირება. პრაქტიკის ანალიზის შედეგად შეიძლება გამოვყოთ რიგი მიზეზები, რაც ვფიქრობთ შესაბამის ყურადღებას და სტიმულირებას საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან, განსაკუთრებით კრიზისულ პერიოდში. ესენია: ინოვაციათა სიმცირე; კოოპერატივის წევრთა და მისი მენეჯმენტის არასრულყოფილი განათლება და ახალგაზრების დეფიციტი; რისკების მენეჯმენტის არცოდნა; აგროსასურსათო ბაზრების სიმცირე; მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა; კოოპერატივის გაიგივება საბჭოთა პერიოდის კოლმეურნეობებთან; ასევე, საყურადღებოა, რომ ზოგიერთ კოოპერატივს, მიუხედავად იმისა, რომ მიღებული აქვთ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი, მაინც მოქმედებენ სხვა სამართლებრივი ფორმის (უმეტესად შპს-ის) ან საოჯახო მეურნეობების პრინციპებით, ამიტომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების გარკვეულ ნაწილს შეადგენენ ე.წ. ფსევდოკოოპერატივები, რომლებიც შექმნილია უპირატესად სახელმწიფო და დონორი ორგანიზაციების პროგრამებში მონაწილეობის და საგადასახადო შეღავათებით სარგებლობის მიზნით და სრულიად არ არიან მოტივირებული გაზარდონ წარმოების მასშტაბები, ახალი წევრების შემატების გზით;[3] არ ხდება კოოპერატივის მართვის დემოკრატიული პრინციპის გამოყენება და მართვის ფუნქციას ერთპიროვნულად იღებს ერთი ან ორი პირი (უმეტეს

[1] http://livelihood.gov.ge/res/uploads/drc_gzamkvlevi/1609300537128aab.pdf
[2] https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/ourwork/povertyreduction/successstories/his_blueberry_days.html
[3] https://agronews.ge/sasophlo-sameurneo-kooperatsia-arsebuli-mdgomareoba-da-ganvitharebis-khelshemsheleli-pirobebi/

შემთხვევაში გამგეობის თავმჯდომარე), ამიტომ სუსტია ვერტიკალური და ჰორიზონტალური კოორდინაციის დონე; საპაიო შენატანების შეტანა არ ხდება მეპაიეთა ეკონომიკური მონაწილეობის შესაბამისად[1] და ბოლოს, კოოპერატივებში ხშირია გამგეობისა და საერთო კრების მოწვევის კანონითა და წესდებით დადგენილი წესების დარღვევა, რიგ შემთხვევებში ფაქტობრივად არ ფორმდება კრების ოქმები.

ვფიქრობთ, სახელმწიფოს მხრიდან კოოპერატივების განვითარების სტიმულირების რეალური და ეფექტური ღონისძიებების გატარება, სააგენტოს მხრიდან სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების საქმიანობის მონიტორინგი, შექმნის დამატებით შესაძლებლობებს საქართველოში სოფლის მეურნეობის აღორძინებასა და სოფლის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში; საოჯახო მეურნეობების განვითარებასა და მათ კოოპერირებაში; სოფლიდან მოსახლეობის მიგრაციის შეჩერებაში, ბიოლოგიური მეურნეობის განვითარებაში და სხვა, ანუ იმ მიზნების მიღწევაში რაც დასახულია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით.

Legal aspects of cooperative regulation
(Legislative News)

Kokrashvili Ketevan
International Black Sea University, Professor

Zubitashvili Nona
International Black Sea University, Associate Professor

Summary

Based on a comparative legal analysis, this paper discusses the basics and main stages of the historical development of the cooperative as the legal form of business organizations, the main aspects of its legal regulation, guiding principles and their evolution. The paper presents the normative model defined by the Law of Georgia on Entrepreneurs 2021 and the supranational form of the cooperative regulated by the EU legislation. The problem of legislative regulation of shares and the reasons hindering the development of cooperatives in Georgia are discussed focusing on the special legislative regulation of agricultural cooperatives and their practical purpose.

Keywords: Cooperative Development, Rothdale Principles, SCE, Agricultural Cooperative.

[1] https://agronews.ge/sasophlo-sameurneo-kooperatsia-arsebuli-mdgomareoba-da-ganvitharebis-khelshemsheleli-pirobebi/

იბეჭდება ავტორთა მიერ წარმოდგენილი სახით

გადაეცა წარმოებას 26.04.2022. ხელმოწერილია დასაბეჭდად 27.04.2022. ქაღალდის ზომა 60X84 1/8. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 20.

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, კოსტავას 77

Verba volant,
scripta manent

Published as represented by the authors

Given for production 26.04.2022. Signed for printing 27.04.2022. Size of paper 60X84 1/16. Approximately 20 pr.sh.

Publishing House “Technical University”, Tbilisi, Kostava 77

Verba volant,
scripta manent